



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

წლიური ანგარიში

2023

სარჩევი

აბრევიატურები.....	10
შესავალი.....	14
1. მაკროეკონომიკური გარემო	26
1.1. მსოფლიო ეკონომიკა.....	26
1.2. საგარეო სექტორი და საგადასახდლო ბალანსი	30
1.3. ეკონომიკური ზრდა	45
1.4. სამომხმარებლო ფასების ცვლილება.....	48
2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა.....	56
2.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	56
2.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები	67
2.2.1. რეზერვების სესხი	68
2.2.2. ღია ბაზრის ერთგვიანი ინსტრუმენტი	69
2.2.3. ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები	69
2.2.4. ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები.....	70
2.2.5. ფასიანი ქაღალდები.....	71
2.2.6. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები	76
2.2.7. საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება	76
2.3. სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა	78
3. ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა.....	81
3.1. ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება	84
3.2. გაჯანსაღების და რეზოლუციის ჩარჩო	89
3.3. ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისო კომიტეტი	94
3.4. საფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია	94
4. საბანკო ზედამხედველობა	97
4.1. საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება.....	97
4.2. კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი	103
4.3. კაპიტალის ადეკვატურობა	107
4.4. ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა	111
4.5. საკრედიტო რისკი.....	111
4.6. საბაზრო რისკი	128
4.6.1. საპროცენტო რისკი	129
4.7. მომგებიანობის რისკი.....	131
4.8. ლიკვიდობის რისკი.....	132
4.8.1. ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა.....	132
4.8.2. ვალდებულებების სტრუქტურა	134
4.8.3. საცალო დაფინანსება	135
4.8.4. საბითუმო დაფინანსება	137
4.9. მაკროპრუდენციული რისკები	139
4.10. საოპერაციო რისკი	141
4.10.1. საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში.....	143
4.11. კიბერრისკი.....	145
4.11.1. კიბერრისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები.....	148
4.12. ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება.....	149
4.12.1. ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა	149
4.12.2. მოდელის რისკი.....	156
4.12.3. საკრედიტო საინფორმაციო ბიურო/პლატფორმა	157
4.12.4. ღია ბანკინგი/ფინანსები	160

4.13	ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები	161
5.	მომხმარებელთა უფლებების დაცვა	163
3.5.	ნორმატიული ბაზის სრულყოფა	163
5.1.1.	მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი.....	163
5.1.2.	კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.....	164
6.	ფინანსური განათლება.....	172
7.	არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობა.....	191
7.1.	არასაბანკო სექტორის რეგულირება და საზედამხედველო ჩარჩო	191
7.2.	მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	192
7.2.1.	სესხის გამცემი სუბიექტები	200
7.2.2.	ვალუტის გადამცვლელი პუნქტები.....	203
7.2.3.	საკრედიტო კავშირები	204
8.	ფასიანი ქაღალდების ბაზარი.....	205
8.1.	ფასიანი ქაღალდების ბაზრის განსავითარებლად განხორციელებული აქტივობები და ბაზრის გამჭვირვალობის ხარისხის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებები.....	205
8.2.	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები.....	208
8.3.	ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა	212
8.4.	საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა	216
8.5.	საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა	220
9.	ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა	221
10.	საგადახდო სისტემების ოვერსაიტი	228
3.1.	სამართლებრივი ბაზა.....	229
3.2.	RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები	232
3.3.	გადახდის ელექტრონული საშუალებები.....	237
3.4.	საბარათე ინსტრუმენტების ბაზარი	240
3.5.	საგადახდო მომსახურების პროვაიდერები.....	247
11.	საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობა და ვირტუალური აქტივის მომსახურება.....	249
12.	საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება.....	257
13.	საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია.....	264
14.	შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა	278
14.1.	შიდა აუდიტი.....	278
14.2.	არაფინანსური რისკების მართვა	286
14.3.	ბიზნესის უწყვეტობის მართვა	287
15.	საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა	288
16.	ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება.....	296
17.	ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება	299
18.	სტატისტიკური საქმიანობა	348
19.	ფინანსური ანგარიშგება.....	352

ჩანართები

ჩანართი 1 მოგებისა და ხელფასების წვლილი ინფლაციაში.....53

ჩანართი 2. ფულის შექმნა ეკონომიკაში: საქართველოს მაგალითი.....64

ჩანართი 3 ახალი ფინანსური ინსტიტუტის - მიკრობანკის შექმნის მიზანი და მისი საქმიანობა 97

ჩანართი 4. ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობა.....100

ჩანართი 5. ინტერესთა კონფლიქტის მართვის განახლებული ჩარჩო.....105

ჩანართი 6. კონფიდენციალურობის გაუმჯობესების ტექნოლოგიები (PET)154

ჩანართი 7. გენერაციული AI.....156

დიაგრამები

დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში.....26

დიაგრამა N 1.2 სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მსოფლიოში28

დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა.....30

დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან31

დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება.....32

დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2023 წ.33

დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული34

დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2023 წ.35

დიაგრამა N 1.9 უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფების ათეული.....36

დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები37

დიაგრამა N 1.11 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით38

დიაგრამა N 1.12 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან38

.....38

დიაგრამა N 1.13 პირადი გზავნილები.....39

დიაგრამა N 1.14 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით40

დიაგრამა N 1.15 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან)..41

დიაგრამა N 1.16 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA metric)42

დიაგრამა N 1.17 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2015=100)44

დიაგრამა N 1.18 რეალური მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით47

დიაგრამა N 1.19 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან48

დიაგრამა N 1.20 მთლიანი და საბაზო (სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია48

.....48

დიაგრამა N 1.21 ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში.....50

დიაგრამა N 1.22 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია51

დიაგრამა N 1.23 სამომხმარებლო ფასებისა და მშპ დეფლატორის წლიური ცვლილება53

დიაგრამა N 1.24 მშპ დეფლატორის ცვლილების დეკომპოზიცია54

დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი59

დიაგრამა N 2.2 საპროცენტო განაკვეთების სპრედი და საკრედიტო აქტივობა (სესხების წლიური ზრდის ტემპი ვალუტების მიხედვით).....59

დიაგრამა N 2.3 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები61

დიაგრამა N 2.4 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი62

დიაგრამა N 2.5 საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით).....	63
დიაგრამა N 2.6	66
დიაგრამა N 2.7 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის დინამიკა 2018-2023 წლებში	72
დიაგრამა N 2.8 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2018-2023 წლებში	73
დიაგრამა N 2.9 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა მფლობელობის მიხედვით 2018-2023 წლებში	74
დიაგრამა N 2.10 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 1997-2023 წლებში (მლნ აშშ დოლარი).....	79
დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება.....	83
დიაგრამა N 3.2 სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2023 წლის 31 დეკემბრის მიხედვით)	91
დიაგრამა N 3.3 ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2023 წელს	95
დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად	108
დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110
დიაგრამა N 4.3 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით.....	112
დიაგრამა N 4.4 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით.....	113
დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ სეგმენტში	114
დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო და მიკრო სეგმენტში	114
დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო სეგმენტში	115
დიაგრამა N 4.8 ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში.....	119
დიაგრამა N 4.9 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2023 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	121
დიაგრამა N 4.10 საცალო პროდუქტების პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში	121
დიაგრამა N 4.11 საცალო პორტფელის ხარისხი და რეზერვის წილი პროდუქტების მიხედვით	123
დიაგრამა N 4.12 რისკის ხარჯის ცვლილება (დეკ-2022 - დეკ-2021)	124
დიაგრამა N 4.13 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	124
დიაგრამა N 4.14 რესტრუქტურირებული სესხების წილი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში	124
დიაგრამა N 4.15 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში	125
დიაგრამა N 4.16 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში.....	125
დიაგრამა N 4.17 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა.....	126
დიაგრამა N 4.18 ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან)	126
დიაგრამა N 4.19 სესხების ჩამოწერა და ამოღება	127
დიაგრამა N 4.20 პრობლემური აქტივები.....	127
დიაგრამა N 4.21 დასაკუთრებული აქტივები	128
დიაგრამა N 4.22 კომერციული ბანკების საბალანსო და კრეზითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან	129
დიაგრამა N 4.23 კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან	130
დიაგრამა N 4.24 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე.....	131
დიაგრამა N 4.25 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა	132
დიაგრამა N 4.26 ლიკვიდური აქტივების დონე	132
დიაგრამა N 4.27 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (10 დღის მცურავი საშუალო)	133

დიაგრამა N 4.28 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი*	133
დიაგრამა N 4.29 ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან	134
დიაგრამა N 4.30 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა	134
დიაგრამა N 4.31 ვალდებულებების სტრუქტურა	135
დიაგრამა N 4.32 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა	135
დიაგრამა N 4.33 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი	136
დიაგრამა N 4.34 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2023 წლის დეკემბერი)	137
დიაგრამა N 4.35 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჭრილში (2023 წლის დეკემბერი)	137
დიაგრამა N 4.36 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით	138
დიაგრამა N 4.37 დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით)*	140
დიაგრამა N 4.38 2023 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის	143
დიაგრამა N 4.39 ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2019-2023 წწ.)	144
დიაგრამა N 4.40 2023 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან)	144
დიაგრამა N 4.41 საბანკო სისტემის 2023 წლის მთლიანი დანაკარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით	145
დიაგრამა N 4.42 მიმდინარე სესხების რაოდენობა და მოცულობა (2023)	158
დიაგრამა N 4.43 მიმდინარე მსესხებლების უნიკალური რაოდენობა (2023)	158
დიაგრამა N 4.44 მომხმარებელთა პრეტენზიების რაოდენობა (2023)	159
დიაგრამა N 4.45 განადგობილი საერთაშორისო ფულადი გზავნილების რაოდენობა (2023)	159
დიაგრამა N 4.46 გზავნილების გამნადგობელი უნიკალური პირების რაოდენობა (2023)	160
დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით	168
დიაგრამა N 5.2 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით	169
დიაგრამა N 5.3 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით	169
დიაგრამა N 5.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით	170
დიაგრამა N 5.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით	170
დიაგრამა N 5.6 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით	171
დიაგრამა N 7.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა	192
დიაგრამა N 7.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა	192
დიაგრამა N 7.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებისა და მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით	193
დიაგრამა N 7.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მსესხებელთა რაოდენობა	193
დიაგრამა N 7.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის მოცულობა	194
დიაგრამა N 7.6 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა	195
დიაგრამა N 7.7 პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების და სახსრების ღირებულება	195
დიაგრამა N 7.8 საკრედიტო პორტფელის ხარისხი	196
დიაგრამა N 7.9 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია	196
დიაგრამა N 7.10 დაფინანსების წყარო	197
დიაგრამა N 7.11 ნასესხები სახსრების სტრუქტურა	197
დიაგრამა N 7.12 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა	198
დიაგრამა N 7.13 არარეზიდენტების სახსრები	198
დიაგრამა N 7.14 საზედამხედველო კაპიტალი	199
დიაგრამა N 7.15 საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა	199

დიაგრამა N 7.16 კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით.....	200
დიაგრამა N 7.17 წმინდა და საოპერაციო მოგების დინამიკა	200
დიაგრამა N 7.18 სესხის გამცემი სუბიექტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით	201
დიაგრამა N 7.19 სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა	201
დიაგრამა N 7.20 მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა.....	202
დიაგრამა N 7.21 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო.....	202
დიაგრამა N 7.22 ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფილიალების რაოდენობა	203
დიაგრამა N 7.23 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით.....	203
დიაგრამა N 8.1 არა-სამთავრობო ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2023)	209
დიაგრამა N 8.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2023)	209
დიაგრამა N 8.3 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების განაწილება ინდუსტრიების მიხედვით (2022)	210
დიაგრამა N 8.4 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით (2010-2023).....	210
დიაგრამა N 8.5 საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა (2015-2023)	211
დიაგრამა N 8.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით (2014-2023)	211
დიაგრამა N 8.7 საბროკერო კომპანიების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (ლარი)	212
დიაგრამა N 8.8 საბროკერო კომპანიების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების განაწილება (უცხო ქვეყნებსა და საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები)	213
დიაგრამა N 8.9 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2012-2023 წწ.	214
დიაგრამა N 8.10 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2012-2023წ).....	214
დიაგრამა N 8.11 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2012-2023)	215
დიაგრამა N 8.12 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2012-2023)	216
დიაგრამა N 8.13 საპენსიო აქტივების განაწილება პორტფელების მიხედვით 31 დეკემბერი, 2023.....	217
დიაგრამა N 8.14 საპენსიო აქტივების პორტფელების განაწილება, 31 დეკემბერი 2023.....	218
დიაგრამა N 10.1 RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები (2011-2023 წწ.)	233
დიაგრამა N 10.2 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2023 წელი).....	233
დიაგრამა N 10.3 RTGS ოპერაციების თანხა წლებისა და თვეების მიხედვით (2018-2023 წწ.).....	233
დიაგრამა N 10.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა წლებისა და თვეების მიხედვით (2018-2023 წწ.)	234
დიაგრამა N 10.5 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2023 წწ.).....	234
დიაგრამა N 10.6 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2023 წწ.).....	235
დიაგრამა N 10.7 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2023 წწ.)	235
დიაგრამა N 10.8 ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით	236
დიაგრამა N 10.9 ბანკის კლიენტების გადახდების განაწილება თანხების მიხედვით.....	236
დიაგრამა N 10.10 საქართველოში უნაღდო გადახდის ინიცირების საშუალებების გამოყენება 2012-2023 წლებში	238
დიაგრამა N 10.11 საქართველოში უნაღდო გადახდების განაწილება მათი ინიცირების საშუალებების მიხედვით (2023 წელი).....	239
დიაგრამა N 10.12 უცხოეთში უნაღდო გადახდების თანხის განაწილება მათი ინიცირების საშუალებების მიხედვით (2023 წელი).....	240
დიაგრამა N 10.13 საბარათე ოპერაციების ყოველწლიური ზრდა, თანხობრივად და რაოდენობრივად	241

დიაგრამა N 10.14 საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და უნაღდო გადახდების წილის დინამიკა 2013-2023 წლებში.....	242
დიაგრამა N 10.15 საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის პოს-ტერმინალებით გადახდების წილის დინამიკა საზღვარგარეთ და საქართველოში 2020-2023 წლებში...	243
დიაგრამა N 10.16 საქართველოში გამოშვებული ბარათებით შესრულებული უნაღდო გადახდის ოპერაციების დინამიკა 2018-2023 წწ.	243
დიაგრამა N 10.17 უცხოეთში გადახდის პოს-ტერმინალებზე ქართული ბარათებით განხორციელებული გადახდების დინამიკის აღდგენა პანდემიის შემდეგ პერიოდში.....	244
დიაგრამა N 10.18 კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობა საბარათე სქემების მიხედვით	245
დიაგრამა N 10.19 აქტიური ბარათით თვეში საშუალოდ განხორციელებული გადახდების რაოდენობა და თანხა.....	246
დიაგრამა N 10.20 თბილისში განლაგებული გადახდის პოს-ტერმინალების რაოდენობის წილი სულ გადახდის პოს-ტერმინალებში (2019-2023 წწ.)	246
დიაგრამა N 10.21 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა)	247
დიაგრამა N 11.1 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაციები წლების მიხედვით.....	254
დიაგრამა N 11.2 ინფორმაცია გადახდის ინიცირების საშუალებებით შესრულებული ოპერაციების განაწილების შესახებ.	255
დიაგრამა N 12.1 რაოდენობები მოთხოვნის ტიპების მიხედვით.....	260
დიაგრამა N 12.2 რაოდენობები რეგისტრაციის წყაროების მიხედვით	261
დიაგრამა N 12.3 ინციდენტების უმრავლესობა შემდეგ სერვისებს უკავშირდებოდა:.....	261
დიაგრამა N 12.4 ინციდენტები სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციების მიმართულებით	262
დიაგრამა N 12.5 ყველაზე მოთხოვნადი IT სერვისების სტატისტიკა სერვის დესკის წლის ანგარიშის მიხედვით	262
დიაგრამა N 13.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით *	264
დიაგრამა N 13.2 2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2019-2023 წლები)	265
დიაგრამა N 13.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2019-2023 წლები)*	265
დიაგრამა N 13.4 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი).	266
დიაგრამა N 13.5 საკასო ცენტრის შემოსავალ-გასავლები 2019-2023 წლებში.....	268
დიაგრამა N 13.6 2023 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი)	270
დიაგრამა N 13.7 2019-2023 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები	271
დიაგრამა N 13.8 2019-2023 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტები	271
დიაგრამა N 13.9 2019-2023 წლებში რეალიზებული ფასეულობა (ერთეული)	272

ცხრილები

ცხრილი N 1.1 საგადასახდლო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	42
ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების საშუალოწლიური ცვლილება (2023 წელი)	45
ცხრილი N 1.3 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების მიხედვით	46
ცხრილი N 1.4 ინფლაციის მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით, მათი წონა სამომხმარებლო კალათაში და ზეგავლენა ინფლაციაზე	51
ცხრილი N 4.1 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში.....	109
ცხრილი N 4.2 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2023 წლის ბოლოს არსებული კურსით)	112
ცხრილი N 4.3 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	138

ცხრილი N 8.1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2022-2023)	213
ცხრილი N 9.1 დისტანციური ზედამხედველობა, 2023წ.....	221
ცხრილი N 9.2 ჯარიმების მოცულობა, 2023წ.....	224
ცხრილი N 9.3 რეკომენდაციების რაოდენობა, 2023წ.....	224
ცხრილი N 9.4 სწავლების თემატიკა, 2023წ.....	226
ცხრილი N 11.1 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მაჩვენებლები 2023 წლის განმავლობაში	253
ცხრილი N 11.2 პროვაიდერების რაოდენობა შესრულებული საგადახდო მომსახურებების მიხედვით ...	253
ცხრილი N 12.1 საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის განყოფილებებს შორის ინციდენტებისა და მოთხოვნების გადანაწილების მაჩვენებლები.....	263
ცხრილი N 13.1 2023 წელს შემოტანილი ფულის საექვო ნიშნების ექსპერტიზის შედეგები:	269

აბრევიატურები

API (Application Programming Interface) - გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისი

ARA (Assessing Reserve Adequacy) - რეზერვების ადეკვატურობის შეფასება

BCBS (Basel Committee on Banking Supervision) - ბაზელის კომიტეტის სტანდარტი

BI (Business Intelligence) - მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმა

BIA (Business Impact Analysis) - ბიზნესის ზეგავლენის ანალიზი

BIS (Bank for International Settlements) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი

BISIP (BIS Investment Pool) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო პროგრამა

BMatch - კომპანია ბლუმბერგის უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმა

BSCEE (Banking Supervisors from Central and Eastern Europe) - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საბანკო ზედამხედველობა

CAREC (Central Asia Regional Economic Cooperation) - ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა

CBDC (Central Bank Digital Currency) - ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტა

CICR (Currency Induced Credit Risk) - სავალუტო საკრედიტო რისკი

CIF (Cost, Insurance and Freight) - ხარჯები, დაზღვევა და ფრახტი

CPMI (Committee on Payments and Market Infrastructures) - საგადახდო და ბაზრების ინფრასტრუქტურის კომიტეტი

CRA (Credit Risk Adjustment buffer) - საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი

CRD IV (Capital Requirement Directive) - ევროკავშირში მოქმედი საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივა

CRR (Capital Requirements Regulation) - კაპიტალის მოთხოვნის რეგულაცია

CSP (Customer Security Programme) - მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამა

CYFI (Child and Youth Finance International) - ბავშვთა და ახალგაზრდების ფინანსური განათლების საერთაშორისო ორგანიზაცია

DDos (Distributed Denial-of-service attack) - მომსახურების შეფერხების განაწილებული შეტევები

DeFi (Decentralized Finance) - დეცენტრალიზებული ფინანსები

DPM (Data Point Model) - მონაცემთა ლექსიკონი, რომელიც მოიცავს EBA-ს მიერ შემუშავებულ მონაცემთა ჰარმონიზებულ მოთხოვნებს და შედის მის ტექნიკურ სტანდარტებსა და სახელმძღვანელოში

EAD (Exposure At Default) – ფინანსური ინსტრუმენტის მოცულობა დეფოლტის დადგომისას

EBA (European Banking Authority) - ევროპის საბანკო ასოციაცია

EBITDA (Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization) - შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე

EBRD (European Bank for Reconstruction and Development) - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ECB (European Central Bank) - ევროპის ცენტრალური ბანკი

EFSE DF (Development Facility of the European Fund for Southeast Europe) – „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამა

ESG (Environmental, Social, and Governance) - გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები

ETL (Extract, Transform, Load) - ზოგადი პროცედურა სხვადასხვა წყაროდან (MS SQL, MS Excel და ა.შ.) მონაცემების შემოტანის, გარდაქმნის და საჭირო ფორმატში შენახვის შესახებ

EVE (Economic Value of Equity) - კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება

FAO (Food and Agriculture Organization) - სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

FATF (Financial Action Task Force) - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი

FEA Georgia (Financial Education Association of Georgia) - საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაცია

FinEdu - ფინანსური განათლების პირველი ქართული საგანმანათლებლო ვებპორტალი - www.finedu.gov.ge („ფინედუ“)

FINREP - (Financial Reporting) (An European regulation which applies to credit institutions) - ევროკავშირის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები საკრედიტო დაწესებულებებისთვის

FOB (Free on Board) - თავისუფლდება ვალდებულებებისგან, საქონლის საწყალოსნო ტრანსპორტზე დატვირთვიდან

FRD (Fraud Data) არაავტორიზებული ოპერაციების სტატისტიკური მონაცემები

FSAP (Financial Sector Assessment Program) - ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა

FSI (Financial Stability Indicators) - ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები

GAN (General Adversarial Networks) - გენერაციული მოწინააღმდეგე ქსელები

GET (German Economic Team) - გერმანიის ეკონომიკური ჯგუფი

GFIN (Global Financial Innovation Network) - გლობალური ფინანსური ინოვაციების ქსელი

GGF (Green for Growth Fund) - მწვანე ზრდის ფონდი

GRAPE (General Risk Assessment Program) - რისკების შეფასების საერთო პროგრამა

GSSS (Georgian Securities Settlement System) - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა

HR (Human Resource) - ადამიანური რესურსები

HRMS (Human Resource Management System) - ადამიანური რესურსების მართვის სისტემა

IFC (International Finance Corporation) - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

IFRS (International Financial Reporting Standards) - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

IFT (Inflation Forecast Targeting) - მომავალზე ორიენტირებული ინფლაციის თარგეთირება

IIA (Institute of Internal Auditors) - შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი

IMF (International Monetary Funds) - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

IOSCO (Technical Committee of the International Organization of Securities Commissions) - ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური კომიტეტი

IPPF (International Professional Practice Framework) - საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო

ISO (International Organization for Standardization) - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

IT (Information Technology) - საინფორმაციო ტექნოლოგიები

LCR (Liquidity Coverage Ratio) - ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი

LTV (Loan to Value) - სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი

NGFS (Network for Greening the Financial System) ქსელი ფინანსური სისტემის “გამწვანებისთვის”

NII (Net Interest Income) - წმინდა საპროცენტო შემოსავალი

NPL (Non-Performing Loan) - უმოქმედო სესხი

NSFR (Net Stable Funding Ratio) - წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი

OECD (Organization for Economic Co-operation and Development) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

OECD/INFE (Organization for Economic Co-operation and Development/International Network on Financial Education) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი

PTI (Payment to income ratio) - სესხის მომსახურების კოეფიციენტი

ROA (Return on Assets) - ამონაგები აქტივებზე

ROE (Return on Equity) - ამონაგები კაპიტალზე

ROSC (Report on the Observance of Standards and Codes) - სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების ანგარიში

RTGS (Real Time Gross Settlement) - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა

RTP (Request to Pay) - გადახდის მოთხოვნა

SBA (Stand-by Arrangement) სსფ-ს მხარდამჭერი პროგრამა

SBFN (Sustainable Banking and Finance Network) - მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელი

SDR (Special Drawing Rights) - საერთაშორისო ფულის ფორმა, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განისაზღვრება, როგორც სხვადასხვა კონვერტირებადი ვალუტების შეწონილი საშუალო

SECO (State Secretariat for Economic Affairs) - ეკონომიკის საკითხებში სახელმწიფო სამდივნო

SEPA (Single Euro Payment Area) - ევრო გადახდების სივრცე

SMEDA (Small and Medium Enterprise Development Authority) - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია

SWIFT (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) - მსოფლიო ბანკთაშორის ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოება

TIBR (Tbilisi Interbank Rate) - თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი

TMS (Taxonomy Management System) - ტაქსონომიის მართვის სისტემა

UNCTAD (United Nations Conference on Trade and Development) - გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულება

USAID (United States Agency for International Development) - შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის

XBRL (Extensible Business Reporting Language) - ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა

შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ის) 2023 წლის წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის მიმოხილვასა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას საფრთხე არ შეექმნას. ფასების სტაბილურობა, თავის მხრივ, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას გულისხმობს, რომელიც მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ოპტიმალურია. საშუალოვადიან პერიოდზე ფოკუსირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკების შედეგად ინფლაცია შესაძლებელია, მიზნობრივი მაჩვენებლისგან გადაიხაროს, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, დამატებითი შოკების არარსებობის შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება, რითაც ფასების სტაბილურობა მიიღწევა.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით ახორციელებს, რომელიც დღეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად არის აღიარებული. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ქვეყნისათვის ინფლაციის ოპტიმალური დონეა, წინასწარ განისაზღვრება. შემდეგ კი მონეტარული პოლიტიკა ისე წარიმართება, რომ საშუალოვადიანი პერიოდისთვის ყოველთვის იყოს ინფლაციის მის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაბრუნების მოლოდინი, მათ შორის, კერძო სექტორის მხრიდან. აღნიშნული რეჟიმი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს ყოფნას, მეორე მხრივ კი, ეგზოგენურ შოკებზე საპასუხოდ, ინფლაციას მიზნობრივი დონისაგან დროებით გადახრის საშუალებას აძლევს, რათა ჯამურად მაკროეკონომიკური მერყეობის მინიმუმაცია მოხდეს.

მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე (მაგალითად აქციზის გადასახადის, გლობალურ ბაზრებზე ნედლეული პროდუქტების ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა) რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური ზრდის მერყეობას და, გრძელვადიან პერიოდში, დასაქმების შემცირებას გამოიწვევს. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც მიწოდების შოკი იმდენად დიდი ან ხანგრძლივია, რომ ის გავლენას ახდენს ინფლაციის მოლოდინებზე. ეს მიდგომა ფასების სტაბილურობას და, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე დაბალ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს უზრუნველყოფს. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და მისი გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება საზოგადოებრივი დანახარჯიც ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია, რომელიც ინფლაციის პროგნოზის შესაბამისად იცვლება. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალი იქნება, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას შეარბილებს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე, 2018 წლიდან მოყოლებული ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი 3%-ია, რაც გრძელვადიან სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენს. ინფლაციის თარგეთირებაზე ეროვნული ბანკი 2009 წლიდან გადავიდა. მას შემდეგ (2009 - 2022 წლებში) საქართველოში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 4.5 პროცენტს შეადგენს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმამდე 2000-2008 წლებში ინფლაცია საშუალოდ 6.6 პროცენტს უტოლდებოდა. თავდაპირველად, ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლისას, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6 პროცენტი იყო. მომდევნო წლებში ის ეტაპობრივად კლებულობდა, ხოლო 2018 წლიდან კი 3 პროცენტამდე შემცირდა, რაც წლიური ინფლაციის გრძელვადიან მიზნობრივ დონეს წარმოადგენს.

2023 წელს ინფლაციური წნეხი აღმოიფხვრა. 2023 წლის დასაწყისიდან ინფლაციამ შემცირება დაიწყო და მარტის შემდგომ მიზნობრივ 3 პროცენტზე დაბალი შენარჩუნდა. 2023 წელს ინფლაციამ საშუალოდ 2.6 პროცენტი, ხოლო საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის მაღალი მერყეობით გამორჩეულ ფასებს გამორიცხავს, საშუალოდ 3.8 პროცენტი შეადგინა. წლის დასაწყისში ინფლაციის კლება საგარეო შოკების გავლენის ეტაპობრივმა მიღვევამ განაპირობა. წლის მეორე ნახევრიდან კი ინფლაციის შემცირება შიდა ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. კერძოდ, დროულად და საკმარისად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად ინფლაციურ მოლოდინებს კლებადი ტენდენცია ჰქონდა. ასევე წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილობრივად წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების ინფლაცია. მთლიანობაში, 2023 წელს ინფლაციური წნეხის აღმოფხვრის მთავარი ფაქტორები, როგორც საგარეო გავლენის განეიტრალებამ, ასევე მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მათ შორის მომსახურების ფასების ნორმალიზება მოგვევლინა.

2023 წელს ინფლაციური ტენდენციების და ინფლაციური პროგნოზის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა მკაცრი მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლა დაიწყო. სებ-მა წლის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11 პროცენტზე შეინარჩუნა. ხოლო მაისიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება ეტაპობრივად, მცირე ბიჯებით მიმდინარეობდა. მართალია, ინფლაციამ შემცირება 2023 წლის დასაწყისიდანვე დაიწყო, თუმცა წლის დასაწყისში ამის ძირითადი მიზეზი ეგზოგენური ფაქტორების განეიტრალება იყო, ადგილობრივი ფაქტორებიდან მომდინარე ინფლაციური წნეხი კი კვლავ ნიშანდობლივი რჩებოდა, რასაც შედარებით მაღალი საბაზო და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია მიუთითებდა. ამავდროულად, ინფლაციური რისკებიც მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა. მიმდინარე მწვავე გეოპოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, გლობალურად გაურკვეველობა მაღალი იყო, რის გამოც იმპორტირებულ პროდუქტთა გარკვეულ ჯგუფთან მიმართებით ფასების ზრდის რისკები

ჯერ კიდევ ნარჩუნდებოდა. საგარეო რისკებთან ერთად, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენციებიც საყურადღებო იყო. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ეროვნული ბანკის ფრთხილი მიდგომა და მკაცრი პოზიციიდან მცირე ბიჯებით გამოსვლა. საბოლოოდ, ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ინფლაციური მოლოდინების ნორმალიზებას და მთლიანობაში, ინფლაციის დამატებით შემცირებას შეუწყო ხელი. შედეგად, შედარებით ნელი ტემპით წლის განმავლობაში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების, მომსახურებისა და საბაზო ინფლაციის საზომები მცირდებოდა. 2023 წლის დეკემბერში, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წინა წლის პიკთან შედარებით, 1.5 პროცენტული პუნქტით (პპ-ით) შემცირდა და 9.5 პროცენტი შეადგინა.

2023 წელს საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით 7.5 პროცენტით გაიზარდა. 2023 წელს რეალური მშპ-ის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ინვესტიციები იყო. კერძოდ, 7.5 პროცენტისანი ეკონომიკურ ზრდაში ინვესტიციებმა 5.4 პპ-იანი წვლილი შეიტანა. ინვესტიციების ზრდა გარკვეულწილად ბიუჯეტიდან კაპიტალური ხარჯებისა და ბიზნეს სესხების მნიშვნელოვანმა მატებამ განაპირობა. ეკონომიკურ ზრდაში შედარებით მცირე პოზიტიური წვლილი შეიტანა მოხმარებამ, რომლის წვლილიც 3.1 პპ-ს შეადგენდა. 2023 წელს საგარეო მოთხოვნის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა შედარებით სუსტი იყო, რაც ერთი მხრივ, მიგრაციის ეფექტის ამოწურვას და მეორე მხრივ, საექსპორტო საქონელზე საგარეო მოთხოვნის შესუსტებას უკავშირდება.

წლის განმავლობაში, საგარეო შემოდინებების ზრდის ტემპი ეტაპობრივად ნორმალიზდა, რაც მეტწილად მიგრაციის ერთჯერადი ეფექტის ამოწურვამ განაპირობა, როგორც მოსალოდნელი იყო. მიმდინარე ომის გამო რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან ხანგრძლივადიანი ვიზიტორთა რაოდენობა, 2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა, 2023 წელს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ქვეყნებიდან შემოსული მოქალაქეების ზრდის ტემპი შენედა. მიუხედავად მიგრაციის ერთჯერადი ეფექტის ამოწურვისა, ევროკავშირიდან და თურქეთიდან შემოსული ვიზიტორების ზრდის ფონზე საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 2023 წელსაც გაიზარდა. თუმცა, ნაწილობრივ, საბაზო ეფექტისა და მიგრაციის ერთჯერადი ეფექტის შესუსტების გავლენით, სწრაფი ფულადი გზავნილები წლიურად შემცირდა. გარდა ამისა, საგარეო მოთხოვნა ადგილობრივად წარმოებულ საექსპორტო საქონელზე სუსტი იყო, რაც გამყარებული გაცვლითი კურსის გამო შემცირებულ კონკურენტუნარიანობასა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელებასაც უკავშირდებოდა. ამას გარკვეულწილად მანქანების რეექსპორტის მზარდი ტენდენცია აბალანსებდა. თუმცა წლის ბოლოს მანქანების რეექსპორტის ზრდის ტემპიც შენედა. საგარეო შემოდინებების გარკვეული შესუსტება, დიდწილად საქონლის იმპორტმა დააბალანსა. კერძოდ, მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებისა და სხვა სასაქონლო ჯგუფების ფასების შემცირების დაწყებამ საიმპორტო საქონელზე დანახარჯები შეამცირა. შედეგად, საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშმა მშპ-ს 4.3 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსათვის ყველაზე დაბალი ისტორიული მაჩვენებელია. ისტორიულად დაბალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფონზე, 2023 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.1 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 14.8 პროცენტით გამყარდა, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინფლაციის შემცირებაში.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობა, გასულ წელთან შედარებით, 108.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2023 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით, ისტორიულად მაღალი, 5.01 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების მაღალი დონე ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობის გარანტია და ქვეყნის კრედიტუნარიანობაზე დადებითად აისახება. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, მეტწილად სავალუტო ინტერვენციები და მთავრობის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები (მ.შ. პროგრამული გრანტები და სესხები) მოქმედებდა. 2023 წელს სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა (როგორც სავალუტო აუქციონების, ასევე BMatch პლატფორმის საშუალებით) 1.28 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით საგარეო ვალის მომსახურებასა და მთავრობის სხვა სავალუტო ხარჯებს ჰქონდა გავლენა. ასევე რეზერვებზე კლების მიმართულებით, კომერციული ბანკების სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების კლებამ იმოქმედა, როგორც სარეზერვო მოთხოვნების შემსუბუქების, ასევე დეპოზიტების დოლარიზაციის კლების გამო.

ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობა, ეროვნული ბანკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით, ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს.

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრცკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. კონტრცკლური ბუფერის დაწესების განახლებული ჩარჩოს შესაბამისად, 2023 წლის მარტში ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა კონტრცკლური ბუფერის ნეიტრალური (საბაზისო) განაკვეთის 1%-ზე დაწესების გადაწყვეტილება მიიღო, რაც გულისხმობს იმას, რომ ბუფერის განაკვეთი ნორმალურ პირობებში 1 პროცენტი იქნება. თუმცა გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების ფონზე, კონტრცკლური ბუფერის დაგროვება ეტაპობრივად მოხდება.

ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს მუშაობას ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონით გამოწვეული სტრუქტურული რისკების შესამცირებლად. სებ-ის მიერ გატარებული ღონისძიებების ფონზე დოლარიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა დოლარიზაცია და მასთან დაკავშირებული რისკები ფინანსური სექტორისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავაც რჩება. დოლარიზაციით გამოწვეული რისკების შერბილების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა დამატებითი მოთხოვნა დაუწესა რეგულირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს. 2024 წლის 1 იანვრიდან, არაპეჯირებული უცხოური ვალუტის სესხზე ლიმიტი 300,000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო 1 მაისიდან 400,000 ლარამდე იზრდება. სტრუქტურული რისკების შემცირების ხელშესაწყობად სებ-ი, მომავალშიც განაგრძობს ლიმიტის ეტაპობრივად ზრდას მაკროეკონომიკური გარემოსა და რისკების გათვალისწინებით.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის შერბილების პარალელურად სამომხმარებლო სესხების გაცემის პირობებიც შემსუბუქდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წელს არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების ზრდის მაჩვენებელი შემცირდა 2022 წელთან შედარებით, ხოლო საკრედიტო აქტივობა მდგრად დონეზე ნარჩუნდება, ფინანსური

სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2023 წლის 1 ნოემბრიდან ამ ტიპის სესხების მაქსიმალური ვადის ლიმიტი 3 წლიდან კვლავ 4 წლამდე გაიზრდება.

2023 წლის მაისში ფინანსური სტაბილურობის ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა სისტემური ბანკებისთვის დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL) დააწესა. აღნიშნული რეგულაციის დაწესების რეკომენდაცია 2021 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული ფინანსური სექტორის შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში იქნა გაცემული და იგი ევროპის ბანკის გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივის (BRRD) ჩარჩოს მიერ გათვალისწინებულ საერთო პრაქტიკას ემყარება. MREL მოთხოვნის მიზანია, ბანკების მიერ წინასწარ ბალანსის იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც სტრესულ სიტუაციაში რეკაპიტალიზაციის გზით ბანკის მდგრადობას შეუწყობს ხელს.

საქართველოს ფინანსური სისტემა მდგრადობას ინარჩუნებს და ეკონომიკის დაკრედიტებას კვლავაც შეუფერხებლად განაგრძობს. 2023 წლის მონაცემებით, ბანკებს კაპიტალის და ლიკვიდობის ჯანსაღი მაჩვენებლები აქვთ. გასულ წელთან შედარებით, გაუმჯობესებულია აქტივების ხარისხიც. 2023 წლის დეკემბერში სესხების წლიურმა ზრდამ, გაცვლით კურსის ეფექტის გამორიცხვით, 17.2% შეადგინა, რაც მნიშვნელოვანწილად, ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული. 2023 წლის მეოთხე კვარტალის მონაცემებით, სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა გრძელვადიან ტრენდს ეტაპობრივად უახლოვდება. გასული წლის დასაწყისთან შედარებით, სესხების მშპ-თან ფარდობის უარყოფითი გაპი მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაც მაღალი ეკონომიკური ზრდის ნორმალიზებისა და მდგრადი საკრედიტო აქტივობის ასახვაა.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. 2023 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მესამე ანგარიში გამოაქვეყნა. მასში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში 2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ESG საკითხების სახელმძღვანელო (ESG Guidelines) შეიმუშავა. პარალელურად, 2023 წელს ეროვნულმა ბანკმა IFC-თან თანამშრომლობით კომერციული ბანკებისთვის ESG რისკების შეფასების ბარათის (ESG Scorecard) შემუშავებაზე დაამთავრა მუშაობა. ESG რისკების შეფასების ბარათის მეთოდოლოგიის გამოყენებით და სხვადასხვა ESG ინდიკატორებზე დაყრდნობით კომერციული ბანკების ESG-ის მიმართულებით არსებულ პრაქტიკასა და მიდგომებს აფასებს.

ამასთან, კორპორაციული მართვის კოდექსით (CG Code) დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად, 2023 წელს ბანკებმა ESG ინფორმაცია ეროვნული ბანკის შაბლონის გამოყენებით მესამედ გაამჟღავნეს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ 2021-2023 წლებში შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, რაც ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ESG საკითხების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა.

2023 წლიდან კომერციულმა ბანკმა სესხს მწვანე, სოციალური ან/და მდგრადი შეიძლება უწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში

განსაზღვრულ ტექნიკურ კრიტერიუმს. ბანკები ვალდებულები არიან მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება მწვანე სესხის თვიური ანგარიშგების ტაქსონომიის რეგულაციით განსაზღვრული ფორმით მოახდინონ. ასევე, პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში, მწვანე/სოციალურ/მდგრად სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება ტაქსონომიის რეგულაციასთან შესაბამისად უნდა მოხდეს.

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს საფინანსო სექტორისთვის დაფინანსებული ემისიების გამოთვლისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი შეიმუშავა. აღნიშნული პროექტი German Sparkassenstiftung for International Cooperation-თან თანამშრომლობით განხორციელდა. მეთოდოლოგიის აღწერა და დეტალური შედეგები წარმოდგენილია ანგარიშში, რომელიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა 2023 წელს კვლევითი ნაშრომი სახელწოდებით "ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შეფასება საქართველოს ფინანსური სექტორის მაგალითზე". კვლევითი ნაშრომი მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების კარგვასა და ფინანსურ სტაბილურობას შორის კავშირების ანალიზს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლიდან კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს (შემდგომში - რეზოლუციის ჩარჩო) იმპლემენტაციაზე დაიწყო მუშაობა. აქტიური სამუშაოები გაგრძელდა 2023 წლის განმავლობაში, რა დროსაც ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკის გუნდმა, მისიის ფარგლებში, ჩაატარა რეზოლუციის სიმულაციის მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა რეზოლუციის აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესების ტესტირებას. სიმულაციის ფარგლებში შემოწმდა ფინანსური კრიზისისადმი მზაობა და გაიცა პრაქტიკული რეკომენდაციები.

2023 წელს საბანკო სექტორის თითოეულმა მონაწილემ მოამზადა გაჯანსაღების გეგმები, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან/და კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს. ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტები თითოეული ბანკის ჭრილში შეისწავლა და, მარეგულირებელი წესის და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი უკუკავშირი განახორციელა. კომერციული ბანკების მხრიდან გაჯანსაღების გეგმების განახლება, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ მათი შეფასება ყოველწლიურად მოხდება და შეფასების დოკუმენტი ბანკების რისკების მართვის საერთო ჩარჩოში ინტეგრირდება.

2023 წელს გეგმიური გრაფიკის მიხედვით და თემატური საკითხების განსახილველად რეზოლუციის ჩარჩოს ფარგლებში შექმნილი რეზოლუციის კომიტეტის სხდომა ჩატარდა. 2023 წლის მანძილზე საბანკო სექტორში რეზოლუციის საჭიროება ან მისი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები არ გამოვლენილა, ასევე არ შეინიშნებოდა გაჯანსაღების ზომების ამოქმედების საფუძვლები.

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა განაგრძო დამკვიდრებული პრაქტიკა და მორიგი, 2023-2025 წლების [საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტი](#) გამოსცა. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს 2023-2025

წლების საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტებსა და მათი შესრულების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს, ისევე, როგორც 2020-2022 წლების სტრატეგიის შესრულების შემაჯამებელ ანგარიშს.

2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიაზე მუშაობა წინა წლებთან შედარებით ეროვნულმა ბანკმა კერძო და სამოქალაქო სექტორის კიდევ უფრო მეტი ჩართულობით წარმართა, მათ შორის, საჯაროდ გამოქვეყნებული კითხვარის¹ და შემდგომში საზედამხედველო სტრატეგიის პირველადი დოკუმენტის საკონსულტაციოდ გამოქვეყნების საშუალებით² მიღებულ იქნა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები. შედეგად, განისაზღვრა საზედამხედველო პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებით ეროვნული ბანკი 2023-2025 წლებში წარმართავს საქმიანობას. კერძოდ, 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტებია:

- საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება;
- საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა;
- ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
- ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

2023 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და შესაბამისი გამომდინარე კანონპროექტები, რომლის მიზანს წარმოადგენს საფინანსო სექტორში საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნეს მოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობა, კონკურენციის ზრდა და საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო მარჟების შემცირება. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის მიღების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სუბიექტთა ჩამონათვალს დაემატა მიკრობანკი.

წლის პირველ ნახევარში, ეროვნული ბანკი განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და შესაბამის ვადებში დამტკიცებაზე. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა კერძო და საჯარო სექტორთან და გამჭვირვალედ წარმართავდა სამუშაო პროცესს, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების ფორმატის გამოყენებით. შედეგად, შემუშავებულ იქნა მიკრობანკების მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, მათ შორის, სალიცენზიო მოთხოვნები, ადმინისტრატორთა შესაფერისობისა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის პირობები (შესაფერისობის კრიტერიუმების ჩათვლით), დაეყრდნო კომერციული ბანკებისთვის არსებულ რეგულირებას და შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ევროკავშირის სამართალთან, კერძოდ კი 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით,

¹ [ეროვნული ბანკი ახალი საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში სექტორის ჩართულობის უზრუნველსაყოფად კითხვარს აქვეყნებს \(nbg.gov.ge\)](http://nbg.gov.ge)

² [ეროვნული ბანკი 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის პირველადი დოკუმენტს საჯარო განხილვისთვის აქვეყნებს \(nbg.gov.ge\)](http://nbg.gov.ge)

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით მომზადებული იქნა „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და შესაბამისი გამომდინარე კანონპროექტები. კანონპროექტი ეროვნული ბანკის მიერ გაზიარებული და განხილული იქნა საბანკო ასოციაციასა და საბანკო სექტორთან. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტის მიერ სამი მოსმენით იქნა მიღებული. შედეგად, ეროვნულ ბანკს მიენიჭა დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების უფლება ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული სუბიექტების მიმართ.

საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამის კოლეგა უწყებასთან თანამშრომლობით, აგრძელებს აღნიშნული კანონიდან გამომდინარე სამართლებრივი აქტების შემუშავების საჭიროების განსაზღვრას და მათ შესაბამის ვადაში შემუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა მანდატის ფარგლებში, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელო დაამტკიცა.

ეროვნულ ბანკს ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების პრაქტიკა უკვე დიდი ხანია დანერგილი აქვს, თუმცა, სახელმძღვანელოს შემუშავება პროცესის ფორმალიზებასა და მის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან კიდევ უფრო დაახლოებას შეუწყობს ხელს, რის შედეგადაც პოლიტიკების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ეროვნული ბანკის მხრიდან გამჭვირვალობის კიდევ უფრო მაღალი ხარისხი იქნება უზრუნველყოფილი. სახელმძღვანელოში დეტალურადაა გაწერილი კონსულტაციების წარმართვის პროცესი და ვადები.

2023 წელს ეროვნული ბანკი კვლავ აგრძელებდა კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან. კერძოდ, აღნიშნულ რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კომერციული ბანკი ვალდებულია ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი გაუნაწილებელი მოგებიდან დაქვითოს განჭვრეტადი დივიდენდი. ამას გარდა, დამატებითი პირველადი და მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებად კლასიფიცირების კრიტერიუმებს დაემატა მოთხოვნა, რომ ინსტრუმენტის ხელშეკრულება, სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის პირობებს. ასევე, კანონმდებლობა, რომლითაც რეგულირდება ინსტრუმენტის ხელშეკრულება, უნდა ითვალისწინებდეს კომერციული ბანკის რეზოლუციის შემთხვევაში რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობას.

2023 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და კომერციული ბანკების მიერ კონტროლისა და მართვის სტანდარტების დახვეწის მიზნით ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში. პოლიტიკა/პროცედურების ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ბანკებს განესაზღვრათ 6 თვიანი ვადა, ხოლო გარკვეული მოთხოვნები ძალაში შევიდა ბრძანების ამოქმედებისთანავე. ცვლილებები შეეხო დებულების სხვადასხვა საკითხებს. მნიშვნელოვანი

ცვლილებები შევიდა დაკავშირებული მხარის განმარტებაში, რომელიც მოიცავს დაკავშირებულ პირთა სიაში იდენტიფიცირებისა და რიგ შემთხვევებში არსებულ დაკავშირებულ პირთა 12 თვის ვადით სიაში დაყოვნების შესახებ მოთხოვნას. ასევე, დაკავშირებულ მხარედ აღიარების კრიტერიუმად განისაზღვრა ბანკის მნიშვნელოვანი წილის ფლობა. დამატებით, დებულებაში გაიწერა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები, კომერციულ ბანკს განესაზღვრა დაკავშირებულ პირებთან რისკის პოზიციის შექმნისთვის დასაშვები უზრუნველყოფის საშუალებების სია და აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალებების დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება/დასაბუთების დოკუმენტირება.

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების ფარგლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი იყო კომერციული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლა, რომელიც 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიით იყო გათვალისწინებული. ფასს-ზე გადასვლით საბანკო სექტორის საჯარო და საზედამხედველო ანგარიშგებები ევროპისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას დაუახლოვდა. შედეგად, კომერციული ბანკები 2023 წლის 1 იანვრიდან საზედამხედველო ნორმატივებს იცავენ ფასს-ზე დაფუძნებული რიცხვებითა და მიდგომებით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 52.9 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (2022 წლის ბოლოს არსებული კურსით), 16.6 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა, სეგმენტების ჭრილში მცირედით შეცვლილია, კერძოდ, წლის მანძილზე გაიზარდა კორპორატიული სეგმენტის წილი, ხოლო საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი მთლიან პორტფელში შემცირდა.

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის დეკემბრის ბოლოს, ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 17.7 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრისთვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პპ-ით მეტია.

რაც შეეხება, საცალო საკრედიტო პორტფელის ხარისხს, მთლიანი საცალო პროდუქტების პორტფელში შემცირდა უმოქმედო სესხების წილი, რაც მეტწილად განპირობებულია სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ხარისხის გაუმჯობესებით, ასევე წინა წელთან შედარებით უფრო მეტად გაიზარდა საცალო პროდუქტების პორტფელის მოცულობაც. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტული წილი პორტფელში ყველა საცალო პროდუქტისთვის, გარდა ოვერდრაფტებისა, შემცირებულია, პორტფელის ჩამოწერის და ზრდის ეფექტის გათვალისწინებით.

2023 წლის განმავლობაში ლარის კურსი ძირითად ვალუტებთან გამყარდა, ხოლო ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას. სავალუტო პოზიციის ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს შეადგენს. წლის ბოლოს კრეზითი სავალუტო პოზიცია გრძელდება და საზედამხედველო კაპიტალის 1.9 პროცენტის ფარგლებშია. 2023 წლიდან სავალუტო პოზიცია წარმოდგენილია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს საბანკო სისტემაში დოლარიზაცია კვლავ მაღალია, რის შედეგადაც, სავალუტო

რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის არსებული მიდგომების სრულყოფის მიმართულებით. 2023 წლის მოგების დეკომპოზიციის კუთხით, აღსანიშნავია საბანკო სისტემის მომგებიანობაზე მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. წლის განმავლობაში გაზრდილი საკრედიტო აქტივობის ფონზე გაიზარდა წმინდა საპროცენტო შემოსავლები. ასევე, გაიზარდა ბანკების საოპერაციო ეფექტიანობა.

2023 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მთლიან აქტივებთან მიმართებით მცირედით შემცირებულა, თუმცა ბანკები ადეკვატური ლიკვიდობის ბუფერებით ოპერირებენ. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 21 პროცენტს და არასაბანკო დეპოზიტების 33.4 პროცენტს აღწევს. მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR). წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) ასევე მაღალ დონეს ინარჩუნებდა. მინიმალური მოთხოვნა 100 პროცენტს შეადგენს, თუმცა ბანკები ადეკვატური ბუფერებით საქმიანობენ და წლის ბოლოს მდგომარეობით კოეფიციენტი 126 პროცენტს აღწევს.

ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კომერციულ ბანკებთან საოპერაციო და კიბერრისკების მართვის პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე. გრძელდება კომერციული ბანკების შემოწმება სებ-ის საოპერაციო რისკების მართვის დებულების ჩარჩოსთან შესაბამისობაზე. მათ შორის, დიდი ყურადღება ექცევა კომერციული ბანკების მიერ ბიზნეს უწყვეტობის სრულყოფილად ჩატარებას სხვადასხვა სცენარების მიხედვით, რაც ასევე მოიცავს აუტოსორსინგულ პროცესებს (მ.შ. დრუბლოვან სერვისებს).

2023 წელს სებ-ის საოპერაციო რისკების განყოფილების გუნდი აქტიურად მუშაობდა ციფრული ბანკებისა და ახალი საზედამხედველო სუბიექტი მიკრობანკების მიმართულებით. საოპერაციო რისკების განყოფილების მიერ შემუშავდა საოპერაციო რისკების მართვასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც ასევე გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე. ციფრულ და მიკრო ბანკებთან საოპერაციო რისკების განყოფილება განაგრძობს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვის ზედამხედველობას.

ცვლილება შევიდა და გამოქვეყნდა კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულება, სადაც დაზუსტდა აუტოსორსინგის მიმართ მოთხოვნები. სებ-ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბანკო სექტორში მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის რისკის დაცვის მიმართულებას. ამ მხრივ, გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა საოპერაციო რისკის დანაკარგების აღრიცხვის და ანგარიშგების სახელმძღვანელო. ასევე, შემუშავების ეტაპზეა რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების პრინციპები.

საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს საბანკო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას, საოპერაციო რისკების მართვის გაფართოებასა და საზედამხედველო პრინციპების განვითარებას. ასევე, ამ მიმართულებით, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, სტარტაპებისა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების გაციფრულების ხელშეწყობის ფარგლებში, ხორციელდება საოპერაციო რისკების მართვის პრაქტიკისა და შეფასების დანერგვაზე რეკომენდაციების გაზიარება.

2023 წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების კიბერუსაფრთხოების პრაქტიკის შემოწმება განახორციელა. შედეგად, ძირითადი გასაუმჯობესებელი მიმართულებები მოიცავდა კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფი პოლიტიკა-პროცედურების ფორმალიზებას, რისკების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას განსაკუთრებით მესამე მხარეებიდან მომდინარე რისკების მართვის თვალსაზრისით, ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვასა და ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში დასაქმებული ადამიანური რესურსების სათანადო კომპეტენციებით გაძლიერებას.

საფინანსო სექტორის კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციული სისტემების აუდიტის და შეღწევალობის ტესტირებების პერიოდული განხორციელება. საქართველოს ეროვნული ბანკი სათანადო დარგობრივი ტესტირებების/აუდიტების ჩატარებასა და ხარისხის კონტროლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და სწორედ ამ მიზნით 2022 წელს „კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“ დამტკიცდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს, რათა, კიბერშეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის მთლიანად საბანკო სექტორისთვის მიწოდება მყისიერად განხორციელდეს. კიბერინციდენტების შესახებ კვარტალური ანგარიშების წარმოება კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკის წარმოჩინების საშუალებას იძლევა. 2023 წლის ყველაზე მნიშვნელოვან ინციდენტად დაიდენტიფიცირდა მესამე მხარესთან დაფიქსირებული კიბერინციდენტი. ამას გარდა, 2023 წლის ფარგლებში, ისევე როგორც 2022 წელს, საბანკო სექტორში ძირითადად ე.წ. ფიშინგისა და მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDoS) შეტევები ფიქსირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით აკვირდება საფინანსო სექტორში მიმდინარე ტექნოლოგიურ სიახლეებს, რაც, თავის მხრივ, კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების გამოწვევებს უკავშირდება. ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების გამოყენების ზრდამ განაპირობა შემუშავებულიყო და ბრძანების სახით დამტკიცებულიყო ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების გამოყენების მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის „გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სახედამხედველო ჩარჩოს“ შესაბამისად, 2023 წლის რისკზე დამყარებული სახედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში, დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიებები, რომელსაც როგორც სექტორული, ისე თითოეული ფინანსური ინსტიტუტის რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესი დაედო საფუძვლად. 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული სახედამხედველო ღონისძიებები, მოიცავდა როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ და საკონტროლო ტიპის ადგილზე შემოწმებებს.

2023 წელს, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების სახედამხედველო ჩარჩოს დანერგვის მიმართულებით განხორციელებული ქმედებები მოიცავდა სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადების შეფასებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობის მიმართულებით განხორციელებული ქმედებები. შესაბამისი გამოცდილების გაზიარების მიზნით,


ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი, წლის განმავლობაში, მჭიდროდ თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და უწყებასთან.

1. მაკროეკონომიკური გარემო

1.1. მსოფლიო ეკონომიკა

COVID-19 პანდემიით განპირობებული გამოწვევებისა და, ასევე, უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი კონფლიქტების ფონზე, 2023 წელს მსოფლიო ეკონომიკა მხოლოდ დაბალი ტემპით გაჯანსაღდა. აღნიშნულის ძირითად მიზეზს როგორც განვითარებულ, ისე მზარდ და განვითარებად ქვეყნებში შენარჩუნებული მაღალი ინფლაციური გარემო, ინფლაციის გაზრდილი მოლოდინები და ამის ფონზე გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა წარმოადგენს. თუმცა, გამკაცრებული ფინანსური გარემოს ზეგავლენით, წლის განმავლობაში ინფლაციური წნეხი ეტაპობრივად მცირდებოდა და, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) 2024 წლის იანვრის შეფასების³ მიხედვით, 2023 წელს საშუალო ინფლაციამ გლობალურად 6.8 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საკვები პროდუქტების საერთაშორისო ფასების ინდექსი, საშუალოდ, წინა წელთან შედარებით 13.8⁴ პროცენტით შემცირდა, ხოლო ბრენტის ტიპის ერთი ბარელი ნავთობის საშუალო ფასმა 15.8 პროცენტით მოიკლო, 82.6 აშშ დოლარამდე⁵. რაც შეეხება გლობალურ ეკონომიკურ ზრდას, მან 2023 წელს 3.1 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

³ International Monetary Fund. 2024. The World Economic Outlook Update: Moderating Inflation and Steady Growth Open Path to Soft Landing. Washington, D.C., January. (შემდეგში: WEO January update, 2024).

⁴ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).

⁵ Bloomberg

ევროზონასა და გაერთიანებულ სამეფოში, 2023 წლის პირველ ნახევარში სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუმჯობესებულ დონეზე შენარჩუნდა. აღნიშნული განპირობებული იყო მიწოდების ჯაჭვების აღდგენით, ენერგომატარებლების, მათ შორის, ნავთობის ფასების შემცირებით და, მთლიანობაში, ინფლაციის კლებადი დინამიკით. თუმცა, წლის მეორე ნახევარში ევროპის ცენტრალური ბანკისა (ECB) და ინგლისის ცენტრალური ბანკის მიერ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენით, ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად შენედა. **გერმანიაში** მაღალი ინფლაციის და გამკაცრებული ფინანსური გარემოს პარალელურად სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუარესდა. შემცირდა როგორც მოხმარება, ისე ინვესტიციების მოცულობა. გაუარესებული იყო საგარეო სექტორიც. სსფ-ს შეფასებით⁶, გერმანიაში რეალური ეკონომიკა 2023 წელს 0.5 პროცენტით შემცირდა. დაბალი ეკონომიკური აქტივობა იყო **იტალიაშიც**, შემცირებული ინვესტიციების და მაღალი სახელმწიფო ვალის ფონზე. ასევე, მაღალი ინფლაცია და გამკაცრებული ფინანსური გარემო დამატებით წნეხს ქმნიდა აქტივობაზე. შედეგად, იტალიის რეალური ეკონომიკა 2023 წელს მხოლოდ 0.7 პროცენტით გაიზარდა⁷. დაბალი იყო ეკონომიკური აქტივობა **საფრანგეთშიც**, სადაც შემცირებული იყო კერძო მოხმარება და სამომხმარებლო დანახარჯები, მაღალი ინფლაციის და გამკაცრებული ფინანსური გარემოს პარალელურად. საბოლოო ჯამში, სსფ-ს შეფასებით⁸, საფრანგეთის რეალური ეკონომიკა 2023 წელს 0.8 პროცენტით გაიზარდა. ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალი ეკონომიკური აქტივობის ტემპი დაფიქსირდა **ესპანეთში**, რაც ტურიზმის სექტორში გაზრდილი აქტივობის შედეგად ძლიერ საგარეო მოთხოვნას უკავშირდება. ასევე ძლიერი იყო შიდა მოთხოვნაც და, საბოლოოდ, ესპანეთის რეალური ეკონომიკა 2023 წელს 2.4 პროცენტით გაიზარდა⁹, თუმცა ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 2023 წლის განმავლობაში მაღალი შენარჩუნდა. ასევე მაღალი აქტივობა იყო **საბერძნეთშიც**, რაც ინვესტიციების ზრდით და მდგრადი სამუშაო ბაზრითაა განპირობებული. სსფ-ს შეფასებით¹⁰, საბერძნეთის რეალური ეკონომიკური ზრდა 2023 წელს 2.5 პროცენტი იყო. **ევროზონის** ქვეყნების წლიურმა ინფლაციამ 2023 წელს, საშუალოდ 5.5 პროცენტი შეადგინა. გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ, ევროპის ცენტრალურ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გაზრდა წლის განმავლობაში 4.5 პროცენტამდე მოუწია.

2023 წლის პირველ ნახევარში, ეკონომიკური აქტივობის ტემპი გაუმჯობესდა **აშშ-ში**. გაუმჯობესდა სამომხმარებლო განწყობები და საცალო გაყიდვები. აღნიშნულს ხელი შეუწყო სამომხმარებლო ფასების შემცირების დინამიკამ. მოიმატა დასაქმების მაჩვენებელმაც. გაუმჯობესება გაგრძელდა წლის მეორე ნახევარშიც, თუმცა უფრო ნაკლები ტემპით, რაზეც დიდწილად მკაცრი ფინანსური გარემო ახდენდა გავლენას. წლის განმავლობაში იკლო ინფლაციის მაჩვენებელმა, მაგრამ ის კვლავ მიზნობრივზე მაღლა შენარჩუნდა და, ინფლაციის გაზრდილი მოლოდინების საპასუხოდ, ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა მონეტარულ პოლიტიკას ამკაცრებდა. საბოლოო ჯამში, სსფ-ს

⁶ WEO January update, 2024.

⁷ WEO January update, 2024.

⁸ WEO January update, 2024.


⁹ WEO January update, 2024.

¹⁰ International Monetary Fund. 2023. The World Economic Outlook: Navigating Global Divergences. Washington, D.C., October. (შემდეგში: WEO, October 2023).

იანვრის შეფასებით¹¹, აშშ-ს რეალური ეკონომიკური ზრდა 2023 წელს 2.5 პროცენტი იყო, ხოლო წლიური ინფლაცია კი - საშუალოდ 4.1 პროცენტი.

2023 წელს ეკონომიკური აქტივობა მცირედით გაუმჯობესდა **მზარდ და განვითარებად ეკონომიკებში**. აღნიშნული გლობალურად მაღალი ინფლაციური გარემოს და, შედეგად, გამკაცრებულ ფინანსურ გარემოს უკავშირდება. **თურქეთში** ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების ტემპი შენედა, სამომხმარებლო განწყობებისა და ბიზნეს გარემოს გაუარესების ფონზე. კერძოდ, საცალო გაყიდვები, სამომხმარებლო დანახარჯები და წარმოების ინდექსი შემცირდა. წლის მეორე ნახევარში, ლირის დამატებითი გაუფასურებით, ინფლაციური წნეხი კიდევ უფრო გაიზარდა. ამის ფონზე, თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა მკვეთრად გაამკაცრა. სსფ-ის შეფასებით¹², თურქეთის რეალური ეკონომიკა 2023 წელს 4 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება ინფლაციას, ის 2023 წელს საშუალოდ 53.4 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა N 1.2 სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2023 წელს, **რუსეთში** მოსალოდნელზე უფრო მაღალი ეკონომიკური აქტივობა დაფიქსირდა. თუმცა, მთლიანობაში, დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების ფონზე, გაუარესებული რჩება როგორც ბიზნესგარემო, ისე ინვესტიციების მოცულობა და საგარეო სექტორი. მუშახელის დეფიციტის ფონზე, ისტორიულ მინიმუმზე იყო უმუშევრობა, რამაც, თავის მხრივ, ხელფასებზე წნეხი გაზარდა. წლის მეორე ნახევრიდან ამას თან დაერთო რუსული რუბლის გაუფასურება, რაც ინფლაციის ზრდაში აისახა. გაზრდილ ინფლაციურ მოლოდინებზე საპასუხოდ, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რამდენჯერმე გაზარდა. სსფ-ის შეფასებით¹³, 2022 წელს 2.1

¹¹ WEO January update, 2024.

¹² WEO, October 2023.

¹³ WEO January update, 2024.

პროცენტიანი ვარდნის შემდეგ, 2023 წელს რეალური ეკონომიკური ზრდა რუსეთში 3 პროცენტი იყო, ხოლო ინფლაციის დონემ საშუალოდ 5.9 პროცენტი შეადგინა.

რუსეთის მიერ წარმოებულ ომს უკრაინაში მძიმე გავლენა აქვს როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური კუთხით. განადგურებულია მრავალი კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტი, რაც ეკონომიკის პოტენციალს ამცირებს. სსფ-ის შეფასებით¹⁴, 2022 წელს 29.1 პროცენტიანი ვარდნის შემდეგ, უკრაინის რეალური ეკონომიკური ზრდა 2023 წელს 2 პროცენტი იყო, ხოლო ინფლაციის საშუალო დონე კი 13.4 პროცენტი. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ, ომის პარალელურად, მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილი, მათ შორის საქართველოც, მხარს უჭერს უკრაინას.

2023 წელი **სომხეთში** მაღალი ეკონომიკური აქტივობით აღინიშნა. საქართველოს მსგავსად, აღნიშნული ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის მოქალაქეების მაღალი მიგრაციის ეფექტით, რის ფონზეც გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო და მომსახურების სექტორი. იმავდროულად, ინფლაცია წლის განმავლობაში სწრაფად მცირდებოდა, რის ფონზეც სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებული პოზიციიდან გამოსვლა დაიწყო. სსფ-ს შეფასებით¹⁵, სომხეთის ეკონომიკურმა ზრდამ 2023 წელს 7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ინფლაცია კი საშუალოდ 2 პროცენტი იყო.

რაც შეეხება **აზერბაიჯანს**, 2023 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკური აქტივობა გაუმჯობესდა, რასაც ძირითადად განაპირობებდა ინდუსტრიული წარმოების ზრდა არასანავთობო სექტორში. ამასთან, მთიან ყარაბაღში კონფლიქტის დასრულება პოზიტიურ გავლენას ახდენდა სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობებზე. წლის მეორე ნახევრიდან, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ფონზე, ინფლაციის მაჩვენებელმა იკლო. სსფ-ს შეფასებით¹⁶, 2023 წელს აზერბაიჯანის რეალური მშპ 2.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წლიური ინფლაცია კი საშუალოდ 8.9 პროცენტი იყო.


საბოლოო ჯამში, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა 2023 წელს საშუალოდ 2.7 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც 2022 წელს, საშუალოდ, 1.2 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. რაც შეეხება საქართველოს, 2023 წელს რეალური მშპ, წინასწარი მონაცემებით, 7.5 პროცენტით გაიზარდა, რაც 2022 წლის 11 პროცენტიანი ზრდის შემდგომ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა 1.3). ინფლაციამ კი საშუალოდ, 2023 წელს, 2.6 პროცენტი შეადგინა.

¹⁴ WEO, October 2023.

¹⁵ WEO, October 2023.

¹⁶ WEO, October 2023.

დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სეზ-ის გაანგარიშება

როგორც ზემოთაღნიშნა, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრალური ბანკები, მაღალი ინფლაციური წნეხისა და ინფლაციის მოლოდინების საპასუხოდ, 2023 წლის განმავლობაში მონეტარულ პოლიტიკას ამკაცრებდნენ. კერძოდ, აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების განაკვეთი 5.25-5.5 პროცენტთან შუალედამდე, ხოლო ევროპის ცენტრალურმა ბანკმა კი - ძირითადი რეფინანსირების განაკვეთი 4.5 პროცენტამდე გაზარდა. რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ცენტრალურ ბანკებს, მათ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, შესაბამისად, 42.5 და 16 პროცენტამდე გაზარდეს.


1.2. საგარეო სექტორი და საგადასახდელი ბალანსი

2023 წელს საგარეო მოთხოვნამ ეკონომიკურ ზრდაში წლიურად უარყოფითი წვლილი შეიტანა. 2023 წლის განმავლობაში, საგარეო შემოდინებების ზრდის ტემპი ეტაპობრივად ნორმალიზდა, რაც მეტწილად მიგრაციის ერთჯერადი ეფექტის ამოწურვამ განაპირობა, როგორც მოსალოდნელი იყო. მიმდინარე ომის გამო რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან ხანგრძლივადიანი ვიზიტორთა რაოდენობა, 2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა, 2023 წელს კი როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ქვეყნებიდან შემოსული მოქალაქეების გარკვეული ნაწილი ქვეყნიდან გავიდა. მიუხედავად მიგრაციის ერთჯერადი ეფექტის ამოწურვისა, ევროკავშირიდან და თურქეთიდან შემოსული ვიზიტორების ზრდის ფონზე საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 2023 წელსაც გაიზარდა. თუმცა, ნაწილობრივ, საბაზო ეფექტისა და მიგრაციის ერთჯერადი ეფექტის შესუსტების გავლენით, სწრაფი ფულადი გზავნილები წლიურად შემცირდა. გარდა ამისა, საგარეო მოთხოვნა ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე სუსტი იყო, რაც გამყარებული გაცვლითი კურსის გამო შემცირებულ კონკურენტუნარიანობასა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელებასაც უკავშირდებოდა. ამას გარკვეულწილად მანქანების

რეექსპორტის მზარდი ტენდენცია აბალანსებდა. თუმცა წლის ბოლოს მანქანების რეექსპორტის ზრდის ტემპიც შენედა. საგარეო შემოდინებების გარკვეული შესუსტება, დიდწილად საქონლის იმპორტმა დააბალანსა. ეს ერთი მხრივ, მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებისა და სხვა სასაქონლო ჯგუფების ფასების შემცირებამ განაპირობა, რის გამოც საიმპორტო საქონელზე დანახარჯები შემცირდა. შედეგად, საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშმამშპ-ს 4.3 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსათვის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა N 1.4).

2023 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, წინა წელთან შედარებით 206 მლნ აშშ დოლარით 1,326 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა და მშპ-ს 4.3 პროცენტი შეადგინა. საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 2023 წელს მშპ-თან ფარდობაში 20.0 პროცენტამდე შემცირდა. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ფონზე (წლიური ზრდა 17.3 პროცენტი, ასევე 2019 წელთან შედარებით ზრდა 26.2 პროცენტი), მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტი არსებითად გაიზარდა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 2023 წელს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე პირველადი შემოსავლის¹⁷ დეფიციტმა უარყოფითად იმოქმედა, რაც, ძირითადად, საქართველოში არარეზიდენტების აქტივებზე წმინდა საინვესტიციო შემოსავლის მატებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ წინა წლების მსგავსად, როგორც გაცემული დივიდენდების, ისე რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობა მაღალია, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს ზრდის.

დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

¹⁷ პირველადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებისა და არარეზიდენტების შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესებთან და ქონებასთან (მაგ. როგორცაა შრომის ანაზღაურება, საინვესტიციო შემოსავალი და ა.შ).

საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის ტრადიციულად ყველაზე დეფიციტური ნაწილია. 2023 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტის მოცულობა წინა წელთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა, თუმცა მაღალი ეკონომიკური ზრდის ფონზე, მშპ-ს 20.0 პროცენტი შეადგინა, რაც წლიურად მშპ-ს 0.5 პპ-ით ნაკლები იყო. სავაჭრო დეფიციტის უფრო მეტად გაღრმავება იმპორტის ზომიერმა მატებამ შეანელა. კერძოდ, 2023 წელს, ძლიერი ეკონომიკური აქტივობის მიუხედავად, საქონლის იმპორტი 12.4 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, წინა წელთან შედარებით, სავაჭრო დეფიციტის გაღრმავებამ მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე კვლავ უარყოფითად იმოქმედა (იხ. დიაგრამა 1.5).

2023 წელს საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 9.1 პროცენტით გაიზარდა. წლის დასაწყისში საქონლის ექსპორტი სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რაც მეტწილად რეექსპორტის, განსაკუთრებით კი, მანქანების რეექსპორტის მატებამ განაპირობა. თუმცა წლის მეორე ნახევარიდან მანქანებზე საგარეო მოთხოვნის კლების ფონზე ექსპორტის ზრდის ტემპი შენედა და წლის ბოლოს წლიურად შემცირდა. ექსპორტის კლება, გარდა საბაზო ეფექტისა, რეგიონის, ასევე სხვა ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობის შენელებას უკავშირდებოდა. ერთი მხრივ, ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი წლიურად შემცირდა, თუმცა, მეორე მხრივ, ცენტრალური აზიის ქვეყნებში გაიზარდა, უმეტესად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის დაჩქარების გავლენით.

დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება¹⁸




¹⁸ საგადასახდლო ბალანსის საქონლის ექსპორტი და საქონლის იმპორტი. საგარეო ვაჭრობა და საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია, რომლებიც განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობა. თუ საგარეო ვაჭრობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ექსპორტი მოცემულია FOB ფასებში, ხოლო იმპორტი CIF ფასებში მაშინ, როდესაც საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი, FOB ფასებშია მოცემული.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს საქართველოდან საქონლის ექსპორტი უმეტესად ცენტრალური აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით ყირგიზეთსა (7.4-ჯერ მეტი) და ყაზახეთში (3.0-ჯერ მეტი), გაიზარდა. მეზობელ ქვეყნებში ექსპორტის მატება, ძირითადად, სომხეთსა (34.7 პროცენტით) და აზერბაიჯანში (28.2 პროცენტით) ექსპორტის ზრდით იყო განპირობებული. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდნენ: ესპანეთი (56.3 პროცენტით) და საბერძნეთი (213.9 პროცენტით), ხოლო ბულგარეთში (-41.0 პროცენტით) მნიშვნელოვნად დაიკლო, უმეტესად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტის შემცირების გავლენით. დანარჩენი ქვეყნებიდან ჩინეთსა (-57.8 პროცენტით) და აშშ-ში (-63.4 პროცენტით) შემცირებულმა გაყიდვებმა, ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ცვლილებაში მაღალი უარყოფითი წვლილი შეიტანეს.

2023 წლის მონაცემებით, საგარეო ვაჭრობა ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართულებით მნიშვნელოვნად გააქტიურდა, რაც, წინა წლის მსგავსად, უმეტესად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან მთლიან ექსპორტში გაზრდილი წვლილებით ერაყი (100.6 პროცენტით ზრდა) და არაბთა გაერთიანებული საამიროები (72.8 პროცენტით ზრდა) გამოირჩეოდნენ. ერაყში ექსპორტის 95 პროცენტი მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის გაყიდვებმა, ხოლო გაერთიანებულ საამიროებში უმეტესი ნაწილი მსუბუქი ავტომობილებისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტმა შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მაროკოში მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. წინა წელთან შედარებით საქონლის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული გახდა.

დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2023 წ.




წყარო: საქსტატი

2023 წელს საქონლის ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს ჰქონდა, რომელიც წინა წელთან შედარებით 134.8 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 34.9 პროცენტი შეადგინა. ამასთანავე, მაღალი წილი ჰქონდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტს, რომელიც წლიურად 53.2 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ

სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტიდან მიღებული თანხების კლებაში გარკვეული წვლილი 2023 წელს ნედლეულზე გლობალურად შემცირებულმა ფასებმაც შეიტანა. საბოლოოდ, ადგილობრივი წარმოების საქონლის ექსპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც მეზობელ ქვეყნებში შემცირებული მოთხოვნის ასახვა იყო. ექსპორტის წამყვანი ჯგუფებიდან კი მინერალური და ქიმიური სასუქების, სხვადასხვა ხილის, ტანსაცმლისა და თხილი-კაკალის ექსპორტი ასევე შემცირდა. გარდა ამისა, საერთაშორისო ბაზარზე ფასების შემცირებისა და შედეგად მიწოდების კლების გამო ფეროშენადნობების ექსპორტი ყველაზე მეტად შემცირდა. ამის საპირისპიროდ, ცალკეულ ადგილობრივი წარმოების საქონელზე, როგორცაა ელექტროენერჯია, მტკნარი-გაზიანი წყლები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯგუფები, მათმა ექსპორტმა ზრდა განაგრძო და მოცულობები, შესაბამისად, 13.2, 23.7 და 54.5 პროცენტით გაიზარდა. ამავდროულად, სპირტიანი სასმელების, ნატურალური ღვინოებისა და დაუმუშავებელი ოქროს გაყიდვები კვლავ მაღალ ნიშნულზე იყო. მთლიანობაში, 2023 წელს, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 9.1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ადგილობრივი საქონლის ექსპორტი კი 24.4 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2023 წელს, ჯამურად, საექსპორტო საქონელზე ფასების ინდექსებმა დაიკლო და რეალურ გამოსახულებაში საქონლის ექსპორტი საქართველოდან დაახლოებით 2 პროცენტით გაიზარდა. ნიშანდობლივია ასევე, რომ საქონლის მიხედვით ექსპორტი ბევრად ნაკლებად დივერსიფიცირებული გახდა.

დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული




წყარო: საქსტატი

2023 წელს რეგისტრირებული საქონლის იმპორტი 14.9 პროცენტით გაიზარდა. იმპორტის რეგიონული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2023 წელს როგორც ევროკავშირიდან (24.0 პროცენტით), ისე დანარჩენი ქვეყნების კატეგორიიდან (11.0 პროცენტით) იმპორტი გაიზარდა. იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილებით აშშ (6.9 პპ), იაპონია (2.2 პპ) და გერმანია (2.1 პპ) გამოირჩეოდნენ, რაც ამ ქვეყნებიდან მსუბუქი ავტომობილების შემოტანის მკვეთრ მატებას უკავშირდებოდა. ევროკავშირის

ქვეყნებიდან მთლიანი იმპორტის ზრდაში დიდი წვლილი ასევე იტალიიდან (0.6 პპ) და ნიდერლანდებიდან (0.6 პპ) იმპორტის მატებამ შეიტანა. ამის საპირისპიროდ, უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, ამ ქვეყნიდან იმპორტი კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდა, უმეტესად სიგარეტები-სიგარილებისა და სამკურნალო საშუალებების შესყიდვების კლების გავლენით. სომხეთიდან და ჩილედან იმპორტის კლება სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო რუსეთიდან და თურქმენეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის შემცირებამ განაპირობა.

წინა წლების მსგავსად, იმპორტიორ ქვეყნებს შორის, ევროკავშირის შემდეგ, რეგიონის ქვეყნებიდან თურქეთი ლიდერობდა, საიდანაც 2023 წელს იმპორტი წლიურად 8.3 პროცენტით გაიზარდა, რაც სამკურნალო საშუალებების, სარეცხი და საწმენდი საშუალებების და სხვა საფრენი აპარატების ჯგუფების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. ჩინეთიდან იმპორტი 18.0 პროცენტით გაიზარდა გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სატვირთო ავტომობილების შემოტანის მკვეთრი ზრდის გავლენით, ხოლო არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან იმპორტის მატება სატელეფონო აპარატებისა და ატრაქციონებისათვის განკუთვნილი საქონლის შესყიდვების მატებამ განაპირობა. გაერთიანებული სამეფოდან იმპორტი სამშენებლო ტექნიკის მანქანებისა და სასმელების წარმოების მინარევების შესყიდვებმა გაზარდა. ნიშანდობლივია, ქვეყნების მიხედვით იმპორტი ბევრად ნაკლებად დივერსიფიცირებული გახდა. (იხ. დიაგრამა N 1.8).

დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2023 წ.




წყარო: საქსტატი

2023 წელს სამომხმარებლო საქონლის ჯგუფმა საქონლის იმპორტის ზრდაში უდიდესი წვლილი შეიტანა, რაც ზრდად ერთობლივ მოთხოვნასა და რექსპორტის მაღალ დონეს უკავშირდება. სამომხმარებლო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად მსუბუქი ავტომობილების რექსპორტმა განაპირობა, რომელიც წლიურად დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა და მთლიან იმპორტის ზრდაში 10.7 პპ შეიტანა. გარდა ამისა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი (მთლიანი იმპორტის 7.6 პროცენტი) შემცირდა, რაც გარკვეულწილად საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის შემცირებული ფასის ასახვაც იყო. კერძოდ, 2023 წლის განმავლობაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების

იმპორტზე დანახარჯებმა 12.6 პროცენტით დაიკლო, აქედან ფასის შემცირების ეფექტი 19.2 პპ-ია, მაშინ როდესაც ნავთობპროდუქტების იმპორტი რეალურ გამოსახულებაში 6.6 პროცენტით გაიზარდა. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის მკვეთრი შემცირება რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების შემოტანის კლებამ განაპირობა. ამავდროულად, შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების, პორტლანდცემენტისა და იმუნური შრატების იმპორტი კვლავ მაღალი იყო. საინვესტიციო საქონლის ჯგუფებიდან იმპორტის ზრდაში გაზრდილი წვლილებით სატვირთო ავტომობილების, ტრაქტორების, მსხვილი სამშენებლო მანქანებისა და 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების ჯგუფები გამოირჩეოდა (იხ. დიაგრამა N 1.9).

დიაგრამა N 1.9 უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფების ათეული




წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქონლის იმპორტის დაბალ ზრდას ცალკეული იმპორტული საქონლის აშშ დოლარში გამოხატული ფასების კლებამაც ხელი შეუწყო. იმპორტის ფასების ინდექსი წლის მანძილზე თანდათანობით მცირდებოდა და შესაბამისად საქონლის იმპორტი რეალურ გამოსახულებაში უფრო მეტად გაიზარდა. 2023 წელს იმპორტი საქონლის მიხედვით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული გახდა, მეტწილად მსუბუქი ავტომობილების იმპორტის მომატებული წილისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების დაკლებული წილის გამო.

2023 წელს მომსახურებით ვაჭრობის მნიშვნელოვნად გაზრდილმა პროფიციტმა მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე დადებითად იმოქმედა. კერძოდ, მომსახურების ვაჭრობის პროფიციტის ფარდობამ მშპ-თან 11.3 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე მთლიანი შიდა

პროდუქტის 0.6 პპ-ით მეტია. აბსოლუტურ გამოსახულებაში, მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდო 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 788 მლნ აშშ დოლარით მეტი იყო და 3,462 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წინა წლების მსგავსად, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კოვიდპანდემიის დასრულებამ და გლობალური შეზღუდვების შემსუბუქებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მომსახურების ექსპორტზე, განსაკუთრებით ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობებზე, დადებითად იმოქმედა. გარდა ამისა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო მიმდინარე ომის პერიოდში საქართველოში დაწყებული მიგრაციული ნაკადები შენედა, თუმცა უცხოელების მიერ ადგილობრივ ბაზარზე მომსახურების, განსაკუთრებით განთავსების საშუალებებსა და კვებაზე დანახარჯები კვლავ მაღალ ნიშნულზე იყო. შედეგად, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რომლებიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, 2023 წელს 4,125 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 17.3 პროცენტით აღემატება (იხ. დიაგრამა N 1.10). ამასთანავე, საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ მოგზაურობის ხარჯები გაიზარდა. საბოლოოდ, რეზიდენტი მოგზაურობის საზღვარგარეთ გასვლებმა 2.8 მლნ შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 31.6 პროცენტით მეტი იყო.

დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს, საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლების რაოდენობა, გლობალური ტურიზმის აღდგენისა და მიგრაციული ნაკადების შენელების მიუხედავად, წლიურად 31.2 პროცენტით გაიზარდა, თუმცა პანდემიამდელ დონესთან შედარებით, კვლავ ნაკლებია (-20.1 პროცენტი). ვიზიტორთა მატებაში მაღალი წვლილებით ტრადიციულად მეზობელი ქვეყნები გამოირჩეოდნენ: თურქეთი (10.0 პპ), რუსეთი (7.0 პპ) და სომხეთი (4.7 პპ). ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორების

მატების კუთხით პოლონეთი და გერმანია გამოირჩეოდა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ქვეყნების მიხედვით ვიზიტორების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა.


დიაგრამა N 1.11 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2023 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდის მსგავსად, სხვა სახის მომსახურების ექსპორტისგან (მ.შ. საზღვაო და სახმელეთო სატრანსპორტო გადაზიდვები) მიღებული თანხები მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღსანიშნავია, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიური და კომპიუტერული მომსახურების დარგში მომსახურების ექსპორტის ზრდა (იხ. დიაგრამა N 1.12). მთლიანობაში, მომსახურების ექსპორტიდან მიღებულმა მაღალმა შემოსავლებმა 2023 წელს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე დადებითად იმოქმედა.


დიაგრამა N 1.12 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირველადი შემოსავლის ანგარიშის დეფიციტი 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 278 მლნ აშშ დოლარით გაღრმავდა და 2,026 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მაღალი დეფიციტის მთავარ მიზეზად საინვესტიციო შემოსავლის უარყოფითი ბალანსი რჩება, რომელიც 2023 წელს 350 მლნ აშშ დოლარით გაღრმავდა და 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საინვესტიციო შემოსავლის დეფიციტის მაღალი დონე სხვა ინვესტიციების საპროცენტო შემოსავლებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაწილში შემოსავლის ანგარიშის - როგორც გაცემული დივიდენდების, ასევე რეინვესტიციების - ზრდითაა განპირობებული. რაც შეეხება მუშაკთა შრომის ანაზღაურების ბალანსს, 2023 წელს ეს კომპონენტი 72 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 743 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილი (მიგრანტები), რომელიც 1 წელზე მეტი ხნით აპირებდა ქვეყანაში დარჩენას, რეზიდენტებად აღირიცხა და მათ მიერ გაწეული ხარჯები აღარ შევიდა საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში. თუმცა, ამ ცვლილებამ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ბალანსი გაზარდა და შესაბამისად, პირველადი შემოსავლის პროფიციტზე დადებითად იმოქმედა.

დიაგრამა N 1.13 პირადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს მეორადი შემოსავალი¹⁹, ძირითადად, საზღვარგარეთიდან მუშაკთა გზავნილების მატების გავლენით, ზომიერად (9.1 პროცენტით) გაიზარდა. პირადი გზავნილები, რომელიც, როგორც წესი, მეორადი შემოსავლის ყველაზე მსხვილი ნაწილია, წლიურად 8.1 პროცენტით გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 1.14). აღსანიშნავია, რომ მთელი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი, წლის მეორე ნახევრიდან, სწრაფი ფულადი გზავნილები წლიურად მცირდებოდა, რაც, დიდწილად, საბაზო ეფექტსა და მიგრაციული ნაკადების შენელებას უკავშირდება. 2023 წლის

¹⁹ მეორადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებისა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე ტრანსფერები (გარდა კაპიტალური ტრანსფერებისა), როგორცაა პირადი ტრანსფერები, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ჩარიცხული დახმარებები და გრანტები, სოციალური დახმარებები და ა.შ.

განმავლობაში ფულადი გზავნილების ცვლილებაში მაღალი დადებითი წვლილები აშშ-დან (3.0 პპ), იტალიიდან (2.0 პპ) და გერმანიიდან (1.5 პპ) გაზრდილმა გზავნილებმა შეიტანა (იხ. დიაგრამა N 1.14). აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, ფულად გზავნილებში, რუსეთის წილი მცირდებოდა და წამყვანი ადგილი ევროკავშირიდან მიღებულმა თანხებმა დაიკავა, თუმცა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ეს ტენდენცია შეიცვალა, რამდენადაც 2022 წელს რუსეთიდან გზავნილები მკვეთრად გაიზარდა. თუმცა, შემდეგ 2023 წელს რუსეთიდან ჩარიცხვები წლიურად 26.2 პროცენტით კვლავ შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ წილობრივად მაინც ყველაზე მაღალი იყო მთლიან გზავნილებში. ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხვები 21.0 პროცენტით გაიზარდა, რაც უმეტესად გერმანიიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან გზავნილების მატებამ განაპირობა. გარდა ამისა, ისრაელიდან და ყაზახეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა მთლიანი გზავნილების მოცულობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.


დიაგრამა N 1.14 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს, წინა წლების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო კვლავ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო (იხ. დიაგრამა N 1.15). საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 24 პროცენტით ნაკლებია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება უმეტესად სავალო ვალდებულებების კლებას უკავშირდება, თუმცა სააქციო კაპიტალში ინვესტიციების მატება კვლავ გაგრძელდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი საფინანსო, დამამუშავებელი მრეწველობისა და უძრავი ქონების მიმართულებით განხორციელდა. წინა წელთან შედარებით ინვესტიციები, უმეტესად, დამამუშავებელი მრეწველობის, საფინანსო სექტორისა და ტრანსპორტის მიმართულებით გაიზარდა, ხოლო უძრავი ქონებისა და ენერჯეტიკის მიმართულებით შემცირდა.

დიაგრამა N 1.15 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს წმინდა პორტფელის ინვესტიციების ნაკადმა 713 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რომლის უდიდესი ნაწილიც არასაბანკო კერძო სექტორზე მოდის. აღსანიშნავია, რომ რეზიდენტების აქტივების ზრდამ 328 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც უმეტესად კერძო სექტორში სააქციო კაპიტალის მიმართულებით განხორციელდა. 2023 წელს არარეზიდენტების მიერ არასაბანკო სექტორში ფასიანი ქაღალდების ფლობა წლიურად შემცირდა, ხოლო რეზიდენტებმა კვლავ გააგრძელეს საერთაშორისო საფინანსო კომპანიების მიერ ლარში გამოშვებული ობლიგაციების შესყიდვა. ამასთანავე, რეზიდენტებმა სხვა სექტორში ახალი სესხების აღების საშუალებით წინა წლებში გამოშვებული ობლიგაციების ნაწილი დაფარეს.


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში 2023 წელს წინა წელთან შედარებით სხვა ინვესტიციების წვლილი შემცირდა. შემოდინებების მხრივ, ვალდებულებების ზრდის ძირითადი ნაწილი როგორც სამთავრობო, ასევე კერძო (არასაბანკო) სექტორში მოზიდულ სესხებზე მოდის. სახელმწიფო სექტორის მიერ მიღებული გრძელვადიანი კრედიტები ჯამურად 447 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, მაღალი ეკონომიკური საქმიანობის ფონზე, საბანკო სექტორში, არარეზიდენტების მიერ ნაღდი ფულისა და დეპოზიტების სახით დიდი რაოდენობით თანხები დაგროვდა. ამასთანავე, კომერციულმა ბანკებმა უცხოურ ბანკებში არსებული ნაღდი ფული და დეპოზიტები წლიურად გაზარდეს.

2023 წელს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 108 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 5.01 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, მეტწილად სავალუტო ინტერვენციები და მთავრობის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები (მ.შ. პროგრამული გრანტები და სესხები) მოქმედებდა. საბოლოოდ, 2023 წელს სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა (როგორც სავალუტო აუქციონების, ასევე BMatch პლატფორმის საშუალებით) 1.28 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით საგარეო ვალის მომსახურებასა და მთავრობის სხვა სავალუტო ხარჯებს ჰქონდა გავლენა. ამავდროულად, მიმდინარე წელს დეპოზიტების დოლარიზაცია მნიშვნელოვნად მცირდებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ სავალდებულო სარეზერვო ნორმების დაცვა

დეპოზიტების დოლარიზაციაზე დამოკიდებული, ბანკების მიერ მინიმალური სავალდებულო რეზერვებით დასაცავი ნორმა ასევე შემცირდა, რამაც, თავის მხრივ, სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების კლება გამოიწვია და საერთაშორისო სავალუტო რეზერვები შეამცირა. გარდა ამისა, 2023 წლის დეკემბრიდან უცხოური ვალუტის მოკლევადიან ვალდებულებებზე სარეზერვო ნორმის ზედა ზღვარი 25 პროცენტიდან 20 პროცენტამდე შემცირდა, რამაც დამატებით შეამცირა სავალუტო რეზერვები.

სსფ-ს ARA მეთოდოლოგიით²⁰ რეზერვების ადეკვატურობის შეფასების მიხედვით, 2023 წლის ბოლოსათვის საქართველოს საერთაშორისო რეზერვების დონე დაახლოებით 100.4% პროცენტს შეადგენს, რაც, აღნიშნული მეთოდოლოგიით, საგარეო და ლიკვიდობის შოკებისაგან დასაზღვევად საჭირო დონის (100-დან 150 პროცენტამდე) ფარგლებშია. ამასთანავე, 2023 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვებით 2024 წლის საპროგნოზო იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი 4.0 თვე შეადგინა.

დიაგრამა N 1.16 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA metric)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 1.1 საგადასახდელი ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)²¹

	2018	2019	2020	2021	2022	2023
მიმდინარე ანგარიში	-1,192	-1,034	-1,984	-1,943	-1,120	-1,326
საქონელი	-4,116	-3,792	-3,165	-3,790	-5,100	-6,093
ექსპორტი	4,407	4,946	4,347	5,539	7,536	8,111

²⁰ დაწვრილებით იხილეთ <https://www.imf.org/external/np/spr/ara/>

²¹ საგადასახდელი ბალანსის სტატისტიკის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციის შესაბამისად.


იმპორტი	-8,522	-8,737	-7,512	-9,329	-12,636	-14,204
მომსახურება	2,244	2,176	124	725	2,674	3,462
კრედიტი	4,490	4,600	1,580	2,547	5,703	7,050
აქედან: მოგზაურობიდან შემოსავლები	3,222	3,269	542	1,245	3,517	4,125
დებეტი	2,246	2,425	1,456	1,822	3,029	3,588
პირველადი შემოსავალი (წმინდა)	-684	-793	-752	-1,181	-1,748	-2,026
აქედან: საინვესტიციო შემოსავალი	-1,381	-1,600	-1,241	-1,644	-2,419	-2,769
აქედან: შრომის ანაზღაურება	697	807	488	463	671	743
მეორადი შემოსავალი (წმინდა)	1,364	1,375	1,810	2,304	3,053	3,330
აქედან: სახელმწიფო სექტორი	173	133	256	200	183	199
აქედან: დანარჩენი სექტორები	1,190	1,242	1,553	2,104	2,870	3,131
კაპიტალის ანგარიში	76	47	41	38	41	37
ფინანსური ანგარიში	-1,252	-1,069	-2,039	-1,937	-1,169	-1,248
პირდაპირი ინვესტიციები (წმინდა)	-1,010	-1,073	-572	-931	-1,766	-1,306
აქედან: პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	1,304	1,384	556	1,278	2,131	1,778
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	48	-829	-75	311	1,608	735
ფინანსური წარმოებულები (გარდა რეზერვებისა) და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	1	-4	-27	-1	-3	48
სხვა ინვესტიციები (წმინდა)	-569	634	-1,670	-1,769	-1,772	-773
აქედან: სახელმწიფო სექტორი	-351	-346	-1,445	-1,333	-505	-418
აქედან: კერძო სექტორი	-218	980	-225	-436	-1,267	-355
სარეზერვო აქტივები	278	202	305	453	765	47
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-136	-82	-97	-33	-90	41
მნიშვნელოვანი კოეფიციენტები						
სარეზერვო აქტივები/მომავალი წლის იმპორტის თვეებში (თვე)	3.5	3.5	5.1	5.0	4.2	4.0

ექსპორტი/იმპორტი (საქონელი და მომსახურება)	-83%	-86%	-66%	-73%	-85%	-85%
მიმდინარე ანგარიში / მშპ	-6.8%	-5.9%	-12.4%	-10.3%	-4.5%	-4.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ	7.5%	7.7%	3.7%	6.6%	8.4%	5.2%
მოგზაურებიდან შემოსავლები/მშპ	18.0%	18.5%	3.4%	6.6%	14.1%	13.5%
პირადი გზავნილები/მშპ	9.8%	10.6%	12.3%	13.3%	14.4%	12.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაღალი საგარეო შემოდინებებისა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზომიერი გაღრმავების ფონზე, როგორც რეალური, ასევე ნომინალური გაცვლითი კურსი წლის დასაწყისიდან გამყარებას განაგრძობდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში მცირედით გაუფასურდა (იხ. დიაგრამა N 1.2.14). კერძოდ, 2023 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.1 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 14.8 პროცენტით გამყარდა, რაც სხვა თანაბარ პირობებში, საგარეო კონკურენტუნარიანობის შემცირებასაც გულისხმობს. 2023 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებაში მაღალი წვლილი სავაჭრო პარტნიორებიდან რუსეთის, სომხეთისა და ჩინეთის ვალუტებმა შეიტანეს (იხ. ცხრილი N 1.2).

დიაგრამა N 1.17 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2015=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების საშუალოწლიური ცვლილება (2023 წელი)

	ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	წვლილი რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსში
ეფექტური გაცვლითი კურსი	14.8	2.1	2.1
ევროზონა	-3.1	-5.4	-0.9
თურქეთი	56.0	-4.9	-0.9
უკრაინა	0.6	-3.9	-0.1
სომხეთი	2.4	3.5	0.3
აშშ	0.1	-2.8	-0.2
რუსეთი	38.9	29.8	5.1
აზერბაიჯანი	0.3	-1.4	-0.1
ჩინეთი	2.3	3.1	0.4
ბულგარეთი	-3.1	-7.0	-0.3
პოლონეთი	-10.2	-15.3	-0.3

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

1.3. ეკონომიკური ზრდა

2023 წელს საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით 7.5 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკურ ზრდაში მთავარი წვლილი, 6.3 პპ, მომსახურების დარგებმა შეიტანა. მომსახურების სექტორის სოლიდური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები ძლიერი შიდა მოთხოვნა, ტურისტული ინდუსტრია და ქვეყანაში მყოფ მიგრანტთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა. ჯამურად, ვაჭრობის, ტრანსპორტის, სასტუმრო-რესტორნების, ინფორმაციისა და კომუნიკაციას, ხელოვნება, გართობა და დასვენების ზრდის წვლილი საერთო ზრდაში წლის განმავლობაში 4.2 პპ-ს შეადგენდა.

2023 წელს ინდუსტრიული დარგებიდან ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი მშენებლობამ შეიტანა (ზრდა 17.2%, წვლილი ზრდაში 1.2 პპ), სადაც აქტიური იყო, როგორც კერძო ისე ინფრასტრუქტურული მშენებლობები. (ცხრილი 1.3).

ცხრილი N 1.3 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების მიხედვით


	რეალური ზრდა					წვლილი ზრდაში (პპ)				
	2023Q1	2023Q2	2023Q3	2023Q4	2023	2023Q1	2023Q2	2023Q3	2023Q4	2023
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	-0.7%	-9.5%	6.4%	-8.1%	-2.8%	-0.1	-0.8	0.5	-0.4	-0.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	-19.1%	-9.8%	8.5%	5.5%	-4.0%	-0.3	-0.1	0.1	0.0	0.0
დამამუშავებელი მრეწველობა	15.4%	-0.7%	1.5%	0.1%	3.3%	1.5	-0.1	0.1	0.0	0.3
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	7.2%	-7.0%	-2.2%	-10.6%	-3.2%	0.2	-0.2	-0.1	-0.3	-0.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	-21.2%	-16.3%	-2.6%	-5.0%	-11.3%	-0.2	-0.1	0.0	0.0	-0.1
მშენებლობა	22.3%	33.9%	18.2%	4.1%	17.2%	1.3	2.1	1.3	0.3	1.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	21.4%	18.0%	9.3%	9.4%	13.6%	2.5	2.3	1.1	1.3	1.8
ტრანსპორტი და დასაწყობება	9.5%	3.1%	21.3%	17.7%	13.3%	0.5	0.2	1.2	1.0	0.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	18.2%	-2.5%	4.8%	2.2%	4.6%	0.5	-0.1	0.2	0.1	0.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	54.2%	32.1%	9.6%	25.9%	27.4%	1.9	1.3	0.4	1.2	1.2
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	10.2%	-0.6%	15.4%	4.0%	7.1%	0.5	0.0	0.6	0.1	0.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	-23.7%	-5.0%	9.7%	9.9%	-2.5%	-2.1	-0.4	0.8	0.8	-0.2
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	3.0%	16.1%	28.1%	27.3%	19.1%	0.0	0.2	0.5	0.5	0.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	21.2%	34.2%	23.5%	26.9%	26.4%	0.2	0.3	0.2	0.2	0.2
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	9.6%	13.6%	14.2%	16.8%	13.7%	0.6	0.7	0.7	0.9	0.8
განათლება	8.8%	18.7%	17.3%	30.4%	18.9%	0.4	0.8	0.6	1.1	0.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	-27.6%	-14.9%	-12.1%	-4.5%	-15.4%	-1.3	-0.5	-0.4	-0.1	-0.5
ხელოვნება, გართობა და დასვენება	12.5%	4.7%	5.0%	8.6%	7.6%	0.5	0.2	0.2	0.3	0.3
სხვა სახის მომსახურება	27.2%	17.0%	-1.5%	8.2%	11.0%	0.2	0.1	0.0	0.1	0.1
შინამეურნეობების, როგორც დამკირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	32.9%	37.4%	-15.6%	-16.2%	5.2%	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
(+) გადასახადები პროდუქციაზე	10.7%	19.0%	-6.4%	-1.0%	3.8%	1.3	2.4	-0.9	-0.2	0.5
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	-2.8%	12.1%	11.6%	10.2%	8.8%	0.0	-0.1	0.0	0.0	0.0
მშპ	8.2%	8.1%	7.0%	6.9%	7.5%	8.2	8.1	7.0	6.9	7.5
მათ შორის:										
სოფლის მეურნეობა	-0.7%	-9.5%	6.4%	-8.1%	-2.8%	-0.1	-0.8	0.5	-0.4	-0.2
ინდუსტრიული დარგები	12.4%	7.4%	6.8%	0.6%	6.2%	2.6	1.5	1.4	0.1	1.3
მომსახურება	8.3%	10.8%	7.5%	10.1%	8.8%	5.7	7.4	5.1	7.2	6.3

წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მოთხოვნა

2023 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ინვესტიციები იყო. კერძოდ, 7.5 პროცენტის ეკონომიკური ზრდაში ინვესტიციებმა 5.4 პპ წვლილი შეიტანა. ინვესტიციების ზრდა გარკვეულწილად ბიუჯეტიდან კაპიტალური ხარჯებისა და ბიზნეს სესხების მნიშვნელოვანმა მატებამ განაპირობა. ეკონომიკურ ზრდაში შედარებით მცირე პოზიტიური წვლილი შეიტანა მოხმარებამ, რომლის წვლილიც 3.1 პპ-ს შეადგენდა. 2023 წელს საგარეო მოთხოვნის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა შედარებით სუსტი იყო, რაც ერთი მხრივ, მიგრაციის ეფექტის ამოწურვას და, მეორე მხრივ, საექსპორტო საქონელზე საგარეო მოთხოვნის შესუსტებას უკავშირდება. 2022 წელს მიგრაციის შედეგად მომსახურების ექსპორტი რეალურად 87.9 %-ით გაიზარდა. ამის გამო, ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი წმინდა ექსპორტი იყო. 2023 წელს საბაზო ეფექტის გამო, მომსახურების ექსპორტის ზრდა, მკვეთრად, 4.1 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო წმინდა ექსპორტის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითი 1.1 პპ გახდა. (დიაგრამა N 1.18)


დიაგრამა N 1.18 რეალური მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ეკონომიკურ ზრდაში ინვესტიციების წამყვანი როლის ფონზე დანახარჯებში ინვესტიციების წვლილმაც იმატა და მშპ-თან მიმართებაში 26 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოს ეკონომიკის ჯამური წარმოების პოტენციალს ზრდის (იხ. დიაგრამა N 1.19.).

დიაგრამა N 1.19 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან




წყარო: საქსტატი

1.4. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2023 წლის დასაწყისიდან ინფლაციამ შემცირება დაიწყო და მარტის შემდგომ მიზნობრივ 3 პროცენტზე დაბალი შენარჩუნდა (დიაგრამა N 1.4,1) ინფლაციის შემცირება, ერთი მხრივ, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციის კლებამ, ხოლო მეორე მხრივ, საგარეო შოკების ეტაპობრივმა მიღევამ განაპირობა.

2023 წელს ინფლაციამ საშუალოდ 2.6 პროცენტი, ხოლო საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის მაღალი მერყეობით გამორჩეულ ფასებს გამორიცხავს, საშუალოდ 3.8 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 1.20 მთლიანი და საბაზო (სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი

2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასებს²² ძირითადად კლებადი დინამიკა ჰქონდა, რაც ლარის გაცვლითი კურსის მყარ პოზიციასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე სასურსათო საქონლის ფასებს ამცირებდა. წლის დასაწყისში მაღალ ინფლაციას ძირითადად სურსათის წლიურად გაზრდილი ფასები განაპირობებდა. პირველი კვარტალის საშუალო 7.6%-იანი ინფლაციიდან, სურსათზე 4.3 პპ მოდიოდა. წლის განმავლობაში ორივე მაჩვენებელი თანდათან იკლებდა. დეკემბერში როდესაც ინფლაცია 0.4 პროცენტამდე შემცირდა, სურსათის წვლილმა უარყოფითი 1.0 პპ შეადგინა.

საწვავის წვლილი ინფლაციაში გასულ წელს მეტწილად მკვეთრად უარყოფითი იყო. ამას საწვავის ფასების კლება და საბაზო ეფექტი განაპირობებდა. თუმცა წლის მეორე ნახევარში საწვავის ფასებმა ზრდა დაიწყო და მხოლოდ დეკემბერში დასტაბილურდა. ამის გამო, წლის მეორე ნახევარში, საწვავის უარყოფითი წვლილი ინფლაციაში თანდათან მცირდებოდა, ხოლო დეკემბერში უკვე დადებითი 0.3 პპ გახდა.


ჯანდაცვის ჯგუფის უარყოფითი წვლილი სამომხმარებლო კალათაში შემავალი ფართო მოხმარების მედიკამენტების გაიაფებას უკავშირდება.

გასული წლის განმავლობაში წლიურად გაზრდილი ფასები ყველაზე მეტად „დანარჩენ“ პროდუქტებზე შეიმჩნეოდა. ამის უდიდესი ნაწილი მომსახურებაზე მოდიოდა (დიაგრამა N 1.21).

პანდემიის შემდგომ ტურიზმის აღდგენისა და რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე მიგრაციული პროცესების შედეგად, ქვეყანაში უცხოელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დაგროვდა. ამ ფაქტმა და ასევე ძლიერმა შიდა მოთხოვნამ მომსახურებაზე ფასები გაზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ინფლაცია საბაზო ეფექტის ამოწურვასთან ერთად წლის განმავლობაში თანდათან მცირდებოდა. იანვრის 13.4 პროცენტიდან დეკემბერში 6.6 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო საშუალოდ 9.4 პროცენტი შეადგინა (ცხრილი N 1.4).

²² გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სურსათის საერთაშორისო ინდექსი <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

დიაგრამა N 1.21 ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში




წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

წლის განმავლობაში იმპორტირებული, შერეული და ადგილობრივი პროდუქტების ინფლაციის დონეები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. იმპორტირებული და შერეული საქონლის ფასები ლარის გაცვლითი კურსის მყარი პოზიციის და მსოფლიოში საქონლის და ტრანსპორტირების ფასების სტაბილური და ზოგ შემთხვევებში კლებადი ტენდენციის გამო წლის პირველი კვარტლის შემდეგ დეფლაციური იყო, ხოლო ადგილობრივ პროდუქტებზე მომსახურების სექტორის გავლენით მაღალი ინფლაცია ფიქსირდებოდა.

მომსახურების ინფლაციის ამოწურვის პარალელურად ადგილობრივი ინფლაცია თანდათან მცირდებოდა, ხოლო წლის მეორე ნახევარში ძირითადად საწვავის ფასების ზრდის ფონზე იმპორტირებული ფასების დეფლაციას კლების დინამიკა ჰქონდა. (დიაგრამა N 1.22).

დიაგრამა N 1.22 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ცხრილი N 1.4 ინფლაციის მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით, მათი წონა სამომხმარებლო კალათაში და ზეგავლენა ინფლაციაზე

	2023 წლის წონები	დეკ23/დეკ22		2023 საშუალო/2022 საშუალო	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0 %	0.4%	0.4%	2.6%	2.6%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	-2.7%	-0.9%	3.7%	1.2%
სურსათი	30.9%	-3.1%	-1.0%	3.5%	1.0%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-8.0%	-0.5%	1.1%	0.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	5.6%	0.4%	7.7%	0.5%
თევზი	0.5%	-0.1%	0.0%	7.8%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	-3.3%	-0.2%	5.2%	0.3%
ზეთი და ცხიმი	2.6%	-19.2%	-0.5%	-16.2%	-0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	17.3%	0.3%	1.7%	0.0%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	-9.8%	-0.3%	12.1%	0.4%


შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-3.1%	-0.1%	1.7%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-1.8%	0.0%	0.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	2.4%	0.1%	6.1%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	3.4%	0.2%	6.4%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	0.1%	0.0%	0.1%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	2.3%	0.2%	6.5%	0.6%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა- შეკეთება	5.2%	-3.3%	-0.2%	2.5%	0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	-3.8%	-0.4%	-6.1%	-0.6%
ტრანსპორტი	12.3%	5.1%	0.6%	-4.7%	-0.6%
კავშირგაბმულობა	3.6%	-2.3%	-0.1%	-2.8%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	-1.6%	-0.1%	0.2%	0.0%
განათლება	4.4%	3.6%	0.2%	5.8%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	6.4%	0.2%	9.7%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	10.1%	0.5%	12.1%	0.6%
<i>ხანმოკლე მოხმარების საქონელი</i>	63.6%	-1.4%	-0.9%	0.6%	0.4%
<i>საშუალო მოხმარების საქონელი</i>	7.1%	-1.6%	-0.1%	0.8%	0.1%
<i>ხანგრძლივი მოხმარების საქონელი</i>	4.9%	-3.6%	-0.2%	-7.8%	-0.4%
<i>მომსახურება</i>	24.4%	6.6%	1.6%	9.4%	2.2%

წყარო: საქსტატი

ჩანართი 1 მოგების და ხელფასების წვლილი ინფლაციაში

ერთმანეთის მიმყოლმა ეკონომიკურმა შოკებმა, მიწოდების ჯაჭვების პანდემიითა და რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეულმა რღვევამ, გლობალურად მაღალი ინფლაციური წნეხი წარმოქმნა. ინფლაციამ პიკური პერიოდი გადალახა და მას რიგ ქვეყნებში კლებადი ტენდენცია აქვს, თუმცა გლობალურად ის ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. აქედან გამომდინარე, საყურადღებოა ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორებისა და გამომწვევი მიზეზების დეტალური შესწავლა. ამ მიზნით, სხვა ინდიკატორებთან ერთად, შეგვიძლია დავაკვირდეთ კომპანიების მოგებისა და შრომის ანაზღაურების წვლილებს ინფლაციის დინამიკაში. ინფლაციის გამომწვევ მიზეზთა განხილვისას, პოლიტიკის გამტარებლები უფრო და უფრო ხშირად ამახვილებენ ყურადღებას კომპანიათა მოგებასა და ხელფასების დინამიკაზე²³. აღნიშნული დეკომპოზიცია კი პირდაპირ მომდინარეობს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დეფლატორის განმარტებიდან²⁴, რომელიც ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ფასების საზომია. თავის მხრივ, მშპ დეფლატორის ინფლაციასა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) ინფლაციას შორის კავშირი საკმაოდ ძლიერია (იხ. დიაგრამა 1.23).

დიაგრამა N 1.23 სამომხმარებლო ფასებისა და მშპ დეფლატორის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

ზოგადად, ერთობლივი მოთხოვნის ზრდიდან გამომდინარე, ფასების დონის მატებასთან ერთად იზრდება ბაზარზე მოქმედ კომპანიათა შემოსავლებიც. თუმცა შემდეგ, ინფლაციური წნეხის პირობებში, დასაქმებულებსაც უჩნდებათ სტიმული, უფრო მაღალი ანაზღაურება მოითხოვონ,

²³ მაგალითისთვის, ევროპის ცენტრალური ბანკის (ეცბ) საბჭოს წევრი, ფილიპ ლეინი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ კომპანიების მოგების მაჩვენებლები უჩვეულოდ მაღალია ([წყარო](#)); მისი კოლეგა, ფაბიო პანეტა კი მოგება-ფასის სპირალის განვითარების საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას ([წყარო](#)).


²⁴ მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკურ პროცესებში ჩართული სუბიექტების შემოსავალთა ჯამს (კომპანიების მოგება, დასაქმებულთა კომპენსაცია, წმინდა გადასახადები, შერეული შემოსავალი) წარმოადგენს და მისი ანალიზი საშუალებას გვაძლევს პირდაპირ შევაფასოთ, თუ რა გავლენა ჰქონდა თითოეულ ამ ფაქტორს მშპ დეფლატორის ინფლაციის დინამიკაზე.

ეს კი მათი ხელფასების ზრდას იწვევს. ამ დროს სიტუაცია შემდეგი ორიდან ერთ-ერთი მიმართულებით შეიძლება, განვითარდეს:

- 1) რადგანაც მაღალი ხელფასის გამო კომპანიებისთვის იმატებს შრომის ერთეულზე ნომინალური დანახარჯიც, ისინი დამატებით ზრდიან ფასებს, რათა მოგების თავდაპირველად გაზრდილი მარჟა კვლავ მაღალ დონეზე შეინარჩუნონ. სწორედ ესაა ხელფასი-ფასის სპირალი. ასეთი სცენარის შემთხვევაში მივიღებთ შემდეგ სურათს: საბოლოოდ, მაღალი ინფლაციის მამოძრავებელი ერთდროულადაა კომპანიების სწრაფად მზარდი ნომინალური მოგება და ასევე სწრაფად მზარდი ნომინალური ხელფასები.
- 2) კომპანიები ხელფასების ზრდის მოთხოვნას აკმაყოფილებენ მათი მოგების ზრდის შენელების ხარჯზე. ასეთი სცენარის შემთხვევაში მივიღებთ სურათს, რომ ინფლაცია, რომელიც თავდაპირველად კომპანიების მოგების ზრდით იყო გამოწვეული, კვლავ შემცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასების ზრდა, გარდამავალ პერიოდში, მაღალი იქნება.

ამ ჩანართში წარმოდგენილი ანალიზი გარკვეულ სურათს ქმნის, თუ რომელი სცენარია უფრო მოსალოდნელი საქართველოს შემთხვევაში, ბოლო პერიოდის მონაცემებიდან გამომდინარე. როგორც მშპ დეფლატორის დეკომპოზიციის ანალიზი გვიჩვენებს, პანდემიის პერიოდში საქართველოში ფასების საერთო დონის მნიშვნელოვანი მატება მართლაც კომპანიათა მოგების მატებას უკავშირდებოდა (იხ. დიაგრამა 1.24). პანდემიის დაწყებისას დაწყებულმა შეზღუდვებმა და მიწოდების ჯაჭვებში წარმოქმნილმა შეფერხებებმა ბაზარზე ზოგიერთი პროდუქციის დეფიციტი განაპირობა, რამაც მწარმოებლებს ფასების ზრდისკენ უბიძგა. მოგვიანებით, შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ამას თან დაერთო აკუმულირებული მოთხოვნის გამოთავისუფლება. მიწოდების ჯერ ისევ შესუსტებული ჯაჭვების პირობებში, ამ მოთხოვნამ დამატებითი ბიძგი მისცა მწარმოებლებს, ფასები (და შესაბამისად, მოგებაც) კიდევ უფრო გაეზარდათ. მოთხოვნაზე ასეთივე ეფექტი ჰქონდა რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ მიგრაციული ნაკადების წარმოშობასაც. მთლიანობაში, ეს ფაქტორები ხსნის, თუ რამ გამოიწვია მიმწოდებელთა მხრიდან ფასების ზრდა, რასაც მათი მოგების მატებაც მოჰყვა.

დიაგრამა N 1.24 მშპ დეფლატორის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი და სებ-ის განგარიშება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, კომპანიების მიერ მოგების ზრდის შემდეგ, გაზრდილი ფასებისა და მომატებული ინფლაციური წნეხის ფონზე, დასაქმებულებმა უფრო მაღალი ხელფასები მოითხოვეს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შრომის ბაზრის სიმჭიდროვემაც²⁵. შედეგად, კვალიფიკაციური კადრების შესანარჩუნებლად ან მოსაზიდად კომპანიებს დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდა მოუხდათ. თუმცა, მთავარი კითხვაა: ზემოთ აღწერილი ორი გზიდან რომლით დააკმაყოფილეს კომპანიებმა ხელფასების ზრდის წნეხი. როგორც დიაგრამა 1.24 გვიჩვენებს, ბოლო პერიოდში კომპანიებმა ხელფასების ზრდის წნეხი დააკმაყოფილეს მათი მოგების ზრდის ტემპის შემცირებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ, დიდი ალბათობით, საქართველოში ხელფასი-ფასის სპირალის განვითარებას ადგილი არ აქვს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი ინარჩუნებს ფრთხილ პოლიტიკას და მკაცრი მონეტარული პოლიტიკიდან მხოლოდ ნელი ტემპებით გამოდის, რათა მაღალინფლაციური გარემოს ხელახლა დადგომის რისკი მინიმუმამდე შეამციროს.

²⁵ შრომის ბაზრის სიმჭიდროვეში იგულისხმება ისეთი ვითარება, როდესაც კომპანიებს უძნელდებათ მუშახელის მოძიება, რადგან ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციის თავისუფალი კადრების სიმცირეა.

2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა

2.1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ეროვნული ბანკის ძირითად მანდატს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს²⁶. ფასების სტაბილურობა საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას გულისხმობს, რაც გრძელვადიან პერიოდში სტაბილური ეკონომიკური ზრდისთვის ოპტიმალურია.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით ახორციელებს, რომელიც დღეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად არის აღიარებული. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ქვეყნისათვის ინფლაციის ოპტიმალური დონეა, წინასწარ განისაზღვრება. შემდეგ კი მონეტარული პოლიტიკა ისე წარიმართება, რომ საშუალოვადიანი პერიოდისთვის ყოველთვის იყოს ინფლაციის მის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაბრუნების მოლოდინი, მათ შორის, კერძო სექტორის მხრიდან. აღნიშნული რეჟიმი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს ყოფნას, მეორე მხრივ კი, ეგზოგენურ შოკებზე²⁷ საპასუხოდ, ინფლაციას მიზნობრივი დონისაგან დროებით გადახრის საშუალებას აძლევს, რათა ჯამურად მაკროეკონომიკური მერყეობის მინიმიზაცია მოხდეს. სწორედ ამიტომ, პროფესიულ წრეებში, ინფლაციის თარგეთირებას ხშირად მოქნილ ინფლაციის თარგეთირებას (flexible inflation targeting) უწოდებენ²⁸. მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე (მაგალითად აქციის გადასახადის, გლობალურ ბაზრებზე ნედლეული პროდუქტების ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა) რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური ზრდის მერყეობას და, გრძელვადიან პერიოდში, დასაქმების შემცირებას გამოიწვევს. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც მიწოდების შოკი იმდენად დიდი ან ხანგრძლივია, რომ ის გავლენას ახდენს ინფლაციის მოლოდინებზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ როგორც Bernanke & Blinder (1992) და Bernanke & Gertler (1995) კვლევებიც აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის ცვლილების გადაცემას ეკონომიკაზე გარკვეული დრო სჭირდება²⁹.

²⁶ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, მესამე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁷ ეგზოგენურ შოკებში გარე, მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი, ცვლილებები იგულისხმება.

²⁸ მაგალითად, როგორც Clinton et al (2017) კვლევაშია აღნიშნული „ინფლაციის პროგნოზზე ორიენტირებული თარგეთირების მოქნილი ჩარჩოს პირობებში, ძლიერმა ეგზოგენურმა შოკებმა ინფლაციის მისი მიზნობრივი დონიდან და გამოშვების მისი პოტენციური დონიდან მნიშვნელოვანი გადახრები გამოიწვია. თუმცა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების თანმიმდევრული ცვლილებების შედეგად ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად უბრუნდებოდა“. ინგლ.: „Under the flexible IFT framework, strong exogenous macroeconomic shocks did lead to significant deviations of inflation from the target, and of economic activity from potential. But monetary policy instruments were systematically adjusted to bring inflation back to target over time.“ - Clinton, Hlédik, Holub, Laxton, & Wang (2017) „Czech Magic: Implementing Inflation-Forecast Targeting at the CNB“, IMF Working Paper, pp. 30

²⁹ Bernanke & Blinder (1992) „The Federal Funds Rate and the Channels of Monetary Transmission“, American Economic Review; vol. 82, issue 4, 901-21.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია (რეფინანსირების განაკვეთი). მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ინფლაციის პროგნოზის შესაბამისად იცვლება. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მაკროეკონომიკური გარემოს გაანალიზების, ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების განხილვის, ინფლაციის დინამიკის პროგნოზირების, ინფლაციაზე მოქმედი მაკროეკონომიკური რისკებისა და ინფლაციის მოლოდინების შეფასების შედეგად მიიღება. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალია, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალია, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას არბილებს. ეს მიდგომა ფასების სტაბილურობას და სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე დაბალ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს უზრუნველყოფს. ამასთანავე, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და მათი გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება ფასების სტაბილურობის მისაღწევად გაღებული საზოგადოებრივი დანახარჯიც. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას მის მიერ შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად³⁰ ახორციელებს, რომლის თანახმადაც, 2018 წლიდან მიზნობრივი ინფლაცია 3 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი ინფლაცია, რაც ამ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, პროდუქტიულობის ზრდის უფრო სწრაფ ტემპს უკავშირდება (Balassa, 1964; Samuelson, 1964)³¹.

2023 წელს ინფლაციური წნეხი აღმოიფხვრა. 2023 წლის დასაწყისიდან ინფლაციამ შემცირება დაიწყო და მარტის შემდგომ მიზნობრივ 3 პროცენტზე დაბალი შენარჩუნდა. წლის დასაწყისში ინფლაციის კლება საგარეო შოკების გავლენის ეტაპობრივმა მიღევამ განაპირობა. პოსტპანდემიურ პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზარზე წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი აღმოიფხვრა და სურსათის საერთაშორისო ფასები მცირდებოდა. ამავდროულად, მიწოდების ჯაჭვებიც თანდათან აღდგა და ლოჯისტიკური შეფერხებებიც შედარებით შემცირდა, რის შედეგადაც 2022 წლიდან დაწყებული, გლობალური ტრანსპორტირების ღირებულება ეტაპობრივად მცირდებოდა და ეს ტრენდი 2023 წელსაც გაგრძელდა. საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, გლობალურად მიმდინარე მოვლენების მიმართ მოწყვლადია

Bernanke & Gertler (1995) „Inside the Black Box: The Credit Channel of Monetary Policy Transmission“, the Journal of Economic Perspectives, Vol. 9, No. 4 (Autumn, 1995), pp. 27-48.

³⁰ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს 2023-2025 წლების ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, 1-ლი პუნქტი.


³¹ Balassa, B. (1964), “The Purchasing Power Parity Doctrine: A Reappraisal”, Journal of Political Economy, 72, 584-96.

Samuelson, P (1964), “Theoretical Notes on Trade Problems”, Review of Economics and Statistics, 23, 1-60.

და მსოფლიო მასშტაბით შეცვლილი ფასები ადგილობრივ ბაზარზეც აისახა. ამას თან ერთვოდა წლის პირველ ნახევარში, როგორც რეალური ასევე ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარება. ამდენად, წლის დასაწყისში ინფლაციის შემცირება, იმპორტირებული პროდუქტების ფასების კლებამ განაპირობა. წლის მეორე ნახევრიდან კი ინფლაციის შემცირება შიდა ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. კერძოდ, დროულად და საკმარისად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად ინფლაციურ მოლოდინებს კლებადი ტენდენცია ჰქონდა. ასევე წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილობრივად წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების ინფლაციაც. 2023 წლის განმავლობაში მედიკამენტების თურქული ბაზრის გახსნამაც ინფლაციის კლებას ხელი შეუწყო. მთლიანობაში, 2023 წელს ინფლაციური წნეხის აღმოფხვრის მთავარი ფაქტორები, როგორც საგარეო გავლენის განეიტრალებამ, ასევე მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მათ შორის მომსახურების ფასების ნორმალიზება მოგვევლინა.

2023 წელს ინფლაციური ტენდენციების და ინფლაციური პროგნოზის გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა მკაცრი მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლა დაიწყო. სებ-მა წლის დასაწყისში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11 პროცენტზე შეინარჩუნა. ხოლო მაისიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირება ეტაპობრივად, მცირე ბიჯებით მიმდინარეობდა. მართალია, ინფლაციამ შემცირება 2023 წლის დასაწყისიდანვე დაიწყო, თუმცა წლის დასაწყისში ამის ძირითადი მიზეზი ეგზოგენური ფაქტორების განეიტრალება იყო. ადგილობრივი ფაქტორებიდან მომდინარე ინფლაციური წნეხი კვლავ ნიშანდობლივი რჩებოდა, რასაც შედარებით მაღალი საბაზო და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია მიუთითებდა. ამავდროულად ინფლაციური რისკებიც მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა. მიმდინარე მწვავე გეოპოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, გლობალურად გაურკვეველობა მაღალი იყო, რის გამოც იმპორტირებულ პროდუქტთა გარკვეულ ჯგუფთან მიმართებით ფასების ზრდის რისკები ჯერ კიდევ ნარჩუნდებოდა. საგარეო რისკებთან ერთად, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენციებიც საყურადღებო იყო. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ეროვნული ბანკის ფრთხილი მიდგომა და მკაცრი პოზიციიდან მცირე ბიჯებით გამოსვლა. საბოლოოდ, ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ინფლაციური მოლოდინების ნორმალიზებას და მთლიანობაში, ინფლაციის შემცირებას შეუწყო ხელი. შედეგად, შედარებით ნელი ტემპით წლის განმავლობაში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების, მომსახურების და საბაზო ინფლაცია მცირდებოდა. 2023 წლის დეკემბერში, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წინა წლის პიკთან შედარებით, 1.5 პპ-ით შემცირდა და 9.5 პროცენტი შეადგინა. (იხ. დიაგრამა N 2.1).



დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი საკრედიტო არხია. შერბილებული მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთები დაბალია, რაც დაკრედიტების სტიმულს აძლიერებს და ამ გზით ერთობლივ მოთხოვნას ასტიმულირებს. 2023 წელს მკაცრი მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლის გათვალისწინებით, საკრედიტო აქტივობა შედარებით გაიზარდა.

დიაგრამა N 2.2 საპროცენტო განაკვეთების სპრედი და საკრედიტო აქტივობა (სესხების წლიური ზრდის ტემპი ვალუტების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის აგვისტოდან სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადიანობა 4-დან 3 წლამდე შემცირდა. აღნიშნული ღონისძიების მიზანს დაკრედიტების დამატებითი შეზღუდვა და მაღალი ინფლაციური გარემოს შერბილება წარმოადგენდა. რადგან 2023 წლის მეორე ნახევარში ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდა და მიზნობრივ მაჩვენებელს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის 1 ნოემბრიდან სამომხმარებლო სესხებზე მაქსიმალური ვადიანობა ისევ 4 წლამდე გაზარდა. ეს ცვლილება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს და აუმჯობესებს მოსახლეობისთვის

ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, ხოლო მეორე მხრივ, ახალისებს სამომხმარებლო სესხების ზრდას. მართლაც, დეკემბერში, 2023 წლის ოქტომბრის მაჩვენებელთან შედარებით, სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი 0.5 პპ-ით გაიზარდა, რაც შერბილების ეფექტს წარმოადგენს.


მაღალი ფლაციური გარემოს გახანგრძლივების გამო ისეთმა წამყვანმა ცენტრალურმა ბანკებმა, როგორებიცაა ფედერალური სარეზერვო სისტემა და ევროპის ცენტრალური ბანკი, გარკვეულწილად მკაცრი მონეტარული პოლიტიკა შეინარჩუნეს, რამაც უცხოური ვალუტის დაკრედიტებაზე სასესხო პირობების გამკაცრების ეფექტი იქონია. ამის საპირწონედ, 2023 წლის 29 ნოემბრის ფინანსური სტაბილურობისა და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების ადგილობრივ ეკონომიკაზე გავლენის შესამსუბუქებლად, უცხოური ვალუტის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმის ზედა ზღვარი 25 პროცენტთან 20 პროცენტამდე შემცირდა. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის შემცირებით ეროვნულ ბანკს ქვეყანაში სესხების განაკვეთზე გავლენის მოხდენა შეუძლია; როდესაც სარეზერვო მოთხოვნა მცირდება, ბანკს დეპოზიტების მოზიდვა უიაფდება, რაც, თავის მხრივ, სესხის განაკვეთის შემცირებაში აისახება და სესხის მიღების მსურველისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კრედიტი იაფდება. აქედან გამომდინარე, შემცირებულმა მინიმალურმა სარეზერვო მოთხოვნამ ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით დაკრედიტება წაახალისა.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის საოპერაციო მიზანი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვაა. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე აისახოს და, საბოლოოდ, რეალურ ეკონომიკაზე მოახდინოს გავლენა. მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვა, თავის მხრივ, ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს გამოყენებით ხდება. საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის მართვის ჩარჩო, როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ასევე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს მოიცავს. ესენია ღია ბაზრის ოპერაციები (რეფინანსირების სესხები და სადეპოზიტო სერთიფიკატები), მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნები და მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები. ეროვნული ბანკი წლის განმავლობაში 3-თვიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების გამოშვებას აგრძელებდა, რომელთა მიზანსაც შემოსავლიანობის მრუდის მოკლევადიანი ნაწილის ფორმირება წარმოადგენს. შედეგად, ამ ოპერაციებით ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერთიფიკატების ნაშთს მინიმალურ დონეზე, 60-80 მლნ ლარის ფარგლებში ინარჩუნებდა.

2023 წელს, ლიკვიდობის სამართავად და ლიკვიდობის მიწოდების სხვა წყაროებიდან წარმოქმნილი მერყეობის დასაბალანსებლად, ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების სესხებს. 2022 წელთან შედარებით, 2023 წლის ბოლოს რეფინანსირების სესხების მოცულობა გაიზარდა. წლის მანძილზე რეფინანსირების სესხების მოცულობაზე გავლენას რამდენიმე ფაქტორი ახდენდა (იხ. დიაგრამა N 2.3). ერთი მხრივ, ძლიერი ეკონომიკური ზრდის ფონზე, ნაღდ ფულზე მოთხოვნა გაიზარდა. იმავდროულად, გაზრდილმა შემოსავლებმა დეპოზიტების მოცულობაზეც დადებითად იმოქმედა, რაც, თავის მხრივ, სარეზერვო მოთხოვნების მატებაზე და, შესაბამისად, რეფინანსირების სესხებზე გაზრდილ მოთხოვნაშიც აისახა. მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფისკალურმა კონსოლიდაციამაც - სამთავრობო დანახარჯების შემცირების გამო, საფინანსო სისტემას ლიკვიდობის ნაწილი მოაკლდა, რომლის დასაბალანსებლადაც რეფინანსირების

სესხებზე მოთხოვნა გაიზარდა. ასეთივე ეფექტი ჰქონდა ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის დროებით შეჩერებასაც. ამავდროულად პანდემიის დროს ამოქმედებული ლიკვიდობის დროებითი მიწოდების ინსტრუმენტების გამოყენება ეტაპობრივად შემცირდა, რამაც რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნა მეტად გაზარდა. კერძოდ, სავალუტო სვოპ ოპერაციების გამოყენება დასრულდა და წლის მანძილზე მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი ინსტრუმენტით გაცემული სესხების მოცულობაც შემცირდა. 2023 წლის ბოლოს ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები, რომლებიც კოვიდისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დროს ამოქმედდა, დასრულდა. წლის პირველ ნახევარში, გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებისა და წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის (BMatch) გამოყენებით სოლიდური მოცულობით უცხოური ვალუტა შეიძინა; შედეგად, ამ ინსტრუმენტით ბაზარს ლარის რესურსი მიეწოდებოდა, რამაც რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნა მკვეთრად შეამცირა. სავალუტო ინტერვენციებით ლიკვიდობის მიწოდება, პირველ ეტაპზე, ბალანსდება რეფინანსირების სესხების შემცირებული დონით. შესაბამისად, ლიკვიდობაზე მოთხოვნის დაბალი დონიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის მაისში დროებით შეაჩერა ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის გამოყენება, ხოლო აგვისტოში მეორად ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შექმნა. საბოლოო ჯამში, ამ არხებით ლიკვიდობის მიწოდების შემცირებამ რეფინანსირებაზე მოთხოვნა კვლავ გაზარდა. თუმცა მომდევნო პერიოდში მეორად ბაზარზე მთავრობის ფასიანი ქაღალდების შესყიდვა ისევ განახლდა.

დიაგრამა N 2.3 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოაღწერილი ინსტრუმენტების საშუალებით, ეროვნული ბანკი ფინანსურ სექტორს მოკლევადიან ლიკვიდობას საჭიროების შესაბამისად აწვდიდა. შედეგად, როგორც დიაგრამა N2.4-ზე ჩანს, ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს ნარჩუნდებოდა, რაც საუკეთესო ინდიკატორია იმის განსასაზღვრად, რომ ეროვნული ბანკი ფინანსურ სისტემას ლიკვიდობის სათანადო მოცულობით უზრუნველყოფდა. კერძოდ, თუ სისტემას საჭიროზე ნაკლები ლიკვიდობა მიეწოდება, მაშინ ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი

პოლიტიკის განაკვეთთან შედარებით გაიზარდა და, პირიქით, ჭარბი ლიკვიდობის შემთხვევაში - შემცირდა, ეს კი საპროცენტო განაკვეთების მერყეობას ზრდის და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას ამცირებს. საბანკო სისტემისთვის ლარის საკმარისი რესურსის ხელმისაწვდომობა და, ამავდროულად, ეფექტიანი მართვა, მნიშვნელოვანია ლარის დაკრედიტების წახალისებისა და დედოლარიზაციის ხელშეწყობისთვის, რაც, თავის მხრივ, ფინანსური სტაბილურობის რისკებს ამცირებს.

დიაგრამა N 2.4 ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



* 2013 წლამდე TIBR-ის განახლებული ინდექსის გაანგარიშება არის მიახლოებითი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარიზაციის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის გრძელვადიანი ამოცანაა. დოლარიზაცია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება ლარის საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან ერთად, რადგან ლარის და უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებს შორის სპრედის ზრდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდაში აისახება. მაღალი დოლარიზაცია კი, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის შეზღუდვასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობის რისკებს შეიცავს. ლარიზაციის წახალისება ქვეყანაში მაკრო-ფინანსური რისკების შემცირებისა და საგარეო მოწყვლადობების მიმართ მდგრადობის გაზრდის წინაპირობაა. შესაბამისად, ლარიზაციის ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება.

ლარიზაციის ღონისძიებები 2023 წელსაც აქტიურად გაგრძელდა. 2023 წლის მეორე ნახევრიდან სესხების ლარიზაციის ტენდენცია შენედა და სესხების დოლარიზაცია მცირედით გაიზარდა, ამ ტენდენციის გათვალისწინებით და სესხების დოლარიზაციით გამოწვეული რისკების შერბილების მიზნით, 2023 წელს ეროვნულმა ბანკმა დამატებითი მოთხოვნა დაუწესა რეგულირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომ 2024 წლის 1 იანვრიდან, იმ პირებზე, რომელთა ჯამური დავალიანება 300,000 ლარამდე იქნება, უცხოური ვალუტის ახალი სესხი გასცენ მხოლოდ ჰეჯირებული სავალუტო

რისკის პირობებში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ, უმეტესად ცვლადგანაკვეთიან სესხებს, თან ახლავს საპროცენტო და გაცვლითი კურსის რისკები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული მსესხებლების მაღალი წილისა და რეგიონის ვალუტების გაცვლითი კურსის გაზრდილი მერყეობის პირობებში. სწორედ ამგვარი რისკების განეიტრალება გახდა დამატებითი მოთხოვნის დაწესების მიზეზი.

უფრო დეტალურად რომ შეფასდეს ლარიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, საინტერესოა სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკის განხილვა. სესხების დოლარიზაციამ 2023 წლის დეკემბერში 45.2 პროცენტი შეადგინა, რაც 0.4 პპ-ით მეტია 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. რაც შეეხება დეპოზიტების დოლარიზაციას, 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის გამო მნიშვნელოვნად გაზრდილი მიგრაციული ნაკადების შედეგად არარეზიდენტების დეპოზიტები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ დეპოზიტების ძირითადი ნაწილი უცხოური ვალუტით იყო დენომინირებული. მსგავსი ტენდენცია 2023 წლის პირველ ნახევარში კვლავ გაგრძელდა, მიუხედავად ამისა დეპოზიტების დოლარიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა. 2023 წლის განმავლობაში მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაციამ, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 5.2 პპ-ით იკლო და 50.7 პროცენტს გაუტოლდა. მიუხედავად მზარდი არარეზიდენტების უცხოური ვალუტის დეპოზიტებისა, რეზიდენტებისა და ფიზიკური პირების დოლარიზაცია, შესაბამისად, 5.2 პპ და 6.2 პპ-ით შემცირდა და 43.9 და 65.3 პროცენტი შეადგინა, რაც დეპოზიტების ლარიზაციის დონის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

დიაგრამა N 2.5 საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ჩანართი 2. ფულის შექმნა ეკონომიკაში: საქართველოს მაგალითი

ისეთი საკითხები, როგორცაა, თუ როგორ იქმნება ფული თანამედროვე ეკონომიკაში, ვინ არიან ამ პროცესის მონაწილეები და სად არის ცენტრალური ბანკის როლი, ხშირად იძენს აქტუალობას. თუმცა, ასევე ხშირად ხდება ხოლმე ფულის შექმნის მხოლოდ ერთ ფაქტორზე დაკვირვება, რაც, ცხადია, მარტივად შეიძლება გახდეს მცდარი დასკვნის მიზეზი. მაგალითად, ერთ-ერთი ამგვარი დასკვნაა თითქოს ფართო ფულის მასის (M2) ზრდის ტემპსა და ინფლაციას შორის აუცილებლად დადებითი კავშირის არსებობა. ერთ-ერთ წინა მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში ჩვენ ამ საკითხზე უკვე ვისაუბრეთ, სადაც, შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით, ცალსახად გამოჩნდა, რომ ფულის მასის ცვლილებასა და ინფლაციას შორის 2010 წლის შემდეგ დადებითი კორელაცია არ იკვეთება. ამ დროს შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რატომ არ ჩანს ამ ორ ცვლადს შორის კორელაცია, როცა მარტივი ლოგიკა გვეუბნება, რომ თითქოს უნდა ჩანდეს. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ რა არის ფულის მასის ზრდის მიზეზი - ფულის მიწოდების ზრდა თუ ფულზე მოთხოვნის ზრდა. ამის დასადასტურებლად კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ ვინ და რა ოპერაციებით ქმნის ფულის მასას. სწორედ ამას (მისი მიწოდების წყაროების მიხედვით, ფულის მასის ცვლილების დეკომპოზიციას) აღვწერთ ამ ჩანართში.

ფულის მასის შექმნის/მიწოდების ყველა წყარო, საბოლოოდ, დეპოზიტური კორპორაციების საბალანსო უწყისზე აისახება. დეპოზიტური კორპორაციები ისეთი ფინანსური ინსტიტუტებია, რომელიც ფართო ფულში ჩართულ ვალდებულებებს უშვებენ. საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით, ეს სექტორი ორ ნაწილად იყოფა: ცენტრალური ბანკი, რომელიც ფულის მასის აგრეგატიდან M0-ს (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს) უშვებს და სხვა დეპოზიტური კორპორაციები, რომლებიც უშვებენ ფართო ფულში ჩართულ დეპოზიტებს (M2 ფართო ფულის შემთხვევაში, საუბარია მხოლოდ ლარის დეპოზიტებზე, ანუ (M2 - M0)). საქართველოს მონეტარულ სივრცეში სხვა დეპოზიტურ კორპორაციებს კომერციული ბანკები წარმოადგენენ. ცხადია, ფულის მასის აღნიშნული ჩაშლა ბუღალტრული იგივეობიდან მოდის და არა მიზეზ-შედეგობრივი თეორიიდან, თუმცა სწორედ ესაა ფულის მასის ამ ჩაშლის უპირატესობა, რომ იგი ფაქტობრივ დონეზე ჭეშმარიტია.


აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რა კომპონენტები განსაზღვრავს ფულის მასა M2-ის ცვლილებას, ცენტრალური ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების აგრეგირებულ საბალანსო უწყისებს უნდა შევხედოთ. მიზანია, ბალანსების იმგვარად გადაჯგუფება, რომ საბალანსო ტოლობის მარცხენა მხარეს დაგვრჩეს M0 (ცენტრალური ბანკის შემთხვევაში) და M2-M0 (კომერციული ბანკების აგრეგირებული ბალანსის შემთხვევაში), ხოლო მარჯვენა მხარეს კი ყველა სხვა დანარჩენი მუხლი. საბალანსო მუხლების შესაბამისი გაერთიანებების/დაჯგუფებების გაკეთების შემდეგ, რაც ინტერპრეტაციას ამარტივებს, ვღებულობთ შემდეგ 5 ძირითად მუხლს, რაც ფულის მასა M2-ის მიწოდების უკან დგას:

1. **წმინდა უცხოური აქტივები (შესაბამისი შესწორებებით)** - ეს მუხლი წარმოადგენს ცენტრალური ბანკის ბალანსზე არსებულ წმინდა უცხოურ აქტივებს გამოკლებული ცენტრალური მთავრობის მიმართ უცხოური ვალუტის ვალდებულებები და სხვა

დეპოზიტური კორპორაციების მიმართ უცხოური ვალუტის ვალდებულებები (როგორც სავალდებულო რეზერვები, აგრეთვე კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებულ თანხები). აქ გამოჩნდება ფულის მასის ისეთი წყაროები (ტრანზაქციები), რომელიც ცვლის M2-ს და, ამასთანავე, გავლენას ახდენს შესწორებულ წმინდა უცხოურ აქტივებზე. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციაა ცენტრალური ბანკის ინტერვენცია უცხოური ვალუტის ბაზარზე. მაგალითად, ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა M2-ს ზრდის, ხოლო გაყიდვა - პირიქით ამცირებს. გარდა ამისა, ამავე მუხლში აისახება მთავრობის ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში, რომელიც საბოლოოდ ფულის მასას ცვლის. მაგალითად, ასეთი ოპერაცია შეიძლება, იყოს მთავრობის მიერ უცხოური ვალის აღება და, შემდეგ, ამ თანხით რეზიდენტისგან ეროვნულ ვალუტაში საქონლის ან მომსახურების შესყიდვა ან თუნდაც ამ თანხის ტრანსფერის სახით რეზიდენტისათვის გადაცემა. ამისგან საპირისპიროდ, მთავრობის მიერ რეზიდენტებისგან აკრეფილი გადასახადებით უცხოური ვალის დაფარვა M2-ს შეამცირებს. აქედან გამომდინარე, ფულის მასის ამ მუხლში აღწერილი წყაროს ძირითადი ნაწილი არის ცენტრალური ბანკის სავალუტო ინტერვენციები და მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც საგარეო ვალით ფინანსდება.

2. **წმინდა მოთხოვნები ცენტრალური მთავრობის მიმართ ეროვნული ვალუტით** - ეს მუხლი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობის მიმართ დეპოზიტური კორპორაციების (ცენტრალური და კომერციული ბანკების) ეროვნულ ვალუტაში არსებულ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას. აქ აისახება მთავრობის ეროვნული ვალუტის იმგვარი ოპერაციები, რომელიც M2-ს ცვლის. მაგალითად, როდესაც მთავრობა ეროვნული ვალუტით იღებს ვალს და შემდეგ ეს თანხა ხვდება რეზიდენტების ანგარიშებზე. შესაბამისად, ფულის მასის ამ მუხლში აღწერილი წყარო, ძირითადად, არის მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც საშინაო ვალით ფინანსდება.
3. **მოთხოვნები სხვა სექტორების მიმართ ეროვნულ ვალუტაში** - ეს მუხლი, ძირითადად, მოიცავს კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულ სესხებს ეროვნულ ვალუტაში. როგორც შინაარსობრივად, ასევე სტატისტიკურად, სწორედ ეს მუხლია ფულის მასის ძირითადი განმსაზღვრელი და სწორედ კომერციული ბანკები ქმნიან ფულის უდიდეს ნაწილს ეკონომიკაში.
4. **აქციები და სხვა კაპიტალი** - ამ მუხლში შედის კაპიტალის ცვლილების ოპერაციები. დეპოზიტური კორპორაციების კაპიტალის ზრდა ფულის მასას ამცირებს, ვინაიდან ამ დროს ცენტრალური თუ კომერციული ბანკის სხვა ვალდებულებები მცირდება, რაც დეპოზიტების (რაც M2-ის ძირითადი ნაწილია) წილის კლებას გულისხმობს, ხოლო კაპიტალის შემცირება კი პირიქით - M2-ს ზრდის. შესაბამისად, საბანკო სექტორში კაპიტალის ზრდის მოთხოვნები ფულის მასის ზრდას ამცირებს.
5. **სხვა მუხლები** - აქ შედის ყველა სხვა დანარჩენი მუხლი, რომელიც არ შედის ზემოთ მოცემულ 4 მუხლში. ასეთია წმინდა შეცდომები და გამორჩენები და გადაჯგუფებისას მორჩენილი სხვა მუხლები. როგორც წესი, ამ მუხლების ერთობლიობა რაოდენობრივად მნიშვნელოვანი ფაქტორი არაა.

დიაგრამა N 2.6



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 2.6 გვიჩვენებს ზემოთ მოყვანილი 5 მუხლის წლიურ ცვლილებას 2017 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით, რომელიც ჯამდება ფულის მასა M2-ის წლიურ ცვლილებამდე. შესაბამისად, ისინი ფაქტობრივ დონეზე ხსნიან ფულის მასის ცვლილების განმარტებულ ფაქტორებს. როგორც მოსალოდნელი იყო, და რაც ფულის შექმნის თანამედროვე აღწერასთან (ე.წ. ფულის შექმნის კრედიტის თეორიასთან) სრულად თავსებადია, ფულის მასის ცვლილებაში ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს მთელი პერიოდის განმავლობაში წარმოადგენს მოთხოვნები სხვა სექტორების მიმართ ეროვნულ ვალუტაში ანუ კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ ეკონომიკაზე გაცემული სესხები ეროვნულ ვალუტაში. შემდეგი ყველაზე თვალსაჩინო კომპონენტი მთელი პერიოდის განმავლობაში არის აქციები და სხვა კაპიტალი, რაც ასევე ლოგიკურია ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით კაპიტალის ცვლილება პირდაპირ ახდენს გავლენას M2-ზე. მაშინ როდესაც სესხების ზრდა ფულის მასას ზრდიდა, კაპიტალის ზრდა პირიქით - მას ამცირებდა.

როგორც მიღებული შედეგიდან ჩანს, ყველაზე საინტერესო არის 2020-2023 წლები. ზემოთ აღწერილი შესწორებული წმინდა უცხოური აქტივების ცვლილებიდან ჩვენ გამოვყავით ცენტრალური ბანკის წმინდა ინტერვენციები (აშშ დოლარის ყიდვას გამოკლებული აშშ დოლარის გაყიდვა) და იგი აღნიშნულია ღია მწვანედ. როგორც ვხედავთ, მთელი 2020 წლის და 2021 წლის ნახევარში ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე დოლარის გაყიდვას ფულის მასის ცვლილებაში საკმაოდ დიდი უარყოფითი წვლილი შეჰქონდა (აკავებდა ფულის მასის ზრდას), თუმცა მას აბალანსებდა მთავრობის მიერ უცხოური ვალუტის ოპერაციები, რომლითაც, დიდწილად, ბიუჯეტის დეფიციტი ფინანსდებოდა (რაც, პირიქით, აჩქარებდა

ფულის მასის ზრდას). რაც შეეხება 2021 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ეს ორი ეფექტი საპირისპიროდ მოქმედებდა, ცენტრალური ბანკის სავალუტო ინტერვენციები (დოლარის წმინდა შესყიდვა) M2-ის ცვლილებაზე დადებითად აისახებოდა, ხოლო შესწორებული წმინდა უცხოური აქტივების ცვლილებაზე მოქმედი სხვა ოპერაციები კი პირიქით - ფულის მასის ზრდას ამცირებდა.

ფულის მასის ზრდის ამ ძირითადი ფაქტორების (სესხები, ბიუჯეტის დეფიციტი და ცენტრალური ბანკის ინტერვენციები) რაოდენობრივ დონეზე გამოყოფით, შესაძლებელია, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ, თუ საიდან მოდის ფულის მასის ზრდა - მოთხოვნიდან თუ მიწოდებიდან. მაგალითად, მაშინ, როდესაც სესხების მაღალი ზრდა და ბიუჯეტის მაღალი დეფიციტი, როგორც წესი, ფულის მიწოდებად შეიძლება აღვიქვათ, ცენტრალური ბანკის სავალუტო ინტერვენციები, როგორც წესი, ფულზე მოთხოვნის ასახვაა. მაგალითად, როდესაც ლარის დეპოზიტებისადმი ნდობა იზრდება და ლარზე მოთხოვნა იმატებს, ამ დროს ინფლაციის შემცირებასა და ლარის კურსის გამყარებასაც ვხედავთ ხოლმე. ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციებით აშშ დოლარის შესყიდვა კი, სწორედაც, კურსის გამყარების პირობებში ხდება ხოლმე. შედეგად, გამოდის, რომ, როგორც წესი, სავალუტო ინტერვენციებით ფულის მასა მაშინ იზრდება, როცა ფულზე მოთხოვნაც იმატებს. ასეთ დროს მარტივად შეიძლება გვქონდეს სიტუაცია, როდესაც ფულის მასის ზრდა დაჩქარდა, ზუსტად მაშინ როდესაც ინფლაციაც შემცირდა და კურსიც გამყარდა, როგორც ეს 2023 წელს მოხდა. ცხადია, შესაძლოა, იყოს მაგალითი საპირისპირო მიმართულებითაც. ორივე მიმართულებით ასეთი მაგალითები კი ფულის მასასა და ინფლაციას შორის დადებით კორელაციას, დიდწილად, აქრობს.

2.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების (გამკაცრება, შერბილება, უცვლელად დატოვება) განხორციელება მონეტარული ოპერაციებით ხდება. მონეტარული ოპერაციების მიზანი ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს შენარჩუნებაა. ამ მიზნის მისაღწევად, ეროვნული ბანკი შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებს: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ღია ბაზრის ოპერაციები, მთავრობის ფასიანი ქაღალდები, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა.

ბანკთაშორისი სადეპოზიტო/საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს ფულად ბაზარს, სადაც ბანკები მოკლევადიანი ლიკვიდობით ვაჭრობენ. ეს ბაზარი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც ის მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ფუნქციონირებაში გადაწყვეტ როლს ასრულებს. საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენს.

ფულადი ბაზრის TIBR ინდექსი ერთდღიანი საპროცენტო განაკვეთის „ბენჩმარკს“ წარმოადგენს. იგი ბანკთაშორის ფულად ბაზარზე განხორციელებულ ფაქტიურ გარიგებებს ეფუძნება, რაც, იმავდროულად, ინდექსის მიმართ სანდოობას ზრდის. ასევე, ინდექსის საიმედოობას განაპირობებს ეროვნული ბანკის ჩართულობა ინფორმაციის შეგროვების და ინდექსის გაანგარიშების პროცესში. ბაზარზე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ინსტრუმენტების „ბენჩმარკად“ (განსაკუთრებით ლარის ცვლადგანაკვეთიან ინსტრუმენტებში) გამოყენებისათვის 2019 წლის 14 მარტიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა TIBR ინდექსზე დაფუძნებული ფულადი ბაზრის TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გამოქვეყნება დაიწყო, რომელიც საპროცენტო რისკების მართვის უფრო ეფექტური საშუალებაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთები (კუპონები, პროცენტები) სხვადასხვა ვადიანობისაა (თვე, კვარტალი, 6 თვე, წელი). განაკვეთების ცვალებადობით წარმოშობილი ფინანსური რისკების მართვისათვის კი შესაბამისი ვადიანობის დაზღვევის მექანიზმებია საჭირო და ფასწარმოქმნისათვის შესაბამისი ვადიანობის ინდექსებს საჭიროებს. ასეთი ინდექსები, თავის მხრივ, გამჭვირვალე მეთოდოლოგიას ეყრდნობა და ბაზრის მონაწილეები აღნიშნულ ინდექსებს, როგორც დამოუკიდებელ წყაროს, ენდობიან.

თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსის და TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გაანგარიშების მეთოდოლოგია ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების წესებს მოიცავს, რომელიც ფულადი ბაზრების მონაწილეებთან მჭიდრო თანამშრომლობით და EBRD-ის დახმარებით შემუშავდა. აღნიშნული მეთოდოლოგია მონაცემების კონტროლისა და მეთოდოლოგიის გადახედვის პროცედურასაც ითვალისწინებს. TIBR ინდექსები საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველდღიურად, დილის 9 საათზე ქვეყნდება.

2023 წელს ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით შესრულებული გარიგებების მოცულობა წინა წელთან შედარებით 22.3 პროცენტით გაიზარდა იყო და 4 6.85 მლრდ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებების ფონზე, 2023 წელს იცვლებოდა ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთებიც, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან ახლოს მოძრაობდა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების ფარგლებში და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მოკლევადიანი პროგნოზის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხების ყოველკვირეულ და ღია ბაზრის ერთდღიანი ინსტრუმენტების მოცულობებს განსაზღვრავდა. ეროვნული ბანკი ამ პროცესებს ისე მართავდა, რომ აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის სიახლოვეს შენარჩუნებულიყო.

2.2.1. რეფინანსირების სესხი

საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2023 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს იყენებდა. აღნიშნული ინსტრუმენტის მიზანი საბანკო სისტემისთვის ადეკვატური ლიკვიდობის მიწოდებაა. რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომია მოკლევადიან ლიკვიდობაზე საიმედო და დაბალრისკიანი წვდომა, რაც ფულად ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე დადებითად მოქმედებს. კერძოდ, ფულად ბაზარზე ლარის ლიკვიდობის რისკები და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა მცირდება, რაც

ბოლო ათწლეულის განმავლობაში TIBR საპროცენტო განაკვეთების დინამიკიდან თვალნათლივ ჩანს. ვინაიდან ეროვნული ბანკი ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელია, მას რეფინანსირების ინსტრუმენტით ბანკთაშორის ბაზარზე შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის მიღწევის საშუალება აქვს. აუქციონის მეშვეობით გაცემული რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს ეფუძნება.

2023 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და კომერციული ბანკების სასესხო აქტივები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი კრიტერიუმები (მაგ. მინიმალური მოცულობა, ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა და სხვა) იყო განსაზღვრული. 2023 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის კომერციული ბანკები გირაოს ყველა ჩამოთვლილ სახეობას იყენებდნენ.

2.2.2. ღია ბაზრის ერთგვიანი ინსტრუმენტი

სხვა მონეტარული ინსტრუმენტების მსგავსად, ერთგვიანი ინსტრუმენტის მიზანიც ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვაა, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა და შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის რეკომენდაციებთან. ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფი საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტს ყოველკვირეულად და ყოველთვიურად აფასებს, რომლის საფუძველზეც ღია ბაზრის ერთგვიანი ინსტრუმენტის კონკრეტულ მოცულობაზე აუქციონი ცხადდება. აუქციონზე ამ ინსტრუმენტის მინიმალური საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს ეფუძნება. გირაოდ კი იგივე ტიპის აქტივები გამოიყენება, რაც რეფინანსირების სესხების შემთხვევაში. 2023 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა სავალუტო ბაზარზე არსებული ჭარბი უცხოური ვალუტის შესყიდვის ოპერაციებს და ბაზარს აწვდიდა შესაბამისი ოდენობის ლარის ლიკვიდობას. ამის გამო, ფულად ბაზარს ნაკლები მოცულობით სჭირდებოდა დროებითი ლიკვიდობა საქართველოს ეროვნული ბანკიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის მაისიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეაჩერა ღია ბაზრის ერთგვიანი ინსტრუმენტის გამოყენება და დროებითი ლიკვიდობის საჭიროებისთვის ძირითადად იყენებდა რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს.

2.2.3. ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები

ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდის მიზნით, 2023 წელს ბანკთაშორის ბაზარზე, მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას აგრძელებდა, რაც ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევას უწყობდა ხელს. საპროცენტო განაკვეთის დერეფანი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიდან გადახრები საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრის ფორმირებისათვის. ზედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისათვის, ხოლო ქვედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტისთვის გამოიყენებოდა. 2023 წელს მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის დერეფანი 2.5 პპ-ს შეადგენდა – ერთდღიანი სესხების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 0.75 პპ, ხოლო ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1.75 პპ, რათა შენარჩუნებულიყო ბანკთაშორისი დეპოზიტების უპირატესობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიან დეპოზიტებთან შედარებით. საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენება ამცირებს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ჭარბ მერყეობას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის დაახლოებას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები საბანკო სექტორისათვის ლიკვიდობის ყველაზე სწრაფ, თუმცა, საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით უფრო მაღალი ფასით მიღების საშუალებას წარმოადგენდა. ერთდღიანი სესხებისათვის მოქმედებდა გირაოს იგივე ბაზა, რაც რეფინანსირების სესხებისათვის.

ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საკორესპონდენტო ანგარიშზე ეროვნული ვალუტით არსებული ჭარბი ლიკვიდობა დღის ბოლოს განათავსონ საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე, რომელიც საკორესპონდენტო ანგარიშზე შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისშივე უბრუნდებათ. აღნიშნულ ინსტრუმენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციისათვის.

2.2.4. ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები

პანდემიის პირობებში, 2020 წელს საფინანსო სექტორში ლიკვიდობის შესაძლო რისკების მინიმიზირების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის დროებითი ინსტრუმენტები აამოქმედა: სავალუტო სვოპი, მუდმივმოქმედი სავალუტო სვოპი და მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მიწოდების ინსტრუმენტი.

მუდმივმოქმედი სვოპის ინსტრუმენტი

2020 წლის მაისიდან საბანკო სექტორისათვის დამატებითი ლიკვიდობის მხარდაჭერის მეორე ინსტრუმენტად ეროვნულმა ბანკმა ბაზარს შესთავაზა და აამოქმედა მუდმივმოქმედი სვოპი, რომელიც ლიკვიდობის რისკის დაზღვევის ფუნქციას ასრულებდა და რომლითაც კომერციულ ბანკებს საშუალება ჰქონდათ ნებისმიერ დღეს ლარის დამატებითი ლიკვიდობა საჯარიმო საპროცენტო განაკვეთით მიეღოთ. შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, 2023 წელს აღნიშნული ინსტრუმენტით არცერთ კომერციულ ბანკს არ უსარგებლია.

ლიკვიდობის ინსტრუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად

2020 წლის ივნისიდან, ეკონომიკაზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნითა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის დამატებითი მესამე ინსტრუმენტი ამოქმედდა. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად შექმნილი ლიკვიდობის ინსტრუმენტის ვადიანობა ერთთვიანი იყო, ყოველთვიური განახლების შესაძლებლობით. 2023 წელს აღნიშნული ინსტრუმენტი ექვსმა კომერციულმა ბანკმა გამოიყენა. ლიკვიდობის საჭიროებიდან გამომდინარე, ინსტრუმენტის მოცულობა თვეების განმავლობაში იცვლებოდა, მაქსიმალურმა მაჩვენებელმა წლის დასაწყისში 314.1 მლნ ლარი, ხოლო მისმა მინიმალურმა მაჩვენებელმა 21.7 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წელს ამ მექანიზმით ლიკვიდობის მიწოდება ეტაპობრივად მცირდებოდა, ლიკვიდობის მართვის აღნიშნული მექანიზმი 2023 წლის ბოლომდე მოქმედებდა.

2.2.5. ფასიანი ქაღალდები


2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი 3 თვის ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, ხოლო საქართველოს მთავრობა 6 თვის, 1, 3 5, 7 და 10 წლის ნარჩენი ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქაღალდებს უშვებდა. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები კომერციული ბანკების მხრიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა და მათ ხელი შეუწყვეს ლარის შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. ეს მრუდი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ.

სადეპოზიტო სერტიფიკატები

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებდა 3-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოიყენა როგორც ლიკვიდობის მართვის მიზნით და ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი.

2023 წლის განმავლობაში გამოცხადებული 13 აუქციონიდან კომერციულმა ბანკებმა ყველა აუქციონზე სრული ოდენობით შეიძინეს გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა და ამავე ღირებულების - დაიფარა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 60 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს 4 კომერციული ბანკი ფლობდა.

დიაგრამა N 2.7 სადებოზიტო სერტიფიკატების პორტფელის დინამიკა 2018-2023 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახელმწიფო ობლიგაციები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკი 152 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებს ფლობდა, რომლებიც წლის განმავლობაში ღია ბაზრის ოპერაციებისათვის არ გამოყენებულა.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები


ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების მოცულობის ზრდა. 2023 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 6 თვიანი და 1 წლიანი ნარჩენი ვადიანობების დისკონტური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ვალდებულებებისა - და 3, 5, 7, და 10 წლიანი ნარჩენი ვადიანობის კუპონური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ობლიგაციების - ემისიას ახდენდა. ფასიანი ქაღალდების ემისია ეროვნული ვალუტით, დემატერიალიზებული ფორმით ხდებოდა. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება 1,000 ლარია. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სისტემის აუქციონის პლატფორმის გამოყენებით ხორციელდება. აუქციონში მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს, ხოლო მათი მეშვეობით კი, ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შეუძლია.

2023 წელს სახაზინო ფასიანი ქაღალდების 66 აუქციონი ჩატარდა, რომელთა მეშვეობით 2.9 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები განთავსდა. 2023 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული 8.1 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი 14 კომერციული ბანკი, ეროვნული ბანკი, ასევე არასაბანკო ინვესტორები იყვნენ. არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში 1175.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყო.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ეკონომიკის ზომასთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირეა. ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობამ 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი „ბენჩმარკ“ ობლიგაციების გამოშვება 2018 წლიდან დაიწყო. ამან სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის გაზრდა განაპირობა, რაც დეფიციტის დაფინანსებისთვის აღებული საგარეო ვალით წარმოშობილი სავალუტო რისკების შემცირებას უწყობს ხელს.


დიაგრამა N 2.8 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2018-2023 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდები ძირითადად რეზიდენტების მფლობელობაშია. რეზიდენტების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,904 მლნ ლარი შეადგინა. ხოლო არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 234 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 2.9 სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა მფლობელობის მიხედვით 2018-2023 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი საკუთარი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციებით შექმნილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემისა (GSSS)“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას აგრძელებდა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია ბანკთაშორისი რეპო ბაზარი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და კომერციული ბანკების თანხმობით შექმნილ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულებას ეფუძნება. რეპო გარიგება არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, შემდგომში იმავე ან ექვივალენტური ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან მიყიდვის ვალდებულებით. რეპო გარიგებების დადებისათვის ბანკები „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემას და „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (GSSS) სისტემას“ იყენებდნენ. აღნიშნული სისტემების მეშვეობით, 2023 წელს კომერციულ ბანკებს შორის 3,175.5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდებით 33 რეპო გარიგება განხორციელდა.

ფინანსური ბაზრის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს კომპანია "ბლუმბერგთან". ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბლუმბერგის პლატფორმა აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული ბანკის, ისე ადგილობრივი ბაზრის მონაწილეების მიერ. 2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკების აქტიური მონაწილეობით ბანკთაშორის ბაზარი ახალ E-Bond პლატფორმაზე გადავიდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც დაინერგა ბლუმბერგის ეს ახალი პლატფორმა. ბლუმბერგის E-Bond პლატფორმის საშუალებით ადგილობრივი ბაზრის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ რეპო ოპერაციები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განახორციელონ. E-Bond პლატფორმა ბაზარს უზრუნველყოფს რეპო გარიგებების დადებისათვის

ყველა აუცილებელი მექანიზმით, ფასების კოტირებით, ანალიტიკური მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ პლატფორმა, დაცული ინტერფეისის საშუალებით, ინტეგრირებულია ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ადგილობრივ GSSS (Georgian Securities and Settlement System) სისტემასთან, რომლის მეშვეობითაც დადებული გარიგებების სწრაფი და უსაფრთხო ანგარიშსწორება ხორციელდება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების კარგ საფუძველს იძლევა, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის პირველადი დილერების სისტემის საპილოტე პროგრამის მიმდინარეობა

სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების და მთავრობის ვალის მართვის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ბოლო წლებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა ეტაპობრივად იზრდება. 2018 წლიდან ე.წ. „ბენჩმარკ“ ბონდების გამოშვება და მოცულობების ეტაპობრივი ზრდა დაიწყო.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად, ინვესტორთა ბაზის გაფართოებისა და მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული პირველადი დილერის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. პირველადი დილერის ინსტიტუტს შეუძლია მნიშვნელოვანი შუამავლის როლი შეასრულოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა, და ინვესტორებს შორის. თავის მხრივ, მთავრობის ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას. პირველადი დილერები ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციასა და მეორადი ბაზრის ლიკვიდურობის ზრდაზე ფასების რეგულარული განახლებით და შესაბამისი სავაჭრო და საანგარიშსწორებო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით იზრუნებენ.

საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, ბოლო წლებში პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები. ერთობლივად მომზადდა და ბაზრის მონაწილეებთან განხილულ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი. საბოლოოდ, საქართველოში მოქმედმა ექვსმა კომერციულმა ბანკმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო პირველადი დილერის საპილოტე პროგრამაში და მათთან ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა. საპილოტე პროგრამა 2020 წლის ნოემბერში დაიწყო და საწყის ეტაპზე მისი მოქმედების საორიენტაციო ვადა მინიმუმ 1-1.5 წლით განისაზღვრა. პერიოდულად წარმოებს საპილოტე პროგრამის მიმდინარეობის შეფასება, ხოლო მისი შემდგომი განვითარების კვალობაზე საპილოტე პროგრამის შედეგები შეჯამდება და განვითარების სამომავლო გეგმები დაისახება. 2023 წლის განმავლობაში პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში მონაწილეობას აგრძელებდა ოთხი კომერციული ბანკი.

ეროვნული ბანკის ოპერაციები მეორად ბაზარზე

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად მუშაობს მონეტარული ინსტრუმენტებისა და ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს დახვეწასა და განვითარებაზე. ღია ბაზრის ოპერაციების მეშვეობით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და ის ლიკვიდობის მართვის ამოცანას ემსახურება.

2023 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ღია ბაზრის ოპერაციების ფარგლებში ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე შესყიდვას აგრძელებდა. აღნიშნული ოპერაციების მიზანი ლარის ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესება და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა იყო. 2023 წლის აგვისტოში, ლიკვიდობაზე მოთხოვნის დაბალი დონიდან გამომდინარე, სებ-მადროებით შეწყვიტა მეორად ბაზარზე ფასიანი ქაღალდების შეძენა.

2023 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა 8 აუქციონი ჩაატარა და ჯამში 480 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყიდა. აქედან, 2023 წლის განმავლობაში დაფარული, აგრეთვე წინა წლებში შეძენილი ფასიანი ქაღალდების ნაშთების გათვალისწინებით, 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ეროვნული ბანკის მფლობელობაში არსებულმა ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2,388.6 მლნ ლარი შეადგინა. 2022 წლის ბოლოს აღნიშნული პორტფელის მოცულობა 2,043.8 მლნ ლარი იყო.

2.2.6. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით საქართველოს ეროვნული ბანკი დანარჩენი მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების წინაპირობას ქმნის. ბოლო პერიოდში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ლარით მოზიდული სახსრებისთვის არ შეცვლილა. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის 2023 წლის დეკემბრამდე 10-25 პროცენტის ფარგლებში იყო, ხოლო 2023 წლის დეკემბრიდან 10-20 პროცენტი გახდა, რაც დამოკიდებულია თითოეული კომერციული ბანკის, დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტზე. კერძოდ, რაც უფრო მაღალია თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაცია, მით მეტია ამ ბანკისთვის სარეზერვო მოთხოვნა. მეორე მხრივ, ნარჩენი ვადიანობების მიხედვით, ეროვნული ვალუტით 1 წელზე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტით 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები სარეზერვო მოთხოვნებისაგან გათავისუფლებულია.

2023 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი შესაბამის პერიოდში მონეტარული პოლიტიკის არსებულ განაკვეთს³² არიცხავდა. ხოლო უცხოურ ვალუტაზე არიცხავდა 0 (ნულ) პროცენტს.

2.2.7. საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება

საქართველოს ეროვნულ ბანკში ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა 2010 წლიდან მოქმედებს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მართვის და ოპერაციების თანამედროვე,

³² დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე:
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558>

მაღალტექნოლოგიური, სწრაფი და დაცული ელექტრონული სისტემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს უზრუნველყოფდა.

2018 წლის 3 დეკემბრიდან ამოქმედდა და 2023 წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების განახლებული სისტემა (Georgian Securities Settlement System – GSSS). ახალი სისტემით ფინანსური ბაზრის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაწილეებს მაღალი სტანდარტების სრულფასოვანი მომსახურება მიეწოდება. ამ სისტემით როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება სრულდება. ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციები უფრო სწრაფი, იაფი, მოსახერხებელი და სრულად დაცული გახდა. პროექტი ეროვნული ბანკის და კერძო საფინანსო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. GSSS სისტემა თავისი ფუნქციებით ინოვაციურია და ისეთ თანამედროვე მიდგომებს მოიცავს, როგორებიცაა ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი მექანიზმები, ნაწილობრივი გადახდები, საპირისპირო ტრანზაქციების გაქვითვა (ნეტ ანგარიშსწორების პრინციპით), ავტომატური დაგირავების და დღის შიდა სესხების მოქნილი მექანიზმები. GSSS სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად ჩართულები არიან საბროკერო კომპანიები, რაც მათ სრულიად ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. სისტემა ინტეგრირებულია როგორც საფონდო ბირჟის, ასევე ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმებთან, რაც ვაჭრობის და ანგარიშსწორების მთლიანი ციკლის ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. შედეგად, გარიგების დადებიდან მის ანგარიშსწორებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი გადის. ახალი სისტემის დანერგვით განახლდა მოქმედი პროცედურები და ანგარიშსწორების წესები, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს ეფუძნება. ინვესტორების ფასიანი ქაღალდები უფრო საიმედოდ იქნება დაცული და საჭიროებისამებრ მათი ფულად გადაქცევა (გაყიდვის, დაგირავების ან რეპო ოპერაციების გზით) უფრო ადვილი და მოსახერხებელი ხდება. ეს კი უდავოდ ზრდის ქართული კაპიტალის ბაზრის მიმზიდველობას როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

ანგარიშსწორების განახლებული GSSS სისტემით ასევე შესაძლებელი გახდა მასში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილისათვის მომსახურების გაწევა, ამ სისტემაში საქართველოში ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდის (კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების და აქციების ჩათვლით) რეგისტრაცია და ანგარიშსწორება. სრულად ავტომატიზებული ხდება ამ სისტემაში რეგისტრირებული კერძო ფასიანი ქაღალდის გამოშვების, დაფარვის, ყიდვა-გაყიდვის, რეპოს, კუპონისა და დივიდენდის ანგარიშსწორების ოპერაციები, ასევე მათი ეროვნულ ბანკში და/ან ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს შორის დაგირავება.

განახლებული GSSS სისტემა ხელს უწყობს უცხოური საფინანსო ინსტიტუტების და ინვესტორების საქართველოს ფინანსურ ბაზრებით დაინტერესებას, ვინაიდან ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა უფრო საიმედო და თანამედროვე გახდა.

2.3. სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკა

საქართველოში, როგორც მცირე ზომის ღია ტიპის ეკონომიკაში მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებს. ამ რეჟიმის დროს, გაცვლითი კურსი ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებისა და, შესაბამისად, მაკროეკონომიკური ფუნდამენტური ფაქტორების საფუძველზე ყალიბდება.

საქართველოსათვის მცურავი გაცვლითი კურსი ოპტიმალური სავალუტო რეჟიმიია. ინფლაციის თარგეთირებისა და კაპიტალის თავისუფალი მობილობის პირობებში საჭიროა მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფუნქციონირება. ერთი მხრივ, აუცილებელია კაპიტალის თავისუფალი მობილობა, რადგანაც ეს ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდასა და, შედეგად, ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას უწყობს ხელს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის არსებობა, რათა მონეტარული პოლიტიკის რეაგირება საქართველოს ეკონომიკური ციკლების შესაბამისად წარიმართოს. დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა მიზანშეწონილია, რადგანაც საქართველოს ეკონომიკური ციკლები არ ემთხვევა სხვა განვითარებული ქვეყნების, მათ შორის აშშ-ს, ეკონომიკურ ციკლებს. დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა ანელებს ბიზნეს ციკლით გამოწვეულ ეკონომიკურ მერყეობას. შედეგად, ინფლაცია და დასაქმება უფრო სტაბილურია, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობაა.


2023 წლის განმავლობაში სავალუტო კურსის მკვეთრი რყევების შემცირების მიზნით და საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შესანარჩუნებლად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინტერვენციები ხორციელდებოდა, სავალუტო აუქციონების და BMatch პლატფორმის მეშვეობით. საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ბანკი აქტიურად იყენებდა 2020 წელს ამოქმედებულ BMatch პლატფორმას. BMatch პლატფორმაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციები წესებზე დაფუძნებულია და წინასწარ განსაზღვრული ოდენობის და პირობის ფარგლებში ხორციელდება. 2023 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ BMatch პლატფორმის მეშვეობით ძირითადად განხორციელდა უცხოური ვალუტის შესყიდვის ოპერაციები და შესყიდვის წმინდა მოცულობამ 1,445.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონების მეშვეობით, 2023 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკმა 166.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ამდენად, საანგარიშო წელს, ეროვნულმა ბანკის წმინდა შესყიდვებმა მთლიანობაში 1,278.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი საანგარიშო პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გამყარდა. 2023 წელს ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 14.8 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი წლიურად 2.1 პროცენტით გამყარდა.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობა, გასულ წელთან შედარებით, 108.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5.01 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა N 2.10 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 1997-2023 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დინამიკაზე 2023 წელსაც, ტრადიციულად, რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები, საქართველოს მთავრობის ვალის მომსახურება და სავალუტო ხარჯები, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები, სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების ცვლილება. 2023 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ნეტო მყიდველი იყო - წმინდა ყიდვები სავალუტო აუქციონებისა და Bloomberg-ის Bmatch პლატფორმის მეშვეობით 1.28 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. 2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან სხვადასხვა პროგრამების და პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ უცხოური ვალუტით ეროვნულ ბანკში მიღებული გრანტებისა და სესხების ოდენობა დაახლოებით 468.5 მლნ აშშ დოლარი იყო. საანგარიშო წელს, საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შემცირება, კომერციული ბანკების სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების კლებაამც განაპირობა. კერძოდ, 2023 წელს დეპოზიტების დოლარიზაცია მნიშვნელოვნად მცირდებოდა. იქედან გამომდინარე, რომ სავალდებულო სარეზერვო ნორმების დაცვა დეპოზიტების დოლარიზაციაზეა დამოკიდებული, ბანკების მიერ მინიმალური სავალდებულო რეზერვებით დასაცავი თანხის მოცულობა შემცირდა, რამაც, თავის მხრივ, სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების კლება გამოიწვია და საერთაშორისო სავალუტო რეზერვები შეამცირა. გარდა ამისა, 2023 წლის დეკემბრიდან უცხოური ვალუტის მოკლევადიან ვალდებულებებზე სარეზერვო ნორმის ზედა ზღვარი 25 პროცენტიდან 20 პროცენტამდე შემცირდა, რამაც დამატებით სავალუტო რეზერვები უფრო შეამცირა. აღნიშნული ორივე ფაქტორის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვები 2023 წელს 573 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ამავდროულად, სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებამ და სავალუტო ხარჯებმა დაახლოებით 1,354.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა კვლავინდებურად კონსერვატიული და საკრედიტო რისკების შემცირებაზე ორიენტირებული იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განთავსებული იყო აშშ-ს, ევროზონის ქვეყნების, კანადის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებში, ამავე ქვეყნების სახელმწიფო სააგენტოებისა და სუპრანაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიან ქაღალდებსა და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში. 2023 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვიდან მიღებულმა შემოსავალებმა 391.6 მლნ ლარი შეადგინა. რეზერვების შემოსავლიანობის დინამიკა 2023 წლის განმავლობაში გლობალური მასშტაბით საპროცენტო განაკვეთების ზრდით იყო განპირობებული.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა მსოფლიო ბანკთან სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობას. ეროვნული ბანკი ამ პროგრამის წევრი 2009 წელს გახდა და ის ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას ეროვნულ ბანკში საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს შემდგომი განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ცოდნის დაგროვების მიზნით ასევე მოიცავს პორტფელისა და რისკების მართვის, ანგარიშსწორების, ბუღალტრული აღრიცხვის, სამართლებრივ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოცდილების გაზიარებას.

2023 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) თანამშრომლობა, რომლის საინვესტიციო პროგრამაში BIS Investment Pool (BISIP) საქართველოს ეროვნული ბანკი 2014 წლის ბოლოს ჩაერთო. აღნიშნული პროგრამა სხვადასხვა ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ერთ პორტფელში გაერთიანებული სახსრების მართვას გულისხმობს. BISIP-ის პროგრამა ასევე რეზერვების მართვის სფეროში დახმარებას და გამოცდილების გაზიარებას მოიცავს.

3. ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა

ფინანსური სტაბილურობის, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის მანდატს წარმოადგენს, თუკი ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ მოდის ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატის, ფასების სტაბილურობის, შესრულებასთან. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფინანსურ სისტემას შესწევს უნარი ბაზრის მონაწილეებს შეუფერხებლად მიაწოდოს მომსახურება როგორც კარგ, ასევე სტრესის პირობებში.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომელსაც სებ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში მაკროპრუდენციულ პოლიტიკას უწევს კოორდინაციას. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი სისტემურ რისკებსა და მათი შემცირების გზებს აფასებს და აანალიზებს, შესაბამისი მაკროპრუდენციული ზომების გატარების შესახებ გასცემს რეკომენდაციებს და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფად საჭირო ღონისძიებებს უწევს კოორდინაციას.

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრცკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. ბუფერის კონტრცკლურობა ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს, შეამციროს ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები. უარყოფითი შოკების დროს კონტრცკლური ბუფერი ფინანსურ სისტემას უნდა დაეხმაროს, რომ ეკონომიკის დაკრედიტება მკვეთრად არ შეიზღუდოს და ამით როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა დამატებით არ გაუარესდეს. კონტრცკლური ბუფერის დაწესების განახლებული ჩარჩოს³³ შესაბამისად, 2023 წლის მარტში ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა კონტრცკლური ბუფერის ნეიტრალური (საბაზისო) განაკვეთის 1%-ზე დაწესების გადაწყვეტილება მიიღო, რაც გულისხმობს იმას, რომ ბუფერის განაკვეთი ნორმალურ პირობებში 1 პროცენტი იქნება. აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად თავდაპირველად ბანკებს 12 თვიანი ვადა განესაზღვრათ, თუმცა, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების ფონზე კონტრცკლური ბუფერის დაგროვება ეტაპობრივად მოხდება და ბანკებს ნეიტრალური კონტრცკლური ბუფერის დაგროვება შემდეგი განრიგით მოეთხოვებათ: 2024 წლის 15 მარტისთვის - 0.25 პროცენტი, 2025 წლის 15 მარტისთვის - 0.5 პროცენტი, 2026 წლის 15 მარტისთვის - 0.75 პროცენტი, 2027 წლის 15 მარტისთვის - 1 პროცენტი. კონტრცკლური ბუფერის ციკლური მოთხოვნა კი საკრედიტო აქტივობის მიხედვით განისაზღვრება. რაც დამოკიდებულია

³³ nbg.gov.ge/fm/ფინანსური_სტაბილურობა/კომიტეტის_გადაწყვეტილებები/eng/fsc-pressrelease-q4-eng.pdf?v=3hj3u

ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა მთლიან შიდა პროდუქტთან სესხების ფარდობის და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის სხვადასხვა მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები და სხვა.

გარდა კონტრციკლური ბუფერისა, მაკროპრუდენციული პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე კაპიტალის სხვა ბუფერებსაც იყენებს, რომლებიც დანერგილია ბაზელ III-ის ჩარჩოსთან დაახლოების ფარგლებში. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებია, ასევე, სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები, სექტორული რისკის წონები და სხვა ინსტრუმენტები.

ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს მუშაობას ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონით გამოწვეული სტრუქტურული რისკების შესამცირებლად. სებ-ის მიერ გატარებული ღონისძიებების ფონზე დოლარიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა დოლარიზაცია და მასთან დაკავშირებული რისკები ფინანსური სექტორისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ, უმეტესად ცვლადგანაკვეთიან სესხებს, თან ახლავს საპროცენტო და გაცვლითი კურსის რისკები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა უცხოურ ვალუტაში არაპეჯირებული მსესხებლების მაღალი წილისა და რეგიონის ვალუტების გაცვლითი კურსის გაზრდილი მერყეობის პირობებში. დოლარიზაციით გამოწვეული რისკების შერბილების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა დამატებითი მოთხოვნა დაუწესა რეგულირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს. 2024 წლის 1 იანვრიდან, არაპეჯირებული უცხოური ვალუტის სესხზე ლიმიტი 300,000 ლარამდე გაიზარდა. იმისთვის, რომ სტრუქტურული რისკების შემცირება მომავალშიც შეუქცევადად გაგრძელდეს, სებ-ი, ბანკებთან შეთანხმებით, ლიმიტს ეტაპობრივად გაზრდის არსებული მაკროეკონომიკური გარემოსა და რისკების გათვალისწინებით.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის შერბილების პარალელურად სამომხმარებლო სესხების გაცემის პირობებიც შემსუბუქდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წელს არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების ზრდის მაჩვენებელი შემცირდა 2022 წელთან შედარებით, ხოლო საკრედიტო აქტივობა მდგრად დონეზე ნარჩუნდება, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2023 წლის 1 ნოემბრიდან ამ ტიპის სესხების მაქსიმალური ვადის ლიმიტი 3 წლიდან კვლავ 4 წლამდე გაიზარდება.



ბოლო წლებში უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც ერთი მხრივ, გაზრდილი მოთხოვნით, ხოლო მეორე მხრივ, მშენებლობის მომატებული ხარჯებით იყო განპირობებული. რუსეთის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ქვეყანაში გაზრდილი მიგრაციის შედეგად უძრავ ქონებაზე მოთხოვნამ მოიმატა, რაც განსაკუთრებით აისახა ბინის ქირის ფასის ზრდაში, თუმცა 2023 წლის მეორე ნახევრიდან ეს ეფექტი შესუსტდა. 2023 წლის აპრილის მდგომარეობით, უძრავი ქონების ბაზარზე ქირის ფასი მის გრძელვადიან ტრენდს დაახლოებით 30%-ით აღემატებოდა, რის გამოც ეროვნულმა ბანკმა რეკომენდაციის სახით ფინანსურ ინსტიტუტებს მიუთითა, რომ დაკრედიტებისას ქირიდან მისაღები შემოსავლების სტაბილურობის შეფასების დროს გაითვალისწინონ აღნიშნული დინამიკა.

2023 წლის მაისში ფინანსური სტაბილურობის ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა სისტემური ბანკებისთვის დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური

მოთხოვნა (MREL) დააწესა. აღნიშნული რეგულაციის დაწესების რეკომენდაცია 2021 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული ფინანსური სექტორის შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში იქნა გაცემული და იგი ევროპის ბანკის გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივის (BRRD) ჩარჩოს მიერ გათვალისწინებულ საერთო პრაქტიკას ემყარება. MREL მოთხოვნის მიზანია, ბანკების მიერ წინასწარ ბალანსის იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც სტრესულ სიტუაციაში რეკაპიტალიზაციის გზით ბანკის მდგრადობას შეუწყობს ხელს.

საქართველოს ფინანსური სისტემა მდგრადობას ინარჩუნებს და ეკონომიკის დაკრედიტებას კვლავაც შეუფერხებლად განაგრძობს. 2023 წლის მონაცემებით, ბანკებს კაპიტალის და ლიკვიდობის ჯანსაღი მაჩვენებლები აქვთ. გასულ წელთან შედარებით, გაუმჯობესებულია აქტივების ხარისხიც. 2023 წლის დეკემბერში სესხების წლიურმა ზრდამ, გაცვლით კურსის ეფექტის გამორიცხვით, 17.2% შეადგინა, რაც მნიშვნელოვანწილად, ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული. 2023 წლის მეოთხე კვარტალის მონაცემებით, სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა გრძელვადიან ტრენდს ეტაპობრივად უახლოვდება. გასული წლის დასაწყისთან შედარებით, სესხების მშპ-თან ფარდობის უარყოფითი გაპი მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაც მაღალი ეკონომიკური ზრდის ნორმალიზებისა და მდგრადი საკრედიტო აქტივობის ასახვაა.

დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება



*სესხები მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებსა და ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.

**სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სესხების მშპ-თან ფარდობის სხვაობას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

3.1. ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება ფინანსური სტაბილურობის მანდატის ნაწილია, ფინანსური სტაბილურობა კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის საკითხების და მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტუალობა მსოფლიოში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, გაიზარდა. 2023 წელს გლობალურად გაზრდილი ინფლაციისა და გამკაცრებულმა ფინანსური პირობების ფონზე მომატებულმა ფინანსურმა რისკებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელობა. ფინანსური სტაბილურობის გამართული და ქმედითი ჩარჩო ეკონომიკური დაღმასვლის პერიოდშიც კი ფინანსური რესურსების შეუფერხებლად მიწოდებას უზრუნველყოფს და ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით, საჭიროა ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საბანკო სექტორის რისკების შეფასებას, არამედ საგარეო ფაქტორების გათვალისწინებასაც, რომლებიც, როგორც ბოლო წლებმა დაგვანახა, შესაძლოა მნიშვნელოვანი რისკების წყარო აღმოჩნდეს. ფინანსური სტაბილურობა, ასევე, ითვალისწინებს მაკროფინანსურ გარემოს, შინამეურნეობებს, კომპანიებსა და არასაბანკო ინსტიტუტებს.

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებას და განვითარებას ეროვნული ბანკი სხვა ცენტრალური ბანკების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით ახორციელებს, რისთვისაც ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, პირველ ეტაპს, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური ინდიკატორების შემუშავება და განვითარება წარმოადგენდა. აღნიშნული ინდიკატორები გამოიყენება ციკლური მაკროპრუდენციული პოლიტიკის შესამუშავებლად. შემდგომ ეტაპზე კი ეროვნულმა ბანკმა მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია³⁴ გამოაქვეყნა. აღნიშნული სტრატეგია ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს ასახავს და მიზნად გადაწყვეტილების მიღების პროცესის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი მუდმივ რეჟიმში მუშაობს ანალიტიკური ინსტრუმენტების განვითარებაზე. აღნიშნული ინსტრუმენტები როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ასევე ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს ეფუძნება. ამ მხრივ, აღსანიშნავია 2020 წელს ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტში მომზადებული კვლევითი ნაშრომი,³⁵ რომელმაც სისტემური რისკების დროულად გამოვლენის უზრუნველსაყოფად და, ამგვარად, მაკროპრუდენციული პოლიტიკის სანდო სახელმძღვანელოს ჩამოსაყალიბებლად, ანალიტიკური ინსტრუმენტები შეიმუშავა.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია მაკროფინანსური მოდელირება. ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მაკროფინანსური მოდელის განვითარებაზე, რომლის მიზანია ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის რისკების ანალიზი; მაკროფინანსური სცენარების გენერირება და ანალიზი; მაკროეკონომიკური სტრეს-ტესტების ჩატარება; ეს ყველაფერი შესაბამისი მაკროპრუდენციული პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ქვაკუთხედი. ფინანსური სისტემის განვითარება და ამ განვითარების თანმდევი გამოწვევები მაკროფინანსური მოდელის გამოყენების არეალს აფართოებს და მის მიმართ მზარდ მოთხოვნებს წარმოშობს. შესაბამისად, მაკროფინანსური მოდელის განვითარება და დახვეწა უწყვეტი პროცესია, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ დახმარებას.

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გამჭვირვალობის ზრდა და კომუნიკაციის გაუმჯობესებაა. ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად განახლების რეჟიმშია. კერძოდ, მოცემულია ინფორმაცია ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ამოცანებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ; ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომების კალენდარი, კომიტეტის განცხადებები და გადაწყვეტილებები; *ფასს 9* სთან³⁶ დაკავშირებული საკითხები; მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შესახებ ინფორმაცია და სხვა.

³⁴ იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=738>

³⁵ „საკრედიტო გეპის შეფასება საქართველოში მაკროპრუდენციული პოლიტიკის სახელმძღვანელოდ“ იხილეთ: bit.ly/36me1EE

³⁶ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (*ფასს 9*).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების *ფასს 9* სტანდარტზე ეფექტურ გადასვლას უწყობს ხელს. ფინანსური კომპანიების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოების, ასევე ურითიერთშესაძარობის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული ბანკი *ფასს 9*-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს რისკ-სცენარების დამუშავებას ახორციელებს და მაკროეკონომიკური ტენდენციების რაოდენობრივ შეფასებას³⁷ რეგულარულად აქვეყნებს, რომელიც შემდგომ, შესაძლოა, ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას იქნეს გამოყენებული. *ფასს 9*-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარები მაკრო-ფინანსურ მოდელს ეფუძნება და, ასევე, დამატებით ანალიზსა და ექსპერტულ შეფასებებს ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სცენარები თავისი შინაარსით კონტრციკურია, რაც შესაძლო ფინანსური ციკლების შერბილებას უწყობს ხელს. 2023 წელს, ისეთი საგარეო გამოწვევების პირობებში, როგორებიცაა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაციული ნაკადი და ფინანსური შემოდინებები და გლობალურად გაზრდილი ინფლაციის ფონზე გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, ფინანსური ინსტიტუტების მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაციით დროულად უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულმა ბანკმა საპროგნოზო სცენარების ორი განახლება გამოაქვეყნა. აღნიშნულმა, ფინანსურ კომპანიებს შესაძლებლობა მისცა, დროულად აესახათ მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებებში.

ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი ფინანსური სისტემა, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების მართვას და, ამასთანავე, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის სექტემბრიდან მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელის (Sustainable Banking and Finance Network, SBFN) წევრია და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე აქტიურად მუშაობს.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევით³⁸ განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას აერთიანებს, რომელთა გატარებაც ეროვნული ბანკის მიერ 2023 წლის ბოლომდე იყო დაგეგმილი. 2024 წელს ეროვნული ბანკი ახალ მდგრადი დაფინანსების გზამკვლევს შეიმუშავებს, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის სამოქმედო გეგმას და განსახორციელებელ ღონისძიებებს გააერთიანებს. გზამკვლევის მთავარი მიზანია, შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს.

კორპორაციული მართვის კოდექსით (CG Code) დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად, 2023 წელს ბანკებმა ESG ინფორმაცია ეროვნული ბანკის შაბლონის გამოყენებით მესამედ გაამჟღავნეს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ 2021-2023 წლებში შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე³⁹ გამოქვეყნებული. მსგავს ანგარიშგებას ბანკები ყოველწლიურად გააკეთებენ, რაც,

³⁷ იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=694>

³⁸ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-roadmap>

³⁹ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure>

თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მესამე ანგარიში გამოაქვეყნა. ეს უკანასკნელი ყოველწლიური გამოცემაა, რომელიც 2021 წლიდან ეროვნული ბანკის ვებგვერდზე⁴⁰ ქვეყნდება. მასში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა. აღნიშნულის ფარგლებში გაანალიზებულია ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები, აღწერილია მიმდინარე და უახლოეს პერიოდში დაგეგმილი პროექტები და შეჯამებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია საქართველოში მწვანე და მდგრადი ობლიგაციების გამოშვებისა და ზოგადად, კაპიტალის ბაზრის ტენდენციები ამ მიმართულებით.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის⁴¹ შემუშავება წარმოადგენს, რაც ეროვნული ბანკისთვის მდგრადი დაფინანსების გზამკვლევით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაბიჯია. ამ მიმართულებით საერთო განმარტებებისა და კლასიფიკაციის სისტემების ნაკლებობა მდგრადი დაფინანსების განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევადაა აღიარებული. სწორედ ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია⁴² და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი (ტაქსონომიის რეგულაცია)⁴³ დაამტკიცა. ტაქსონომიის რეგულაცია ოფიციალურად განმარტავს მწვანე, სოციალურ და მდგრად სესხებს და კომერციულ ბანკებს ტაქსონომიასთან შესაბამისი სესხების ანგარიშგების მოთხოვნებს უწესებს. რეგულაციის მიხედვით, 2023 წლიდან კომერციულმა ბანკმა სესხს მწვანე, სოციალური ან/და მდგრადი შეიძლება უწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში განსაზღვრულ ტექნიკურ კრიტერიუმს. გარდა ამისა, ბანკები ვალდებული არიან მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება მწვანე სესხის თვიური ანგარიშგების ტაქსონომიის რეგულაციით განსაზღვრული ფორმით მოახდინონ. ასევე, პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში⁴⁴, მწვანე/სოციალურ/მდგრად სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება ტაქსონომიის რეგულაციასთან შესაბამისად უნდა მოხდეს. ყოველივე ეს საქართველოში მწვანე სესხების შესადარისი და თანმიმდევრული მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს და მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ეროვნულმა ბანკმა 2023 წელს საქართველოს საფინანსო სექტორისთვის დაფინანსებული ემისიების გამოთვლისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი შეიმუშავა. აღნიშნული პროექტი German Sparkassenstiftung for International Cooperation-თან თანამშრომლობით განხორციელდა.

⁴⁰ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-in-georgia>

⁴¹ მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს და აკლასიფიცირებს ისეთ საქმიანობებსა და ეკონომიკურ აქტივობებს, რომელთაც გააჩნია დადებითი გარემოსდაცვითი ან/და სოციალური ზეგავლენა.

⁴² იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-taxonomy>

⁴³ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/legal-acts/acts>

⁴⁴ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure>

მეთოდოლოგიის აღწერა და დეტალური შედეგები წარმოდგენილია ანგარიშში, რომელიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა⁴⁵ ხელმისაწვდომი. აღნიშნული მეთოდოლოგია სხვადასხვა კლასის აქტივებისთვის გამოიყენება, მათ შორის ნებისმიერი ბანკებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი აქტივებისთვის როგორცაა ბიზნეს სესხების პორტფელი. კომპანიებისთვის ბანკის მხრიდან სესხის სახით მიწოდებული კაპიტალი გამოიყენება როგორც ბიზნეს პროცესების, ასევე კომპანიის მიერ წარმოქმნილი სათბურის აირების ემისიის დასაფინანსებლად. "დაფინანსებული ემისიების" ინსტრუმენტი ფინანსურ ინსტიტუტს საშუალებას აძლევს გაანალიზოს მისი საკრედიტო პორტფელი, განსაზღვროს მასში შემავალი "დაფინანსებული ემისიების" წილი და აღმოაჩინოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები, რაც მას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის მიმართულებით ბიზნეს პროცესების სრულყოფისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

პარალელურად, 2023 წელს ეროვნულმა ბანკმა IFC-თან თანამშრომლობით კომერციული ბანკებისთვის ESG რისკების შეფასების ბარათის (ESG Scorecard)⁴⁶ შემუშავებაზე დაამთავრა მუშაობა. ESG რისკების შეფასების ბარათის მეთოდოლოგიის გამოყენებით და სხვადასხვა ESG ინდიკატორებზე დაყრდნობით კომერციული ბანკების ESG-ის მიმართულებით არსებულ პრაქტიკასა და მიდგომებს ავსებს. ასეთი შეფასების სისტემის მიზანი ბანკებში ESG პრინციპების დანერგვის შეფასების შესადარისი, თანმიმდევრული და გამართული სისტემის განვითარება, არსებული სისუსტეებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება და მათ მოსაგვარებლად საპასუხო პოლიტიკის შემუშავებაა. ESG შეფასების ბარათი გამოყენებული იქნება როგორც პროგრესის საზომი ინსტრუმენტი, რომელიც ფინანსური ინსტიტუტების მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს შეაფასებს.

ეროვნულმა ბანკმა 2023 წელს კვლევითი ნაშრომი სახელწოდებით "ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შეფასება საქართველოს ფინანსური სექტორის მაგალითზე".⁴⁷ კვლევითი ნაშრომი მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების კარგვასა და ფინანსურ სტაბილურობას შორის კავშირების ანალიზს. ნაშრომში განხილულია ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები და წარმოდგენილია ეკოსისტემურ სერვისებზე ფინანსური სისტემის დამოკიდებულებისა და ზემოქმედების რაოდენობრივი შეფასება საქართველოს მაგალითზე.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში 2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ESG საკითხების სახელმძღვანელო (ESG Guidelines)⁴⁸ შეიმუშავა. ESG საკითხების სახელმძღვანელო კომერციული ბანკებისთვის განსაზღვრავს იმ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც ბანკებმა უნდა დაიცვან, რათა (i) მოახდინონ ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკების სათანადო შეფასება და მართვა, (ii) ხელი შეუწყონ პასუხისმგებლიანი საბანკო სექტორის განვითარებას მდგრადი ფინანსური პროდუქტების შემუშავებით, და (iii) უზრუნველყონ ESG საკითხებთან დაკავშირებული მარეგულირებელ პოლიტიკასთან შესაბამისობა. ამ რისკებისა და

⁴⁵ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/financed-emissions>

⁴⁶ იხილეთ:

⁴⁷ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/media/news/a-new-paper-on-biodiversity-related-financial-risks>

⁴⁸ იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/esg-guidelines>

შესაძლებლობების აღიარებითა და ანალიზით, საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მწვანე და ინკლუზიური ზრდის დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში და ასევე, უზრუნველყონ საკუთარი გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობა და მდგრადობა. ESG საკითხების სახელმძღვანელო საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება და ასევე ითვალისწინებს პრაქტიკებს, რომლებსაც ამჟამად ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ.

2023 წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ორგანიზებით კონფერენცია "მწვანე დაფინანსება მდგრადი განვითარებისთვის" გაიმართა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ქვეყნის მდგრად განვითარებასა და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მწვანე დაფინანსების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის და შესაბამისი რეგულაციის მოსალოდნელი ეფექტების განხილვას. ღონისძიების მონაწილეებმა ვრცლად ისაუბრეს იმ ძირითადი რისკების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში შეიძლება კერძო სექტორსა და საბანკო სისტემაში წარმოიშვას.

2023 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ფინანსური მხარდაჭერით და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით კლიმატის სცენარების ანალიზის ჩარჩოს შემუშავება განაგრძო. საქართველოსთვის კლიმატის სცენარების განსავითარებლად ეროვნული ბანკი NGFS-ის კლიმატის სცენარებს ეყრდნობა. აღნიშნული ჩარჩო სხვადასხვა სცენარის პირობებში კომერციული ბანკების მოწყვლადობის ანალიზსაც მოიცავს. ბანკების მოწყვლადობის ანალიზის შედეგები კლიმატის სტრეს-ტესტში იქნება გამოყენებული, რომელიც 2024 წლისთვის იგეგმება.

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში, ეროვნული ბანკი მწვანე/სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული (GSS+) ობლიგაციების რეგულაციაზე მუშაობს. ჩარჩო და შესაბამისი რეგულაცია GSS+ ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების პირობებს და ასევე, ანგარიშგების მოთხოვნებს განსაზღვრავს. ჩარჩოს მიღება 2024 წლის პირველ ნახევარში იგეგმება.

3.2. გაჯანსაღების და რეზოლუციის ჩარჩო

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლიდან კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს (შემდგომში - რეზოლუციის ჩარჩო) იმპლემენტაციაზე დაიწყო მუშაობა.

აქტიური სამუშაოები გაგრძელდა 2023 წლის განმავლობაში, რა დროსაც ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკის გუნდმა, მისი ფარგლებში, ჩაატარა რეზოლუციის სიმულაციის მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა რეზოლუციის აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესების ტესტირებას.

რეზოლუციის სიმულაციის პროცესში ეროვნულ ბანკთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმაც. სიმულაციის ფარგლებში შემოწმდა ფინანსური კრიზისისადმი მზაობა და გაიცა პრაქტიკული რეკომენდაციები.

2023 წელს საბანკო სექტორის თითოეულმა მონაწილემ მოამზადა გაჯანსაღების გეგმები, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან/და კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს. ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტები თითოეული ბანკის ჭრილში შეისწავლა და, მარეგულირებელი წესის და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი უკუკავშირი განახორციელა.

კომერციული ბანკის მხრიდან შემუშავებული გაჯანსაღების გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტი არის კრიტიკული ფუნქციების თვითშეფასება და მათი შეწყვეტის შემთხვევაში ბაზრის სხვა მონაწილეების მხრიდან დროულად ჩანაცვლებადობის შეფასება, კონტრაგენტებსა და რეალურ ეკონომიკაზე ზეგავლენის გათვალისწინებით.

სისტემისთვის კრიტიკულად ფასდება შემდეგი ფუნქციები:

- ✓ დეპოზიტების მიღება;
- ✓ სესხების გაცემა;
- ✓ საგადახდო მომსახურება, ნაღდი ფულის მომსახურება, კლირინგი, საანგარიშსწორებო მომსახურება, შემნახველი მომსახურება;
- ✓ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობა;
- ✓ საბითუმო დაფინანსება.

ზემოაღნიშნული გეგმის მიმართ მოთხოვნებს გაჯანსაღების ჩარჩოს შემადგენელი შესაბამისი წესი არეგულირებს. დოკუმენტის ფოკუსში ექცევა: გაჯანსაღების მიზნებისთვის ინდიკატორების მონიშვნა და მათი ზღვრების კალიბრაცია, გაჯანსაღების ზომების განსაზღვრა, ბანკისათვის რელევანტური მკაცრი სტრეს სცენარების გამოყენებით ფინანსური ზიანის მასშტაბისა და გაჯანსაღების ზომ(ებ)ის ეფექტურობის ტესტირება, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. დოკუმენტში ასევე ყურადღება ექცევა მმართველობითი საკითხების მოწესრიგებას, რომლის მიზანია ბანკის მხრიდან ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ადრეული გამოვლენა და შემდგომი ორგანიზებული მართვა.

გაჯანსაღების გეგმის ინდიკატორების სავალდებულო კატეგორიებია:

- ✓ კაპიტალი;
- ✓ ლიკვიდობა;
- ✓ მომგებიანობა;
- ✓ აქტივების ხარისხი.


კომერციული ბანკების მხრიდან გაჯანსაღების გეგმების განახლება, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ მათი შეფასება ყოველწლიურად მოხდება და შეფასების დოკუმენტი ბანკების რისკების მართვის საერთო ჩარჩოში ინტეგრირდება.

რეზოლუციის მექანიზმი, რომელიც შესაბამისი სარეზოლუციო ინსტრუმენტებითაა წარმოდგენილი, მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი ბანკის რეაბილიტაციის შესაძლებლობას წარმოადგენს. ის გამოიყენება მაშინ, როდესაც გაჯანსაღების ზომების გონივრულ ვადაში განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია (ან უშედეგოა) და ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტის ასარიდებლად მიზანშეწონილია ფინანსური ინსტიტუტის ფუნქციონირების (კრიტიკული ფუნქციების) შენარჩუნება, ამასთან გადასახადის გადამხდელთა სახსრების გამოყენების საჭიროების შემცირება.

ეროვნული ბანკის სარეზოლუციო უფლებამოსილება აქციონერების ან/და კრედიტორების თანხმობის და წინასწარი შეტყობინების გარეშე შემდეგი სარეზოლუციო ინსტრუმენტების ინდივიდუალურ ან კომბინირებულ გამოყენებას მოიცავს:

- ✓ კომერციული ბანკის შერწყმა;
- ✓ კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება;
- ✓ კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის გადაცემა;
- ✓ კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვებით;
- ✓ კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით (bail-in).

დიაგრამა N 3.2 სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2023 წლის 31 დეკემბრის მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სექტორის კონიუნქტურა და საბანკო ბაზარზე სისტემური მნიშვნელობის მქონე (სისტემური) ბანკების მაღალი კონცენტრაცია მათი ეკონომიკური ფუნქციების კრიტიკულობას და რეზოლუციის გეგმების არსებობის საჭიროებას ცხადყოფს. ეროვნულმა ბანკმა სისტემური ბანკებისთვის რეზოლუციის გეგმები განაახლა. აგრეთვე IMF ექსპერტების რეკომენდაციით, რეზოლუციის გეგმა მომზადდა ერთ-ერთი შედარებით მსხვილი არასისტემური ბანკისთვისაც. რეზოლუციის გეგმებში საკვანძო ელემენტებად მიჩნეულია რეზოლუციის განხორციელების შესაძლებლობის (resolvability) შეფასება და უპირატესი სარეზოლუციო სტრატეგიის განსაზღვრა, შემდეგი ასპექტების მოცვით: გეგმის ტრიგერები, ინსტრუმენტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, რეზოლუციის ფაზები, ძირითადი პროცესები და სხვა. საერთაშორისო მოცემულობის მიხედვით, რეზოლუციის შესაძლებლობის გაფართოვება და ინსტრუმენტების ოპერაციული გამართვა განვითარების გზას გადის და, მათ შორის მოწინავე ქვეყნებშიც, კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. რეზოლუციის ჩარჩოს ოპერაციული გამართვისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა IMF-ისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიმუშავა რეზოლუციის ინსტრუმენტების ე.წ. Playbook-ები. აღნიშნულ საკითხებზე ეროვნული ბანკი მომავალ წელსაც გააგრძელებს აქტიურ სამუშაოებს.

2023 წელს გეგმიური გრაფიკის მიხედვით და თემატური საკითხების განსახილველად რეზოლუციის ჩარჩოს ფარგლებში შექმნილი რეზოლუციის კომიტეტის სხდომა ჩატარდა. 2023 წლის მანძილზე საბანკო სექტორში რეზოლუციის საჭიროება ან მისი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები არ გამოვლენილა, ასევე არ შეინიშნებოდა გაჯანსაღების ზომების ამოქმედების საფუძვლები.

2021 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული ფინანსური სექტორი შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში, გაიცა რეკომენდაციები, რომ ეროვნული ბანკის მიერ, სისტემური მნიშვნელობის მქონე კომერციული ბანკებისთვის, დაწესებულიყო არსებული რეზოლუციის ჩარჩოს მიხედვით გათვალისწინებული დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL), რაც წარმოადგენს პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც მიიღება დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების შეფარდებით საზედამხედველო კაპიტალსა და მთლიან ვალდებულებებთან.

ამასთან, 2023 წლის დეკემბრიდან, კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო გახდა რეკაპიტალიზაციის მიზნით ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტების გამოყენების სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინება ისეთი კაპიტალის ინსტრუმენტების ხელშეკრულებებში, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ არიან დარეგულირებულნი უცხოური კანონმდებლობით, ანალოგიური მოთხოვნა ისეთი ვალდებულებების შემცველ ხელშეკრულებებში, რომლებზეც ვრცელდება „რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 დეკემბრის №241/04 ბრძანებით დამტკიცებული წესი, კომერციულ ბანკებს განესაზღვრებათ **2024 წლის პირველი აპრილიდან**. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნით განსაზღვრული პირობის ხელშეკრულებაში გათვალისწინება არ ახდენს გავლენას კრედიტორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ იერარქიაზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაცია ემყარება ევროპის **ბანკის გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივის (BRRD)** ჩარჩოს მიერ გათვალისწინებულ საერთო პრაქტიკას. მოთხოვნის მიზანია, კრიზისული სიტუაციებისთვის, სისტემური ბანკების მიერ წინასწარ ბალანსის იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც ეროვნულ ბანკს, მისი მანდატის ფარგლებში, საშუალებას მისცემს ეფექტურად მოახდინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ბანკის რეკაპიტალიზაცია ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით.

დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) განაკვეთი, სისტემური კომერციული ბანკებისთვის, ქვემოთ მოცემული ოდენობით და ვადების შესაბამისად არის განსაზღვრული:

- 2024 წლის 1 იანვრიდან 10% - ის ოდენობით;
- 2025 წლის 31 დეკემბრიდან 15% - ის ოდენობით;
- 2027 წლის 31 დეკემბრიდან 20% - ის ოდენობით.

2024 წლიდან, სისტემური ბანკები ვალდებულნი არიან ეროვნულ ბანკს ყოველთვიურად წარუდგინონ MREL ანგარიშგება.

ასევე, 2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რის მიხედვითაც კომერციულ ბანკებს განესაზღვრათ ვალდებულება სარეზოლუციო ფონდში განახორციელონ წინასწარი შენატანები/კონტრიბუციები (ex-ante ფონდი) კანონით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის მისაღწევად, კერძოდ:

- **ფონდის სამიზნე ნიშნული:** დაზღვეული დეპოზიტების 3%;
- **შენატანები:** ბანკებმა შენატანების განხორციელება უნდა დაიწყონ 2025 წლიდან;
- **სამიზნე ნიშნულის მისაღწევად საჭირო ვადა:** 8 წელი (შესაძლოა შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ ფონდში არსებული თანხა იქნება გამოყენებული ან გაიზრდება დეპოზიტების დაზღვევის ლიმიტი);
- **შენატანების მეთოდოლოგია:** სისტემაში კომერციული ბანკების აქტივების წილის პროპორციულად, ინდივიდუალური რისკ პროფილის გათვალისწინებით.

Ex-ante ფონდს ადმინისტრირებას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელსაც კანონის მიხედვით უფლება აქვს ფონდი ადმინისტრირებისთვის გადასცეს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს. სარეზოლუციო ფონდში, გარდა კომერციული ბანკების მიერ წინასწარი შენატანებისა, ხდება დროებითი სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად საჭირო ფინანსური სახსრების აკუმულირება (ე.წ. ex-post ფონდი) და დადგენილი მიზნობრიობით ათვისებაც. რეზოლუციის რეჟიმის დასრულების შემდგომ და ფინანსთა სამინისტროს მიერ პროცესის ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში, სარეზოლუციო ფონდის გავლით ათვისებული სახელმწიფო სახსრები ანაზღაურდება მოქმედი კომერციული ბანკების მიერ, დადგენილი პირობებითა და პროპორციულობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

3.3. ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისო კომიტეტი

ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ინფორმაციის რეგულარული მიმოცვლის, ფინანსური კრიზისის მართვის მექანიზმების შემუშავებისა და ეფექტური კოორდინაციის უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა თანამშრომლობის ახალი პლატფორმა - ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელსაც ფინანსთა მინისტრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსი და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი წარმოადგენენ. უწყებათაშორის კომიტეტს საქართველოს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობს, ხოლო სამდივნოს ფუნქციებს ეროვნული ბანკი ასრულებს. დებულების თანახმად, უწყებათაშორისი კომიტეტი სხდომას წელიწადში არანაკლებ ერთხელ ან ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში გამართავს. კომიტეტის ძირითადი ამოცანა ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით კრიზისული სიტუაციებისა და ფინანსური კრიზისის მართვის მექანიზმების შემუშავებაა.

2023 წელსაც ყოველწლიურად განსაზღვრული ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომა ჩატარდა. კომიტეტს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობდა და მონაწილეობდნენ ეროვნული ბანკის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე, საუბარი შეეხო რეზოლუციის ჩარჩოს საკვანძო ელემენტებსა და ასპექტებს, ეროვნული ბანკის საბანკო სექტორთან ურთიერთქმედებასა და უწყებებს შორის თანამშრომლობის გააქტიურების საჭიროებას. გარდა ამისა, კომიტეტის წევრებს გაუზიარდათ ინფორმაცია FSAP და IMF ტექნიკური მისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების სტატუსზე და ხაზი გაესვა რომ ყველა ძირითადი რეკომენდაცია უკვე შესრულებულია, დარჩენილ ნაწილზე კი აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. განიმარტა რომ სისტემურად მნიშვნელოვან კომერციულ ბანკებს დაუწესდათ კაპიტალის ინსტრუმენტებისა და დაშვებული ვალდებულებების მინიმალური მოთხოვნა (MREL).

3.4. საფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებდა 17 კომერციული ბანკი, 34 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 1 საკრედიტო კავშირი და საგადახდო მომსახურების 31 პროვაიდერი.

2023 წლის განმავლობაში ბანკის ლიკვიდაცია არ დაწყებულა, ბოლო ლიკვიდაცია კი საბანკო სექტორში 2019 წელს დასრულდა.

ეროვნული ბანკი საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდაციის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ ახორციელებს კრედიტორებისგან მოუკითხავი ფულადი სახსრების სპეციალურ ანგარიშზე აღრიცხვას, მათ ადმინისტრირებას და, მფლობელის გამოვლენის შესაბამისად, ამ თანხების მესაკუთრისთვის დაბრუნების უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკი განკარგავს კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემდგომ აღმოჩენილ აქტივებს (ასეთ თავისებურებას ადგილი ჰქონდა ადრეულ წლებში წარმოებული სალიკვიდაციო პროცესის დასრულების შემდგომ), რომლის რეალიზებიდან მიღებული ფულადი სახსრები,

წესისამებრ, ლიკვიდირებული ბანკის დარჩენილ კრედიტორებს შორის, შესაბამისი რიგითობის დაცვით ნაწილდება⁴⁹. 2023 წელს ეროვნული ბანკის წარმოებაში ლიკვიდირებული კომერციული ბანკების ორი ახლად აღმოჩენილი აქტივის განკარგვის საქმისწარმოება მიმდინარეობდა, რომელთაგან ერთის შემთხვევაში, ნაწილობრივ ამოღებული და კრედიტორებზე განაწილებული თანხები წინა წლებშიც გაიცემოდა. ზემოაღნიშნული აქტივების საქმისწარმოება 2024 წელსაც გრძელდება.


სალიკვიდაციო ფუნქციების განხორციელებისას ქვემოთ მოცემულ საზედამხედველო სუბიექტებთან მიმართებაში, ეროვნული ბანკი შესაბამისი კანონებითა და ბრძანებებით ხელმძღვანელობს.

ამასთან, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება გაფართოვდა, კერძოდ, როდესაც ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს ლიკვიდაციის ხარჯების დასაფარავი თანხა არ აქვს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი გახდა ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გასცეს თანხა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წელს, კანონქვემდებარე აქტებში დაიწყო შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ეს პროცესი აქტიურად გრძელდება 2024 წელსაც.

გარდა არსებული სამართლებრივი აქტებისა, ეროვნული ბანკი შეიმუშავებს პროცედურებს და შიდა კონტროლის სხვა ტექნიკურ დოკუმენტებს, რომელიც ლიკვიდაციის მიმდინარეობისას მმართველობითი საკითხების გაუმჯობესებას უწყობს ხელს და პროცესებს უფრო ორგანიზებულს და სტანდარტიზებულს ხდის.

დიაგრამა N 3.3 ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2023 წელს



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

⁴⁹ იმ აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ამ კომერციული ბანკის აქტივი იყო, იგი ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული კომერციული ბანკის აქტივად და მისი განკარგვის უფლებას იძენს ეროვნული ბანკი („კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37¹² მუხლის მე-15 პუნქტი).

გარდა ამისა, 2023 წელს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ეროვნულ ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება გაფართოვდა, კერძოდ, როდესაც ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს ლიკვიდაციის ხარჯების დასაფარავი თანხა არ აქვს, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილებით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი გახდა ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გასცეს თანხა.

აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, 2023 წელს, კანონქვემდებარე აქტებში დაიწყო შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ეს პროცესი აქტიურად გრძელდება 2024 წელსაც.

ეროვნული ბანკის თანაავტორობით, 2020-2023 წლებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შემუშავდა, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონებში, და სხვა რამდენიმე ნორმატიულ აქტში. საკანონმდებლო ცვლილებების ამოცანას ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაფართოება წარმოადგენს, რათა სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების როგორც ლიკვიდაციის, ასევე გადახდისუუნარობის/გაკოტრების, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების საკითხი. აღნიშნული ცვლილებები ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების ერთპიროვნულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც ხელს შეუწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესის დროულ და ეფექტიან წარმართვას. აღნიშნული საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდატორს, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებით ადმინისტრატორს ეროვნული ბანკი დანიშნავს და ისინი ანგარიშვალდებულნი ეროვნული ბანკის წინაშე იქნებიან. კანონპროექტის დამტკიცების შედეგად განმტკიცდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით.

4. საბანკო ზედამხედველობა

4.1 საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება

2023 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და შესაბამისი გამომდინარე კანონპროექტები, რომლის მიზანს წარმოადგენს საფინანსო სექტორში საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნესმოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობა, კონკურენციის ზრდა და საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო მარჟების შემცირება. შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სუბიექტთა ჩამონათვალს დაემატა მიკრობანკი.

წლის პირველ ნახევარში, ეროვნული ბანკი განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და შესაბამის ვადებში დამტკიცებაზე. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა კერძო და საჯარო სექტორთან და გამჭვირვალედ წარმართავდა სამუშაო პროცესს, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების ფორმატის გამოყენებით. შედეგად, შემუშავებულ იქნა მიკრობანკების მარეგულირებელი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, სალიცენზიო მოთხოვნები, ადმინისტრატორთა შესაფერისობისა და მნიშვნელოვანი წილის შემენის პირობები, შესაფერისობის კრიტერიუმების ჩათვლით, დაეყრდნო კომერციული ბანკებისთვის არსებულ რეგულირებას და შესაბამისად იმეორებს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ბანკს შესაბამისი სალიცენზიო განაცხადებით უკვე მომართეს მიკრობანკის ლიცენზიის მაძიებელმა პირებმა და ეროვნულ ბანკში აქტიურად მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამუშაოები.

ჩანართი 3 ახალი ფინანსური ინსტიტუტის - მიკრობანკის შექმნის მიზანი და მისი საქმიანობა

საქართველოში არასაბანკო სექტორი მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მცირე ზომის, ერთ პროდუქტზე ორიენტირებულ, ასევე ფართო პროფილის მსხვილ ორგანიზაციებს. ამასთანავე, სხვადასხვაგვარია მათი დაფინანსების სტრუქტურაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დიდი ზომის ორგანიზაციები, რომელთაც ხელი მიუწვდებათ უცხოური საფინანსო ინსტიტუტების რესურსებზე, წარმოადგენენ სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის მიმართულების დამფინანსებლებს, რაც კლასიკური მიკროსაფინანსო საქმიანობის შესაბამისია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ერთნაირი სტატუსის მიუხედავად, შინაარსობრივად განსხვავებული ბიზნესმოდელები ექვემდებარებოდნენ რეგულირებისა და ზედამხედველობის განსხვავებულ რეჟიმს. აღნიშნულმა წარმოშვა არასაბანკო დაწესებულებების საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწის საჭიროება. ხსენებულთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა შესაბამისი [რეკომენდაციები](#). შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი ფინანსური ინსტიტუტის - მიკრობანკის საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავების თაობაზე.

მიკრობანკის სახით შეიქმნა ფინანსური ინსტიტუტის ფორმატი, რომელიც ოპერირებას განახორციელებს იმ სექტორში, სადაც, მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო, კომერციული

ბანკების ინტერესი შედარებით დაბალია. მიკრობანკის კანონით განსაზღვრული მანდატი - ძირითადად დააკრედიტოს სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის სექტორი, გაზრდის მოსახლეობის ფინანსურ ჩართულობას, განსაკუთრებით რეგიონებში. გარდა ამისა, მიკრობანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან შედარებით, მნიშვნელოვანად შეუმცირდება დანახარჯები და გაეზრდება რესურსებზე ხელმისაწვდომობა ადგილობრივ (მათ შორის მონეტარულ ინსტრუმენტებზე) და საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული, კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საკრედიტო პროდუქტების გაიაფებას და შესაბამისად, ბაზარზე კონკურენციის ზრდას.

მიკრობანკის ბიზნესმოდელი ეფუძნება სამეწარმეო, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლის მიმღები პირების დაკრედიტებას. კერძოდ, მიკრობანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 70 პროცენტისა უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისგან ან/და სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

„მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მიკრობანკისათვის ნებადართული საბანკო საქმიანობებია:

- სესხების, გარანტიების, აკრედიტივების და ლიზინგის გაცემა, ფაქტორინგული ოპერაციები, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში;
- პროცენტიანი და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა მხოლოდ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი ზღვრის ფარგლებში, ასევე ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვით;
- საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მომსახურება;
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება და საკასო-საინკასაციო მომსახურების გაწევა;
- საგადახდო ბარათების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება;
- საგადახდო მომსახურების გაწევა, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- უპროცენტო საბანკო მომსახურების გაწევა;
- დერივატივის დადება, საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საბროკერო საქმიანობის ლიცენზიას საჭიროებს;
- საკუთარი და თავის კლიენტთა სახსრებით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;
- ფასეულობათა შენახვა;
- ქონების იჯარით გაცემა მხოლოდ ნებადართული საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად;

- თითოეულ ნებადართულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევა;
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სხვა პირის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევა, კერძოდ, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ურთიერთგადაცვლა (მათ შორის, თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით) ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, გადაცემა ან/და კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა, რაც ვირტუალური აქტივის კონტროლის საშუალებას იძლევა, და აღნიშნული მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობა;
- დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა, მათ შორის, ფიზიკური პირებისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) კანონით დადგენილი წესით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიკრობანკს უფლება აქვს სესხი გასცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

ასევე, თუ მიკრობანკის მთლიანი აქტივები საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 2 პროცენტს გადააჭარბებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრობანკს მოსთხოვოს აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში დაბრუნების გეგმის წარდგენა ან განუსაზღვროს დამატებითი ან/და განსხვავებული საზედამხედველო მოთხოვნები.

ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ევროკავშირის სამართალთან, კერძოდ კი 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით მომზადებული იქნა „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და შესაბამისი გამომდინარე კანონპროექტები. კანონპროექტი ეროვნულმა ბანკმა გააზიარა და განიხილა საბანკო ასოციაციასთან და საბანკო სექტორთან. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო. შედეგად, ეროვნულ ბანკს მიენიჭა დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების უფლება ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული სუბიექტების მიმართ

საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამის კოლეგა უწყებასთან თანამშრომლობით აგრძელებს აღნიშნული კანონიდან გამომდინარე სამართლებრივი აქტების შემუშავების საჭიროების განსაზღვრას და შესაბამის ვადაში მათ შემუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ჩანართი 4. ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობა

„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს განესაზღვრათ ახალი უფლებამოსილება, კერძოდ, დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების უფლება ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული სუბიექტების მიმართ, მათი შესაბამისი მანდატის გათვალისწინებით. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება მოხდება სექტორული ზედამხედველობის პარალელურად.

რა არის ფინანსური კონგლომერატი?

- **ჯგუფი ან ქვეჯგუფი, რომლის სათავეში რეგულირებული საწარმოა და ამასთან კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:**
 - ჯგუფის/ქვეჯგუფის სათავეში მყოფი საწარმო არის მშობელი საწარმო ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოსი ან იმ საწარმოსი, რომელიც ფინანსურ სექტორში შემავალ რომელიმე საწარმოსთან დაკავშირებულია ერთობლივი მართვით ან ისეთი კავშირით, როდესაც საწარმოების მმართველობითი ორგანოების წევრთა ნახევარზე მეტი ერთი და იგივე პირია ფინანსური წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების თარიღამდე;
 - ჯგუფში/ქვეჯგუფში სულ მცირე ერთი საწარმო მაინც არის კომერციული ბანკი/საბროკერო სექტორში შემავალი საწარმო, ხოლო სულ მცირე ერთი-სადაზღვევო სექტორში შემავალი საწარმო;
 - ჯგუფის/ქვეჯგუფის საწარმოების კონსოლიდირებული ან აგრეგირებული საქმიანობა როგორც სადაზღვევო, ისე საბანკო ან საბროკერო სექტორში შემავალი საწარმოების შემთხვევაში მიჩნეულია მნიშვნელოვნად.
- **ჯგუფი ან ქვეჯგუფი, რომლის სათავეში არარეგულირებული საწარმოა და ამასთან, კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:**
 - ჯგუფის/ქვეჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფინანსურ სექტორში საქმიანობა;
 - ჯგუფში/ქვეჯგუფში სულ მცირე ერთი საწარმო მაინც არის კომერციული ბანკი/საბროკერო სექტორში შემავალი საწარმო, ხოლო სულ მცირე ერთი-სადაზღვევო სექტორში შემავალი საწარმო;
 - ჯგუფის/ქვეჯგუფის საწარმოების კონსოლიდირებული ან აგრეგირებული საქმიანობა როგორც სადაზღვევო, ისე საბანკო ან საბროკერო სექტორში შემავალი საწარმოების შემთხვევაში მიჩნეულია მნიშვნელოვნად.

ჯგუფის/ქვეჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად ცნობის კრიტერიუმები

ფინანსურ სექტორში საქმიანობა ჯგუფის/ქვეჯგუფის ძირითად საქმიანობად ჩაითვლება თუ ჯგუფის ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოების მთლიანი აქტივების ჯამი ჯგუფის მთლიანი აქტივების 40%-ს აჭარბებს.

ფინანსურ სექტორში შემავალი თითოეული სექტორის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ან აგრეგირებული საქმიანობა მნიშვნელოვნად მიიჩნევა, თუ:

- სადაზღვევო სექტორსა და საბანკო და საბროკერო სექტორებში შემავალი საწარმოების აქტივების ჯამი ჯგუფის მთლიან ფინანსურ სექტორებში შემავალი საწარმოების აქტივების ჯამის 10%-ს აჭარბებს;
- სადაზღვევო სექტორსა და საბანკო და საბროკერო სექტორებში შემავალი საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნა ჯგუფის ფინანსურ სექტორებში შემავალი საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნის 10%-ს აჭარბებს.

ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოების საქმიანობა მნიშვნელოვნად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ ჯგუფის უმცირესი ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივები 6 მილიარდი ევროს ლარში ეკვივალენტს გადააჭარბებს.

ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობის ადეკვატურად და ეფექტურად განხორციელების მიზნით საზედამხედველო ორგანოთაგან განისაზღვრება დამატებითი ზედამხედველობის კოორდინაციასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანო - კოორდინატორი. კოორდინატორის დანიშვნის თაობაზე საზედამხედველო ორგანოთა ერთობლივი გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საზედამხედველო ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებზე. ამასთან:

- თუ ფინანსური კონგლომერატის სათავეში რეგულირებული საწარმოა, კოორდინატორად ინიშნება ის საზედამხედველო ორგანო, რომელმაც შესაბამისი საწარმოს საქმიანობაზე ნებართვა/ლიცენზია გასცა ან განახორციელა აღნიშნული საწარმოს რეგისტრაცია.
- თუ ფინანსური კონგლომერატის სათავეში არ არის რეგულირებული საწარმო - კანონი განსაზღვრავს კოორდინატორის შერჩევის წესს.

ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოები, სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად, ექვემდებარებიან დამატებით ზედამხედველობას რისკის კონცენტრაციისა და შიდაჯგუფური ტრანზაქციების, კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის კუთხით. ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოები ვალდებული არიან ფინანსური კონგლომერატის დონეზე ჰქონდეთ რისკების მართვის ადეკვატური პროცესები და შიდა კონტროლის ადეკვატური მექანიზმი, მათ შორის, გონივრული და ეფექტიანი ადმინისტრაციული და საანგარიშგებო პროცედურები. საზედამხედველო ორგანოები ასევე აფასებენ ფინანსური კონგლომერატის შემადგენლობაში არსებული არარეგულირებული საწარმოებიდან მომდინარე

პოტენციურ/არსებულ რისკებსა და მათ გავლენას ფინანსური კონგლომერატის რისკის პროფილზე.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე საქართველოში საწარმოთა არცერთი ჯგუფი არ აკმაყოფილებს ფინანსური კონგლომერატის კრიტერიუმებს.

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა განაგრძო დამკვიდრებული პრაქტიკა და 2023-2025 წლების [საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტი](#) გამოსცა. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტებსა და მათი შესრულების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს, ისევე როგორც 2020-2022 წლების სტრატეგიის შესრულების შემაჯამებელ ანგარიშს.

2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიაზე მუშაობა წინა წლებთან შედარებით ეროვნულმა ბანკმა კერძო და სამოქალაქო სექტორის კიდევ უფრო მეტი ჩართულობით წარმართა, მათ შორის, საჯაროდ გამოქვეყნებული კითხვარის⁵⁰ და შემდგომში საზედამხედველო სტრატეგიის პირველადი დოკუმენტის საკონსულტაციოდ გამოქვეყნების საშუალებით⁵¹ მიღებულ იქნა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები. შედეგად, განისაზღვრა საზედამხედველო პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებით ეროვნული ბანკი 2023-2025 წლებში წარმართავს საქმიანობას. კერძოდ, 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტებია:

- საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება;
- საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა;
- ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
- ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

ეროვნული ბანკის დაკვირვებითა და გარე მხარეებისაგან მიღებული უკუკავშირის მიხედვით, სტრატეგიის დოკუმენტი ხელს უწყობს ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვას, თანამშრომლებისათვის სამომავლო ხედვის ცხადად ჩამოყალიბებას, სამომავლო ღონისძიებებზე სექტორისთვის პროგნოზირებადობის ზრდას, ინვესტორებისათვის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის და სარეიტინგო კომპანიებისთვის, მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის საზედამხედველო პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საზედამხედველო სტრატეგია საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან საორიენტაციო დოკუმენტად იქცა.

გასული წლების მსგავსად, საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტი განახლდება ყოველწლიურად, რაც საზედამხედველო მანდატისა და მისიის ეფექტიანად შესრულების მიზნით,

⁵⁰ [ეროვნული ბანკი ახალი საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში სექტორის ჩართულობის უზრუნველსაყოფად კითხვარს აქვეყნებს \(nbg.gov.ge\)](#)

⁵¹ [ეროვნული ბანკი 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის პირველად დოკუმენტს საჯარო განხილვისთვის აქვეყნებს \(nbg.gov.ge\)](#)

გულისხმობს სახედამხედველო პრიორიტეტების მიღწევის სამოქმედო გეგმის და ამ გეგმის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესახებ ანგარიშს და საჭიროებისამებრ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების შესაძლო ცვლილებას. განახლების ფარგლებში სახედამხედველო პრიორიტეტები კვლავ უცვლელი დარჩება.

გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობისათვის, გასული წლების მსგავსად, 2023 წლის განმავლობაში საჯარო კონსულტაციების გამართვის მიზნით, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ხედამხედველობასთან დაკავშირებული არაერთი ცვლილებისა თუ რეგულაციის პროექტი გამოქვეყნდა, რომლებზეც ფართო საზოგადოებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაზიარების შესაძლებლობა მიეცა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს არსებულ პრაქტიკას ეროვნულმა ბანკმა უფრო ფორმალური ხასიათით შესძინა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან მეტად დაახლოვდა. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა „საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებას დაქვემდებარებულ მნიშვნელოვან საკითხებზე პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების სახელმძღვანელო“ დაამტკიცა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს საჯარო კონსულტაციების/სექტორთან კონსულტაციების პროცესი წარმოადგენს. ეროვნულმა ბანკმა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, „სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელო“ სექტორის ჩართულობითა და მიღებული მოსაზრებების გათვალისწინებით შეიმუშავა და დაამტკიცა. სახელმძღვანელოში დეტალურადაა გაწერილი კონსულტაციების წარმართვის პროცესი და ვადები. აღნიშნული გზით, საჯარო კონსულტაციების პროცესი კიდევ უფრო გამჭვირვალე ხდება, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, არსებული პოლიტიკის მატერიალურ ცვლილებას იწვევს ან მას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება შესაბამის სექტორზე და საზოგადოებაზე, ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება, როგორც სამართლებრივი აქტების პროექტები, ასევე, დაინტერესებული პირების მიერ, საჯარო კონსულტაციის ფარგლებში ეროვნული ბანკისათვის მიწოდებული მოსაზრებები და წარმოდგენილ ხედვებსა და კომენტარებზე სებ-ის საპასუხო შემაჯამებელი დოკუმენტი.

წინა წლების მსგავსად, 2023 წელსაც ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში ეროვნული ბანკის სახედამხედველო ჩარჩოს შემდგომი განვითარებისა და დახვეწის კუთხით მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობას, ისევე როგორც ევროპულ და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

4.2 კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი

2023 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად აკვირდებოდა კომერციულ ბანკების პრაქტიკაში კორპორაციული მართვის კოდექსის დანერგვის პროცესს. კერძოდ, მიმდინარეობდა სამეთვალყურეო საბჭოს შესრულებული ფუნქცია-მოვალეობების, დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობისა და კომიტეტების შემადგენლობის შემოწმება/მონიტორინგი. კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, შეფასდა ანაზღაურების პოლიტიკების კოდექსის განახლებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. კორპორაციული მართვის კოდექსის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება. აღნიშნული შეფასება მოიცავს როგორც თვითშეფასებას, ასევე პერიოდულად გარე შემფასებლის შეფასებასაც. ეროვნული ბანკის

მიერ ბანკის კორპორაციული მართვის შეფასების კუთხით გააქტიურდა აღნიშნული შეფასების დასკვნების შესწავლა და ამავდროულად შიდა აუდიტის ფუნქციის შესწავლა, მისი დამოუკიდებლობისა და ჯანსაღი ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული შეფასებები გათვალისწინებული იქნება რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE - General Risk Assessment Program) ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში გენდერული მრავალფეროვნების გაუმჯობესების მიზნით, „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“ 2022 წლის 24 აგვისტოს შევიდა ცვლილებები, რომლითაც კიდევ უფრო გაიზარდა გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნა. კერძოდ, არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივნისისა, ბანკები ვალდებული იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოებში განსხვავებული სქესის წილი არანაკლებ 33 პროცენტი ყოფილიყო, ხოლო არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა არანაკლებ 40 პროცენტი. 2023 წელს მიმდინარეობდა ბანკების ზემოხსენებული ვალდებულების შესრულების შემოწმება/მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ გენდერული დივერსიფიკაციის მოთხოვნა „კორპორაციული მართვის კოდექსში“ პირველად 2018 წელს გაჩნდა (სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ 20 პროცენტის განსხვავებული სქესის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტება), რის შედეგადაც, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურად, საბჭოებში ქალ წარმომადგენელთა წილი 35% პროცენტს შეადგენს, რაც დაწესებულ მოთხოვნას აჭარბებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის მონიტორინგისა და უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის დეკემბერში კორპორაციული მართვის კოდექსში დამატებით განისაზღვრა ეროვნული ბანკის უფლებამოსილება ნებისმიერ დროს, საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ბანკს მოსთხოვოს ან თავად შეამოწმოს საბჭოს დამოუკიდებელი წევრების შესაფერისობა, ხოლო შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, მოსთხოვოს ბანკს შეუწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობის წევრობის სტატუსი.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასება საქართველოს ეროვნული ბანკის რისკების შეფასების საერთო პროგრამის ნაწილია. ჯგუფის სტრუქტურის შეფასება მოიცავს როგორც ბანკის მფლობელობის სტრუქტურას, ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებსა და საბანკო ჯგუფის წევრებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს, ისე ბანკების ინვესტიციებისა და საინვესტიციო საქმიანობის რისკების შეფასებას. შეფასების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების მონიტორინგსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ინვესტორების შეფასებას.

2023 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებდა საბანკო ჯგუფების სტრუქტურის შეფასებასაც, მათ შორის, საქართველოში ლიცენზირებული ბანკების მშობელ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შეფასებას და არსებული რისკების ბანკზე გადმოცემის შეფასებას.

2023 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და კომერციული ბანკების მიერ კონტროლისა და მართვის სტანდარტების დახვეწის მიზნით ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში. პოლიტიკა/პროცედურების ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ბანკებს

განესაზღვრათ 6 თვიანი ვადა, ხოლო გარკვეული მოთხოვნები ძალაში შევიდა ბრძანების ამოქმედებისთანავე (იხ. ჩანართი 3). ბანკის მიერ დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები და დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოადგენს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასების ნაწილს.

ჩანართი 5. ინტერესთა კონფლიქტის მართვის განახლებული ჩარჩო

ინტერესთა კონფლიქტის მართვის სტანდარტების დახვეწაზე მუშაობა ეროვნულ ბანკში 2021 წლიდან დაიწყო. ამ დებულების მიზანია კომერციული ბანკების მიერ დაინერგოს ისეთი კონტროლის და მართვის სტანდარტები, რომლებიც განაპირობებს ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად თავიდან არიდებას. დებულებაში შეტანილი ცვლილებები ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკებს (IAS 24, London listing Rules) და ამავდროულად ემსახურება საქართველოს საფინანსო სექტორში გამოვლენილ ხარვეზების მოწესრიგებას და ამ მიმართულებით არსებული რისკების მიტიგაციას.

ცვლილებები შეეხო დებულების სხვადასხვა საკითხებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა დაკავშირებული მხარის განმარტებაში, რომელიც მოიცავს დაკავშირებულ პირთა სიაში იდენტიფიცირებისა და რიგ შემთხვევებში არსებულ დაკავშირებულ პირთა 12 თვის ვადით სიაში დაყოვნების შესახებ მოთხოვნას. დაკავშირებულ პირთა სიაში 12 თვიანი დაყოვნების პრინციპი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ამ ბრძანების ამოქმედების შემდგომ დატოვებენ ბანკს. ასევე, დაკავშირებულ მხარედ აღიარების კრიტერიუმად განისაზღვრა ბანკის მნიშვნელოვანი წილის ფლობა.

დებულებაში ასევე გაიწერა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები, კომერციულ ბანკს განესაზღვრა დაკავშირებულ პირებთან რისკის პოზიციის შექმნისთვის დასაშვები უზრუნველყოფის საშუალებების სია და აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალებების დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება/დასაბუთების დოკუმენტირება. დამატებით, ცვლილებები მოიცავს გაშლილი მკლავის პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზს, აკრძალული ტრანზაქციების შესახებ დაზუსტებებსა და აღნიშნული დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებიდან დაწესებულ გამონაკლის შემთხვევებს.

მუშაობის პროცესში, პროექტის ცვლილებებთან დაკავშირებით აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა ეროვნულ ბანკს კომერციულ ბანკებთან. 2022 წლის დასაწყისში მოხდა მათი ინფორმირება ცვლილებების შესახებ, 2023 წლის ივნისში კი ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების ცვლილებების პროექტი გამოქვეყნდა საკონსულტაციოდ.

ცვლილებები ძალაში შევიდა 2023 წლის 31 ოქტომბერს. გამომდინარე იქიდან, რომ ბანკების მხრიდან დასანერგი და შიდა პოლიტიკაში შესატანი ცვლილებები საკმაოდ მოცულობითია, ბრძანების შესაბამისად, კომერციულ ბანკებს განესაზღვრათ ექვსთვიანი ვადა, პოლიტიკა/პროცედურების ამ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ხოლო, გარკვეული მოთხოვნების დაცვა კომერციულ ბანკებს დაევალებათ ბრძანების ამოქმედების მომენტიდანვე.

2023 წელს, საბანკო საქმიანობის ლიცენზია მიიღო ორმა ციფრულმა ბანკმა - სს „ჰემ ბანკმა“ და სს „პეივ ბანკ ჯორჯიამ“. სს „ჰემ ბანკის“ მიზანი ციფრულ ბანკად ფუნქციონირებაა, რომელიც აპირებს განახორციელოს საბანკო სერვისების მიწოდება ძირითადად ელექტრონული არხებით. ის მიზნად ისახავს ციფრულ სტრატეგიაზე გადასასვლელად განაწილოს ბაზრის როგორც ტრადიციული, ასევე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მომხმარებელი. რაც შეეხება სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“, მისი მიზანიც ციფრულ ბანკად ფუნქციონირებაა, რომელიც აპირებს ფინანსური პროდუქტების გაერთიანებას და მათ ციფრულ აქტივებთან და ანგარიშების პროგრამირებადობასთან დაკავშირებას. ბანკი მიზნად ისახავს მოემსახუროს ტექნოლოგიურად განვითარებულ კომპანიებს. სს „ჰემ ბანკი“ და სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან 7 თვის მანძილზე სატესტო რეჟიმში იმუშავებენ და რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლება შეზღუდული ექნებათ. საბანკო საქმიანობების რეალურ რეჟიმში განხორციელების უფლებამისილების მინიჭება, სალიცენზიო მოთხოვნების შესრულების კვალდაკვალ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე, ეტაპობრივად მოხდება.

აღსანიშნავია, ისიც, რომ 2022 წლის ნოემბერში საბანკო საქმიანობის ლიცენზია მიიღო სს "პეისერა ბანკ საქართველომაც", რომლის ბიზნესმოდელი ევროკავშირის ფინანსურ სისტემასთან ინტეგრაციას ეფუძნება და მომხმარებლებისთვის ინოვაციური ციფრული პროდუქტების შეთავაზებას გულისხმობს. სს "პეისერა ბანკი საქართველო" საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან თავდაპირველად სატესტო რეჟიმში მუშაობდა, თუმცა 2023 წელს რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლება მიეცა. ბანკი კვლავ პირობითი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობს და განაგრძობს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულებას.

სს „ჰემ ბანკსა“ და სს „პეივ ბანკი ჯორჯიაზე“ ლიცენზიის გაცემის შემდეგ, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორში 17 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. ამავე პერიოდში არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 88 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 87.7 პროცენტს შეადგენს.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოებით მიზნით, 2022 წლის 31 ოქტომბერს ეროვნული ბანკის ბრძანების საფუძველზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „კომერციული ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულებაში“ და ასევე ამოქმედდა „კომერციული ბანკების მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ დებულება“. წინამდებარე ცვლილებების საფუძველზე, კომერციულ ბანკებს, მათ ადმინისტრატორებსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პირებს განესაზღვრათ ვალდებულება 2023 წლის 1 აგვისტომდე შესაბამისობაში მოსულიყვნენ დებულებებით განსაზღვრულ განახლებულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან და ეროვნული ბანკისთვის წარმოედგინათ შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. 2023 წელს ეროვნული ბანკის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა აღნიშნულ დებულებებთან დაკავშირებით კომერციული ბანკებისათვის შესაბამისი კონსულტაციების გაცემა და მონიტორინგი ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულებისა.

ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოზე მუშაობას. ზედამხედველობის საბანკო ჯგუფის დონეზე (ე.წ. კონსოლიდირებული

ზედამხედველობა) განხორციელების მანდატი ეროვნულ ბანკს 2017 წლის ბოლოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა.

4.3 კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს საბანკო სისტემა 2023 წლის ბოლოსათვის, ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში, COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გათვალისწინებით, კაპიტალის ადეკვატურ დონეს კვლავაც ინარჩუნებდა.

2022 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა, [ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის \(BCBS\) რეკომენდაციების გათვალისწინებით](#)⁵², კონტრციკლური ბუფერის დაწესების ჩარჩოს განახლების გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გულისხმობს სტრესული პერიოდებისთვის კაპიტალის ბუფერების დაგროვების მიზნით ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის დაწესებას. აღნიშნული განახლებული ჩარჩოს შესაბამისად, 2023 წლის ნოემბერში ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბანკები ვალდებული არიან 2024 წლის 15 მარტისთვის დააკმაყოფილონ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთი 0.25%-ის ოდენობით, 2025 წლის 15 მარტისთვის - 0.5%-ის ოდენობით, 2026 წლის 15 მარტისთვის - 0.75%-ის ოდენობით, 2027 წლის 15 მარტისთვის - 1%-ის ოდენობით.

2023 წლის იანვარში განახლდა სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების წესი, რომლითაც დადგინდა სისტემური მნიშვნელობის ქულების განმსაზღვრელი ინდიკატორები და შესაბამისი წონები. ახალი წესის შესაბამისად სისტემურობის ბუფერი შემდეგი განაკვეთებით დაუწესდა სამ ბანკს:

კომერციული ბანკი	სისტემურობის ბუფერის განაკვეთი
სს „საქართველოს ბანკი“	2.5%
სს „თიბისი ბანკი“	2.5%
სს „ლიბერთი ბანკი“	1%


ამის გარდა, იმ შემთხვევაში თუ ბანკის საბაზრო წილი დეპოზიტებში აღემატება 40 პროცენტს, სისტემურობის ბუფერის ზღვარი 3 პროცენტამდე გაიზრდება. სისტემურობის ბუფერის 3 პროცენტამდე გაზრდის შემთხვევაში, მისი დაცვისთვის ბანკებს ექნებათ 12 თვე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) დაფუძნებული რიცხვების მიხედვით, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 19.7 პროცენტს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 22.14 პროცენტს შეადგენს, რაც ჯამურ მოთხოვნებზე, შესაბამისად, 3.47 და 2.74 პპ-ით მეტია.

⁵² Buffer usability and cyclicity in the Basel framework, October, 2022 - <https://www.bis.org/bcbs/publ/d542.pdf>

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე მაღალია ლევერიჯის კოეფიციენტი⁵³, რომელიც 15.19 პროცენტს უტოლდება და მოთხოვნას 10.19 კპ-ით აღემატება.

დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად



(2022 წლის მონაცემები მოცემულია ადგილობრივი აღრიცხვის საფუძველზე, ხოლო 2023 წლის მონაცემები ასახულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად).

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერს, საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერს, საზედამხედველო სტრესტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრესტესტების ბუფერს და ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE ბუფერს.

მნიშვნელოვანია, რომ პილარ 2-ის ფარგლებში დაწესებული კაპიტალის ბუფერები (გარდა საკრედიტო რისკის კორექტირებისა და სტრეს-ტესტ ბუფერებისა) კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის ელემენტები იმავე პროპორციით უნდა დააკმაყოფილონ, როგორც ეს მინიმალურ მოთხოვნებშია მოცემული (ძირითადი პირველადი კაპიტალი - 4.5 პროცენტი, პირველადი კაპიტალი - 6 პროცენტი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი - 8 პროცენტი). შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი კაპიტალის 56 პროცენტი დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75 პროცენტი პირველადი კაპიტალის ელემენტებით. აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით კომერციულ ბანკებს დაწესებული ჰქონდათ ეტაპობრივად გაზრდის შესაბამისი ვადები, რომელიც 2023 წლის მარტში ამოიწურა და ბანკებს ევალებათ ზემოაღნიშნული პროპორციულობით დაიცვან კაპიტალის მოთხოვნები (ცხრილი N 4.1).

⁵³ კაპიტალის შეფარდება აქტივებთან.

ცხრილი N 4.1 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში

კონცენტრაციის (სახელობითი და სექტორული) ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის განაკვეთები	31/03/2021	31/03/2022	31/03/2023 და შემდგომ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	30%	45%	56%
პირველადი კაპიტალი	40%	60%	75%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	100%	100%	100%


COVID 19-ის კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენა 2022 წლის პირველ იანვარს დაიწყო. ბანკებს არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად ვადა 2023 წლის პირველ იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი 2024 წლის პირველ იანვრამდე განესაზღვრათ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მხოლოდ სამი ბანკი იყენებდა COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო შეღავათებს. ამას გარდა, 2023 წლის განმავლობაში ბანკები აქტიურად ახორციელებდნენ კაპიტალის ინსტრუმენტების მოზიდვას, როგორც მეორადი კაპიტალის, ასევე დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების სახით. კერძოდ, 2023 წლის განმავლობაში, დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტი გამოუშვა ორმა ბანკმა.

მიუხედავად საგრძნობი შემცირებისა, დოლარიზაცია ფინანსური სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ამის გათვალისწინებით, 2022 წლის მარტში დამტკიცდა არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის დათვლის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც სავალდებულო გახდა 2023 წლის მარტიდან. აღნიშნული ცვლილებით, 40 პროცენტი ან ნაკლების დოლარიზაციის შემთხვევაში, რისკის წონა 40 პროცენტის ტოლი იქნება (ნაცვლად 75-ისა) და ყოველი ერთი პპ-ით დოლარიზაციის ზრდა რისკის წონას 3 პპ-ით გაზრდის, მაქსიმუმ 100 პროცენტამდე. 2023 წლის ბოლო მდგომარეობით, ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლამ სისტემის ღონეზე საზედამხედველო კაპიტალზე მოთხოვნა 0.35% პპ-ით შემცირდა.

2023 წელს ეროვნული ბანკის მითითებით კომერციულმა ბანკებმა ჩაატარეს საზედამხედველო სტრესტესტი, რომლის შედეგების შემოწმების შემდეგ 2024 წელს იგეგმება სტრესტესტ ბუფერის დაწესება პილარ 2-ის ფარგლებში.

2018 წელს წმინდა GRAPE ბუფერი ამოქმედდა, რომელიც რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლის ფარგლებში განისაზღვრება და რომლის მიზანიც კომერციული ბანკების რისკების შეფასებაა. GRAPE-ის საფუძველზე თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი ფასდება. 2022 წლის აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ განაახლა წმინდა GRAPE ბუფერები, რის შემდეგაც ინდივიდუალური GRAPE ბუფერების მოცულობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.3-9.3 პროცენტის შუალედში განისაზღვრა.

დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს ეროვნული ბანკი კვლავ აგრძელებდა კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან. კერძოდ, აღნიშნულ რეგულაციებში განხორცილებული ცვლილებების შესაბამისად, კომერციული ბანკი ვალდებულია ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი გაუნაწილებელი მოგებიდან დაქვითოს განჭვრეტადი დივიდენდი. ამის გარდა, დამატებითი პირველადი და მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებად კლასიფიცირების კრიტერიუმებს დაემატა მოთხოვნა, რომ ინსტრუმენტის ხელშეკრულება, სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის პირობებს. ასევე, კანონმდებლობა, რომლითაც რეგულირდება ინსტრუმენტის ხელშეკრულება, უნდა ითვალისწინებდეს კომერციული ბანკის რეზოლუციის შემთხვევაში რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობას.

2023 წლის 1-ლი იანვრიდან საბანკო სისტემა წარმატებით გადავიდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს). შედეგად, საბანკო სისტემაში შემცირდა საზედამხედველო კაპიტალზე არსებული ბუფერები ძირითად პირველად კაპიტალსა და პირველად კაპიტალზე ბუფერის გაზრდის ხარჯზე. შედეგად, 2023 წლის განმავლობაში კომერციული ბანკები აქტიურად მოიზიდავდნენ და აგრძელებდნენ მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებს.

4.4 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა

კომერციული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლა 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიით იყო გათვალისწინებული. ფასს-ზე გადასვლით საბანკო სექტორის საჯარო და საზედამხედველო ანგარიშგებები ევროპისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას დაუახლოვდა. ფასს-ზე გადასვლის შედეგად, კომერციული ბანკები საზედამხედველო ნორმატივებს იცავენ ფასს-ზე დაფუძნებული რიცხვებითა და მიდგომებით. შესაბამისი ცვლილებები საზედამხედველო ნორმატიულ ბაზაში 2023 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა ძალაში.

ამასთან, 2023 წლის პირველ ნახევარში შენარჩუნდა პარალელური ანგარიშგება, რაც გულისხმობდა საანგარიშგებო ფორმების წარდგენას როგორც ფასს-ის, ასევე ადგილობრივი GAAP-ის შესაბამისად. აღნიშნულ პროცესში ბანკების მხრიდან მოხდა მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა და გაუმჯობესდა ანგარიშგების ხარისხი. შესაბამისად, სებ-ის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარალელური ანგარიშგების დასრულების შესახებ.


2023 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესში“. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა კომერციული ბანკების წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდასა და ნდობის ამაღლებას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის პარალელურად. ცვლილების მიხედვით განისაზღვრა ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების პერიოდულობა. კერძოდ, ყოველთვიურად, საანგარიშგებო თვის დასრულებიდან ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნდება ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესახებ საბალანსო მონაცემები, მოგება-ზარალის შესახებ ინფორმაცია, ძირითადი საბანკო მაჩვენებლები და კონსოლიდირებული სტატისტიკური ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი ფორმის შესაბამისად.

4.5 საკრედიტო რისკი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 52.9 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (2023 წლის ბოლოს არსებული კურსით), 16.5 პროცენტი იყო, ხოლო პორტფელმა ბანკთაშორისი სესხების გარეშე 52.8 მილიარდ ლარს მიაღწია და გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (2023 წლის ბოლოს არსებული კურსით) 17,6%-ით გაიზარდა⁵⁴.

⁵⁴ 2023 წლის მონაცემები აღნიშნულ ქვეთავში არ მოიცავს VTB ბანკის ინფორმაციას.

დიაგრამა N 4.3 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს მოხდა რესტრუქტურირება, კერძოდ ცალკე სეგმენტად გამოიყო მიკრო სეგმენტი. მიკრო სეგმენტის პორტფელის 80% გადმოვიდა კორპორატიული და მცირე და საშუალო სეგმენტებიდან, ხოლო 20 % საცალო სეგმენტიდან. რაც შეეხება წლის მანძილზე ცვლილებებს, საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა, სეგმენტების ჭრილში მცირედით შეცვლილია, კერძოდ, წლის მანძილზე გაიზარდა კორპორატიული სეგმენტის წილი, ხოლო საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი მთლიან პორტფელში შემცირდა. 2023 წლის მანძილზე გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ შესყიდული სხვადასხვა კორპორატიული კლიენტების ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ამ ეფექტის გათვალისწინებით, კორპორატიული სეგმენტის პორტფელის ზრდა 24.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდა ბანკთაშორისი სესხების გარეშე 18.2 პროცენტია.

ცხრილი N 4.2 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2023 წლის ბოლოს არსებული კურსით)


	დეკ-22		დეკ-23		ცვლილება ფიქსირებული კურსით%	ცვლილება რეკლასიფიკაციის ეფექტის გარეშე %
	მლნ ლარი	წილი %	მლნ ლარი	წილი %		
კორპორატიული სეგმენტი	14,026	31%	17,772	34%	26.7%	22.8%
მცირე და საშუალო სეგმენტი	7,897	18%	8,848	17%	12.0%	18.1%

მიკრო სეგმენტი	6,209	14%	7,138	14%	15.0%	16.2%
საცალო სეგმენტი	16,801	37%	19,072	36%	13.5%	13.5%
სულ:	44,932	100%	52,830	100%	17.6%	17.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წელს უცხოურ ვალუტაში სესხები უფრო მაღალ განაკვეთში გაიყვანა ვიდრე 2022 წელს, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო წლის მანძილზე SOFR-ის ზრდით. ხოლო ეროვნულ ვალუტაში პირიქით წინა წელთან შედარებით ნაკადებზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც თავის მხრივ სესხების რეფინანსირების განაკვეთის ეტაპობრივი შემცირების შედეგი იყო. ჯამურად ზემოთ აღნიშნულმა ცვლილებებმა მხოლოდ კორპორატიულ სეგმენტზე იქონია გავლენა, ამ სეგმენტში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მაღალი წილის გამო და ჯამურად აღნიშნული სეგმენტის საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა წელთან შედარებით მცირედით გაიზარდა.

დიაგრამა N 4.4 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ სეგმენტში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო და მიკრო სეგმენტში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო სეგმენტში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის დეკემბრის ბოლოს, ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 17,7 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პპ-ით მეტია.

ცხრილი N 4.2 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება

სექტორი ბანკთაშორისი სესხების გარდა (მილიონი ლარი)	წილი მილიან პორტფელ ში	ფინანსური ინსტრუმენტ ის მირი	ფინანსური ინსტრუმენტის ამორტიზირებუ ლი ღირებულება	მოსალოდნე ლი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნე ლი საკრედიტო ზარალი %
სახელმწიფო ორგანიზაციები	0.2%	94	94	1	0.7%
საფინანსო ინსტიტუტები	1.2%	625	630	4	0.6%
საბითუმო ლომბარდი	0.4%	231	232	1	0.6%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	4.9%	2,596	2,623	38	1.4%


უძრავი ქონების მენეჯმენტი	5.5%	2,892	2,935	25	0.9%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	1.7%	912	929	29	3.1%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	3.5%	1,853	1,868	22	1.2%
სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა	3.5%	1,835	1,847	16	0.9%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	2.9%	1,548	1,565	52	3.3%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლის წარმოება და ვაჭრობა	1.0%	512	515	5	0.9%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	1.0%	539	545	5	1.0%
ვაჭრობა (სხვა)	3.8%	2,012	2,034	39	1.9%
წარმოება (სხვა)	1.6%	866	875	16	1.8%
სასტუმროები და ტურიზმი	5.5%	2,882	2,920	42	1.4%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.4%	729	737	9	1.2%

მძიმე მრეწველობა	1.4%	750	765	13	1.6%
ბენზინგასამართი სადგურები და ბენზინის იმპორტიორები	0.7%	367	369	6	1.6%
ენერგეტიკა	4.0%	2,108	2,139	7	0.3%
ავტომობილები ს დილერები	0.4%	230	232	1	0.6%
ჯანდაცვა	2.2%	1,152	1,161	16	1.4%
ფარმაცევტიკა	0.3%	164	165	1	0.5%
ტელეკომუნიკაცია	0.4%	222	234	17	7.1%
სერვისი	5.3%	2,787	2,812	48	1.7%
სოფლის მეურნეობის სექტორი	5.6%	2,974	3,061	81	2.6%
სხვა	0.4%	204	212	6	2.7%
სადალო პროდუქტები	41.2%	21,747	22,033	484	2.2%
სატრანსპორტო სესხები	0.4%	185	188	4	2.3%
სამომხმარებლო სესხები	18.0%	9,505	9,563	345	3.6%
სწრაფი სესხები (Pay Day Loans)	0.0%	1	1	.2	26.9%
მომენტალური განვადება	0.8%	432	430	13	3.1%
ოვერდრაფტები	0.1%	70	73	15	20.0%
საკრედიტო ბარათები	0.9%	452	462	29	6.2%
იპოთეკური სესხები -	15.8%	8,327	8,494	64	0.8%

დასრულებული უძრავი ქონების შეძენა					
იპოთეკური სესხები - მშენებლობა, მშენებლობის პროცესში მყოფი უძრავი ქონების შეძენა	3.0%	1,578	1,607	6	0.4%
იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების რემონტისათვის	1.7%	874	889	5	0.6%
საცალო ლომბარდული სესხები	0.6%	317	322	2	0.7%
სტუდენტური სესხები	0.0%	6	6	.1	1.7%
საკრედიტო პორტფელი	100.0%	52,830	53,533	981	1.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.8 ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს, საცალო პროდუქტების ზრდის ტემპმა, 2022 წელთან შედარებით, მოიმატა. ზრდა დაფიქსირდა ყველა პროდუქტში, გარდა სწრაფი სესხებისა (Pay Day Loans). ამასთან, ფიქსირებული კურსის გათვალისწინებით, საცალო პროდუქტების ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების დაკრედიტების ზრდა იყო, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე იპოთეკური სესხები.

ცხრილი N 4.3 საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2023 წლის ბოლოს არსებული კურსით)


პროდუქტი	დეკ-22		დეკ-23		ცვლილება, % ფიქსირებული კურსით	ცვლილება, % ფიქსირებული კურსით	ცვლილება, % ფიქსირებული კურსით
	მლნ ლარი	წილი, %	მლნ ლარი	წილი, %			
საცალო პროდუქტები	18,46	100	21,74	100	17.8%	3,282	17.8%
სატრანსპორტო სესხები	0.8	%	0.9	%	27.0%	39	27.0%
სამომხმარებლო სესხები	7,438	%	9,50	43.7	27.8%	2,067	27.8%

		0.0		0.0			
სწრაფი სესხები (Pay Day Loans)	4	%	1	%	-81.4%	-3	-81.4%
		2.0		2.0			
მომენტალური განვადება	378	%	432	%	14.1%	53	14.1%
		0.3		0.3			
ოვერდრაფტები	51	%	70	%	36.3%	19	36.3%
		2.3		2.1			
საკრედიტო ბარათები	429	%	452	%	5.4%	23	5.4%
იპოთეკური სესხები - დასრულებული უძრავი ქონების შეძენა	7,511	%	8,327	%	10.9%	815	10.9%
		40.7		38.3			
იპოთეკური სესხები - მშენებლობა, მშენებლობის პროცესში მყოფი უძრავი ქონების შეძენა	1,387	%	1,578	%	13.8%	191	13.8%
		7.5		7.3			
იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების რემონტისათვის	806	%	874	%	8.4%	67	8.4%
		4.4		4.0			
საცალო ლომბარდული სესხები	310	%	317	%	2.4%	7	2.4%
		1.7		1.5			
სტუდენტური სესხები	3	%	6	%	87.2%	3	87.2%
		0.0		0.0			

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წინა წელთან შედარებით, საცალო პროდუქტების პორტფელის სტრუქტურა მცირედით შეიცვალა, რაც სამომხმარებლო სესხების წილის ზრდაში და იპოთეკური სესხების - „დასრულებული უძრავი ქონების შეძენა“ წილის შემცირებაში გამოიხატა. იპოთეკური სესხების წილის შემცირება, ძირითადად, გამოწვეულია სამომხმარებლო სესხების უფრო მაღალი ზრდის ტემპით.

დიაგრამა N 4.9 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2023 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.10 საცალო პროდუქტების პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის ბოლოს 2022 წლის დეკემბერთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია უმოქმედო სესხების და პორტფელზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მაჩვენებლები, რაც გამოწვეულია როგორც პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებით, ასევე ბანკების მიერ სესხების IFRS მეთოდოლოგიით კლასიფიკაცია/დარეზერვებაზე გადასვლით, თუმცა აღნიშნულის საპირწონედ ბანკებისთვის დაწესდა კაპიტალზე დამატებითი მოთხოვნა CRA ბუფერის სახით.

ცხრილი N 4.4 საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით

კატეგორია (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	ძირითადი მლნ ლარი	ამორტიზირებული ღირებულება მლნ ლარი	წილი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
1-ელი საკრედიტო რისკის დონე	48,637	49,159	92.1%	0.5%
მე-2 საკრედიტო რისკის დონე	2,824	2,901	5.3%	6.1%
<i>უმოქმედო სესხები</i>	1,369	1,473	2.6%	37.9%
მე-3 საკრედიტო რისკის დონე	1,255	1,356	2.4%	38.9%
POCI	114	117	0.2%	26.1%
სულ:	52,830	53,533	100.0%	1.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 4.5 პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით

სეგმენტი	უმოქმედო სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %
კორპორატიული	1.84%	1.14%
მცირე და საშუალო	4.45%	1.77%
მიკრო	2.47%	2.55%
საცალო	2.48%	2.24%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება, საცალო საკრედიტო პორტფელის ხარისხს, მთლიანი საცალო პროდუქტების პორტფელში შემცირდა უმოქმედო სესხების წილი, რაც მეტწილად განპირობებულია სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ხარისხის გაუმჯობესებით, ასევე წინა წელთან შედარებით უფრო მეტად გაიზარდა საცალო პროდუქტების პორტფელის მოცულობაც. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტული წილი პორტფელში ყველა საცალო პროდუქტისთვის, გარდა ოვერდრაფტებისა, შემცირებულია, პორტფელის ჩამოწერის და ზრდის ეფექტის გათვალისწინებით.

2021 წელთან შედარებით, 2022 წელს საცალო პროდუქტების პორტფელისთვის გაიზარდა რისკის ხარჯი, თუმცა ავტო სესხებისთვის, საკრედიტო ბარათებისთვის, სესხები ბინის რემონტისათვის და იპოთეკური სესხებისთვის რისკის ხარჯი წინა წელთან შედარებით შემცირდა. სამომხმარებლო

სესხებისთვის, მომენტალური განვადებისთვის და ოვერდრაფტებისთვის წინა წელთან შედარებით რისკის ხარჯის ზრდა აღნიშნული პროდუქტების სესხების გაზრდილმა ჩამოწერამ გამოიწვია.


დიაგრამა N 4.11 საცალო პორტფელის ხარისხი და რეზერვის წილი პროდუქტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წელთან შედარებით, 2023 წელს საცალო პროდუქტების პორტფელისთვის შემცირდა რისკის ხარჯი, თუმცა ოვერდრაფტებისთვის და საცალო ლომბარდული სესხებისთვის რისკის ხარჯი წინა წელთან შედარებით გაიზარდა.

დიაგრამა N 4.12 რისკის ხარჯის ცვლილება (დეკ-2022 - დეკ-2021)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.13 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.14 რესტრუქტურირებული სესხების წილი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.15 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.16 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.17 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა⁵⁵



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.18 ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს წმინდა ჩამოწერილი სესხების მოცულობა 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15.3 პროცენტით შემცირდა. შემცირება ფიქსირდება როგორც ჩამოწერილ აქტივებში, ასევე ჩამოწერილი აქტივების ამოღებაში, თუმცა ეს უკანასკნელი მეტადაა შემცირებული, ვიდრე აქტივების ჩამოწერა.


⁵⁵ მოიცავს საერთო რეზერვს

დიაგრამა N 4.19 სესხების ჩამოწერა და ამოღება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.20 პრობლემური აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, დასაკუთრებული ქონების წილის მოცულობა მთლიან დაბანდებებში (სესხებს დამატებული დასაკუთრებული ქონება) მცირედით გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, IFRS მეთოდოლოგიით წინა პერიოდში ჩამოწერილი დასაკუთრებული ქონების ბალანსზე აღდგენითაა გამოწვეული. აღსანიშნავია რომ IFRS-ის მიხედვით არ ხდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შექმნა დასაკუთრებულ ქონებაზე, თუმცა, ისევე როგორც სესხების შემთხვევაში, აღნიშნულის საპირწონედ ბანკებისთვის დაწესდა კაპიტალზე დამატებითი მოთხოვნა CRA ბუფერის სახით.

დიაგრამა N 4.21 დასაკუთრებული აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4.6 საბაზრო რისკი

2023 წლის განმავლობაში ლარის კურსი დოლართან მიმართებით გამყარდა, ხოლო ევროსთან შედარებით გაუფასურდა. წლის განმავლობაში ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას. წლის ბოლოს მდგომარეობით კრებსითი სავალუტო პოზიცია 1.9 პროცენტის ფარგლებშია.

საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის აქტივ-ვალდებულებების წილი კვლავ მაღალია, რის შედეგადაც, სავალუტო რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის არსებული მიდგომების სრულყოფის მიმართულებით, მათ შორის ღია სავალუტო პოზიციაში უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვის ასახვის მიდგომების დახვეწასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2023 წლის ივლისიდან საბანკო სექტორი სავალუტო

პოზიციას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად აღრიცხავს, სადაც სრულად არის დაქვითული უცხოური ვალუტის აქტივის შესაძლო დანაკარგის რეზერვები.

დიაგრამა N 4.22 კომერციული ბანკების საბალანსო და კრეზითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023 წლის ივლისიდან გათვალისწინებულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები

4.6.1 საპროცენტო რისკი

2023 წელს რეფინანსირების განაკვეთი 1.5 პპ-ით შემცირდა. ამასთან, წლის განმავლობაში შენარჩუნდა აშშ დოლარის და ევროს საერთაშორისო განაკვეთების ზრდა. საპროცენტო განაკვეთების მსგავსი მერყეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ბანკებში საპროცენტო რისკის რეგულარული მონიტორინგისა და ადეკვატური შეფასების მნიშვნელობას.

საქართველოში მოქმედ ბანკებს სავაჭროდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები თითქმის არ გააჩნიათ. თუმცა, ის ბანკები, რომელთაც სავაჭრო წიგნი⁵⁶ აქვთ, ვალდებული არიან შესაბამისი პროცედურები შეიმუშაონ და ეროვნულ ბანკთან ანგარიშგება აწარმოონ. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად, პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა გამოვლინდება, სავაჭრო წიგნის რისკის მართვისათვის განკუთვნილი რეგულაცია ამოქმედდება.

მიმდინარე ეტაპზე, მთლიანი ბალანსისთვის საბანკო წიგნის საპროცენტო რისკისთვის განკუთვნილი რეგულაცია და მიდგომები გამოიყენება. საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ ჩარჩოს მიზანია საბანკო წიგნში წარმოშობილი საპროცენტო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და მასთან დაკავშირებული ლიმიტების დაცვა. საპროცენტო


⁵⁶ სავაჭრო წიგნი მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც კომერციული ბანკი ფლობს:

- ა) მოკლევადიან პერიოდში გაყიდვის მიზნით;
- ბ) ფასის მოსალოდნელი ცვლილების გამო გადაფასებით მიღებული მოგების მოლოდინით;
- გ) მისი გამოყენებით არბიტრაჟის გზით შემოსავლების მისაღებად;
- დ) „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის შექმნილი ინსტრუმენტების რისკის პოზიციების დასაზღვევად.

რისკი საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ბანკის მგრძობელობას გამოხატავს. იგი ეხება ბანკის კაპიტალსა და შემოსავლებზე მოქმედ ახლანდელ ან სამომავლო რისკს, რომელიც საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად წარმოიშვება და საბანკო წიგნის პოზიციებზე ახდენს გავლენას. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად იცვლება მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა ახლანდელი ღირებულება და ნარჩენი ვადიანობები, რაც ცვლის შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, გარესაბალანსო მუხლებსა და მათ ეკონომიკურ ღირებულებას (EVE). ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალზეც (NII) აისახება, რაც საპროცენტო რისკის მიმართ მგრძობიარე შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების შედეგია. აღნიშნული რისკის მართვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობასა და კაპიტალზე.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო რისკის არსებული მიდგომის საფუძველზე, სისტემის ეკონომიკურ ღირებულებისა (EVE) და წმინდა საპროცენტო შემოსავლის (NII) ცვლილების პირველად კაპიტალთან ფარდობა, შესაბამისად, 7.6 და 3.4 პროცენტს შეადგენს. 2023 წლის განმავლობაში არსებული მაჩვენებლები მაქსიმალურ საზედამხედველო ლიმიტზე მნიშვნელოვნად ნაკლები რჩება.

დიაგრამა N 4.23 კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023 წლის ივლისიდან გათვალისწინებულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები

4.7 მომგებიანობის რისკი

2023 წელს უკუგებამ საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე⁵⁷, შესაბამისად, 3.8 და 25.7 პროცენტი შეადგინა. აღნიშნულ შედეგებში 2023 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში გათვალისწინებულია NBG აღრიცხვის, ხოლო ივლის-დეკემბერში IFRS აღრიცხვის შესაბამისი მაჩვენებლები. 2022 წელს NBG აღრიცხვის მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა 3.2 და 24.7 პროცენტს. მიმდინარე წელსაც საბანკო სისტემის მაჩვენებლები სტაბილურობით ხასიათდება და აქციონერებისთვის კაპიტალზე მისაღებ უკუგების დონეს აკმაყოფილებს.

დიაგრამა N 4.24 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023 წლის ივლისიდან გათვალისწინებულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები

2023 წელს აღსანიშნავია საბანკო სისტემის მომგებიანობაზე მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. წლის განმავლობაში გაზრდილი საკრედიტო აქტივობის ფონზე წმინდა საპროცენტო შემოსავლები 23 პროცენტით გაიზარდა. არასაპროცენტო ხარჯების 18 პროცენტიანი ზრდის მიუხედავად ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 39.9 პროცენტიდან 34.5 პროცენტამდე შემცირდა. ხარჯების აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი შემცირებულია 2.9 პროცენტიდან 2.6 პროცენტამდე (აღნიშნული სხვაობა მოიცავს IFRS აღრიცხვაზე გადასვლის ეფექტსაც).

⁵⁷ ROE - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო სააქციო კაპიტალთან, ხოლო ROA - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო აქტივებთან. ამ გაანგარიშებებში, NBG-ური წმინდა მოგება დათვლილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის ჯამს გამოკლებული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის თანხა, გაუთვალისწინებელი შემოსავლებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ. IFRS-ული წმინდა მოგება დათვლილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლებისა (ხარჯები) და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების (ხარჯები) ჯამს გამოკლებული მოსალოდნელი ზარალი და გაუფასურება, მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ.

დიაგრამა N 4.25 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023 წლისთვის მოცემულია IFRS მონაცემი დეკემბერში


საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას, ცალკეული ინსტიტუტების ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის ანალიზს, მომგებიანობის რისკის შესაბამისი შემამცირებლების შეფასებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მასშტაბის ეფექტის, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობისა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების ფაქტორებს. გრძელდება ბანკების პროდუქტების ფასდადების მონიტორინგი.

4.8 ლიკვიდობის რისკი

4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა

2023 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა მცირედით შემცირებულია. შედეგად, ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 21 პროცენტს აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 33.4 პროცენტამდე დასაფარად.


დიაგრამა N 4.26 ლიკვიდური აქტივების დონე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წლის განმავლობაში მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR). წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტიც (NSFR) ასევე მაღალ დონეს ინარჩუნებდა და წლის ბოლო მდგომარეობით 126 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 4.27 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (10 დღის მცურავი საშუალო)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 4.28 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი*



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების გეპის სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებდა როგორც 1 წლამდე, ისე 1 წელზე მეტი დროის კალათებში.

დიაგრამა N 4.29 ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.30 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.2 ვალდებულებების სტრუქტურა

ვალდებულებების სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებს. წინა წელთან შედარებით მცირედით შემცირებულია მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშების წილი. უცვლელია ნასესხები სახსრების და გაზრდილია ვადიანი დეპოზიტების წილი. ამასთან, ბანკები ვალდებულებების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს ინარჩუნებენ.

დიაგრამა N 4.31 ვალდებულებების სტრუქტურა


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



4.8.3 საცალო დაფინანსება

2023 წლის განმავლობაში არასაბანკო დეპოზიტები 5.8 მლრდ ლარით (13 კპ-ით, ხოლო გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 13.3 კპ-ით) გაიზარდა და დეკემბრისათვის 50 მლრდ ლარი შეადგინა. დეპოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების ანაზრების ზრდა, შესაბამისად, 15.1 პროცენტი და 13.3 პროცენტი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, შესაბამისად, 15.5 და 13.5 პროცენტი) იყო. 2023 წლის განმავლობაში გაიზარდა დეპოზიტების ლარიზაციაც და დეკემბრის ბოლოსთვის 49.6 პროცენტი შეადგინა.


დიაგრამა N 4.32 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2023 წლის განმავლობაში 0.3 პპ-ით შემცირდა და დეკემბრის ბოლოსთვის 17.9 პპ შეადგინა. წარმოშობის მიხედვით, არარეზიდენტების მთლიან დეპოზიტებში გაზრდილია რუსეთის რეზიდენტების წილი 38 პროცენტამდე. ამავდროულდა, ჯამურად ეს დეპოზიტები კვლავ დივერსიფიცირებულია, როგორც ქვეყნების, ისე დეპოზიტების ტიპების მიხედვით, რაც რისკიანობის კუთხით დადებითი ფაქტორია. ამ ტიპის დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტებისგან მოზიდული დეპოზიტებისთვის⁵⁸ დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას ინარჩუნებს. არარეზიდენტების დეპოზიტების მაღალი წილის მქონე ბანკებში დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის მოზიდვის სტიმულს ამცირებს.

დიაგრამა N 4.33 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


⁵⁸ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის კალკულაციის მიზნით, არარეზიდენტების დეპოზიტებს რეზიდენტებთან შედარებით უფრო მაღალი ლიკვიდობის მოთხოვნები მიეყენებათ.

დიაგრამა N 4.34 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2023 წლის დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.35 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჯრილში (2023 წლის დეკემბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.4 საბითუმო დაფინანსება

2023 წლის განმავლობაში სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობის კოეფიციენტები ჯამურად სტაბილური იყო. ამასთან, კოეფიციენტი გაზრდილია უცხოურ ვალუტაში და შემცირებულია ლარში, რაც იმით არის გამოწვეული, რომ წლის განმავლობაში ლარში დეპოზიტების ზრდა აჭარბებდა სესხების ზრდას, ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხების ზრდა მნიშვნელოვნად აღემატებოდა დეპოზიტების ზრდას. აღსანიშნავია, რომ ლარის სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილი იგივე კოეფიციენტი კვლავ აჭარბებს უცხოური ვალუტით სესხებისა და

დეპოზიტებისთვის დათვლილ მაჩვენებელს, რასაც, გარკვეულწილად, სავალუტო რისკებისა და ლარიზაციის ღონისძიებების გამო ლარის სესხების მაღალი ზრდის ტემპიც განაპირობებს.

დიაგრამა N 4.36 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბითუმო დაფინანსების გარე წყაროებიდან მიღებული თანხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც კრედიტორების ტიპის, ისე დაფარვის ნარჩენი ვადიანობის მიხედვით. აღნიშნული დაფინანსების 45 პროცენტზე მეტის ნარჩენი ვადიანობა 2 წელს აჭარბებს, რაც სისტემის ფონდირების რისკებს ამცირებს.

საბითუმო დაფინანსების 63.1 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის, 8.2 პროცენტი – მშობელ/დაკავშირებულ კომპანიებზე, ხოლო 28.7 პროცენტი - სხვა კერძო ინსტიტუტებზე. დაბალ რისკად შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მაღალი წილი და დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი. ფონდირების რისკების მართვის მიზნებისთვის, ეროვნული ბანკი რეგულარულად ახორციელებს კოვენანტების⁵⁹ მონიტორინგს.

ცხრილი N 4.3 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თვე	<1	1–3	3–6	6–12	12–24	24–36	36–60	>60	ჯამი
ჯამი	5.9%	5.0%	11.6%	12.9%	18.5%	10.5%	22.0%	13.7%	100.0%
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	1.8%	4.0%	1.8%	7.1%	13.5%	6.8%	16.6%	11.5%	63.1%
დაკავშირებული/მშობელი ფინანსური ინსტიტუტები	0.9%	0.0%	0.7%	0.8%	1.0%	2.2%	2.2%	0.4%	8.2%
სხვა კერძო დაფინანსება	3.3%	0.9%	9.0%	4.9%	4.1%	1.4%	3.2%	1.8%	28.7%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

⁵⁹ სასესხო ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვები.

4.9 მაკროპრუდენციული რისკები

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს სისტემური რისკების ისეთ მაჩვენებლებზე დაკვირვებას, რომლებმაც, შესაძლოა, საბანკო სექტორზე მატერიალური გავლენა იქონიოს. აღნიშნული რისკების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა თავშიც არის მოცემული. ამ მიმართულებით გასული წლის მთავარ გამოწვევად რჩება რეგიონში შექმნილი გაურკვევლობა და შედეგად წარმოქმნილი ფინანსური სექტორის სტაბილურობის რისკების შეფასება და შესაბამისი მაკროპრუდენციული და საზედამხედველო პოლიტიკების შემუშავება და განხორციელება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს მაკროპრუდენციულ ზედამხედველობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გამო არაჰეჯირებული მსესხებლებისათვის ვალის გაზრდილი ტვირთი; მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის ჭარბვალიანობა; მძაფრი კონკურენცია ბიზნესის და იპოთეკურ დაკრედიტებაში პროდუქტებზე ფასდადების არასრულყოფილი მოდელების ფონზე; კიბერრისკები და თაღლითობები სისტემის მასშტაბით; ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არარეგულირებადი ფინანსური შუამავლობის პოტენციური ზრდა; რეგიონში არსებული საფრთხეები და ა.შ.


2023-2024 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აღნიშნული რისკების მიტიგაციის მიზნით:

- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიცვალა კონტრციკლურის ბუფერის დაგროვების განრიგი. კერძოდ, კომერციულ ბანკებს კონტრციკლური ბუფერის დაგროვება შემდეგი გრაფიკით მოუწევთ: 2024 წლის 15 მარტისთვის - 0.25 პროცენტი, 2025 წლის 15 მარტისთვის - 0.5 პროცენტი, 2026 წლის 15 მარტისთვის - 0.75 პროცენტი, 2027 წლის 15 მარტისთვის - 1 პროცენტი.
- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილებით სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადა სამიდან ოთხ წლამდე გაიზარდა.
- ეროვნულმა ბანკმა დამატებით მოთხოვნა დაუწესა რეგულირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომ 2024 წლის 1 იანვრიდან, იმ პირებზე, რომელთა ჯამური დავალიანება 300,000 ლარამდე იქნება, უცხოური ვალუტის ახალი სესხი გასცენ მხოლოდ ჰეჯირებული სავალუტო რისკის პირობებში.
- კომიტეტმა არარეზიდენტების უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე ლიკვიდობის მოთხოვნის რეკალიბრაციის გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, გასულ წელს, საქართველოში რუსეთის რეზიდენტების მიერ უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების ჭარბი ზრდიდან მომდინარე რისკების შერბილების მიზნით, სებ-მა ლიკვიდობის მოთხოვნა (გადინების განაკვეთი) 80%-მდე გაზარდა. მას შემდეგ რაც რუსეთის რეზიდენტების ანგარიშებისა და ანაბრების მოცულობა დასტაბილურდა, ხოლო წილი მთლიან დეპოზიტებში შემცირდა, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა რუსეთის რეზიდენტების უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებისათვის ლიკვიდობის მოთხოვნის სხვა არარეზიდენტი დეპოზიტების ლიკვიდობის მოთხოვნის თანაზომიერად (საშუალოდ, 40%) დაწესების გადაწყვეტილება მიიღო.

- დასრულდა COVID-19-ის კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენა;
- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებული ფინანსური სექტორის შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, სისტემური ბანკებისთვის დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL) დააწესა. დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) განაკვეთი, სისტემური კომერციული ბანკებისთვის განისაზღვრა: 2024 წლის 1 იანვრიდან 10% - ის ოდენობით, 2025 წლის 31 დეკემბრიდან 15% - ის ოდენობით, 2027 წლის 31 დეკემბრიდან 20% - ის ოდენობით;

ფინანსური სექტორისთვის გამოწვევად რჩება დეპოზიტების დოლარიზაცია, რომელიც, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. ეს პარამეტრი განსხვავდება კლიენტების და დეპოზიტების ტიპების მიხედვით. დოლარიზაცია ფიზიკური პირების დეპოზიტებში უფრო მაღალია; შედარებით დაბალი კი, იურიდიული პირების ანგარიშებზეა, რაც კომპანიების საოპერაციო საქმიანობაში ლარის საჭიროებიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით საყურადღებოა ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების 60 პროცენტია დოლარიზაცია. დეპოზიტების აღნიშნული ტიპი მთლიანი პორტფელის ყველაზე მსხვილი მუხლია და რადგანაც მისი დოლარიზაციის ტრენდი მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაციაზე დიდ გავლენას ახდენს, ის ფიზიკური პირების მხრიდან სავალუტო კურსის მიმართ მოლოდინების კარგი საზომია.

დიაგრამა N 4.37 დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით)*



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი;

*2023 წლის ივლისიდან გათვალისწინებულია IFRS აღრიცხვის შესაბამისი მონაცემები.

ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკისთვის ეროვნული ბანკი პრუდენციულ მიდგომას ინარჩუნებს. კერძოდ, არაპეჯირებულ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა მოქმედებს, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, დამატებით, უფრო კონსერვატიული საკრედიტო სტანდარტებია დაწესებული. ვალდებულებების ლარიზაციის მხარდასაჭერად კი, ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისთვის ლიკვიდობის და მინიმალური რეზერვების უფრო შეღავათიან მოთხოვნებს იყენებს.

4.10 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამომდინარეობს გაუმართავი/არაეფექტიანი შიდა პროცესებიდან, ადამიანებისგან, სისტემებიდან ან გარეშე მოვლენებიდან. ამ გარეშე ფაქტორებად, მიმდინარე წელს კვლავ აქტუალურია რუსეთ-უკრაინის ომი, რამაც ფართომასშტაბიანი ზეგავლენა იქონია მსოფლიოზე და ფინანსური სექტორი საოპერაციო რისკების თვალსაზრისით საყურადღებო არეალში მოაქცია. საოპერაციო რისკების მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს ბიზნესის უწყვეტობის რისკი, კიბერრისკი და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები. ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კომერციულ ბანკებთან ბიზნესის უწყვეტობის მართვის პრინციპების და შესაბამისი გეგმის გამართულობაზე. ეროვნული ბანკი ასევე ყურადღებას აქცევს ბიზნესის უწყვეტობის მართვის ფარგლებში სხვადასხვა მნიშვნელოვან კომპონენტს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ გამართულობას და ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ტესტირებას. ბანკებისთვის მნიშვნელოვანია მუდმივმოქმედ რეჟიმში უზრუნველყონ ბიზნესის უწყვეტობის ჩატარება სხვადასხვა სცენარების მიხედვით, რაც ასევე მოიცავს აუტოსორსინგულ პროცესებსაც (მ.შ. ღრუბლოვან სერვისებს). სეზ-ი განაგრძობს კომერციული ბანკების ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ტესტირების განხორციელების მონიტორინგს, რაშიც აქტუალურია თანამშრომელთა უწყვეტობისა და კრიტიკული პროცესების შეუფერხებლად მუშაობა. სეზ-ის საოპერაციო რისკების მიმართულება ჩართულია კომერციული ბანკების გაჯანსაღების გეგმის შეფასებაში საოპერაციო რისკების მიმართულებით. დამატებით, აღსანიშნავია, რომ სეზ-ი 2023 წელს, განაგრძობდა კომერციული ბანკების საოპერაციო და კიბერრისკის მართვის ჩარჩოს ჰიბრიდულ რეჟიმში შეფასებას. გასულ წელს შეფასებული კომერციული ბანკების მონიტორინგისთვის კი მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა მათთვის გაცემული საზედამხედველო მოთხოვნების მიმდინარე სტატუსების შეფასებას.

სეზ-ში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ციფრული ბანკებისა და ახალი საზედამხედველო სუბიექტი მიკრობანკების მიმართულებით, საოპერაციო რისკების განყოფილების მიერ შემუშავდა საოპერაციო რისკების მართვასთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც ასევე გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. ციფრულ და მიკრო ბანკებთან სეზ-ი განაგრძობს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვის ზედამხედველობას.

ფინანსურ სექტორში ფართოვდება დისტანციური მომსახურებებისა და გაციფრულების პროცესები, სადაც აუცილებელი ფაქტორია თაღლითობისა და ტექნოლოგიური რისკების მიმართულებით კონტროლის მექანიზმების დანერგვა და მუდმივი გაუმჯობესება. გასული წლის მანძილზე, საოპერაციო რისკების ზედამხედველობა აქტიურად იყო ჩართული საბანკო სექტორში ღია ბანკინგის, ციფრული ბანკინგის, პირის დისტანციური იდენტიფიკაციის, ელექტრონული

ხელმოწერების პროცესებთან დაკავშირებული საოპერაციო და კიბერრისკების შესწავლასა და შეფასებაში.

ელექტრონული ხელმოწერის პროცესის დანერგვა დაიწყო კომერციული ბანკების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. მიმდინარე ეტაპზე შემოთავაზებულია ელექტრონული ხელმოწერის ორი ვარიანტი: 1. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა; 2. განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონული ხელმოწერა ბანკებისთვის ამ ეტაპზე სიახლეს წარმოადგენს. ეს პროცესი დისტანციური მომსახურებისთვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. მისი დანერგვა ფინანსური ორგანიზაციებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია რისკები, რომელიც შესაძლოა ელექტრონული ხელმოწერის პროცესს თან ახლდეს. გამომდინარე აქედან, პროცესი საჭიროებს პრაქტიკაში შესწავლას.

საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს საბანკო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას, საოპერაციო რისკების მართვის გაფართოებასა და საზედამხედველო პრინციპების განვითარებას. ბანკებს რეკომენდაცია მიეცათ, რომ იზრუნონ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებზე, როგორც ბანკის თანამშრომლებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის. ამასთანავე, ამ მიმართულებით, სხვადასხვა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, სტარტაპებისა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების გაციფრულების ხელშეწყობის ფარგლებში, ხორციელდება საოპერაციო რისკების მართვის პრაქტიკისა და შეფასების დანერგვაზე რეკომენდაციების გაზიარება.

საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკებთან ერთად, მუშაობას განაგრძობს იმისათვის, რომ ბანკებს გააჩნდეთ სათანადო და მოქნილი კონტროლის მექანიზმები, განვითარდეს და დაინერგოს თაღლითობის მონიტორინგის გაუმჯობესებული მართვის ინსტრუმენტები და საინფორმაციო სისტემები, მათ შორის ქცევაზე ორიენტირებული ანალიტიკური მართვის სისტემები. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის საგადახდო ბარათებთან და ციფრულ არხებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის თაღლითობის მოვლენების აღმოჩენისა და აღკვეთის პროცესების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია.

მსხვილი საოპერაციო მოვლენების, მათ შორის კიბერრისკის სისტემური გავრცელების პრევენციისა და დროული ინფორმირების უზრუნველსაყოფად დაინერგა და აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის ცენტრი, საქართველოს კომერციულ ბანკებთან დახურული საკომუნიკაციო პლატფორმის სახით.

2023 წელს კვლავ აქტუალური იყო საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოება. ამ მხრივ, მიმდინარეობს საოპერაციო რისკების სტრესტესტების შესწავლა და კვლევა, რაც ნეგატიური სცენარის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციის კაპიტალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მოვლენის მოსალოდნელი ზეგავლენის განსაზღვრის და მისი შემცირების შესაძლებლობას იძლევა. გამომდინარე აქედან, მეტი მნიშვნელობა ენიჭება პოტენციური თუ რეალური საოპერაციო რისკების დანაკარგების ისტორიული მონაცემების აღრიცხვას და სრულყოფას, საოპერაციო რისკების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსა და სისტემური ზეგავლენის შეფასებას. სებ-ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბანკო სექტორში მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის რისკის დაცვის მიმართულებას. ამ მხრივ, გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა საოპერაციო რისკების დანაკარგების აღრიცხვის და ანგარიშგების სახელმძღვანელო. ასევე,

შემუშავების ეტაპზე რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და რისკების ანგარიშების პრინციპები.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ახორციელებს ფინანსური მონაცემების სიზუსტის, მთლიანობისა და ხარისხის შეფასებას საბანკო სექტორში. მონაცემთა ხარისხის მართვის ფარგლებში, ყურადღება ეთმობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ბიზნესპროცესების გამართულობას, ანალიტიკური ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, ანგარიშგების პროცესების ავტომატიზაციის დონის ზრდას და დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების კომპლექსურობის შემცირებას.


4.10.1 საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში

ადგილობრივი საბანკო სისტემა გამოირჩევა საბანკო პროდუქტებისა და სერვისების შედარებით დაბალი სირთულით და კომპლექსურობით, თუმცა ტენდენციურია საინფორმაციო სისტემებზე დამოკიდებულების ზრდა, რაც ზრდის ფინანსური სექტორის თანმდევ საოპერაციო რისკს. აღსანიშნავია 2022 წლის მსგავსად, 2023 წლის მანძილზე ციფრული მომსახურების რაოდენობრივი ზრდა და ფინანსური სექტორის გაციფრულების სამომავლო სტრატეგიები.

2023 წელს, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა საოპერაციო დანაკარგმა 29.7 მილიონი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის მთლიან დანაკარგზე 32 პროცენტით ნაკლებია. მთლიანი დანაკარგი იმ სახის დანაკარგს წარმოადგენს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებულ თავდაპირველ თანხობრივ მაჩვენებელს უკავშირდება, საოპერაციო დანაკარგის ყოველგვარ ანაზღაურება/დაბრუნებამდე.

2023 წელს დაფიქსირდა საოპერაციო დანაკარგის 22,408 მოვლენა, რაც 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით 10 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების ანგარიშგების ფარგლებში, კომერციული ბანკი ვალდებულია აღრიცხოს ყველა საოპერაციო დანაკარგის მოვლენა, რომლის მთლიანი დანაკარგი უდრის ან აღემატება 10 ლარს. დიაგრამა N 4.38 2023 წლის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ასახავს.


დიაგრამა N 4.38 2023 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.39 ასახავს მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2019-2023წწ.). გასათვალისწინებელია, რომ წლის ბოლოსკენ ისტორიულად უფრო მეტი საოპერაციო მოვლენები აღირიცხება, ვიდრე წლის სხვა დროს, რაც დიდწილად საანგარიშგებო წლის დასრულებასთან არის დაკავშირებული.


დიაგრამა N 4.39 ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2019-2023 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური სისტემის საოპერაციო რისკის განსასაზღვრად, ერთ-ერთ ყველაზე კარგ საზომს საოპერაციო რისკის დანაკარგის ინდიკატორი წარმოადგენს. მოცემული მაჩვენებელი გამოითვლება ფინანსური სისტემის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის მთლიან შემოსავალთან შეფარდებით. 2023 წელს, ჯამური წლიური მთლიანი დანაკარგების შეფარდება ბაზელ 2-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან 0.54 პროცენტს შეადგენდა. დიაგრამა N4.45-ში წარმოდგენელია საქართველოს საბანკო სექტორის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა თვეების მიხედვით.

დიაგრამა N 4.40 2023 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს, 2022 წლის მსგავსად, საოპერაციო დანაკარგები, ძირითადად, საცალო საბანკო მომსახურებისა და, გარკვეულწილად, კომერციულ საბანკო მომსახურების ბიზნესის ხაზებში ფიქსირდებოდა. საცალო საბანკო მომსახურების ბიზნესის ხაზი, უშუალოდ საცალო საბანკო მომსახურებასთან ერთად, ასევე მოიცავს საგადახდო ბარათებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანაკარგებსაც.

თუ საოპერაციო დანაკარგებს მოვლენათა კატეგორიების მიხედვით დავყოფთ, დანაკარგების ყველაზე დიდი წილი თანხობრივად (მთლიანი დანაკარგების 43 პროცენტი), პროცესების მართვის კატეგორიაში დაფიქსირდა, ხოლო სიდიდით მეორე კატეგორია (31 პროცენტი ხვედრითი წილით) გარე თაღლითობაზე მოდიოდა.

2023 წლის საოპერაციო დანაკარგების სტრუქტურა ასახულია დიაგრამა N 4.41-ზე.

დიაგრამა N 4.41 საბანკო სისტემის 2023 წლის მთლიანი დანაკარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.11 კიბერრისკი

კიბერუსაფრთხოების, როგორც საოპერაციო რისკის ერთერთი სახეობის, აქტუალურობა ციფრული ტრანსფორმაციისა და სანდოობის კვალდაკვალ მატულობს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ კიბერრისკი კვლავ ყველაზე დიდ საფრთხედ სახელდება ფინანსური სექტორისთვის. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშში, რომელიც ეხება ფინანსური სტაბილურობის დაცვას მაღალი ინფლაციისა და გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, ნახსენებია, რომ არატრადიციული რისკები, როგორცაა, მაგალითად,

კიბერრისკები, იზრდება გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, რაც საფრთხეს უქმნის ფინანსურ სტაბილურობას.

საქართველოს საფინანსო სექტორში 2023 წლის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საკითხად გამოვლინდა მესამე მხარიდან მომდინარე რისკების სათანადოდ მართვა. ეროვნული ბანკის კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდის მიერ გაიცა რიგგარეშე საზედამხედველო მითითებები და გაფრთხილებები, რომელთა მიზანია იყო კომერციული ბანკების მიერ დამატებითი ღონისძიებების გატარება და რწმუნების მოპოვება მესამე მხარეების კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.

ამას გარდა, ეროვნული ბანკის კიბერ-რისკის ზედამხედველობის გუნდმა განახორციელა საფინანსო სექტორისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მესამე მხარის შემოწმება კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების პრაქტიკის მიმართულებით.

ასევე, დისტანციური მომსახურების არხების განვითარება-დანერგვის პირობებში, კიბერუსაფრთხოების სათანადო დონეზე შენარჩუნება საფინანსო სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივმოქმედ რეჟიმში აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს და ახორციელებს კიბერრისკის მონიტორინგს, რათა კიბერშეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, დროულად განხორციელდეს აღმოფხვრითი ღონისძიებები, შეტევის ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, მასზე დროული რეაგირების მიზნით, მთლიან საბანკო სექტორთან აღნიშნული ინფორმაციის მყისიერი შეტყობინება.

როგორც უკვე ცნობილია, 2019 წელს საბანკო სექტორში დაინერგა კიბერუსაფრთხოების საზედამხედველო მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დანერგვის, გამართვისა და მუდმივი გაუმჯობესების მონიტორინგსა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს.

2023 წლის განმავლობაში, კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდმა ზემოხსენებულ ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელა კომერციული ბანკების ციკლური შეფასებები. შეფასებები ძირითადად წარიმართა დისტანციურად, ფიზიკური ვიზიტები განხორციელდა მხოლოდ მონაცემთა საცავების შესამოწმებლად. მოცემული პროცესის ფარგლებში, გამოვლინდა რიგი მიგნებები და ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლად განისაზღვრა როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები, ასევე რეკომენდაციები.

თანამედროვე გამოწვევების და კონტექსტის გათვალისწინებით, ძირითადი გასაუმჯობესებელი მიმართულებები მოიცავდა კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფი პოლიტიკა-პროცედურების ფორმალიზებას, რისკების მართვის პრაქტიკის, მათ შორის მესამე მხარეებიდან მომდინარე კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის გაუმჯობესებას, ინფორმაციის დაცვის მიზნით დანერგილი პროცესებისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტების ეფექტიანობას, ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვასა და ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში დასაქმებული ადამიანური რესურსების გაძლიერებას სათანადო კომპეტენციებით. ასევე, საყურადღებოა ბიზნესის უწყვეტობისა და მზადყოფნის გეგმების არსებობა და მათი ეფექტიანობა პოტენციურად მასშტაბური კიბერინციდენტის დადგომისას.

ზემოაღნიშნული საზედამხედველო მოთხოვნების გარდა, კომერციულ ბანკებს დამატებით ევალუბათ ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და აღნიშნულ სისტემებზე შეღწევადობის ტესტირებების განხორციელება, რაც სხვადასხვა სისუსტეების აღმოფხვრას და კიბერრისკების შემცირებას ემსახურება. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი სათანადო დარგობრივი ტესტირებების/აუდიტების ჩატარებასა და ხარისხის კონტროლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

კიბერუსაფრთხოების ზედამხედველობის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კიბერინციდენტების მართვისთვის საჭირო ეფექტური პროცესებისა და მექანიზმების არსებობა. ამ მიმართულებით კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდი კვლავ განაგრძობს კიბერინციდენტების შესახებ კომერციული ბანკებიდან სავალდებულო წესით მიღებული ანგარიშების გაანალიზებას და კვარტალური ანგარიშების წარმოებას, რაც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალური ბანკის, ასევე ყველა ბანკის ჭრილში წარმოჩინდეს კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკა.

2023 წლის ფარგლებში, მსგავსად წინა წლისა, საბანკო სექტორში ძირითადად ფიქსირდებოდა ე.წ. ფიშინგისა და მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDos) შეტევები, რომლის შედეგადაც ჰაკერები ახორციელებდნენ მომხმარებლების კონფიდენციალური და სენსიტიური ინფორმაციის მოპარვას და შემდგომ სათავისოდ გამოყენებას (ფიშინგის შემთხვევაში) და გარკვეული დროის მანძილზე კომერციული ბანკების სერვისების შეფერხებას ან შეფერხების მცდელობას (DDos შეტევების შემთხვევაში). საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან ერთად აქტიურად მუშაობდა მსგავსი სახის მოვლენების აღსაკვეთად სათანადო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე.

კიბერუსაფრთხოების შესახებ აქტუალური ინფორმაციის არსებობა და მისი გაზიარება დაინტერესებულ მხარეთა შორის აღიარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკაა, რაც ემსახურება კიბერრისკის ეფექტურ მართვას. შესაბამისად, 2023 წელს ეროვნულმა ბანკმა არაერთი გამაფრთხილებელი განცხადება გააზიარა კომერციულ ბანკებთან კიბერუსაფრთხოებზე ინფორმაციის გაზიარების პორტალის მეშვეობით. პლატფორმა უზრუნველყოფს წევრებისთვის კიბერუსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის დროული, ზუსტი და ქმედითი გაფრთხილებების გაზიარების შესაძლებლობას. პლატფორმაზე კიბერუსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ეხმარება პლატფორმის წევრებს აქტუალური ტენდენციების, მოსალოდნელი საფრთხეებისა და წარსული გამოცდილების ცოდნის მიღებაში, რაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას კიბერრისკის პრევენციისთვის.

2023 წლის განმავლობაში კვლავ აქტიურად ხორციელდებოდა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების სამუშაოები როგორც საფინანსო სექტორისთვის, ასევე მისი მომხმარებლებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით საფინანსო სექტორი კვლავაც ჩაერთო საერთაშორისო კამპანიაში და 2023 წელს, საქართველოში მეორედ, კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების თვე მოეწყო. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ორგანიზებით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის კონკურსები, კონფერენციები, შემეცნებითი ვიდეო რგოლები და სხვა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობაში კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროცესს.

როგორც უკვე ცნობილია, 2021 წელს განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წელს. გამომდინარე აღნიშნულიდან, ეროვნული ბანკის კიბერრისკების ზედამხედველობის გუნდმა სისტემური ბანკებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტისა და შეღწევადობის ტესტირების განმახორციელებელი კომპანიების ავტორიზაციის პროცესში შეასრულა კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულება.

4.11.1 კიბერრისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები

როგორც უკვე ცნობილია, საზედამხედველო ფუნქციისა და ინსტრუმენტების განვითარების მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა „კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“. აღნიშნული დოკუმენტი საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს შეფასების ეფექტურობას უზრუნველყოფს.

ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, ერთი მხრივ, აუდიტორული დასკვნების ხარისხზე, ხოლო, მეორე მხრივ, დასკვნებში წარმოდგენილი ხარვეზების შემდგომ გამოსწორებაზე საზედამხედველო სუბიექტების მიერ. შესაბამისად, აუდიტის შემდგომ ღონისძიებებზე ეროვნული ბანკის მხრიდან მონიტორინგის განხორციელება პრაქტიკაში გამოყენებულია დამატებით საზედამხედველო ინსტრუმენტად.

გასულ წლებში საფინანსო სექტორმა, განსაკუთრებით კი საბანკო დაწესებულებებმა, აქტიურად დაიწყეს ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურებების გამოყენება. 2023 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება „ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების გამოყენების შესახებ“. აღნიშნული სახელმძღვანელო თავისი არსით წარმოადგენს პრევენციული ხასიათის მოთხოვნებს, რომელთა ჯეროვნად შესრულებაც ხელს შეუწყობს საზედამხედველო სუბიექტების მიერ ღრუბლოვანი გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევების/რისკების მართვას. სახელმძღვანელო ფინანსურ ორგანიზაციებს უყენებს მთელ რიგ მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება როგორც ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების მომწოდებლების წინასწარ შეფასებას, ასევე კრიტიკული ან/და მნიშვნელოვანი ფუნქციის შეფასებას, კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასებას, სათანადო დარგობრივი რწმუნებების მოპოვებას, აუდიტის და ზედამხედველობის უფლებების რეალიზებას, მონიტორინგსა და მომსახურებიდან გასვლის სტრატეგიას.

2023 წელს ასევე გამოიცა „მიკრობანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება, რომლის დანართსაც წარმოადგენს „მიკრობანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“. მიკრობანკად ლიცენზირების მსურველი სუბიექტისთვის აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შემუშავდა კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფის გეგმა-გრაფიკი. კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდი აქტიურ კომუნიკაციას ახორციელებენ აპლიკანტ სუბიექტებთან.

ციფრულ ბანკად ლიცენზირებისთვის კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების სათანადოდ უზრუნველყოფა კვლავ აქტუალური საკითხია. 2023 წელს ეროვნული ბანკის კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდის მიერ შემუშავდა საკვანძო მოთხოვნების პაკეტი, რომელთა შესრულების სტატუსსაც აქტიურ რეჟიმში აკვირდება შესაბამისი გუნდი.

2023 წელიც, მსგავსად წინა წლისა, კვლავ გამოირჩეოდა ფინანსურ სექტორში ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვით, რომელიც სულ უფრო მეტად ეფუძნება საინფორმაციო სისტემებს. შესაბამისად, კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდი განაგრძობდა აღნიშნული პროდუქტების შესწავლისა და სათანადო შეფასებების პროცესში მონაწილეობას.

როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი, რომლის ფარგლებშიც, ბიუროსა და პლატფორმისთვის, სხვა მოთხოვნათა შორის, ასევე დადგენილია მოთხოვნები საინფორმაციო სისტემების მიმართ. 2023 წლის განმავლობაში, პლატფორმად რეგისტრაციის მსურველი ორგანიზაციებისთვის კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდის მიერ არაერთი რეკომენდაცია გაიცა ინფორმაციული უსაფრთხოების მომწესრიგებელი პოლიტიკა-პროცედურების, ასევე საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიულად შესრულებულ აუდიტსა და შეღწევადობის ტესტირებებს, რომელთა ანგარიშები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ვინაიდან კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი კომპენტენციის მქონე კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების არსებობა და სათანადო ხელშეწყობა კარიერით განვითარებისთვის. კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდმა 2023 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დარგობრივ სემინარსა და ტრენინგში, აღსანიშნავია, რომ გუნდის წევრები ფლობენ საერთაშორისოდ აღიარებულ დარგობრივ სერტიფიკატებს.

4.12 ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება

4.12.1 ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა

საფინანსო სექტორში ინოვაციების და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკებიც მოაქვს. პარალელურად, საფინანსო სექტორი მთელს მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, ამ რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი საფინანსო სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვატორების წახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ფინტექსაქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას უწყობს ხელს.

ფინანსური ინოვაციის ოფისი^[1]

ფინანსური ინოვაციების ოფისი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსური ტექნოლოგიების ინოვატორთა საზოგადოებას შორის კომუნიკაციის საშუალებაა. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისიაა ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან ინოვაციებს ფინანსურ სექტორში და დაეხმაროს ფინტექორგანიზაციებს/სტარტაპებს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების საზედამხედველო მიდგომის გაცნობაში.

2023 წლის განმავლობაში ფინანსური ინოვაციების ოფისის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩატარდა ინოვაციური იდეების მქონე პირებთან.

ინოვაციების ოფისის ხელშეწყობით 2022 წელს გაიცა პირველი ციფრული ბანკის ლიცენზია და პირველი ციფრული ბანკი გახდა „პეისერა ბანკი საქართველო“. ასევე შემოსული იყო რამდენიმე ლიცენზიაზე განაცხადი. 2023 წელს კიდევ 2 ლიცენზია გაიცა, „კემ“ და „პეივ ბანკი ჯორჯია“. ისევ არის შემოსული განაცხადი, რომელიც იმყოფება განხილვის ეტაპზე და შესაბამისად ციფრული ბანკების ლიცენზირებაზე მუშაობა აქტიურად გაგრძელდება 2024 წლის განმავლობაში.

ფინანსურ სექტორში არსებულ ინოვაციებთან დაკავშირებით ინოვაციების ოფისი წლის მანძილზე მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდა USAID-თან, გერმანიის ეკონომიკურ ჯგუფთან (GET), BaFin, GFin-სა და სხვა ორგანიზაციებთან, არსებული სიახლეების და საზედამხედველო მიდგომების გასაცნობად.

რეგულირების ლაბორატორია

რეგულირების ლაბორატორია (Regulatory Sandbox) ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის რეალურ გარემოში გამოცდის და ტესტირების საშუალებას იძლევა. 2023 წელს რეგულირების ლაბორატორიის რეალურ გარემოში ტესტირების ეტაპზე მონაწილეობდა ერთი სუბიექტის დისტანციური იდენტიფიკაციის ინოვაციური სერვისი. ასევე, წლის ბოლოს რეგულირების ლაბორატორიაში განსახილველად შემოვიდა 3 ახალი პროექტი: „კრიპტო ვალუტებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა“; „ვალუტის ონლაინ კონვერტაციის განხორციელება“; „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო - პლატფორმა“.

2023 წელს განხორციელდა მსოფლიოში განვითარებული ფინტექ ბიზნესმოდელების შეფასება ე.წ. „მეფინგი“, რის საფუძველზეც დაიდენტიფიცირდა საინტერესო და საბოლოო მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანი დამატებითი სარგებლის მომტანი ფინტექ ბიზნესმოდელები. აღნიშნულის შესაბამისად, საინტერესო ბიზნესმოდელების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გადაწყდა ორი ე.წ. „მიზნობრივი სენდბოქსის“ (Targeted sandbox) გამოცხადება ისეთი ბიზნესმოდელებისთვის, როგორებიცაა: „ვალუტის ონლაინ კონვერტაციის განხორციელება“ და „არასაბანკო ინსტიტუტების მიერ ესქრო (Escrow) მომსახურების განხორციელება“. ვალუტის ონლაინ კონვერტაციის მიზნობრივი სენდბოქსი გამოცხადდა 2023 წლის ივნისში და წლის ბოლოს ეროვნულმა ბანკმა უკვე მიიღო ერთი განაცხადი, ასევე რამდენიმე კომპანიის პროექტი არის წინასწარი განხილვების ეტაპზე. ესქრო მომსახურების მიმართ

^[1] ინფორმაცია ფინანსური ინოვაციების ოფისის შესახებ იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე, ფინანსური სტაბილურობის სექციაში <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=742>

დაინტერესება მაღალია და განაცხადების მიღება შესაძლებელი იქნება 2024 წლის იანვრიდან, როდესაც გამოცხადდება აღნიშნული მიზნობრივი სენდბოქსი.

ციფრული ლარი

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა მიმდინარე ეტაპზე ცენტრალური ბანკების უმრავლესობისათვის საკმაოდ აქტუალურია. ციფრული ვალუტების მახასიათებლები და ტექნოლოგიური მხარე განსხვავდება ქვეყნებში იმის მიხედვით, თუ რა მიზნის მისაღწევად იგეგმება მისი გამოყენება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული ვალუტის ინტერესის შესახებ საჯაროდ 2021 წლის აპრილში განაცხადა და ფინტექ კომპანიები თანამშრომლობისთვის მოიწვია. ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის მანძილზეც გააგრძელა კომუნიკაცია ტექნოლოგიურ კომპანიებთან, რომლებმაც ციფრული ლარის პროექტში ჩართვის სურვილი გამოხატეს. ციფრული ლარის პროექტი კვლავ განხილვის ეტაპზეა. 2022 წლის 4-5 მაისს თბილისში, ინოვაციების ოფისის და USAID-ის ერთობლივი ღონისძიება, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის და დეცენტრალიზებული ფინანსების კონფერენცია ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ტექნოლოგიურმა კომპანიებმა. კონფერენციის შემდეგ დაზუსტდა ის ტექნოლოგიური მოთხოვნები, რასაც საპილოტე რეჟიმში ციფრული ლარის ტექნოლოგია უნდა აკმაყოფილებდეს. დაზუსტდა ციფრული ლარის საპილოტე რეჟიმის მახასიათებლები და დაიგეგმა 2023 წელს საპილოტე რეჟიმისთვის ტექნოლოგიური პარტნიორის შერჩევა.

2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეარჩია შეზღუდული წვდომის რეალურ გარემოში გასამართი საპილოტე პროექტის ტექნოლოგიური კომპანია Ripple-ი, რომელიც ეროვნულ ბანკთან ერთად მომდევნო წელიწად ნახევრის მანძილზე იმუშავებს ოთხი გამოსაცდელი გამოყენების სცენარის დანერგვაზე.

გამოყენების სცენარები მოიცავს სახელფასო ჩარიცხვებს; საკოლექციო მონეტის ტოკენიზაციას; გონიერი კონტრაქტების მეშვეობით უძრავი ქონების შეძენას; და კაპიტალის ბაზრის ფინანსური ინტრუმენტების ტოკენიზაციას.

ტექნოლოგიურ პარტნიორთან განისაზღვრა პროექტის განხორციელების ორფაზიანი გეგმა, სადაც ამჟამად მიმდინარეობს პირველი ფაზის ფარგლებში პროექტის განხორციელების გეგმის შემუშავება. აღნიშნული მოიცავს გამოყენების სცენარების დასანერგად ტექნოლოგიური და დიზაინის კომპონენტების განსაზღვრას და შესაბამისი პოტენციური სთეიქჰოლდერების იდენტიფიკაცია/მოზიდვას. დამატებით, მომზადდება მკაფიო KPI და შუალედური შეფასების კრიტერიუმები, რაზე დაყრდნობითაც მოხდება პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების შეფასება.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკმა ბაზელის ინოვაციის ჰაბთან (BISIH) ციფრული ლარის თემაზე დაიწყო თანამშრომლობა. სებ-ი ბაზელის ინოვაციის ჰონგ-კონგის ცენტრის mBridge-სა და Aurum-ის პროექტებში ჩაერთო და ტექნოლოგიების, ცოდნის, ექსპერტიზის გაზიარების შესაძლებლობა მიიღო.

mBridge-ის პროექტის ფარგლებში ხდება ქვეყნებს შორის გადახდის ტესტირება განაწილებული აღრიცხვის ტექნოლოგიაზე (DLT) დაფუძნებული პლატფორმის საშუალებით, რომლის

ფარგლებშიც სხვადასხვა ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ გამოუშვან ციფრული ვალუტები და ერთმანეთთან განახორციელონ ტრანზაქციები.

პროექტი Aurum-ი საცალო ციფრული ვალუტის (CBDC) პროექტია, რომლის ფარგლებშიც ხდება შუალედური CBDC-ისა და CBDC-ით უზრუნველყოფილი სთეიბლქოინების არქიტექტურების შესწავლა და მათთვის ტექნოლოგიური პროტოტიპის აგება.

აღნიშნულ პროექტებში ჩართვით, ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა აქვს გაიზიაროს სხვა ქვეყნების ციფრული ვალუტის გამოცდილება, დატესტოს საკუთარი CBDC-ის ტექნოლოგია და საწყის ეტაპებზე მიიღოს ყველა ის სარგებელი, რომელსაც ბაზელის ინოვაციის ჰაბი ცენტრალურ ბანკებს სთავაზობს.

2023 წელს სებ-სა და ციფრული ევროს ასოციაციას შორის გაფორმდა ორმხრივი მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ციფრული ვალუტების შესახებ ცოდნის გაზიარება, ინოვაციურ პროექტებზე მუშაობა და ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს ციფრული ვალუტების მიმართ ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში.

აღსანიშნავია რომ 2023 წელს, ეროვნულმა ბანკმა მიიღო ციფრული ლარის პროექტის ირგვლივ საერთაშორისო ჯილდო, როგორც წლის CBDC ინიციატივა.

გონიერი კონტრაქტები

ბლოკჩეინის ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების სისტემების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულად იზრდება ინტერესი სმარტ კონტრაქტის, ანუ ე.წ. „გონიერი კონტრაქტის“ - როგორც აღნიშნული ტექნოლოგიის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტის მიმართ. სწორედ სმარტ კონტრაქტის მეშვეობით ბიზნესს და მომხმარებლებს შეუძლია მიიღოს ის სიკეთეები, რაც შედეგად მოყვება ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას.

გონიერ კონტრაქტებზე მსჯელობა აქტუალური გახდა ინტერნეტ სივრცეში ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტის გამოჩენის შემდეგ, ბლოკჩეინი და გონიერი კონტრაქტი განიხილება, როგორც მონაცემთა შენახვის ალიარებული მეთოდი, იმ პირობით, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ არსებულ იურიდიულ წესებთან და კანონებთან.

ბლოკჩეინზე დაფუძნებული გონიერი კონტრაქტები არის ორ მხარეს შორის შეთანხმება, რომელიც ინახება ბლოკჩეინ მონაცემთა ბაზაში და ხშირ შემთხვევაში აღნიშნული შესაძლოა მოიაზრებოდეს როგორც თვითაღსრულებადი კოდი.

საკითხის აქტუალობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, 2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა USAID-თან თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო კვლევა „გონიერი კონტრაქტების“ მიმართულებით. აღნიშნული კვლევის ფოკუსია „გონიერი კონტრაქტების“ სამართლებრივი გამოწვევებისა და იმ შეზღუდვების დადგენა, რომლებიც არსებობს დღეს სამოქალაქო კოდექსში თუ სხვა საკანონმდებლო აქტებში და მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების მოკვლევა. ასევე, კვლევამ უნდა შექმნას სრულყოფილი წარმოდგენა გონიერი კონტრაქტების გამოწვევებზე საბანკო, სადაზღვევო, უძრავი ქონების და სხვა სექტორებში.

ამას გარდა, გონიერი კონტრაქტების იდეა არის ქვაკუთხედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებულ ციფრული ლარის ეკოსისტემაში. აღნიშნული კონტრაქტების გამოყენების

შესაძლებლობა მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფინტექ კომპანიებისთვის, რათა მათ შეძლონ ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლისთვის.

აღნიშნული კვლევის განხორციელებისათვის USAID-ის მხარდაჭერით მუშაობენ ადგილობრივი და უცხოელი ექპერტები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

საკრედიტო რეესტრი

2023 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აგრძელებდა საკრედიტო რეესტრის მონაცემების სატესტო რეჟიმში მიღებას. ასევე, ინფორმაციის სრულყოფის და IFRS რეპორტირებასთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით განახლდა საკრედიტო რეესტრის ფორმა, აქტიურად მიმდინარეობდა მიღებული მონაცემების სიზუსტის გადამოწმების პროცესი და დაიწყო საკრედიტო რეესტრის მონაცემების გამოყენებით პარალელური რეპორტირება.

საკრედიტო რეესტრი, რომელიც მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა, არის მონაცემთა ბაზა, რომელიც საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. ეროვნულ ბანკში მონაცემების მოწოდება ყოველთვიურად ხდება და შემდეგ მონაცემთა ჯგუფებს მოიცავს:

- საკრედიტო ვალდებულების დეტალები,
- საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის მონაცემები,
- ინფორმაცია რეფინანსირებულ სესხებზე,
- ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ,
- ინფორმაცია უარყოფილი საკრედიტო განაცხადების შესახებ,
- ინფორმაცია საანგარიშგებო თვის განმავლობაში დახურული სესხების შესახებ.

2024 წელს დაგეგმილია მონაცემების სიზუსტესთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა, რისთვისაც გამოყენებული იქნება საკრედიტო რეესტრის მონაცემების როგორც კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი სხვადასხვა რეპორტების მონაცემებთან, ასევე სტრესტესტებში მოცემულ მონაცემებთან შედარების მეთოდები.

ჩანართი 6. კონფიდენციალურობის გაუმჯობესების ტექნოლოგიები (PET)

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში მრავალი ფინანსური სერვისი შეიქმნა კომპანიების მიერ მომხმარებელთა მონაცემების შეგროვების და დამუშავების შედეგად. მონაცემთა გამოყენება გახდა მნიშვნელოვანი მოტივაცია ბიზნესის განვითარებისთვის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის გადახდების და ანგარიშსწორების მიმართულებით.

მონაცემთა გამოყენებაზე მზარდი მოთხოვნის პარალელურად, აუცილებელია კონფიდენციალურობის გაუმჯობესების ტექნოლოგიების (PET) განვითარება. PET არის ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომლებიც შექმნილია პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობის დასაცავად, ინფორმაციაზე წვდომის და გადაცემის უსაფრთხო და ანონიმური გზებით. ის მოიცავს მრავალ ტექნოლოგიას, რომლებიც განსხვავდებიან მახასიათებლებით, კომპლექსურობით, გამოთვლითი რესურსის საჭიროებით და სხვა. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტექნიკებია: Differential Privacy; Homomorphic encryption; Federated Learning; Zero-knowledge proofs.

სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით კონფიდენციალურობის გაუმჯობესების ტექნოლოგიებმა და მათმა გამოყენებამ გადახდებსა და ფინანსურ სერვისებში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის კვლევებზე. **World Economic Forum** რეპორტის⁶⁰ თანახმად, PET-ს მონაცემების გაზიარების ახალი ფორმების გამოყენებით, შეუძლია ითამაშოს უდიდესი როლი ფინანსურ ინდუსტრიაში ახალი ღირებულებების ჯაჭვის გახსნაში და გახდეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ახალი ინოვაციური ფინანსური პროდუქტების/სერვისების შექმნის პროცესში. აღნიშნული ტექნოლოგიები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, ისეთ მიმართულებებში როგორებიცაა: AML/CFT, CBDC, Open Banking/Finance და ა.შ.

2023 წლის მარტში ასვე გამოქვეყნდა OECD კვლევა⁶¹ რომელიც მიმოიხილავს მიმდინარე მარეგულირებელ და პოლიტიკის მიდგომებს PET-თან მიმართებით, რომლის მიზანია დაეხმაროს მარეგულირებლებს და პოლიტიკის გამტარებლებს უკეთ გაიგონ, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული ტექნოლოგიების სწორად გამოყენება მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის და საერთო მართვის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად იკვლევს ახალ ფინანსურ ტექნოლოგიებს და ცდილობს ფინანსურ სექტორში ცნობიერების ამაღლებას მათთან ხშირი კომუნიკაციით ამ სფეროში არსებულ ტენდენციებსა და სიახლეებზე. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი გასული წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა საერთაშორისო პრაქტიკის მოკვლევას კონფიდენციალურობის გაუმჯობესების ტექნოლოგიების მიმართულებით. 2023 წელს ჩატარდა შეხვედრა ფინანსური სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც პრეზენტაციის სახით წარდგენილი იქნა კვლევის შედეგები, აღნიშნული ტექნოლოგიის არსი, სხვადასხვა მექანიზმები, დღეს არსებული გამოყენების მაგალითები და მომავლის პერსპექტივები. ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი გეგმავს მსგავსი შეხვედრები გახადოს რეგულარული და კვლევების შედეგები პროაქტიულად წარუდგინოს ფინანსური სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც შემდგომში გამოიყენებენ და დანერგავენ კონფიდენციალურობის გაუმჯობესების ტექნოლოგიებს, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს გადახდის და ანგარიშსწორების სისტემის სტაბილურობას და ეფექტურობას.

⁶⁰ The Next Generation of Data-Sharing in Financial Services: Using PET to Unlock New Value

⁶¹ OECD emerging privacy enhancing technologies

მიუხედავად თავისი ცხადი უპირატესობებისა, ხელოვნურ ინტელექტს გააჩნია გამოწვევებიც. მათ შორის გამოსარჩევია ე.წ. „ჰალუსინაციები“, როდესაც ხელოვნური ინტელექტის მოდელი გვთავაზობს მოგონილ, არარეალურ და ალოგიკურ ინფორმაციას. კვლევებმა აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული არასწორი ან არარსებული ინფორმაცია მიჩნეულია 2024 წლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გლობალურ რისკად (მე-2 ადგილი)⁶². 2024 წლისთვის მოსალოდნელია, რომ Generative AI კიდევ უფრო განვითარდება და ინდუსტრიებში გაიზრდება ავტომატიზაციის წილი. ყურადღების ცენტრში კვლავაც იქნება შექმნილი კონტენტის ვალიდურობა და რელევანტურობა.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად იკვლევს Generative AI-ის შესაძლებლობებს და მის გამოყენებას თავის საქმიანობაში, როგორც LLM, ასევე სხვა მანქანური სწავლების მოდელების განვითარების მიმართულებით.

⁶² WEF's Global Risk Report 2024

ჩანართი 7. გენერაციული AI

Generative AI ხელოვნური ინტელექტის სახეა, რომელსაც შეუძლია ახალი კონტენტის (იდეების, ტექსტების, სურათების და სხვა) შექმნა. სწორედ ამ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მოდელები გახდა ყველაზე საინტერესო და პოპულარული საზოგადოებისთვის.

ის გამოიყენება ასევე ფინანსურ სფეროშიც. ფინანსებში მისი გამოყენება უმეტეს წილად მოიცავს ავტომატიზაციის პროცესების დანერგვას, რომელიც ნაწილობრივ, ან სრულიად ხელოვნური ინტელექტის მოდელით იმართება. თუმცა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საფინანსო სექტორი საკმაოდ რეგულირებულია, რის გამოც წარმოიქმნება ბევრი ბარიერი და წინაღობა. ყველაზე ხშირი და მნიშვნელოვანი არის უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის რისკები. ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება ასევე მჭიდროდ ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა გამჭირვალობა, რეგულირება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივ ჩარჩოზე მუშაობს არაერთი წამყვანი ქვეყანა. 2021 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა და 2023 წელს ევროპარლამენტის სხდომაზე მიიღო ხელოვნური ინტელექტის შესახებ სამართლებრივი ჩარჩო .

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობაშიც. ხელოვნური ინტელექტის მოდელების ახალმა თაობამ (ChatGPT, Gemini, Claude და ა.შ.) ბანკებს მისცა საშუალება ეფექტურად გამოეყენებინათ ეს რესურსები თავიანთ საქმიანობაში. ასეთი სახის მიდგომა სასარგებლოა, როგორც ბანკისთვის, ასევე მომხმარებლისთვის. ის ამცირებს ხარჯებს და აუმჯობესებს სამომხმარებლო სერვისებს ავტომატიზაციის გზით. ცენტრალური ბანკები ხშირად იყენებენ ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მოდელებს თავიანთ საქმიანობაში. ბოლო დროს ხშირად გამოყენებადია Large Language Model (LLM) ტიპის მოდელები. ზოგიერთი ცენტრალური ბანკი იყენებს ამ მოდელებს სოციალური მედიის ანალიზისთვის, რომლის საშუალებით იკვლევს და აფასებს საზოგადოებაში ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის მიმართ ნდობას.

4.12.2 მოდელის რისკი

საფინანსო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო სახეს იძენს. ასეთი მოდელები სესხის გაცემის, ფინანსური აღრიცხვის და რისკების მართვისას ფართოდ გამოიყენება. განსაკუთრებით იზრდება მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელების გამოყენება საცალო, მიკრო და მცირე ბიზნესის სექტორის დაკრედიტებისას. ბოლო დროს ისეთი მოდელების დანერგვა გახშირდა, რომლებიც მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს ეფუძნება. ეს, ერთი მხრივ, მოდელის ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ მეორე მხრივ, შედეგების ინტერპრეტაციას, ანალიზს და რისკის შეფასებას ართულებს.

სექტორში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, დღის წესრიგში მოდელის ეთიკური გამოყენების ჩარჩოს შემუშავების აუცილებლობა დადგა. საპასუხოდ, დებულებაში მოდელის განვითარების, დანერგვისა და გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკის პრინციპები და მოდელის შესაძლო არაეთიკური გამოყენების შემცირების გზები განისაზღვრა. ეს ცვლილება ძირითადად მომხმარებელზეა გამიზნული. ეთიკის პრინციპების გარეშე აგებულმა მოდელმა შესაძლოა მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უსამართლოდ დააკლასიფიციროს და მისი უფლებები შეზღუდოს; მეორე ცვლილება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გაფართოებას ეხება – დებულების ცვლილების ფარგლებში, შემუშავდა რისკიანობის მიხედვით მოდელების

რანჟირების/დაჯგუფების მეთოდოლოგია; მესამე ცვლილება ეხება მოდელის გამომყენებელი სუბიექტების მიერ სტატისტიკური მეთოდის საშუალებით მოდელის გამჭვირვალობისა და ინტერპრეტირებადობის უზრუნველყოფას. ამ ცვლილებით მოდელების გამომყენებლებს შეეზღუდებათ „შავი ყუთების“ გამოყენება და მოდელის შედეგებზე პასუხისგებლობის მოდელის შემქმნელზე გადატანა.


ეროვნულ ბანკში IFRS 9 სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით საფინანსო ინსტიტუტებში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვის მოდელები იწერება. მოდელის სირთულიდან და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენიდან გამომდინარე, ეს მოდელები მაღალი რისკის მატარებლებია. 2023 წელს დაწყებულ იქნა აღნიშნული მოდელებისა და მეთოდოლოგიების გარჩევა და რამდენიმე ბანკთან უკვე შედგა უკუკავშირი. 2024 წელს გაგრძელდება მოდელების ანალიზი და მაქსიმალურად მოხდება იმ ხარვეზების იდენტიფიკაცია, რასაც შეუძლია მოდელის რისკის წარმოშობა.

4.12.3 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო/კლასტორმა


2018 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული წესების საფუძველზე რეგულაციას და ზედამხედველობას დაექვემდებარა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, რომელთა შესაბამისობის დადგენის მიზნით ზედამხედველობა ხორციელდება როგორც ბიუროს საქმიანობაზე, ასევე მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებზე.

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით იყო 250 სესხის გამცემი ორგანიზაცია და არასავალდებულო წესით ჩართული 19 ორგანიზაცია. აღნიშნული მაჩვენებელი ბუნებრივად ცვალებადია წლების მიხედვით, რაზედაც სესხის გამცემი ორგანიზაციების პერიოდულად რეგისტრაციის და გაუქმების პროცესი ახდენს გავლენას.

დიაგრამა N 4.42 მიმდინარე სესხების რაოდენობა და მოცულობა (2023)




დიაგრამა N 4.43 მიმდინარე მსესხებლების უნიკალური რაოდენობა (2023)



საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მეტად საყურადღებოა მომხმარებელთა უფლებების დაცვა. საკრედიტო საინფორმაციო მონაცემთა ბაზაში მათი მონაცემების სწორად და სამართლიანად ასახვის მიზნით ხორციელდება მათ მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შესწავლა და სათანადო რეაგირება. 2023 წლის განმავლობაში დაფიქსირებული პრეტენზიების რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში თვეების მიხედვით.

დიაგრამა N 4.46 გზავნილების გამწვანებული უნიკალური პირების რაოდენობა (2023)



ზემოაღნიშნულ დიაგრამებთან დაკავშირებით 2023 წლის მარტის თვიდან დეკემბრის ჩათვლით უნიკალური პირების ჯამური რაოდენობამ, რომლებმაც გაანაღდეს გზავნილები იყო - 1 256 713.

საზედამხედველო მანდატის ფარგლებში სისტემატიურად განხორციელებული სესხის გამცემი ორგანიზაციების ზემოაღნიშნულ წესებთან შესაბამისობის შემოწმების და ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, 2023 წლის მანძილზე სეზ-ის მიერ გაცემულმა სანქციის რაოდენობამ შეადგინა: საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიმართ 9 წერილობითი მითითება, ხოლო სეზ-ის მიერ რეგულირებადი სუბიექტების მიმართ 51 წერილობითი მითითება და 11 ფულადი ჯარიმა.

4.12.4 ღია ბანკინგი/ფინანსები

2023 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოში ღია ბანკინგის სერვისების გაფართოების და ფინტექ კომპანიების ღია ბანკინგში ჩართვის შესაძლებლობის შექმნის მიმართულებით. რისთვისაც, დამტკიცდა და ძალაში შევიდა არაერთი ახალი რეგულაცია, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 მაისის N80/04 ბრძანებით დამტკიცდა „ღია ბანკინგში ჩართვის წესი“. ასევე, წინა წლის მსგავსად, 2023 წლის განმავლობაშიც ღია ბანკინგის შესაძლებლობების და მისი შემდგომი განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით არაერთი შეხვედრა გაიმართა, როგორც ეროვნული ბანკის საზედამხედველო სუბიექტებთან, ასევე ფინტექ კომპანიებთან.

ღია ბანკინგი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციას შორის, მომხმარებლის სურვილისა და თანხმობის საფუძველზე, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას გულისხმობს.

ღია ბანკინგის პროექტზე მუშაობა საქართველოს ეროვნულ ბანკში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლის დასაწყისში საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო საერთო სტანდარტის შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. 2021 წლის 31 მარტიდან

საქართველოში ღია ბანკინგის სერვისები უკვე ხელმისაწვდომია. 2022 წელს ღია ბანკინგის ხელმისაწვდომ სერვისებს დაემატა სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლის და იურიდიული პირებისთვის ანგარიშის ინფორმაციის გაცვლის სერვისები. ხოლო, 2023 წელს დამატებით დაინერგა ისეთი API სერვისები, როგორებიცაა: ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადარიცხვის ინიცირების სერვისი, ღია ბანკინგის გამოყენებით დისტანციური იდენტიფიკაციის განხორციელების სერვისი და მასობრივი გადახდების (Bulk Payments) სერვისი. 2024 წლის განმავლობაში დაგეგმილია შემდეგი API სერვისების დამატება: დეპოზიტებზე და სესხებზე ინფორმაციის გაზიარების სერვისი, გადახდის ინიცირების გაფართოებული ფორმების მხარდაჭერა და გადახდის მოთხოვნის (Request to pay) სერვისი.

2023 წლის ივლისში ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობით დაიწყო ღია ბანკინგის ტექნიკური სენდბოქსის პროექტი. პროექტის მიზანი იყო, როგორც ღია ბანკინგის განვითარების ხელშეწყობა და მომხმარებლებისთვის მისი სარგებლიანობის გაზრდა, ასევე ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში ჩართვით დაინტერესებული სტარტაპ და ფინტექ კომპანიებისთვის ღია ბანკინგის API სერვისების ტესტირების შესაძლებლობის მიცემა. აღსანიშნავია, რომ ტექნიკური სენდბოქსის მონაწილეები იყვნენ როგორც ფინანსური, ასევე სხვა სექტორის წარმომადგენლები და ქართული და უცხოური სტარტაპ კომპანიები.

ტექნიკური სენდბოქსის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ სატესტო გარემოში გაეცლოთ ღია ბანკინგის ორი წინასწარ შერჩეული API-ის შესაძლებლობები და მათი გამოყენებით შეექმნათ ინოვაციური და მომხმარებლებისთვის საინტერესო ფინანსური პროდუქტები.

აღნიშნული პროექტის საბოლოო შედეგების შეჯამება და შემდეგი ნაბიჯების შესახებ IFC-ისგან რეკომენდაციების მიღება იგეგმება 2024 წლის მარტში. აღნიშნული ეროვნულ ბანკს საშუალებას მისცემს დაინახოს ღია ბანკინგის/ფინანსების განვითარების შემდგომი პერსპექტივები და განსაზღვროს ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით გადასადგმელი შემდეგი ნაბიჯები.

ღია ბანკინგის განვითარების შემდეგი ეტაპია ღია ფინანსებზე გადასვლა, რაც მეტად ფართო ინფორმაციის მიმოცვლას მოიაზრებს. 2024 წელს სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების და ლიცენზირებული ფინტექ კომპანიების ჩართვა იგეგმება. ასევე, ღია ფინანსებში ჩართვის მიმართულებით დაწყებულია კონსულტაციები სხვა სექტორების წარმომადგენლებთანაც. ამან კი, თავის მხრივ, მომხმარებლებისათვის ფინანსურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობისა და მრავალფეროვნების გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

4.13 ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები

საქართველოს ეროვნული ბანკი, საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად, საზედამხედველო ანგარიშგებების მიმოცვლისთვის განაგრძობს საერთაშორისო სტანდარტ XBRL-ის (Extensible Business Reporting Language - ბიზნესის ანგარიშგების გაფართოებადი ენა) გამოყენებას. XBRL სტანდარტის მხარდაჭერისთვის გამოიყენება შესაბამისი საინფორმაციო სისტემის კომპონენტები, რომელთა მომწოდებელია დარგის წამყვანი ბრიტანული კომპანია Corefiling-ი.

XBRL სტანდარტზე გადასვლის ტრანზიტულ პერიოდში საზედამხედველო სუბიექტებს საანგარიშგებო პორტალის საშუალებით მოთხოვნილი საზედამხედველო ანგარიშგების

წარმოდგენა შეუძლიათ როგორც ტრადიციული, ასევე XBRL ფორმატში. XBRL ფორმატში წარმოდგენილი ანგარიშგების ვალიდურობა შესაბამისი ტაქსონომიით მოწმდება. პორტალის დახმარებით ბანკებს ვალიდაციის შედეგების ნახვა მყისიერად, მონაცემების ეროვნულ ბანკში გამოგზავნამდე შეუძლიათ, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მონაცემების ხარისხს, ამცირებს შეცდომის ალბათობას და შეესაბამება დამკვიდრებულ საუკეთესო საზედამხედველო პრაქტიკას. ანგარიშგების შესაბამისობის დადასტურების შემდეგ მონაცემები გადის ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ეტაპებზე და საბოლოოდ ხელმისაწვდომი ხდება დაინტერესებული მხარეებისთვის.

2023 წელს გაგრძელდა საზედამხედველო ანგარიშგებების სრულად ფასს-ზე (IFRS) გადაყვანის პროცესის მხარდაჭერა. საზედამხედველო პორტალის გამოყენებით კომერციული ბანკებიდან მიიღება ყველა სავალდებულო საზედამხედველო ანგარიშგება, როგორც ტრადიციულ, ასევე XBRL სტანდარტით, მათ შორის EBA-ს მიერ ევროკავშირში დამკვიდრებული ინდივიდუალური FinRep ფინანსური ანგარიშგება. XBRL სტანდარტზე გადასვლის პროექტის ფარგლებში 2023 წელს ასევე გაგრძელდა საზედამხედველო ანგარიშგებების შესაბამისი XBRL ტაქსონომიებზე მუშაობა.

2023 წელს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა ე.წ. მწვანე სესხების დაფინანსების ანგარიშგების ტაქსონომია. კლიმატისა და გარემოს ცვლილება და სოციალური საკითხები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკისა და ფინანსური სექტორისათვის, აქედან გამომდინარე აუცილებელია ზემოთ ხსენებული მონაცემების მონიტორინგი და დაკვირვება.

მონაცემთა მიმოცვლისთვის გამოიყენება XBRL ფორმატის მხარდაჭერი სისტემისა, ხოლო მონაცემთა დამუშავებისთვისა და ვიზუალიზაციისთვის ეროვნული ბანკი იყენებს განყოფილების მიერ შემუშავებულ სისტემასა და წამყვან Business Intelligence სისტემა Tableau-ს. არსებული საზედამხედველო ტექნოლოგიების გამოყენებით 2023 წელს გაგრძელდა მონაცემების დამუშავება, ანალიტიკური დემზორდების შექმნა საზედამხედველო მიზნებისთვის და ინფორმაციის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისთვის. დამატებით, შეიქმნა საკრედიტო ბიუროს და საკრედიტო რეესტრის მონაცემების დამუშავების სისტემა, რომელთა ვიზუალიზაციის საშუალებით მომზადდა შესაბამისი ანალიტიკური საინფორმაციო დაფები. ასევე, გაგრძელდა მუშაობა, ანალიტიკური დემზორდებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, რაც გულისხმობს მონაცემების ვიზუალიზაციების ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებას.

2023 წელს აქტიურად ვაზიარებდით ცოდნას როგორც ეროვნული ბანკის შიგნით, ისე პარტნიორებთან. გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში ჩატარდა ევროფაილინგის მორიგი, ყოველწლიური კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ სებ-ის წარმომადგენლები და პრეზენტაცია წარადგინეს მწვანე ფინანსური ტექნოლოგიების სტრატეგიის საკითხებზე. კონფერენციაზე გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომელზეც ევროპის წამყვანი ქვეყნებიც აქტიურად მუშაობენ. მათ შორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა გრანულარული მონაცემების დამუშავება, ფინანსური ტექნოლოგიების განვითარება და გარემოს დაცვის საკითხები. ამ და სხვა გამოწვევების საპასუხოდ ეროვნული ბანკი აქტიურად აგრძელებს საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარებას.

5. მომხმარებელთა უფლებების დაცვა

3.5. ნორმატიული ბაზის სრულყოფა

5.1.1. მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

მომხმარებელზე მორგებული გარემოს გაუმჯობესების მიზნით 2023 წელს კვლავ გაგრძელდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ასევე, სექტორში არსებული გამოწვევების შესწავლა და ანალიზი. აღნიშნულის შედეგად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის 9 მარტის #32/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ (შემდგომში - “წესი”) 2023 წელს გარკვეული ცვლილებები განახორციელა, კერძოდ:

- 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური ორგანიზაციებისთვის გამჭვირვალობის ახალი მოთხოვნების შემუშავებაზე დაიწყო მუშაობა, რომელიც 2023 წელს დამტკიცდა და ამოქმედდა. აღნიშნული ცვლილების მიხედვით ფინანსურმა ორგანიზაციებმა, მომხმარებლებისთვის საფინანსო პროდუქტების კომბინირებულად შეთავაზებისას, ცალკეული საფინანსო პროდუქტის ფასის გამჭვირვალედ მითითება და მომხმარებლების სათანადო ინფორმირება უნდა უზრუნველყონ. აღნიშნული ცვლილებების მთავარი მიზანია საფინანსო პროდუქტების კომბინირებულად, ერთ პაკეტად შეთავაზებისას, პაკეტში შემავალი პროდუქტების ფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მომხმარებელთა მიერ მაქსიმალურად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ბაზარზე კონკურენციის წახალისება. აღნიშნული ცვლილებით მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ შეადარონ ერთი ან რამდენიმე ფინანსური ორგანიზაციის საფინანსო პროდუქტი, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას.

აღსანიშნავია, რომ ცვლილების დოკუმენტზე მუშაობის პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან. პროექტი კი, დაინტერესებული მხარეებისგან მოსაზრებების, კომენტარებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით ეროვნული ბანკის ვებგვერდზე იყო გამოქვეყნებული.

- ასევე, წესით აიკრძალა ფინანსური ორგანიზაციის მიერ ისეთი საკრედიტო პროდუქტის/მომსახურების მომხმარებლისთვის შეთავაზების/რეკლამირების განხორციელება, რომლის დაფარვის წყარო დაკავშირებულია სოციალურ დახმარებასთან/პენსიასთან. აღნიშნული ცვლილების მიზანია სოციალურად მოწყვლადი სეგმენტისთვის, ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან, მომხმარებლის ცალსახა თანხმობის გარეშე, მაღალი რისკის მქონე საკრედიტო პროდუქტების/მომსახურების შეთავაზების/რეკლამირების, განხორციელების შეზღუდვა, რაც უფრო მეტად დაიცავს მათ გაუთვითცნობიერებელი გადაწყვეტილების მიღებისგან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კვლავ გრძელდებოდა წესში შესატანი სხვა ცვლილებებზე მუშაობა, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა ზემოხსენებულ წესში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ერთი მხრივ ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებს ეფუძნება და, ამავდროულად, სექტორში არსებულ გამოწვევებს პასუხობს. პროექტში გათვალისწინებულია მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა:

- სხვადასხვა ცნებებისა და ტერმინების დაზუსტება. კერძოდ, დაზუსტდა „საკრედიტო შუამავლის,“ „კრედიტის მთლიანი თანხისა“ და „დეპოზიტის“ ცნებები; დაემატა „ინტერნეტ/მობაილ ბანკის“ ტერმინის განმარტება;
- ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულება საფინანსო პროდუქტის შეთავაზებისას, საფინანსო პროდუქტის მიწოდებამდე მომხმარებლისთვის ზეპირსიტყვიერად ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები გაცნობა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც პროდუქტის შეთავაზება ხორციელდება ისეთი დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც გამორიცხავს ზეპირსიტყვიერ კომუნიკაციას და აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებლისთვის მიწოდებულია სხვა გზით (მათ შორის, დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით);
- ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რომლის მიხედვითაც, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია არაუზრუნველყოფილი და მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის განმავლობაში, მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნისა და შესაბამისი თანხის დაბრუნების შემთხვევაში, გააუქმოს ხელშეკრულება. ბრძანების პროექტით ასევე განსაზღვრულია გამონაკლისები, რა შემთხვევაშიც უარის თქმის უფლება არ მოქმედებს;
- ხელშეკრულების თავსართში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაცია, მათ შორის როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობის, ისე, არარსებობის შესახებ; ასევე, „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ინფორმაცია კრედიტის ვადის უპირობოდ გახანგრძლივების უფლების შესახებ.

ზემოაღნიშნული ცვლილებების პროექტი საჯარო კონსულტაციისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. ასევე, პროექტის განხილვის მიზნით შედგა შეხვედრები ფინანსური სექტორის წარმომადგენლებთან. აღნიშნული ცვლილებების დამტკიცება და ამოქმედება 2024 წლის განმავლობაში იგეგმება.

5.1.2. კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

2022 წლის მარტში დამტკიცდა საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (შემდგომში - „კანონი“), რომლის ძირითადი მოთხოვნები 2022 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა, ხოლო ნაწილი მოთხოვნები ამავე წლის 1 ნოემბრიდან შევიდა ძალაში.

საფინანსო სფეროში მომხმარებლის უფლებების დაცვას, მათ შორის, საფინანსო ინსტიტუტების მიერ ზემოხსენებული კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის მონიტორინგს, შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წელს მომზადდა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის, მიკრო ბანკებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესებში შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც ზემოხსენებული კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის განისაზღვრა შესაბამისი ფულადი ჯარიმების ოდენობა. აღნიშნული ცვლილებები 2024 წლის იანვარში ამოქმედდა.

საბაზრო ქცევის ზედამხედველობა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს, მათ შორის მომხმარებელთა მომართვებზე რეაგირება, არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა, ფინანსური ორგანიზაციების მიერ აღნიშნული ჩარჩოს შესრულების მონიტორინგი და ა.შ.. ამასთან, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული რისკების პროაქტიულად იდენტიფიცირებისა და მათი პრევენციისთვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით, გადაწყდა დამატებით საფინანსო სექტორის წარმომადგენლის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსა და სესხის გამცემი სუბიექტის საბაზრო ქცევის შესწავლისა და მონიტორინგის და რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებაც.

საბაზრო ქცევის ზედამხედველობა გულისხმობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით შესაძლო რისკების აღმოჩენისა და პრევენციის მიზნით სხვადასხვა ინდიკატორებზე დაკვირვებასა და მონიტორინგს; საფინანსო ორგანიზაციების ისეთი საბაზრო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზს, რომელიც შესაძლოა არ ფარავდეს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, და შესაბამისი შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებისა და გზამკვლევების შემუშავებას, ასევე, მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწას. აღნიშნული მიდგომა ასევე გულისხმობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით სისტემურად მნიშვნელოვანი ან/და პოტენციურად რისკიანი საფინანსო ორგანიზაციების მიმართ მეტი საზედამხედველო რესურსის მიმართვას.

აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესწავლისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, საფინანსო პროდუქტების დისტანციური არხებით შეთავაზებისა და რეალიზაციის, ასევე, მომხმარებლების მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების მართვის პროცესთან მიმართებაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2023 წელს ორი თემატური შემოწმება ჩატარდა.

საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების დისტანციური და ადგილზე შემოწმება

საფინანსო მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით, ბაზარზე არსებული გამოწვევების დაკვირვების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკი 2023 წელსაც აქტიურად აგრძელებდა მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების დისტანციურად შემოწმებას. ამასთან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2023 წელს გარდა სტანდარტული შემოწმებებისა, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის ჭრილში ჩატარდა ორი თემატური შემოწმება. კერძოდ, თემატური შემოწმებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დისტანციურად ჯამში შემოწმდა 16 (თექვსმეტი) ფინანსური ორგანიზაცია, საიდანაც 5 (ხუთი) კომერციული ბანკია, 6 (ექვსი) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 5 (ხუთი) სესხის გამცემი სუბიექტი. ამასთან, აღნიშნული ორგანიზაციებიდან რამდენიმე ფინანსური ორგანიზაცია ორივე თემატურ შემოწმებაში მონაწილეობდა. აღნიშნული შემოწმებების ფარგლებში, მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში გამოვლენილი შეუსაბამობებიდან გამომდინარე, ფინანსური ორგანიზაციებისთვის შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რიგ შემთხვევებში კი გატარდა შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებები.

ასევე, დისტანციურადვე ხორციელდებოდა როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული, ასევე, ფინანსური ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ პრეტენზიების ანგარიშგებაში აღნიშნული საკითხების შესწავლა და საკანონმდებლო ჩარჩოს მოთხოვნების გამოვლენილი დარღვევების საპასუხოდ, რიგი საზედამხედველო ქმედებების გატარება. მითითებულის ფარგლებში, წერილობითი მითითება გაეგზავნა 5 (ხუთი) კომერციულ ბანკს, 4 (ოთხი) მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და 18 (თვრამეტი) სესხის გამცემ სუბიექტს; ჯამურად 93,000 (ოთხმოცდაცამეტი ათასი) ლარით დაჯარიმდა 4 (ოთხი) კომერციული ბანკი, 2,000 (ორი ათასი) ლარით - 1 (ერთი) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ხოლო 21,000 (ოცდაერთი ათასი) ლარის ოდენობით - 11 (თერთმეტი) სესხის გამცემი სუბიექტი.

მომხმარებლების მომართვიანობა

საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაში 2023 წელს ჯამში მომხმარებელთა 8,478 მომართვა დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 13%-ით მეტია.

როგორც წინა წლებში, მომხმარებლების უმრავლესობა ტელეფონით მოგვმართავდა. კერძოდ, აღნიშნული არხით 6,132 მომართვა (72.32 პროცენტი) დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით მცირედით კლებს, აღნიშნულის მიზეზი კი სხვა არხებით მომართვიანობის ზრდაა. კერძოდ, ელექტრონული ფოსტით დაფიქსირდა 1098 მომართვა (12.95 პროცენტი), წერილობით - 752 (8.87 პროცენტი) მომართვა, სოციალური ქსელით - 151 (1.78 პროცენტი) მომართვა, ხოლო პირადი ვიზის გზით - 345 მომართვა (4.06 პროცენტი).

შინაარსის მიხედვით, წინა წლის მსგავსად, 2023 წელსაც, ყველაზე მეტი მომართვა ადმინისტრაცია/მომსახურებას ეხება, თუმცა, შეიცვალა აქტუალური თემები და ნაცვლად ზოგად საკითხებსა თუ სესხის/კრედიტის რესტრუქტურის მოთხოვნაზე მომართვებისა, 2023 წელს აქტუალური იყო ხელშეკრულების პირობებთან და საპროცენტო შენატანებთან დაკავშირებული მომართვებიც. პროდუქტების მიხედვით კი ყველაზე ხშირი მომართვები ეხებოდა ე.წ. საპენსიო, სამომხმარებლო და იპოთეკურ, ასევე, პრობლემურ სესხებს.

საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2018 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის“ შესაბამისად საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების ანალიზს საქართველოს ეროვნული ბანკი 2019 წლიდან ახორციელებს. 2023 წელს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჯამში დაფიქსირდა 166,068 პრეტენზია, საიდანაც მომხმარებლების იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათთვის პასუხის დაბრუნება მოხდა 13,402 შემთხვევაში, ხოლო, არაიდენტიფიცირებულ მომხმარებლებთან უკუკავშირი ვერ განხორციელდა, თუმცა ბიუროს მხრიდან საკითხების შესწავლილ იქნა.

შინაარსის მიხედვით ყველაზე აქტუალური შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული პრეტენზიებია: დაფარულ ვალდებულებაზე ინფორმაციის განახლება; სესხის/კრედიტის შემცირებულ ძირზე ინფორმაციის განახლება; და სესხზე/კრედიტზე მიმდინარე ვადაგადაციებული თანხის გადახდის შესახებ ინფორმაციის განახლება. აღნიშნული პრეტენზიების შესწავლისას ვლინდება, რომ მათი უმრავლესობა ინფორმაციის ბიუროსთვის სწრაფად მიწოდებას ეხება, რასაც ფინანსური ორგანიზაციები უზრუნველყოფენ. ამასთან, ფიქსირდება როგორც ფინანსური ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გადაცემასთან, ასევე, აღნიშნული ინფორმაციის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ასახვასთან დაკავშირებული ხარვეზები, რიგ შემთხვევებში კი მომხმარებლები ითხოვენ ზემოხსენებული ინფორმაციის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის გადაცემას ან/და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ისეთ ვადებში ასახვას, რასაც შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო არ ითვალისწინებს.

ფინანსურ ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების მონაცემები


„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ ფინანსური ორგანიზაციების მიერ წარმოებული ანგარიშგებების კონსოლიდირებული მონაცემები ყოველთვიურად ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

აღნიშნული ანგარიშგებების მიხედვით 2023 წელს კომერციულ ბანკებში სულ 22,794 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.9 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებში პრეტენზიების რაოდენობა 2012 წლიდან მზარდია, რაც აღნიშნული მექანიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას უკავშირდება, ხოლო 2020-2021 წლების ზრდა ძირითადად COVID-19 პანდემიის შედეგად განვითარებული მოვლენებითაა გამოწვეული. ამასთან, 2022 და 2023 წლებში პრეტენზიების რაოდენობის შემცირება აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევების შემცირებითაა განპირობებული.

კომერციულ ბანკებში დაფიქსირებულ პრეტენზიებში ხასიათის მიხედვით, წინა წლების მსგავსად, კვლავ ჭარბობს ტრანზაქციებთან, ადმინისტრაცია/მომსახურებასთან და ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება პროდუქტების ტიპებს, ყველაზე ხშირად პრეტენზიები მიმდინარე ანგარიშებთან/სადებეტო ბარათებთან, სამომხმარებლო სესხებთან და საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა.


აქვე, აღსანიშნავია, რომ პრეტენზიების ჯამური რაოდენობის მცირედით შემცირების მიუხედავად, საფუძვლიანი პრეტენზიების წილი 8%-ით არის გაზრდილი.

დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.2 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პროექტების გადანაწილება ხასიათის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.3 კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პროექტების გადანაწილება სტატუსის მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში 2023 წელს სულ დაფიქსირდა 1,229 პრეტენზია, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 20%-ით მეტია. აღნიშნულის მიზეზი ერთ-ერთ ორგანიზაციაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზია, რაც ამჟამად აღმოფხვრილია.


შინაარსის მიხედვით 2023 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების დაახლოებით 67% ჯარიმებსა და ვადაგადაცილების საკომისიოებს ეხება, ხოლო 23% - ადმინისტრაციასა და მომსახურებას. რაც შეეხება პრეტენზიებს პროდუქტების მიხედვით, წინა წლის მსგავსად, 2023 წელსაც სამომხმარებლო, ავტო და სალომბარდო სესხებზე დაფიქსირებული პრეტენზიები ჭარბობდა. ამასთან, საფუძვლიანი პრეტენზიების წილი დაახლოებით 7%-ით არის გაზრდილი, რაც ზემოაღნიშნული ტექნიკური ხარვეზის შედეგად არის გამოწვეული.

დიაგრამა N 5.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება ხასიათის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.6 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემ სუბიექტებში მომხმარებლების მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შესახებ სტატისტიკა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე 2022 წლის დასაწყისიდან ქვეყნდება. 2023 წელს სესხის გამცემ სუბიექტებში სულ 1,928 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 45%-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ პრეტენზიების რაოდენობის კლება სესხის გამცემი სუბიექტების მიერ პრეტენზიების აღრიცხვიანობის მოწესრიგებას უკავშირდება. კერძოდ, 2022 წელს ხშირი იყო პრეტენზიების დუბლირებულად აღრიცხვის შემთხვევები.

ამასთან, წინა წლის მსგავსად, 2023 წელსაც ხასიათის მიხედვით პრეტენზიების უმრავლესობა ადმინისტრაცია/მომსახურებასა და სხვა გადასახდელებს ეხებოდა. პროდუქტის ტიპის მიხედვით კი, 2023 წელს ყველაზე ხშირი პრეტენზია სამომხმარებლო და სალომბარდე სესხებზე ფიქსირდებოდა. დამატებით, მიუხედავად პრეტენზიების რაოდენობის შემცირებისა, საფუძვლიანი პრეტენზიების რაოდენობის წილი დაახლოებით 27%-ით არის გაზრდილი.

6. ფინანსური განათლება

ფინანსური განათლება

2023 წლის სექტემბერში გატარებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, ფინანსური განათლების განყოფილება გამოეყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტს, გაფართოვდა და ჩამოყალიბდა ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი.

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია 2023

2023 წლის 24 იანვარს, განათლების საერთაშორისო დღეს დამტკიცდა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის⁶³ (შემდგომში - სტრატეგია), ახალი, განახლებული ვერსია. სტრატეგია პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ამოცანებს განსაზღვრავს და ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო პრაქტიკული ფორმატით თანამშრომლობას, ფინანსური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ყველა სამიზნე ჯგუფისთვის, მათზე მორგებული აქტივობების განხორციელებისა და მდგრადობისა და განგრძობადობის უზრუნველყოფას.

მანამდე მოქმედი სტრატეგია, რომელიც 2016 წელს შემუშავდა, ძირითადად საერთაშორისო გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნებოდა. ახალი დოკუმენტი კი ქვეყანაში დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავდა და, შესაბამისად, ფინანსური განათლების არსებულ გამოწვევებს უფრო მიზნობრივად პასუხობს.

დამტკიცებამდე დოკუმენტი საჯარო განხილვებისათვის გამოქვეყნებული იყო ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, სტრატეგიის პარტნიორების, დაინტერესებული მხარეებისა და საერთაშორისო ექსპერტებისაგან მიღებული რეკომენდაციები ასახულია დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მართვის კომიტეტი და სამუშაო ჯგუფი

წლის დასაწყისშივე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების ახალი ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში დაინტერესებული მხარეებისთვის სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელზეც განვლილი წლის აქტივობები შეაჯამა და 2023 წლის სამუშაო პროექტები წარმოადგინა. ერთი წლის საქმიანობის შეჯამებამ მიღწეული შედეგები და სამომავლო განვითარების ახალი შესაძლებლობები ნათლად წარმოაჩინა.

2023 წლის პროექტებში ჩართული იყო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, საპენსიო სააგენტო, ახალგაზრდობის სააგენტო, „საზოგადოება და ბანკები“, „ჯუნორ ეჩივმენტ საქართველო“, „აფლატუნ ინტერნეიშენალი (Aflatoun International)“, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდი (DSIK), ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის (EFSE), სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია (SMEDA), საქართველოს საბანკო ასოციაცია, საქართველოს ბანკი, თიბისი

63

https://finedu.gov.ge/storage/files/doc/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%202023_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf

ბანკი, ბაზისბანკი, ლიბერთი ბანკი, კრედო ბანკი, პაშა ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ემბისი“, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სვისკაპიტალი“, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

შეხვედრაზე საგანმანათლებლო, საჯარო, სამოქალაქო, მედია და კომერციული სექტორის წარმომადგენლები საქართველოს ეროვნულ ბანკთან 2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და სამომავლო ჩართულობაზე შეთანხმდნენ.

ფინანსური განათლების პლატფორმა www.finedu.gov.ge

2023 წლის განმავლობაშიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წლის სექტემბერში გაშვებული ფინანსური განათლების პლატფორმა www.finedu.gov.ge (შემდგომში ფინედუ) და მისი სოციალური ქსელების არხები (Facebook, Instagram, LinkedIn, YouTube და წელს უკვე TikTok პლატფორმაც) საქართველოს მასშტაბით ფინანსური განათლების გავრცელების ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი იყო.

ვებგვერდი ახალი, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალებით შეივსო. 2023 წლის განმავლობაში ფინედუს 267,876 უნიკალური მომხმარებელი სტუმრობდა, სოციალური ქსელებით, მათ შორის - ფეისბუქით 1,028,728 მომხმარებელს მიეწვდით. წელს ფინედუმ ტიკტოკ არხზეც დაიწყო საგანმანათლებლო ვიდეოების განთავსება. ინსტაგრამისა და ლინკდინის გვერდების გამომწერების რაოდენობამ კი 3,257 შეადგინა.

ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები

ეროვნულმა ბანკმა, 2023 წელსაც, ტრადიციულად, აღნიშნა ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თარიღები, მათ შორის: მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე (15 მარტი), გლობალური ფულის კვირეული, ინოვაციების ბანაკი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე (12 აგვისტო), კიბერუსაფრთხოების თვე, მსოფლიო დაზოგვის დღე (31 ოქტომბერი) და დაზღვევის საერთაშორისო დღე. პირველად, ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი, რომელიც წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, 23 აპრილს, მიემდვნა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კვირეული

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1983 წლიდან 15 მარტს აღნიშნავენ. მისი მიზანი სხვადასხვა სფეროს მომხმარებლებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. საქართველოს საფინანსო სექტორმა, ეროვნული ბანკის ინიციატივით, თარიღი მრავალფეროვანი ღონისძიებებითა და საინფორმაციო კამპანიით უკვე მესამედ აღნიშნა. წლევიანდელი კამპანიის სლოგანი უცვლელი დარჩა - „იცოდე შენი უფლებები - იყავი დაცული!“.

2023 წელს ღონისძიების მასშტაბები გაფართოვდა. 13-17 მარტის პერიოდში, ეროვნულ ბანკთან ერთად, ღონისძიებაში ჩაერთო 4 მარეგულირებელი უწყება - კონკურენციის ეროვნული სააგენტო, კომუნიკაციების კომისია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური და სურსათის ეროვნული სააგენტო. ერთობლივი ძალებით საქართველოში მომხმარებელთა

უფლებების დაცვის პირველი საერთაშორისო კვირეული გაიმართა. ღონისძიებების ფარგლებში მარეგულირებელმა უწყებებმა მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით სექტორულად გატარებულ რეფორმები, არსებული გამოწვევები და საერთაშორისო გამოცდილებები მიმოიხილეს. კვირეულის განმავლობაში შეხვედრებმა მომხმარებლები, სტუდენტები და ბიზნესის სექტორი მოიცვა.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მთელი კვირის განმავლობაში ფინედუს სოციალურ არხებში თემატური საინფორმაციო პოსტები და ვიდეოჩართვებით ქვეყნდებოდა.

ფულის გლობალური კვირეული

ფულის გლობალური კვირეული მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება და მისი მთავარი ამოცანა ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო ცნობიერების ამაღლებაა.

2023 წლის მარტში ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო პლატფორმა ფინედუს ორგანიზებით და საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით, საქართველოში ფულის გლობალური კვირეულის აღსანიშნავი არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა ჩატარდა. საერთაშორისო კვირეულს საქართველო უკვე მეცხრედ, უფრო მრავალფეროვანი თემატიკით შეუერთდა და მდგრადი განვითარების, ეკოლოგიისა და საზოგადოებაზე ზრუნვის საკითხებიც მოიცვა.

კვირეულის დევიზი „დაგეგმე შენი ფული, შექმენი შენი მომავალი“ („Plan your money, plant your future“) იყო.

კვირეულის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე პროექტი: ღია გაკვეთილების პროექტი სახელწოდებით „მოიწვიე ფინედუ კლასში“, პოსტერებისა და სლოგანების კონკურსი „დაგეგმე შენი ფული, შექმენი შენი მომავალი“ და ვიდეოების კონკურსი - "ჩემი ფული".

პროექტის „**მოიწვიე ფინედუ კლასში**“ ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ფინედუს დესპანის სახელით, როგორც თბილისის, ისე რეგიონის სკოლებში III-IX კლასის მოსწავლეებს ღია გაკვეთილები ჩაუტარეს. დესპანებმა სკოლის მოსწავლეებს ფულის ისტორიის, ეროვნული ბანკის ფუნქციების, დაზოგვის მნიშვნელობის, მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური საკითხების შესახებ ესაუბრნენ. ინფორმაცია მოსწავლეთა ნაწილმა ონლაინ გაკვეთილებში ჩართვით მიიღო. ღონისძიებამ ჯამურად 125-მდე კლასის 4,000-მდე მოსწავლე მოიცვა.

პოსტერებისა და სლოგანების კონკურსის „დაგეგმე შენი ფული, შექმენი შენი მომავალი“ მიზანს ფინანსური განათლების, გარემოს, მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. კონკურსის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ბაზისბანკი, კრედო ბანკი, მიკრო ბიზნეს კაპიტალი, კრისტალი, საპენსიო სააგენტო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და „აფლატუნ ინთერნეიშენალი“. შემოსული 170-მდე ნამუშევარიდან, კონკურსით დადგენილი პირობებისა და კრიტერიუმების შესაბამისად ჟიურიმ 20 ფინალისტი გამოავლინა და დააჯილდოვა.

ვიდეოების კონკურსი - "ჩემი ფული" 11 მარტს დაიწყო და საპენსიო სააგენტოს, საქართველოს ბანკის, მიკრო ბიზნეს კაპიტალი", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის

საერთაშორისო უნივერსიტეტის ჩართულობითა და მხარდაჭერით განხორციელდა. კონკურსის მიზანი სკოლის მოსწავლეების ფინანსური საკითხებით დაინტერესება, ფულის ისტორიის, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობის წახალისება იყო.

სულ 35 ნამუშევარი შემოვიდა. მომხმარებლების რჩეული ხუთეული ფინედუს ფეისბუქგვერდზე ატვირთული ვიდეო-კომენტარების მიხედვით გამოვლინდა.

დაზღვევის დღე

ეროვნული ბანკის და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის მხარდაჭერითა და სადაზღვევო სექტორის ჩართულობით 2022 წლიდან 2 მაისს საქართველოში დაზღვევის დღე აღინიშნება.

დაზღვევის დღის დაწყების იდეა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე მსჯელობისას გაჩნდა და მისი მიზანი დაზღვევის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

დაზღვევის დღისადმი მიძღვნილი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუს ვებგვერდსა და შესაბამის სოციალურ ქსელებში მომხმარებლებს დაზღვევასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო საგანმანათლებლო მასალა, მათ შორის, სტატიები, კროსვორდები, პოსტერები და სხვა შემეცნებითი ინფორმაცია მიეწოდა.

2 მაისს თბილისში, სადაზღვევო სექტორის ჩართულობით, დაზღვევის დღის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა, სადაც საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დაზღვევის შესახებ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებისა და ფინანსური განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ინოვაციების ბანაკი ფინანსური განათლების თემაზე

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს ინიციატივითა და ორგანიზებით ქალაქ ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საბანკო ასოციაციასთან თანამშრომლობით, საქართველოს ბანკის, თიბისი ბანკის, ბაზისბანკის და კრედო ბანკის ფინანსური ჩართულობით ფინანსური განათლების თემაზე ინოვაციების ბანაკის ღონისძიება გაიმართა.

ინოვაციების ბანაკი იდეების გენერირების 12 საათიანი ღონისძიებაა, რომელშიც მოსწავლე-ახალგაზრდები კონკრეტული გამოწვევის დასაძლევად ერთიანდებიან, სადაც მათი ამოცანა დასმული საკითხის გადასაჭრელი ეფექტიანი მეთოდების შემუშავება და შედეგების ჟიურის წინაშე წარდგენაა. ღონისძიებას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - "სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში" ფარგლებში 12 წლიანი ისტორია აქვს. ეროვნული ბანკის ჩართულობით ის, უკვე მეექვსედ, ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს უკავშირდება.

2023 წლის ღონისძიებაში 15-18 წლის 100-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, რომლებსაც სიტუაციურ დავალებასთან მუშაობისას კონსულტაციას საბანკო-საფინანსო სფეროს მოწვეული ექსპერტები უწევდნენ. ეროვნულმა ბანკმა ახალგაზრდებს ფინანსური განათლების საჭიროებისა და

მნიშვნელობის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა. ამჯერად ახალგაზრდებმა მთელი დღე დაუთმეს ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების ფინანსური განათლების ამაღლებისა და მათი მეწარმეობაში ჩართვის ხელშემწყობი იდეების შემუშავებას.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ღონისძიებაზე წარმოდგენილი 10 გუნდიდან გამარჯვებულად #4 გუნდი, სახელწოდებით „Human Intelligence“ დასახელდა, დამატებით რჩეულები დაასახელეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა და ეროვნულმა ბანკმა.

ღონისძიებაში ჩართულ ახალგაზრდებს მსოფლიოს 123 ქვეყანაში აღიარებული სერტიფიკატი, ხოლო ჟიურის მიერ გამოვლენილ გუნდების გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრებიც გადაეცათ.

დაზოგვის მსოფლიო დღე

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სექტორის ჩართულობით დაზოგვის მსოფლიო დღე უკვე მეთორმეტედ აღნიშნა. ინიციატივის მიზანი მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში, დაზოგვის წახალისება და დაზოგვის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო.

დაზოგვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საინფორმაციო კამპანია 31 ოქტომბერს დაიწყო და მთელი ნოემბრის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კამპანია საქართველოს ეროვნული ბანკის და საგანმანათლებლო პლატფორმა ფინედუს ორგანიზებით და პარტნიორი ორგანიზაციების: ბაზისბანკის, თიბისი ბანკის, კრედო ბანკის, საქართველოს ბანკის, მისო „ემბისის“, საპენსიო სააგენტოს, „ჯუნორ ეჩივმენტ საქართველოს“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მხარდაჭერით წარიმართა. ფინედუს დესპანის სტატუსით სკოლის მასწავლებლების მონაწილეობამ კამპანიას უპრეცედენტო მასშტაბი შესძინა.

დაიგემა დესპანების სტუმრობა სკოლებში - „მოიწიე ფინედუ კლასში“, დაზოგვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით III-IX კლასის მოსწავლეებისთვის უკვე ტრადიციული ღია გაკვეთილები. ღონისძიებამ მთელი საქართველოს მასშტაბით მოიცვა. 45-მდე ქალაქისა თუ სოფელის 350-ზე მეტი კლასის 8,000-მდე მოსწავლე.

მონაწილე სკოლებს სამახსოვრო მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალა და სერტიფიკატები გადაეცათ.

კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვე

ტექნოლოგიების განვითარება ფინანსური მომსახურების სწრაფად და ეფექტიანად მიღების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, ამასთანავე, კიბერდანაშაულის რისკებიც იზრდება. ყოველწლიურად კიბერთავდასხმებისა და თაღლითობების ახალი სქემები ჩნდება, რომელთა იდენტიფიცირება და თავიდან აცილება მნიშვნელოვანი გამოწვევაა განვითარებულ ქვეყნებშიც კი. სწორედ ამიტომ, ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიაში კიბერ და ფინანსური უსაფრთხოების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია საერთაშორისო მასშტაბით 2004 წლიდან ოქტომბერში აღინიშნება. გასულ წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით,

ქვეყნის საფინანსო სექტორი კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიას უკვე მესამედ შეუერთდა.

სლოგანმა „დაფიქრდი, სანამ გახსნი“, #იყავიჰაკერზექვიანი სოციალურ ინჟინერიასა და კიბერკრიმინალებისგან თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანიის აქტივობები გააერთიანა.

კამპანიის ფარგლებში შემუშავდა და ფინედუს სოციალურ არხებში განთავსდა ახალი საგანმანათლებლო მასალები. შეიქმნა საინფორმაციო ვიდეოები.

საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ფინედუსთან ერთად კამპანიაში საქართველოს საბანკო ასოციაცია, საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ბაზისბანკი, ლიბერთი ბანკი, კრედო ბანკი, პროკრედიტ ბანკი, რებანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ემბისიცი“ მონაწილეობდნენ.

ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუს ფეისბუქ-არხის პირდაპირი ჩართვები და საგანმანათლებლო მედია ეთერები.

ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „Finოსოფიური დღიურები“

2023 წელს ფინედუს ფეისბუქგვერდზე წარმატებით გაგრძელდა რუბრიკა „Finოსოფიური დღიურები“. მისი მიზანი ფინანსური საკითხების განსხვავებული, საინტერესო კუთხით წარმოჩენა და ფართო საზოგადოებაში ფინანსების მიმართ გონივრული დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო.

2023 წლის განმავლობაში „Finოსოფიური დღიურების“ 21 სესია გაიმართა. მოწვეული სპიკერები ფინანსურ საკითხებს მსმენელებისთვის განსხვავებულად, ორიგინალური და საინტერესო კუთხით წარმოაჩენდნენ. ნებისმიერ მსურველს სესიაში ჩართვა, კომენტარებში კითხვების დასმა და პირდაპირ ეთერში სპიკერისგან პასუხის მიღება წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეეძლო.

ჩანაწერების ნახვა ფეისბუქგვერდის გარდა, როგორც ფინანსური განათლების პორტალზე⁶⁴, ასევე მის YouTube⁶⁵ არხზე არის შესაძლებელი.

ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „ექსპერტი ფინედუსზე“

2023 წელს ასევე წარმატებით გაგრძელდა ფეისბუქპროექტი „ექსპერტი ფინედუსზე“. ეს პროექტი 2021 წელს დაიწყო და მისი მიზანი მნიშვნელოვანი საფინანსო საკითხების ობიექტური და კომპეტენტური გაშუქებაა. სპიკერების სასაუბრო თემები, ძირითადად, ფინანსებს და ფინანსურ გადაწყვეტილებებზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოქმედ საკითხებს ეხება.

წლის განმავლობაში პროექტის „ექსპერტი ფინედუსზე“ 7 სესია გაიმართა. მოწვეული სპიკერები აქტუალურ თემებზე საუბრობდნენ, მსმენელთა შეკითხვებს პასუხობდნენ და თემასთან დაკავშირებულ შემთხვევებს განიხილავდნენ.

⁶⁴ <https://finedu.gov.ge/ge/video-galerea-2/finosofiuri-dghiurebi-1>

⁶⁵ https://www.youtube.com/watch?v=ySAGlFW6yI4&list=PLhi_8_nnsD1NHDTf_DKNkdp6M5D-wHkpb

ჩანაწერების ნახვა ფეისბუქგვერდის გარდა, როგორც ფინანსური განათლების პორტალზე⁶⁶, ისე მის YouTube⁶⁷ არხზე არის შესაძლებელი.

ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „საუბრები ბიზნესზე“

2023 წელს ფინედუს კიდევ ერთი ფეისბუქპროექტი პროექტი „საუბრები ბიზნესზე“ გაგრძელდა. მოწვეული სპიკერები მეწარმეების ფინანსურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობდნენ. ჩართვები ძირითადად ბიზნესის უწყვეტობის საკითხებს შეეხო. სესიაში ჩართვა, კომენტარებში კითხვების დასმა და პირდაპირ ეთერში სპიკერისგან პასუხის მიღება ნებისმიერ მსურველის წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეეძლო.

წლის განმავლობაში პროექტის „საუბრები ბიზნესზე“ 20 სესია გაიმართა.

ჩანაწერების ნახვა ფეისბუქგვერდის გარდა, როგორც ფინანსური განათლების პორტალზე⁶⁸, ისე მის YouTube⁶⁹ არხზე არის შესაძლებელი.

ფინანსური განათლების შემოქმედებითი კონკურსები

მოსახლეობაში ფინანსური განათლების მიმართ დაინტერესების ასამაღლებლად საქართველოს ეროვნული ბანკი ფინედუს სოციალური არხების საშუალებით პერიოდულად კონკურსებს აცხადებს. 2023 წელი მრავალფეროვანი კონკურსებით დახუნძლული გამოდგა.

ლიტერატურული კონკურსი „ფინანსური განათლება მხატვრულად“

საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუ წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღეს, 23 აპრილს, შეუერთდა. ამ დღის აღსანიშნავად და ფინანსური განათლების საკითხების ცხოვრებისეულ კომპეტენციებად წარმოსაჩენად გამოცხადდა კონკურსი "ფინანსური განათლება მხატვრულად" .

კონკურსის მხარდამჭერი პარტნიორი ორგანიზაციები იყვნენ: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, „კრედო ბანკი“, მიკრო ბიზნეს კაპიტალი, კრისტალი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გამომცემლობა დიოგენე, გამომცემლობა არტანუჯი, გამომცემლობა ინტელექტი და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია.

საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შეირჩა კონკურსის ჟიურის წევრები: მწერალი დათო ტურაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი და მწერალი გიორგი კეკელიძე და გამომცემლობა "არტანუჯის" რედაქტორი ზვიად კვარაცხელია. კონკურსის მიმდინარეობისას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჟიურის წევრებთან დაინტერესებული მომხმარებლების შეხვედრებსაც უმასპინძლა. სტუმრებმა ცხოვრებისეულ გამოწვევებსა და ლიტერატურის როლზე ისაუბრეს.

⁶⁶ <https://www.finedu.gov.ge/ge/video-galerea-2/eksperti-fineduze-1>

⁶⁷ https://www.youtube.com/playlist?list=PLhi_8_nnsD1M0Ie0-CiiZW_BgBpNFfxj2

⁶⁸ <https://www.finedu.gov.ge/ge/video-galerea-2/eksperti-fineduze-1>

⁶⁹ https://www.youtube.com/playlist?list=PLhi_8_nnsD1M0Ie0-CiiZW_BgBpNFfxj2

ლიტერატურული კონკურსის მიზანს ლიტერატურული ნაწარმოებების (მოთხრობების) შექმნა წარმოადგენდა, რომლებიც ფინანსური განათლების თემებს მხატვრულად წარმოაჩენდნენ.

კონკურსის დევიზად "დაწერე, აჩუქე, მოიგე!" შეირჩა. პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო. შემოსულ ნამუშევრებს ჟიური ორი მიმართულებით აფასებდა: ნამუშევარში განხილული ფინანსური განათლების საკითხების ადეკვატურობა და მხატვრული ნაწარმოების კონტექსტთან შესაბამისობა, ამ საკითხების რიგითი მკითხველისთვის აღქმადად წარმოჩენა და ნამუშევრის მხატვრული/ლიტერატურული ხარისხი.

კონკურსის ფარგლებში სულ 87 ავტორის მოთხრობა და 95 სკოლის მოთხოვნა შემოვიდა, საიდანაც ჟიურიმ 14 ფინალისტი და ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის რამაზ აბაშიძის სახელობის საჯარო სკოლა გამოავლინა.

9 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების პირველი ნაწილი კონკურსის გამარჯვებულების წარდგენას და დაჯილდოებას დაეთმო.

კონკურსის თოთხმეტივე ფინალისტს დიპლომი და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა, სამივე გამარჯვებულმა კი, ჯილდოდ მრავალფეროვანი საჩუქრები მიიღო.

ღონისძიების მეორე ნაწილი ფინედუს 3 წლის იუბილეს აღნიშვნას და განვლილი პერიოდის შეჯამებას დაეთმო.

ლიტერატურული კონკურსის ფარგლებში, გათვალისწინებული იყო საქართველოს ერთ-ერთი სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებით შევსების იდეაც. წიგნებით დასაჩუქრებისთვის ჟიურის გადაწყვეტილებით ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის რამაზ აბაშიძის სახელობის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეირჩა. 2020 წელს ხანძრის შედეგად სკოლის შენობა და, შესაბამისად, ბიბლიოთეკაც სრულიად განადგურდა.

18 ოქტომბერს ფინედუს წარმომადგენლები სკოლას ეწვივნენ და ხანძრის შედეგად განახლებული სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად ფინედუს ლიტერატურული კონკურსის 87 მონაწილის სახელით შემენილი 87 წიგნი ჩაუტანეს, შემდეგ კი, სკოლის მოსწავლეებს ფინანსური განათლების თემაზე ღია გაკვეთილი ჩაუტარეს და ფინედუს საგანმანათლებლო მასალები გადასცეს.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფოტოკონკურსი

12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნას, გაეროს ინიციატივით, 1999 წელს ჩაეყარა საფუძველი. ამ დღისმიზანია წარმოაჩინოს ახალგაზრდების განსაკუთრებული როლი გლობალური გამოწვევების დაძლევაში .

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუს 2023 წელს უკვე მესამედ შეუერთდა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ფოტოკონკურსი სახელწოდებით „დაიჭირე ფინანსური კადრი“ გამოაცხადა.

კონკურსის მიზნები იყო: ახალგაზრდა თაობაში ფინანსური განათლების საკითხების საინტერესო, შემეცნებითი საშუალებებით გავრცელება, ფინანსური განათლების საკითხების მიმართ ახალგაზრდობში ცნობიერების ამაღლება, პასუხისმგებლიანი ქმედებების ჩამოყალიბება და

დამოკიდებულებების გაუმჯობესება; ახალგაზრდებში გონივრული ფინანსური ქცევების წახალისება.

21 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ ბანკში კონკურსის ჟიურის წევრთან, ფოტოგრაფ გიორგი შერმაზანაშვილთან შეხვედრაც გაიმართა. დაინტერესებულ მომხმარებლებს სპიკერი ფოტოგრაფიის ხელოვნებასა და მის დანიშნულებაზე, ასევე, ტექნიკურ და პრაქტიკულ ნიუანსებზე ესაუბრა. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა.

17 სექტემბერს კონკურსის დასკვნითი ღონისძიება ახალგაზრდობის სააგენტოში გაიმართა.

100-მდე წარმოდგენილი ნამუშევრიდან ჟიურიმ 20 ფინალისტი შეარჩია. დასკვნით ღონისძიებაზე კონკურსანტებმა საკუთარი ნამუშევრები თავად წარმოადგინეს.

3 საპრიზო ადგილის გარდა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდნენ: „ყველაზე დასამახსოვრებელი ახალგაზრდული კადრი“, „საუკეთესო ფინანსური იუმორი“ და „მომხმარებლის რჩეული“.

ღონისძიების დასასრულს გამარჯვებულებს სერტიფიკატები, სამახსოვრო საჩუქრები და ფულადი პრიზები გადაეცათ. სპეციალური სერტიფიკატებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ კონკურსის ფინალისტებიც.

ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი კონკურსი ახალგაზრდების, კერძოდ, ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილების სტაჟიორების მნიშვნელოვანი ჩართულობითა განხორციელდა.

კონკურსი საქართველოს ეროვნული ბანკისა და „ფინედუს“ ორგანიზებით და ბაზისბანკის, კრედო ბანკის, მიკრო ბიზნეს კაპიტალის, პაშა ბანკი (რე ბანკი) საქართველოს ბანკის, ახალგაზრდობის სააგენტოს და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჩართულობითა და მხარდაჭერით განხორციელდა.

ფინანსური განათლების პროექტები ახალგაზრდა თაობისათვის

ახალგაზრდა თაობა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზნობრივი სეგმენტია და 2023 წლის განმავლობაშიც ამ სეგმენტზე მიმართული არაერთი საგანმანათლებლო თუ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება განხორციელდა.

საგანმანათლებლო ლექცია ეროვნულ ბანკში

28 აპრილს ეროვნულმა ბანკმა “კონრად ადენაუერის ფონდის პოლიტიკური განათლების აკადემიის” სტუდენტებს უმასპინძლა. შეხვედრაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების დეპარტამენტის უფროსმა სტუდენტებთან მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელობასა და ამ საქმეში ეროვნული ბანკის როლზე ისაუბრა.

სტუდენტები მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესს, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ჩარჩოს და მომხმარებელთა მომართვებზე რეაგირების წესს გაეცნენ. მოისმინეს ინფორმაცია ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის, საგანმანათლებლო პორტალ ფინედუს და ახალგაზრდა თაობასთან და სტუდენტებთან დაკავშირებული პროექტების შესახებ.

ფინედუ სტუდენტების სტაჟირებისა და კარიერული განვითარების ფორუმზე

1 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და კარიერული განვითარების ფორუმი გაიმართა. ღონისძიებაზე ეროვნული ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები სტუდენტებს მათი საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ ესაუბრნენ და სტაჟირებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები გააცნეს. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ეროვნული ბანკის სხვადასხვა მიმართულების სპეციფიკის, არსებული გამოწვევების, შესაძლებლობების გაცნობის და მათთვის საინტერესო კითხვებზე კომპეტენტური პასუხების მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ.

ფინედუს გუნდში სტაჟირების გავლის შესაძლებლობით არაერთი სტუდენტი დაინტერესდა. სტაჟირების ფინანსური განათლების განყოფილებაში გავლის შესაძლებლობა სამ სტუდენტს მიეცა, რომლებმაც 2023 წლის განმავლობაში მოსწავლეებსა და სტუდენტებზე მიმართულ არაერთი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში მიიღეს. მათ შორის, აღსანიშნავია ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი ფოტოკონკურსი „დაიჭირე ფინანსური კადრი“, რომელიც მთლიანად სტაჟირების იდეებს ეფუძნებოდა.

საგანმანათლებლო შეხვედრა-ლექციები „შაორის ახალგაზრდულ ბანაკში“

ეროვნული ბანკისა და ახალგაზრდობის სააგენტოს თანამშრომლობის ფარგლებში ახალგაზრდა თაობისადმი მიძღვნილი სხვა ღონისძიებების პარალელურად, ივლისი-აგვისტოს პერიოდში ეროვნული ბანკის თანამშრომლები „შაორის ახალგაზრდულ ბანაკს“ სტუმრობდნენ, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოსა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით იყო ორგანიზებული.

ბანაკის მიზანი ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა და ეროვნული და ევროპული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობაა. პროგრამით გათვალისწინებულ ერთ-ერთი თემა ფინანსური განათლება იყო.

საინფორმაციო შეხვედრა-ტრენინგები 5 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და 500-მდე მონაწილე მოიცვა. ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა ახალგაზრდებს ეროვნული ბანკის საქმიანობა გააცნეს და დაზღვევის, საბანკო პროდუქტების, მომხმარებლის უფლებების, ფინანსური თაღლითობის შესახებ ესაუბრნენ. დისკუსიები ფინანსების მართვას, დაზოგვას და ბიუჯეტირებას, მათ მნიშვნელობას და არსებულ გამოწვევებს შეეხო.

ტრენინგი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

25 ოქტომბერს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილების თანამშრომლებმა ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ტრენინგი ჩაატარეს.

ტრენინგის - „გზამკვლევი სტუდენტების ფინანსური დამოუკიდებლობისთვის“ მიზანი ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევისა და თავდაჯერებულობის ამაღლების პროცესში რეგიონში მცხოვრები სტუდენტების გაძლიერება იყო, თემები კი: სტუდენტები კარიერის საწყის ეტაპზე, ბიუჯეტირება და დაზოგვა.

ტრენინგი თეორიულ ნაწილთან ერთად პრაქტიკულ დავალებებსაც მოიცავდა და, დამატებით, მონაწილეებისთვის სოციალიზაციისა და ახალი კონტაქტების შექმნის შესაძლებლობაც იყო.

ტრენინგის დასასრულს სტუდენტებს სერთიფიკატები და ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო მასალები გადაეცათ.

ფინანსური განათლების პროექტები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის

მოსწავლეები, როგორც ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზნობრივი სეგმენტია, მათზე წვდომისთვის კი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა მასწავლებლები და მათი მხარდაჭერა და გაძლიერება. 2023 წელი მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე მიმართული საკმაოდ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო აქტივობებით გამოირჩეოდა.

მასწავლებელთა ტრენინგი „სკოლა-ბანკის“ პროექტის ფარგლებში

2023 წელსაც გაგრძელდა საქართველოს ეროვნული ბანკის პროექტი „სკოლა-ბანკი“. მასწავლებელთა გადამზადებისთვის ორი ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგზე დარეგისტრირება საქართველოს ნებისმიერი სკოლის ნებისმიერ მასწავლებელს შეეძლო.

საერთაშორისო ორგანიზაციების Child and Youth Finance International-ის (CYFI), ამჟამად კი, "აფლატუნის" (Aflatoun International) მიერ შემუშავებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს რეალობისთვის ადაპტირებული პროგრამა „სკოლა-ბანკი“ VII-IX კლასის მოსწავლეების ფინანსური განათლების დონის ასამაღლებლად შემუშავებული 15 გაკვეთილისგან შედგება.

პროგრამა ფინანსური განათლების საკვანძო თემების: დაზოგვა და ბიუჯეტირება, საბანკო პროდუქტები, გონივრული სესხება, მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები, ფინანსური უსაფრთხოება მოსწავლეებისთვის გასაგები ენითა და სახალისო აქტივობებით გაცნობას და შემდგომი გამოყენების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მასწავლებელთა ტრენინგმა „სკოლა-ბანკის“ სახელმძღვანელოში განხილული ყველა თემა და სწავლების აქტიურ მეთოდი მოიცვა. შემდგომში, მიღებულ ცოდნას მასწავლებლები თავიანთ სკოლებში სასწავლო პროცესში ნერგავენ.

სწავლებელთა ტრენინგები 2 სესიად გაიმართა 27-28 მაისსა და 13-14 სექტემბერს და თბილისისა და სხვადასხვა რეგიონის 40-მდე მასწავლებელი მოიცვა. ორივე ტრენინგის მონაწილეებს სასწავლო მასალა და მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცათ.

საგან "მოქალაქეობის" მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოს შემუშავება

2023 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საგან „მოქალაქეობის“ მასწავლებლებისთვის ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების საკითხებზე დამხმარე სასწავლო მასალა შეიმუშავა. სასწავლო მასალა გერმანულ ფონდ შპარკასესა (German Sparkassenstiftung) და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან თანამშრომლობით, ასევე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ჩართულობით შეიქმნა და ფინანსური განათლების საკითხების სწავლებისას მასწავლებელთა მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

დამხმარე სახელმძღვანელო საგან „მოქალაქეობის“ მე-9 კლასებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორებიცაა: პროფესია და სამსახური, სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები, საფინანსო ორგანიზაციები და პროდუქტები, მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა, დაზღვევა. სახელმძღვანელო თეორიულ მასალასთან ერთად, პრაქტიკულ აქტივობებს, ჯგუფურ სამუშაოებსა და თამაშებსაც ითვალისწინებს, რათა მასწავლებლებს ცოცხალი, აქტიური ხასიათის გაკვეთილების ჩატარებაში შეუწყოს ხელი, მოსწავლეებს კი - მოტივაციის ამაღლებასა და ფინანსური განათლების საკითხების პრაქტიკული კუთხით დანახვაში.

დამხმარე სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია ფინედუს პლატფორმაზე აიტვირთა და მისი გამოყენება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეუძლია.⁷⁰

საგან „მოქალაქეობის“ მასწავლებლების გადამზადება

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუს ორგანიზებით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საგან „მოქალაქეობის“ მე-9 კლასის მასწავლებლებისათვის ტრენინგების კურსი ჩატარდა 2023 წლის განმავლობაში 5 ორდღიანი შეხვედრა გაიმართა. სწავლება როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინ ფორმატში წარიმართა, მოდული კი "მოქალაქეობის" მასწავლებლებისა და მათი მოსწავლეებისთვის განკუთვნილ დამხმარე სასწავლო მასალებზე იყო აგებული. ტრენინგში მონაწილეობა დარეგისტრირების შემდეგ ნებისმიერ "მოქალაქეობის" მასწავლებელს უფასოდ შეეძლო.

2 დღიან ტრენინგზე განხილული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით IX კლასისთვის განსაზღვრული მნიშვნელოვანი ფინანსური და ეკონომიკური საკითხები: პროფესია და სამსახური, სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები, საფინანსო ორგანიზაციები და მომსახურებები, დაზღვევა, მომხმარებელთა უფლებები და პასუხისმგებლობები.

თეორიულ ცოდნასთან ერთად ტრენინგმოდული პრაქტიკულ, დამხმარე აქტივობებსაც მოიცავს, რაც მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში, მოსწავლეებს კი, სასწავლო პროგრამის მარტივად გააზრებასა და პრაქტიკული კუთხით დანახვაში ეხმარება.

ტრენინგის მონაწილეებს სასწავლო მასალა და სერტიფიკატები გადაეცათ. 2023 წლის განმავლობაში ჩატარებულ ამ ტიპის ტრენინგებს სულ თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების 100-მდე მასწავლებელი დაესწრო.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ფინანსური განათლების საკითხების ინტეგრაციის შემდეგ ეროვნული ბანკი "მოქალაქეობის" პედაგოგებს ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების საკითხებზე ტრენინგებს წელიწადში რამდენჯერმე უტარებს. 2023 წლის ბოლოს მონაცემებით, აღნიშნული მოდული "მოქალაქეობის" 700-ზე მეტმა მასწავლებელმა გაიარა.

მასწავლებლების კონკურსი "ფინანსური განათლება სკოლაში"

2023 წლის 12 ივნისს ეროვნული ბანკისა და ფინედუს ორგანიზებით, სკოლის მასწავლებლებისთვის კონკურსი სახელწოდებით "ფინანსური განათლება სკოლაში" გამოცხადდა. კონკურსის მხარდამჭერები იყვნენ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

⁷⁰ <https://finedu.gov.ge/storage/files/doc/Financial%20Education%20in%20Schools.pdf>

სამინისტრო, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, საქართველოს ბანკის, თიბისი ბანკის, ბაზისბანკის, ლიბერთი ბანკის, კრედო ბანკის, ჰსპ დაზღვევა და "საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი.

კონკურსის მიზანს ფინანსური განათლების საკითხებით მასწავლებლების მეტად დაინტერესება, ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება, მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფინანსური წიგნიერების საკითხების ეფექტური მიწოდებისთვის მასალების შეგროვება წარმოადგენდა.

მასწავლებლებს საკლასო სივრცეში ფინანსური წიგნიერების საკითხების ეფექტურად გადმოსაცემად საინტერესო სასწავლო მეთოდოლოგიის/აქტივობების შექმნა დაევალათ. ნამუშევრების წარდგენის საბოლოო ვადად 15 ოქტომბერი, ფინალისთვის და გამარჯვებულების გამოვლენისთვის კი, 24 იანვარი, განათლების საერთაშორისო დღე, განისაზღვრა. კონკურსის ფარგლებში, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ 11 ფულადი პრიზი დაწესდა, მათ შორის, I ადგილზე გასული 3 კონკურსანტისთვის 2,000 ლარი.

კონკურსის ფარგლებში მასწავლებლებისათვის 2 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, ერთი 27 ივნისს, მეორე კი - 2 ოქტომბერს. შეხვედრაზე ეროვნული ბანკისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა მასწავლებლებს კონკურსის იდეა, პირობები და შეფასების კრიტერიუმები გააცნეს, მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ყველა კუთხის კერძო და საჯარო სკოლის 65-მა მასწავლებელმა მიიღო, საიდანაც ჟიურიმ 20 ფინალისტი გამოავლინა.

კონკურსის დასკვნითი ღონისძიება 24 იანვარს, განათლების საერთაშორისო დღეს, გაიმართა. ფინალისტებმა ჟიურის წინაშე თავიანთი ნამუშევრები წარადგინეს და კონკურსით გათვალისწინებული დამატებითი კრიტერიუმებით შეფასდნენ.

მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჟიურიმ საბოლოოდ 5 სპეციალური პრიზის, ორი II და სამი I ადგილის მფლობელი გამოავლინა, და დააჯილდოვა.

ფინანსური განათლების ღია გაკვეთილები სკოლის მოსწავლეებისათვის

საქართველოს ეროვნულ ბანკი 2023 წლის განმავლობაში კვლავ აქტიურად განაგრძობდა სკოლის მოსწავლეებისთვის ფინანსური განათლების საკითხებთან დაკავშირებით ღია გაკვეთილების ჩატარებას.

2023 წელს საგანმანათლებლო პლატფორმა ფინედუ საქართველოს სკოლების კლასებსა და ფინანსური განათლების კლუბებს ღია გაკვეთილებით სტუმრობდა და მასპინძლობდა.

ღია გაკვეთილებს ფინანსური განათლების განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლებიც ატარებდნენ და მოსწავლეებს ესაუბრებოდნენ ისეთ თემებზე, როგორცაა: საფინანსო სისტემა, ფინანსური უსაფრთხოება, დაზოგვა, ბიუჯეტირება, ინფლაცია და გათვალისწინებული იყო ასევე დამატებითი აქტივობები, რომლებიც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, ფინანსური საკითხების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება უკეთ გაეცნობიერებინათ.

2023 წლის განმავლობაში ასეთი ტიპის ღია გაკვეთილი საქართველოს 19 სკოლის 492 მოსწავლისთვის ჩატარდა.

ფინანსური განათლების პროექტები ქალებისათვის

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიით ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფად ქალების სეგმენტი განისაზღვრა. 2023 წლის განმავლობაში ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით საქართველოს მასშტაბით არაერთი ტრენინგი და შეხვედრა ჩატარდა.

საგანმანათლებლო შეხვედრა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალებისათვის

27 ივნისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ქალებს უმასპინძლა და პირადი ფინანსების მართვასა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა გამართა. სტუმრები ქ. გორში არსებულ სამკერვალო საწარმო „ლიდერში“ საქმიანობენ.

შეხვედრისას, რომელსაც ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილებისა და USAID-ის ძლიერი სოფლის პროექტის წარმომადგენლები უძღვებოდნენ, პირადი ფინანსების მართვის თავისებურებები და გამოწვევები, ასევე, ბიუჯეტირების, დაზოგვისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საკითხები იყო განხილული.

მონაწილეებს USAID-ის ძლიერი სოფლის პროექტის წარმომადგენლისგან საგრანტო პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსმენის საშუალებაც ჰქონდათ.

ტრენინგურსი „გზამკვლევი ქალების ფინანსური დამოუკიდებლობისთვის“

2023 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინედუსა და გერმანული ფონდი შპარკასეს ორგანიზებით ტრენინგი „გზამკვლევი ქალების ფინანსური დამოუკიდებლობისთვის“ თბილისში თელავში, ქუთაისსა და გორში ჩატარდა.

ტრენინგ კურსი ქალაქსა და რეგიონებში მცხოვრები ქალების გაძლიერებისკენ იყო მიმართული. მისი მიზანი იყო ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის და თავდაჯერებულობის ამაღლება, ძირითადი თემები კი - ქალები კარიერის საწყის ეტაპზე, ბიუჯეტირება და დაზოგვა. მასალა მინი ლექციისა და პრაქტიკული აქტივობების სახით იყო წარმოდგენილი.

ტრენინგმა მონაწილეებს სოციალიზაციის, ახალი კონტაქტებისა და მხარდამჭერების შეძენის შესაძლებლობაც მისცა. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ.

ფინანსური განათლების პროექტები ემიგრანტებისათვის

განახლებული ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად, ერთ-ერთ მიზნობრივ სეგმენტად ემიგრანტები და მათი ოჯახის წევრები განისაზღვრა.

ტრენინგი ემიგრანტებისა და მათი ოჯახებისთვის

21 ნოემბერს ფინედუს ორგანიზებული ტრენინგი „როგორ ვმართოთ ემიგრაციაში გამომუშავებული ფული უფრო ეფექტურად“ გაიმართა. ტრენინგზე ემიგრანტებმა და მათი ოჯახის წევრებმა პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები მიიღეს. ტრენინგის მხარდამჭერები საქართველოს ბანკი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყვნენ.

ტრენინგის მიზანს ემიგრანტების და ფულად გზავნილებზე დამოკიდებული ოჯახების სპეციფიკური რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირება და პრაქტიკული რეკომენდაციებით მათი მხარდაჭერა წარმოადგენდა. განსახილველი თემები მრავალფეროვანი იყო: პირადი ბიუჯეტი და დაზოგვა, შემოსავლების სწორად მართვა, ფინანსური დამოუკიდებლობა, ინვესტირება, ფინანსურ ბაზარზე არასანდო და სარისკო შემოთავაზებების ამოცნობა, საბანკო პროდუქტები, ფულადი გზავნილები და ა.შ.

ფეისბუქართვა "ემიგრანტებზე, ემიგრანტებისთვის"

18 დეკემბერს ფინელუს ფეისბუქგვერდზე მიგრანტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პანელური შეხვედრა გაიმართა, რომლის სახელწოდებაც იყო „ემიგრანტებზე, ემიგრანტებისთვის“. განსახილველი თემები ემიგრანტებთან წინასწარი კომუნიკაციის გზით შეირჩა და მათთვის აქტუალური და პრობლემატურ საკითხები მოიცვა. შეხვედრაში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეეძლო. შერჩეული თემები ოთხმა სპიკერმა მიმოიხილა. ემიგრანტები და მათი ოჯახის წევრები კითხვების Live-ის კომენტარებით და ანონიმურად სვამდნენ. შეხვედრა მაღალი აქტიურობით წარიმართა.

ფინანსური განათლების პროექტები მეწარმეებისთვის

ტრენინგი მეწარმეებისთვის

მეწარმეები ფინანსური განათლების სტრატეგიით განსაზღვრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. ამ სეგმენტზე საგანმანათლებლო აქტივობები ძირითადად ფეისბუქლაივების რუბრიკის „საუბრები ბიზნესზე“ ფორმატით შემოიგარგლებოდა. 2023 წელს კი დაიწყო 2 დღიანი ტრენინგურსი პირისპირ შეხვედრების ფორმატში.

22-23 დეკემბერს ქალაქ ზუგდიდში გერმანული შემნახველი ბანკების ფონდ „შპარკასეს“ ჩართულობით მეწარმეთათვის და ბიზნესით დაინტერესებული პირებისთვის ტრენინგი ჩატარდა.

ტრენინგზე, მონაწილეობა სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონების მეწარმეებმა (წარმოების, ვაჭრობისა, მომსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო სფეროს წარმომადგენლები) და განათლების სფეროში ჩართულმა პირებმა მიიღეს.

ორდღიანმა სწავლებამ თეორიული და პრაქტიკული ნაწილები გააერთიანა. იგი ბიზნესის დაფინანსების წყაროების, საფინანსო ინსტიტუტების მიერ შეთავაზებული პროდუქტების, ბიზნეს სესხის, ფინანსური აღრიცხვისა და ანალიზის მნიშვნელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ბიზნესში ჩართული ფინანსური გადაწყვეტილებების მიმღები პირების ინფორმირებას ისახავდა მიზნად.

ტრენინგის მონაწილეებს დამხმარე სასწავლო მასალა და სერთიფიკატები გადაეცათ.

ფინანსური განათლების გამოფენა

6-7 ოქტომბერს, წელს პირველად, საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით საქართველოს საფინანსო სექტორი საგამოფენო სივრცე „ექსპო ჯორჯიაში“ განათლების საერთაშორისო გამოფენას შეუერთდა.

გამოფენაში მონაწილეობის მიზანი მოსახლეობაში ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო.

ლონისძიებაში ეროვნულ ბანკს ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუ წარმოადგენდა. გამოფენაში, ასევე საბანკო ასოციაცია და ხუთი კომერციული ბანკი - საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, კრედიო ბანკი და პაშა ბანკი/რეზანკი მონაწილეობდნენ.

გამოფენის სტუმრებს ფინედუს საქმიანობის და საგანმანათლებლო მასალების გაცნობის, სხვადასხვა შემეცნებით თუ ინტერაქციულ აქტივობაში მონაწილეობის, საკუთარი ფინანსური ცოდნის გამოცდის და პრიზების მოგების შესაძლებლობა ჰქონდათ.

ვიდეომასალების განვითარება

ფინანსური განათლების თემების მარტივად და მოკლედ მიწოდებისათვის ვიდეორესურსები მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო მასალაა. სწორედ მიზნით, ფინედუმ 2023 წლის განმავლობაში არაერთი ვიდეომასალა შეიმუშავა.

საგანმანათლებლო ანიმაციური ვიდეორგოლები

2023 წელს ფინედუს სოციალურ ქსელებში განვითარების მიზნით, TikTok პლატფორმაც დაემატა, რომლისთვისაც საგანგებოდ. შეიქმნა მოკლე ანიმაციური ვიდეოები ფინანსური განათლების სხვადასხვა საკითხებზე, ასევე, საინფორმაციო კამპანიების მხარდამჭერი საინფორმაციო რგოლები, მაგალითად, კიბერუსაფრთხოების და დაზოგვის თემებზე.

საგანმანათლებლო ვიდეორგოლები მასწავლებლების მონაწილეობით

საგან „მოქალაქეობის“ მასწავლებლების მხარდაჭერის მიზნით, 2023 წლის ბოლოსთვის მომზადდა 7 ვიდეოგაკვეთილი, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ ფინანსური განათლების საკითხებს მოიცავს აღნიშნულ ვიდეოგაკვეთილებს უძღვებიან ფინედუს პროექტებში აქტიურად ჩართული მასწავლებლები.

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური განათლების საკითხების გავრცელებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში შექმნილი ფინანსური განათლების კომიტეტში საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად 20-ზე მეტი ორგანიზაციაა გაერთიანებული. გარდა კომიტეტის ფარგლებში თანამშრომლობისა, ეროვნული ბანკი ყოველთვის ეხმარება სხვადასხვა ორგანიზაციების ინიციატივებს, მოსახლეობაში ფინანსური განათლების გავრცელების შესახებ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

27 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ეროვნულ ბანკსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული დოკუმენტი ახლაგაზრდა თაობაში ფინანსურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2023 წელს განახლდა საერთაშორისო ორგანიზაცია OECD-სა (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) და ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFO) ტექნიკური დახმარების 5-წლიანი პროექტი.

პროექტი რეგიონის 10 ქვეყანას (ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, მოლდოვა, მონტენეგრო, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა, ხორვატია) აერთიანებს და რეგიონში ფინანსური განათლების ამაღლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ამავე წელს საერთაშორისო კონფერენცია და რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველოს ეროვნულმა ბანკიც იყო წარმოდგენილი.

მასწავლებელთა ტრენინგების თემაზე გამართული საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა

20 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მასწავლებელთა ტრენინგების თემაზე გამართულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

სამუშაო შეხვედრის პირველი ნაწილი რეგიონის ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებას დაეთმო. შეხვედრის მონაწილეებმა მასწავლებელთა ფინანსური განათლების ტრენინგების შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით თავიანთი გამოცდილებები გააზიარეს და ძირითად მიგნებებსა და არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს. ეროვნული ბანკის წარმომადგენელი შეხვედრის მონაწილეებს სკოლებში ფინანსური განათლების დანერგვის მიმართულებით ეროვნული ბანკის გამოცდილებაზე, მასწავლებელთა გადამზადების პროგრამასა და პროექტ „სკოლა-ბანკის“ ფარგლებში მასწავლებელთა ტრენინგებზე ესაუბრა.

შეხვედრის მეორე ნაწილი OECD/INFO-ს წევრი ქვეყნების მიერ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას დაეთმო. მოწვეულმა ექსპერტებმა მსმენელებს ინოვაციური მიდგომებისა და მასწავლებელთა წარმატებული და ეფექტიანი ტრენინგების დასანერგად აუცილებელი საკვანძო ფაქტორების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

ფინანსური განათლების ახალი საერთაშორისო პროექტის გახსნითი შეხვედრა

23-24 ნოემბერს, ქ. ჰააგაში, ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFO) ფინანსური განათლების ახალი ხუთწლიანი პროექტის გახსნითი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე პროექტის მონაწილე ქვეყნებში ფინანსური წიგნიერების მიმართულებით არსებული მიღწევები და პერსპექტივები შეფასდა და არსებულ გამოწვევებსა და ინოვაციურ მიდგომებზე გამახვილდა ყურადღება. ახალგაზრდებისა და მოწყვლადი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული ინიციატივები განსაკუთრებულად აღინიშნა.

პანელზე „ფინანსური განათლება და ფინანსური წიგნიერება: ახალი გამოწვევები და სტრატეგიული პრიორიტეტები“ ეროვნული ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს გამოცდილება გაუზიარა და ფინანსური განათლების მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიღწევები და გამოცდილება გააცნო. საუბარი, ასევე, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის 2023 წელს განახლებულ დოკუმენტს შეეხო, რომელიც საქართველოს გამოცდილების საფუძველზე შემუშავდა და ფინანსური განათლების არსებულ გამოწვევებს უფრო მიზნობრივად პასუხობს.

ლონისძიებაში სხვადასხვა ქვეყნის 50-მდე წარმომადგენელთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. მაღალი რანგის შეხვედრას ესწრებოდა ნიდერლანდების სამეფოს დედოფალი მაქსიმა და ქვეყნის პირველი პირები.

ეროვნული ბანკი Aflatoun International-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე

2023 წლის 9 ნოემბერს Aflatoun International-ის ორგანიზებით ნიდერლანდებში, ქალაქ უტრეხტში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „გლობალური სოციალური და ფინანსური უნარები“ ბავშვთა ფინანსური განათლების გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე სამსჯელოდ 80 ქვეყნის 300-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა. კონფერენციის ფარგლებში პანელური დისკუსიები გაიმართა, რომლებშიც ცენტრალური ბანკების, საგანმანათლებლო ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის ფინანსური განათლების საკითხების სწავლების შესახებ თავიანთი გამოცდილება გააზიარეს.

ცენტრალური ბანკების პანელურ დისკუსიაზე საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ბანკის გამოცდილების, განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა და ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სავალდებულო სწავლების მნიშვნელობა განსაკუთრებულად აღნიშნა.

საერთაშორისო კონფერენციაზე გამართულ ფინანსური განათლებისადმი მიძღვნილი პოსტერების კონკურსში თემაზე - „ბავშვთა სოციალური და ფინანსური გაძლიერება“, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუს პოსტერმა გაიმარჯვა.

სტრატეგიული განვითარება - ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო სივრცე

ფინანსური განათლების მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის საფუძველია. შესაბამისად, მოქალაქეთა ფინანსურ განათლებაზე ზრუნვა ეროვნული ბანკის პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით, **რეფორმირებულ დეპარტამენტში - სტრატეგიული განვითარებისა და პროექტების განყოფილება შეიქმნა**, რომლის ამოცანაა, უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. საგანმანათლებლო სივრცე მიზნად ისახავს გააზიაროს საქართველოს ეროვნულ ბანკში დღეისათვის დაგროვილი ინტელექტუალური კაპიტალი და გამოცდილება როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ: საჯარო ინსტიტუტების, საფინანსო სექტორის და საერთაშორისო მასშტაბით.

ეროვნული ბანკის მიდგომებისა და გამოცდილების მიმართ დიდი ინტერესია როგორც რეგიონული, ასევე ევროპის ცენტრალურ ბანკების მხრიდან. ამ მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ, ეროვნული ბანკი გეგმავს შექმნას ცენტრალიზებული, სტრუქტურირებული, საგანმანათლებლო სივრცე, რასაც ორგანიზებას გაუწევს ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი. საგანმანათლებლო პლატფორმა გახდება უწყვეტი სწავლისა და ცოდნის გაზიარების სივრცე, რომელიც განახორციელებს სასწავლო პროგრამებს შემდეგი მიმართულებით: მაკროეკონომიკა, საგადახდო სისტემები, ფინანსური ტექნოლოგიები, ფინანსური სტაბილურობა, მდგრადი დაფინანსება, რისკების მართვა, კაპიტალის ბაზრები და სხვა. ლექციები წარიმართება როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ და ჰიბრიდულ ფორმატში.

წლის ბოლომდე აქტიური კომუნიკაცია და კონსულტაციები მიმდინარეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შიდა რესურსებით ჩატარდა ბაზრის საჭიროებების კვლევა და შეფასდა სებ-ის შიდა რესურსები და პოტენციალი.

განყოფილების შექმნიდან 2 თვეში საგანმანათლებლო სივრცის შექმნის ინიციატივა კონცეფციის სახით წარედგინა არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორსა და პოტენციურ დონორ ორგანიზაციას, მათ შორისაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სსფ-ის კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის რეგიონული ცენტრი (CCAMTAC), Joint Vienna Institute (JVI) გერზენსეს სასწავლო ცენტრი, შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და პოლონეთის ცენტრალური ბანკების ტრენინგ-ცენტრები. ასევე გაიმართა შეხვედრები საგანმანათლებლო აკადემიებსა და ასოციაციებთან საქართველოში.

ელექტრონული სწავლება კაპიტალის ბაზრის მონაწილეებისათვის

ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო სივრცე ფოკუსირებულია საფინანსო ინტიტუტების წარმომადგენელთა განვითარებისა და მათთვის სასწავლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფაზე, ამ ამოცანიდან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, საქართველოს კაპიტალის ბაზრის მონაწილეებს ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე -<https://www.capitalmarketselearning.com/> წვდომის შესაძლებლობა მიეცათ. პროგრამაში ჩართვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

საქართველოს კაპიტალის ბაზრის 30 მონაწილეს საბროკერო და აქტივების მართვის კომპანიებიდან, ექნება შესაძლებლობა ჩაერთოს პროგრამაში, რომელიც მოიცავს კაპიტალის ბაზრის სხვადასხვა ასპექტს, ძირითადი კონცეფციებიდან საინვესტიციო სტრატეგიებამდე. კურსების სია მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა: ფინანსური ბაზრები, რისკების მართვა, სვოპ ოპერაციები, დერივატივები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია წამყვანი საერთაშორისო კომპანია Intuition-ის მიერ.

19 დეკემბერს გაიმართა პროგრამის პრეზენტაცია, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ წარადგინა

7. არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობა

7.1. არასაბანკო სექტორის რეგულირება და საზედამხედველო ჩარჩო

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი წარმოდგენილია 34 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით, 169 სესხის გამცემი სუბიექტით, 510 ვალუტის გადამცვლელი პუნქტითა და ერთი საკრედიტო კავშირით.

არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები საფინანსო სექტორის 3%-ს შეადგენს, თანხით 2.6 მილიარდი ლარი, საიდანაც უდიდესი წილი - 2 მლრდ ლარი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკუთვნით.

არასაბანკო სექტორი არ არის დიდი, თუმცა მას თავისი როლი აქვს საქართველოს რეგიონების ბიზნესისა და მოსახლეობისთვის ფინანსური სერვისების მიწოდების კუთხით. ამ სექტორში ორგანიზაციები მთელი საქართველოს მასშტაბით ოპერირებენ 1500 მდე ლოკაციაზე 7 ათასამდე თანამშროლომლით. მომხმარებელთა რაოდენობის სიდიდე კი, ზრდის ამ სექტორის პასუხისმგებლობას სერვისების მიწოდების პროცესში.

	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	სესხის გამცემი სუბიექტი	ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	სულ
ფილიალების რაოდენობა	398	330	728	1,456
თანამშრომელთა რაოდენობა	4,474	2,452	1,846	6,926
მსესხებელთა რაოდენობა	524,626	592,882		1,063,626

სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების კვალდაკვალ, გაიზარდა სექტორის სანდოობა და რეპუტაცია, რასაც მოყვა დაფინანსების ზრდა, მათ შორის არაეზიდენტი ინსტიტუციონალური კრედიტორებისგან. სექტორმა უმტკივნეულიდ დაძლია გასული წლების ნეგატიური ეფექტები და კვლავ ინარჩუნებს კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურ მაჩვენებლებს, სტაბილური ზრდის ტემპს და აგენერირებს მოგებას.

2023 წელს, საქართველოს კანონში „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ ძალაში შევიდა ისეთი ცვლილებები, რომელიც ძირითადად მიკრობანკის კანონმდებლობის ამოქმედებით იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებების შედეგად მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრობანკად ან კომერციულ ბანკად ლიკვიდაციის პროცესის გარეშე გარდაიქმნება. გარდა ამისა, მოწესრიგდა გარკვეული პრაქტიკები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სესხის გამცემი სუბიექტების მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირების თაობაზე. ასევე, სესხის გამცემ სუბიექტებს, მიეცათ


ვალუტის გაცვლითი ოპერაციების წარმოების უფლება, ვალუტის გადამცვლელ პუნქტად დამატებითი რეგისტრაციის გარეშე.

მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და საანგარიშგებო მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, დისტანციური ზედამხედველობის პარალელურად, 2023 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა არასაბანკო დაწესებულებების ინსპექტირების პროცესი.

7.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

2023 წელს რეგისტრაცია გაუუქმდა ორ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, თუმცა, ბაზარზე მათი უმნიშვნელო წილიდან გამომდინარე, სექტორის მთლიანი აქტივების ზრდის ტემპზე ამ ფაქტს ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია.


დიაგრამა N 7.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წლის განმავლობაში, მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ხარჯზე, ზრდა დაფიქსირდა როგორც ფილიალების, ისე თანამშრომელთა რაოდენობაში.

დიაგრამა N 7.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 7.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებისა და მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 7.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მსესხებელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წლის განმავლობაში, მსესხებელთა რაოდენობის მზარდი ტენდენციის პარალელურად, ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა საკრედიტო პორტფელმაც (წლიური ზრდის ტემპი 8 პროცენტი) და 1.7 მილიარდი ლარი შეადგინა.

დიაგრამა N 7.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპი ორჯერ ჩამოუვარდება წინა წლის მაჩვენებელს, რაც ლომბარდული პორტფელით არის განპირობებული. აღნიშნული პორტფელის ზრდის ტემპი კულმინაციური იყო 2022 წელს, რაც გარკვეულწილად პანდემიის შემდგომ ეფექტებს უკავშირდება.

მიკროსაფინანსო სექტორის დაკრედიტების ძირითად მიმართულებას ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები (ლომბარდი, სამომხმარებლო სესხები და სხვა) წარმოადგენს და სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელის 81 პროცენტს შეადგენს, თანხით - 1.4 მილიარდი ლარი. დანარჩენი 19 პროცენტი კი სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-მომსახურების სექტორსა და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებზე მოდის, თანხით 317 მილიონი ლარი.

დიაგრამა N 7.6 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტორის მთლიანი აქტივების ზრდის ტემპი ძირითადად სამომხმარებლო სესხების ზრდით იყო განპირობებული. კერძოდ, საკრედიტო პორტფელის წლიური 130 მლნ ლარიანი ზრდიდან 86 მლნ ლარი მოდის სამომხმარებლო სესხებზე და 43 მლნ ლარი ლომბარდულ სესხებზე. წლის განმავლობაში 8 მლნ ლარიანი კლება დაფიქსირდა ვაჭრობა-მომსახურების სექტორსა და იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე.

მიკროსაფინანსო სექტორის სახსრების ღირებულების ზრდა გარკვეულწილად რეზიდენტი კომერციული ბანკებიდან მოზიდულ სახსრებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთით იყო განპირობებული.


დიაგრამა N 7.7 პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების და სახსრების ღირებულება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, დადებითი ტენდენცია გრძელდება 2023 წელსაც. კერძოდ, გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით, 0,8 პპ-ით შემცირდა უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში, ხოლო ვადაგადაცილებული პორტფელის წილი 1,2 პპ-ით. აღნიშნულზე გარკვეულწილად გავლენა მოახდინა ახალი სესხების გაცემამაც


დიაგრამა N 7.8 საკრედიტო პორტფელის ხარისხი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკურ პირზე 200 ათას ლარამდე სესხის უცხოური ვალუტით გაცემის აკრძალვის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის კლების ტენდენცია შენარჩუნებულია


დიაგრამა N 7.9 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად კაპიტალის მოცულობის 11%-იანი ზრდისა, დაფინანსების სტრუქტურაში მისი წილის მაჩვენებელი წინა წლების მსგავსია და 36%-ით არის განსაზღვრული. ვალდებულებებმა წლის განმავლობაში 7 პროცენტითიანი ზრდა განიცადა, თანხით 80 მლნ ლარი.


დიაგრამა N 7.10 დაფინანსების წყარო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წელს ნასესხები სახსრები 73 მილიონი ლარით გაიზარდა. ბანკებიდან და ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების 66 მილიონ ლარიანი კლება, ძირითადად იურიდიული პირებიდან მიღებული სესხების ზრდამ გადაფარა.

დიაგრამა N 7.11 ნასესხები სახსრების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 7.12 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მართალია, ნასესხებ სახსრებში არარეზიდენტი პირებისგან ნასესხები სახსრების წილი წინა წლის მსგავსად კლებას განაგრძობს და 2 კპ-ით შემირდა, თუმცა თანხობრივად 2 მლნ ლარით გაიზარდა.


დიაგრამა N 7.13 არარეზიდენტების სახსრები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა წლების მსგავსად, კვლავ მაღალ ნიშნულზეა სექტორის კაპიტალის ადეკვატურობა


დიაგრამა N 7.14 საზედამხედველო კაპიტალი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საზედამხედველო კაპიტალის 10 პროცენტიანი ზრდა, თანხით 73 მილიონი ლარი, ძირითადად გაუნაწილებელი მოგების ზრდის ხარჯზე. საწესდებო კაპიტალის შემცირება კი წლის განმავლობაში ლიკვიდირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უკავშირდება.


დიაგრამა N 7.15 საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საწესდებო კაპიტალში არარეზიდენტი აქციონერების წილის 33 პროცენტიდან 23 პროცენტამდე კლება ძირითადად ერთი ლიკვიდირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ეფექტი იყო.


დიაგრამა N 7.16 კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმრავლესობამ 2023 წელი მოგებით დაასრულა და მიუხედავად ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციისა, წლის განმავლობაში სექტორმა უფრო მაღალი მომგებიანობა აჩვენა, ვიდრე გასულ წელს.

დიაგრამა N 7.17 წმინდა და საოპერაციო მოგების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოპერაციო მოგების ზრდის დინამიკა საკრედიტო პორტფელის ზრდის შესაბამისია და წინა წელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა.


სექტორის უკუგება კაპიტალზე წინა წლის მაჩვენებლის მსგავსად, 18%-ით განისაზღვრა, ხოლო უკუგება აქტივებზე 6%-დან 7%-მდე გაიზარდა.

7.2.1. სესხის გამცემი სუბიექტები

2023 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 21 ახალი სესხის გამცემი სუბიექტი და გაიცა 21 ფილიალის საქმიანობის ნებართვა. 28 სესხის გამცემ სუბიექტს რეგისტრაცია გაუუქმდა, ხოლო 16-ს

შეუწყდა ფილიალის საქმიანობის ნებართვა. შესაბამისად, 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობამ 169 შეადგინა, რომლებიც ფილიალებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 330 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.


დიაგრამა N 7.18 სესხის გამცემი სუბიექტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასაბანკო სექტორის მსესხებლების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი სესხის გამცემ სუბიექტებზე მოდის და, ძირითადად, ფიზიკური პირებითაა წარმოდგენილი, ვინაიდან ამ სექტორის სპეციფიკა უმეტესწილად გრანულარული/მცირე ზომის სამომხმარებლო და ლომბარდული პროდუქტების მიწოდებაა. გარდა ამისა, სესხის გამცემი ორგანიზაციები პრობლემური სამომხმარებლო სესხების ამოღების მიმართულებითაც ოპერირებენ.


დიაგრამა N 7.19 სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობის 7 ერთეულით შემცირებას ამ სექტორის მთლიანი აქტივებისა და წმინდა სესხების მოცულობაზე გავლენა არ მოუხდენია. უფრო მეტიც, წლის განმავლობაში მთლიანი აქტივების ზრდამ 13 პროცენტი, ხოლო წმინდა სესხების ზრდამ კი 11 პროცენტი შეადგინა.


დიაგრამა N 7.20 მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების სექტორის დაფინანსების ძირითად წყაროს პარტნიორებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული თანხები შეადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კაპიტალის ზრდის დადებითი ტენდენცია იკვეთება.

დიაგრამა N 7.21 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კაპიტალზე და აქტივებზე უკუგებამ, შესაბამისად, 27 პროცენტი და 4 პროცენტი შეადგინა.

7.2.2. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები

2023 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 64 ახალი ვალუტის გადამცვლელი პუნქტი და გაიცა 69 ფილიალის საქმიანობის ნებართვა. 65 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმდა, ხოლო 29-ს შეუწყდა ფილიალის საქმიანობის ნებართვა. გაუქმებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან 52-ს რეგისტრაცია საკუთარი განცხადების საფუძველზე გაუუქმდა, რომელთა უმრავლესობაც თბილისში იყო. დანარჩენ პუნქტებს რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო გაუუქმდა.


31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობამ 510 შეადგინა, რომლებიც ფილიალებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 728 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

დიაგრამა N 7.22 ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფილიალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 7.23 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფილიალების „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2023 წელს საქართველოს 4 რეგიონში ადგილზე შემოწმდა 321 ერთეული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (სათაო/ფილიალი). შემოწმებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან და ფილიალებიდან 68 ერთეული სრულად შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს, 78 ერთეულს გაეგზავნა წერილობითი გაფრთხილება, 161 ერთეულს დაეკისრა ფულადი ჯარიმა, ჯამური ოდენობით 856 000 ლარი, ხოლო 14 ერთეული სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შემოწმდა სრულყოფილად.

7.2.3. საკრედიტო კავშირები

2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით საკრედიტო კავშირის წევრთა რაოდენობის მაქსიმალური ლიმიტი დადგინდა და საკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპები განისაზღვრა, რაც ერთი და იმავე თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანებას გულისხმობდა. აღნიშნული ცვლილებები ამ სექტორში დამკვიდრებული არაჯანსაღი პრაქტიკის აღმოფხვრას ემსახურებოდა, რაც საკრედიტო კავშირების მიერ წევრებისგან დეპოზიტების მოზიდვის გზით კოოპერატივის მიზნებისათვის შეუსაბამო საკრედიტო საქმიანობის დაფინანსებას ითვალისწინებდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბაზარზე ფუნქციონირებას მხოლოდ ერთი საკრედიტო კავშირი განაგრძობდა, რომლის აქტივების ოდენობა 0.5 მილიონ ლარს შეადგენს.

8. ფასიანი ქაღალდების ბაზარი

8.1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განსავითარებლად განხორციელებული აქტივობები და ბაზრის გამჭვირვალობის ხარისხის ასამაღლებლად გატარებული ღონისძიებები

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია, ერთი მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და, მეორე მხრივ, ბაზარზე გამჭვირვალობის ხელშესაწყობად სახედამხედველო ღონისძიებების განხორციელების კუთხით.

2023 წელი მნიშვნელოვანი იყო სტრუქტურული ფინანსური პროდუქტების მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების კუთხით. ეროვნული ბანკის მონაწილეობით, მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა „ფასიან ქაღალდებზე გარდაქმნის შესახებ“ შესახებ კანონი (სეკიურიტიზაცია), აგრეთვე ეროვნულმა ბანკმა გამოსცა „იპოთეკით დაცული ობლიგაციების მარეგულირებელი წესი“.

2023 წელს ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-თან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) თანამშრომლობით, იპოთეკური ობლიგაციებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა, რომელიც მიზნად ისახავდა საფინანსო სექტორის მონაწილეებისთვის იპოთეკით დაცული ობლიგაციების ბაზრის დინამიკის, საკრედიტო რეიტინგის მიდგომების და ინსტრუმენტის ფასწარმოქმნის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, ემიტენტებისა და ინვესტორებისთვის რელევანტური სხვა პრაქტიკული ასპექტების განხილვას. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიება საქართველოში პირველად გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, იპოთეკური ობლიგაციების ბაზრის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია Moody's-ის, ევროპული იპოთეკური ობლიგაციების საბჭოსა (European Covered Bond Council, ECBC) და EBRD-ის წარმომადგენლებისგან მიეღოთ. ექსპერტებმა საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს აღმოსავლეთ ევროპიდან და საერთაშორისო ბაზრებიდან მიღებული მდიდარი გამოცდილება გაუზიარეს.

იპოთეკური ობლიგაციების დანერგვის მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ გაწეულ ძალისხმევას ხაზი გაესვა ECBC-ის ავტორიტეტულ საერთაშორისო გამოცემაში, რომელშიც იპოთეკური ობლიგაციების ბაზრის აქტუალური საკითხებია განხილული. გამოცემაში პოზიტიურად იქნა მიმოხილული საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წელს მიღებული კანონი „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ და ასევე მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ 2023 წელს დამტკიცებული „იპოთეკით დაცული ობლიგაციების მარეგულირებელი წესი“. გამოცემაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოში მოქმედი იპოთეკური ობლიგაციების მარეგულირებელი ჩარჩო სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან. 2023 წელს ეროვნული ბანკი აგრეთვე მიწვეული იქნა გერმანიის იპოთეკური ობლიგაციების ემიტენტი კომერციული ბანკების ასოციაციის (Verband deutscher Pfandbriefbanken - vdp) მიერ ორგანიზებულ იპოთეკური ობლიგაციების ევროპელ ზედამხედველთა სამუშაო ჯგუფში.

2023 წელს ეროვნული ბანკი განაგრძობდა საინვესტიციო ფონდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობას. ეროვნული ბანკის მხარდაჭერით საქართველოში გაიმართა პირველი რეგიონალური ვენჩურული ინვესტიციების სამიტი - Central Eurasia Venture Summit, რომელიც მიზნად ისახავდა

ვენჭურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდების განვითარების ხელშეწყობას საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებში. სამიტის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში მონაწილეებმა ვრცლად ისაუბრეს იმ შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც დღეს რეგიონის ქვეყნებში სტარტაპ ეკოსისტემა და ვენჭურული კაპიტალის ფონდები დგანან. სამიტში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა რეგიონალურმა ვენჭურულმა ფონდმა თურქეთიდან, ჩეხეთიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სომხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. სამიტს ასევე ესწრებოდნენ რეგიონის ინოვაციების სააგენტოების ხელმძღვანელები, სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ასევე, დამოუკიდებელი ინვესტორები და სტარტაპები.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის და მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ ბოლო წლებში ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯები დადებითად შეაფასა ევროკომისიამ 2023 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში⁷¹ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით. ანგარიშში მითითებულია, რომ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი ასახავს ევროკომისიის შესაბამის რეკომენდაციებსა და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპებს. ასევე, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში მოქმედი ინსაიდერული ვაჭრობისა და ბაზრის მანიპულაციის აღკვეთის ჩარჩო, აგრეთვე კოლექტიური საინვესტიციო სქემების (საინვესტიციო ფონდების) მარეგულირებელი კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისია.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი მანდატის ფარგლებში განაგრძობდა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა უფლებების დაცვას. ბაზარზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს წლიური ანგარიშების წარუდგენლობისთვის / დარღვევებით წარდგენისთვის საზედამხედველო ღონისძიებები გატარდა 24 ემიტენტის მიმართ (მათ შორის, 9 დაჯარიმდა), ხოლო 2023 წლის ნახევარწლიური ანგარიშების წარუდგენლობისთვის / დარღვევით წარდგენისთვის - 7 ემიტენტის მიმართ (მათ შორის, 6 დაჯარიმდა).

⁷¹ Analytical Report following the Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union (Brussels, 1.2.2023 SWD(2023) 31).

„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონი

2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და მასთან დაკავშირებული ცვლილებები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონსა და რამდენიმე საკანონმდებლო აქტში დაამტკიცა. საკანონმდებლო პაკეტი ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მონაწილეობით მომზადდა. პროცესში ასევე აქტიურად იყო ჩართული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. კონსულტაციები ასევე აქტიურად წარმოებდა ადგილობრივი საფინანსო სექტორის შესაბამის წარმომადგენლებთან. ახალი კანონი განსაზღვრავს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების სამართლებრივ სტატუსს, ფასიანი ქაღალდების გამოშვების, შენახვის, გასხვისების, კუპონების და დივიდენდების გადახდის და ფასიანი ქაღალდის დაფარვის სამართლებრივ ასპექტებს. კანონი ასევე ადგენს ყველა ამ ეტაპზე ემიტენტის, ცენტრალური დეპოზიტარის, ქასთოდიანებისა და სხვა ფინანსური შუამავლების როლს, მათ ვალდებულებებსა და უფლებებს.

საკანონმდებლო აქტით საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან უფრო მეტად თავსებადი ხდება. ახალი კანონის მიღება ასევე გაამარტივებს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამოშვების პროცესს და უკეთ დაიცავს ინვესტორთა ინტერესებს.

„ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ კანონი (სეკიურიტიზაცია)

2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის - სეკიურიტიზაციის შესახებ კანონი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა. კანონი არეგულირებს ბიზნეს სუბიექტების მიერ გრძელვადიანი ფულადი აქტივების (მომხმარებლებისგან სამომავლოდ მისაღები თანხების) ლიკვიდურ აქტივებად გარდაქმნას ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით. ახალი სამართლებრივი ჩარჩო სეკიურიტიზაციასთან დაკავშირებულ რისკებს არსებითად ამცირებს და ამასთან ინვესტორებისთვის ტრანზაქციის გამჭვირვალობასაც უზრუნველყოფს. რეფორმის მიზანია ქვეყანაში დაფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდა როგორც საფინანსო, ისე არასაფინანსო სექტორისთვის. ახალი კანონი საშუალებას მისცემს ბიზნეს სუბიექტებს სამომავლოდ მისაღები თანხების სტაბილური ნაკადები მიმდინარე ლიკვიდურ აქტივებად გარდაქმნას და ამის საფუძველზე გააფართოონ თავიანთი საქმიანობა. კანონი საქართველოს ეროვნული ბანკისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ავტორობით მომზადდა და იგი საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას ეფუძნება. კერძოდ, კანონში გაზიარებულია განვითარებული სეკიურიტიზაციის ბაზრის მქონე ისეთი იურისდიქციის მიდგომები, როგორცაა ლუქსემბურგი, აგრეთვე კანონში გათვალისწინებულია ევროკავშირში მოქმედი სეკიურიტიზაციის შესახებ რეგულაციის პრინციპები და ძირითადი დებულებები. კანონის მომზადების პროცესში აქტიური მხარდაჭერა აზიის განვითარების ბანკმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ გასწია.

8.2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები

მსგავსად წინა წლებისა, ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზარმა ზრდა 2023 წელსაც განაგრძო. რიგი საკანონმდებლო/მარეგულირებელი რეფორმების განვითარება და ახალი პროდუქტების დანერგვა ხელს შეუწყობს ამ დინამიკის შენარჩუნებასა და კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

ობლიგაციების ბაზარი

2023 წელს ობლიგაციების ბაზარზე ზრდადი ტენდენცია გაგრძელდა. წინა წელთან შედარებით, ბაზრის ეს სეგმენტი 39.6 პროცენტით⁷² გაიზარდა და მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 5.32 პროცენტი⁷³ შეადგინა. გამოშვებული ობლიგაციების 54.4 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული ობლიგაციები იყო. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ბაზარი 6.4 პროცენტით, ხოლო კორპორაციული ობლიგაციების სეგმენტი 121.9 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, 2023 წლის ბოლოს კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის ზომამ 1.947 მილიარდი ლარი შეადგინა.⁷⁴ საშუალოდ, ბოლო 5 წელიწადში, საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის ზრდის ტემპმა 38.7 პროცენტს მიაღწია.


2023 წელს კაპიტალის ბაზარზე განხორციელდა 7 ადგილობრივი გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნობრიობის კორპორაციული ობლიგაციების ემისია (კერძოდ, სამი მწვანე, ერთი გენდერული და სამი მდგრადობასთან დაკავშირებული), რომელთა ღირებულებამაც ჯამურად 537.4 მილიონი ლარი შეადგინა. 2023 წელს ადგილობრივ ბაზარზე 21 საჯარო კორპორაციული ობლიგაციისა (2022: 8) და 4 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის კერძო ობლიგაციის ემისია განხორციელდა (2022: 7) (იხ. დიაგრამა N 8.1).

⁷² მონაცემები შეიცავს ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ საჯარო კორპორაციულ ობლიგაციებს, ეროვნული ბანკისთვის ცნობილ კერძო კორპორაციულ ობლიგაციებს და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IFI) მიერ ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ საჯარო და კერძო ობლიგაციებს. მონაცემები არ შეიცავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ორმაგად დალისტულ (“Dual Listing”) არასამთავრობო სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

⁷³ მთლიანი შიდა პროდუქტის 2023 წლის მოსალოდნელი მნიშვნელობა აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2023 წლის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის წინასწარი მონაცემების საფუძველზე.

⁷⁴ მონაცემი შეიცავს მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ საჯარო კორპორაციულ ობლიგაციებს. მონაცემი არ შეიცავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ორმაგად დალისტულ (“Dual Listing”) არასამთავრობო სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.


დიაგრამა N 8.1 არა-სამთავრობო ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა; Bloomberg; სხვა საჯარო წყაროები

2023 წლის განმავლობაში გამოშვებული კორპორაციული ობლიგაციებიდან, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ რეიტინგი 72.8%-ს მიენიჭა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2022 წლის 36.7%-იან მაჩვენებელს (ღირებულების მიხედვით), რაც შეეხება 2023 წლის ბოლოს არსებულ ნაშთებს, კორპორაციული ობლიგაციების 63% იყო რეიტინგის მქონე (2022: 50%). 2023 წელს ბაზარზე არსებული რეიტინგით შეფასებული კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების 13.5%-ს BB რეიტინგი (2022: 11.3% პროცენტი), ხოლო 86.11%-ს BB-/BB- (2022: 75.2% პროცენტი) რეიტინგი ჰქონდა მინიჭებული.

დიაგრამა N 8.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2023)⁷⁵




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

⁷⁵ იმ ობლიგაციებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი რეიტინგი, მიკუთვნებულია კორპორაციის (ემიტენტის) გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი ობლიგაციის გამოშვების ვალუტის გათვალისწინებით.

2023 წელს კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი ინდუსტრიების მიხედვით დივერსიფიცირებული იყო და მოიცავდა ემიტენტებს 10 ინდუსტრიიდან. კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების მიხედვით, ბაზრის ყველაზე დიდი წილი 21%-ით საინვესტიციო კომპანიამ დაიკავა (2022 წელს ყველაზე დიდ წილს იკავებდა ელექტროენერჯის წარმოება 26%-ით), სიდიდით შემდეგი სამი სექტორი - ფინანსური სერვისები, ავტომობილებით ვაჭრობა და სერვისები, და ელექტროენერჯის წარმოება - ერთობლივად ობლიგაციების ბაზრის 46%-ს წარმოადგენდა.


დიაგრამა N 8.3 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების განაწილება ინდუსტრიების მიხედვით (2022)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის 24.5 პროცენტის ზრდის შემდეგ, სახაზინო ობლიგაციების ბაზარმა 2023 წელიც 21.4 პროცენტის ზრდით დაასრულა და ნაშთმა მთლიანი შიდა პროდუქტის 10.3 პროცენტი შეადგინა. (იხ. დიაგრამა N 8.4)


დიაგრამა N 8.4 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით (2010-2023)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი


2023 წელს ადგილობრივი ბაზრის ლიკვიდურობის მაჩვენებელი⁷⁶ ობლიგაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის განსხვავებულია. კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციებისათვის ეს მაჩვენებელი 4%-ს შეადგენს. რაც შეეხება სახაზინო ფასიანი ქაღალდებს, ლიკვიდურობის მაჩვენებელი 13%-ს შეადგენდა, ეროვნული ბანკის ოპერაციების გათვალისწინებით, ხოლო მის გარეშე - 6%-ს. ლარის კორპორატიული ობლიგაციების ბაზარზე ლიკვიდურობა კვლავ 0%-ია.

დიაგრამა N 8.5 საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა⁷⁷ (2015-2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა

დიაგრამა N 8.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით (2014-2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

⁷⁶ მონაცემი გამოითვლება წლის განმავლობაში მეორად ბაზარზე განხორციელებული გარიგებების ღირებულების შეფარდებით ობლიგაციების საშუალო-წლიურ ნაშთთან.

⁷⁷ გრაფიკზე მეორადი ბაზრის აქტივობა გამოსახულია წლის განმავლობაში მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობის ფასიანი ქაღალდების საშუალო წლიურ ნაშთებთან შეფარდებით.

8.3. ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა


2023 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 2 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი საქმიანობდა. 9 საბროკერო კომპანიიდან 3 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო.

საბროკერო კომპანიები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების (ნომინალურ მფლობელობაში არსებული კლიენტების ფულის და ფასიანი ქაღალდების გამოკლებით) საერთო მოცულობამ 35 მილიონი ლარი შეადგინა.


საბროკერო კომპანიების კლიენტების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება 2023 წლის ბოლოს 7.6 მილიარდ ლარს შეადგენდა და, 2022 წელთან შედარებით, 38%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინების გარეშე). აღნიშნული ზრდა, უმეტესწილად, ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ კლიენტების ფასიანი ქაღალდების ნაშთის 29%-ს არარეზიდენტი ინვესტორების ანგარიშები შეადგენს. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საბროკერო კომპანიებისა და ბანკების საბროკერო მომსახურების მიმღები კლიენტების ჯამური რაოდენობა 67 844-ს შეადგენდა, საიდანაც ძირითადი წილი (96%) რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე მოდიოდა. 2023 წლის ბოლოს, 2022 წლის ბოლოსთან შედარებით, საბროკერო კომპანიების კლიენტთა რაოდენობა 160%-ით გაიზარდა. კლიენტის ფასიანი ქაღალდების ნაშთის 93% და კლიენტების რაოდენობის 98% ორ უმსხვილეს საბროკერო კომპანიაშია კონცენტრირებული.

დიაგრამა N 8.7 საბროკერო კომპანიების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საბროკერო კომპანიების ყოველთვიური ანგარიშგებები

დიაგრამა N 8.8 საბროკერო კომპანიების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების განაწილება (უცხო ქვეყნებსა და საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები)



წყარო: საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების ყოველთვიური ანგარიშები


საფონდო ბირჟა

2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 28 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი იყო დაშვებული. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა (19.3 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიებზე, ჯამურად, დაახლოებით 0.2 მლნ ლარის ღირებულების გარიგება დაიდო, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა. 2023 წელს გაზრდილი ტრანზაქციის ღირებულება უმეტესწილად განპირობებულია საქართველოს ბანკის აქციებით დადებული არასაბირჟო გარიგებით, რომელმაც 1.7 მილიარდი ლარი შეადგინა.

ცხრილი N 8.1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2022-2023)


წელი	გარიგების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
	2023	2022	2023	2022	2023	2022
საბირჟო	29	34	3,804,161	1,256,350	162,430	7,395,948
დაფიქსირებული	123	121	15,525,632	700,824	1,795,211,906	30,366,907
სულ	152	155	19,329,793	1,957,174	1,795,374,336	59,049,951

დიაგრამა N 8.9 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2012-2023 წწ.



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

დიაგრამა N 8.10 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2012–2023წწ)




წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

ცენტრალური დეპოზიტარი

2023 წელს ცენტრალურ დეპოზიტარში 1.2 მლნ ფასიანი ქაღალდი და 4.7 მლნ ლარი იყო დეპონირებული. აქედან, ფულადი დეპონირების ტრანზაქციების 60% და საერთო თანხის 80% სს „საქართველოს ბანკის“ მონაწილეობით განხორციელდა. წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებულ ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციების რაოდენობა 24%-ით არის შემცირებული, ხოლო ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 250 ათასი ცალი ფასიანი ქაღალდითა არის შემცირებული. სულ 2023 წლის განმავლობაში ცენტრალურ დეპოზიტარში 33 ახალი ანგარიში გაიხსნა.


დიაგრამა N 8.11 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2012-2023)



წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

საანგარიშო წელს ცენტრალურ დეპოზიტარში ფულადი სახსრების ბრუნვა 935 ათასი ლარით გაიზარდა. რაც შეეხება ფულადი სახსრების ტრანზაქციების რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 160%-ით მეტია.

დიაგრამა N 8.12 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2012-2023)



წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

8.4. საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა


საინვესტიციო პორტფელის რეალოკაცია

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით პირველი ხუთი წლის განმავლობაში მოქმედებდა მხოლოდ ნაკლებად რისკიანი პორტფელი. ხოლო, 2023 წლის 7 აგვისტოს, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის შესაბამისად, განხორციელდა დაგროვებული საპენსიო აქტივების რეალოკაცია სამ განსხვავებულ რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე საინვესტიციო პორტფელში: ნაკლებად რისკიანი (კონსერვატიული), საშუალო რისკიანი (დაბალანსებული) და მაღალ რისკიანი (დინამიკური). კანონის შესაბამისად, არსებული მონაწილეები მათი ასაკის მიხედვით გადანაწილდნენ შესაბამის პორტფელებში. ხოლო, იმ მონაწილეებს, რომელთაც სურდათ პორტფელის ცვლილება ამისთვის 1 თვე მიეცათ. ის მონაწილეები, რომლებმაც ამ ერთი თვის მანძილზე (7 სექტემბრამდე) თავად არ აირჩიეს სასურველი პორტფელი, ავტომატურად დარჩნენ ასაკის შესაბამისად გადანაწილებულ პორტფელებში:

- 40 წლამდე მონაწილეთა საპენსიო აქტივები გადანაწილდა დინამიკურ (მაღალ რისკიან) საინვესტიციო პორტფელში;
- 40 წლიდან 50 წლამდე მონაწილეთა საპენსიო აქტივები – დაბალანსებულ (საშუალო რისკიან) საინვესტიციო პორტფელში;
- ხოლო 50 ან 50-ზე მეტი წლის მონაწილეთა საპენსიო აქტივები – კონსერვატიულ (ნაკლებად რისკიან) საინვესტიციო პორტფელში.

გამომდინარე იქიდან, რომ საპენსიო სქემის მონაწილეთა უმეტესობა წარმოდგენს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა ასაკი არ აღემატება 40 წელს, წლის ბოლოს არსებული მონაცემებით მონაწილეთა დაახლოებით 71% იყო დინამიკურ პორტფელში, 16% დაბალანსებულში, ხოლო, 13% კონსერვატიულში. რაც შეეხება მთლიანი საპენსიო აქტივების განაწილებას, 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 3,190 მლნ ლარი იყო დინამიკურ პორტფელში, 663 მლნ ლარი დაბალანსებულში, ხოლო, 505 მლნ ლარი კონსერვატიულში.

დიაგრამა N 8.13 საპენსიო აქტივების განაწილება პორტფელების მიხედვით 31 დეკემბერი, 2023



წყარო: საპენსიო სააგენტო

საინვესტიციო საქმიანობის შედეგები

2023 წელს საპენსიო სააგენტომ აქტივების სტრატეგიული განაწილების მიხედვით შეიმუშავა ბენჩმარკ პორტფელი⁷⁸ სამივე საინვესტიციო პორტფელთან მიმართებით და დაიწყო საინვესტიციო პორტფელების ბენჩმარკთან მიახლოება.

საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, ასევე საინვესტიციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბენჩმარკ პორტფელით გათვალისწინებული უცხოური აქციების შემენა მოხდება თანაბარი წონებით შეწონილ შემდეგ ინდექსებში:


- Vanguard FTSE Pacific ETF (კოდი VPL)
- Vanguard FTSE Europe ETF (კოდი VGK)
- SPDR S&P500 ETF (კოდი SPY)
- iShares MSCI Emerging Markets ETF (კოდი EEM)

⁷⁸ კონსერვატიული პორტფელის ბენჩმარკი შედგება სამი კლასის აქტივისგან: საქართველოს სახაზინო ობლიგაციები (20 პროცენტი), დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში (60 პროცენტი) და უცხოური აქციები (20 პროცენტი). დაბალანსებული პორტფელის ბენჩმარკის წონები შემდეგნაირადაა განაწილებული: საქართველოს სახაზინო ობლიგაციები (20 პროცენტი), დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში (45 პროცენტი) და უცხოური აქციები (35 პროცენტი). ხოლო დინამიკურის შემდეგნაირად: საქართველოს სახაზინო ობლიგაციები (20 პროცენტი), დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში (25 პროცენტი) და უცხოური აქციები (55 პროცენტი).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გლობალური აქციების წილი ჯამურ საპენსიო აქტივებში შეადგენდა 19.2%-ს. საპენსიო სააგენტოს აქციების პორტფელის 43.4% ჩრდილოეთ ამერიკაში იყო ინვესტირებული, 18.5% განვითარებული აზიის რეგიონში, ხოლო 17.6% ევროპაში.

რაც შეეხება უშუალოდ პორტფელებში აქტივების განაწილებას, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსერვატიული პორტფელის 4.7% განთავსებული იყო მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 19.2% ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 12.4% გლობალურ აქციებში, 0.4% ევროობლიგაციებში, 3.1% ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაზრებში 60.2% იყო განთავსებული.

დიაგრამა N 8.14 საპენსიო აქტივების პორტფელების განაწილება, 31 დეკემბერი 2023



წყარო: საპენსიო სააგენტო

რაც შეეხება დაბალანსებულ პორტფელს, განაწილება იყო შემდეგნაირი: პორტფელის 19.7% განთავსებული იყო მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 19.3% ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 18.2% გლობალურ აქციებში, 0.6% ევროობლიგაციებში, 0.7% ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაზრებში 41.5% იყო განთავსებული.

ხოლო, დინამიკური საინვესტიციო პორტფელი წარმოდგენილი იყო შემდეგი განაწილებით: პორტფელის 16.2% განთავსებული იყო მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 18.5% ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 20.5% გლობალურ აქციებში, 0.6% ევროობლიგაციებში, 0.7% ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაზრებში 43.5% იყო განთავსებული.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობამ 4.4 მილიარდი ლარი შეადგინა, აქედან წმინდა ჯამური ამონაგები 856.7 მილიონი ლარი იყო. საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგებმა ფონდის გაშვებიდან (2019 წლის 1 იანვარი) 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით 58.2%,

ხოლო რეალურმა ამონაგებმა (ინფლაციის გათვალისწინებით) იმავე პერიოდში 14.8% შეადგინა. რაც შეეხება ინდივიდუალურ პორტფელს, ამონაგები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

- კონსერვატიული პორტფელი: აღნიშნული პორტფელის გაწლიურებული რეალური ამონაგები დაარსების დღიდან (2019 წლის 1 იანვარი) 2023 წლის ბოლომდე იყო 2.74%.
- დაბალანსებული პორტფელი: აღნიშნული პორტფელის რეალური ამონაგები დაარსების დღიდან (2023 წლის 7 აგვისტო) 2023 წლის ბოლომდე იყო 3.26%.
- დინამიკური პორტფელი: აღნიშნული პორტფელის რეალური ამონაგები დაარსების დღიდან (2023 წლის 7 აგვისტო) 2023 წლის ბოლომდე იყო 3.40%.

საკანონმდებლო ჩარჩოს განახლება

2023 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ცვლილებები ძირითად შეეხო საინვესტიციო ლიმიტებს/შეზღუდვებს, კერძო აქტივების მმართველი კომპანიების მარეგულირებელ ნორმებს, საინვესტიციო რისკის მთავარი ოფიცრის საკითხს, საინვესტიციო პორტფელებში მონაწილეთა ასაკის მიხედვით გადანაწილების ვადას/მექანიზმს და სხვა საკითხებს. კერძოდ:

- კანონი ითვალისწინებს ცვლილებებს საინვესტიციო პორტფელებისათვის დაწესებულ ლიმიტებთან/მოთხოვნებთან მიმართებით. განახლებული კანონის მიხედვით, საპენსიო ფონდის დაბალანსებულ და დინამიკურ პორტფელში გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ინვესტიციები განხორციელდეს ალტერნატიულ საინვესტიციო ინსტრუმენტებში, როგორცაა უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდები და კერძო ვაპიტალის ფონდები. ასევე საპენსიო ფონდს მიეცა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ თანადაფინანსებულ სესხში თანამონაწილეობის შესაძლებლობა (დაბალანსებულ და დინამიკურ პორტფელში).
- რისკის მართვასთან დაკავშირებით, კანონის დონეზე გაიმიჯნა საინვესტიციო და არა საინვესტიციო რისკების მართვა და მასზე პასუხისმგებელი პირების უფლება/მოვალეობები. კერძოდ, დაკონკრეტდა, რომ საინვესტიციო რისკი ასევე მოიცავს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერ რისკს და აღნიშნული ფუნქციის სრული ზედამხედველობა დაეკისრა საინვესტიციო საბჭოს. ხოლო, არა საინვესტიციო რისკების მართვის ზედამხედველობა რჩება სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობაში.
- ყველა მონაწილეს შეეძლება 2025 წლის 1 იანვრიდან შეარჩიოს კერძო აქტივების მმართველი და მასთან სამართავად გადაიტანოს დანაზოგი; კერძო აქტივების მმართველების მიმართ განხორციელდება საპენსიო სააგენტოს მსგავსი საზედამხედველო მიდგომები და პრინციპები.
- კანონის მიხედვით, ყველა ის მონაწილე, რომელთაც თავიანთი სურვილით არ აირჩიეს საინვესტიციო პორტფელი, 2024 წლის იანვრიდან კვლავ ბრუნდება კონსერვატიულ პორტფელში, მიუხედავად მათი ასაკობრივი ჯგუფისა. იმ მონაწილეებს, რომლებიც არ აირჩევენ სასურველ პორტფელს, 2028 წლის 1 იანვარიდან გადაუნაწილებათ ახალი შენატანები მათი ასაკის შესაბამის პორტფელებში. ხოლო, 2028 წლის 1 იანვრამდე არსებული დანაზოგი დარჩება

არსებულ პორტფელეებში, თუ თავად მონაწილე არ მიიღებს გადაწყვეტილებას პორტფელის ცვლილებაზე.

- ცვლილება შევიდა საინვესტიციო საბჭოს მიერ რამდენიმე სპეციალიზებული დეპოზიტარის არჩევასთან დაკავშირებით. კანონპროექტით განისაზღვრა, რომ საინვესტიციო საბჭო უფლებამოსილია შეარჩიოს და გააფორმოს ხელშეკრულება მხოლოდ ერთ სპეციალიზებულ დეპოზიტართან. ასევე, განისაზღვრა, რომ ეროვნულ ბანკსაც შეეძლება გასწიოს სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების მიღება სხვაგვარად შეუძლებელია ან არაგონივრულ ძალისხმევას ან ხარჯებს მოითხოვს.

8.5. საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა

2020 წელს სრულად განახლდა საინვესტიციო ფონდების მარეგულირებელი ჩარჩო და შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის დირექტივებთან, რაც გახლავთ ერთ-ერთი ფაქტორი ამ სფეროს მიმართ მზარდი ინტერესისა. ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობდა ცნობიერების ამაღლება როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კერძო სექტორის მხრიდან.

2023 წლის განმავლობაში, დარეგისტრირდა 7 კერძო საინვესტიციო ფონდი (სს "გლობალურად დივერსიფიცირებული ობლიგაციების ფონდი", სს "ქემ ფლას ქეფითალი", ერთობლივი საინვესტიციო ფონდი "ევროს უზრუნველყოფილი სასესხო პორტფელი", სს "ბაობაბ კაპიტალი", ერთობლივი საინვესტიციო ფონდი "ფორსაითის განვითარების ფონდი", ერთობლივი საინვესტიციო ფონდი "ალფა პლიუს აშშ დოლარის სახაზინო ობლიგაციების ფონდი", შპს "სტარბრიჯი").

რაც შეეხება აქტივების მმართველ კომპანიებს, 2023 წელს დარეგისტრირდა 3 აქტივების მმართველი კომპანია (შპს "ალფა პლიუს აქტივების მართვა", შპს "სტარგეიტი", სს "ქაფითალ ქრაფთ"), ხოლო ლიცენზია მოიპოვა ერთმა აქტივების მმართველმა კომპანიამ (შპს "ბი ოუ ჯი აქტივების მართვა").

ჯამში საქართველოში ოპერირებს 13 საინვესტიციო ფონდი და 8 აქტივების მმართველი კომპანია.

2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით მთლიანი საინვესტიციო ფონდების ჯამური მოცულობა შეადგენს 128 მილიონ ლარს.

2023 წელს ცვლილება შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №168/04 ბრძანებით დამტკიცებულ „სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის წესში“, რის მიხედვითაც, იმ პირებს (სს საქართველოს ბანკი, სს თიბისი ბანკი), რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ სპეციალიზებული დეპოზიტარის ავტორიზაცია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №259/04 ბრძანებით დამტკიცებული „დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, უფლება მიენიჭათ სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება გაეწიათ საინვესტიციო ფონდებისთვისაც.

ასევე, 2023 წელს სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიეცა ავტორიზებული საინვესტიციო ფონდის სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა და ამ ეტაპზე ბაზარზე 3 მონაწილეა წარმოდგენილი სპეციალიზებული დეპოზიტარის სერვისით.

9. ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის „გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩოს“ შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, 2023 წლის რისკზე დამყარებული საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში, დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიებები, რომელსაც როგორც სექტორული, ისე თითოეული ფინანსური ინსტიტუტის რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესი დაედო საფუძვლად.

რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით, 2023 წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით ზედამხედველობას დაქვემდებარებული, ცხრილში მითითებული თითოეული სუბიექტისგან (დიაგრამა N9.1) ორჯერ მიიღო და დაამუშავა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგება.

ცხრილი N 9.1 დისტანციური ზედამხედველობა, 2023წ.

საფინანსო სექტორი	რაოდენობა
კომერციული ბანკი	13
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	34
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	31
საბროკერო კომპანია	8
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	510
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	3
საკრედიტო კავშირი	1
სესხის გამცემი სუბიექტი	171

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების შესაბამისობის კონტროლის სისტემების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კანონმდებლობასთან, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის დისტანციურად შეფასების მიზნით, 2023 წელს განხორციელდა კომერციული ბანკების შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარების გამოთხოვა და შესაბამისი ანალიზის მომზადება.

2023 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები, როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ და საკონტროლო ტიპის ადგილზე შემოწმებებს მოიცავდა. საანგარიშგებო წელს, სექტორების მიხედვით იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და რისკების შესაბამისად, ადგილზე შემოწმებისას, აქცენტი შემდეგი თემების შესწავლაზე გაკეთდა:

კომერციული ბანკების შემთხვევაში:

- კლიენტების (მათ შორის, დისტანციური არხებით იდენტიფიცირებული/ვერიფიცირებული) რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ადეკვატურობა;

- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი; მმართველობისა და მფლობელობის სტრუქტურით ოფშორებთან და მაღალი რისკის იურისდიქციებთან დაკავშირებული კლიენტების, ასევე, ასეთ ზონებთან დაკავშირებული ტრანზაქციებისა და მონაწილე მხარეების შესახებ ბანკის ცოდნა;

- საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან (დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან, ბელორუსთან, ირანთან) შესაბამისობა;

- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტურობა;

- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესი (მათ შორის, ფიქტიური კომპანიების/ტრანზიტული დანიშნულებით კომპანიების გამოყენების გამოვლენის პროცესის ეფექტურობა, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა, საქველმოქმედო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ბანკის ცოდნა).

- ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტურობა.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერების შემთხვევაში:

- საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან (დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან, ბელორუსთან) შესაბამისობა;

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ადეკვატურობა;

- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესი (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);

- ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტურობა.

საბროკერო კომპანიების შემთხვევაში:

- საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან (დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან, ბელორუსთან) შესაბამისობა;

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;

- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი;

- საბროკერო კომპანიის ცოდნა შუამავლების შესახებ და მათი მეშვეობით განხორციელებული გარიგებების მონიტორინგის პროცესის ადეკვატურობა;

- საექვო/უზვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესი (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);

- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტურობა;

- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში:

- საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან (დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან, ბელორუსთან) შესაბამისობა;

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის, რისკის გადაფასების და რისკის შესაბამისი due diligence ზომების ადეკვატურობა;

- საერთაშორისო ტრანზაქციების (მათ შორის, ოფშორულ და მაღალი რისკის იურისდიქციებთან დაკავშირებული) შესახებ ორგანიზაციის ცოდნა;

- აშშ-ს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის სანქციებთან შესაბამისობის პროცესის შეფასება; ამ მიზნით, სწრაფი ფულადი გზავნილის სისტემებით შესრულებული ტრანზაქციების შესწავლა და ორგანიზაციის ცოდნისა და გატარებული ზომების ადეკვატურობის შეფასება;

- საექვო/უზვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესი (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).

- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტურობა;

- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2023 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის 54 წარმომადგენელი შემოწმდა. შემოწმებებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტმა, 2023 წელს, ზედამხედველობას დაქვემდებარებული 30 სუბიექტის დისტანციური ტიპის *ე.წ. follow-up* შემოწმება განახორციელა. მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ 2023 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობისა და ფულადი გზავნილების სისტემით შესრულებული ტრანზაქციების შესწავლას. ამ მიზნით, კომერციულ ბანკებსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებში შესწავლილ იქნა საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან (დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასთან, ბელორუსთან, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან) შესაბამისობის პროცესის ეფექტურობა.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობამ ჯამურად 1 195 800 ლარი შეადგინა.

ცხრილი N 9.2 ჯარიმების მოცულობა, 2023წ.

საფინანსო სექტორი	ჯარიმის მოცულობა (ლარი)
კომერციული ბანკი	257 800
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	129 600
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	100 000
სესხის გამცემი სუბიექტი	55 000
საბროკერო კომპანია	58 000
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	595 400

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ადგილზე ინსპექტირების შედეგად დაკისრებული ფულადი ჯარიმების გარდა, 2023 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ აქტიურად გამოიყენებოდა მაკორექტირებელი ღონისძიებები. იდენტიფიცირებული სისუსტეების დაუყოვნებლივი აღმოფხვრისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შესაბამისობის დონის ამაღლების მიზნით, ადგილზე ინსპექტირების შედეგების გათვალისწინებით, 2023 წელს, არაერთი რეკომენდაცია გაიცა.

ცხრილი N 9.3 რეკომენდაციების რაოდენობა, 2023წ.

საფინანსო სექტორი	რეკომენდაციების რაოდენობა
კომერციული ბანკი	39
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	73
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	15
საბროკერო კომპანიები	18
სესხის გამცემი სუბიექტი	117
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	167

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საზედამხედველო ჩარჩოს დანერგვის მიმართულებით განხორციელებული ქმედებები მოიცავდა სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადების შეფასებას AML/CFT კუთხით. საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის, ავტორიტეტული საერთაშორისო უწყებების მიერ გამოქვეყნებული კვლევებისა და რეკომენდაციების, სხვადასხვა რეგულატორებისა და ექსპერტების მიერ გაზიარებული გამოცდილების, ასევე, კერძო სექტორისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, შემუშავდა და დამტკიცდა შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“;
- „ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულება“ (ე.წ. *Travel Rule*).

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2023 წელს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობის მიმართულებით განხორციელებული ქმედებები. შესაბამისი გამოცდილების გაზიარების მიზნით, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და უწყებასთან.

2023 წლის განმავლობაში, შემუშავდა შემდეგი დოკუმენტები:

- „მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესი“, რომლის მიზანია სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების შეტყობინებების სკრინინგის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება;
- „ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების მიერ სანქციათა რეჟიმების შესრულების წესი“, რომელიც მიზნად ისახავს სანქციათა რეჟიმების დადგენას ფინანსური სექტორისთვის და ამ მიმართულებით, ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას.
- „სანქციათა რეჟიმებით გათვალისწინებული სავაჭრო შეზღუდვებიდან გამომდინარე გადახდის ოპერაციების განხორციელების შესახებ სახელმძღვანელო“. დოკუმენტი განსაზღვრავს საქონლის იმპორტთან, ექსპორტთან, რექსპორტთან დაკავშირებული ოპერაციების შესწავლის, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის, ასევე, სავაჭრო შეზღუდვების დაცვის მიზნით გასატარებელი სხვა ღონისძიებების შესახებ მოთხოვნებს.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს განახლდა „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესი“. ამასთან, შემუშავდა „მიკრობანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესი“.

2023 წელს დამტკიცდა „საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიში“, რომელმაც ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სექტორების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებასთან ერთად, ასევე, მოიცვა ახალი მომსახურებისა და მიწოდების არხების, მათ შორის, ვირტუალური აქტივის მომსახურების სექტორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება.

ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთარ ორგანიზაციაში არსებული რისკების აღქმისა და ამ რისკების მიტიგაციისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის

დეპარტამენტმა შეაფასა კომერციული ბანკების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებს დაევაღათ ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების დოკუმენტის განახლება საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობის ჭრილში.

2023 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის ჩართულობით, ინდივიდუალურად განიხილებოდა ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი პროდუქტები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრევენციული საზედამხედველო ზომების განხორციელებას, რაც საზედამხედველო მოლოდინების შესახებ საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სისტემატურ ინფორმირებასა და მათი შესაბამისობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. ამ მიზნით, მეთოდური სახელმძღვანელოებისა და საზედამხედველო დოკუმენტების გაცნობისა და პრაქტიკაში ეფექტურად დანერგვის, ასევე მიმდინარე გამოწვევების ეფექტურად მართვის მიზნით, წლის განმავლობაში, აქტიურად მიმდინარეობდა საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სწავლება. სწავლების თემატიკა და შეხვედრაზე დამსწრე პირების რაოდენობა სექტორების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 9.4 სწავლების თემატიკა, 2023წ.

სწავლების თემატიკა	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	ვალუტის გადამცვლილი პუნქტი	სესხის გამცემი სუბიექტი	საბროკერო კომპანია	რეგისტრატორი	საინვესტიციო ფონდი/აქტივების მმართველი კომპანია
შესაბამისობის კონტროლის სისტემა	41	28	56	29	8	5	4
რისკის შეფასება და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება	41	28	56	29	8	5	4
საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობა	41	28	56	29	8	5	4
ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების დოკუმენტის განხილვა	41	28	56	29	8	5	4

თემატური სწავლების პარალელურად, 2023 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. აქტიურად იმართებოდა შეხვედრები ინფორმაციის გაზიარებისა და საზედამხედველო მოლოდინების გაცნობის მიზნით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით, სექტორის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ფორმატში იმართებოდა ტრენინგები, ასევე, ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ შესაბამის უკუკავშირს მათთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების პრაქტიკაში ეფექტურად დანერგვის შესახებ.

10. საგადახდო სისტემების ოვერსაიტი

ეფექტური და საიმედო საგადახდო სისტემების ფუნქციონირებისთვის, ფინანსური ინოვაციებისა და ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების კვალდაკვალ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგადახდო სისტემების ოვერსაიტის გაძლიერებას. ამ მხრივ ცენტრალური ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სამართლებრივი ბაზის დახვეწა, იმ სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა, რომლებიც გააუმჯობესებს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებში (მათ შორის, საგადახდო სისტემებში) არსებული და მათზე მოქმედი რისკების, განსაკუთრებით სისტემური რისკების მართვას, გაზრდის მთლიანად საგადახდო სისტემის საიმედობასა და სანდობას. ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2023 წელს განხორციელებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტი) წესის“ მიღება, რომლითაც დაინერგა საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტისა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (CPSS-IOSCO) ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპები (PFMI). წესი შემუშავდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (The World Bank) მიერ განხორციელებული საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP – Financial Sector Assessment Program) რეკომენდაციების საფუძველზე და ეყრდნობა როგორც CPSS-IOSCO-ის ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების პრინციპებს, ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის მოთხოვნებს (Regulation (EU) No 795/2014 on oversight requirements for systemically important payment systems ECB/2014/28).

ოვერსაიტის გაძლიერების მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა საგადახდო ბაზრის მონიტორინგის სრულყოფა, კერძოდ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკი 2023 წელს აგრძელებდა მუშაობას მონაცემთა ხარისხის ამაღლებაზე. ამ მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიან ინფორმაციულ სისტემაში - სებსტატში ჩატარდა დამატებითი სამუშაოები მონაცემების დეტალიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, მათ შორის განხორციელდა საბარათე ინსტრუმენტების საბაზრო მონაცემების დეტალიზაცია სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ტიპების მიხედვით, რაც საცალო გადახდების ბაზრის ანალიზის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით უნაღდო გადახდების ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მომხმარებლების ნდობა საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების მიმართ, რომლის მნიშვნელოვანი შემდაგენელი ნაწილია საგადახდო მომსახურების მომხმარებლის უფლებების დაცვა. ამ მიზნით, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს საგადახდო მომსახურებების შესახებ (EU) 2015/2366 დირექტივის (PSD2) მოთხოვნების შესაბამისად, 2023 წლის 1 დეკემბრიდან საქართველოში საქმიანობა დაიწყო დამოუკიდებელმა დავების განმხილველმა კომისიამ. ამგვარად მომხმარებელს საშუალება ეძლევა სასამართლოს ნაცვლად მიმართოს უშუალოდ საგადახდო მომსახურების სფეროზე ორიენტირებულ, სპეციალურ კომისიას, რომელიც გაცილებით შემჭიდროვებულ ვადებში უსასყიდლოდ განიხილავს მომხმარებლის საჩივარს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში კომისიის საქმიანობის დასაწყებად უზრუნველყო ყველა სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხის მოწესრიგება. ამასთანავე, საგადახდო

სისტემების დეპარტამენტში შეიქმნა სპეციალიზებული განყოფილება - დავების განმხილველი კომისიის მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც კომისიას დავების განხილვასა და კომისიის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა მრავალმხრივ საკითხებში უწევს მხარდაჭერას.

2023 წელს ასევე დაიწყო მუშაობა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საკომისიოების ერთიანი პორტალის შექმნის პროექტზე, რომელიც გაზრდის საგადახდო ბაზრის გამჭვირვალობასა და საშუალებას მისცემს მომხმარებლებს მიიღონ მეტად გაცნობიერებული გადაწყვეტილებები. ასევე, კვლევით და ფინტექ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ ავტომატიზებული სახით წვდომა იქონიოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე, რითაც მომხმარებლებისთვის ანალიტიკური და სხვა ინფორმაციის მრავალფეროვანი ფორმით მიწოდებას შეძლებენ.

3.1. სამართლებრივი ბაზა

2023 წელს ეროვნული ბანკი კვლავ აქტიურად განაგრძობდა მუშაობას საგადახდო სისტემებისა და მომსახურებების შესახებ სამართლებრივი ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებასა და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე მის მოდიფიცირებასა და გაუმჯობესებაზე.

ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპების დანერგვა

საგადახდო სისტემების, როგორც ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის საიმედო, ეფექტიანი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადახდო სისტემებში არსებული რისკების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული იქნა „მნიშვნელოვანი სისტემის ქვეკატეგორიების განსაზღვრისა და საგადახდო სისტემისთვის მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესი“ (შემდგომში - მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესი) და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესი“ (შემდგომში - ოვერსაიტის წესი). აღნიშნული წესები ეყრდნობა როგორც CPSS-IOSCO-ის ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების პრინციპებს, ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესით საგადახდო სისტემები დაიყო სამ კატეგორიად: ა) სისტემურად მნიშვნელოვანი; ბ) გამორჩეულად მნიშვნელოვანი; და გ) სხვა საგადახდო სისტემებად. ამავე წესით დადგინდა მნიშვნელოვანი სისტემის თითოეული კატეგორიის განსაზღვრელი კრიტერიუმები, ჩამოყალიბდა მათთვის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის გაუქმების პროცესი, ასევე სისტემურად მნიშვნელოვანი და გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემებისა და მათი ოპერატორების რეესტრის წარმოების საკითხები. ოვერსაიტის წესით დაკონკრეტდა მითითებები იმ მოთხოვნებზე, რომელიც სისტემურად მნიშვნელოვანი, გამორჩეულად მნიშვნელოვანი და სხვა საგადახდო სისტემებისთვისაა რელევანტური. აღნიშნული წესით დადგენილი რეგულაციების ნაწილი ამოქმედდა 2024 წლის პირველი იანვრიდან, ნაწილი ძალაში შევა 2024 წლის პირველი ივნისიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 2026 წლის პირველი იანვრიდან. სექტორის წარმომადგენლების მიერ ოვერსაიტის წესის შესაბამისი მოთხოვნების შესრულების თვითმეფასება ხორციელდება CPSS-IOSCO-ის მიერ შემუშავებული ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპების შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ოვერსაიტის წესმა, მათ შორის, განსაზღვრა სამართლებრივი, საკრედიტო, ლიკვიდობის, საოპერაციო, ინვესტირებისა და ზოგადი ბიზნეს რისკების მართვის მიმართ მინიმალური

სტანდარტები. დადგინდა მოთხოვნები საგადახდო სისტემის მმართველობითი სტრუქტურის და საგადახდო სისტემის ანგარიშსწორების მიმართ, ასევე საგადახდო სისტემის მონაწილის დეფოლტის წესებისა და პროცედურების მიმართ. სისტემის ოპერატორებს დაუწესდათ გარკვეული მოთხოვნები სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის პირობების განსაზღვრისთვის. გარდა აღნიშნულისა, გაჩნდა სისტემის ოპერატორის ვალდებულება, დანერგილი ჰქონდეს პროცესები, რომელთა მიხედვით ის შეძლებს ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირებას და გათვალისწინებას საგადახდო სისტემის ეფექტური და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესისა და ოვერსაიტის წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოში არსებულ ფულადი სახსრების საგადახდო სისტემებსა და მათ ოპერატორებზე, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებად საგადახდო სისტემებზე.

აღნიშნულ წესებზე მუშაობის პროცესში აქტიურად მიმდინარეობდა საჯარო განხილვები სექტორის წარმომადგენლებთან.

გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულებაში განხორციელებული ცვლილებები

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული ვალდებულებისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ევროკავშირის რეგულაციასთან დინამიური აპროქსიმაციის ვალდებულების ფარგლებში, წესში შეტანილი ცვლილებებით მოხდა განახლებულ ევრორეგულაციასთან (Regulation (EU) 2023/1113 of the European Parliament and of the Council of 31 May 2023 on information accompanying transfers of funds and certain crypto-assets and amending Directive (EU) 2015/849) დაახლოება. ვირტუალური აქტივების გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, წესში შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა ის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც თან უნდა ახლდეს ფულადი სახსრების გადარიცხვას. კერძოდ, გარემოებაზე დაფუძნებულ ერთ-ერთ თანმხლებ ინფორმაციად განისაზღვრა იურიდიული პირის იდენტიფიკატორი (LEI) და ამ კუთხით განხორციელდა ცვლილება ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც.

ცვლილებით, მათ შორის, დადგინდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ვალდებულება, შეინახოს თანხმლები ინფორმაცია, ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, პროცედურები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიოების გამჭვირვალობა

2023 წელს გაგრძელდა მუშაობა საგადახდო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით, კერძოდ, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საკომისიოების ერთიანი პორტალის შექმნის პროექტზე. პროექტში წლის განმავლობაში შევიდა მცირე ცვლილებები ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნაწილში. შემუშავდა პროექტის განხორციელების ტექნიკური დავალება. ასევე შერჩეული იქნა კომპანია, რომელთან ერთადაც მოხდება აღნიშნული დავალების შესრულება. შედეგად, მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ მარტივად შეადარონ პროდუქტის/მომსახურების ტარიფები, ვებ-გვერდზე განთავსებული კალკულატორების მეშვეობით გამოთვალონ მათთვის სასურველი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის საფასური, ოპერატიულად, მიიღონ ინფორმაცია კომერციულ ბანკებიდან ვალუტის გაცვლითი

მიმდინარე და ისტორიული კურსების შესახებ, რაც შედეგად მომხმარებელს გაუმარტივებს საბანკო სერვისებზე წვდომას, გადაწყვეტილების მიღებას და გაამლიერებს კონკურენციას.

2023 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა „საგადახდო ანგარიშებთან დაკავშირებული მომსახურების საკომისიოების ხელმისაწვდომობის შესახებ წესის“ პროექტზე, რომელიც ეყრდნობა საგადახდო ანგარიშის ევროდირექტივას (Payment account directive - Directive 2014/92/EU). აღნიშნული წესის მიღება იგეგმება 2024 წელს, მას შემდეგ რაც შეიქმნება საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საკომისიოების ერთიანი პორტალი.

დავების განმხილველი კომისია

2022 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული კანონპროექტების პაკეტი, რომელიც, მათ შორის, ითვალისწინებდა მოცულობით ცვლილებას „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონსა და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნულით შესრულდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება (დინამიური აპროქსიმაციის გათვალისწინებით), კერძოდ, PSD2-თან დაახლოების ვალდებულება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, 2023 წლის აგვისტოში შეიქმნა საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისია. კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან არაუმეტეს 2 წევრისა შესაძლებელია იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი, ხოლო არანაკლებ 3 წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი ფიზიკური პირი. კომისიის წევრებს, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარეს, 5 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.

დავების განმხილველი კომისია განიხილავს საგადახდო მომსახურების მომხმარებელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის დავებს, რომლებიც უკავშირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონიდან, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, აგრეთვე მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებს. საჩივრის განიხილვა უსასყიდლოა, ხოლო საჩივრის განხილვისას კომისია ხელმძღვანელობს შეჯიბრებითობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებით. დავის განხილვისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია არაუმეტეს 90 კალენდარული დღე. ხოლო, საჩივრის შინაარსისა და სპეციფიკის, აგრეთვე დავის მსვლელობისა და მოსაკვლევი საკითხის გათვალისწინებით, შესაძლებელია ვადის გახანგრძლივება არაუმეტეს 30 კალენდარული დღით. კომისიის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.

დამოუკიდებელი დავების განმხილველი კომისია, ხელს შეუწყობს ელექტრონული გადახდებისადმი მომხმარებელთა ნდობის ხარისხის ამაღლებას და საშუალებას მისცემს საგადახდო მომსახურების მომხმარებელს ეფექტიანად დაიცვას საკუთარი უფლებები, ასევე უზრუნველყოფს განხილვის პროცესის გაცილებით შემჭიდროვებულ ვადებში და უსასყიდლოდ წარმართვას.


3.2. RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები

საქართველოს საგადახდო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS სისტემა), რომელიც ეროვნული ვალუტით ბანკთაშორის ანგარიშსწორების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. 2023 წელს, წინა წლების მსგავსად, RTGS სისტემის მუშაობის უწყვეტობის მაღალი ხარისხი იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, სისტემის მონაწილეებისათვის ხელმისაწვდომობა 99.8 პროცენტს აღემატებოდა, რაც მნიშვნელოვანია RTGS სისტემის, როგორც სხვა სისტემების (GSSS-ის და საბარათე სისტემების) ანგარიშსწორების აგენტის როლის გათვალისწინებით. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით მისი მონაწილეები იყვნენ: საქართველოში ლიცენზირებული 15 კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. RTGS სისტემაში მუშავდება როგორც დიდი თანხობრივი სიდიდის ბანკთაშორის გადახდები, ასევე მონაწილეების კლიენტების საცალო გადახდები. გარდა ამისა, RTGS სისტემა უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემებისა (GSSS) და საერთაშორისო საბარათე სისტემებში დამუშავებული ოპერაციების ანგარიშსწორებასაც. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, RTGS სისტემას გააჩნია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შექმნილი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომლის ტესტირება წინასწარ დამუშავებული სცენარების მიხედვით რეგულარულად ხორციელდება. საქართველოს ეროვნული ბანკი სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ ახორციელებს RTGS სისტემის სრულყოფილ თვითშეფასებას ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების პრინციპების საფუძველზე (ბოლო თვითშეფასება განხორციელდა 2021 წელს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი მისიის „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში⁷⁹).

2023 წელს RTGS სისტემით 49.2 მილიონი გადახდის ოპერაცია განხორციელდა, თანხობრივად 435.7 მილიარდი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, რაოდენობრივად 16.7 პროცენტით და თანხობრივად 21.5 პროცენტით მეტია. საყურადღებოა, რომ კომერციულ ბანკებს შორის გადახდების რაოდენობა 18.8 პროცენტით, ხოლო თანხა 12.6 პროცენტით გაიზარდა. RTGS სისტემით განხორციელებული გადახდების თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკა იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა N10.1-ზე.


⁷⁹ <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2021/09/17/Georgia-Financial-System-Stability-Assessment-465911>

დიაგრამა N 10.1 RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები (2011-2023 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.2 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2023 წელი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 10.3 RTGS ოპერაციების თანხა წლებისა და თვეების მიხედვით (2018-2023 წწ.)




დიაგრამა N 10.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა წლებისა და თვეების მიხედვით (2018-2023 წწ.)



დიაგრამა N 10.5 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2023 წწ.)




დიაგრამა N 10.6 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2023 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა წლების მსგავსად, RTGS სისტემის, როგორც სხვა სისტემების ანგარიშსწორების მექანიზმის როლი, მნიშვნელოვანია. 2023 წელს, სხვა სისტემების საბოლოო ანგარიშსწორების ოპერაციების თანხა 7.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მისმა წილმა, სულ RTGS სისტემით შესრულებულ ოპერაციებში 24.7 პროცენტი (იხ. დიაგრამა N 10.7) შეადგინა.

დიაგრამა N 10.7 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2023 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

RTGS სისტემა არა მარტო დიდი თანხობრივი მოცულობის (საბითუმო), არამედ საცალო გადახდების კუთხითაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. 2023 წელს კომერციული ბანკების კლიენტების გადახდების წილმა, სულ RTGS გადახდებში, თანხობრივად 29.1 პროცენტი და რაოდენობრივად 85 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საცალო გადახდების რაოდენობის

ყველაზე დიდი წილი (44 პროცენტი) 10-დან 100 ლარამდე გადახდებზე მოდის, ხოლო შემდეგ (30 პროცენტი) 100-დან 1000 ლარამდე გადახდებზე (იხ. დიაგრამა N 10.8 და დიაგრამა N 10.9).


დიაგრამა N 10.8 ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით

მლნ ტრანზაქცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.9 ბანკის კლიენტების გადახდების განაწილება თანხების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3.3. გადახდის ელექტრონული საშუალებები

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიების განვითარება იძლევა ინოვაციებისა და დანერგვისა და ახალი საგადახდო პროდუქტების შექმნის საშუალებას, რაც უკეთესადაა მორგებული თანამედროვე მომხმარებლის მოთხოვნილებებზე და ხელს უწყობს უნაღდო ელექტრონული გადახდების განვითარებას.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მობილური ბანკი, გადახდების რაოდენობის დაახლოებით 128 პროცენტისანი საშუალო წლიური ზრდის ტემპით, წარმოადგენდა ყველაზე სწრაფად მზარდ გადახდის არხს. გასაკვირი არ არის, რომ ის მალევე დამკვიდრდა საქართველოში განხორციელებული გადახდებისას ყველაზე ხშირად გამოყენებად საგადახდო საშუალებად საბარათე ინსტრუმენტის შემდეგ. უკვე 2020 წელს მობილური ბანკის გამოყენებით განხორციელებულმა გადახდების რაოდენობამ გადააჭარბა ინტერნეტ-ბანკით განხორციელებულ გადახდებს, რომელიც (ინტერნეტ-ბანკი) მანამდე მხოლოდ საბარათე ინსტრუმენტებს ჩამოუვარდებოდა განხორციელებული გადახდების რაოდენობით. ასევე, სწრაფი ზრდით ხასიათდებოდა მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების თანხაც (ბოლო 8 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ზრდა დაახლოებით 102 პროცენტია) და 2022 წელს პირველად გადააჭარბა საბარათე ინსტრუმენტის საშუალებით განხორციელებული გადახდების თანხას, თუმცა ჩამოუვარდებდა ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული გადახდების თანხას. უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს, მხოლოდ მობილური ბანკით განხორციელებულმა გადახდებმა თანხობრივი მაჩვენებლებით გადაუსწრო არადისტანციური არხებით (ფილიალებსა და სერვის ცენტრებში) განხორციელებულ გადახდებსაც. ინტერნეტ-ბანკით ტრადიციულად ყველაზე მეტი უნაღდო გადახდა ხორციელდება თანხობრივ მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა საშუალებებით განხორციელებული გადახდების თანხას.

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, მობილური ბანკის გამოყენებით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 120 პროცენტით გაიზარდა და სულ უნაღდო გადახდების 27 პროცენტი შეადგინა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9 პროცენტული პუნქტით მეტია. რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ყველაზე ხშირად გამოყენებულ გადახდის ელექტრონულ საშუალებას საბარათე ინსტრუმენტი წარმოადგენს. 2023 წელს მისი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 36.6 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი უნაღდო გადახდების 68 პროცენტი შეადგინა. 46 პროცენტით გაიზარდა ასევე ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული გადახდების რაოდენობაც და სულ უნაღდო გადახდების რაოდენობის 4 პროცენტი შეადგინა.



თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, მობილური ბანკით განხორციელებული გადახდები გაიზარდა 104 პროცენტით და შეადგინა სულ უნაღდო გადახდების 19 პროცენტი, რაც 7 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საყურადღებოა, რომ მობილური ბანკით გადახდების წილის ზრდა თითქმის მთლიანად მოხდა ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული გადახდების ხარჯზე. მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა, ინტერნეტ-ბანკი რჩება თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით გადახდის უდიდეს არხად. 2023 წელს ინტერნეტ-ბანკის საშუალებით ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალებების თანხა 17.8 პროცენტით გაიზარდა და მისმა წილმა მთლიან უნაღდო გადახდებში 55

პროცენტი შეადგინა, რაც 7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, განპირობებულია ძირითადად მობილური გადახდების სწრაფი ზრდით. წინა წელთან შედარებით, თითქმის 40 პროცენტის ზრდის მიუხედავად, უმნიშვნელოა საბარათე ინსტრუმენტებით შესრულებული გადახდების თანხის წილის ცვლილება, კერძოდ 2022 წელთან შედარებით ნახევარი პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შეადგინა სულ უნაღდო გადახდების 9.6 პროცენტი. გარდა აღნიშნულისა, სულ უნაღდო გადახდების 3.7 პროცენტი შესრულდა სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

რაც შეეხება მატერიალური საშუალებით (ფილიალებში, სერვის-ცენტრებში) ინიცირებულ გადახდებს, აღსანიშნავია, რომ მისი წილი განუხრელად მცირდებოდა ბოლო დეკადის განმავლობაში, კერძოდ 2012 წელს მისი წილი შეადგენდა გადახდების ჯამური მაჩვენებლის 41 პროცენტს, ხოლო 2023 წელს, იგი მთლიანი უნაღდო გადახდების თანხის 14 პროცენტს შეადგენდა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.


უნაღდო გადახდების სტატისტიკური მონაცემები, მათი ინიცირების საშუალებების ჭრილში, ნაჩვენებია დიაგრამებზე N10.10 და N10.11.

დიაგრამა N 10.10 საქართველოში უნაღდო გადახდის ინიცირების საშუალებების გამოყენება 2012-2023 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 10.11 საქართველოში უნაღდო გადახდების განაწილება მათი ინიცირების საშუალებების მიხედვით (2023 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა კომერციული ბანკების მიერ შესრულებული გადახდების შესახებ ინფორმაციის მიღების სრულყოფის კუთხით. კერძოდ, საბანკო გადახდების სტატისტიკა გაფართოვდა უცხოეთში განხორციელებული გადახდებზე ინფორმაციით, რომელიც თავისთავად ჩაშლილია მიმღების ბანკის ქვეყნის მიხედვით, რაც ფულადი სახსრების მოძრაობის უფრო დეტალური ანალიზის საშუალებას გვაძლევს. 2023 წლის მონაცემების მიხედვით უცხოეთში განხორციელებული გადახდები, როგორც ლოკალური გადახდები, ძირითადად ინტერნეტბანკის საშუალებით ხორციელდება და სულ უცხოეთში განხორციელებული გადახდების თანხის 60 პროცენტს წარმოადგენს, მეორე და მესამე ადგილებს იკავებენ არადისტანციურად/ბანკში ინიცირებული გადახდები 15 პროცენტთან წილით და საბარათე ოპერაციები 9 პროცენტთან წილით, ხოლო მობილური ბანკით უცხოეთში გადახდების თანხის წილი უმნიშვნელოა და მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს (იხ. დიაგრამა N10.12). რაც შეეხება უცხოეთში განხორციელებული გადახდების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ამ მხრივ უდავო ლიდერია საბარათე გადახდები 98 პროცენტთან წილით, ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული გადახდების რაოდენობის წილი შეადგენს 1.4 პროცენტს, ხოლო არადისტანციურად/ბანკში ინიცირებული გადახდების წილი კი - 0.6 პროცენტს.

დიაგრამა N 10.12 უცხოეთში უნაღლო გადახდების თანხის განაწილება მათი ინიცირების საშუალებების მიხედვით (2023 წელი)




3.4. საბარათე ინსტრუმენტების ბაზარი


2023 წელს საგადახდო ბაზარზე ინოვაციური სერვისების განვითარების კვალდაკვალ აქტიურად გაგრძელდა კომერციული ბანკების მობილური აპლიკაციების (მათ შორის, Google Pay და Apple Pay) დანერგვის და მეტად დახვეწის პროცესი, რამაც განაპირობა ამ აპლიკაციებით შესრულებული საბარათე ოპერაციების ზრდა. კერძოდ, 2022 წელთან შედარებით მობილური აპლიკაციებით შესრულებული ოპერაციები 53 პროცენტით გაიზარდა რაოდენობრივად, ხოლო თანხობრივად 33 პროცენტით. 2023 წელს საბარათე ინსტრუმენტით ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების თანხის წლიური ზრდის ტემპი მკვეთრი შემცირებით ხასიათდება, კერძოდ, 2022 წელს ნაჩვენები 31.6 პროცენტიდან 2023 წელს 11.6 პროცენტამდე შემცირდა. რაც შეეხება უნაღლო საბარათე გადახდის ოპერაციების თანხას, მისი წლიური ზრდის ტემპი 2023 წელს შეადგინდა 37.8 პროცენტს, რაც 10 პროცენტული პუნქტით აღემატება 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ანალოგიური ტენდენცია აღინიშნება საბარათე ინსტრუმენტით შესრულებული ოპერაციების რაოდენობის მხრივაც: 2023 წელს ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების რაოდენობის ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 8.7 პროცენტი, რაც 5.4 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება 2022 წლის ანალოგიური მაჩვენებელს. აღნიშნულის საპირისპიროდ, საბარათე ინსტრუმენტით უნაღლო გადახდების ზრდის ტემპი გაიზარდა 3.3 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 36.9 პროცენტი.

2015-2023 წლებში საბარათე ოპერაციების რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებლების წლიური ზრდა იხ. დიაგრამა N10.13-ზე:

**დიაგრამა N 10.13 საბარათე ოპერაციების ყოველწლიური ზრდა, თანხობრივად და რაოდენობრივად
საბარათე ინსტრუმენტით ნაღდი ფულის გატანის
ოპერაციების ყოველწლიური ზრდა (2015-2023)**




**უნაღდო საბარათე გადახდის ოპერაციების
ყოველწლიური ზრდა (2015-2023)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და უნაღდო გადახდების ზემოთ აღნიშნული დინამიკა დადებითად აისახა უნაღდო გადახდების წილის ზრდაზეც, რომელიც 2021-2022 წლებში შესამჩნევად შენელებული იყო წინა წლების დინამიკასთან შედარებით. კერძოდ, უნაღდო გადახდის ოპერაციების წილი სულ საბარათე ოპერაციების თანხაში გაიზარდა 5 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 43 პროცენტი (იხ. დიაგრამა N10.14)


დიაგრამა N 10.14 საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და უნაღლო გადახდების წილის დინამიკა 2013-2023 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს საქართველოში გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტებით სულ შესრულდა 894 მილიონი ოპერაცია საერთო თანხით 72.3 მილიარდი ლარი. აქედან, ქვეყნის შიგნით შესრულდა ოპერაციების რაოდენობის 92 პროცენტი და თანხის 90 პროცენტი, რაც უმნიშვნელოდ განსხვავდება გასული წლის ანალოგიური მაჩვენებლებისგან. აღსანიშნავია, რომ უცხოეთში განხორციელებული ოპერაციებისათვის მნიშვნელოვნად მაღალია უნაღლო გადახდების წილი (როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივად) საქართველოში შესრულებულ ოპერაციებთან შედარებით. კერძოდ, ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების წილი თანხობრივად უცხოეთში შეადგენს 10.8 პროცენტს (რაოდენობრივი მაჩვენებლებით 1.3 პროცენტი), საქართველოში - 61.6 პროცენტს (რაოდენობრივად 12.5 პროცენტი). ამასთან, საყურადღებოა, რომ გადახდის (ფიზიკური) პოსტერმინალებით ოპერაციების წილის ზრდის ტენდენცია თითქმის ერთნაირადაა გამოკვეთილი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ ოპერაციებისათვის (იხ. დიაგრამა N10.15).


დიაგრამა N 10.15 საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის პოს-ტერმინალებით გადახდების წილის დინამიკა საზღვარგარეთ და საქართველოში 2020-2023 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს საქართველოსა და უცხოეთში განხორციელებული უნაღლო გადახდის ოპერაციების რაოდენობის 25 პროცენტი და თანხის 44 პროცენტი ელექტრონული კომერციის ოპერაციებია, რაც შესაბამისად 5 და 8 პროცენტული პუნქტით აღემატება 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამასთან, ელ. კომერციის ტერმინალებით შესრულებული გადახდების თანხის 30 პროცენტი და რაოდენობის 26 პროცენტი მოდის უცხოეთში შესრულებულ ოპერაციებზე, მაშინ როდესაც გადახდის პოს-ტერმინალების შემთხვევაში ოპერაციების თანხის მხოლოდ 14 პროცენტი და რაოდენობის 3.5 პროცენტი მოდის უცხოეთში შესრულებულ ოპერაციებზე (უნაღლო გადახდის ოპერაციების დინამიკა იხ. დიაგრამა N 10.16-10.17). აღსანიშნავია, რომ უცხოეთში გადახდის პოს-ტერმინალებზე განხორციელებული ქართული ბარათებით გადახდების თანხის წილი 2022-2023 წლებში დაუბრუნდა პანდემიამდელ მაჩვენებლებს (იხ. დიაგრამა N 10.17).


დიაგრამა N 10.16 საქართველოში გამოშვებული ბარათებით შესრულებული უნაღლო გადახდის ოპერაციების დინამიკა 2018-2023 წწ.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.17 უცხოეთში გადახდის პოს-ტერმინალებზე ქართული ბარათებით განხორციელებული გადახდების დინამიკის აღდგენა პანდემიის შემდეგ პერიოდში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულმა სადებეტო და საკრედიტო საგადახდო ბარათების რაოდენობამ 8.8 მილიონი შეადგინა, რაც 13 პროცენტით მეტია 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. გამოშვებული ბარათების 87 პროცენტი არის ჩიპიანი⁸⁰, 6 პროცენტი - საკრედიტო, ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობა შეადგენს 2.4-ს. საქართველოში გამოშვებული ბარათების უდიდესი წილი უჭირავს საერთაშორისო საბარათე სქემების ბარათებს (სულ გამოშვებული ბარათების 93 პროცენტი). წლების მიხედვით გამოშვებული საგადახდო ბარათების დინამიკა საბარათე სქემების მიხედვით გამოსახულია დიაგრამა N10.18-ზე:

⁸⁰ უჭიპო ბარათები ძირითადად წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებისა და სოციალურ ბარათებს, რომელთა გამოყენება გადახდებისათვის მნიშვნელოვნად მცირეა.

დიაგრამა N 10.18 კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობა საბარათო სქემების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის განმავლობაში აქტიური ბარათების⁸¹ თვის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 4.1 მილიონს, რაც გამოშვებული ბარათების თვის საშუალო მაჩვენებლის 49.3 პროცენტს შეადგენს და უმნიშვნელოდ (0.5 პროცენტული პუნქტით) აჭარბებს 2022 წლის ანალოგიური მაჩვენებელს. 2023 წელს ერთი აქტიური ბარათით თვეში საშუალოდ შესრულებული ოპერაციების რაოდენობა შეადგენდა 18-ს, თანხობრივად კი 1.5 ათას ლარს, რაც რაოდენობრივად 2 ოპერაციით, ხოლო თანხობრივად დაახლოებით 100 ლარით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე. აქტიური ბარათით საშუალოდ თვეში განხორციელებული გადახდების რაოდენობისა და თანხის დინამიკა იხ. დიაგრამა N 10.19-ში.

⁸¹ აქტიური ბარათი - გამოშვებული საგადახდო ბარათი, რომელმაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეასრულა ერთი ოპერაცია მაინც


დიაგრამა N 10.19 აქტიური ბარათით თვეში საშუალოდ განხორციელებული გადახდების რაოდენობა და თანხა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის დეკემბრის მგომარეობით საქართველოში განთავსებული იყო დაახლოებით 106 ათასი გადახდის პოს-ტერმინალი, რაც 25 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. გადახდის პოს-ტერმინალების 63 პროცენტი განლაგებულია დედაქალაქში. მიუხედავად ასეთი კონცენტრაციისა, ბოლო 5 წლის განმავლობაში შეიმჩნევა თბილისში განლაგებული გადახდის პოს-ტერმინალების წილის შემცირების ტენდენცია.

დიაგრამა N 10.20 თბილისში განლაგებული გადახდის პოს-ტერმინალების რაოდენობის წილი სულ გადახდის პოს-ტერმინალებში (2019-2023 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოში განლაგებული საბარათე მოწყობილობებით (პოს-ტერმინალებსა და ბანკომატებში) 2023 წელს ჯამურად 828.8 მილიონი ოპერაცია შესრულდა, თანხობრივად 70.6 მილიარდი ლარი. აღნიშნული მაჩვენებლები რაოდენობრივად 29 პროცენტით, ხოლო თანხობრივად 19 პროცენტით აღემატება წინა, 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. 2023 წლის ოპერაციების რაოდენობის 97 პროცენტი და თანხის 95 პროცენტი ქართული საბარათე ინსტრუმენტებით შესრულდა, დანარჩენი კი უცხოური საბარათე ინსტრუმენტებით შესრულებული ოპერაციებია. შესრულებული საბარათე ოპერაციების რაოდენობის 87 პროცენტი (თანხის 38 პროცენტი) არის უნაღდო გადახდის ოპერაციები.


3.5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერები

პროვაიდერების გადახდები (გარდა ელექტრონული ფულით ოპერაციებისა)


2023 წელს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ 13.1 მილიარდი ლარის მოცულობის 137.6 მილიონი ოპერაცია განხორციელდა. 2022 წელთან შედარებით გადახდების რაოდენობა 2 პროცენტით, ხოლო თანხა 25 პროცენტით გაიზარდა. პროვაიდერების გადახდების (გარდა ელექტრონული ფულისა) დინამიკა მოცემულია დიაგრამა N10.21-ზე.

გადახდის განსახორციელებლად ყველაზე ხშირად, ტრადიციულად, თვითმომსახურების კიოსკები იყო გამოყენებული, რომლებითაც ნაღდი ფულით ელექტრონული გადახდის ინიცირებაა შესაძლებელი. კიოსკების მეშვეობით გადახდების რაოდენობის 89 პროცენტი და თანხის 95 პროცენტი განხორციელდა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე, შესაბამისად, 5 და 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

დიაგრამა N 10.21 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გადახდები ელექტრონული ფულით

ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების ბაზარზე 2023 წელს, ტრადიციულად, განსაკუთრებული ადგილი წინასწარი გადახდის სატრანსპორტო ბარათებს უკავია. მათი გამოყენებით განხორციელებული ერთი გადახდის საშუალო თანხა 0.44 ლარს შეადგენს, რაც რადიკალურად განსხვავდება სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდებისაგან. საყურადღებოა, რომ სატრანსპორტო ბარათები აქტიურად გამოიყენება საქალაქო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადასახდელად, რის გამოც, მათი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა, სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებულ გადახდების რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება და სულ ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების რაოდენობის 94 პროცენტს, ხოლო თანხის - 11.6 პროცენტს შეადგენს. 2023 წელს ელექტრონული ფულის პროვაიდერების მიერ (გარდა სატრანსპორტო გადახდებისა) 386.2 მილიონი ლარის მოცულობის 12 მილიონი გადახდა განხორციელდა.

11. საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობა და ვირტუალური აქტივის მომსახურება

2022 წლის 9 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებას, ევრო-დირექტივასთან, კერძოდ, საგადახდო მომსახურების დირექტივასთან (Payment Service Directive 2 – PSD2) დაახლოებას, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა ორი ახალი საგადახდო მომსახურების, ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის და გადახდის ინციდენტების მომსახურების დამატებას და ამავე საგადახდო მომსახურების განმახორციელებელი ახალი ტიპის საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ეროვნულ ბანკში რეგისტრაციას და რეგულირებას, ამას გარდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე ვირტუალური აქტივებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგულირების ჩარჩოს შექმნას, რომლის მიზანს წარმოადგენდა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციას, რეგისტრაციის გაუქმებას და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის (AML/CFT) მიმართულებით სრულ რეგულირებას/ზედამხედველობას. ვირტუალური აქტივების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა „ფინანსური ქმედებისა სპეციალური ჯგუფის“ (FATF) გაიდლაინები და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების რეკომენდაციები, რის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონებში, ხოლო 2023 წლის 10 მარტს „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პარლამენტის მიერ დამტკიცებისას მიკრობანკებს, ბანკების (ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და საბროკერო კომპანიების) მსგავსად ნებადართულ საქმიანობად განესაზღვრათ ვირტუალური აქტივის გარკვეული მომსახურებები. ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.nbg.gov.ge, შემდეგ ჩანართში: ზედამხედველობა → AML/CFT ზედამხედველობა → ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები (VASPs). „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა სამართლებრივი აქტების, კერძოდ, 2023 წლის პირველ ივლისამდე - ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების და რეგულირების წესის, ხოლო 2024 წლის 1 იანვრამდე - ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაციის განსაზღვრის წესის შემუშავება, ამას გარდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით, საქართველოს ეროვნულ ბანკს საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე და ევრო-დირექტივებთან დაახლოების მიზნით დაევალა შესაბამისი სამართლებრივი აქტების, კერძოდ 2023 წლის პირველ მაისამდე „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის და რეგულირების წესის“ ცვლილება/განახლება და „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის“ შემუშავება. საქართველოს ეროვნულ ბანკში

კანონქვემდებარე აქტების შემუშავებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვრა საგადახდო სისტემების დეპარტამენტის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის განყოფილება, ამავე დეპარტამენტის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის განყოფილება და იურიდიული დეპარტამენტი, ხოლო ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე აქტების შემუშავებაზე ასევე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვრა ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი. 2023 წლის მარტში საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის განყოფილების ფუნქცია მოვალეობებს დაემატა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაცია, ხოლო 2023 წლის ნოემბერში საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციის განყოფილება გამოეყო საგადახდო სისტემების დეპარტამენტს და გადაკეთდა დეპარტამენტად, რომელიც აერთიანებს ორ განყოფილებას, „ზედამხედველობის და რეგისტრაციის განყოფილებას“ და „რეგულირებისა და მხარდაჭერის განყოფილებას“, ახლად შექმნილი დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, მათ შორის, საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის, ასევე, ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის ან/და გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია და ზედამხედველობა, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია და ვირტუალური აქტივის მომსახურების სქემატური აღწერების შეფასება, მათ შორის, საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ჭრილში, რომლებსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება, აგრეთვე, კომპეტენციის ფარგლებში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების პრუდენციული ზედამხედველობის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ნორმატიული ბაზისა და სტანდარტების შემუშავება.

შემუშავებული სამართლებრივი აქტები

2023 წლის 1 მაისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 77/04 ბრძანებით დამტკიცდა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ განახლებული ვერსია. წესის ცვლილების საჭიროება განპირობებული იყო „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის 9 სექტემბერს შეტანილი ცვლილებებით, ასევე, საგადახდო ბაზარზე მოქმედი პროვაიდერების საქმიანობის ზედამხედველობის გაძლიერების აუცილებლობით და ბაზრის რეგულირებისას პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევების გადაწყვეტით. წესის ცვლილებისას გარდა ადგილობრივი პრაქტიკისა, გათვალისწინებულ იქნა ევროპის საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოს (European Banking Authority - EBA) გაიდლაინი - Guidelines on the information to be provided for the authorisation of payment institutions and e-money institutions and for the registration of account information service providers under Article 5(5) of Directive (EU) 2015/2366). წესის ახალ რედაქციაში დაემატა ორი ახალი საგადახდო მომსახურების, ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის და გადახდის ინიცირების მომსახურების (ე.წ. ღია ბანკინგის მომსახურებების) პროვაიდერის რეგისტრაციის საკითხები, საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის განსაზღვრის კრიტერიუმები, ადმინისტრატორის შესაფერისობის ახალი კრიტერიუმები, მოთხოვნები დაწესდა მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების, მნიშვნელოვანი წილის (პირდაპირი/არაპირდაპირი) მესაკუთრეების,

ბენეფიციარი მესაკუთრეების მიმართ. დაკორექტირდა შიდა პოლიტიკასთან და რისკების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები. დაზუსტდა ჩანაწერები მათ შორის ბიზნეს გეგმის, სათავო ოფისის მოთხოვნების, სქემატური აღწერების შესახებ. სხვა საკითხებთან ერთად წესს ასევე დაემატა ახალი ტერმინები და დანართები. წესში ასევე განისაზღვრა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული საგადახდო მომსახურების ჩამონათვალის გამოქვეყნების ვადები და გამოქვეყნების ფორმა. წესის ახალი რედაქციით საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს დაევალოთ 2023 წლის პირველ ივნისამდე წარმოედგინათ იმ საგადახდო მომსახურების ჩამონათვალი რომელსაც ახორციელებდნენ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების ფარგლებში წარმოდგენილი მომსახურების სქემების შესაბამისად. 2023 წლის სექტემბერში (საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრულ ვადებში) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სია შესაბამისი პროვაიდერისთვის ნებადართული საგადახდო მომსახურების/მომსახურებების მითითებით. აღნიშნულ სიაში 2024 წლიდან (პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ამოქმედების შემდეგ და არაუგვიანეს 2024 წლის 15 აპრილისა) განცალკევებით მიეთითება საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის N79/04 ბრძანებით დამტკიცდა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესი“. წესის შემუშავება განპირობებული იყო ევრო-დირექტივასთან, PSD2-თან დაახლოების ფარგლებში „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის 9 სექტემბერს შეტანილი ცვლილებებით და მის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერების, მათ შორის, ელექტრონული ფულის მნიშვნელოვანი პროვაიდერების, ასევე გადახდის ინიციირების პროვაიდერების (PSD2-ის მიხედვით Authorised payment institutions and e-money institutions) ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეფექტიანი ფუნქციონირება და ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე რისკების შემცირება. წესში დეტალურად არის მოცემული საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშების მეთოდები, ასევე კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კაპიტალის ინსტრუმენტები იმისათვის, რომ პროვაიდერმა შეძლოს პირველად ან მეორად კაპიტალში ჩართვა და მინიმალური საზედამხედველო ან საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილება. წესის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 1 იანვარი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებით დამტკიცდა "ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი", რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1 ივლისიდან. წესი ვრცელდება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერზე და საფინანსო სექტორის წარმომადგენელზე, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება. წესი ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის სარეგისტრაციო მოთხოვნებს, ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის როგორც პირდაპირი/არაპირდაპირი, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრის შესაფერისობის კრიტერიუმებს, სათავო ოფისის, ფილიალების, თვითმომსახურების კიოსკის, ელექტრონული სისტემის და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით (AML/CFT) მოთხოვნებს და სხვა ვალდებულებებს.

აღსანიშნავია, რომ "ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის" საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავების დასრულებამდე, 2023 წლის 31 მაისს გამოქვეყნდა ევროპის ტერიტორიაზე ვირტუალური აქტივების ბაზრის კომპლექსური რეგულაცია Regulation (EU) 2023/1114 Markets in Crypto Assets Regulation, and amending Regulations (EU) No 1093/2010 and (EU) No 1095/2010 and Directives 2013/36/EU and (EU) 2019/1937, რომელიც 2024 წლის 30 დეკემბრიდან სავალდებულო რეგულაციას წარმოადგენს ევროკავშირში შემავალი ქვეყნებისთვის. აღნიშნული რეგულაციით ევროპის საფინანსო სექტორის მარეგულირებელ ორგანოებს European Securities and Markets Authority (ESMA)-ს და European Banking Authority (EBA)-ს დაევალებათ სახელმძღვანელოების და ტექნიკური სტანდარტების გამოცემა. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს ევრო-რეგულაციების, სახელმძღვანელოების და ტექნიკური სტანდარტების ევროპის ტერიტორიაზე დანერგვის პროცესის დაკვირვებას და საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მოპოვებასთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე ვირტუალური აქტივის საკანონმდებლო ჩარჩოს სამომავლოდ გაუმჯობესების მიზნით გეგმავს თანამშრომლობას ევროპის საფინანსო სექტორის მარეგულირებლებთან.

2023 წელს მუშაობა მიმდინარეობდა „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის № 253/04 ბრძანების განახლებაზე ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებთან და საფინანსო სექტორის იმ წარმომადგენლებთან მიმართებაში, რომელთაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება. შეიცვალა დოკუმენტის სათაურიც და მას ეწოდა „**ფულადი სახსრების გადარიცხვის და ვირტუალური აქტივის გადაცემის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულება**“. აღნიშნული ცვლილებების ძირითადი მიზანს წარმოადგენს ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციების გამჭვირვალობისა და მიკვლევადობის ხელშეწყობა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) ვირტუალურ აქტივთან დაკავშირებული რეკომენდაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. პროექტზე მუშაობისას მხედველობაში იქნა მიღებული ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2023 წლის 31 მაისის რეგულაცია: Regulation (EU) 2023/1113 of the European Parliament and of the Council of 31 May 2023 on information accompanying transfers of funds and certain crypto-assets and amending Directive (EU) 2015/849. განახლებული დებულებით გათვალისწინებული ცვლილებების კომპლექსურობისა და მოთხოვნების მასშტაბების, ასევე დასაწერადი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადაწყვეტის გათვალისწინებით, ვირტუალური აქტივის პროვაიდერებს მიეცათ უფლება 2027 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყონ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერები

2023 წლის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რაოდენობა შეადგენდა 31 პროვაიდერს. წლის განმავლობაში სებ-ში რეგისტრაცია გაიარა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სტატუსი მიენიჭა 3 სუბიექტს. 2 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს გაუუქმდა რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი, წლის განმავლობაში დასრულდა 3 პროვაიდერის ლიკვიდაცია. 2023 წლის

განმავლობაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციასთან/რეგისტრაციის გაუქმებათან დაკავშირებული ცვლილებები მოცემულია ცხრილ N 11.1-ზე:

ცხრილი N 11.1 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მაჩვენებლები 2023 წლის განმავლობაში

ცვლილება	პროვაიდერების რაოდენობა
პროვაიდერების რაოდენობა 2023 წლის დასაწყისში	30
დარეგისტრირდა	3
გაუქმდა რეგისტრაცია და დაიწყო ლიკვიდაცია	2
პროვაიდერების რაოდენობა 2023 წლის ბოლოს	31
ლიკვიდაციის პროცესში არსებული პროვაიდერები	5
დასრულდა პროვაიდერის ლიკვიდაცია	3

2023 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი პროვაიდერი (17) ახორციელებდა ექვარიინგის მომსახურებას და ელექტრონული ფულით საქმიანობას, ხოლო არც ერთი სუბიექტი არ ახორციელებდა გადახდის ინიცირების ან/და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურებას. პროვაიდერების რაოდენობა შესრულებული საგადახდო მომსახურებების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილ N 11.2-ზე:

ცხრილი N 11.2 პროვაიდერების რაოდენობა შესრულებული საგადახდო მომსახურებების მიხედვით


N	საგადახდო მომსახურება	პროვაიდერების რაოდენობა, რომლებიც ასრულებენ შესაბამის საგადახდო მომსახურებას
1	გადახდის განხორციელება მომხმარებლის საკუთარი თანხის ფარგლებში საგადახდო ბარათის ან სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით	10
2	საგადახდო ინსტრუმენტის, მათ შორის ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის გამოშვება	10
3	ექვარიინგი	17
4	ფულადი გზავნილი	16
5	ელექტრონული ფულის გამოშვება, გადახდის ოპერაციების განხორციელება ელექტრონული ფულის მეშვეობით, მობილური ტელეფონით, ინტერნეტით ან სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით	17

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესში“ განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ეროვნულ ბანკში უკვე რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს წარმოეშვათ დამატებითი დოკუმენტების და ინფორმაციის წარმოადგენის ვალდებულებები. აღნიშნული ვალდებულებების შესრულება პროვაიდერების მხრიდან წლის განმავლობაში განხორციელდა სრულად. ასევე, წესის შესაბამისად, რეგისტრირებული პროვაიდერების რეგისტრაციის განკარგულებებში განხორციელდა შესაბამისი ნებადართული საგადახდო მომსახურებების დაზუსტება, რის საფუძველზეც საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სია პროვაიდერისთვის ნებადართული საგადახდო მომსახურების/მომსახურებების მითითებით. სია განთავსებულია www.nbg.gov.ge ვებგვერდზე, შემდეგ ჩანართში: საგადახდო სისტემები → საგადახდო მომსახურების პროვაიდერები → საგადახდო მომსახურებები.

2023 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების ავტომატიზაციისა და სისტიმატიზაციის კუთხით. კერძოდ, 2023 წლის პირველი მარტიდან საგადახდო მომსახურების პროვაიდერებმა პერიოდული ანგარიშგების ეროვნულ ბანკში წარდგენა დაიწყეს დისტანციური ზედამხედველობის პორტალის მეშვეობით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 25 იანვრის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული „NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის“ შესაბამისად.

2023 წლის განმავლობაში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელდა 257,6 მილიონი გადახდის ოპერაცია თანხობრივად 13,6 მილიარდი ლარი. წინა, 2022 წელთან შედარებით ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 3%-ით, ხოლო თანხა - 25%-ით. წლების მიხედვით ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ შესრულებული გადახდის ოპერაციების დინამიკა გამოსახულია გრაფიკზე N 11.1:

დიაგრამა N 11.1 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაციები წლების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს სულ შესრულებული ოპერაციების რაოდენობის 47% და თანხის 3% არის ელექტრონული ფულით გადახდები⁸². ელექტრონული ფულით გადახდების რაოდენობის 94% და თანხის 21% შესრულდა წინასწარი გადახდის ბარათით (მათ შორის უდიდესი წილი მოდის სატრანსპორტო ბარათებზე), დანარჩენი ოპერაციები შესრულდა - პროვაიდერის ვებ-გვერდიდან (რაოდენობის 0,18% და თანხის 19%), მობილური აპლიკაციით (რაოდენობის 0,28% და თანხის 7%), მიმღების ვებ-გვერდიდან (რაოდენობის 0.1% და თანხის 17%) და სხვა საშუალებები/არხებით გადახდები (რაოდენობის 5% და თანხის 36%).

2023 წლის განმავლობაში 2022 წელთან შედარებით თვითმომსახურების კიოსკებით შესრულებული ოპერაციების - რაოდენობა შემცირდა 2%-ით და თანხა გაიზარდა 26%-ით. სულ გასული წლის განმავლობაში კიოსკით შესრულებული ოპერაციების რაოდენობამ შეადგინა 122,7 მლნ ოპერაცია, თანხობრივად 12,5 მილიარდი ლარი. 2023 წლის დეკემბრის თვის ბოლოს მონაცემებით ქვეყანაში სულ კიოსკების რაოდენობამ შეადგინა 14 544 ერთეული, რაც 11%-ით აღემატება წინა წლის კიოსკების რაოდენობას.

2023 წელს გადახდის ინიცირების საშუალებების მიხედვით, რაოდენობრივად ყველაზე მეტი იყო კიოსკით განხორციელებული საბარათე (49%) და კიოსკში ნაღდი ფულის განთავსების ოპერაციები (46%). თანხობრივად ყველაზე მეტი (95%) იყო კიოსკში ნაღდი ფულის განთავსების ოპერაციები. გადახდის ინიცირების საშუალებებით შესრულებული ოპერაციები განაწილება მოცემულია დიაგრამა 2-ზე:

დიაგრამა N 11.2 ინფორმაცია გადახდის ინიცირების საშუალებებით შესრულებული ოპერაციების განაწილების შესახებ.



ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები

2023 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკმა დაიწყო ქართულ ბაზარზე მოქმედი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების სარეგისტრაციო განაცხადების მიღება და განხილვა. სულ წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკში წარდგენილ იქნა 32 სარეგისტრაციო განაცხადი, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადმინისტრაციული წარმოება დაასრულა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად დაარეგისტრირა 1 სუბიექტი. განაცხადების

⁸² ელექტრონული ფულის ოპერაციებში შედის მხოლოდ ელექტრონული ფულით გადახდები და არ შედის ელექტრონული ფულის გამოშვების და დაფარვის ოპერაციები.

კომპლექსურობიდან გამომდინარე შემოსულ განაცხადებებზე გადაწყვეტილების მიღება დასრულდება 2024 წელს, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით.

12. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

2023 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილებამ დაწერა თანამედროვე ზუსტი დროის სინქრონიზაციის სისტემა, რომელიც თანამგზავრებიდან მაღალი სიზუსტით დროის სერვისის მიღებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული სისტემის დაწერვამ შესაძლებელი გახადა საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ბიზნესს კრიტიკული აპლიკაციებისთვის, სერვერებისთვის და ქსელური მოწყობილობებისათვის ზუსტი დროის მიწოდების სერვისის უზრუნველყოფა. აღნიშნული ცვლილება, სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დამოუკიდებლად, მესამე მხარეების გარეშე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

2023 წელს გაუმჯობესდა მონაცემთა დამუშავების ცენტრებს შორის დამაკავშირებელი ოპტიკური კავშირის მაღალმდგრადობა. თანამედროვე ოპტიკური მოდულების საშუალებით სრულად განახლდა შეერთების არქიტექტურა, რამაც უზრუნველყო მონაცემთა რეპლიკაციის და გამტარობის გაუმჯობესება მონაცემთა აქტიურ სანახ სისტემებს შორის.

ამავე წელს, მწარმოებლის რეკომენდირებულ ბოლო ვერსიებამდე განახლდა ისეთი კრიტიკული ინფრასტრუქტურული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფები, როგორცაა ინტერნეტ და მეილ ფილტრაციის სისტემები, მონაცემთა რეზერვირების და არქივაციის სანახი მოწყობილობები, ჰიპერკონვერგენტული და სხვა კრიტიკული კომპონენტები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფენ IT სერვისების მიწოდებას.

წინა წლის მსგავსად SWIFT-ის მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამის (CSP) მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, აპლიკაციების მართვის და კიბერუსაფრთხოების განყოფილებებთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა ცვლილებები, სისტემის უსაფრთხოების და მაღალმდგრადობის სრული დაცვით.

2023 წელს ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილების თანამშრომლებმა გაიარეს მწარმოებლის ოფიციალური ტრენინგები და მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები თანამედროვე ქსელური უსაფრთხოების დაშვების სისტემების მართვასა და ადმინისტრირების მიმართულებით.

კიბერუსაფრთხოება საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისთვის კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

2023 წელსაც, წინა წლების მსგავსად რამდენჯერმე განხორციელდა ბანკის ინფრასტრუქტურის კომპონენტების მოწყვლადობის სკანირება, მათი სისუსტეების იდენტიფიცირებისა და შემდგომში მათი აღმოფხვრის მიზნით.

მოწყვლადობის სკანირებასთან ერთად, სისუსტეების აღმოჩენის და პოტენციური რისკების შეფასებით მიზნით, ეროვნული ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებზე განხორციელდა შეღწევადობის ე. წ. “Gray Box” ტესტირება.

2023 წლის განმავლობაში კიბერუსაფრთხოების განყოფილება აქტიურად განაგრძობდა დაწერვით ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მონიტორინგისა და მართვის სისტემის მეშვეობით უსაფრთხოების მოვლენების ნორმალიზაციას, აგრეგირებასა და კორელაციას, საინფორმაციო

უსაფრთხოების მოვლენების დამუშავების ხარისხის ამაღლებას, საინფორმაციო უსაფრთხოების ინციდენტების აღმოჩენისა და რეაგირების ავტომატიზაციას.

წლიდან წლამდე იზრდება ბანკში დანერგილი პრივილეგირებული მომხმარებლების წვდომების მონიტორინგისა და ლოგირების სისტემის არეალი. აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხორციელდება ბანკის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე პრივილეგირებული წვდომის დაშვება და მონიტორინგი.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად ახორციელებს მსოფლიოს ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოების, SWIFT-ის მიერ მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამის ჩარჩოსთან შესაბამისობის თვითშეფასების პროცესს. 2023 წლის ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და თვითშეფასების პროცესის წარმატებით დასრულებისთვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის კიბერუსაფრთხოების, აპლიკაციების მართვის და ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილებების მიერ გატარდა რიგი ღონისძიებები.

ადამიანური ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია თანამედროვე ციფრულ სამყაროში. ყველაზე ხშირად კიბერინციდენტი სწორედ არასათანადო ცოდნისა და ცნობიერების სიმწირის შედეგად დგება. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტულია თანამშრომლების კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების საკითხი.

2023 წელს კიბერუსაფრთხოების განყოფილების მიერ მთელი ბანკის მასშტაბით ჩატარდა კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების სავალდებულო ტრენინგი, ამასთან თანამშრომლების კიბერცნობიერების დონისა და ინციდენტზე რეაგირების დროის შემოწმების მიზნით განხორციელდა ე.წ. „ფიშინგ“ სიმულაცია.

გასული წელი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კუთხით კიბერუსაფრთხოების განყოფილებისთვისაც ნაყოფიერი იყო. თანამშრომლები ესწრებოდნენ სხვადასხვა ონლაინ კონფერენციებს და სემინარებს. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული, EU4DIGITAL-ის მიერ გამართული კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდაზე ორიენტირებული სემინარი იყო.

2023 წელს **მონაცემთა მართვის და პროგრამული უზრუნველყოფის** განყოფილებამ განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკში დანერგილი ელექტრონული სისტემების ფუნქციონალურ გაუმჯობესებასთან და ასევე, მოიცავს ახალი პროექტების იმპლემენტაციის პროცესებში ჩართულობას, კერძოდ:

- განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის (sebstat) განახლება:
 - საგადახდო ბარათების სტატისტიკის PCS ოჯახის გაფართოება. ჩატარდა სებსტატის რეალური გარემოს განახლებასთან დაკავშირებული სამუშაოები, კერძოდ საგადახდო ბარათების სტატისტიკის PCS მონაცემთა ოჯახის გაფართოებული ვერსიის გადატანა სატესტოდან პროდუქტიულ გარემოში.
 - ბანკებისთვის ყოველდღიური ფულადი გზავნილების მონაცემთა აღრიცხვისთვის დაინერგა ახალი MTD მონაცემთა ოჯახი სატესტო გარემოში. აღნიშნული ცვლილება წარმატებით გაიტესტა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მონაცემთა მართვის და პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების, მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის

მონეტარული სტატისტიკის განყოფილებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ ამოცანის ფარგლებში განახლდა მონაცემთა ბაზა და გარკვეული ცხრილების სტრუქტურა, ფუნქციონალური ცვლილებები განხორციელდა თითქმის ყველა მოდულში;

- საშვების დაშვების პროგრამაში დაემატა ახალი როლი, რომლის ჩართვაც შესაძლებელია ადმინისტრატორის მიერ. მისი გამოყენებით ხდება დაშვები პირის მიერ სტუმრისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ბაზაში ინტეგრირდა ტურნიკეტის პროგრამაში თავმოყრილი მონაცემები რითაც აღნიშნულ განყოფილებას მიეცა საშუალება, თვალი ადევნოს და გააკონტროლოს თანამშრომელთა დასწრება და შეძლოს მიღებული მონაცემების დამუშავება;
- განახლდა პროგრამა „GeoGold“-ის, განხორციელდა კოდში ცვლილებები, ფორმულებისა და კოეფიციენტების მოდიფიცირება. პროგრამაში დაემატა 1 000 გრამიანი ოქროს ზოდის ფასის განაგარიშების ლოგიკა და TGX სისტემაში გადაგზავნის ფუნქციონალი;
- სრულად განახლდა საქართველოს ეროვნული ბანკის კრიტიკული სისტემების მონაცემთა ბაზების ოპერაციული სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფა, რითაც გაუმჯობესდა, როგორც მხარდაჭერა და თავსებადობა თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ასევე სისტემების წარმადობა და მაღალი მდგრადობა. გაუმჯობესდა უსაფრთხოების დონე და თავსებადობა სხვა სისტემებთან, უსაფრთხო და დაცული კომუნიკაციისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებთან. აგრეთვე, გაუმჯობესდა სისტემების ადმინისტრირების დონე.

აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილების მიერ 2023 წელს სხვადასხვა ბიზნესს აპლიკაციებში განხორციელდა სხვადასხვა ცვლილებები:

- სრულად განახლდა და ახალ გარემოში გაიმართა რეზერვების მართვის სისტემა Wallstreet;
- ძირითად საბანკო სისტემა ალატში განხორციელდა B6-ში SWIFT MX სტანდარტების დანერგვა და Transguard-თან ინტეგრაცია;
- წლის განმავლობაში, რამდენჯერმე განახლდა SWIFT-ის სისტემა და შეიცვალა სისტემებს შორის შეტყობინებების მიმოცვლის სტანდარტი. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს შეტყობინებების მიმოცვლის უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს;
- განახლდა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (HRMS). გატარებული ცვლილებები უზრუნველყოფს სისტემაში კონფედენციალური ინფორმაციის უსაფრთხოებას;
- ბანკში დაინერგა და გაიმართა საწარმოო რესურსების მართვის და დაგეგმვის ერთიანი სისტემა (ERP), რომელიც ბანკის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს აძლევს მნიშვნელოვანი პროცესების ავტომატიზაციის საშუალებას.

2023 წელს დამტკიცდა **მომსახურების განყოფილების** შემუშავებული ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „პროცედურა მომხმარებელთა სააღრიცხვო ჩანაწერების მართვის შესახებ“ და „პროცედურა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის შესახებ“.


ბანკის თანამშრომელთა სააღრიცხვო ჩანაწერების შექმნისა და მართვის, ასევე, მომხმარებლის ფუნქციურ და უფლებრივ ჯგუფებში გაერთიანების პროცესი სრულად განისაზღვრა მომხმარებელთა სააღრიცხვო ჩანაწერების მართვის შესახებ პროცედურაში.

ინციდენტების მართვა ორგანიზებულია ერთი მთლიანი პროცესის სახით, რომელიც ითვალისწინებს ინციდენტების შესახებ შეტყობინების ფორმირებას და ინციდენტის რეგისტრაციას, ინციდენტზე რეაგირებას, აღმოფხვრას, დახურვას, შესაბამისი ცოდნის ბაზის განახლებას, შედეგების ანალიზს და ანგარიშგებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განახლდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინციდენტის მართვის პროცესი და აღიწერა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინციდენტების მართვის შესახებ პროცედურაში, რომლის მიზანია ინციდენტებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი გავლენის შემცირებისთვის სავალდებულო წესების დადგენა.

გასულ წელს სერვის დესკის პორტალზე სულ 6073 ინციდენტი/მოთხოვნა დარეგისტრირდა.

ბანკის თანამშრომლების მხრიდან, ყველაზე მაღალი მომართვიანობით სერვისული ტიპის მოთხოვნები გამოირჩეოდა. მოთხოვნის დაფიქსირების ყველაზე პოპულარული მეთოდი კვლავ შეტყობინების სერვის დესკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა იყო.


დიაგრამა N 12.1 რაოდენობები მოთხოვნის ტიპების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 12.2 რაოდენობები რეგისტრაციის წყაროების მიხედვით

რაოდენობები რეგისტრაციის წყაროების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 12.3 ინციდენტების უმრავლესობა შემდეგ სერვისებს უკავშირდებოდა:



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინციდენტების 48 პროცენტი სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციების მიმართულებით დაფიქსირდა.


დიაგრამა N 12.4 ინციდენტები სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციების მიმართულებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინციდენტების 78 პროცენტი დადგენილ ვადებში მოგვარდა, ხოლო 22 პროცენტის შემთხვევაში აღმოფხვრას მეტი დროითი რესურსი დასჭირდა, რაც ძირითადად მესამე მხარესთან კომუნიკაციით იყო განპირობებული.

დიაგრამა N 12.5 ყველაზე მოთხოვნადი IT სერვისების სტატისტიკა სერვის დესკის წლის ანგარიშის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი N 12.1 საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის განყოფილებებს შორის ინციდენტებისა და მოთხოვნების გადანაწილების მაჩვენებლები

IT განყოფილება	ინფორმაციული მოთხოვნა	ინციდენტი	სერვისული მოთხოვნა
მომსახურების განყოფილება	27	450	3200
აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილება	34	97	816
ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილება	3	50	506
კიბერუსაფრთხოების განყოფილება	3	15	599
მონაცემთა მართვის განყოფილება	0	28	245

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წელი წინა წლების მსგავსად, ნაყოფიერი იყო როგორც თანამშრომელთა პროფესიული ზრდის, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების განახლებისა და გაუმჯობესების მხრივ. უცვლელი რჩება საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების მისია - ბიზნეს მოთხოვნებსა და მომხმარებლებზე ორიენტირებული, დაცული და მაღალი ხარისხის IT სერვისებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მართვა და განვითარება.

13. საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია

ქვეყნის ეკონომიკის ფულის ნიშნებით უზრუნველყოფა, ნაღდი ფულის მიმოქცევის რეგულირება, ეროვნული ვალუტის მიმოქცევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ფულის ნიშნების ხარისხის მართვა, ყალბი ფულის ნიშნების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა და ეროვნული ვალუტის პოპულარიზაცია ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი ფუნქციებია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ 5,934.1 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტები - 5,748.9 მლნ ლარი, ხოლო მონეტები - 185.2 მლნ ლარი იყო (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალის ხვედრით წილს თანხებისა და რაოდენობის მიხედვით აჩვენებს დიაგრამა N 13.1).

დიაგრამა N 13.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით *




*მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა წლის დასაწყისთან შედარებით 893.6 მლნ ლარით, ანუ 17.7 პროცენტით გაიზარდა (2019-2023 წლებში ეროვნული ვალუტის - ლარის მიმოქცევის დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N 13.2).


დიაგრამა N 13.2 2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2019-2023 წლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის განმავლობაში მიმოქცევაში ბანკნოტების თანხობრივი რაოდენობა 875.2 მლნ ლარით გაიზარდა და მიმოქცევაში არსებული ფულის მთლიან მოცულობაში მისმა ხვედრითმა წილმა 96.9 პროცენტი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (11 პროცენტით) გაიზარდა მიმოქცევაში მონეტების თანხობრივი რაოდენობა და მისმა ხვედრითმა წილმა მთლიან მიმოქცევაში 3.1 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 13.3).

დიაგრამა N 13.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2019-2023 წლები)*




* მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდშიც გრძელდებოდა 2016 წლამდე ემისიის ბანკნოტების ახალი მოდიფიკაციის 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებით ჩანაცვლებისა და მიმოქცევის განახლების პროცესი. კერძოდ, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტი მიმოქცევაში ამ ნომინალის ბანკნოტის 90.2 პროცენტს, 10 ლარიანი ბანკნოტი - 70.6 პროცენტს, 20 ლარიანი - 95.6 პროცენტს, 50 ლარიანი - 96.6 პროცენტს, ხოლო 100 ლარიანი - 98.4 პროცენტს შეადგენს (იხ. დიაგრამა N 13.4).

დიაგრამა N 13.4 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ძველი მოდიფიკაციის (2016 წლამდე) ბანკნოტების ფურცლობრივი რაოდენობის ხვედრითი წილი, მთლიანად მიმოქცევაში არსებულ იმავე ნომინალების ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტებთან მიმართებაში, მხოლოდ 6.2 პროცენტს შეადგენს.

ამ პერიოდში მიმოქცევაში 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების თანხობრივი ოდენობა 12.2 პროცენტით გაიზარდა და წლის ბოლოს 126.2 მლნ ლარი შეადგინა. უმნიშვნელოა 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების მიმოქცევიდან ამოღების მაჩვენებელი, რადგანაც მიმოქცევაში ამ ნომინალის მონეტების დამკვიდრების შემდეგ, შესაბამისად ბანკნოტების რაოდენობა მიმოქცევაში საგრძნობლად შემცირებულია.

2022 წელთან შედარებით, მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის - თეთრის მონეტების თანხობრივი რაოდენობა 8.7 პროცენტით გაიზარდა.

ქვეყნის ეკონომიკის ნაღდი ფულით შეუფერხებელი უზრუნველყოფისა და ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგების შევსების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- მიმოქცევის დანიშნულების ბანკნოტის დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურები, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება პარტნიორად შერჩეულ საწარმოსთან და

წარმართა შესაბამისი სამუშაოები მწარმოებელთან ბანკნოტების დამზადების მიზნით. ამჟამად მიმდინარეობს ბეჭდვითი ნიმუშების მომზადება-შეთანხმების პროცესი.

- დასრულდა წინა წლებში მიღებული მიმოქცევის დანიშნულების 5 თეთრის, 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების საკონტროლო შემოწმებისა და მათ მწარმოებელთან ანგარიშსწორების პროცესი.

- განხორციელდა მიმოქცევის დანიშნულების ერთი ნომინალის მონეტის დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურები, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება პარტნიორად შერჩეულ საწარმოსთან და წარმართა შესაბამისი სამუშაოები მწარმოებელთან მონეტების დამზადების მიზნით. ამ ეტაპზე დასრულებულია დამზადების პროცესი და მონეტების პირველი ნაწილი მოგვეწოდება უახლოეს პერიოდში.

- ასევე, წარმართა მიმოქცევის დანიშნულების სამი ნომინალის მონეტის დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურები და შეირჩა ორი პარტნიორი საწარმო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ საწარმოებთან სათანადო ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი, რაც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა საინვესტიციო დანიშნულების 1/10, 1/4, 1, 5 და 10 უნცია ოქროს მონეტების დამზადება ბადენ-ვურტემბერგის სახელმწიფო ზარაფხანაში და მათი სრული ოდენობის მოწოდება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიმუშების გამოშვებას განაგრძობდა (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ - „საკოლექციო დანიშნულების მონეტები“).

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოსული ნაღდი ეროვნული ვალუტა გაიზარდა და თანხამ 8,579.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2 პროცენტით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს.

მთლიანი შემოსავლებიდან ლარის ბანკნოტების შემთხვევაში, უშუალოდ საკასო ცენტრში დამუშავდა შემოსავლების 68.3 პროცენტი, ხოლო საკასო ცენტრის გარე საცავების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების წილმა 31.7 პროცენტი შეადგინა. მონეტების შემთხვევაში კი, უშუალოდ საკასო ცენტრში დამუშავდა მთლიანი შემოსავლების 53.6 პროცენტი, ხოლო საკასო ცენტრის გარე საცავების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების წილმა 46.4 პროცენტი შეადგინა.

კომერციული ბანკების მიერ შემოტანილი ლარის ბანკნოტების ფურცლობრივი რაოდენობის 3.3 პროცენტს 2016 წლამდე ემისიის ბანკნოტები შეადგენს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მიმოქცევაში ამ ემისიის ბანკნოტების მნიშვნელოვნად შემცირებაზე. შემოტანილი ლარის ბანკნოტების თანხობრივი ხვედრითი წილის 81.4 პროცენტი 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებზე მოდის და შესაბამისად 23.6 და 57.8 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომერციული ბანკებიდან მიღებული იქნა ასევე უცხოური ვალუტის ბანკნოტები - 101.9 მლნ აშშ დოლარისა და 50.7 მლნ ევროს ოდენობით.


ამავე პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკიდან გაცემულმა თანხებმა 9,475.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6.9%-ით აღემატება 2022 წლის ამავე მაჩვენებელს.

გასულმა ეროვნული ვალუტის თანხამ შემოსულ თანხებს 896,2 მლნ ლარით, ანუ 10.3 პროცენტით გადააჭარბა. გაცემული მთლიანი თანხის 98% ბანკნოტებზე მოდის. წლის განმავლობაში, ლარის

ნომინალებს შორის მეტად მოთხოვნადი იყო 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები, რომელთა ხვედრითი წილი, წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებზე გაცემული ლარის ბანკნოტების საერთო თანხის 82.7 პროცენტს შეადგენდა. კვლავ ნაკლებად მოთხოვნადი იყო 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები.

2019-2023 წლებში საკასო ცენტრში შემოსული და საკასო ცენტრიდან გაცემული ლარის ბანკნოტების/მონეტების დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N13.5.

დიაგრამა N 13.5 საკასო ცენტრის შემოსავალ-გასაღები 2019-2023 წლებში.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო წლის განმავლობაში, კომერციული ბანკების მოთხოვნის შესაბამისად, გაცემული იქნა უცხოური ვალუტა - 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. საზღვარგარეთ, შესაბამის საბანკო ანგარიშებზე ასახვის მიზნით, გაგზავნილი იქნა 60.9 მლნ აშშ დოლარი და 65.4 მლნ ევრო.

2023 წელს, საკასო-საემისიო საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, კვლავ ხორციელდებოდა სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობების შეძენა. კერძოდ, შეძენილ იქნა ყალბი ფულის გამოსავლენი 10 ცალი დეტექტორი PF-9007, ბანკნოტების ნეკნების შესაფუთი 7 ცალი მოწყობილობა MUSASHI COM BBF 2. აგრეთვე, განხორციელდა ექსპერტიზისათვის განკუთვნილი ფულადი ნიშნების ლაბორატორიულად შესამოწმებელი კომპლექსური მოწყობილობის „დოკუცენტრი FOSTER+FREEMAN VSC 8000/HS“ შერჩევა, შეძენა, ინსტალაცია და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით თანამშრომლების სწავლება.

დეპარტამენტის ორგანიზებით და შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით განხორციელდა კომერციული ბანკებში ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამუშავება-დახარისხების პროცესების და ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამამუშავებელი ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობების შესწავლა-მონიტორინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დეპარტამენტის შესაბამისმა სპეციალისტებმა.

შესაბამისი ხარისხის მიმოქცევის და საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების უზრუნველსაყოფად:

- შესწავლილი და დამტკიცებულ იქნა პოლონეთის ზარაფხანა „Mennica Polska“-დან მიღებული 20 თეთრის ნომინალის, საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის მეფე ფარნავაზ პირველისა და მეფე ბაგრატ III-ისადმი მიძღვნილი ვერცხლის და ოქროს სასიგნალო მონეტების ნიმუშები.

- განხორციელდა პოლონეთის ზარაფხანა „Mennica Polska“-ს მიერ დამზადებული 20 თეთრის ნომინალის, საკოლექციო დანიშნულების მეფე ფარნავაზ პირველისა და მეფე ბაგრატ III-ისადმი მიძღვნილი 5 ლარის ნომინალის ვერცხლის და ოქროს მონეტების, ასევე ლიეტუვის ზარაფხანა „Lithuanian Mint“-ის მიერ დამზადებული მეფე გიორგი ბრწყინვალისადმი მიძღვნილი 5 ლარის ნომინალის ვერცხლის და ოქროს მონეტების ხარისხის კონტროლი.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ეროვნული ვალუტის ოპტიმალურად მიმოქცევის უზრუნველყოფის, მიმოქცევაში ლარის ბანკნოტების და მონეტების ხარისხის კონტროლისა და მიმოქცევის არხებში მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმების დანერგვის მიზნით, დეპარტამენტში ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა ნაღდი ფულის დამუშავებისა და რეცირკულაციის წესის, ასევე სხვა შესაბამისი რეგულაციების შემუშავების მიმართულებით.

ამასთანავე, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დეპარტამენტმა გააგრძელა მუშაობა ნაღდი ფულის მართვის მოდელის დეცენტრალიზაციის მიმართულებით. ამ მიზნით, მოვიკვლიეთ ნაღდი ფულის მართვის საერთაშორისო გამოცდილებები, ორგანიზება გავუწიეთ შეხვედრებს ავსტრიის, თურქეთისა და ისრაელის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლებთან და ვუმასპინძლეთ ბუნდესბანკის წარმომადგენელს, რომლის ვიზიტის ფარგლებშიც განხილულ იქნა ეროვნული ბანკის ნაღდი ფულის მართვის პოლიტიკა და სამომავლო გეგმები. მან, თავის მხრივ, გაგვიზიარა ნაღდი ფულის მართვის სტრატეგიული საკითხებისადმი ბუნდესბანკის მიდგომები და გაგვაცნო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების მიერ ინტეგრირებული დეცენტრალიზებული მოდელების საუკეთესო პრაქტიკები.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ მომზადდა მოკლე და საშუალო ვადიანი მოქმედებების გეგმა, სადაც გაერთიანდა შესასრულებელი ამოცანების ჩამონათვალი ნაღდი ფულის მართვის დეცენტრალიზებულ მოდელზე ეტაპობრივად გადასვლისთვის, რომელიც წარედგინა ეროვნული ბანკის საბჭოს.

გასული წლის განმავლობაში გრძელდებოდა ფულის ნიშნების ექსპერტიზის სამუშაოები. კერძოდ, ექსპერტიზა ჩატარდა საკასო ცენტრის სალაროებიდან, კომერციული ბანკებიდან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან გამოგზავნილ და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ 6,350 ცალ ფულის საეჭვო ნიშანზე, რომლის შედეგებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები.

ცხრილი N 13.1 2023 წელს შემოტანილი ფულის საეჭვო ნიშნების ექსპერტიზის შედეგები:


	საეჭვო	ყალბი	ნამდვილი	არგადახდითი
ლარის ბანკნოტები	3430	1258	1263	909
ლარის მონეტები	410	370	40	-

აშშ დოლარი	2171	1781	390	–
ევრო	289	113	176	–
სხვა უცხოური ვალუტა	50	40	10	–
სულ	6350	3562	1879	909

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ყალბი ბანკნოტები/მონეტები ნომინალების მიხედვით პროცენტულად შემდეგნაირად აისახება:


დიაგრამა N 13.6 2023 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა გასულ პერიოდთან (2022 წელი) შედარებით შემცირდა 58.1 პროცენტით, ხოლო ევროს ყალბი ბანკნოტების რაოდენობა - 27.6 პროცენტით. ასევე, სხვა უცხოური ყალბი ვალუტის რაოდენობა შემცირდა 62.6 პროცენტით, ხოლო ყალბი დოლარის ბანკნოტების რაოდენობა 9.9 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება ლარის ყალბი მონეტების რაოდენობას, ის 2022 წელთან შედარებით 2.1 პროცენტით შემცირდა. ნომინალების მიხედვით 2019 - 2023 წლების პერიოდში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტებისა და მონეტების რაოდენობას გვიჩვენებს დიაგრამა N13.7 და დიაგრამა N13.8.

დიაგრამა N 13.7 2019-2023 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები



დიაგრამა N 13.8 2019-2023 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულის ნიშნების დამცავი მექანიზმების სწავლების, ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისიანობის განსაზღვრისა და ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სწავლება ჩაუტარდა 210 დაინტერესებულ პირს. აგრეთვე, დამზადდა სწავლებისათვის საჭირო აშშ დოლარის და ევროს ბანკნოტების დამცავი ნიშნების საილუსტრაციო მასალები.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა როგორც საკოლექციო, ისე ნუმისმატიკური დანიშნულების ფასეულობათა რეალიზაცია.

კერძოდ, 2023 წლის განმავლობაში რეალიზებული იქნა 10.8 მლნ ლარის ღირებულების (37.2 ათასი ერთეული) საკოლექციო, ნუმისმატიკური და სხვა სახის სარეალიზაციო პროდუქცია, მათ შორის:

- ნაღდი ფულით შეძენილი იქნა 3.2 მლნ ლარის პროდუქცია;
- პლასტიკური ბარათის მეშვეობით - 4.4 მლნ ლარის პროდუქცია;


- ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით -3.2 ათასი ლარის პროდუქცია;
- წინასწარი ანგარიშსწორებით - 12.9 ათასი ლარის პროდუქცია;
- შემდგომი ანგარიშსწორებით - 8.1 ათასი ლარის პროდუქცია.

საკოლექციო მონეტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წინა, 2022 წელთან შედარებით, 3.8-ჯერაა გაზრდილი, ხოლო ნუმისმატიკური ფასეულობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 37.3-ჯერ შემცირდა.

2019-2023 წლებში რეალიზებული საკოლექციო ფასეულობის დინამიკას გვიჩვენებს **Error! Reference source not found.9.**

საანგარიშო პერიოდში რეალიზებული იქნა 350 ცალი ოქროს ზოდი, მათ შორის 349 ცალი 20 გრამიანი და 1 ცალი ერთ კილოიანი.

დიაგრამა N 13.9 2019-2023 წლებში რეალიზებული ფასეულობა (ერთეული)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქართული ფულის ისტორიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის განვითარებისა და მისი ძირითადი საქმიანობის გაცნობის მიზნით, ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი, საზოგადოებას საგანმანათლებლო კურსებს სთავაზობდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმს 4098 ვიზიტორი (მათ შორის 3963 ადგილობრივი და 135 უცხოელი) ესტუმრა.

2023 წლის განმავლობაში ფულის მუზეუმში 110 საგანმანათლებლო ტური (ექსკურსია) ჩატარდა, რომელიც ქართული ნუმისმატიკის მიმოხილვას და უშუალოდ ექსპონატების დათვალიერებას მოიცავდა. კურსი 1723 მოსწავლემ და 132 პედაგოგმა მოისმინა.

2023 წლის მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ფულის მუზეუმმა გამოფენას „ქართული ფულის (1919-1921) დამზადების ისტორია“ უმასპინძლა. გარდა ამისა 2023 წლის 8 ნოემბერს, ბანკირის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გაიმართა დროებითი გამოფენა, რომელზეც დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა 1919-1921 წლის პერიოდის

სახაზინო ვალდებულებებსა და ფულის ნიშნებს, ასევე, ქართულ საბანკო-საფინანსო აქციებსა და დოკუმენტებს.

ნორმატიული ბაზის დახვეწა-სრულყოფის მიმართებით გაწეული სამუშაოები:

საანგარიშო პერიოდში ნორმატიული ბაზის დახვეწა-სრულყოფის მიმართებით გაწეული სამუშაოებიდან აღსანიშნავია:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ფასეულობის რეალიზაციის პროცესის სრულყოფა-დახვეწისა და ამ საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 30 ნოემბრის N10 დადგენილებით დამტკიცდა ახალი „ლარის ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდებისა და ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაციის წესი“. მოქმედი წესისგან განსხვავებით, სხვა ცვლილებებთან ერთად შეიცვალა და დაიხვეწა ოქროს ზოდების სარეალიზაციო ფასის გაანგარიშების მეთოდი. კერძოდ კი, იმის გათვალისწინებით, რომ ოქროს ზოდებიც საინვესტიციო პროდუქტია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მათი სარეალიზაციო ფასის განსაზღვრაც მოხდეს საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო მონეტების ანალოგიურად, დღეში ერთხელ, „ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზრის ასოციაციის“ ვებგვერდზე წინა დღის მეორე ნახევარში (ლონდონის დროით 15:00 საათზე) 1 უნცია ოქროზე აშშ დოლარით დაფიქსირებული ფასით და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლის ოფიციალურად მოქმედი კურსის მიხედვით.

საკოლექციო დანიშნულების მონეტები

საქართველოს ეროვნული ბანკი, ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვებაზე მუშაობას განაგრძობდა.

საანგარიშო პერიოდში გამოშვებულ იქნა შემდეგი საკოლექციო დანიშნულების მონეტები: ვახტანგ გორგასალი (სერიიდან „საქართველოს მეფეები“)

საანგარიშო პერიოდში დასრულდა მეფე ვახტანგ გორგასალის თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის მონეტების სრული ოდენობის მოწოდება და მათი რეალიზაცია.

გიორგი ბრწყინვალე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“)

2023 წელს დასრულდა მეფე გიორგი ბრწყინვალეს თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) საკოლექციო დანიშნულების 1200 ცალი ოქროს და 6500 ცალი ვერცხლის მონეტების დამზადება ლიეტუვის ზარაფხანაში. საანგარიშო პერიოდში მოხდა მათი სრული ოდენობის მოწოდება და გამოშვება-რეალიზაცია.



დიზაინი: შმაგი ბურდული

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს მეფე გიორგი ბრწყინვალეს გამოსახულება, მას ერთ ხელში სასწორი უჭირავს, როგორც მის მიერ გატარებული სამართლის რეფორმის სიმბოლო (აღნიშნული დეტალი ვერცხლის მონეტაზე მოოქროვილია), მეორე ხელში კი - გრაგნილი, რომელზე „ძეგლის დადების“ დასაწყისი ტექსტია დატანილი. მონეტაზე, ასევე, დატანილია წარწერა „გიორგი ბრწყინვალე“ და მისი მეფობის წლები „1299 – 1346“.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს გიორგი ბრწყინვალეს გვირგვინის გამოსახულება (რომლის შექმნისას გამოყენებულია ბაგრატიონთა სამეფო გვირგვინის და XV ს-ის ფსალმუნის ქართული ხელნაწერის მინიატურების დეტალები) მონეტაზე დატანილია წარწერები: „5 ლარი“, ასევე, „საქართველო“, „2023“, „GEORGIA“, რომელთა შორის გამოსახულია მეფის სამოსზე არსებული ორნამენტი ავერსიდან.

ბაგრატ მესამე და ფარნავაზ პირველი (სერიიდან „საქართველოს მეფეები“)

2023 წელს დასრულდა მეფე ბაგრატ მესამესა და ფარნავაზ პირველის თემებზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) საკოლექციო დანიშნულების 4500-4500 ცალი ვერცხლისა და 700-700 ოქროს მონეტების დამზადება პოლონეთის ზარაფხანაში, მათი სრული ოდენობის მოწოდება და გამოშვება-რეალიზაცია.

მონეტა ბაგრატ მესამე:



დიზაინი: მარიამ ჩაჩანიძე და შორენა ჩაჩანიძე

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს მეფე ბაგრატ მესამეს ფიგურა ეკლესიის მოდელით ხელში, რომლის გამოსახულება შემორჩენილია ბედიის ტაძარში. მარცხენა ნაწილში გამოსახულია ბედიის ბარძიმი, რომელიც მეფე ბაგრატ მესამემ და მისმა დედამ გურანდუხტ დედოფალმა მათ მიერ აგებულ ბედიის ტაძარს შესწირეს (ვერცხლის მონეტაზე აღნიშნული დეტალი მოოქროვილია). მეფის სამოსზე გამოყენებულია XI საუკუნის ქართული ქსოვილის ნიმუშები. ასევე, გამოსახულია ძვირფასი თვლები, ყველა თვალზე საჭედურებით. ავერსზე, ასევე, დატანილია წარწერა „ბაგრატ III“ და მისი მეფობის წლები - „975 – 1014“.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ბაგრატ მესამეს გვირგვინის გამოსახულება, რომელიც აღებულია ბედიის ტაძრის ფრესკიდან. რევერსზე დატანილია წელი - „2023“, ხოლო წრიულად - წარწერები: „5 ლარი“, „საქართველო“, „GEORGIA“, რომელთა შორის გამოსახულია ბედიის ტაძრის ორნამენტები.

მონეტა ფარნავაზ I:



დიზაინი: მარიამ რუსიშვილი (ავერსი), გიორგი (გენადი) გეგელია (რევერსი).

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს მეფე ფარნავაზ პირველის გამოსახულება გრაგნილით (ვერცხლის მონეტაზე ეს დეტალი მოოქროვილია) ხელში და მეფის სახელწოდების აღმნიშვნელი ასომთავრული წარწერით, რომელიც აღებულია მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილის მიერ შექმნილი ბარელიეფიდან. ავერსზე, ასევე, დატანილია წარწერა „ფარნავაზ I“, მისი მეფობის ეპოქა - „ძვ.წ. IV-III სს“ და ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“ ფარნავაზ პირველის შესახებ: „ამან შექმნა მწიგნობრობად ქართული“, რომელთა შორის გამოსახულია ქართული ხელნაწერის ორნამენტის ფრაგმენტები.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ფარნავაზ პირველის ანბანის გამოსახულებით შექმნილი გვირგვინი. რევერსზე დატანილია ნომინალი „5 ლარი“, ხოლო წრიულად - წარწერები: „საქართველო“, „GEORGIA“, „2023“.

ლარის 30 წლის იუბილე

საანგარიშო პერიოდში დაიწყო მზადება 2025 წლისათვის ლარის 30 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საკოლექციო დანიშნულების მონეტებისა და ბანკნოტის გამოშვების მიმართულებით. მათ შორის:

- ✓ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ამ თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ოქროს, ვერცხლის და სპილენძ-ნიკელის მონეტების გამოსაშვებად. ამ მიზნით გამოცხადდა ღია კონკურსი, შეირჩა შესაბამისი ესკიზები და მონეტების დასამზადებლად წარმართა პარტნიორის შერჩევის პროცედურები. ამჟამად მიმდინარეობს პარტნიორი საწარმოს შერჩევა-დამტკიცების პროცესი.

- ✓ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, აგრეთვე, ამ თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის გამოსაშვებად. ამ მიზნით გამოცხადდა ღია კონკურსი შესაბამისი დიზაინის ესკიზების შესარჩევად.

14. შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა

14.1. შიდა აუდიტი

საქმიანობის დაგეგმვა

საანგარიშო წლის დასაწყისში, რისკზე დაფუძნებული აუდიტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის გამოყენებით, შემუშავდა და სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნა შიდა აუდიტის სამსახურის მარწმუნებელი მომსახურების გეგმა 2023 წლისათვის. ასევე, მომზადდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის გეგმა, საკონსულტაციო მომსახურების გეგმა და საორიენტაციო, გრძელვადიანი გეგმა.

რისკზე დაფუძნებული შიდა აუდიტის თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, ორგანიზაციის „რისკის მომწიფებულობის“ განახლებული შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შენარჩუნდა არსებული კატეგორია - „მართვადი“. აღნიშნული იძლეოდა შესაძლებლობას შერჩეულიყო შიდა აუდიტის შესაბამისი სტრატეგია: გასცეს რწმუნება რისკის მართვის პროცესისა და საპასუხო კონტროლების ეფექტურობაზე, კონსულტაცია გასწიოს რისკის მართვის გაუმჯობესების საკითხებზე, დაგეგმვისას გამოიყენოს საოპერაციო მენეჯმენტის შეხედულებები და შეფასებები რისკების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის სამსახურის მარწმუნებელი საქმიანობის გეგმა უმთავრესად დაეყრდნო სეზონის რისკების რეესტრის მონაცემებს. ამასთან, 2023 წლის გეგმის შედგენის პროცესში, აუდიტის ობიექტების პრიორიტეტიზაციის დროს, მხედველობაში იქნა მიღებული: ობიექტის რისკის რეიტინგი, ბოლო აუდიტის განხორციელების თარიღები, წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგების მიხედვით მინიჭებული შეფასებები და აუდიტის ციკლი.

დაგეგმვის დინამიური პრინციპის გათვალისწინებით, განხორციელდა სამუშაო გეგმის ექვსთვიანი ინტერვალით გადახედვა. კერძოდ, გაანალიზდა აუდიტის უნივერსში შემავალი ობიექტების რისკების შეფასებები სეზონის რისკის კონსოლიდირებული რუკის მიხედვით, 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. აუდიტის ობიექტების რისკის ბარათის საწყისი რისკის ქულები და იდენტიფიცირებული რისკების რაოდენობა შეუდარდა 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ანალოგიურ მონაცემებს. განახლებული რისკის ბარათების დამუშავებით მიღებული რისკის რეიტინგის მიხედვით, არსებითი სახის ცვლილებები არ გამოვლენილა.

შიდა აუდიტის სამსახური პერიოდულად ახორციელებს აუდიტის ობიექტების ნუსხის (Audit Universe) გადახედვას. აღნიშნულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებაში განხორციელებული ცვლილებების, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასა და საქართველოს ეროვნული ბანკის მფლობელობაში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესში მოცემული საკითხების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდშიც, შესაბამისი ცვლილებები შევიდა აუდიტის ნუსხაში. კერძოდ, დაემატა ცხრა აუდიტის ობიექტი და ამასთან, ცვლილებები შეეხო აუდიტის უნივერსში უკვე არსებული ობიექტების გადაადგილებას ახლად ჩამოყალიბებული დეპარტამენტების მიხედვით. აუდიტის ნუსხასთან დაკავშირებული ცვლილებები განხილულ იქნა რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტთან და წარედგინა სეზონის ხელმძღვანელობას.

მარწმუნებელი მომსახურება

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა 2023 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 27 აუდიტი/მიმოხილვა:

აუდიტის ობიექტი
1. რეზერვების და არქივების მართვა
2. ფულისა და ფასეულობების ინკასაცია
3. საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემის აპლიკაციური კონტროლი (SWIFT)
4. სსფ-თვის მიწოდებული მონეტარული მონაცემების (წსრ ⁸³) შესაბამისობის მიმოხილვა
5. კომერციული ბანკების რეზოლუციის პროცესი
6. არასაბანკო დაწესებულებების AML ინსპექტირება
7. საკოლექციო ბანკნოტების/მონეტების, საინვესტიციო მონეტებისა და ოქროს ზოდების რეალიზაცია
8. ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
9. ქსელური ინფრასტრუქტურის მართვა
10. ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიული დაგეგმარება და ინვესტირების მართვა
11. დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის აპლიკაციური კონტროლი (RTGS)
12. სსფ-თვის მიწოდებული მონეტარული მონაცემების (წსრ) შესაბამისობის მიმოხილვა
13. კომერციული ბანკების და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების AML ინსპექტირება
14. ინვესტიციებისა და ანგარიშსწორების სისტემების მართვა და განვითარება
15. საკასო ცენტრში არსებული ფულისა და ფასეულობების ნაშთების აღრიცხვის ოპერაციები
16. სსფ-სთვის მიწოდებული მონეტარული მონაცემების (წსრ) შესაბამისობის მიმოხილვა

⁸³ წმინდა საერთაშორისო რეზერვები

17. სეზ-ის მიმდინარე პროექტები („მყისიერი გადახდების სისტემის“ დანერგვის პროექტი)
18. საზოგადოებასთან ურთიერთობა
19. სახელმწიფო საიდუმლო დოკუმენტბრუნვა
20. საერთაშორისო ანგარიშსწორება
21. სასამართლოებში წარმომადგენლობა
22. დაზიანებული და მოძველებული ფულის განადგურების პროცესი
23. პირველი ექვსი თვის ფინანსური ანგარიშგება
24. საერთაშორისო რეზერვების მართვის ოპერაციები
25. მესამე მხარის სერვისების მართვა
26. ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა
27. სსფ-თვის მიწოდებული მონეტარული მონაცემების (წსრ) შესაბამისობის მიმოხილვა

საკონსულტაციო მომსახურება

საანგარიშო პერიოდში, საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება ითვალისწინებდა ორგანიზაციის რისკის მართვის სისტემის განვითარებასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახური, კონკრეტულ მომენტში არსებული რესურსების გათვალისწინებით, აწარმოებდა საკონსულტაციო მომსახურებას, სეზ-ის სტრუქტურული ერთეულების მომართვის კვალობაზე, სხვადასხვა საკითხებთან თუ პროცედურული დოკუმენტის პროექტთან მიმართებაში, მოსაზრებისა და კომენტარების მომზადების გზით.

დამოუკიდებელი შეფასება

SWIFT Customer Security Programme-ით და Independent Assessment Framework გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა აუდიტის სამსახურმა, სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში განახორციელა SWIFT Customer Security Controls Framework v2023-ით განსაზღვრული სავალდებულო და რეკომენდებული კონტროლების შესაბამისობის შეფასება.

შეფასების პროცესის დასრულების შემდგომ მომზადდა SWIFT CSP-ის შეფასების შედეგების ამსახველი ელექტრონული ფაილი და მიეწოდა პროცესის მესაკუთრე დეპარტამენტს. ასევე, SWIFT-ის სტანდარტიზებული ფორმის მიხედვით მომზადდა შეფასების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარედგინა სეზ-ის ხელმძღვანელობას.

რეკომენდაციების მონიტორინგი

შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებდა აუდიტის შედეგად გაწეული რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესს. საანგარიშო პერიოდში, სამჯერ განხორციელდა სეზ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის გადამოწმება - Follow-up აუდიტი. მონიტორინგის წლიური შედეგები განხილულ იქნა აუდიტის კომიტეტის სხდომაზე.

მონიტორინგის პროცესი განხორციელდა აუდიტის მართვის სისტემის მეშვეობით, რომელიც იძლევა აუდიტის ობიექტის მესაკუთრეთა მიერ ინფორმაციის განახლების, შესაბამისი მტკიცებულებების ატვირთვის და სისტემაში განთავსებული ინფორმაციის კონსოლიდირების შესაძლებლობას. Follow-up აუდიტის პროცესში, ცალკეული სტრუქტურული ერთეულის რეკომენდაციების მონიტორინგზე პასუხისმგებელი შიდა აუდიტორების მიერ, გადამოწმდა აქტიური რეკომენდაციები და განახლდა სტატუსები.

ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდში, მომზადდა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც წარედგინა როგორც სეზ-ის წლიური ანგარიშის კონსოლიდაციაზე პასუხისმგებელ დეპარტამენტს და სეზ-ის ხელმძღვანელობას, ასევე, განხილულ იქნა აუდიტის კომიტეტის სხდომაზე. აღნიშნული ანგარიში განხილულ იქნა სეზ-ის საბჭოს სხდომაზეც. გარდა ამისა, სეზ-ის ხელმძღვანელობისთვის მომზადდა შუალედური ანგარიში. ასევე, ინფორმაცია შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წარედგინა აუდიტის კომიტეტის ახალ შემადგენლობას.

ურთიერთობა აუდიტის კომიტეტთან

საანგარიშო პერიოდში, იმართებოდა სამუშაო შეხვედრები აუდიტის კომიტეტთან. აუდიტის კომიტეტის სხდომის ფარგლებში, შიდა აუდიტის სამსახურმა წარადგინა:

- ინფორმაცია შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ;
- შიდა აუდიტის სამსახურის შემაჯამებელი ანგარიში 2022 წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ;
- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებული ინდივიდუალური აუდიტების პრეზენტაცია;
- შას-ის განაცხადი ორგანიზაციული დამოუკიდებლობის თაობაზე („სტანდარტი - 1110 ორგანიზაციული დამოუკიდებლობა“ - შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) მიერ გამოცემული შიდა აუდიტის პროფესიული საქმიანობის ჩარჩო (IPPF));
- ინფორმაცია შიდა აუდიტის სამსახურის მიერ სეზ-ის სტრუქტურული დანაყოფებისადმი გაწეული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის შესახებ 2023 წლის 31 იანვრის მდგომარეობით;
- შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასების ანგარიში;

- სეზ-ის საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტის სხდომის აუდიო ჩაწერისა და ოქმის მომზადების საკითხები;
- შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა და ინფორმაცია სამხაზიანი მოდელის თაობაზე;
- ინფორმაცია შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს განხორციელებული ინდივიდუალური აუდიტების განხილვა.

ამასთან, აუდიტის კომიტეტის სხდომაზე, სეზ-ის შესაბამისი პასუხისმგებელი დეპარტამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით, განხილულ იქნა:

- საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ინფორმაცია რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ;
- რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტის ანგარიში არა-ფინანსური რისკების ნარჩენი დონის, სეზ-ის რისკის მისაღებ დონესთან შესაბამისობის შესახებ და ეროვნული ბანკის საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის №29 განკარგულება „საქართველოს ეროვნული ბანკის რისკის მისაღები დონის დამტკიცების შესახებ“.

გარდა ამისა, შედგა შეხვედრები აუდიტის კომიტეტსა და სეზ-ის გარე აუდიტორული კომპანია „KPMG“-ის წარმომადგენლებს შორის და განხილულ იქნა:

- ინფორმაცია აუდიტორული კომპანია „KPMG“-ის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაწყებისა და მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ;
- აუდიტორული კომპანია „KPMG“-ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.

კომუნიკაცია გარე მხარეებთან

არსებული პრაქტიკის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურს შესაბამისი კომუნიკაცია ჰქონდა გარე აუდიტორულ კომპანია „KPMG Georgia“-ს წარმომადგენლებთან, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) აუდიტის ფარგლებში. გარე აუდიტორს წარედგინა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტები (შას-ის პროცედურული დოკუმენტები, 2022 წლის გეგმით გათვალისწინებული შიდა აუდიტის ანგარიშები, რეკომენდაციების მონიტორინგის ანგარიშები და ა.შ.).

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სეზ-ის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ISO 27001 სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატის საკონტროლო აუდიტი. აღნიშნულ პროცესში, შესაბამისი მონაწილეობა მიიღო შიდა აუდიტის სამსახურმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის Safeguards Assessment-ის მისიასთან (2022წ.) საკონტაქტო მხარეს სეზ-ის მხრიდან წარმოდგენდა შიდა აუდიტის სამსახური. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდშიც,

შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებდა სსფ-ს Safeguards Assessment-ის საბოლოო ანგარიშის საფუძველზე, მისიის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სსფ-ს „სეიფგარდის“ განყოფილებისთვის, მოთხოვნის კვალობაზე.

ნიდერლანდების ცენტრალურ ბანკთან ერთობლივი სემინარი

საქართველოს ეროვნულ ბანკისა და ნიდერლანდების ცენტრალური ბანკის შიდა აუდიტის სამსახურებს შორის ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წლის ოქტომბერში, საქართველოს ეროვნული ბანკის მასპინძლობით, საერთაშორისო სემინარი გაიმართა თემაზე - „შიდა აუდიტი მმართველობით კონტექსტში“. ასეთი სახის ერთობლივი ღონისძიება მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა და პროფესიონალებს შიდა აუდიტის სფეროს აქტუალურ თემებზე, ცოდნის გაზიარებასა და კომუნიკაციის გაღრმავებას კოლეგებს შორის. სემინარის სპიკერები იყვნენ ნიდერლანდების ცენტრალური ბანკის ექსპერტები. ღონისძიების ფარგლებში, შეხვედრის ცალკეული სესიები ისეთი მნიშვნელოვანი თემების განხილვას დაეთმო, როგორებიცაა: მმართველობა და მისი არსი, რისკის მართვა და კულტურა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა, მმართველობითი პროცესების აუდიტი, გარემოს დაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები და სხვა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ბელგია-ნიდერლანდების ჯგუფში შემავალი ქვეყნების, ასევე, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სხვადასხვა ქვეყნის, 12 ცენტრალური ბანკის შიდა აუდიტორები. ასევე, საქართველოში შიდა აუდიტის პროფესიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომერციული ბანკებისა და სამინისტროების შიდა აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებიც. ეროვნული ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც ღონისძიების საორგანიზაციო საკითხებში, ასევე სემინარის პროცესში გამართულ დისკუსიებში.

თანამშრომლობა სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან

შიდა აუდიტის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო სებ-ში უზბეკეთის ცენტრალური ბანკის თანამშრომელთა სასწავლო ვიზიტში და გააცნო მათ შიდა აუდიტის საქმიანობის არსებული პრაქტიკა და გაუზიარა გამოცდილება.

ასევე, შიდა აუდიტის სამსახურმა გამართა სამუშაო შეხვედრა სომხეთის ცენტრალური ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებთან, ორგანიზაციაში სამხაზიანი მოდელის დანერგვასთან და შიდა აუდიტის მიმართულებით ამ მოდელის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ნიდერლანდების ცენტრალურ ბანკის წარმომადგენელთა ვიზიტის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრის ფორმატით, შიდა აუდიტის სამსახურმა ჰოლანდიელ კოლეგებს გააცნო ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განხორციელების არსებული პრაქტიკა.

2023 წელს შიდა აუდიტის სამსახური მიღებულ იქნა მონაცემთა ანალიზის სამუშაო ჯგუფში - Central Bank Data Analytics Working Group (CBDAWG), რომელშიც შედიან კანადის, შვეიცარიის, ნიდერლანდების, მაროკოს, გერმანიისა და საფრანგეთის ცენტრალური ბანკების შიდა აუდიტორები. ოქტომბერში შედგა პირველი შეხვედრა (online-პლატფორმით), რომლის

ფარგლებშიც მოხდა სებ-ის შიდა აუდიტორთა წარდგენა, მრგვალი მაგიდის ფორმატით საკითხების განხილვა, 2024 წლის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა, მონაცემთა ანალიზის მიმართულებით მიმდინარე გამოწვევებსა და მიღწევებზე დისკუსია, ცენტრალურ ბანკებში ხელოვნური ინტელექტის (AI) და მანქანური სწავლების (ML) დანერგვის პერსპექტივების განხილვა და სხვ.

შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება

შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, 2022 წელს განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხის დამოუკიდებელი, სრული გარე შეფასება, რომლის შედეგების მიხედვით შიდა აუდიტის სამსახურს კვლავ შეფასების უმაღლესი კატეგორია - „შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო ჩარჩოსთან და ეთიკის კოდექსთან ზოგადად შესაბამისი (Generally Conforms with International **Professional** Practice Framework (IPPF) and the Code of Ethics of the Institute of Internal Auditors (IIA))“ მიენიჭა და გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. გარე შეფასების შედეგების ანგარიში (28 დეკემბერი, 2022წ.) წარედგინა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას და განხილულ იქნა აუდიტის კომიტეტის სხდომაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურმა მოამზადა და ხელმძღვანელობას წარუდგინა შეფასების ანგარიშით გაწეული რეკომენდაციების მიხედვით შემუშავებული ღონისძიებების გეგმა.

შიდა აუდიტის სტრატეგიული მიზნები

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები შიდა აუდიტის სამსახურის 2021-2023 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების რეალიზების მიმართულებით. კერძოდ, მოხდა შიდა აუდიტისა და რისკის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, რეალურ დროში აუდიტისა და მონაცემთა ანალიზის პროცესის განვითარების კუთხით, შიდა აუდიტის სამსახური გაწევრიანდა ცენტრალური ბანკების სამუშაო ჯგუფში (Central Bank Data Analytics Working Group), განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურის მოდერნიზაცია და დისტანციური შიდა აუდიტის ოპტიმიზაცია.

პროფესიული განვითარება

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები აგრძელებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა სემინარებსა და ტრენინგებში, პარტნიორი ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში. საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტორთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე დახარჯულმა დრომ (CPE) შეადგინა 548 საათი (21 ტრენინგი). აღსანიშნავია, რომ 2023 წელს BSI-ს ტრენინგის და გამოცდის საფუძველზე, ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ მიღებულ იქნა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის წამყვანი აუდიტორის სერტიფიკატი (CQA and IRCA Certified ISO/IEC 27001:2022 Information Security Management System (ISMS) Lead auditor).

მეთოდოლოგიური საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურმა, უსაფრთხოების დეპარტამენტთან კონსულტაციით, შეიმუშავა შიდა სარგებლობის ინსტრუქცია „სახელმწიფო საიდუმლოების კატეგორიის ინფორმაციის შემცველი აუდიტის ობიექტებთან დაკავშირებული შიდა აუდიტის

პროგრამის, ანგარიშის, აქტისა და მოხსენებითი ბარათის მომზადებისა და შენახვის“ შესახებ, რომელიც წარედგინა სეზ-ის ხელმძღვანელობას და მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ. დოკუმენტის შემუშავება მიზნად ისახავდა იმ საფეხურებისა და პროცედურების ფორმალიზებას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ შიდა აუდიტორებმა „სახელმწიფო საიდუმლოების“ კატეგორიის ინფორმაციასთან დაკავშირებული შიდა აუდიტის განხორციელების პროცესში.

სტრუქტურის ცვლილება

შიდა აუდიტის სამსახურმა, დაგროვილი გამოცდილებისა და სხვა ცენტრალური ბანკების მიერ გამოყენებული პრაქტიკის ანალიზის კვალობაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული მიზნებისა და შიდა აუდიტის პროფესიული სფეროს თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების შესაბამისად, მოახდინა სამსახურის სტრუქტურული ცვლილებების ინიცირება. სტრუქტურის ოპტიმიზაცია მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიმართულების განვითარებას და მეორე მხრივ, ფინანსური და ოპერაციული აუდიტის მიმართულების გაძლიერებას, კონკრეტულ და სპეციფიკურ საკითხებზე რესურსების კონცენტრაციას. შესაბამისად, დებულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 2022 წლის ბოლოსათვის სამსახურის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა ორი განყოფილება - ოპერაციული და ფინანსური აუდიტის განყოფილება და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განყოფილება. 2023 წლის დასაწყისში მოხდა აღნიშნული განყოფილებების დაკომპლექტება სამსახურის არსებული რესურსებით და ასევე, დამატებით გამოცხადდა რამდენიმე კონკურსი ვაკანტურ პოზიციებზე.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი მიმართულების განვითარების ხელშეწყობისთვის, რომელიც გულისხმობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სპეციალური, რიგგარეშე დავალებების შესრულებას, 2023 წელს განხორციელდა კიდევ ერთი სტრუქტურული ცვლილება. კერძოდ, კონკრეტულ და სპეციფიკურ საკითხებზე რესურსების კონცენტრაციისათვის, შეიქმნა ქვედანაყოფი, რომელიც ფოკუსირდება ასეთი ტიპის საქმიანობაზე და განხორციელებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის საგანგებო დავალებებს, სპეციალურ აუდიტს, შეთანხმებული პროცედურებით გათვალისწინებულ მიმოხილვას და მოახდენს შესაბამისი შედეგების ანგარიშგებას. ახალი სტრუქტურული ერთეული, ასევე უზრუნველყოფს დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისთვის საჭირო მეთოდოლოგიისა და პროცედურების შემუშავებას.

14.2. არაფინანსური რისკების მართვა

ეროვნულ ბანკს დანერგილი აქვს რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო, რომელიც არაფინანსური რისკების (საოპერაციო და რეპუტაციული) იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასების, საპასუხო ღონისძიებების განსაზღვრის, მონიტორინგის და ანგარიშგების ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომას აყალიბებს. ჩარჩო ეფუძნება როგორც COSO ERM, ისე ISO 31000 სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პროცესის ეფექტურობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი რისკების მართვის „სამ-ხაზიან მოდელს“ იყენებს, რომელიც ბანკის სხვადასხვა რგოლებს შორის, ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილებას და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს. დაცვის პირველ ხაზს სტრუქტურული ერთეულები (რისკის მფლობელები) წარმოადგენენ, მეორე ხაზს - რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი, ხოლო მესამე ხაზს - შიდა აუდიტის სამსახური.

რისკების მართვის ჩარჩოს შესაბამისად, 2023 წელს, რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი აგრძელებდა ბანკის პროცესებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას, იდენტიფიცირებული რისკების ალბათობის, ზეგავლენის, კონტროლის მექანიზმების, გარე და შიდა მოვლენების ცვლილებების გათვალისწინებით, ბანკის რისკების რეესტრის მუდმივად განახლებას. რისკების შეფასების პროცესის წარმართვისთვის, ბანკის თითოეულ ფუნქციასთან მიმართებაში, ბანკი რისკებისა და კონტროლების თვითშეფასების (Risk and Control Self-Assessment) მეთოდს იყენებს.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მოქმედი მოდელების რისკის მართვის ჩარჩოს შესაბამისად, ბანკში შექმნილია მოდელების რეესტრი, რომელიც აღწერს თითოეულ მოდელთან დაკავშირებულ პარამეტრებს, მათ შეფასებასა და რისკის დონეს. 2023 წელს გრძელდებოდა მუშაობა მოდელების სტანდარტიზებული ფორმით დოკუმენტირებისა და არაფინანსური რისკების იდენტიფიცირების და მათი რისკების რეესტრში ასახვის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საოპერაციო რისკების მართვის კიდევ ერთი ინსტრუმენტის - ინციდენტების მართვის სისტემის გამოყენება. მისი მიზანია, ბიზნეს-პროცესებთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიკაცია, დაფიქსირება, ანალიზი, სუსტი მხარების გამოვლენა და გაუმჯობესების გზების პოვნა მისი განმეორებით მოხდენის შესამცირებლად.

ეროვნული ბანკის პროცესების სწორი ადმინისტრირების, ამ პროცესების ფორმალიზების და კორპორატიული მეხსიერების შენარჩუნების მიზნით, ეროვნული ბანკი შიდა პროცედურებს შეიმუშავებს. მიმდინარე წელს, არსებული შიდა პროცედურების განახლებისა და ახალი პროცედურების შემუშავების პროცესი აქტიურად გრძელდებოდა. აღნიშნული, თავის მხრივ, რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩოს მხარდაჭერის, ადეკვატური შიდა კონტროლის გარემოს შექმნისა და შენარჩუნების ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო არაფინანსური რისკების მისაღები დონის (რისკის მადა) განსაზღვრას მოიცავს. რისკის მისაღებ დონეს ეროვნული ბანკის საბჭო ყოველწლიურად ადგენს. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს არაფინანსური რისკების მიმართ კონსერვატიული მიდგომა აქვს და დადგენილი მისაღები დონე დაბალი რისკის ზონაშია მოქცეული. მისაღებ დონესთან

შესაბამისობისა და შენარჩუნების მიზნით, ეროვნული ბანკი ადეკვატური მოცულობის რესურსებს გამოყოფს და ბანკის შიდა კონტროლის გარემოს მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნავს.

ბანკში რისკის კულტურის ამაღლების მიზნით, ეროვნული ბანკის თანამშრომელთა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის, რისკების და ინციდენტების მართვის, ბანკში მოქმედი შესაბამისი წესების, პროცედურების და სისტემის გამოყენების თაობაზე 2023 წელს ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები.

14.3. ბიზნესის უწყვეტობის მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის წარმომადგენელი ორგანიზაცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი სერვისების უწყვეტობას.

ეროვნული ბანკი მუდმივად გეგმავს, ახორციელებს და მონიტორინგს უწევს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რომლებიც მისი კრიტიკული სერვისების უწყვეტ მიწოდებასა და ზოგადად ბანკის რეზისტენტულობის ამაღლებას უწყობს ხელს. 2023 წელს, გრძელდებოდა მუშაობა ადამიანური, ტექნოლოგიური და ლოჯისტიკური რესურსების მზაობის შემოწმების მიზნით და შესაბამისი ტესტირებებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების განხორციელების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზის (Business Impact Analysis-BIA) განხორციელების პროცესი, რაც გულისხმობს ბანკის კრიტიკული სერვისების პროცესებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. იგი საშუალებას იძლევა დადგინდეს კრიტიკული სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ტექნიკური, ადამიანური და ლოჯისტიკური რესურსი, მოხდეს იმ მესამე მხარეების იდენტიფიცირება, რომლებიც ჩართულნი არიან კრიტიკული სერვისების მიწოდების პროცესში, მოხდეს იმ პოტენციური საფრთხეების შეფასება, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს სერვისების მიწოდების წყვეტა ან შეფერხება, ასევე განსაზღვროს ის მინიმალური დრო, რომლის მიმართაც ბიზნესს გააჩნია ამტანობა სერვისის წყვეტასთან მიმართებაში და დროის შუალედი, რომელიც ამ სერვისის ტექნიკური აღდგენისათვის არის სავალდებულო.

2023 წელს ჩატარდა ტრენინგები, რომლებიც თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების და კრიზისული სიტუაციების მართვის კოორდინირების გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული.

15. საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან აქტიური და ეფექტური კომუნიკაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტია. კომუნიკაციის პოლიტიკის მთავარი მიზანი საქართველოს ეროვნული ბანკის კომუნიკაციის გამჭვირვალობის, მკაფიოობის და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაა. სწორედ, ამ პოლიტიკით განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის კომუნიკაციის სანდოობა და კომუნიკაციის სტრატეგიის სათანადო ყურადღებით მომზადება.

ამ თვალსაზრისით 2023 წელს კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა საკომუნიკაციო აქტივობები. ეროვნულმა ბანკმა თავისი საკომუნიკაციო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად სტრუქტურული ცვლილება განახორციელა, სადაც პრეზიდენტის აპარატს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილება გამოეყო და ორ სტრუქტურულ ერთეულად: სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტებად ჩამოყალიბდა.

2023 წელს, საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, მოსალოდნელი შედეგები, საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანები და მის მიერ გატარებული პოლიტიკა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის გუნდმა არაერთი შეხვედრა გამართა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, რათა კიდევ უფრო დეტალურად აეხსნა იმ გადაწყვეტილებებისა და ნაბიჯების შესახებ, რომელიც მანდატის ფარგლებში განხორციელდა. ამასთან ერთად, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის აქტივობები, საზოგადოებას ეროვნული ბანკის ციფრული არხების გამოყენებით შესაძლებლობა ჰქონდა უწყვეტ რეჟიმში გაცნობოდა ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის გამოქვეყნებასთან ერთად, ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ტარდებოდა პერიოდული შეხვედრები ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან, მზადდებოდა მოკლე ვიდეო-რგოლები, სადაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებდა გამოქვეყნებული ანგარიშის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ასევე, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში რეგულარულად ქვეყნდებოდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის პრეზენტაციის ვიდეო ჩანაწერი და მოკლე, საინფორმაციო ვიდეოები ფინანსური სტაბილურობის და მონეტარული პოლიტიკის ანგარიშების შესახებ.

გამჭვირვალობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, სწორედ ამ მიზნით, ეროვნული ბანკი პერიოდულ გამოცემებსა და თემატურ პუბლიკაციებს ამზადებს. ყოველთვიურად გამოიცემოდა - „თვის მიმოხილვა“, „მაკროეკონომიკური მიმოხილვა“ და „ყოველთვიური ბალანსები“, ასევე,

ანალიტიკური ანგარიშები „ფინანსური სექტორის ინდიკატორები“, „მიმდინარე მაკროეკონომიკური ინდიკატორები“, ყოველ კვარტალში - „მონეტარული პოლიტიკის ანგარიში“. ოპერატიულად ქვეყნდებოდა სტატისტიკური მონაცემები და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პრესრელიზები; გამოიცა წლიური ანგარიში (2022). გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე - <https://nbg.gov.ge/publications>.

ეროვნული ბანკის ვებგვერდს ყოველდღიურად უამრავი მომხმარებელი სტუმრობს, მათ შორის: საფინანსო სექტორის, აკადემიური წრის წარმომადგენლები, მედია, დარგის ექსპერტები, ანალიტიკოსები, ნუმისმატები, სტუდენტები და სხვა. ინფორმაციას რეგულარულად ეცნობიან არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც - უცხოელი პარტნიორები, ინვესტორები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები და სხვა. 2023 წლის განმავლობაში კი, სებ-ის ოფიციალური ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა, ფაქტობრივად, გაორმაგდა და 1 200 000 (1.2M) შეადგინა. ზრდა 94.5% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით). ვიზიტორთა ყოველწლიურად მზარდი სტატისტიკა კი მომხმარებელთა გაზრდილი ინტერესის საუკეთესო ილუსტრაციად გამოდგება.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის დასაწყისში საზოგადოებისთვის ასევე მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარის, კობა გვენეტაძის პრეზიდენტობის 7-წლიანი ვადის ამოწურვის შემაჯამებელი ანგარიში, რომელშიც ყურადღება გამახვილდა 7 წლის განმავლობაში განხორციელებულ რეფორმებზე, აქტივობებსა და გამოწვევებზე. ასევე, რამდენად ადეკვატური იყო ეროვნული ბანკის მხრიდან არსებულ გამოწვევებზე რეაგირება. საფინანსო სექტორის მომხმარებლების უფლებებისა და ინტერესების დაცვა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. მთელი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი სატელევიზიო მედიისა და ციფრული მედია არხების საშუალებით ინფორმაციას აწვდიდა და აფრთხილებდა მომხმარებლებს ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული, შესაძლო ფინანსური თაღლითობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლებზე მეტად მორგებული გარემოს ჩამოყალიბების ხელშესაწყობად და მათი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვის მიზნით, მომხმარებელთა მაღალი მომართვიანობის შედეგად სებ-ის გადაწყვეტილებით, აიკრძალა პენსიით უზრუნველყოფილი სესხების რეკლამირება პენსიონერთა ინდივიდუალური თანხმობის გარეშე.

2023 წელს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებმა ვრცლად ისაუბრეს იმ თანმიმდევრული ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც ეროვნული ბანკი ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ბოლო წლებში ახორციელებს. მომხმარებლის უფლებების დაცვის დღეს საქართველოს საფინანსო სექტორი საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით 2021 წლიდან სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავს. ამ თარიღს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1983 წლიდან აღნიშნავენ და მისი მიზანი სხვადასხვა სფეროს მომხმარებლებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მცირე და საშუალო მეწარმეებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, რეგიონებში სამუშაო შეხვედრები გამართა, ამასთან ერთად გამოცხადდა ვიდეო კონკურსი, რომელში მონაწილეობის მიღებაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო, კონკურსის მიზანს კი, საზოგადოებაში მომხმარებელთა უფლებების ცნობიერების ზრდა წარმოადგენდა.

წინა წლების მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობას აქტიურად განაგრძობს და წლევანდელი მნიშვნელოვანი ფოკუსიც ფინანსური ტექნოლოგიები იყო. 2023 წელს, ფინანსური და ტექნოლოგიური ინდუსტრიის მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური - სინგაპურის ფინტექ ფესტივალის ფარგლებში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ ლიდერი ქალების შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრიის მიღწევები გააცნო. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ: „საქართველოს აქვს ყველა წინაპირობა, რომ შუა დერეფანში ფინტექის რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბდეს.“ საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსურ ტექნოლოგიებში ცნობიერების ამაღლების მიზნით მუდმივად მართავს საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრებს საერთაშორისო პარტნიორებისა და ექსპერტების ჩართულობით, სწორედ ამ პროცესის ნაწილია Fintech Foundation Program Flex - ფინანსური ტექნოლოგიების სფეროს საგანმანათლებლო პლატფორმა.

2023 წლის განმავლობაში საზედამხედველო მანდატისა და სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი თანამშრომლობდა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებთან, საბანკო ასოციაციასთან, გარე აუდიტორებთან, საჯარო დაწესებულებებთან, მედია საშუალებებთან, სხვა ქვეყნების ზედამხედველებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საზოგადოების ფინანსური განათლების ამაღლება ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით ახალი ფინანსური განათლების სტრატეგია შემუშავდა, რომელიც ფინანსური განათლების გავრცელებით დაინტერესებული ნებისმიერი მხარისთვის ძირითადი სარეკომენდაციო დოკუმენტი იქნება. სტრატეგია პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ამოცანებს განსაზღვრავს და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო პრაქტიკული ფორმატით თანამშრომლობას და ფინანსური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ყველა სამიზნე ჯგუფისათვის. აღსანიშნია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი "ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის" (OECD/INFE) ფინანსური განათლების ახალ 5-წლიანი პროექტში მიიღებს მონაწილეობას. ტექნიკური მხარდაჭერის ახალი პროექტი საქართველოსთან ერთად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის 9 ქვეყანას (ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, ხორვატია, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა) აერთიანებს და რეგიონში ფინანსური განათლების ამაღლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

პროექტის "ფინანსური და ეკონომიკური განათლება უკეთესი მომავლისთვის" ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა თბილისის უნივერსიტეტებში საჯარო ლექციები ჩაატარეს და სტუდენტებთან ერთად აქტუალურ ეკონომიკურ თემებზე იმსჯელეს. ფინანსური განათლების მიმართულებით, ფინანსური წიგნიერების ცნობადობის ზრდისათვის ქვეყნის მთავარი ბანკი დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით ბოლო წლების განმავლობაში არაერთ პროექტსა თუ ღონისძიებას ახორციელებს, ფულის გლობალური კვირეული, დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები და სხვა. ამასთან ერთად 2023 წელს, ეროვნული ბანკის ინიციატივით, განათლების საერთაშორისო გამოფენას წელს საქართველოს საფინანსო სექტორიც შეუერთდა.

წინა წლების მსგავსად 2023 წელს, სოციალურ ქსელში ქვეყნდებოდა თანამშრომლების ვიდეოები ინფლაციასთან/მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებით აქტუალურ საკითხებზე, ასევე საინფორმაციო ვიდეოები ფინანსური სტაბილურობის, მომხმარებელთა უფლების დაცვის, მდგრადი დაფინანსებისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ.

ეროვნული ბანკის ისტორიის შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირებისთვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკირის პროფესიული დღის აღსანიშნავად, რომელიც 2001 წლიდან, ყოველ 8 ნოემბერს აღინიშნება, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბანკო სექტორის გამორჩეული თანამშრომლები დააჯილდოვა. ღონისძიებაზე სებ-ის 35 წელზე მეტი სტაჟის მქონე თანამშრომლებს პროფესიული დამსახურებისა და ფასდაუდებელი შრომისთვის საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად, ბანკირის დღეზე ასევე დაჯილდოვდნენ კომერციული ბანკების თანამშრომლებიც.

2023 წლის განმავლობაში ბოლო პერიოდში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მომატებული ინფლაციისა და გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, ოქროზე გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა ოქროს სერტიფიკატებისა და ოქროს ზოდების გამოშვება-გაყიდვა დაიწყო. ოქროს, როგორც დაგროვებისა და დივერსიფიკაციის საშუალების შესახებ საზოგადოებისათვის სრული და ამომწურავი ინფორმაციის მისაწოდებლად, რეგულარულად შუქდებოდა სატელევიზიო ეთერები, სადაც ოქროში ინვესტირებასთან დაკავშირებულ აქტუალურ კითხვებს ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის თანამშრომლები პასუხობდნენ, სოციალურ მედია არხებში გამოქვეყნდა საინფორმაციო სტატიები, ვიდეორგოლები, ბლოგები, პოსტები და ქვიზები. აღსანიშნავია, რომ ოქროს სერტიფიკატის ფასი ოქროს საერთაშორისო ფასის ცვლილების შესაბამისად დგინდება, რის შესახებაც ინფორმაცია ყოველდღიურად ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე.

მთელი წლის განმავლობაში საზოგადოებისთვის ეროვნული ბანკის თანამშრომლების გაცნობის მიზნით, სოციალურ მედიაში პერიოდულად ქვეყნდებოდა თანამშრომელთა პროფილები, სადაც მათი განათლებისა და პროფესიული გამოცდილების გარდა, ეროვნულ ბანკში მათი ინიციატივითა და ჩართულობით განხორციელებული წარმატებული პროექტები იყო აღწერილი. აღსანიშნავია, რომ 2023 წელი ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული იყო. ასრულდა თაობების ოცნება და ქვეყანამ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსი მიიღო. ამასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკი საყოველთაო საკომუნიკაციო კამპანიაში ჩაერთო, რომელიც ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა შენობების ევროკავშირის დროშის ფერებში განათებას გულისხმობდა. კამპანიის ფარგლებში ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის შენობა სიმბოლურად ევროკავშირის დროშის ფერებში განათდა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროკომისიამ, საკასო ცენტრის განათებული შენობის ფოტო ორგანიზაციის სოციალურ გვერდებზე გააზიარა, რის შედეგადაც ფოტო მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანმა ნახა და მოიწონა. ისტორიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თარიღების აღსანიშნავად, რეგულარულად ქვეყნდებოდა შემეცნებითი და საინტერესო პოსტები - ქართული ფულის ისტორია, ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში და სხვა.

კომუნიკაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტია და კრიტიკულ ვითარებაში საზოგადოებასთან კომუნიკაციას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. 2023 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ბანკში, სანქციათა რეჟიმის წესში შეტანილი ცვლილებიდან

გამომდინარე, სამმა ვიცე-პრეზიდენტმა ერთბაშად დატოვა თანამდებობა და გადადგა, სეზ-ს შეექმნა მნიშვნელოვანი კრიზისი, რომელიც გულისხმობდა ფინანსური ბაზრის დესტაბილიზაციის საშიშროებას და მომხმარებელთა ნდობაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა. ამასთანავე, მედია საშუალებებმა, გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ მიწოდებული დეზინფორმაციის საფუძველზე, დაიწყეს შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება, რაც ასევე ნეგატიურად აისახა საზოგადოებაზე.

არსებული კრიზისის დასაძლევად, საქართველოს ეროვნული ბანკი ახდენდა ღია, გამჭვირვალე და პირდაპირ კომუნიკაციას არა მხოლოდ ფინანსურ წრეებთან, არამედ მოსახლეობასთანაც. საკომუნიკაციო სტრატეგია მოიცავდა დეტალური განცხადებების გამოქვეყნებას, ეროვნული ბანკის მოვალეობის შემსრულებელი რეგულარულად მართავდა პრესკონფერენციებს, მონაწილეობდა სატელევიზიო გადაცემებში, ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური მედიის გამოყენებით ფართო აუდიტორიისთვის ხდებოდა ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. მედია კომუნიკაციის გარდა, აქტიურად იმართებოდა შეხვედრები შესაბამის წრეებთან - კომერციულ ბანკებთან, საფინანსო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და ანალიტიკოსებთან.

პროაქტიური და ფართომასშტაბიანი ღია კომუნიკაციის მიდგომა ეფექტური აღმოჩნდა, რადგან ბანკმა ორი კვირის განმავლობაში შეძლო კრიზისის ყველაზე კრიტიკული ეტაპის განეიტრალება. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევის თანახმად, სწორედ ამ პერიოდში გამოკითხული მოსახლეობის 39%-მა დადებითად შეაფასა ეროვნული ბანკის საქმიანობა. ეს იყო ინსტიტუტისადმი ნდობის უმაღლესი დონე ბოლო 14 წლის განმავლობაში, რაც ხაზს უსვამს ეროვნული ბანკის საკომუნიკაციო ძალისხმევის ეფექტურობას კრიზისების მენეჯმენტსა და საზოგადოებაში მისი რეპუტაციის ამაღლებაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო ურთიერთობები ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. წლის მანძილზე ეროვნული ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა მაღალი რანგის საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში.

ამასთან, კობა გვენეტაძემ Euromoney-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოველწლიურ ფორუმში მიიღო მონაწილეობა. ორ დღიან ფორუმს სხვადასხვა ქვეყნების ინვესტორები, პოლიტიკოსები, ფინანსისტები და ცენტრალური ბანკის მმართველები ესწრებოდნენ. ფორუმის ფარგლებში ცენტრალური ბანკის მმართველთა სესიაში მონეტარული პოლიტიკის თემაზე ორი მიმართულებით იმსჯელეს - ინფლაციური მოლოდინები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა გლობალური გამოწვევების ფონზე, და ცენტრალური ბანკის ციფრული ფული, რისკები და შესაძლებლობები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიძემ ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ საგაზაფხულო მაღალი რანგის შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, პაპუნა ლეჟავამ მონაწილეობა მიიღო გამოცემა The Financial-ისა და პროკრედიტ ბანკი საქართველოს ორგანიზებით, ეროვნული ბანკისა

და საბანკო ასოციაციის მხარდაჭერით გამართულ ყოველწლიურ საბანკო ფორუმში. ფორუმის - საბანკო სექტორის მომავალი (The Future of Banking-ის) ფარგლებში მონაწილეებმა განიხილეს ციფრული ტექნოლოგიების, კიბერუსაფრთხოების გაძლიერების და საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები.

ეროვნული ბანკი BSCEE ჯგუფის წევრი 2013 წელს გახდა და მას შემდეგ სამუშაო პროცესში აქტიურადაა ჩართული. BSCEE ჯგუფი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 24 ქვეყნის 25 ორგანიზაციას აერთიანებს და მისი მიზანი ჯგუფში შემავალი ქვეყნების საბანკო ზედამხედველობის ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობაა.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მიწვეულ იყო BSCEE ჯგუფის 35-ე კონფერენციაზე ბოსნია ჰერცეგოვინას დედაქალაქ სარაევოში. ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს პანელურ დისკუსიაში, თემაზე - ბანკების ბიზნეს მოდელების გამოწვევები და მდგრადობა, მათი გავლენის შეფასება საბანკო სისტემაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ნათია თურნავა და ვიცე-პრეზიდენტი, პაპუნა ლეჟავა, ფრანკფურტში, ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში "გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილება-ეკონომიკური შედეგები ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში" მონაწილეობენ. კონფერენცია მიზნად ისახავს რეგიონში არსებული ეკონომიკური და ფინანსური საკითხების განხილვას. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონფერენციას წელს პირველად ესწრებიან არამხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, არამედ პოტენციური კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნების ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. კონფერენციის ფარგლებში, ნათია თურნავამ ვრცლად ისაუბრა იმ გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიო დგას. მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეროვნული ბანკის თანმიმდევრულ ნაბიჯებზე, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფას და ქვეყნის საფინანსო სექტორის მდგრადობას. ვიზიტის ფარგლებში, ნათია თურნავამ და პაპუნა ლეჟავამ სამუშაო შეხვედრები ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებთან გამართეს. სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოს ევრო გადახდების ერთიან სივრცეში (SEPA) გაწევრიანების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ მთელი წლის მანძილზე საქართველოს ეროვნული ბანკის მენეჯმენტის წევრები მართავდნენ შეხვედრებს პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ნათია თურნავამ, ვიცე-პრეზიდენტებმა არჩილ მესტვირიშვილმა, პაპუნა ლეჟავამ და ნიკოლოზ გაგუამ ევროკავშირის სანქციების განხორციელების საკითხებში საერთაშორისო სპეციალურ წარმომადგენელთან დევიდ ო'სალივანთან და სანქციების საკითხებში აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებთან ჯიმ ო'ბრაიენტან და კუმარ იერთან და დელეგაციის სხვა წევრებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ფინანსური სანქციების აღსრულებას, რომელიც აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა უკრაინაში განხორციელებული აგრესიული საომარი მოქმედებების გამო რუსეთის ფედერაციას დაუწესეს. ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს იმ თანმიმდევრულ ნაბიჯებზე, რომელიც სანქციებთან სრულ შესაბამისობაშია. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო

ორგანიზაციები დადებითად აფასებენ ეროვნული ბანკის საქმიანობას ამ მიმართულებით. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს საფინანსო ინსტიტუტები მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მიერ რუსეთის ფედერაციისთვის დაწესებულ სანქციებთან სრულ შესაბამისობაში. საერთაშორისო ფინანსურ სანქციებთან შესაბამისობა სისტემატურად კონტროლდება ფინანსური ინსტიტუტების ადგილზე შემოწმების დროს.

სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ 2023 წელს გამართა შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. მან აშშ - ის ელჩს, კელი დეგნანს და USAID - ის მისიის ხელმძღვანელს, ჯონ პენელს ეროვნული ბანკის სათავე ოფისში უმასპინძლა. მხარეებმა ისაუბრეს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ტენდენციებსა, მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და ამასთან, ყურადღება გაამახვილეს USAID-თან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებზე.

საზედამხედველო პრიორიტეტები საკრედიტო რისკებისა და უმოქმედო სესხებისთვის და მათი გავლენა აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონზე - ამ სახელწოდების სემინარი გაიმართა ეროვნული ბანკის სათავე ოფისში. სებ-ის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ერთობლივი სემინარის მიზანია შეიქმნას ერთიანი პლატფორმა გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებისთვის. ღონისძიება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ და EBRD-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, იურგენ რიგტერინკმა გახსნეს. სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის, სომხეთის, უკრაინისა და მოლდოვას ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. EBRD-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და კლიენტთა მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელი, იურგენ რიგტერინკი და EBRD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის მმართველ დირექტორი, მატეო პატრონე კავკასიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან. ნათია თურნავასთან შეხვედრისას საუბარი შეეხო რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობასა და არსებულ გამოწვევებს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა სტუმრებს საქართველოს კაპიტალის ბაზარზე არსებული პოზიტიური ტენდენციები და ამ მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები გააცნო. აღინიშნა, რომ ეროვნული ბანკის რეფორმები ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები დადებითად შეაფასეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო უწყებებმა.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო S&P Global Ratings-მა საბანკო სექტორის რისკის შეფასების მიმოხილვა გამოაქვეყნა. დოკუმენტში შეჯამებულია ცალკეული ქვეყნების საბანკო სექტორის საერთო ტენდენციები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მთავარი გამოწვევები და მაკროეკონომიკური რისკები. ანგარიშის მიხედვით, რისკების საერთო შეფასებით საქართველოს შედეგები გაუმჯობესდა და ქვეყანამ მე-8 დან მე-7 ჯგუფში გადაინაცვლა, რაც რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასებაა სხვა ქვეყნებთან შედარებით. საბანკო სისტემა შეფასებულია როგორც სტაბილური, კლებადი დოლარიზაციით. S&P-ის ანალიტიკოსები მოელიან, რომ გეოპოლიტიკური დამაბულობის მიუხედავად ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები ხელსაყრელია, ხოლო აქტივების ხარისხი სტაბილურ დონეზე შენარჩუნდება. გავლენიანი სარეიტინგო კომპანია აღნიშნავს, რომ ბანკები საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, უფრო ნაკლები რისკების წინაშე

დგანან. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, დოლარიზაცია სესხებში 44%-მდე, დეპოზიტებში კი 51%-მდე შემცირდა, თუმცა ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ ყველაზე მაღალია რეგიონში. ანგარიშში საუბარია საბანკო რეგულაციებზე, რომელმაც სააგენტოს შეფასებით, ხელი შეუწყო ბანკების მდგრადობას სტრესის მიმართ. გასულ წლებში, ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოდან მომდინარე მზარდ რისკებს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წარმატებით უპასუხა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ გამოქვეყნებულ ახალ ანგარიშში ეროვნული ბანკის საქმიანობა დადებითადაა შეფასებული. ანგარიში ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და გატარებულ მონეტარულ თუ ფისკალურ პოლიტიკას. საინვესტიციო გარემოს ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსური ინსტიტუტები სრულად მოქმედებენ აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული ფინანსური სანქციების შესაბამისად. დოკუმენტში შეფასებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომელსაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სარეიტინგო კომპანია ადასტურებს: „საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ ჩარჩოს და ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. 2021 წლის ივნისში სეზ-ს საერთაშორისო გამომცემლობა Central Banking-მა გამჭვირვალობის ჯილდო გადასცა. ამ აღიარებით ხაზი გაესვა მონეტარული პოლიტიკის, ფინანსური სტაბილურობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების შესახებ კომუნიკაციის გაუმჯობესებას“. ამასთან, ანგარიშში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პოლიტიკა, რის შედეგადაც საფინანსო სექტორი და საბანკო სისტემა წარმატებით უმკლავდება გლობალურ გამოწვევებს.

სეზ-მა წამყვანი საერთაშორისო გამოცემა Central Banking - ის კიდევ ერთი ჯილდო - ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის ინიციატივის - "CBDC Initiative" მიიღო. საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფინანსური ბაზრის განვითარებაზე, ხელს უწყობს ფინტექ საქმიანობისთვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას და ორიენტირებულია მოძებნოს ოპტიმალური ბალანსი ინოვაციებსა და რისკებს შორის. სეზ-ი 2020 წლიდან აქტიურად მუშაობს CBDC-ის თემაზე. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის კონცეფციისა და დეცენტრალიზებული ფინანსების შესახებ არაერთი კვლევა ჩატარდა. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შედეგად ეროვნულმა ბანკმა ციფრული ვალუტის პილოტური პროექტის ინიცირების გადაწყვეტილება მიიღო.

16. ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

სტატისტიკური ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ

2023 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ბანკში 601 თანამშრომელი იყო დასაქმებული, რომელთაგან 443 - საჯარო მოხელეს წარმოადგენდა. თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობის 54.4 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, ხოლო 45.6 პროცენტს - მამაკაცები. თანამშრომელთა საშუალო ასაკი 40 წელია.

სტრუქტურული რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია

ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდისა და ბანკის სტრატეგიული მიზნების ეფექტურად შესრულების მიზნით, 2023 წელს ეროვნულ ბანკში განხორციელდა მთელი რიგი სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ:

- საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს დაემატა ზედამხედველობის მეხუთე განყოფილება
- სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტის მცირე და საშუალო და კორპორატიული საკრედიტო რისკების განყოფილება გაიყო და შეიქმნა 2 განყოფილება: მცირე და საშუალო საკრედიტო რისკების განყოფილება და კორპორატიული საკრედიტო რისკების განყოფილება
- იურიდიულ დეპარტამენტს დაემატა კონკურენციის განყოფილება
- საგადახდო სისტემების დეპარტამენტს დაემატა დავების განმხილველი კომისიის მხარდაჭერის განყოფილება (აპარატი)
- აღნიშნული დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციის დეპარტამენტი, რომელიც შედგება ზედამხედველობის და რეგისტრაციისა და რეგულირებისა და მხარდაჭერის განყოფილებებისგან;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტში გაუქმდა ერთი და დაემატა 2 განყოფილება: ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი პოლიტიკისა და საზედამხედველო მეთოდოლოგიის განყოფილება და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და კვლევების განყოფილება
- შიდა აუდიტის სამსახურს დაემატა სპეციალური აუდიტის განყოფილება
- პრეზიდენტის აპარატს გამოეყო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილება და ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა ორი ახალი დეპარტამენტი: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელშიც შედის საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილება და პროტოკოლის განყოფილება და სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი, რომელიც მოიცავს ბრენდის განვითარების, ციფრული მედიისა და მედიასთან ურთიერთობის განყოფილებებს
- მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების დეპარტამენტს გამოეყო ფინანსური განათლების განყოფილება და ეროვნული ბანკის სტრუქტურას დაემატა ფინანსური განათლებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, რომელიც

შედგება: ფინანსური განათლების განყოფილებისა და სტრატეგიული განვითარებისა და პროექტების განყოფილებისგან

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტს დაემატა 1 განყოფილება და შედგება მომხმარებელთა მომართვებზე რეაგირების განყოფილებისა და საბაზრო ქცევის ზედამხედველობის განყოფილებისგან.

ასევე, 2023 წელს შეიქმნა საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი დამოუკიდებელი კომისია, რომელიც კოლეგიური წესით განიხილავს საგადახდო მომსახურების მომხმარებლის საჩივრებს, მასსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის დავის თაობაზე.

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

2023 წელს ეროვნული ბანკი აგრძელებდა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გერმანიის ბუნდესბანკში, იტალიის ცენტრალური ბანკში, საფრანგეთის ცენტრალურ ბანკში, პოლონეთის ეროვნულ ბანკში, შვეიცარიის ცენტრალურ ბანკში, ჩეხეთის ეროვნულ ბანკში, ავსტრიის ეროვნულ ბანკში, სომხეთის ცენტრალურ ბანკში, თურქეთის ცენტრალურ ბანკში, აზიის განვითარების ბანკში, ასევე მსოფლიო ბანკში, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლები დაესწრნენ 202 ტრენინგს.

გარდა აღნიშნული ტრენინგებისა, ეროვნულ ბანკში სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სასწავლო და გაცნობითი პრეზენტაციები, რაც ორგანიზაციის შიგნით ცოდნის გაზიარებას უწყობს ხელს.

2023 წელს ეროვნული ბანკის 71 თანამშრომელმა გაიარა სასერტიფიკატო კურსი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები“ და „ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები“. ასევე განხორციელდა თანამშრომელთა ხელშეწყობა ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებაში. მოწვეული ტრენერის მიერ ეროვნულ ბანკში ჩატარდა ტრენინგი „თვითგანვითარებით სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდა“, რომელსაც დაესწრო 47 თანამშრომელი.

ფინანსური სექტორის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ხელს უწყობს საბანკო სექტორის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტებმა 2023 წელს თბილისში ჩაატარეს 2 ტრენინგი, ხოლო დისტანციურად - 2 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კომერციული ბანკების თანამშრომლებმა. ჯამში სემინარებს დაესწრო 75 მონაწილე.

ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმი და გუნდური სულისკვეთების გაძლიერება

2023 წლის განმავლობაში ბანკში მოქმედებდა ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმი, რაც გულისხმობს თვის განმავლობაში დღეების გარკვეული რაოდენობა, თანამშრომლის საჭიროებაზე/სურვილზე მორგებულად, იმუშაოს დისტანციურად.

გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ერთ-ერთ მთავარ მიზანს კვლავ წარმოადგენდა გუნდური სულისკვეთების ამაღლება და შიდა

კომუნიკაციების გაძლიერება. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი როგორც დისტანციური, ისე ტრადიციული ტიპის ღონისძიება: შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ჯომარდობის შეჯიბრი, შემეცნებითი აქტივობები, ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში დაგეგმილი ღონისძიებები, საქველმოქმედო აქციები.

თანამშრომელთა შეფასების სისტემა და კონკურსები

აღსანიშნავია რომ ეროვნულ ბანკში თანამშრომელთა შეფასება, შერჩევა და ორიენტაცია-ადაპტაცია ხორციელდება SAP Success Factors-ის სისტემის მეშვეობით.

2023 წლის ფარგლებში SAP Success Factors-ის სისტემის საშუალებით შეფასდა 556 თანამშრომელი, გამოცხადდა და დაიხურა 96 ვაკანსია (როგორც გამარტივებული, ისე ღია და დახურული კონკურსები), შეირჩა 93 ახალი თანამშრომელი.

უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებთან თანამშრომლობა

ეროვნული ბანკი ყოველწლიურად აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გაეცნონ ეროვნული ბანკის სპეციფიკას, გაიარონ სტაჟირება და გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები, რაც მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში დაეხმარება. ამ მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის“ საფუძველზე აყვანილი იქნა 47 სტაჟიორი, რომელთაგან 6 დღეს ეროვნული ბანკის თანამშრომელია.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკი შესაძლებლობას აძლევს ქართველ სტუდენტებს, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ, გაიარონ საზაფხულო სტაჟირება და გაეცნონ ეროვნული ბანკის სპეციფიკას. აღნიშნული მიზნად ისახავს ქართველი სტუდენტებისათვის ეროვნული ბანკის მიმართ ინტერესის გაღვივებას, რათა მათ სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტონ და მიღებული ცოდნა საქართველოში გამოიყენონ.

ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების განყოფილების ორგანიზებით, ახალმა თანამშრომლებმა და სტაჟიორებმა გაიარეს ორიენტაცია-ადაპტაციის სამდღიანი ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ ბანკში არსებული ორგანიზაციული კულტურის ძირითადი ელემენტების, ბანკის სტრუქტურის, ძირითადი პროცედურების გაცნობასა და სხვადასხვა დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული პრეზენტაციების ჩატარებას.

17. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება

ფინანსური კონგლომერატის საკანონმდებლო რეგულირება

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილების მიზანი იყო „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების მე-7 თავის 323-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მიერ ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას ასოცირების შეთანხმების XV-A დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, კერძოდ 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ.

საკანონმდებლო პაკეტის მიღების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინა ფინანსური კონგლომერატის დეფინიცია, განსაზღვრა ფინანსურ კონგლომერატად ცნობის კრიტერიუმები და პროცედურა, დაადგინა მასზე დამატებითი ზედამხედველობის ჩარჩო. ამასთან, კანონმა იქვე მიუთითა, რომ დამატებითი ზედამხედველობა განხორციელდება სექტორული ზედამხედველობის პარალელურად.

კანონმა განსაზღვრა კოორდინატორის დეფინიცია, მისი არჩევის პროცედურები და მას მიეცა უფლებამოსილება ადეკვატურად და ეფექტურად განახორციელოს ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობა.

საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა კოორდინატორის მიერ განსახორციელებელი ამოცანები დამატებითი ზედამხედველობის ფარგლებში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების გარდა მოიცავს ფინანსურ კონგლომერატში შემავალ საწარმოთა ჩვეულებრივი საქმიანობის ციკლისა და კრიზისული სიტუაციების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებას/შეგროვების პროცესის კოორდინაციასა და მიწოდებას საზედამხედველო ორგანოებისათვის, ფინანსური კონგლომერატის ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვასა და შეფასებას, მისი შესაბამისობის, აგრეთვე მისი სტრუქტურის, ორგანიზაციული მოწყობისა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასებას კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საკანონმდებლო პაკეტით განისაზღვრა რეგულირებულ საწარმოთა დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფერო და ფინანსურ კონგლომერატში შემავალ იმ საწარმოთა ჩამონათვალი, რომლებიც სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად ექვემდებარებიან დამატებით ზედამხედველობას. აგრეთვე დადგინდა, რომ ფინანსურ კონგლომერატში შემავალ რეგულირებულ საწარმოებს უნდა გააჩნდეთ რისკების მართვის ადეკვატური პროცესები და შიდა კონტროლის მექანიზმი ფინანსური კონგლომერატის დონეზე, მათ შორის, გონივრული და ეფექტური ადმინისტრაციული და საანგარიშგებო პროცედურები.

საკანონმდებლო ცვლილებები ასევე აისახა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში და საზედამხედველო ორგანოს მიეცა უფლებამოსილება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განახორციელოს დამატებითი ზედამხედველობა ფინანსურ კონგლომერატში შემავალი შესაბამისი სუბიექტის დონეზე.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით კი, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილი გახდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ან/და მისი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს ამავე კანონით განსაზღვრული სანქციები, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადმა მონაწილემ ან/და მისი მმართველი ორგანოს წევრმა დაარღვია „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონი და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების განხორციელების ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი იყო, 2022 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის, რომელთაგან ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა საფინანსო სისტემის კრიზისის დროს, რეზოლუციის მიზნების ეფექტური განხორციელებისთვის, სარეზოლუციო ფონდში წინასწარ აკუმულირებულიყო ფულადი სახსრები, რომელთაც საბანკო სექტორი უზრუნველყოფდა წინასწარი შენატანებით, აღნიშნული კი ხელს შეუწყობდა საფინანსო სექტორის კრიზისის დროს ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. კანონის თანახმად, კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო გახდა სარეზოლუციო ფონდში შენატანების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს სარეზოლუციო ფონდში წინასწარ თანხების აკუმულირება.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ნათლად განისაზღვრა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება განსაკუთრებულ შემთხვევაში გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი იმ კომერციულ ბანკზე, რომლის გადახდისუნარიანობა საეჭვოა, მათ შორის, რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზეც ვრცელდება. ცვლილებებით, აგრეთვე, გათვალისწინებულია, რომ რეზოლუციის პროცესის დაფინანსების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გასცემს დროებით სახელმწიფო დაფინანსებას, თუ ეს აუცილებელია ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და თუ სარეზოლუციო ფონდში კომერციული ბანკების და უცხოური ბანკების ფილიალების მიერ წინასწარი შენატანების (ex-ante) ფარგლებში აკუმულირებული თანხები არ არის/არ იქნება საკმარისი და დაფინანსების არასახელმწიფო წყაროდან მოძიება შეუძლებელია ან ასეთი დაფინანსება საკმარისი არ არის/არ

იქნება. ამასთან, შენატანები განისაზღვრება ობიექტური და პროპორციული კრიტერიუმების საფუძველზე.

განხორციელებული ცვლილების შედეგად განისაზღვრა სარეზოლუციო ფონდში წინასწარი შენატანების განხორციელების, სარეზოლუციო ფონდში ჩარიცხული თანხების გამოყენების, კომერციული ბანკების მიერ ex post შენატანების განხორციელების შემთხვევაში წინასწარი შენატანების შეჩერების, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსგან ინფორმაციის გამოთხოვის, სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირებისა და სხვა საკითხები. ამასთან, დაზუსტდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სარეზოლუციო ფონდი ადმინისტრირებისთვის გადასცეს სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს, იქიდან გამომდინარე, რომ სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უკვე აქვს კომერციული ბანკების მხრიდან მსგავსი სახის შენატანების მობილიზების, კონტროლისა და მართვის შესაბამისი გამოცდილება.

კანონში განხორციელებული ცვლილებით დადგინდა, რომ სარეზოლუციო ფონდის შექმნის და ex ante შენატანების ადმინისტრირების, მათ შორის, ინვესტირებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით, ხოლო ex post შენატანებთან დაკავშირებით სარეზოლუციო ფონდის ადმინისტრირების საკითხები კვლავ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი სამართლებრივი აქტით იქნება მოწესრიგებული.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი მოიცავს საქართველოს კანონის პროექტს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიღებითაც შეიცვალა კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას, კომერციული ბანკის კრედიტორთა მოთხოვნების რიგითობა. აღნიშნული გამომდინარეობდა „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) 2021 წლის 17 სექტემბრის ტექნიკურ შენიშვნაში გაწერილი რეკომენდაციიდან, რომლის თანახმადაც, სასურველი იყო კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს კომერციული ბანკის კრედიტორთა იერარქიის (კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის) განახლება გამარტივებული სტრუქტურის მისაღებად, რომელიც ამავე დროს შესაბამისობაში იქნება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დაზღვეულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ მოწესრიგებასთან. ასევე, აღნიშნულ რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კომერციული ბანკის სასესხო დაფინანსების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები უნდა სარგებლობდეს იგივე პრიორიტეტით, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, რაც განსხვავებულად იყო მოწესრიგებული. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით დაზუსტდა, რომ ფინანსური გირავნობის მოგირავნეს აქვს მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება ფინანსური გირავნობის ღირებულების ფარგლებში, ასევე, დადგინდა კომერციული ბანკის მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილების განახლებული თანმიმდევრობა.

ამავე ცვლილებათა პაკეტში წარმოდგენილი, „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, მიკრობანკის კრედიტორთა იერარქია, მიკრობანკების ბიზნესმოდელის გათვალისწინებით, მაქსიმალურად დაუახლოვდა კომერციული ბანკის

კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობას და შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. გამომდინარე ცვლილებები განხორციელდა აგრეთვე „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში.

დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

2023 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოში შეიქმნა დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი ჩარჩო, მათ შორის, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები განიმარტა როგორც „ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არსებობს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით“, აგრეთვე, განისაზღვრა ის ფასიანი ქაღალდები, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული კანონი.

კანონმა განსაზღვრა ფასიანი ქაღალდის მიმოქცევის, მასზე გირავნობის უფლების წარმოშობისა და გავრცელების, ასევე ფინანსური გირავნობის გავრცელების საკითხები. განისაზღვრა, რომ პირს შეუძლია ფლობდეს ფასიან ქაღალდს პირდაპირ ან არაპირდაპირ. კანონში გაკეთდა მითითება, რომ ინვესტორისათვის გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს ინვესტორის წილობრივ თანასაკუთრების უფლებას, ამ ანგარიშზე დაკრედიტებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის პროპორციულად და რომ ამ თანასაკუთრების უფლებაზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმები. ვინაიდან ფასიანი ქაღალდები არ არის ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი, ინვესტორების უფლება არსებობს არა სპეციფიკურ ფასიან ქაღალდებზე, არამედ მათ აქვთ თანასაკუთრება იდენტური ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაზე.

კანონმა დაადგინა, რომ ინვესტორს უფლება აქვს დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრებიდან გამომდინარე უფლებები განხორციელოს მხოლოდ იმ ანგარიშის მწარმოებლის მიმართ, რომელთანაც ფლობს დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებს ან ცენტრალური დეპოზიტარის მიმართ, თუ ინვესტორი დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებს პირდაპირ მასთან ფლობს. ამასთან, კანონმა განსაზღვრა საგამონაკლისო შემთხვევები ამ ზოგადი წესიდან. აქვე მითითებულია, რომ ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციის შემთხვევაში, მოთხოვნა იდენტური ფასიანი ქაღალდების იმ ერთობლიობაზე, რომელიც ანგარიშის მწარმოებლის სახელით არის განთავსებული ცენტრალურ დეპოზიტართან ან სხვა ანგარიშის მწარმოებელთან, მათ შორის, უცხოურ ანგარიშის მწარმოებელთან გახსნილ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე, ხორციელდება კოლექტიურად, ლიკვიდატორის მიერ ყველა ანგარიშის მფლობელის სახელით, ხოლო თუკი ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა არ არის საკმარისი შესაბამის ანგარიშებზე დაკრედიტებული დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების სრულად რესტიტუციისათვის, იგი განაწილდება ანგარიშის მფლობელთა შორის მათი უფლებების პროპორციულად.

კანონმა განსაზღვრა ცენტრალური დეპოზიტარის ვალდებულება მიიღოს რეკონსილაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ზომები, ცენტრალურ დეპოზიტარში არსებული ერთი ემისიის ფარგლებში გამოშვებული დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ან ცენტრალურ დეპოზიტარში განთავსებული ემისიის ნაწილის ცენტრალურ დეპოზიტარში გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე არსებული დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ჯამის ტოლობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულთან ერთად, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით დარეგულირდა საჯარო და კერძო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და აღრიცხვის საკითხები, ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზირებისა და საქმიანობის პირობები, საბროკერო კომპანიისა და ცენტრალური დეპოზიტარის ლიკვიდაციის საკითხები და დაზუსტდა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის პირობები.

ასევე დაზუსტდა, რომ ავტორიზებული ან რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდების ერთეულების დემატერიალიზაცია მიიღწევა მათი (ერთეულების) ცენტრალურ დეპოზიტარში აღრიცხვით, რის შედეგადაც ერთეულის მფლობელთა მიერ ერთეულების ფლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ცენტრალური დეპოზიტარის მეშვეობით, პირდაპირ (ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მონაწილის მიერ ერთეულების თავის სასარგებლოდ ფლობის შემთხვევაში) ან არაპირდაპირ (ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მონაწილის მიერ თავის კლიენტთა სასარგებლოდ ერთეულების ფლობის შემთხვევაში).

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, აქტივების მმართველ კომპანიასა და ცენტრალურ დეპოზიტარზე გავრცელდა ანგარიშვალდებული პირის მიმართ არსებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის (AML/CFT) კანონმდებლობის მოთხოვნები.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რეგისტრირებულ ფასიან ქაღალდებზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა მოწესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ანგარიშია გახსნილი, ხოლო დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვრება „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება შეეხო აქციის განმარტებას და დადგინდა, რომ აქცია არის რეგისტრირებული ან დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი. აგრეთვე კანონმა დაადგინა ის შემთხვევები, როდესაც სავალდებულოა აქციების დემატერიალიზებული ფორმით არსებობა, თუ სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შეიცვალა რეესტრის წარმოების წესიც, ვინაიდან კანონმა დაადგინა აქციის ფორმის და მათი ფლობის განსხვავებული რეგულირება (დემატერიალიზებული აქციების შემთხვევაში).

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

„ფასიან ქალაქებად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს კანონითა და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოში შეიქმნა სეკიურიტიზაციის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ამ ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვება და ინვესტორების მიერ მათი შექმნა. ის შესაძლებლობას აძლევს ინიციატორს თავისი საბალანსო უწყისიდან გაიტანოს საბაზისო აქტივები, რომლებიც სამომავლო ფულად ნაკადებს წარმოადგენენ და ამ გზით განახორციელოს სახსრების მობილიზაცია. სეკიურიტიზაციის შემთხვევაში, თუკი მას მოპოვებული აქვს შესაბამისი საკრედიტო რეიტინგი, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საპენსიო სააგენტოს პორტფელში, რაც საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის დივერსიფიცირებას უწყობს ხელს.

საკანონმდებლო პაკეტით განისაზღვრა სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის სამართლებრივი ბუნება, ასევე დარეგულირდა სეკიურიტიზაციის კომპანიასთან და სეკიურიტიზაციის ფონდთან, მათ დაფუძნებასთან, მართვასთან და უფლებამოსილებებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები.

დადგინდა პირობები, რომელთაგან ერთ-ერთის შესრულების შემთხვევაშიც კი სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეული ექვემდებარება სავალდებულო ავტორიზაციას, გაიწერა ავტორიზაციის მინიჭების, მოსაკრებლის გადახდისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძვლები. ამასთან, ავტორიზაციის მოსაკრებელი განისაზღვრა 5000 ლარით. დადგინდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შექმნას სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულების რეესტრი და გაასაჯაროს ის თავისი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით.

დამატებით დარეგულირდა სეკიურიტიზებულ რისკებთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, კანონით აიკრძალა რესეკიურიტიზაცია, რაც გულისხმობს, რომ საბაზისო აქტივად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტი, გამონაკლისია მხოლოდ ისეთი გარემოებები, როდესაც რესეკიურიტიზაცია კომერციული ბანკის, საბროკერო კომპანიის ან სხვა ფინანსური ინსტიტუტის ლიკვიდაციის აცილებისათვის ან ლიკვიდაციის მიზნებისათვის არის საჭირო.

კანონმა ასევე განსაზღვრა ინვესტორთა უფლებები, ინსტიტუციურ ინვესტორებთან მიმართებით სპეციალური მოთხოვნები და სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტის გაუთვითცნობიერებელი ინვესტორებისათვის შეთავაზებისათვის მოთხოვნები.

კანონით განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, განახორციელოს ზედამხედველობა სეკიურიტიზაციის გარიგებასა და შესაბამის სუბიექტებზე. საქართველოს ეროვნული ბანკი განახორციელებს იმ სპეციალური მიზნობრივი ერთეულების ავტორიზაციას, რომლებიც კანონის დანაწესებიდან გამომდინარე ვალდებულები არიან გაიარონ ავტორიზაცია.

2023 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების

მიზანს წარმოადგენდა დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირებისა და მართვის ეფექტურობის ზრდა.

განხორციელებული ცვლილების შედეგად განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, შეამოწმოს საპენსიო სააგენტოს/აქტივების მმართველი კომპანიის საინვესტიციო საქმიანობა პრუდენციული რეგულირების ფარგლებში და საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა თავის წლიურ ანგარიშში ასახოს საპენსიო სააგენტოს და აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) საინვესტიციო საქმიანობის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობა. საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლება, განახორციელოს დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქცია და აგრეთვე განახორციელოს აქტივების მმართველი კომპანიების ავტორიზაცია საპენსიო აქტივების მართვის მიზნით, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით, აღსრულებას დაექვემდებარა საპენსიო სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების, ასევე, განუხორციელებელი საპენსიო შენატანის გადახდის შესახებ. ამასთან, იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენებისას აიკრძალა ამ ღონისძიებების მიმართვა საპენსიო სააგენტოს, დაგროვებით საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის და აქტივების მმართველი კომპანიის იმ აქტივებზე, რომლებიც განთავსებულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ან/და რომლებიც არ არის მისი საკუთრება და მიეკუთვნება მისი კლიენტის აქტივებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

კომერციული ბანკების საზედამხედველო ჩარჩოსა და რეზოლუციის რეგულირება

2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სიახლეები იყო კომერციული ბანკების რეგულირების მიმართულებით.

„სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 23 იანვრის №11/04 ბრძანებით დარეგულირდა სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებად განსაზღვრის მეთოდოლოგია, დადგინდა სისტემური მნიშვნელობის ქულები შესაბამისი ინდიკატორებითა და წონებით და ასევე დაწესდა სისტემურობის ბუფერის შესაბამისი განაკვეთები. ბრძანების შემუშავების მიზანს წარმოადგენდა სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკებისა და მათთვის სისტემური მნიშვნელობის ბუფერის განსაზღვრისას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული განახლებული მიდგომების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სისტემური მნიშვნელობის ბუფერების აღნიშნული მიდგომების მიხედვით განახლება და დაწესება.

2023 წლის 15 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა კონტრაციკლური ბუფერის ნეიტრალური (საბაზისო) განაკვეთის 1%-ზე დაწესების გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა „კონტრაციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №173/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 15 მარტის №57/04 ბრძანება და კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა 1%. ამასთან, კომერციულ ბანკებს განესაზღვრათ ვალდებულება, რომ 2024 წლის 15 მარტისთვის დაეკმაყოფილებინათ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთი 0.25%-ის ოდენობით, 2025 წლის 15 მარტისთვის – 0.5%-ის ოდენობით, 2026 წლის 15 მარტისთვის – 0.75%-ის ოდენობით და 2027 წლის 15 მარტისთვის – 1%-ის ოდენობით. ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის 2023 წლის 29 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილება შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 8 დეკემბრის №359/04 ბრძანებით, რომლის შესაბამისად, გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების ადგილობრივ ეკონომიკაზე გავლენის შემსუბუქების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონტრციკლური ბუფერის 1%-იან განაკვეთთან შესაბამისობაში ეტაპობრივი მოსვლისა და აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადის 2027 წლის მარტამდე განსაზღვრის შესახებ.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 31 მარტის №68/04 ბრძანება, რომლითაც ახლებურად განიმარტა უმოქმედო სესხები. კერძოდ, უმოქმედო სესხები განიმარტა როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის (ფასს 9) მიხედვით განსაზღვრული მე-3 დონის საკრედიტო რისკის ფინანსური ინსტრუმენტები და შექმნილი ან გამოშვებული გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტი (POCI).

დამტკიცდა „დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 31 მაისის №90/04 ბრძანება. დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL) წარმოადგენს პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც მიიღება დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების შეფარდებით საზედამხედველო კაპიტალსა და მთლიან ვალდებულებებთან. აღნიშნული მოთხოვნა საშუალებას აძლევს სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებს, შეინარჩუნონ კაპიტალის ინსტრუმენტების და დაშვებული ვალდებულებების ის მინიმალური მოცულობა, რაც საჭირო იქნება შესაძლო რეზოლუციის რეჟიმის პროცესში, ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის რეზოლუციის ინსტრუმენტის (Bail in) გამოყენებისთვის.

დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) დაწესების მიზანია, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო ბანკის (WB) ერთობლივი მისიის მიერ „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) რეკომენდაციების გათვალისწინება.

ბრძანების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, სისტემურად მნიშვნელოვან კომერციულ ბანკებს დაუწესდათ დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL).

დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) განაკვეთი განისაზღვრა ქვემოთ მოცემული ოდენობით და ვადების შესაბამისად:

- ა) 2024 წლის 1 იანვრიდან 10% -ის ოდენობით;
- ბ) 2025 წლის 31 დეკემბრიდან 15% -ის ოდენობით;
- გ) 2027 წლის 31 დეკემბრიდან 20% -ის ოდენობით.

ამასთან, სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკების ინტერესების გათვალისწინებით, ბრძანებით განისაზღვრა, რომ თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიხედვით სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკის MREL მინიმალური მოთხოვნის მაჩვენებელი ნაკლებია ამავე ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნაზე, მაშინ სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკს დარღვევად არ ჩაეთვლება აღნიშნული მოთხოვნის მაჩვენებლის შეუსრულებლობა. ამ შემთხვევაში, სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკი ვალდებულია დააკმაყოფილოს მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნა, მაგრამ არანაკლებ 10%-ისა.

ცვლილება შევიდა „რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 დეკემბრის №241/04 ბრძანებაში. ცვლილებების შემუშავება ძირითადად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ 2022 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში და მსოფლიო ბანკის (WB) ერთობლივი მისიის მიერ „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები. მათ შორის, ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა რეგულაციის შემუშავება, რომელიც სავალდებულოს გახდიდა bail-in სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებას ისეთ ხელშეკრულებებში, რომლებიც ექვემდებარებიან უცხო ქვეყნის მარეგულირებელ კანონმდებლობას და მათზე ვრცელდება bail-in ინსტრუმენტის მოქმედების სფერო, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს და უზრუნველყოფს რეზოლუციის აღსრულებას მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორების გარეშე. ცვლილების მიზანს წარმოადგენდა, ასევე, ბანკების რეზოლუციისა და გაჯანსაღების დირექტივასთან (BRRD) დაახლოება და ევროპულ სამართალთან შესაბამისობის მიღწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომერციულ ბანკებს გაუჩნდათ ვალდებულება, ისეთ ვალდებულებების შემცველ ხელშეკრულებებში, რომლებზეც ვრცელდება წესით გათვალისწინებული სარეზოლუციო ინსტრუმენტის მოქმედება და, ამავდროულად, აღნიშნული ხელშეკრულება სრულად ან ნაწილობრივ ექვემდებარება უცხო ქვეყნის მარეგულირებელ კანონმდებლობას, გაითვალისწინონ bail-in სახელშეკრულებო პირობა, რომლითაც მხარეები თანხმობას გამოთქვამენ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ გამოიყენოს კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი, საქართველოს კანონმდებლობისა და წესის შესაბამისად. გარდა ამისა, ცვლილება აზუსტებს, თუ რა შემთხვევებში შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული სახელშეკრულებო პირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა **„კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებაში**, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციასა და 2013/36/EU დირექტივის მოთხოვნებთან დაახლოება და საბანკო სისტემაში კაპიტალის სტაბილურობის გაუმჯობესება. ცვლილებების შესაბამისად, დაკორექტირდა დამატებით პირველად კაპიტალში და მეორად კაპიტალში ჩასართავი ინსტრუმენტების კლასიფიცირების კრიტერიუმები. კერძოდ, კაპიტალის ინსტრუმენტის ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის პირობებს იმგვარად, რომ აღნიშნული ინსტრუმენტის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეზოლუციის ჩარჩო იყოს აღსრულებადი. აგრეთვე, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა **„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში**. ცვლილებებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 დეკემბრის №241/04 ბრძანებით დამტკიცებული „რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის“ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, კომერციულ ბანკს დაეკისრება ფულადი ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100,000 (ასი ათასი) ლარს. ამასთან, ფულადი ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 10 000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები. კონკრეტული ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების თანხა, აგრეთვე, დარღვევის სერიოზულობა ან/და სისტემურობა.

ცვლილება შევიდა **„ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №26/04 ბრძანებაში**, რომლის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოება, საფინანსო სექტორში არსებული და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება. მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა დაკავშირებული მხარის განმარტებაში, რომელიც მოიცავს დაკავშირებულ პირთა სიაში იდენტიფიცირებისა და რიგ შემთხვევებში, არსებულ დაკავშირებულ პირთა 12 თვის ვადით სიაში დაყოვნების შესახებ მოთხოვნას. ასევე, გაიწერა, რომ გამონაკლისის სახით გარკვეულ შემთხვევებში დაკავშირებულ პირთა სიაში არ ხვდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მხოლოდ მათთან დაკავშირებული პირები, თუ სახეზე არ არის გარკვეული გამონაკლისი შემთხვევები. ცვლილებებით ასევე გაიწერა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები, კომერციულ ბანკს განესაზღვრა დაკავშირებულ პირებთან რისკის პოზიციის შექმნისთვის დასაშვები უზრუნველყოფის საშუალებების სია და აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალებების დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების/დასაბუთების დოკუმენტირება. ცვლილებებმა ასევე მოიცვა გაშლილი მკლავის პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზი და აკრძალული ტრანზაქციების შესახებ დაზუსტებები.

მიღებულ იქნა **„კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 13 ივნისის №47/04**

ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 აგვისტოს №194/04 ბრძანება, რომლიც მიზნად ისახავდა კომერციულ ბანკებში რისკების მართვისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის, ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ „საოპერაციო რისკების მართვასთან დაკავშირებულ პრინციპებთან“ და ევროპის საბანკო უწყების (EBA - European Banking Authority) რეკომენდაციებთან, დაახლოებას. ბრძანებით განიმარტა აუტოსორსინგი და დაზუსტდა, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს პროცესის კრიტიკულად ან/და მნიშვნელოვნად განხილვა. აგრეთვე, გაუქმდა ჩანაწერი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის, აუტოსორსინგული ურთიერთობის წამოწყების შესახებ დასტურის გაცემის თაობაზე და შესაბამისად, კომერციულ ბანკებს აქვთ მხოლოდ ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების ვალდებულება აუტოსორსინგული პროცესების, დაკავშირებული პროდუქტებისა და სისტემების შესახებ.

მიღებულ იქნა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუტოსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 აგვისტოს №195/04 ბრძანება, რაც განპირობებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიით, ასევე, ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუტოსორსინგული მომსახურებების მზარდი ათვისების ტენდენციიდან გამომდინარე. ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო წარმოადგენს პრევენციულ მექანიზმს, რომელიც ფინანსური ორგანიზაციებისგან ითხოვს, რომ ღრუბლოვანი აუტოსორსინგული მომსახურების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს სტრატეგიულ საჭიროებას, ამასთან, სათანადოდ უნდა შეფასდეს ღრუბლოვანი აუტოსორსინგულ გარემოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები, მომსახურების მომწოდებლის მზარდ არსებული კიბერის და ინფორმაციული უსაფრთხოების პრაქტიკის შესახებ მოპოვებული იქნეს სათანადო რწმუნება, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ფინანსურმა ორგანიზაციამ წინასწარ შეიმუშაოს ღრუბლოვანი აუტოსორსინგული მომსახურებიდან გასვლის სტრატეგია.

მიღებულ იქნა „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს №93/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 აგვისტოს №193/04 ბრძანება. ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა და ითვალისწინებს ძალადაკარგული ბრძანების დებულებებზე მითითების ამოღებას.

უძრავი ქონების ინსპექტირების პროცესის გამარტივების და ქონების მესაკუთრისთვის დამატებითი ვალდებულების დაკისრების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა „კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 14 მაისის №84/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 დეკემბრის №382/04 ბრძანება, რომლითაც კომერციული ბანკების მიმართ დაწესებული სავალდებულო მოთხოვნები, წარმოადგინონ ამზომველის მიერ მომზადებული აზომვითი ნახაზი შესაფასებელი უძრავი ქონების რეალურ ფართობსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ ფართობს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში და ასევე, მოახდინონ შეფასებული ქონების რეალური ფართობის რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იქნეს სარეკომენდაციო ხასიათს. ბრძანებით აგრეთვე დაზუსტდა, რომ პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიას

მიკუთვნებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ვალდებულების/მოთხოვნის რესტრუქტურის/ზაციის ან/და ზრდის შემთხვევაში, უძრავი ქონების გადაფასება სავალდებულო იქნება, თუ ბოლო შეფასებიდან გასულია 2 წელი და მეტი, ნაცვლად 1 წლისა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების პერიოდულობისა და ანგარიშგების პროცესის ვადების დაზუსტების მიზნით, მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 29 დეკემბრის №398/04 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების პერიოდულობა, კერძოდ, ყოველთვიურად, საანგარიშგებო თვის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნდება კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, შეიცვალა კვარტალური ანგარიშგებების გამოქვეყნების ვადები. კერძოდ, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან კვარტალური ანგარიშგებები გამოაქვეყნონ საანგარიშგებო კვარტლის დასრულებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

ცვლილება შევიდა „მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებაში, რომლის თანახმად, გლობალურად გამკაცრებული ფინანსური პირობების ადგილობრივ ეკონომიკაზე გავლენის შესამსუბუქებლად, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტისა და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2023 წლის 29 ნოემბრის ერთობლივ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დღემდე არსებული სარეზერვო ნორმის ზედა ზღვრის 25%-დან 20%-მდე შემცირება.

საბანკო სისტემის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS) გადასვლით განპირობებული ცვლილებები:

- ✓ მიღებულ იქნა „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №192/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის №166/04 ბრძანება. წარმოდგენილი ცვლილებით გაუქმდა პარალელური ანგარიშგების პერიოდი, რაც გულისხმობს, რომ საზედამხედველო მიზნებისთვის კომერციული ბანკი ვალდებულია იმოქმედოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
- ✓ ცვლილება შევიდა „წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 აპრილის №71/04 ბრძანებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შემდგომ აღარ არსებობს სტანდარტულად კლასიფიცირებული აქტივი და მისი განმარტება, ბრძანებაში მითითება გაკეთდა პირველი

დონის საკრედიტო რისკის ფინანსურ ინსტრუმენტებზე, ასევე, განისაზღვრა შესაბამისი განმარტებებიც;

- ✓ ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 15 მაისის №70/04 ბრძანებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შემდგომ აღარ არსებობს სტანდარტულად კლასიფიცირებული აქტივი და მისი განმარტება, ბრძანებაში მითითება გაკეთდა პირველი დონის საკრედიტო რისკის ფინანსურ ინსტრუმენტებზე და განისაზღვრა შესაბამისი განმარტებაც. ასევე, დაზუსტდა დებულებით განსაზღვრული კოეფიციენტების ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების ვალდებულება ვალუტების მიხედვით, ნაცვლად აქამდე არსებული ჩანაწერისა, რომელიც მიემართებოდა ჯამური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დარღვევას;
- ✓ ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, განაგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 20 ივლისის №201 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, განისაზღვრა, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით წარმოდგენილი კრებსითი სავალუტო პოზიცია უნდა დამოკლდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესით“ განსაზღვრული უცხოური ვალუტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით. ამასთან, ბრძანებიდან ამოღებულ იქნა ანგარიშთა გეგმასთან დაკავშირებული მითითებები;
- ✓ ძალადაკარგულად გამოცხადდა „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანება, რაც განპირობებულია საბანკო სისტემის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS) გადასვლით გამოწვეული ცვლილებებით. ვინაიდან 2023 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკები ხელმძღვანელობენ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №192/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესით“, ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოხსენებული ბრძანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა „საკრედიტო რისკების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 19 ოქტომბრის №284/04 ბრძანება, რომელიც მიზნად ისახავს რეგულირების მიღმა არ დარჩეს კომერციული ბანკების მიმართ არსებული რიგი მოთხოვნებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია ეფექტური ზედამხედველობის პროცესის წარმართვისათვის და არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესით“. ბრძანება აგრეთვე ადგენს კომერციული ბანკების/მიკრობანკების ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს ფინანსური ინსტრუმენტის ხარისხის შეფასებას, ფინანსური ინსტრუმენტების რისკის

კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესთან ერთად. ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება აქვთ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, მიკრობანკებს და უცხოური ბანკის/მიკრობანკის ფილიალებს;

- ✓ მიღებულ იქნა „კომერციული ბანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №214/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 28 სექტემბრის №258/04 ბრძანება. ბრძანების შემუშავება განპირობებულია საბანკო სისტემის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS) გადასვლით გამოწვეული ცვლილებებით. წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, ლევერიჯის კოეფიციენტის დათვლის მიზნებისთვის კომერციულმა ბანკებმა საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2000 წლის 26 ოქტომბრის №3 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის“ ნაცვლად უნდა ისარგებლონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) საფუძველზე გაანგარიშებული რიცხვებით. ამასთან, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დაზუსტდა ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულების ტერმინები.

მიღებულ იქნა „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ოქტომბრის №290/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დაზუსტდა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერის დაანგარიშების მეთოდოლოგია. კერძოდ, ცვლილების თანახმად, CRA ბუფერის კალკულაციაში გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ თითოეული სცენარის რეზერვის მოცულობასა და კომერციული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) დაფუძნებული და საბალანსო უწყისისთვის დაანგარიშებული შესაბამისი დონის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობას შორის დადებითი სხვაობების ჯამი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ცვლილება ზოგიერთი კომერციული ბანკისთვის გაზრდის კაპიტალის მოთხოვნას, აღნიშნული ნაწილის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2025 წლის 30 აპრილი, რაც კომერციულ ბანკებს მისცემს კაპიტალის უკეთესად დაგეგმვის შესაძლებლობას. ამასთან, CRA ბუფერს დაემატა ახალი, მესამე კომპონენტი, რომელიც მოიცავს საზედამხედველო პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასების შესაბამისად გამოვლენილ სხვა საზედამხედველო კორექტირებებს. დამატებით, განისაზღვრა წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერის ძირითად პირველად კაპიტალზე დაწესების, კომერციული ბანკების მიერ ამ ბუფერის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოსვლის ვადები, ასევე დაზუსტდა წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერთან დაქვითვადი ბუფერები. ამასთან, დაზუსტდა არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის კალკულაციისთვის, სესხების დოლარიზაციის დაანგარიშების მიზნებით, სესხებში მხოლოდ საბალანსო ელემენტების გამოყენების საკითხი.

მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 20 ნოემბრის №321/04 ბრძანება. წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, დაკორექტირდა ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი გაუნაწილებელი მოგების დათვლის პრინციპი. კერძოდ, დაემატა განჭვრეტადი დივიდენდის შეფასების პრინციპი, რომლის ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი მოგებიდან დაქვითვის ვალდებულება კომერციულ ბანკს ექმნება მისი განჭვრეტისთანავე.

მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 12 დეკემბრის №363/04 ბრძანება, რომლის მიხედვით, კომერციულმა ბანკებმა, კერძოდ, კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭომ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გათვალისწინებისა და ESG რისკების გამჟღავნებისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული და მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ESG საკითხების სახელმძღვანელოთი. ბრძანების მიზანია ხელი შეუწყოს ESG საკითხების სათანადო ინტეგრირებას კომერციული ბანკების საქმიანობაში, ESG რისკების ეფექტიან მართვასა და ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების გაუმჯობესებას. ESG საკითხების სახელმძღვანელოს მიზანია ბანკებს დაეხმაროს ESG საკითხების ინტეგრირებისა და ESG რისკების მართვის პრაქტიკების შემუშავებასა და გაუმჯობესებაში და უზრუნველყოს სათანადო, თავსებადი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისი სტანდარტები. აღნიშნული, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, **საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 დეკემბრის №380/04 ბრძანებით** ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს, საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს და მისი წევრების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, კომერციულ ბანკს მოსთხოვოს ან თავად შეამოწმოს საბჭოს დამოუკიდებელი წევრების შესაფერისობა, ხოლო შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, მოსთხოვოს კომერციულ ბანკს შეუწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრობის სტატუსი. აგრეთვე, შეიცვალა საბჭოს წევრის დამოუკიდებელ წევრად მიჩნევის ხანგრძლივობა, იმ მიზნით, რომ საბჭო დაკომპლექტებული იყოს ისეთი გამოცდილების მქონე პირებით, რომელთათვის სიღრმისეულად და სისტემურად, ისტორიულ ჭრილში აღქმადია ბანკის სტრატეგია და მიზნები. წინამდებარე ცვლილებებით დაზუსტდა ბანკის საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტების კრების ოქმების საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენის ვადის ათვლის საკითხი, ასევე დაკონკრეტდა სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასებისა და გარე შემფასებლის შეფასების ჩატარების პერიოდულობა.

ცვლილება შევიდა „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს №93/04 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანებების დანართი №1 და დანართი №2 დამტკიცდა

ახალი რედაქციებით ამ დანართებში ტექნიკური ცვლილებების შეტანის საჭიროებიდან გამომდინარე.

დამტკიცდა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №10/01–№51 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 14 ივლისის №176/04- №268 ერთობლივი ბრძანება, რომლის შესაბამისად, ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში დაზუსტდა ტერმინის – „ანგარიშსწორების დღე“ განმარტება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნაცვლად, მითითება გაკეთდა ზოგადად მყიდველზე, ასევე დებულებას დაემატა 6 თვემდე ნარჩენი ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების საანგარიშსწორებო ფასის გაანგარიშების ფორმულა, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ვალის მართვის მიზნებიდან გამომდინარე, ახორციელებს აღნიშნული ტიპის ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ოპერაციებს.

ხოლო ამავე ბრძანებაში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №399/04 – №515 ერთობლივი ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შემუშავების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ვალის მართვის მიზნებიდან გამომდინარე, გეგმავდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაცვლის ოპერაციების დაწყებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულებას დაემატა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაცვლის ოპერაციის ეტაპები და მასთან დაკავშირებული დეტალები.

ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №32/04 ბრძანებაში, სადაც გაკეთდა ზოგადი მითითება საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტსა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტზე. ცვლილებებით ამოღებულ იქნა ნორმები აღნიშნული დეპარტამენტების შესაბამის განყოფილებებზე.

მიკრობანკების საზედამხედველო ჩარჩო

2023 წლის განმავლობაში „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, გამოიცა მიკრობანკების საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რითაც სრულად შეიქმნა მიკრობანკების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების ლიცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №105/04 ბრძანება, რომლითაც დეტალურად მოწესრიგდა მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წერილობითი მიმართვის წარდგენის საკითხი და იმ

ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც თან უნდა დაერთოს აღნიშნულ წერილობით მიმართვას. აღსანიშნავია, რომ მიკრობანკის სალიცენზიო მოთხოვნები, არსებითად არ განსხვავდება კომერციული ბანკებისათვის არსებული სალიცენზიო მოთხოვნებისგან და ამ უკანასკნელის მსგავსად, ევრო დირექტივითა (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა (2013/36/EU) „საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობასთან წვდომისა და საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების პრუდენციული ზედამხედველობის შესახებ (CRD Directive 2013/36/EU)) და ევროპის საბანკო უწყების (European Banking Authority) მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს ეფუძნება.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №119/04 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შეფასების წესი და პროცედურა, მათ შორის, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი შესაფერისობის საკითხები, აგრეთვე, კანდიდატის კრიტერიუმთან შესაფერისობის შეფასების უზრუნველსაყოფად თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

ბრძანებით, „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განისაზღვრა ადმინისტრატორთა შესაფერისობის 5 კრიტერიუმი:

- კარგი რეპუტაცია, სანდოობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება;
- მიკრობანკის საქმიანობის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, უნარი და გამოცდილება;
- განსჯის დამოუკიდებლობა;
- საკმარისი დრო საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად;
- პარალელურად დაკავებული პოზიციების რაოდენობა.

ბრძანებით აგრეთვე განისაზღვრა თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომლებსაც კანდიდატის კრიტერიუმთან შესაფერისობის შეფასება უნდა დაეფუძნოს. გარდა ამისა, შემუშავდა კანდიდატის შესაფერისობის კითხვარი, რაც კანდიდატის მიერ მოცულობითი ინფორმაციის წარდგენის პროცესს გაამარტივებს.

აღსანიშნავია, რომ მიკრობანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნები, არსებითად არ განსხვავდება კომერციული ბანკებისათვის არსებული შესაბამისი მოთხოვნებისგან და ამ უკანასკნელის მსგავსად, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივითა (2013/36/EU დირექტივა, CRD) და ევროპის საბანკო უწყების სახელმძღვანელოებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ეფუძნება.

მიღებულ იქნა „მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №106/04 ბრძანება, რომლითაც დაზუსტდა „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობის კრიტერიუმების შინაარსი, განისაზღვრა წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განიმარტება

მნიშვნელოვანი წილის შექმნასთან დაკავშირებული ცალკეული ცნებების შინაარსი და დადგინდა მნიშვნელოვანი წილის არაპირდაპირი შემძენის განსაზღვრის წესი.

ბრძანებით, „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განისაზღვრა მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობის 5 კრიტერიუმი:

- განმცხადებლის რეპუტაცია, რაც მოიცავს მის სანდოობასა და სათანადო კომპეტენციას;
- განმცხადებლის მიერ მიკრობანკის ადმინისტრატორად შერჩეული პირის (ასეთი უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობა კანონითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
- განმცხადებლის ფინანსური სიმყარე;
- მიკრობანკის შესაბამისობა პრუდენციულ საზედამხედველო მოთხოვნებთან განმცხადებლის მიერ წილის შექმნის შემდგომ;
- განმცხადებელთან/ოპერაციასთან (ტრანზაქციასთან) დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების არარსებობა.

ბრძანებით აგრეთვე განისაზღვრა თითოეულ ზემოხსენებულ კრიტერიუმთან მიმართებით იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომლებსაც განმცხადებლის კრიტერიუმთან შესაფერისობის შეფასება უნდა დაეფუძნოს. ამასთან, განისაზღვრა მიკრობანკის მნიშვნელოვანი წილის არაპირდაპირი შემძენის დადგენისათვის საჭირო კონტროლისა და წილების გადამრავლების ტესტების გამოყენების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ მიკრობანკების მნიშვნელოვანი წილის შექმნის შესახებ დებულებით დადგენილი მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება კომერციული ბანკებისათვის არსებული შესაბამისი მოთხოვნებისგან და ამ უკანასკნელის მსგავსად, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივითა (2013/36/EU დირექტივა, CRD) და ევროპის საბანკო უწყების სახელმძღვანელოებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ეფუძნება.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებისთვის კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №116/04 ბრძანება, რომლითაც მიკრობანკებისთვის კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა 1%. მიკრობანკებს აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად განესაზღვრათ 1 წლიანი ვადა.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №114/04 ბრძანება, რომლის თანახმად, მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული იურიდიული პირის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 10 (ათი) მილიონ ლარს.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებისთვის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №107/04 ბრძანება, რომლის მიზანია, მიკრობანკების მიერ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებზე ადეკვატური ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად

არიდებისთვის. ბრძანებით განისაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის მართვის მიზნებისთვის მოსაწესრიგებელი საკითხები, მათ შორის, მიკრობანკების ვალდებულება მოახდინონ დაკავშირებული პირების და ტრანზაქციების იდენტიფიცირება, მონიტორინგი და მათთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე გაშლილი მკლავის პრინციპის დაცვა.

მიღებულ იქნა „**მიკრობანკის ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №121/04 ბრძანება, რომლითაც მიკრობანკის ლიკვიდაციასთან, გადახდისუუნარობასა და გაკოტრებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრა კომერციული ბანკებისათვის არსებული შესაბამისი დებულებების მსგავსად. გარდა ამისა, წესში დაზუსტდა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მიკრობანკს, ლიკვიდაციის ხარჯების დასაფარად თანხა არ აქვს, ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელი ხარჯების დასაფარად თავად გასცეს თანხა.

მიღებულ იქნა „**მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №123/04 ბრძანება. ბრძანების შემუშავება განპირობებული იყო „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე. კერძოდ, აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საზედამხედველო ზომასთან ერთად ან ამ ზომის მიღების გარეშე, პროპორციულობის პრინციპის დაცვით მიკრობანკსა და მის ადმინისტრატორს ან/და მაკონტროლებელ პირს დააკისროს სანქცია (ფულადი ჯარიმა) თავის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრძანებით დეტალურად მოწესრიგდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების საკითხები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება არსებითად არ განსხვავდება „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 15 დეკემბრის №242/01 ბრძანებისგან და ჯარიმის ოდენობები და დარღვევის კატეგორიები მიკრობანკებს კომერციული ბანკების მსგავსად განესაზღვრათ.

მიღებულ იქნა „**მიკრობანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №108/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესი ადგენს მიკრობანკების რისკების შეფასების პროცესს, რომლის მიზანია მიკრობანკების რისკების დონის შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ზომების განსაზღვრა. რისკების შეფასება წარმოადგენს უწყვეტ საზედამხედველო ციკლს და ძირითადად ეყრდნობა „GRAPE“-ის შეფასების ჩარჩოს, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის მნიშვნელოვანი პრინციპების“ დოკუმენტსა და სხვა მოწინავე საერთაშორისო საზედამხედველო პრაქტიკას.

მიღებულ იქნა „**მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №112/04 ბრძანება, რომლის

მიზანია, მიკრობანკებისათვის კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რამდენადაც ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვა მიკრობანკებში ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის და ზოგადად, ფინანსური სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მდგრადობას.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №113/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, მიკრობანკი და მისი შვილობილი ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველწლიურად მოიწვიონ აუდიტორი და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატარონ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №110/04 ბრძანება, რომლის მიზანია, გამჟღავნების მოთხოვნების მეშვეობით ხელი შეუწყოს საბაზრო დისციპლინის გაძლიერებას. ამ წესით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნები ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის მიკრობანკის ძირითად ინფორმაციას, რაც განაპირობებს მიკრობანკის წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდასა და ნდობის ამაღლებას. ამასთან, წესში, საყურადღებოა მიკრობანკების ვალდებულება, რომლის თანახმადაც მიკრობანკებმა ამ წესით განსაზღვრული პილარ 3-ის პირველი წლიური ანგარიშგება უნდა გამოაქვეყნონ და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ ლიცენზიის მიღების წლის ბოლოს მდგომარეობით, არაუგვიანეს მომდევნო წლის 15 მაისისა.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №117/04 ბრძანება, რომლის მიზანია რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მის საფუძველზე წარმოშობილი მსხვილი რისკების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაწესებით ხელი შეუწყოს მიკრობანკებისა და ზოგადად, საფინანსო სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას. ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები ეფუძნება „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ განსაზღვრულ ჩარჩოს, 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული მოთხოვნების შესახებ 575/2013 რეგულაციასა და 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული ზედამხედველობის შესახებ 2013/36 დირექტივას.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №118/04 ბრძანება, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა მიკრობანკებისთვის უძრავი ქონების შეფასების წესი და პრინციპები, რომლებიც, მათ შორის, ეფუძნება „შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს“ (IVS). აღნიშნული ინსტრუქციის მიზანია საბანკო სექტორში უძრავი ქონების შეფასების ხარისხის ამაღლება, შეფასების პროცესისა და პრინციპების მეტი გამჭვირვალობის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული სექტორის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

მიღებულ იქნა „**მიკრობანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №111/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულება შემუშავდა „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მიკრობანკი ვალდებულია დაიცვას სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივების თანაფარდობასთან დაკავშირებული ლიმიტები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით. დებულებაში გათვალისწინებული საკითხები ძირითადად არ განსხვავდება „კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებისგან“. კერძოდ, მსგავსად არის განსაზღვრული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები, საზედამხედველო კაპიტალის ელემენტები და კაპიტალად კლასიფიცირების კრიტერიუმები, საზედამხედველო კორექტირებები, საკრედიტო, საოპერაციო და საბაზრო რისკით შეწონილი რისკის პოზიციების დაანგარიშების მიდგომები, საკრედიტო რისკის მიტიგაციის ფორმები, კონტრაგენტების საკრედიტო რისკთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, მიკრობანკების შემთხვევაში არ არის განსაზღვრული სისტემური რისკის ბუფერი. გარდა ამისა, დებულებით დამატებით მოწესრიგებულია რამდენიმე საკითხი, რომელთაგან აღსანიშნავია, მიკრობანკებისათვის პილარ 2-ის ფარგლებში კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი. კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, მიკრობანკებს პილარ 2-ის ფარგლებში დაუწესდათ მხოლოდ წმინდა „GRAPE“ ბუფერისა და საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერის მოთხოვნები.

მიღებულ იქნა „**მიკრობანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №109/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში გათვალისწინებული საკითხები ძირითადად არ განსხვავდება „კომერციული ბანკების ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულებისგან“. კერძოდ, მსგავსად არის განსაზღვრული ლევერიჯის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა, ლევერიჯის კოეფიციენტის გამოთვლის ელემენტები და სტანდარტები, რის მიხედვითაც ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი. თუმცა, მიკრობანკების შემთხვევაში არ არის განსაზღვრული წარმოებული ინსტრუმენტების რისკის პოზიციის ღირებულების დათვლის ალტერნატიული საბაზრო ფასზე მიბმის მეთოდის გამოყენება და ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის ნებართვის მიღების შემთხვევაში ერთსა და იმავე კონტრაგენტთან ფასიანი ქაღალდებით დაფინანსებული ტრანზაქციის ფარგლებში მისაღები და გადასახდელი თანხების ურთიერთგაქვითვის გამოყენება.

მიღებულ იქნა „**მიკრობანკებისთვის ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №120/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესი შემუშავდა საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტრატეგიის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების და საზედამხედველო მიზნით არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების პრინციპების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (ფასს) შესაბამისობაში მოსვლის საჭიროებით. წესი ეფუძნება ფასს 9-ს და ამასთანავე, აკონკრეტებს ზოგიერთ პრინციპს. აღნიშნული წესის მიზანია, მიკრობანკების მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოთვლისათვის

გამოყენებული მიდგომები ერთმანეთთან შესადარისი გახადოს და ხელი შეუწყოს ფინანსური ანგარიშგების პროცესის გაუმჯობესებას.

მიღებულ იქნა „მიკრობანკში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №122/04 ბრძანება, რომლითაც დეტალურად მოწესრიგდა მიკრობანკში დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებასა და გაუქმებასთან დაკავშირებული გარემოებები, დროებითი ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები და მისი უფლება-მოვალეობები.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების მიერ ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №115/04 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული მიკრობანკის ფილიალის, სხვა ანალოგიური ქვედანაყოფისა და წარმომადგენლობის შექმნის წესი და პირობები. ბრძანებით მიკრობანკს მიენიჭა უფლება შექმნას ფილიალი, სხვა ანალოგიური ქვედანაყოფი და წარმომადგენლობა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ მიკრობანკების მიერ ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნისთვის დადგენილი მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება კომერციული ბანკებისათვის არსებული შესაბამისი მოთხოვნებისგან.

მიღებულ იქნა „საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 2 თებერვლის №13/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №104/04 ბრძანება, რის შედეგადაც, აღნიშნული ბრძანებით დადგენილი ეთიკის პრინციპები და პროფესიული ქცევის წესები ვრცელდება, მათ შორის, მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 17 აგვისტოს №151/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №135/04 ბრძანება, რომლითაც კომერციული ბანკების მიმართ დადგენილი მოთხოვნები და ვალდებულებები სრულად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებისთვის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №134/04 ბრძანება. ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნები ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (The Basel Committee on Banking Supervision) და სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. აღნიშნული დებულება არეგულირებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს, რომლის მიზანია მიკრობანკების აქტივებისა და გარესაბალანსო ოპერაციების შესაბამისი დაფინანსების სტრუქტურის ხელშეწყობა. სტაბილური დაფინანსების სტრუქტურა ამცირებს მიკრობანკის გადახდისუნარიანობის რისკს, ხოლო, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი ზღუდავს მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულებას და ასტიმულირებს დაფინანსების რისკის უკეთეს შეფასებას.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №132/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია განსაზღვრავს საბანკო პროდუქტებზე ჯანსაღი ფასდადების პრინციპებსა და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებს, ფასდადებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური შეფასებისა და მონიტორინგის მიზნებისათვის. ინსტრუქციის მიზანია ფასდადების ჯანსაღი პოლიტიკის არსებობით შემცირდეს მიკრობანკის მომგებიანობისა და გადახდისუნარიანობის რისკები, რაც დადებითად აისახება საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე, ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასა და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №140/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულება ითვალისწინებს მიკრობანკებისთვის მათი ზომისა და სირთულის შესაბამისად საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავებას, რაც სრულად ინტეგრირებული უნდა იყოს მიკრობანკის მთლიანი რისკების მართვის პროცესში.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №136/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნები ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (The Basel Committee on Banking Supervision) და სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. დებულების მიზანია საბანკო წიგნში წარმოშობილი საპროცენტო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაწესებით საფინანსო სექტორის სტაბილურობისა და ჯანსაღად ფუნქციონირების ხელშეწყობა.

მიღებულ იქნა „მიკრობანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №138/04 ბრძანება, რომლის მიზანია, მიკრობანკები ფლობდნენ ლიკვიდურ აქტივებს, რომლებიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, მიკრობანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს მას, გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.

მიღებულ იქნა „სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 23 იანვრის №11/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №131/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია კომერციული ბანკისთვის სისტემურობის ბუფერის ზღვრის ცვლილების კრიტერიუმი, რომელიც დამოკიდებულია კომერციული ბანკის წილზე სისტემაში არსებულ მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში (გარდა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან მიღებული უზრუნველყოფილი დეპოზიტებისა). ვინაიდან, „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მიკრობანკი

უფლებამოსილია განახორციელოს პროცენტის და უპროცენტო მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა, ბაზარზე არსებული მთლიანი არასაბანკო დეპოზიტების კალკულაციაში მიზანშეწონილად ჩაითვალოს მიკრობანკების მიერ მოზიდული თანხების გათვალისწინებაც.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებისთვის დილინგური ოპერაციების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №137/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მიზანია, უზრუნველყოს მიკრობანკების დილინგური ფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირება/გამოვლენა საბალანსო ანგარიშებზე სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტების მოცულობის ზრდასთან ერთად და მიკრობანკების მიერ შესაბამისი შიდა პოლიტიკა-პროცედურების შექმნა.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №133/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის განსაზღვრის მიზანია სავალუტო ოპერაციების შესრულების შედეგად უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შემთხვევაში შესაძლო რისკის შემცირება, რადგან ასეთმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მიკრობანკების მოგებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

მიღებულ იქნა „საოპერაციო რისკის მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 ივნისის №139/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით კომერციული ბანკებისთვის დაწესებული მოთხოვნები ანალოგიურად გავრცელდა მიკრობანკებზეც და ისინი მოექცნენ საერთო რეგულირების ქვეშ. ბრძანებით დამტკიცებული წესით ასევე დარეგულირდა, რომ საოპერაციო რისკების გარეშე მონაცემთა ბაზის მოდულში კომერციული ბანკი/მიკრობანკი ვალდებული იქნება ატვირთოს ყოველთვიური საოპერაციო რისკების დანაკარგები, ხოლო ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს/მიკრობანკებს კვარტალურად გაუზიარებს მიღებული კომერციული ბანკების/მიკრობანკების საოპერაციო რისკების დანაკარგების კონსოლიდირებულ მონაცემებს.

მიღებულ იქნა „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის №172/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №157/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის განკუთვნილი კორპორაციული მართვის კოდექსის მოქმედების სფეროში დღეს არ შედიან ლიცენზირებული კომერციული ბანკები, რომელთა კორპორაციული მართვის საკითხები საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალური ნორმატიული აქტით წესრიგდება, ანალოგიურად, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული კოდექსის მოქმედება არ გავრცელდეს არც ლიცენზირებულ მიკრობანკებზე, ვინაიდან მათთან მიმართებითაც იმოქმედებს სპეციალური კორპორაციული მართვის ჩარჩო.

მიღებულ იქნა „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №143/04 ბრძანება.

წარმოდგენილი ბრძანების შემუშავება განპირობებულია აღნიშნული წესის ახალ საზედამხედველო სუბიექტზე – მიკრობანკზე გავრცელების აუცილებლობით. წესის დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან ოპერაციების შეზღუდვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 მარტის №33/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №148/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, წესის დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „საგადახდო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმებისა და მისი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 4 ივლისის №99/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №144/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში განხორციელებული ცვლილება ითვალისწინებს ინსტრუქციის დებულებების კომერციული ბანკების ანალოგიურად მიკრობანკებზე გავრცელებას.

მიღებულ იქნა „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის №223/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №158/04 ბრძანება. გამომდინარე იქიდან, რომ „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობის შემთხვევაში, მიკრობანკის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საბროკერო საქმიანობის განხორციელებას, წესში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლად განისაზღვრა აგრეთვე მიკრობანკი.

მიღებულ იქნა „ევროთი დენომინირებული საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დეპოზიტის შესრულების ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 16 სექტემბრის №122/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №146/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით წესის დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №145/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით ინსტრუქციის დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „საგადახდო მომსახურების განხორციელებისას მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 6 იანვრის №1/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №149/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით წესის დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №156/04 ბრძანება. გამომდინარე იქიდან, რომ „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მიკრობანკის ერთ-ერთ საქმიანობად საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობის შემთხვევაში, მიკრობანკის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საბროკერო საქმიანობის განხორციელებას, წესის შესაბამის ნორმებში დაემატა მიკრობანკზე მითითება.

მიღებულ იქნა „მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 2 სექტემბრის №156/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №153/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით წესის დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 2 სექტემბრის №155/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №152/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დებულება კომერციული ბანკების ანალოგიურად გავრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №147/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით ინსტრუქცია კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც. ამასთან, ცვლილებით გათვალისწინებულია ინსტრუქციაში არსებული გარკვეული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა, მათ შორის, ტერმინების დაზუსტება.

მიღებულ იქნა „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №151/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დებულება კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკრობანკისათვის საბროკერო კომპანიისთვის ნებადართული საქმიანობის განსახორციელებლად თანხმობის გაცემისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №159/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესით დადგინდა მიკრობანკის მიერ საბროკერო საქმიანობის განხორციელების პირობები, მათ შორის, ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა

დაკმაყოფილდეს მიკრობანკის მიერ საბროკერო საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, განმცხადებელი თანხმობის მოსაპოვებლად ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს: განსახორციელებელი საბროკერო საქმიანობის სახეების ჩამონათვალი; არსებობის შემთხვევაში, სავაჭრო პლატფორმის პროვაიდერის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლების აღწერა; ინფორმაცია საბროკერო საქმიანობის ჭრილში მიკრობანკის ბიზნესმოდელის შესახებ და მისი სტრატეგიული გეგმა; მიკრობანკის საბროკერო მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირის შესაფერისობის დამადასტურებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, მიკრობანკისათვის მინიჭებული თანხმობის გაუქმების საფუძვლები, რომლებიც საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლები ანალოგიურია. ასევე, განისაზღვრა წესის ის ნორმები, რომლებიც საბროკერო საქმიანობის განხორციელებისას შესასრულებლად რელევანტური და სავალდებულო იქნება მიკრობანკისთვისაც.

მიღებულ იქნა „საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 11 ნოემბრის №198/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №155/04 ბრძანება. გამომდინარე იქიდან, რომ „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს (შესაბამისი შეზღუდვებისა და ლიმიტების ფარგლებში) მიკრობანკის ერთ-ერთ საქმიანობად ფულადი სახსრების ანგარიშების (მიმდინარე, სადეპოზიტო) გახსნას, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობის შემთხვევაში, მიკრობანკის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საბროკერო საქმიანობის განხორციელებას (რაც შეიძლება მოიცავდეს ფასიანი ქაღალდების შენახვასაც), წესის შესაბამის ნორმებში დაემატა მიკრობანკზე მითითება.

მიღებულ იქნა „დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №259/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №154/04 ბრძანება. გამომდინარე იქიდან, რომ „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მიკრობანკის ერთ-ერთ საქმიანობად გარანტიების გაცემას, ბრძანებით დამტკიცებულ წესში კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით გარანტიის გამცემ სუბიექტად დაემატა მიკრობანკი.

მიღებულ იქნა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის №287/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის №150/04 ბრძანება. ცვლილების შემუშავება განაპირობა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის ახალ სახედამხედველო სუბიექტზე – მიკრობანკზე გავრცელების აუცილებლობამ. „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, წესის დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად ვრცელდება მიკრობანკებზეც.

მიკრობანკებში კიბერუსაფრთხოების მართვის ერთიანი, ორგანიზებული მიდგომის დანერგვისა და განვითარების მიზნით მიღებულ იქნა „მიკრობანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 30 ივნისის №165/04

ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების სფეროში ავტორიტეტული დარგობრივი სტანდარტებისა და რეგულაციების მოთხოვნებს, ამასთან, მხედველობაში იღებს მიკრობანკების ზომასა და კომპლექსურობას. აღნიშნული ჩარჩოს დანერგვა მოიაზრებს მიკრობანკების სტრატეგიული მიზნების ფარგლებში კიბერუსაფრთხოების საკითხების ინტეგრირებას, თანამედროვე კიბერგამოწვევების პარალელურად ეფექტური მექანიზმების რეალიზებას. ჩარჩო ითვალისწინებს პერიოდული სავალდებულო უსაფრთხოების აუდიტების, შეღწევადობის ტესტირებების განხორციელებას, რაც წარმოადგენს რწმუნების მოპოვების გზას დანერგილი მიდგომის ეფექტურობაში.

მიღებულ იქნა „მიკრობანკებისთვის „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნების დაწესების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 5 ივლისის №169/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მიკრობანკებს დაუწესდათ დამატებითი ლიმიტები ფიზიკური პირებისგან მოზიდულ დაბრუნებად ფულად სახსრებზე, განხორციელებულ წილობრივ და ქონებრივ ინვესტიციებზე.

მიღებულ იქნა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 12 ივლისის №173/04 ბრძანება. წარმოდგენილი ცვლილებით, ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მოთხოვნები სხვა ფინანსური ორგანიზაციების მსგავსად, სრულად გავრცელდა მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 12 ივლისის №172/04 ბრძანება. იმის გათვალისწინებით, რომ მიკრობანკების მიმართ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით კანონმდებლობით გათვალისწინებული მოწესრიგება არ განსხვავდება სხვა ფინანსური ორგანიზაციების მიმართ მოქმედი რეგულირებისგან, წარმოდგენილი ცვლილებით, ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები სხვა ფინანსური ორგანიზაციების მსგავსად, სრულად გავრცელდა მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 აგვისტოს №189/04 ბრძანება. ცვლილების შედეგად, აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესი, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების მსგავსად, გავრცელდა მიკრობანკებზეც.

მიღებულ იქნა „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №67/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 აგვისტოს №190/04 ბრძანება. ცვლილების შედეგად, აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესი, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების მსგავსად, გავრცელდა მიკრობანკზეც.

მიღებულ იქნა „მიკრობანკისთვის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 აგვისტოს №192/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მიზანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიკაციის სისტემის დანერგვა. კერძოდ, ბრძანების მიხედვით, მიკრობანკებს დაევალებათ სესხის გაცემისას სესხს მიანიჭონ მწვანე სესხის კატეგორია ამავე ბრძანებით განსაზღვრული წესით. ამასთან, მიკრობანკებმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინონ მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება. გარდა ამისა, პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ფარგლებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social, and Governance – ESG) საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების განსაზღვრისას მიკრობანკები ვალდებული არიან იმოქმედონ წესის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს ფინანსურ სექტორში მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების საერთო განმარტების არსებობას და მწვანე სესხების შესახებ მონაცემების შეგროვებას. აღნიშნული ბრძანება ხელს შეუწყობს მიკრობანკების გამჭვირვალობის ზრდას მდგრადი დაფინანსების მიმართულებით და უზრუნველყოფს ინფორმაციის შესადარ და თანმიმდევრულ გამჟღავნებას.

მიღებულ იქნა „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 აგვისტოს №201/04 ბრძანება. ბრძანებაში ცვლილების შეტანით მიკრობანკი დაემატა სესხის გამცემი ორგანიზაციის დეფინიციის და მასზე გავრცელდა აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, რაც სხვა სესხის გამცემი ორგანიზაციების მიმართ მოქმედებს. ასევე, წესში დამატებითი მოთხოვნები დაწესდა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მხრიდან ელექტრონული საინფორმაციო სისტემის სათანადოდ გამართვასთან დაკავშირებით.

მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 16 დეკემბრის №160/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №213/04 ბრძანება. აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მიკრობანკებს ჰქონდეთ საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოების საშუალება, ისევე როგორც ამის საშუალება აქვთ კომერციულ ბანკებს, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

მიღებულ იქნა „TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 12 ოქტომბრის №146/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №214/04 ბრძანება. აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აუცილებელია ლარის ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ამსახველი ინდიკატური მაჩვენებლის TIBR ინდექსის გაანგარიშებაში კომერციული ბანკების გარიგებებთან ერთად მონაწილეობდეს მიკრობანკების მიერ ამავე წესის შესაბამისად განხორციელებული გარიგებები.

მიღებულ იქნა „საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 29 დეკემბრის №362 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №215/04 ბრძანება. ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მიკრობანკებისგან მოხდეს საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის ფორმების მიღება ისევე, როგორც ეს ხდება კომერციული ბანკების შემთხვევაში. ამასთან, დაზუსტდა, რომ აღნიშნული ფორმების წარდგენა უნდა განხორციელდეს შესაბამის პორტალზე ატვირთვით, ნაცვლად ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნისა.

მიღებულ იქნა „სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის №142/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №212/04 ბრძანება. აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სავალუტო ბაზარზე მიკრობანკების მიერ განხორციელებულ საშუამავლო საქმიანობაზე გავრცელდეს იგივე მიდგომები, რაც გათვალისწინებულია სხვა მონაწილეთათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ბაზარზე კონკურენციას თანაბარი პირობებით.

მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №209/04 ბრძანება. აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია მიკრობანკებისთვის სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების იგივე პირობებისა და მოთხოვნების დადგენის აუცილებლობით, როგორც დღეისათვის არსებობს კომერციული ბანკების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულების მიზნებისთვის მიკრობანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატი ჩაითვლება ასევე დეპოზიტად, რის შედეგადაც მასთან მიმართებით გავრცელდება „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი შეზღუდვები.

მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №211/04 ბრძანება. ცვლილების შეტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მიკრობანკების მიმართ გავრცელდეს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ისევე როგორც

დადგენილია კომერციული ბანკების მიმართ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

მიღებულ იქნა „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის №141/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №210/04 ბრძანება. ცვლილების შეტანა განპირობებულია ბლუმბერგის სისტემაში მიკრობანკების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე იმავე მიდგომების გავრცელების აუცილებლობით, როგორც არის სხვა მონაწილეთათვის, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე კონკურენციას თანაბარი პირობებით.

მიღებულ იქნა „კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 იანვრის №1/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 7 სექტემბრის №236/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანება ითვალისწინებს კომერციული ბანკების მსგავსად, ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის გავრცელებას მიკრობანკებზე.

მიღებულ იქნა „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2018 წლის 28 მაისის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის №5 დადგენილება. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს კომერციული ბანკების მსგავსად, მიკრობანკებისგან მიღებული ლარის ბანკნოტების გადათვლა-დახარისხების პროცესში კომისიის გარეშე ავტომატურ რეჟიმში ლარის ბანკნოტების გადათვლა-განადგურების პროცესის განხორციელებას სორტირების მანქანის მეშვეობით.

მიღებულ იქნა „საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილება. დადგენილება ითვალისწინებს კომერციული ბანკების მსგავსად, საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესის გავრცელებას მიკრობანკებზე.

მიღებულ იქნა „ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმების და მათი მიღება-გამოცვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის №4 დადგენილება. დადგენილება ითვალისწინებს კომერციული ბანკების მსგავსად, ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმების და მათი მიღება-გამოცვლის წესის გავრცელებას მიკრობანკებზე.

უძრავი ქონების ინსპექტირების პროცესის გამარტივების და ქონების მესაკუთრისთვის დამატებითი ვალდებულების დაკისრების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა „მიკრობანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №118/04 ბრძანებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 26 დეკემბრის №381/04 ბრძანება, რომლითაც მიკრობანკების მიმართ დაწესებული სავალდებულო მოთხოვნები, წარმოადგინონ ამზომველის მიერ მომზადებული აზომვითი ნახაზი შესაფასებელი უძრავი ქონების რეალურ ფართობსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ ფართობს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში და ასევე მოახდინონ შეფასებული ქონების რეალური ფართობის რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იძენს სარეკომენდაციო ხასიათს. ბრძანებით აგრეთვე დაზუსტდა, რომ პირველი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიას მიკუთვნებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ვალდებულებების/მოთხოვნის რესტრუქტურირების ან/და ზრდის შემთხვევაში, უძრავი ქონების გადაფასება სავალდებულო იქნება, თუ ბოლო შეფასებიდან გასულია 2 წელი და მეტი, ნაცვლად 1 წლისა.

ცვლილება შევიდა „მიკრობანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №108/04 ბრძანებაში, სადაც გაკეთდა ზოგადი მითითება საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტსა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტზე და ამოღებულ იქნა ნორმები აღნიშნული დეპარტამენტების შესაბამის განყოფილებებზე.

საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების რეგულირება

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, შემუშავდა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ განახლებული ვერსია და მიღებულ იქნა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანება. ბრძანებით მომსახურებები განისაზღვრა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საგადახდო მომსახურებების მიხედვით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებები შეეხო სარეგისტრაციო დოკუმენტების ჩამონათვალსაც. ამასთან, ბრძანებით განისაზღვრა დაინტერესებული პირის ვალდებულება წარადგინოს ინფორმაცია ადმინისტრატორების, ბენეფიციარი მესაკუთრის/მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრის/მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირის შესახებ. ბრძანებაში გათვალისწინებულია სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალის შესაბამისობის ცხრილის წარდგენის ვალდებულებაც. ახალი ბრძანებით განისაზღვრა პროვაიდერისთვის მნიშვნელოვანი პროვაიდერის სტატუსის მინიჭების და გაუქმების კრიტერიუმები, დაზუსტდა ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები, დაინტერესებული პირის მიერ პროვაიდერად რეგისტრაციის დროს ბიზნეს-გეგმის წარდგენასთან და ელექტრონული სისტემის მოთხოვნებთან დაკავშირებული ჩანაწერები, პროვაიდერის სათავო ოფისის, საოპერაციო საქმიანობის განმახორციელებელ ფართთან, აღჭურვილობასთან, ასევე ელექტრონულ სისტემაში აღრიცხულ მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნები, აგრეთვე, დაიხვეწა პროვაიდერის შიდა პოლიტიკასთან და რისკების მართვასთან დაკავშირებული და მომხმარებლის საჩივრის მიღებისა და განხილვის უზრუნველყოფის კუთხით წესში არსებული მოთხოვნები.

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, მიღებულ იქნა **„საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №79/04 ბრძანება**, რომლითაც, დადგინდა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები და საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშების მეთოდოლოგია. ბრძანების თანახმად, მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა დამოკიდებულია პროვაიდერის მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ საგადახდო მომსახურების ჩამონათვალსა და სახეებზე, ხოლო, მოთხოვნილი საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა იანგარიშება პროვაიდერის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების ან/და გამოშვებულ და დაფარულ ელექტრონული ფულის შეწონილი მნიშვნელობის ან საშუალო დღიური გამოშვებული ელექტრონული ფულის (ნაშთის) მიხედვით. ბრძანებაში აგრეთვე მოცემულია კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კაპიტალის ინსტრუმენტები იმისათვის, რომ პროვაიდერმა შეძლოს მათი პირველად ან მეორად კაპიტალში ჩართვა და მინიმალური საზედამხედველო ან საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნული ბრძანებით აგრეთვე დადგენილია პროვაიდერის ვალდებულებები და აკრძალვები საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში.

მიღებულ იქნა **„საგადახდო მომსახურების განხორციელებისას მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 6 იანვრის №1/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №78/04 ბრძანება**, რომლითაც ტექნიკურად შეიცვალა მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტის განმარტება. კერძოდ, ნაცვლად სხვა სამართლებრივ აქტზე გადამისამართებისა, მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტის განმარტება სრულად მიეთითა აღნიშნულ ბრძანებაში.

მიღებულ იქნა **„ღია ბანკინგში ჩართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 მაისის №80/04 ბრძანება**, რომლითაც დადგინდა ის აუცილებელი მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საბროკერო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სესხის გამცემი სუბიექტი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, კომერციული ბანკი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, რომელსაც სურს ჩაერთოს ღია ბანკინგში, ასევე ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერად და გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის მსურველი. ბრძანებით განისაზღვრა, მათ შორის, ღია ბანკინგში ჩართვისთვის წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ღია ბანკინგში ჩართვის პირობები, კრიტერიუმები, აგრეთვე, ღია ბანკინგში ჩართული სუბიექტის ვალდებულებები და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ღია ბანკინგში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი. ბრძანებით კომერციულ ბანკებს განესაზღვრათ ვალდებულება, უზრუნველყონ სატესტო გარემოს არსებობა და ხელმისაწვდომი გახადონ იგი სუბიექტებისთვის.

მიღებულ იქნა **„საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 ნოემბრის №299/04 ბრძანება**, რომლის შემუშავება განპირობებული იყო „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით. კერძოდ, აღნიშნული კანონით განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის

უფლებამოსილება საგადახდო სისტემას მიანიჭოს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ან გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი, აგრეთვე განსაზღვროს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემისა და გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის კრიტერიუმები და ამ სისტემის ან/და მისი ოპერატორის მიმართ დადგინოს მოთხოვნები. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP) რეკომენდაციებით საგადახდო სისტემებისათვის დანერგილი უნდა იქნეს საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტისა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის CPSS-IOSCO-ს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპები (PFMI). ბრძანება შემუშავებულია CPSS-IOSCO ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპების, მათი გასაჯაროების ჩარჩოსა და დანერგვის მეთოდოლოგიის, ცენტრალური ბანკის ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებში PFMI-ს გამოყენებისა (Application of the Principles for financial market infrastructures to central bank FMIs) და ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის სტანდარტების მიხედვით და შეესაბამება მათ მოთხოვნებს. ბრძანების მოქმედება გავრცელდა საქართველოში არსებულ საგადახდო სისტემებსა და მათ ოპერატორებზე, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მართულ საგადახდო სისტემებზე. ბრძანებით განისაზღვრა საგადახდო სისტემის მმართველობითი სტრუქტურა, სამართლებრივი, საკრედიტო, ლიკვიდობის, საოპერაციო, ინვესტირების და ზოგადი ბიზნეს რისკების მართვის მინიმალურ სტანდარტები, დაწესდა მოთხოვნები საგადახდო სისტემის ანგარიშსწორებისა და მასში გამოყენებული აქტივების მიმართ, დადგინდა საგადახდო სისტემის მონაწილის დეფოლტის წესებისა და პროცედურებისადმი მოთხოვნები და სხვა საკითხები. ბრძანება ითვალისწინებს საგადახდო სისტემების სისტემურად მნიშვნელოვან, გამორჩეულად მნიშვნელოვან და სხვა საგადახდო სისტემებად დაყოფას და თითოეული მათგანისთვის ადგენს შესაბამის მოთხოვნებს.

მიღებულ იქნა „**მნიშვნელოვანი სისტემის ქვეკატეგორიების განსაზღვრისა და საგადახდო სისტემისთვის მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ**“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 ნოემბრის №298/04 ბრძანება, რომელიც შემუშავდა ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის სტანდარტების მიხედვით და მისი მოქმედება გავრცელდა საქართველოში არსებულ ფულადი სახსრების საგადახდო სისტემებსა და მათ ოპერატორებზე, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებად საგადახდო სისტემებზე. ბრძანება ითვალისწინებს მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემების ორ კატეგორიად – სისტემურად მნიშვნელოვან და გამორჩეულად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემებად დაყოფას. ამასთან, საგადახდო სისტემა ითვლება სისტემურად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემად, თუ მას პოტენციურად შეუძლია გამოიწვიოს სისტემური რისკი. ბრძანებით განისაზღვრა კრიტერიუმები მნიშვნელოვანი სისტემის თითოეული კატეგორიისათვის და დადგინდა სტატუსის მინიჭების და სტატუსის გაუქმების პროცესი. ამასთან, ბრძანების მიხედვით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საზოგადოების ნდობის, საგადახდო სისტემის, ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან/და საგადახდო სისტემის სოციალური ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით არ გააუქმოს მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ საგადახდო სისტემა აღარ აკმაყოფილებს მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს.

ცვლილებები შევიდა „მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 2 სექტემბრის №156/04 ბრძანებაში:

- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 11 აპრილის №70/04 ბრძანებით დადგინდა პროვაიდერის უფლებამოსილება განსაზღვრული მიზნებისთვის გადახდის ოპერაციების დათვლაში არ გაითვალისწინოს ოფლაინ რეჟიმში შესრულებული ოპერაციები, ვინაიდან შესაძლოა ამის ტექნიკური შესაძლებლობა ყოველთვის არ არსებობდეს. ტექნიკური შესაძლებლობის არარსებობის დასაბუთების ვალდებულება კი დაეკისრა თავად ემიტენტ პროვაიდერს;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 25 აგვისტოს №223/04 ბრძანებით განისაზღვრა, რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს შორის პასუხისმგებლობა და მოვალეობები რეგულირდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. დამატებით, დადგინდა, რომ ამგვარი ხელშეკრულებით დაუშვებელია პროვაიდერმა (როგორც გადამხდელის პროვაიდერმა) თავისი შესაბამისი პროცესების/პროტოკოლის სისუსტეებითა და ხარვეზიანი მუშაობით გამოწვეული არავტორიზებული, არასწორად ან დაგვიანებით შესრულებული, ასევე, შეუსრულებელი ოპერაციებისათვის პასუხისმგებლობა დააკისროს იურიდიულ პირს (შესაბამისად, მეორე პროვაიდერს);
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 22 დეკემბრის №373/04 ბრძანებით 2025 წლის 1 იანვრამდე გადავადდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვალდებულება, ელექტრონული კომერციის ოპერაციების შესრულება უზრუნველყოს წესის მოთხოვნების დაცვით. აგრეთვე, 2024 წლის 1 აპრილამდე გახანგრძლივდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საზარათე გადახდის ოპერაციებისთვის დროის რეალურ რეჟიმში მონიტორინგის მექანიზმის დანერგვის ვალდებულება. გარდა ამისა, ბრძანების თანახმად, წესით გათვალისწინებული პირველი აუდიტის ჩატარების ვადამ გადაიწია 2024 წლის 1 ივლისამდე.

ცვლილება შევიდა „საგადახდო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმებისა და მისი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 4 ივლისის №99/04 ბრძანებაში. ცვლილების მიზანია საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ ამავე ბრძანებით განსაზღვრული ანგარიშგების ფორმების NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის მეშვეობით წარდგენა, საქართველოს ეროვნულ ბანკში შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის ნაცვლად. ამასთან, საზედამხედველო პრაქტიკიდან გამომდინარე მონაცემების სრულყოფის მიზნით შესაბამისი ცვლილებები შევიდა ასევე დანართებში.

ცვლილება შევიდა „ღია ბანკინგში ჩართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 მაისის №80/04 ბრძანებაში. ცვლილების საჭიროება გამომდინარეობდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან, რომლის მიხედვითაც, სხვა სუბიექტებთან ერთად საკრედიტო საინფორმაციო ბიუროც უფლებამოსილი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განახორციელოს გადახდის ინიცირების მომსახურება ან/და ანგარიშის ინფორმაციაზე

წვდომის მომსახურება (ღია ბანკინგში ჩართვის უფლებამოსილება). აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სუბიექტების ჩამონათვალს დაემატა საკრედიტო საინფორმაციო ბიურო.

დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო

2023 წლის 1 დეკემბრიდან საქმიანობა დაიწყო საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულმა საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების სფეროში დავების განმხილველმა კომისიამ. აღნიშნული კომისია განიხილავს საგადახდო მომსახურების მომხმარებელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის დავებს, რომლებიც უკავშირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და აგრეთვე, მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებს. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა კომისიის დაკომპლექტება და მისი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა კანონქვემდებარე კანონმდებლობის სახით.

დამტკიცდა „საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის წევრებისა და თავმჯდომარის შერჩევის, წარდგინების, დანიშვნის, გათავისუფლებისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 26 ივლისის №1 დადგენილება, რომელიც აწესრიგებს კომისიის წევრების და თავმჯდომარის შერჩევის, წარდგინების და დანიშვნის საკითხებს. წესი ასევე განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარისა და წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებს და კომისიის იმ წევრების შრომის ანაზღაურებას, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლები არ არიან.

„საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის წევრებისა და თავმჯდომარის შერჩევის, წარდგინების, დანიშვნის, გათავისუფლებისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 26 ივლისის №1 დადგენილებაში შეტანილ იქნა რამდენიმე ცვლილება და მიღებულ იქნა:

- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის №7 დადგენილება. ვინაიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების დეპარტამენტი გაიყო ორ სხვადასხვა დეპარტამენტად, დადგენილებით დამტკიცებულ წესში გაკეთდა მითითება მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტზე, ნაცვლად მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების დეპარტამენტისა;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 27 ოქტომბრის №9 დადგენილება, რომლითაც დაზუსტდა საკონკურსო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა, მათ შორის, განისაზღვრა, რომ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე და ოქმს ხელს აწერენ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის №11 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა საგამონაკლისო წესი, რომლის მიხედვითაც, დავების განმხილველი კომისიის მიერ თავმჯდომარის არჩევა და ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ მისი დანიშვნა განხორციელდება დროებით, კომისიის თავდაპირველ სრულ

დაკომპლექტებამდე. დამატებით, ცვლილებებით დაკონკრეტდა კომისიის თავმჯდომარის ფუნქციები, კერძოდ, ცალსახად განისაზღვრა, რომ კომისიის თავმჯდომარე ამტკიცებს კომისიის სიმბოლოებს, მათ შორის, კომისიის ემბლემას, ბლანკის ნიმუშს და მათი გამოყენების წესს.

დამტკიცდა **„საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 26 ივლისის №2 დადგენილება**, რომლითაც განისაზღვრა კომისიის საქმიანობის წესი და, ასევე, კომისიისთვის წარსადგენი საჩივრის სპეციალური ფორმა. საქმიანობის წესით დეტალურად მოწესრიგდა დავების განმხილველი კომისიისთვის წარდგენილი საჩივრის წარმოებაში მიღების, წარდგენილ საჩივარზე ხარვეზის დადგენის, საჩივრის განხილვაზე უარის თქმის, საჩივრის განხილვის, დავის მხარეებთან ურთიერთობის, საქმის გარემოებების გამოკვლევის და სხვა საკითხები. დადგენილებით განისაზღვრა, რომ კომისიის აპარატის ფუნქციას შეასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემების დეპარტამენტის დავების განმხილველი კომისიის მხარდაჭერის განყოფილება. კომისიის აპარატის საქმიანობის მომწესრიგებელი დებულებებიც გაიწერა აღნიშნული დადგენილებით.

მიღებულ იქნა **„საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 26 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის №12 დადგენილება**. ცვლილების შემუშავება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დავების განმხილველი კომისიისათვის საჩივრის წარდგენა შესაძლებელია როგორც მატერიალური, აგრეთვე, ელექტრონული ფორმით. შესაძლებელია საჩივარში მითითებული გვერდები, მატერიალურად შევსების შემთხვევაში, საკმარისი არ ყოფილიყო საჩივრის წარმდგენი პირისათვის ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოებების აღსაწერად, შესაბამისად, დადგენილებით დამტკიცებულ საჩივრის სპეციალურ ფორმას დაემატა შენიშვნა, რომლის თანახმად, საჩივრის წარმდგენ პირს შეუძლია საჩივრის ფორმას თან დაურთოს დამატებითი ფურცლები დანომრილი სახით.

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგულირება

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონსა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებიდან გამომდინარე დამტკიცდა **„ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანება**. ბრძანების შემუშავება დაკავშირებული იყო საქართველოში მოქმედი ვირტუალური აქტივის მომსახურების გამწევი კომპანიების და აღნიშნული მომსახურების დანერგვის მსურველი კომპანიების რეგისტრაციასთან და მათი საქმიანობის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით რეგულირების საკითხებთან. ბრძანებით განისაზღვრა სარეგისტრაციო მოთხოვნები, ადმინისტრატორის და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის/ბენეფიციარი მესაკუთრის შესაფერისობის კრიტერიუმები, კომპანიაში წილობრივი

მონაწილეობის კონტროლი, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის სათავო ოფისის, ფილიალების, თვითმომსახურების კიოსკის და ელექტრონული სისტემის მიმართ მოთხოვნები და სხვა საკითხები აღსანიშნავია, რომ ბრძანება არ ითვალისწინებს რეგისტრირებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის პრუდენციულ ზედამხედველობას. რეგისტრაციის შემდეგ მოხდება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობა მხოლოდ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2022 წლის 9 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2024 წლის 1 იანვრამდე ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაციის განსაზღვრის წესის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებაში. ცვლილებების შედეგად „გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებას და ამ ბრძანებით დამტკიცებული დებულების სათაურს დაემატა ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაციის განსაზღვრაზე მითითება. ამასთან, დებულების მოთხოვნები გავრცელდა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებზე და საფინანსო სექტორის იმ წარმომადგენლებზე, რომელთაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება. გასათვალისწინებელია, რომ ცვლილებების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციების გამჭვირვალობისა და მიკვლევადობის ხელშეწყობა. ამასთანავე, ცვლილებები ხელს უწყობს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) ვირტუალურ აქტივთან დაკავშირებული რეკომენდაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას. გარდა ამისა, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ცვლილებებზე მუშაობისას, მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი რეგულაცია: Regulation (EU) 2023/1113 of the European Parliament and of the Council of 31 May 2023 on information accompanying transfers of funds and certain crypto-assets and amending Directive (EU) 2015/849. ცვლილებებით განისაზღვრა, თუ რა ინფორმაცია უნდა ახლდეს ვირტუალური აქტივის გადაცემას, ასევე, განისაზღვრა შემდეგი საკითხები: ვირტუალური აქტივის გადაცემის ტრანზაქციების პაკეტური ფაილის სახით შესრულება; აქტივის მიმღების/ვირტუალური აქტივის მომსახურების შუამავალი პროვაიდერის მიერ აქტივის გადაცემის ან აქტივის მიმღების შესახებ არასრული თანმხლები ინფორმაციით გადაცემის ტრანზაქციის აღმოჩენა; საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და ვირტუალური აქტივის პროვაიდერის შიდა პოლიტიკა, პროცედურები და კონტროლი შემზღვეველი ზომების განხორციელების უზრუნველსაყოფად და სხვა საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა:

- ✓ „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანებაში;
- ✓ „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებაში;

- ✓ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №16/04 ბრძანებაში;
- ✓ „მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №123/04 ბრძანებაში;
- ✓ „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში;
- ✓ „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებაში;
- ✓ „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 ივნისის №87/04 ბრძანებაში.

დამტკიცდა „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 13 ივნისის №94/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 25 დეკემბრის №376/04 ბრძანება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი ვადის გახანგრძლივება. დამატებითი ვადის გაზრდის საჭიროება განაპირობა დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის დიდმა მოცულობამ და კომპლექსურობამ. დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფილად განხილვის მიზნით, ცვლილება შევიდა ბრძანებით დამტკიცებულ წესში და განისაზღვრა, რომ საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა გააგრძელოს ორჯერ, თითოეულ შემთხვევაში, 60 კალენდარული დღით. დამატებით, ცვლილებებით განისაზღვრა, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელებისათვის გამოყენებული ელექტრონული სისტემის ცვლილების შესახებ.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და სესხის გამცემი სუბიექტების რეგულირება

მიღებულ იქნა „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 25 იანვრის №15/04 ბრძანება, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციის უფლების მქონე

სუბიექტთა წრე. კერძოდ, სესხის გამცემი სუბიექტი შეიძლება ფუნქციონირებდეს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმე სესხის გამცემ სუბიექტად ვეღარ დარეგისტრირდება. რაც შეეხება უკვე დარეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელსაც სურს სესხის გამცემ სუბიექტად საქმიანობის გაგრძელება, იგი ვალდებულია ხელახალი რეგისტრაციისთვის მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ხელახალ რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტი უფლებამოსილია გააგრძელოს საქმიანობა დადგენილი წესით. ამასთან, ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელმაც არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივლისისა, ხელახალი რეგისტრაციისთვის არ მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუუქმდება სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაცია. რეგისტრაცია გაუუქმდება ასევე იმ პირს, რომელსაც ხელახალ რეგისტრაციაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ეთქვა უარი.

დამტკიცდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 25 დეკემბრის №377/04 ბრძანება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ვიდეომეთვალყურეობის სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნების „ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილებებით ასევე განისაზღვრა, რომ სესხის გამცემ სუბიექტს აღარ სჭირდება ვალუტის გადამცვლელ პუნქტად რეგისტრაცია იმისათვის, რომ განახორციელოს ვალუტის გადაცვლის ოპერაციები. დამატებით, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რაც უკავშირდება „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებას.

დამტკიცდა „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №217/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 25 დეკემბრის №378/04 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს სესხის გამცემი სუბიექტის ვიდეომეთვალყურეობის სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნების „ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას. ცვლილებებით სესხის გამცემ სუბიექტს უფლება მიეცა განახორციელოს ვალუტის გადაცვლის ოპერაციები, ვალუტის გადამცვლელ პუნქტად რეგისტრაციის გარეშე. დამატებით ცვლილებებით ასევე განისაზღვრა სესხის გამცემი სუბიექტის მიერ ვალუტის გადაცვლის ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რაც მოქმედი კანონმდებლობით ვრცელდება ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე. ამასთან,

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რაც უკავშირდება „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებას.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა

სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების მიერ სანქციათა რეჟიმების შესრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №208/04 ბრძანება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული სანქციათა რეჟიმების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დადგენას საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისთვის. ბრძანება ითვალისწინებს ამ მიმართულებით საფინანსო სექტორის ვალდებულებას ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის თაობაზე. ბრძანებით განსაზღვრული სანქციათა რეჟიმები მოიცავს რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის (USA, EU, UK) მიერ დაწესებულ სანქციებს. დამატებით, ბრძანებაში ასახულია სანქციათა რეჟიმების დარღვევის/გვერდის ავლის რისკების შემცირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ცალკეული წერილობით მითითებების მოთხოვნები. ბრძანებით ასევე დადგენილია ნაღდი უცხოური ვალუტის მიწოდებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება, საყურადღებო პირებთან დაკავშირებული ვალდებულებები, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ წერილობითი მითითების გაცემის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომებისა ან/და სანქციების გამოყენების თაობაზე. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების სრულყოფილად რეალიზების მიზნით, აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილება შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 19 სექტემბრის №253/04 ბრძანებით და დამტკიცებულ წესს დაემატა 5¹ მუხლი, რომლითაც მოწესრიგდა სანქციათა რეჟიმის გავრცელების კუთხით საქართველოს მოქალაქესთან დაკავშირებული შემთხვევები.

სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობის პროცესის ეფექტურობისთვის მიღებულ იქნა „მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინების სკრინინგის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 9 ოქტომბრის №273/04 ბრძანება, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) შეტყობინებების სკრინინგის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას. ბრძანება ითვალისწინებს SWIFT შეტყობინებების კატეგორიებსა და ველებს, აგრეთვე, სიებს, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს სკრინინგი და სკრინინგის განხორციელების პროცესისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მოთხოვნებს. ბრძანებით ასევე გათვალისწინებულია დამთხვევების ალგორითმის შესაბამისი წესით დანერგვა მცირე სახესხვაობების/ალტერაციების და ტრანსლიტერაციების იდენტიფიცირებისთვის, ასევე განმეორებული ოპერაციის იდენტიფიცირების მოთხოვნა და დამთხვევების განხილვის პროცესი. გარდა ამისა, ბრძანებით დადგენილია დამთხვევის ალგორითმის ტესტირების ვალდებულება მისი ეფექტურად ფუნქციონირების შემოწმებისთვის.

მიღებულ იქნა „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 10 ნოემბრის №313/04 ბრძანება, რომელიც აწესრიგებს კომერციული ბანკების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსების წესსა და წარდგენის პროცედურას. კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებულია „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“, ანგარიშგების ძირითადი ფორმა და ანგარიშგების მიზნებისთვის ოფშორული ზონების ჩამონათვალი. „კომერციული ბანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“ ადგენს ძირითად პრინციპებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ კომერციულმა ბანკებმა შესაბამისი ანგარიშგების წარდგენის პროცესში და დეტალურად აწესრიგებს ანგარიშგების წარდგენის ვადებსა და პროცედურას.

მიღებულ იქნა „მიკრობანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 10 ნოემბრის №312/04 ბრძანება, რომელიც აწესრიგებს მიკრობანკების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსების წესსა და წარდგენის პროცედურას. კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებულია „მიკრობანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“, ანგარიშგების ძირითადი ფორმა და ანგარიშგების მიზნებისთვის ოფშორული ზონების ჩამონათვალი. „მიკრობანკების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და წარდგენის წესი“ ადგენს ძირითად პრინციპებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ მიკრობანკებმა შესაბამისი ანგარიშგების წარდგენის პროცესში და დეტალურად აწესრიგებს ანგარიშგების წარდგენის ვადებსა და პროცედურას.

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობა

„იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებულ იქნა „იპოთეკით დაცული ობლიგაციების მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 15 მარტის №56/04 ბრძანება, რომლითაც დადგინდა იპოთეკური ობლიგაციების გამოშვებისთვის ავტორიზაციის გაცემისა და იპოთეკური ობლიგაციების პროგრამის განხორციელებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თანხმობის გაცემის დეტალური წესი და პირობები. ბრძანებით აგრეთვე განისაზღვრა ემიტენტების მიერ ინვესტორთათვის და საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ობლიგაციებთან დაკავშირებით პერიოდულად გასამყდვენებელი ინფორმაცია, ემიტენტების მიერ უზრუნველყოფის აქტივების მოცულობის გაანგარიშების პერიოდულობა და ამ მიზნით შესაბამისი სტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობა, დამატებითი მოთხოვნები უზრუნველყოფის აქტივების გაერთიანების ლიკვიდური აქტივებისთვის, ასევე, ემიტენტის მიერ უზრუნველყოფის აქტივების რეესტრის წარმოებისა და უზრუნველყოფის აქტივების აღრიცხვის წესები. გარდა ამისა, წესით განისაზღვრა, რომ უზრუნველყოფის აქტივების გაერთიანებაში შეტანამდე იპოთეკური სესხი უნდა კლასიფიცირდებოდეს, როგორც პირველი დონის საკრედიტო რისკის ფინანსური ინსტრუმენტი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად. თუ იპოთეკური სესხი შემდგომში აღარ დააკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, იგი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს უზრუნველყოფაში იპოთეკური ობლიგაციების ნარჩენი ძირითადი თანხების ნომინალურ ღირებულებათა ჯამური ოდენობის არაუმეტეს 5%-ის ოდენობით.

საერთო საკანონმდებლო მდგომარეობის ანალიზისა და კონკრეტული საფონდო ბირჟების განვითარებულობის გათვალისწინებით მიღებულ იქნა **„უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ნუსხის, მათზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და უცხო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოში საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №178/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ პრეზიდენტის 2023 წლის 21 აპრილის №72/04 ბრძანება**, რომლითაც უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ჩამონათვალს დაემატა ახალი საფონდო ბირჟები, მათ შორის, ინტერკონტინენტალ იქსჩენჯი (ამერიკის შეერთებული შტატები; Intercontinental Exchange: <https://www.theice.com/>), ბორსე შტუტგარტ ჰოლდინგი (გერმანია; Boerse Stuttgart Holding GmbH: <https://www.boerse-stuttgart.de/>), სინგაპურის საფონდო ბირჟა (SGX-ST) (სინგაპური; <https://www.sgx.com/>) და სხვა.

ცვლილება შევიდა **„სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №168/04 ბრძანებაში**, კერძოდ, თუ ფინანსურ ინსტიტუტს სურდა სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება გაუწიოს როგორც დაგროვებით საპენსიო სქემას, ასევე საინვესტიციო ფონდებს, მას უწევდა ერთი და იგივე ინფორმაცია ორჯერ წარედგინა საქართველოს ეროვნულ ბანკში ზემოაღნიშნული ბრძანებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №259/04 ბრძანებით დამტკიცებული „დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად, ცვლილების შედეგად, №168/04 ბრძანების შესაბამისად გაცემული თანხმობა გაუთანაბრდა ფინანსური ინსტიტუტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №259/04 ბრძანებით დამტკიცებული „დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად მინიჭებულ ავტორიზაციას. თუმცა, ავტორიზებული სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებული იქნება საინვესტიციო ფონდებთან მიმართებით იმოქმედოს №168/04 ბრძანების შესაბამისად.

ცვლილება შევიდა **„ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებაში**. ცვლილება ითვალისწინებს ემისიის პროსპექტის გამარტივებულ მოთხოვნებს კომერციული ბანკების ობლიგაციების საჯარო შეთავაზებისთვის. კერძოდ, საბანკო ობლიგაციებისთვის განკუთვნილი გამარტივებული ემისიის პროსპექტი მოიცავს მხოლოდ ძირითად ინფორმაციას ემიტენტისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების პირობების შესახებ, ხოლო ემიტენტის დეტალური ფინანსური ინფორმაცია/მაჩვენებლები შეტანილი იქნება პროსპექტში კომერციული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ (წლიურ, ნახევარწლიურ, კვარტალურ) ანგარიშგებებზე მითითების სახით.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომხმარებელთათვის კომბინირებულად შეთავაზებული საფინანსო პროდუქტების ფასების გამჭვირვალობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, მათი ინფორმირების ხარისხის ზრდისა და ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით მიღებულ იქნა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 6 იანვრის №4/04 ბრძანება, რომლითაც ფინანსურ ორგანიზაციებს დაეკისრათ ვალდებულება, მომხმარებლებისთვის ერთზე მეტი საფინანსო პროდუქტის კომბინირებულად შეთავაზებისას უზრუნველყონ თითოეული საფინანსო პროდუქტის ფასის გამჭვირვალობა და მომხმარებლებისთვის სათანადო გამჟღავნება. კერძოდ, ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს და მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია როგორც კომბინირებული შეთავაზების ფარგლებში საფინანსო პროდუქტისთვის მინიჭებული, ისე საფინანსო პროდუქტის, როგორც დამოუკიდებელი პროდუქტის სარეალიზაციო ფასების შესახებ. ფასის მითითების ვალდებულება არ ეხება ისეთ საფინანსო პროდუქტს, რომელიც მომხმარებლისთვის არ არის ხელმისაწვდომი როგორც დამოუკიდებელი საფინანსო პროდუქტი.

საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 5 დეკემბრის №355/04 ბრძანება, რომლითაც შეიზღუდა სოციალურად მოწყვლადი სეგმენტისთვის, ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან, მომხმარებლის ცალსახა თანხმობის გარეშე, მაღალი რისკის მქონე საკრედიტო პროდუქტების/მომსახურების შეთავაზება/რეკლამირება. აღნიშნული ხელს შეუწყობს გაუთვითცნობიერებელი გადაწყვეტილების მიღების პრევენციას.

საქართველოს ეროვნულ ბანკში კონკურსის ჩატარების განახლებული წესი

საქართველოს ეროვნულ ბანკში დასასაქმებელ კანდიდატთა შერჩევის სისტემის უფრო მეტად დახვეწის მიზნით, მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებისთვის კონკურსის ჩატარების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 15 დეკემბრის №365/04 ბრძანება, რომლითაც ეროვნულ ბანკს მიეცა შესაძლებლობა უზრუნველყოს სამსახურში მიღების კიდევ უფრო გამჭვირვალე სისტემის ფორმირება. ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის არსი და პრინციპები, კანდიდატთა შერჩევის პროცესი და შესარჩევი კონკურსის ეტაპები. ბრძანება აგრეთვე ითვალისწინებს პირის პროფესიულ საჯარო მოხელედ დანიშვნისა და შრომითი ხელშეკრულებით კანდიდატის დასაქმების პროცედურებს.

ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის წესი

მიღებულ იქნა „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს

ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 25 აგვისტოს №3 დადგენილება, რომლის თანახმად, პირველი კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხაში დაემატა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტის სხდომების ოქმები და ამავე სხდომების აუდიოჩანაწერები, ვინაიდან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტი განიხილავს ფინანსურ ანგარიშგებასთან, რისკების მართვასთან, შიდა კონტროლის სისტემასთან, შიდა აუდიტის საქმიანობასა და აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხებს, რომელიც კონფიდენციალურია.

„ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №4 დადგენილებაში 2023 წლის 8 სექტემბრის №8 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებით გადამუშავდა ისეთი ტერმინები, როგორცაა „საბალანსო უწყისი“ და „მოგება-ზარალის უწყისი“, ამასთან, ხაზი გაესვა აღნიშნული ინფორმაციის საჯარო ხასიათს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემა

„საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის – სებსტატის გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 26 ნოემბრის №112/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 17 მარტის №58/04 ბრძანება მიზნად ისახავს საბანკო გადარიცხვების სტატისტიკის სრულყოფას, კერძოდ, ცვლილება შესაძლებელს ხდის, განხორციელებული საბანკო გადარიცხვები (უცხოეთში და უცხოეთიდან) ჩაშლილი იქნეს ქვეყნების მიხედვით.

„საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის – სებსტატის გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 26 ნოემბრის №112/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 18 ოქტომბრის №279/04 ბრძანებით გაფართოვდა საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ინფორმაციული სისტემა – სებსტატი. კერძოდ, ამ ცვლილებებით ამოქმედდა „საგადახდო ბარათების სტატისტიკის“ განახლებული PCS მონაცემთა ოჯახი და შეიცვალა 2018 წლის 6 თებერვლიდან მოქმედი იმავე სახელწოდების მონაცემთა ოჯახის წარმოება. ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგულებაში არსებული სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა და შესაძლებელი გახდა ინფორმაციის მიღება საგადახდო ინსტრუმენტების გამოყენების არეალის შესახებ ფართო ჭრილში. ასევე, „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ბრძანების დებულებები კომერციული ბანკების ანალოგიურად გავრცელდა მიკრობანკებზეც.

NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესი

მიღებულ იქნა **„NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის №69/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 25 იანვრის №14/04 ბრძანება**, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი ცალკეული ანგარიშგებების NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის მეშვეობით

წარდგენის უზრუნველყოფას, ნაცვლად ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნისა. ხოლო „NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის №69/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 15 ივნისის №97/04 ბრძანებით დაზუსტდა, რომ NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალი შეიძლება, მათ შორის, გამოყენებულ იქნეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ფულადი ჯარიმის გადახდის თაობაზე შეტყობინების გასაგზავნად და გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალების ასლის ასატვირთად.

ფიზიკური პირის დაკრედიტება

მიღებულ იქნა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 ივლისის №168/04 ბრძანება. წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, მიკრობანკი, კომერციული ბანკის მსგავსად, განისაზღვრა სესხის გამცემ ორგანიზაციად და მასზე გავრცელდა კომერციული ბანკის მიმართ მოქმედი რეგულირება. ამასთან, ცვლილების თანახმად, სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ შესაძლებელია ისეთი საცალო სესხების შეთავაზება, რომელზეც თავდაპირველად ვრცელდება შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიცვლება განაკვეთი მნიშვნელოვნად მეტი მაჩვენებლით, შესაბამისად, მატერიალურად გაიზრდება ყოველთვიური გადასახდელიც. შინაარსობრივად, აღნიშნული წარმოდგენს სესხზე დაწესებულ საშეღავათო პერიოდს, ამიტომ დადგინდა ყოველთვიურ გადასახდელს შორის განსხვავების ზღვარი, რომელიც აისახა დებულებაში მოცემულ საშეღავათო პერიოდის განმარტებაში.

მიღებულ იქნა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ოქტომბრის №291/04 ბრძანება. იმის გათვალისწინებით, რომ არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების 2022 წელს დაფიქსირებული მაღალი ზრდის მაჩვენებელი შემცირებულია, ხოლო აქტივობა მდგრად დონეზე ნარჩუნდება, ცვლილების შესაბამისად, ამ ტიპის სესხების მაქსიმალური ვადის ლიმიტი 3-დან 4 წლამდე გაიზარდა.

სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ 300 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესი

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის 2023 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, დოლარიზაციით გამოწვეული რისკების შერბილების მიზნით, დამტკიცდა „სესხის გამცემი ორგანიზაციების მიერ 300 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 22 დეკემბრის №374/04 ბრძანება, რომლის თანახმად, 2024 წლის 1 იანვრიდან იმ პირებზე, რომელთა ჯამური დავალიანება 300 000 ლარამდეა, უცხოური ვალუტის ახალი სესხი გაიცემა მხოლოდ ჰეჯირებული სავალუტო რისკის პირობებში. ამასთან, ზუსტდება, რომ 300 000 ლარის ჯამური ვალდებულებების დათვლისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული

თავდებობით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ფინანსურ სექტორში კონკურენციის წახალისების მიზნით, ბრძანების მოთხოვნები არ გავრცელდება სესხის იმავე ვალუტაში რეფინანსირების/საყურადღებოდ მოდიფიცირების/რესტრუქტურის არამხოლოდ იმავე, არამედ ნებისმიერი სხვა სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ განხორციელების შემთხვევაზე, თუ არ გაიზრდება მსესხებლის არსებული ვალდებულებები.

ლარის ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდებისა და ნუმისმატიკური ფასეულობის რეალიზაციის წესი

მიღებულ იქნა „ლარის ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდებისა და ნუმისმატიკური ფასეულობის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 30 ნოემბრის №10 დადგენილება. დადგენილების მიზანია ლარის ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმისმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ფასის გაანგარიშების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და რეალიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. სხვა ცვლილებებთან ერთად შეიცვალა და დაიხვეწა ოქროს ზოდების სარეალიზაციო ფასის გაანგარიშების მეთოდი. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ოქროს ზოდებიც საბოლოო ჯამში საინვესტიციო პროდუქტია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მათი სარეალიზაციო ფასის განსაზღვრაც განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო მონეტების ანალოგიურად, დღეში ერთხელ, ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზრის ასოციაციის (LBMA) ვებგვერდზე წინა დღის მეორე ნახევარში (ლონდონის დროით 15:00 საათზე) 1 უნცია ოქროზე აშშ დოლარით დაფიქსირებული ფასით და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლის ოფიციალურად მოქმედი კურსის მიხედვით და საკომისიო განისაზღვროს 3-80 პროცენტის ფარგლებში. დადგენილება აღარ ითვალისწინებს წინასწარი შეკვეთით, ე.წ. „პრე-ორდერით“ რეალიზაციით არსებულ პირობებს, რადგანაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს პირობები შესაძლებელია განსხვავებული იყოს და ამიტომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ყოველ ჯერზე, იმ მომენტისათვის არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პირობების ხელახლა განსაზღვრა, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის მიერ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატების დებულება

მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 10 ნოემბრის №315/04 ბრძანება, რომლის თანახმად, ოქროს სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვის პროცესში კომერციული ბანკების გარდა ჩართულები იქნებიან ასევე მიკრობანკები. ამასთან, არსებული 2 სახის ოქროს სერტიფიკატიდან გაუქმდა „ოქროს ზოდის საინვესტიციო სერტიფიკატი“, ვინაიდან წინა პერიოდებში მასზე არ იყო დიდი მოთხოვნა, 2019 წლიდან აღარ ხდება მისი გამოშვება და ამ სახის სერტიფიკატი საერთოდ არ არის მიმოქცევაში. ასევე, დებულების თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მისაღებ ოქროს ზოდის დამამზადებელი ზარაფხანების სიას დაემატა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი A ან/და უფრო მაღალი გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის მქონე ქვეყნის სახელმწიფო ზარაფხანები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა „კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 იანვრის №1/04 ბრძანებაში.

ცვლილების შესაბამისად, გაუქმდა ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატი. შესაბამისად, აღარ არის საჭირო მასთან დაკავშირებული მოწესრიგების გათვალისწინება აღნიშნულ ბრძანებაში.

საკრედიტო საინფორმაციო ბიურო

მიღებულ იქნა „საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №193/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 აგვისტოს №202/04 ბრძანება. აღნიშნული ცვლილების საჭიროება გამოიკვეთა პრაქტიკაში საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს – პლატფორმის ბიზნესმოდელის განხილვებიდან გამომდინარე. შესაბამისი კონსულტაციების გავლის შემდეგ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შემცირებულიყო პლატფორმის მიერ წლის განმავლობაში ჩასატარებელი შეღწევადობის ტესტირების რაოდენობა.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი

ცვლილება შევიდა „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 25 სექტემბრის №89/04 ბრძანებაში. საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებაში განხორციელებული ცვლილებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აპარატს გამოეყო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილება და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილი გადავიდა ახალშექმნილ კომუნიკაციის დეპარტამენტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრძანების ტექსტში, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების/სამსახურის ნაცვლად მითითება გაკეთდა კომუნიკაციის დეპარტამენტზე.

კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების მიმართულებით განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 26 ივლისის №14 განკარგულებით ცვლილება შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის №10 განკარგულებით დამტკიცებულ დებულებაში და საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატა კონკურენციის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. ამ მიზნით ხსენებული დეპარტამენტის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ერთეული - კონკურენციის განყოფილება.

კონკურენციის განყოფილების შექმნის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47⁸ მუხლის შესაბამისად, საფინანსო სექტორში კონკურენციის პოლიტიკას საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიერ კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე საჩივარს/განცხადებას და კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინებას. ამ პროცესში, საქართველოს ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის მიერ დამტკიცებული პროცედურებით, კერძოდ, „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის

მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №67/04 ბრძანებითა და „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებით. ხსენებული ნორმატიული აქტები ემყარება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მსოფლიო ბანკის ექსპერტების რეკომენდაციებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის განყოფილების ფუნქციებად განისაზღვრა: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქმეების განხილვის უზრუნველყოფა; კონკურენციის დამრღვევის მიმართ ფულად ჯარიმასთან ერთად სხვა სანქციის ან/და საზედამხედველო ზომის გამოყენების საჭიროების განსაზღვრა; კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის უზრუნველყოფა; კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით შესაბამისი პროდუქტების ან/და მომსახურების ბაზრის მონიტორინგი და სხვა.

18. სტატისტიკური საქმიანობა

2023 წელი მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის წარმოების მიმართულებით გამოირჩეოდა ახალი ინიციატივებით, რაც გამოიხატება ორი მასშტაბური პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევით. სხვადასხვა ანგარიშგებებისა და ინდიკატორების წარმოებაში განხორციელდა მეთოდოლოგიური ცვლილებები, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ტექნიკური ცვლილებები მონაცემთა აღრიცხვის სისტემაში. აგრეთვე, პერიოდულად მზარდი მონაცემების დამუშავების თვალსაზრისით წარმოიშვა თანამედროვე მანქანური სწავლების მოდელების დანერგვის აუცილებლობა.

2023 წლის მიწურულს, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინტერაქტიული ანგარიშგებების მონაცემთა წყაროების მოდიფიკაცია განხორციელდა. კერძოდ, მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის პლატფორმა Tableau BI-ის გარემოში მონაცემთა დამუშავების ETL (Extract, Transfer, Load) ინსტრუმენტის გამოყენებით, წარმადობის გაზრდის მიზნით, მონაცემთა დროითი მწკრივების განცალკევება (Partition) განხორციელდა, რამაც მონაცემთა გაცილებით ეფექტური სტრუქტურის შექმნა უზრუნველყო და, ამასთან ერთად, მონაცემთა Hyper ტიპის ფაილების გენერირების მექანიზმი შემუშავდა. აღნიშნული მოდიფიცირებული მონაცემთა წყაროების Hyper ტიპის ფაილები ცალკე გამოყოფილ სერვერზე განთავსდა და ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ანგარიშგებებს პირდაპირი გზით დაუკავშირდა. შედეგად, ზემოთხსენებული სტრატეგიული ცვლილება გამორიცხავს უშუალო კავშირს ანგარიშგებებსა და პირველად მონაცემთა ბაზებს შორის, რაც ზრდის მონაცემთა სანახის უსაფრთხოების დონეს, ხოლო საჯაროდ გამოქვეყნებული ინტერაქტიული ანგარიშგებების წარმადობას კი მნიშვნელოვნად ზრდის.

ორი წლის წინ, მომხმარებლების ინტერესებიდან და სტატისტიკის წარმოების თანამედროვე მეთოდოლოგიური ტენდენციებიდან გამომდინარე, ორი მასშტაბური პროექტი, ფულადი გზავნილებისა და უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების მონაცემთა ოჯახების გაფართოება, დაიგეგმა. მათ შორის, ფულადი გზავნილების მონაცემთა ოჯახის დანერგვის პრიორიტეტი მიენიჭა და 2023 წლის განმავლობაში აღნიშნული პროცესი აქტიურ ფაზაში გადავიდა. კერძოდ, ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების „სებსტატის“ სისტემაში პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები დასრულდა და ტესტირებისათვის გამოყოფილი ტექნიკური ინფრასტრუქტურა გაიმართა. კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან არაერთი საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა ჩატარდა, სადაც გამოიკვეთა აღნიშნული პროექტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და მონაწილე მხარეების ტექნიკური შესაძლებლობები დეტალურად იქნა შესწავლილი. შესაბამისად, მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია, მოთხოვნების პაკეტი და მეთოდოლოგიური მასალები და ისინი პროექტში ჩართულ მხარეებს წარედგინა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სებსტატის სისტემაში აქამდე მხოლოდ კომერციული ბანკები იყო ჩართული. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კი დამატებით რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონაწილეობს. სებსტატის ტესტირებისთვის განკუთვნილ გარემოში ფულადი გზავნილების განახლებული მონაცემების შესაბამისი პაკეტის ტესტირება აქტიურად მიმდინარეობს და 2024 წლის მეორე კვარტალის მიწურულს პროექტის დასრულება იგეგმება.

შესაბამისად, სებ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე მონაცემები ფულადი გზავნილების შესახებ დამატებით ჭრილებში იქნება წარმოდგენილი. კერძოდ, ტრანზაქციებში მონაწილე მხარეების სექტორული დანაწილება, ასაკობრივი ჯგუფები და გზავნილის განაღდების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მუნიციპალიტეტის დონეზე იქნება ხელმისაწვდომი, რაც მომხმარებლებს ფულადი გზავნილების ნაკადების დეტალური გაანალიზების და პროგნოზირების საშუალებას აძლევს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების და ფინანსური წარმოებულების სტატისტიკა აუცილებელია ფინანსური ბაზრების, რისკების მართვის, ეკონომიკური ტენდენციების და საინვესტიციო სტრატეგიების მასშტაბური და სრულყოფილი აღქმისთვის. ის წარმოადგენს ბაზრის მონაწილეების და მარეგულირებლების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. შესაბამისად, მეორე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს, უკავშირდება უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების მონაცემთა ოჯახის გაფართოებას, რაც გულისხმობს ფორვარდული და სვოპის სახის ფინანსური წარმოებულებისა და სპოტის ოპერაციების შესახებ დეტალური ყოველდღიური მონაცემების შეგროვებას. აღნიშნული პროექტი, თავისი კომპლექსურობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, უკავშირდება რიგ გამოწვევებს და ტექნიკურ სირთულეებს, როგორც სებ-ის, ასევე პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების მხრიდან. 2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სებსტატის სისტემაში შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართვა, რისთვისაც ტექნიკური დოკუმენტაცია მომზადდა. კომერციულ ბანკებთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში აქტუალური საკითხების განხილვა კვლავ მიმდინარეობს და მომდევნო წელს პროექტი ტესტირების ეტაპზე გადავა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური ხელმისაწვდომობის (Financial Access Survey - FAS) ანგარიშგებას ყოველწლიურად აწარმოებს, რომელიც სესხებზე, დეპოზიტებზე, სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე და ინდიკატორებზე ინფორმაციას მოიცავს. იგი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების ფინანსური ჩართულობის დონეს ასახავს და საზოგადოების ფინანსური განათლების შესახებ ზოგად ინფორმაციას გვამლევს. საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნულ ანგარიშგებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინიციატივით და რეკომენდაციით აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ ანგარიშგების წარმოების თვალსაზრისით არის რეგიონში მოწინავე ქვეყანა და სხვა ქვეყნებთან შედარებით მონაცემებს სხვადასხვა ჭრილში წარმოდგენის შესაძლებლობა გააჩნია, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სტატისტიკის წარმოების საქმიანობაში თანამედროვე სტანდარტების და ტენდენციების დანერგვისა და გამოყენების შედეგია. ფინანსური ჩართულობის ანგარიშების წარმოებისადმი მიძღვნილ სემინარებში საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად მონაწილეობს. 2023 წლის ნოემბერში, ქალაქ ალმათში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორგანიზებით გამართულ სემინარზე (CCAMTAC) გაიცა რეკომენდაციები, რომლის თანახმადაც ფინანსური ხელმისაწვდომობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას, ბოლო პერიოდის გამოწვევების შესაბამისად, უნდა დაემატოს გენდერულ, ასაკობრივი ჯგუფების და რეგიონალურ ჭრილში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეკომენდირებული მონაცემების შეგროვების თვალსაზრისით შესაბამისი სტრატეგია შეიმუშავა და შემდგომ წელს ფინანსური ხელმისაწვდომობის ანგარიშგებაში დამატებით მონაცემებს მოთხოვნის შესაბამისად ასახავს.

2023 წლიდან, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგება სებ-ს IFRS საერთაშორისო სტანდარტის მეთოდოლოგიის შესაბამისად წარუდგინონ. აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, სებსტატის სისტემის მონაცემების IFRS სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ცვლილებათა პაკეტი შემუშავდა, რომელიც მოიცავს დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტებისა და მონაცემთა ტიპზე დამატებითი პარამეტრის შემუშავებას. 2023 წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებთან კონსულტაციები მუდმივად მიმდინარეობდა და სებსტატის სისტემაში წარსადგენი ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგების მეთოდოლოგიური მიდგომები შესაბამისად განახლდა. სამოქმედო გეგმა შემუშავდა და კომერციულ ბანკებს განახლებულ მოდელზე მიგრაციისთვის შესაბამისი ვადები დაუდგინდა.

2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემუშავებული შეცვლილი მეთოდოლოგიური მიდგომის დანერგვა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების (FSI) წარმოებისთვის ეფექტურად განხორციელდა. FSI ინდიკატორების გამოთვლას ფინანსური სექტორის სხვა ქვესექტორების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა და რესურსი დაეთმო. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების, როგორც კრიტიკული ინსტრუმენტების გამოყენებაზე ანალიზისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის. შესაბამისად, 2024 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილია სავალუტო ფონდის ექსპერტების ვიზიტი საქართველოში. ამ ვიზიტის უპირველესი მიზანია ტექნიკური მხარდაჭერა და შეცვლილი მეთოდოლოგიური მიდგომის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

2023 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მონაცემთა პრეზენტაციის ოპტიმიზაცია განხორციელდა. აღნიშნული ინიციატივა ცხრილის ფორმატში წარმოდგენილი მონაცემების საზომ ერთეულებს, ფორმატსა და სტრუქტურას შეეხო, რაც სებ-ის ფინანსური ანგარიშგების ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი და გამჭვირვალობისადმი ვალდებულების საპასუხოდ საზომი ერთეულების კალიბრაცია განხორციელდა. შესაბამისად, ათასებსა და ერთეულებში წარმოდგენილი მონაცემები მილიონებში ტრანსფორმირდა. ეს კორექტირება არა მხოლოდ ამარტივებს მონაცემთა ინტერპრეტაციას, არამედ პასუხობს გლობალური ანგარიშგების სტანდარტებს, რაც დაინტერესებულ მხარეებს აძლევს ფინანსური მაჩვენებლების მკაფიოდ აღქმის შესაძლებლობას. ცხრილის ფორმატში წარმოდგენილი მონაცემთა სტრუქტურა, მომხმარებლისათვის მოსახერხებელი ინტერფეისის უზრუნველყოფის მიზნით, საგულდაგულოდ გადაიხედა. ფორმატმა განიცადა რედიზაინი, რაც ნავიგაციას ამარტივებს, კრიტიკულ ინფორმაციას ხაზს უსვამს და ფინანსური მონაცემების საერთო პრეზენტაციას აუმჯობესებს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ფინანსურ სექტორში მზარდი აქტივობის შედეგად მონაცემთა გაზრდილი მოცულობის დამუშავების და ვალიდაციის პროცესისათვის წარმოიშვა მანქანური სწავლების (ML), როგორც თანამედროვე ინსტრუმენტის მოდელის გამოყენების აუცილებლობა, რამაც წარმოშვა მისი სიღრმისეული შესწავლისა და დანერგვის საჭიროება. ML მოდელები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ფინანსურ სტატისტიკაში პროგნოზირებადი ანალიტიკის გაუმჯობესებას. ისტორიული მონაცემების გამოყენებით, ამ მოდელებს შეუძლია ტენდენციებისა და პოტენციური კორელაციების იდენტიფიცირება, რაც ამარტივებს ანალიტიკური დასკვნების

გაკეთებასა და გადაწყვეტილებების მიღებას. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს დაიგეგმა შესაბამისი მოდელების მოძიება და ბიზნეს პროცესთან ეფექტურად მორგების გზების ძიება.

19.ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკი

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4 -6
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7- 8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9 - 10
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11 - 12
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	13 - 14
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	15 - 74

საქართველოს ეროვნული ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საქართველოს ეროვნული ბანკის („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, საიმედო, შესაძარის და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით მუშაობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომლებიც წარმოადგენენ და განმარტავენ ბანკის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ფასს) შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაცემად 2024 წლის 26 აპრილს.

ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
ნათელა თურნავა



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფას აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ას-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს წლიურ ანგარიშში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორის დასკვნას აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მის შესახებ.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ არსებობს აღნიშნული სხვა ინფორმაციის არსებითი უზუსტობა, ჩვენ გვაქვს ამ ფაქტის მოხსენების ვალდებულება. ამ თვალსაზრისით, ჩვენ არაფერი აღმოგვიჩენია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვახდენთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებების გააზრებას, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ბანკის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ კეჭერაძე



შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
26 აპრილი 2024 წელი



საქართველოს ეროვნული ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

	შენიშვნები	დასრულებული	დასრულებული
		წლისათვის 31 დეკემბერი 2023	წლისათვის 31 დეკემბერი 2022
საპროცენტო შემოსავალი საერთაშორისო რეზერვების მართვის ოპერაციებიდან			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		82,532	20,413
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		351,290	105,079
სხვა		45,818	15,305
		479,640	140,797
საპროცენტო შემოსავალი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		143,176	356,846
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		214,429	157,006
უარყოფითი საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე		-	5,209
		357,605	519,061
სხვა საპროცენტო შემოსავალი			
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით უარყოფითი საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე		8,488	11,844
		-	110
		8,488	11,957
სულ საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით		845,733	671,815
საპროცენტო ხარჯი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(6,063)	(6,628)
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(100,317)	(74,318)
		(106,380)	(80,946)
სხვა საპროცენტო ხარჯები			
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ		(102,343)	(46,347)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(1,544)	(562)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე		(119)	(117)
უარყოფითი საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებზე (საერთაშორისო რეზერვები)		-	(1,204)
		(104,006)	(48,230)
სულ საპროცენტო ხარჯი		(210,386)	(129,176)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		635,347	542,639
გაუფასურების ხარჯი	28	(1,542)	(8)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ		633,805	542,631
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან:			
- მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		59,689	(475,157)
- მოგება სავაჭრო ოპერაციებიდან		15,115	147,720
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები	4	6,044	4,981
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები	4	(3,077)	(3,717)

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2023	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2022
წმინდა რეალიზებული ზარალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(75,098)	(24,490)
წმინდა რეალიზებული მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		5,345	47,698
წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		(17,384)	34,647
სხვა შემოსავლები	5	11,796	3,452
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი/(ზარალი)		2,430	(264,866)
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	6	(44,102)	(32,955)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(15,676)	(13,269)
ფულის ბეჭდვის ხარჯი		-	(12,076)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(7,493)	(8,210)
სხვა ხარჯები	5	(9,806)	(4,176)
არასაპროცენტო ხარჯი		(77,077)	(70,686)
წლის მოგება		559,158	207,079

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)

მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში

რეკლასიფიცირებულ იქნას მოგებაში ან ზარალში:

რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება იმ ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

47,602 (156,546)

რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში

75,098 24,490

სულ სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)

122,700 (132,056)

სულ წლის სრული შემოსავალი

681,858 75,023

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 74-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 26 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები:			
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
საერთაშორისო რეზერვები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	2,123,328	3,867,452
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,214,799	1,249,154
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	15,738	45,653
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით			
მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,264	272,372
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით			
სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	9,846,621	7,809,221
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
სხვა აქტივები	17	1,345	657
		13,474,095	13,244,509
აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური			
ინსტიტუტების მიმართ	8	3,738,771	3,456,584
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	734
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით			
სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	2,668,266	2,272,589
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
ინვესტიციები შეფასებული ამორტიზებული			
ღირებულებით	13	81,194	121,390
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი			
იჯარის მიხედვით	14	483	1,537
ძირითადი საშუალებები	15	51,575	54,127
არამატერიალური აქტივები	16	9,234	5,312
სხვა აქტივები	17	12,481	4,744
		6,562,004	5,917,017
სულ აქტივები		20,036,099	19,161,526

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგებისა.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ვალდებულებები და კაპიტალი:			
ვალდებულებები:			
უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	4,312,166	5,499,478
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	14,040	217,265
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	753,038	623,860
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,339,583	2,408,008
სხვა ვალდებულებები	17	35,051	8,621
		7,453,878	8,757,232
ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები			
მიმოქცევაში გაშვებული ფული	21	5,934,138	5,040,547
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
გამოშვებული სავალი ფასიანი ქაღალდები	22	59,225	59,135
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	1,758,885	1,225,303
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები	10	-	1,649
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში			
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	1,692,692	1,155,878
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,780	2,175
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	20	7,578	7,187
სხვა ვალდებულებები	17	311,705	475,183
		9,766,003	7,967,057
		17,219,881	16,724,289
სულ ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		15,000	15,000
სარეზერვო ფონდი		1,153,535	939,559
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი		1,680,180	1,620,491
სხვა გადაფასების რეზერვი		31,299	48,683
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი		(63,796)	(186,496)
გაუნაწილებელი მოგება		-	-
სულ კაპიტალი	23	2,816,218	2,437,237
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		20,036,099	19,161,526

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 74-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 26 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეგ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	15,000	754,750	2,095,648	14,036	(54,440)	-	2,824,994
სულ სრული შემოსავალი							
წლის მოგება	-	-	-	-	-	207,079	207,079
სხვა სრული შემოსავალი							
<i>მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:</i>							
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	(156,546)	-	(156,546)
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	24,490	-	24,490
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	(132,056)	-	(132,056)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-	(132,056)	207,079	75,023
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2022 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(462,780)	(462,780)
გადატანა სარეზერვო ფონდში 2022 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	184,809	-	-	-	(184,809)	-
გადატანა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	(475,157)	-	-	475,157	-
გადატანა სხვა გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	34,647	-	(34,647)	-
სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები	-	184,809	(475,157)	34,647	-	(207,079)	(462,780)
31 დეკემბერი 2022	15,000	939,559	1,620,491	48,683	(186,496)	-	2,437,237

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)

(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
სულ სრული შემოსავალი							
წლის მოგება	-	-	-	-	-	559,158	559,158
სხვა სრული შემოსავალი							
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:							
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	47,602	-	47,602
რეალური ღირებულების წმინდა ცვლილება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	75,098	-	75,098
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	122,700	-	122,700
სულ წლის სრული შემოსავალი					122,700	559,158	681,858
კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2023 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)						(302,877)	(302,877)
გადატანა სარეზერვო ფონდში 2023 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)		213,976				(213,976)	
გადატანა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)			59,689			(59,689)	
გადატანა სხვა გადაფასების რეზერვიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)				(17,384)		17,384	
სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები	-	213,976	59,689	(17,384)	-	(559,158)	(302,877)
31 დეკემბერი 2023	15,000	1,153,535	1,680,180	31,299	(63,796)	-	2,816,218

* საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 74-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 26 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
დეპარტამენტის უფროსი
ანდრია მანელაშვილი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

	დასრულებული წლისათვის შენიშვნები 31 დეკემბერი 2023	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
მიღებული პროცენტი	672,866	663,498
გადახდილი პროცენტი	(204,662)	(118,239)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	6,044	4,981
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(3,077)	(3,717)
წმინდა მოგება რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა, მოგებაში ან ზარალში ასახვით	8,324	47,698
წმინდა რეალიზებული მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან	15,116	147,720
სხვა მიღებული შემოსავალი	(1,906)	3,442
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(44,102)	(32,955)
ფულის ბეჭდვაზე გადახდილი ხარჯი	(4,520)	(9,633)
სხვა გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(13,284)	(14,083)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე	430,799	688,712
<i>წმინდა (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:</i>		
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(283,130)	(308,699)
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	35,121	(4,421)
აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	(403)	(6,083)
სხვა აქტივები	(9,431)	(348)
<i>წმინდა ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:</i>		
მიმოქცევაში გაშვებული ფული	893,591	451,513
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(829,577)	1,903,599
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	640,552	200,721
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	391	6,582
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები	(1,649)	1,649
სხვა ვალდებულებები	30,326	1,945
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	906,590	2,935,170

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)
 (ათასი ლარი)

	დასრულებული წლისათვის შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2023	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1,480)	(3,617)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(6,378)	(1,884)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების შესყიდვა		(14,224,651)	(13,267,050)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების დაფარვით მიღებული შემოსავალი		12,167,258	11,485,798
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,065,251)	(1,786,753)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:			
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხის გადარიცხვა	23	(462,780)	(356,060)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება		254,027	253,383
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		(254,495)	(253,968)
საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის თანხების დაბრუნება	9, 26	(79,863)	(46,991)
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საფინანსო საქმიანობიდან		(543,111)	(403,636)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(42,352)	(501,258)
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(1,744,124)	243,523
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	7	3,867,452	3,623,929
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	7	3,867,452	3,623,929
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	7	2,123,328	3,867,452

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 74-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 26 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

საბჭოს თავმჯდომარის
 მოვალეობის შემსრულებელი
 ნათელა თურნავა

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის
 დეპარტამენტის უფროსი
 ანდრია მანელაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

1. ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. ბანკი შეიქმნა 1991 წლის 2 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე. ამჟამად ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს (შემდგომში „კანონი“).

ბანკის ძირითადი ამოცანა და პასუხისმგებლობა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ფინანსური სექტორის სტაბილურობა და ეფექტურობა, ეროვნული ვალუტის ემისია და საერთაშორისო რეზერვების მართვაა. ეს პასუხისმგებლობები განიხილება ქვემოთ აღწერილი ფუნქციების შემადგენელ ნაწილად.

მონეტარული პოლიტიკა

ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ზომიერი და პროგნოზირებადი ინფლაციის განაკვეთის არსებობას, რომელიც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ახორციელებს ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, თუ ამ უკანასკნელი მიზნების განხორციელება თანხვედრაშია მთავარ მიზანთან - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან. მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

ზედამხედველობა და ფინანსური სტაბილურობა

ბანკის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორციელებისთვის ეროვნული ბანკს აქვს უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სხვადასხვა წარმომადგენლების - კომერციული ბანკების, მიკრობანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტების, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების და საქართველოს საპენსიო სააგენტოს (საინვესტიციო საქმიანობასთან მიმართებით) საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს ფარგლებში ხელს უწყობს მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. ამასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობისა და ფიზიკური პირების კეთილდღეობის ხედვით, სამთავრობო სტრუქტურებიდან, კერძო ფინანსური სექტორიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, ბანკმა განავითარა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური ჩართულობის მიმართულებით გაწეული ძალისხმევების შემავსებელი ნაწილი.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ვალუტის ემისია

მხოლოდ ბანკს აქვს მიმოქცევისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტების და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება. ბანკი განსაზღვრავს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, მასალასა და სხვა მახასიათებლებს, ბანკნოტების ბეჭდვა და მონეტების დამზადება ხდება წამყვანი საერთაშორისო მომწოდებლების მიერ.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკისა და ოპერაციების მიზნებისთვის, ბანკი ფლობს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეზერვების პორტფელს, რაც განკუთვნილია, მაგალითად ფინანსური კრიზისის პერიოდში საგარეო შოკების ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფით, საქართველოს მთავრობისათვის და ასევე ბანკისთვის უცხოური ვალუტით გადახდების შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობისთვის.

საგადახდო სისტემები

ბანკი ახორციელებს ქვეყანაში უდიდესი საგადახდო სისტემის „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა“-ის (RTGS) ოპერირებას, რომელიც უზრუნველყოფს ბანკთაშორის ანგარიშსწორებას და საქართველოს მთავრობის გადახდებს ეროვნულ ვალუტაში.

ხელმძღვანელობა

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება შემდეგი წევრებისაგან:

თანამდებობა	სახელი, გვარი (2023)	სახელი, გვარი (2022)
თავმჯდომარე	ნათელა თურნავა (პირველი ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი)	კობა გვენეტაძე (პრეზიდენტი)
წევრი	ეკატერინე გალდავა (ვიცე-პრეზიდენტი)	არჩილ მესტვირიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	ეკატერინე მიქაბაძე (ვიცე-პრეზიდენტი)	პაპუნა ლეჟავა (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	ნანა ყეინიშვილი	ნიკოლოზ გაგუა (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	თეიმურაზ ხომერიკი	რობერტ ჰ. სინგლეთარი
წევრი	-	ეკატერინე გალდავა
წევრი	-	ეკატერინე მიქაბაძე
წევრი	-	ნათელა თურნავა

საბჭო შედგება 9 წევრებისგან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბჭოს 4 წევრის პოზიცია იყო ვაკანტური (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 პოზიცია).

კობა გვენეტაძის პრეზიდენტობის ვადა ამოიწურა 2023 წლის მარტში. ბანკის პრეზიდენტისა და საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ასრულებს ნათელა თურნავა (პირველი ვიცე პრეზიდენტი).

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, 0114, თბილისი, საქართველო. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს სალარო მომსახურების ერთი ცენტრი. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო 601 და 538 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“).

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებში, რომელიც სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ პოზიციას და ამავედროულად ხელს უწყობს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ ანალიზს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები გაყოფილია უცხოურ და ეროვნულ ვალუტებად (წარმოდგენილია შესაბამისი სათაურების ქვეშ), რაც უკეთ ასახავს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსსა და რისკებს. ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში ძირითადად დაკავშირებულია ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვის ფუნქციასთან. ამავედროულად, ბანკის აქტივები და ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში აღიარებულია იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია მონეტარული პოლიტიკის გატარებასთან, ფულის მიმოქცევაში გაშვებასთან და კანონით განსაზღვრულ ბანკის სხვა ფუნქციებთან. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკური კონცეფცია დამატებით ნაჩვენებია საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ქვე-სათაურების ქვეშ, შესაბამისად. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება განცალკევებით წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს/ზარალებს და არასაპროცენტო შემოსავლებს/ზარალებს ბანკის ოპერაციების მიხედვით. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდის გამოყენებით.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ასევე ინვესტიციებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

სამუშაო და ანგარიშგების წარდგენის ვალუტა

ვინაიდან ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ღია ბაზრის ოპერაციების მნიშვნელოვან როლს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში, მისი ძირითადი საქმიანობა, შესაბამისად, არის ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება, რომელიც საქართველოს ეროვნული ვალუტაა და რომელიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სამუშაო და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს. მაშასადამე, ყველა ნაშთი და ოპერაცია, რომელიც ასახულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში განიხილება როგორც „უცხოური ვალუტა“.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვანაირად არის მითითებული.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა არის გამოყენებული ამ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის და ბანკი მას იყენებს თანამიმდევრულად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი მხარის ფინანსურ აქტივს ასევე მეორე მხარის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელში წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში, უცხოური ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (სუპრა-ნაციონალური) და სახელმწიფო სააგენტოების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდები, საპროცენტო განაკვეთების ფიქსირებული კონტრაქტები და ოფციონები, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ანგარიშები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ, ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს, სსფ-სა და ადგილობრივი კომერციული ბანკების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ შესაბამისად და წარადგენს ამ ინსტრუმენტებს ფასს 7- „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ და ფასს 13 „რეალური ღირებულებით შეფასება“ შესაბამისად.

კლასიფიკაცია

ბანკი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებად: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით (AC), შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს მოდელზე, რომლის მიხედვითაც იმართება ფინანსური აქტივები და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ბანკის ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარების მომენტში.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და ძირითად თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავალო ფინანსური ინსტრუმენტი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტების შემოსულობა და ზარალი, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგისა, რაც აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმავე სახით როგორც აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და მისი ანულირება; და
- სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი

როდესაც ხდება იმ სავალო ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების მომენტში, ბანკს შეუძლია იმ ფინანსურ აქტივს, რომელიც სხვა მხრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რათა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საკუთარი ინიციატივით, მიანიჭოს კატეგორია „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რაც სხვა მხრივ წარმოიქმნებოდა.

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი პორტფელის დონეზე აფასებს იმ ბიზნესმოდელის მიზანს, რომლის პირობებშიც ის ფლობს აქტივს, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ იმართება საქმიანობა და თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობას. გაითვალისწინება შემდეგი ინფორმაცია:

- პორტფელის ფლობის მიზანი;
- გაყიდვების (როგორც წარსული, ისე მომავალი) სიხშირე, მოცულობა და დრო;
- ის, თუ როგორ ხდება ბიზნესმოდელისა და ფინანსური აქტივების შედეგების შეფასება და ანგარიშგება ბანკის ხელმძღვანელობასთან;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესმოდელის შედეგებზე, კერძოდ, თუ როგორ იმართება ეს რისკები (რათა მიზანი მიღწეულ იქნას);
- თუ რამდენად შეადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (მაგალითად, საპროცენტო შემოსავალი) პორტფელზე უკუგების მნიშვნელოვან ნაწილს;

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ძირი თანხა განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების (მაგალითად ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟა.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

იმის შეფასებისას, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას, თუ რამდენად შეიცავს ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადის ან მოცულობის შეცვლა ისე, რომ აღარ კმაყოფილდებოდეს ეს მდგომარეობა. შეფასებისას ბანკი ითვალისწინებს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების მოცულობას და ვადას;
- ლევერიჯის მახასიათებლებს;
- წინასწარი გადახდის და ვადის გაგრძელების პირობებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგალითად, რეგრესის უფლების არმქონე შეთანხმებები), და
- მახასიათებლებს, რომლებიც ახდენენ ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურების მოდიფიცირებას - ანუ საპროცენტო განაკვეთების პერიოდული განახლება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება

ბანკი ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივის და ვალდებულებების ჩვეულებრივი ყიდვის ან გაყიდვის აღიარება ხდება განაღდებას დღის მდგომარეობით აღრიცხვის გამოყენებით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც არ აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას ან ფინანსური ვალდებულების ემისიას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მათი შემდგომი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა გამჟღავნებულია ქვემოთ, შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ის სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსურ აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ან თუ ბანკი არ გადასცემს და არ ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე. თუ ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და ასევე მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ფინანსური აქტივის აღიარების სრულიად შეწყვეტისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგებისა ან ზარალის ჯამს შორის, ექვემდებარება აღიარებას მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ანაწილებს ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც გრძელდება მონაწილეობის პროპორციულად და იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც უკვე შეწყდა, ამ ნაწილების გადაცემის განხორციელების დღისათვის არსებულ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მოგებაში ან ზარალში აღიარდება სხვაობა შეწყვეტილ ნაწილზე გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და შეწყვეტილ ნაწილზე მიღებული კომპენსაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის, რომელიც გადანაწილებული იყო სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ნაწილზე. აკუმულირებული შემოსავალი ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, გადანაწილდება იმ ნაწილებს შორის, რომელთა აღიარებაც გრძელდება და რომელთა აღიარებაც უკვე შეწყდა ამ ნაწილების შესაბამის რეალურ ღირებულებებზე დაყრდნობით.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება, ან ვადა გაუვა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება იმავე მსესხებლისაგან მიღებულ მეორე ვალდებულებას, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია განიხილება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანუღიარება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ან გადახდილ თანხას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადახდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის ძირითად ბაზარზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში უფრო საიმედო ბაზარზე, რომელიც ბანკისათვის ხელმისაწვდომია მოცემული დღისათვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს მისი გადაუხდელობის რისკს.

ბანკი ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას აფასებს ამ ინსტრუმენტისათვის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების გამოყენებით იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ბაზარი არის აქტიური, თუ გარიგებები წარმოებს საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფასების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასები, ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ შესაბამისი ბაზრის მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობიან არადაკვირვებად მონაცემებს. შერჩეული შეფასების ტექნიკა ითვალისწინებს ყველა ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ არსებულ პირობებში.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის გარიგების ღირებულება, ანუ მიღებული და გადახდილი თანხების რეალური ღირებულება. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან და რეალური ღირებულების დადგენა ვერ ხერხდება ვერც კოტირებული ფასების საშუალებით აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულებისათვის, ვერც შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და სხვაობა გარიგების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის გადავადდება. შემდგომში ეს სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში ფინანსური ინსტრუმენტის სიცოცხლის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მომენტისა, როდესაც შესაძლებელი გახდება შეფასება ან ტრანზაქცია დაიხურება.

რეალური ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. კოტირებული საბაზრო ფასები საერთაშორისო ფასიანი ქაღალდებისათვის მიიღება ყოველდღიურად ბლუმბერგის სისტემიდან და ეფუძნება მიმდინარე მიწოდების ფასებს. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ეს ფასები საკმარისად ასახავს ფასიანი ქაღალდების ღირებულებას საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მომენტისათვის არსებულ საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით და სრულად შეესაბამება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკას.

თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ინვესტიციებისთვის, ბანკი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ანალიზისა და შეფასების სხვა სათანადო მეთოდების საშუალებით. შეფასების ტექნიკები მოიცავს საფონდო ბირჟაზე გათვითცნობიერებულ და სურვილის მქონე მხარეებს შორის „გამლილი ხელის მანძილის“ პრინციპით დადებული უკანასკნელი გარიგებების გამოყენებას, არსებითად ისეთივე სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე რეალური ღირებულების გამოყენებას და დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზს, რომელიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობა ორგანიზაციის სპეციფიკურ მონაცემებს.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომელიც მიიღება შემდეგნაირად: ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ღირებულებას თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული ძირითადი გადასახდელი თანხები, დამატებული ან გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაზარდი რეზერვი. პრემია და დისკონტი, საწყისი ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და მისი ამორტიზაცია ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე და გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, ვადიან დეპოზიტების ჩათვლით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შემდგომ შეფასებულნი არიან ამორტიზებული ღირებულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წევრობა

„კანონის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, ეროვნულ ბანკს, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, აქვს უფლება აიღოს ვალდებულებანი და აწარმოოს საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად “IMF”, მსოფლიო ბანკი) მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისათვის საწევრო შენატანების გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი ფლობს სესხებს, დეპოზიტებს, მიმდინარე ანგარიშებს და სხვა მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ სხვადასხვა პერიოდულობით. ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის პირობებშიც იმართება ეს ფინანსური აქტივები, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ამ კატეგორიაში მოიაზრება მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ბანკის ინვესტიციები აგრეთვე მოიცავს საქართველოს მთავრობის ფასიან ქაღალდებს.

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტის პრემია და დისკონტი, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის მეშვეობით. დარიცხული პროცენტი აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ითვალისწინებს თანდაყოლილი განაკვეთის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე, ისე რომ პროცენტი აღიარდეს მუდმივი შემოსავლიანობის მქონე განაკვეთის საფუძველზე.

რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება საერთაშორისო რეზერვების ნაწილისგან, რომელიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, რაც წარმოადგენს ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP CNY). ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის მიხედვითაც იმართება ინვესტიცია, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. თუმცა, სახელშეკრულებო პირობები არ წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ისეთ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი უცხოური ფასიანი ქაღალდების პორტფელის საპროცენტო რისკის მართვისათვის იყენებს საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერულ კონტრაქტებს და ოფციონებს, რომლებით ვაჭრობაც მიმდინარეობს საზღვარგარეთის ბირჟებზე. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერული კონტრაქტები არის პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე მიბმული ფიუჩერული კონტრაქტები, რომლებიც ბანკს საშუალებას აძლევს პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე დააფიქსიროს ფასი მომავალი თარიღისათვის. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერული კონტრაქტების ოფციონი წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მფლობელს მიიღოს სარგებელი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისაგან. ბანკი ასევე იყენებს უცხოური ვალუტის წარმოებულ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში არსებულ ინვესტიციებზე სავალუტო რისკის მართვისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერსები და ოფციონები კლასიფიცირდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“. წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით კონტრაქტის დადების თარიღისათვის და შემდგომ ანგარიშგების ყოველი თარიღისათვის გადაფასდება რეალური ღირებულებით. ანგარიშგების თარიღისათვის რეალური ღირებულება ეფუძნება ბლუმბერგით მიღებულ მიწოდების ფასებს და მიღებული გადაფასების მოგება/ზარალი ასახება არარეალიზებული მოგება/ზარალის მუხლით მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წარმოებული ინსტრუმენტები ასახულია აქტივებად თუ მათი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებებად, თუ რეალური ღირებულება უარყოფითია.

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს საქართველოს და უცხო ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური სახელმწიფო სააგენტოების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ ბანკის საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ნაწილს ან მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს. აღნიშნული სავალო ფასიანი ქაღალდები იმართება იმ ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანიც მიიღწევა როგორც ფინანსური აქტივების ფლობით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბანკის ზარალის რეზერვი შეფასებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლებისთვისაც ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით:

- სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკის მქონეა;
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ბანკი მიიჩნევს რომ სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მათი საკრედიტო რისკის რეიტინგი საერთაშორისოდ მიღებული „საინვესტიციო რანგის მქონეს“ განმარტების ეკვივალენტურია. ბანკის მკაცრი საინვესტიციო პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს მხოლოდ უმაღლესი საკრედიტო რანგის მქონე ინვესტიციების ფლობას, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ბანკი ფლობს როგორც საერთაშორისო რეზერვებს, განიხილება დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ. გარდა ამისა, ბანკი, საქართველოს მთავრობის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში, განიხილავს როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონეს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ასეთი მიდგომა ასახავს ზოგად დაშვებას, რომ სახელმწიფოს ვალი დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში მიიჩნევა დეფოლტის მინიმალური რისკის მატარებლად (ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც „ურისკო“ ბაზრის მონაწილეთა გადმოსახედიდან), ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ, ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული განსაკუთრებული კავშირის გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბანკში გახსნილი აქვს თავისი ძირითადი მიმდინარე ანგარიში. ბანკი არ იყენებს გამონაკლისის დაბალი საკრედიტო რისკის დაშვების თაობაზე არც ერთი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამომანგარიშება

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილ სიდიდეს. ის ფასდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისთვის: მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (მაგალითად სხვაობა ბანკისთვის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ბანკი მოელოდა). ფულადი სახსრების დეფიციტი ფასდება ისტორიულ კორპორაციულ და სახელმწიფო დეფოლტისა და აღდგენის განაკვეთებზე დაყრდნობით;
- ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღისთვის: სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის;

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე ბანკი აფასებს, რამდენად არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ფინანსური აქტივი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად, დაკვირვებადი მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;
- სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორცაა, მაგალითად დეფოლტი ან გადახდის ვადაგადაცილება;
- ბანკის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურისა, იმ პირობებით რომლებსაც, სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელეების გამო;

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ვადაგადაცილებულია 90 დღით ან მეტით, ითვლება რომ დეფოლტირებულია, გარდა საქართველოს მთავრობის მიმართ არსებული მოთხოვნისა, რომელიც ჩაითვლება დეფოლტირებულად 180 დღეზე მეტი დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. ეს წარმოადგენს ფასს 9-ით გათვალისწინებული ვარაუდის უარყოფას, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული. თუმცა, ეს მიდგომა ასახავს მთავრობის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის გარემოებებს და ბანკის განსაკუთრებულ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი მოქმედებს როგორც მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები: აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან გამოქვითვის სახით;
- სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ზარალის რეზერვი არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლში რამეთუ ამ აქტივების საბალანსო ღირებულება არის მათი რეალური ღირებულება. თუმცა, ზარალის რეზერვი გამჟღავნებულია და აღიარებულია იმ ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ჩამოწერა

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული აქტივები ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან სრულად) მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი, მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს შემთხვევებს, როდესაც ბანკი დაასკვნის, რომ მსესხებელს არ გააჩნია აქტივები ან შემოსავლის წყარო, რომელთაც შეეძლოთ საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირება იმ თანხების დასაფარად, რაც ჩამოწერას ექვემდებარება. შეფასება კეთდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი თანხების ანაზღაურება ჩართულია ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის/(აღდგენის) მუხლში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო მოთხოვნების გამო ბანკს აქვს ვალდებულება გადასცეს ნაღდი ფული ან სხვა ფინანსური აქტივები ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელს. ასეთი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს მთავრობის, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების და კლიენტების მიმართ, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი თავდაპირველად აისახება მიღებული სახსრების რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. პირველადი ასახვის შემდგომ ეს ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული მოიცავს ბანკის მიერ კანონისა და მისი, როგორც ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს. მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები და მონეტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ბანკის სალაროში ნაღდი ფულის ოდენობით.

ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწევისთანავე.

კომერციული ბანკებისგან უკან დაბრუნებული ბანკნოტები და მონეტები ამოიღება მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრებიდან და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი განადგურება ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა, რომელიც არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანარიცხები (წარმოდგენილი სხვა ვალდებულებებში)

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, რომელნიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და, სავარაუდოდ, ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია განხორციელდეს ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

არამონეტარული ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები (წარმოდგენილი სხვა აქტივებში)

ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები აღიარებას და შემდგომ შეფასებას ექვემდებარება ბასს 2 – „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების“ შესაბამისად. ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით დამზადების, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით. შემდგომში მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. საინვესტიციო მონეტების და ზოდების გაყიდვისას, შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სხვა სამახსოვრო მონეტებზე გაწეული ხარჯები აღიარებას გაწევისთანავე ექვემდებარება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

თუ ძირითადი საშუალებების რომელიმე კომპონენტს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაშინ იგი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ქვემუხლში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება მათი ისტორიული ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი შეძენის დღიდან ან საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის იმ მომენტიდან როდესაც აქტივის შექმნა დასრულებულია და ის მზად არის გამოყენებისთვის. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენობა-ნაგებობები	2
კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	10-20
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	20

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

რემონტისა და შენახვის ხარჯები აისახება მათი გაწვევისთანავე და მიეკუთვნება სხვა ხარჯებს, გარდა შემთხვევებისა როდესაც ისინი კაპიტალიზაციას ექვემდებარებიან.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს აღემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს: გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და არსებულ გამოყენების ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებად ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის, რომ განგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სისტემატურად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება როგორც შეზღუდული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება გაუფასურების ნებისმიერი მაჩვენებლის არსებობისას. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

იჯარა

ბანკმა დროდადრო შესაძლოა, ისარგებლოს აქტივების იჯარით ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

ბანკი გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს თავდაპირველი საიჯარო ვალდებულების ოდენობას, რომელიც კორექტირებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებულ ღირებულებას, რაც საჭიროა აქტივის დემონტაჟისთვის და გაუმჯობესებების ამოღებისთვის.

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი შემდგომში ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულების თარიღამდე პერიოდში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი დამატებით პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გარკვეული ხელახალი შეფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რისთვისაც დისკონტირებისას გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, ან თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა მარტივად შეუძლებელია - მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზოგადად, დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ის ხელახლა ფასდება, როდესაც იცვლება მომავალი საიჯარო გადახდები, ან როდესაც იცვლება იმის შეფასება, გამოიყენებს თუ არა ბანკი იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის უფლებას. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება შესაბამისად, ან იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება ნულამდეა შემცირებული, შესაბამისი ოდენობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს წარადგენს ცალკე მუხლად, ხოლო საიჯარო ვალდებულებებს - „სხვა ვალდებულებების“ მუხლში.

ბანკმა აირჩია, რომ არ აღიაროს გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარით სარგებლობისას ან მოკლევადიანი იჯარის შემთხვევაში. ბანკი ასეთ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯად, წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში.

საგადასახადო დაბეგვრა

კანონის თანახმად, ბანკის აქტივები, ქონება და შემოსავალი, ისევე როგორც მისი საქმიანობა და ოპერაციები არ ექვემდებარება დაბეგვრას და სხვა მოსაკრებლების გადახდას.

პირობითი ვალდებულებები / აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა აისახება შენიშვნებში, ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, მაგრამ აისახება შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ივარაუდება ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როდესაც ბანკი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების (მაგალითად, აქტივის) კონტრაპტენტისთვის გადაცემით. აქტივი გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) კონტრაპტენტი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს.

საპროცენტო და მასთან გათანაბრებული შემოსავლები და ხარჯები

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან უფრო მოკლე ვადაში, შესაბამის ვითარებაში, მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრების დისკონტირებას ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობა (მაგ. წინასწარი გადახდები) და მოცულია ფინანსურ ინსტრუმენტთან პირდაპირ დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული მომავალი საკრედიტო დანაკარგები. მისაღები ან გადასახდელი თანხების გადახედვის შემთხვევაში კორექტირდება ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება. გადახედული საბალანსო ღირებულების თანხა გაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე და საბალანსო ღირებულების ცვლილების თანხა აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავლები ან ხარჯები.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საპროცენტო შემოსავლის აღიარების საფუძველი

თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება იმ ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების გარეშე), რომლებსთვისაც:

- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ;
- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მაგრამ რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული;

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება წმინდა საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების შემდეგ).

ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე უარყოფითი საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების წარდგენა

უარყოფითი პროცენტი ფინანსურ აქტივებზე განიხილება, როგორც ხარჯი და წარდგენილია საპროცენტო ხარჯების ქვეშ, განცალკევებულად. ანალოგიურად, უარყოფითი პროცენტი ფინანსურ ვალდებულებებზე განიხილება, როგორც შემოსავალი და წარდგენილია საპროცენტო შემოსავლების ქვეშ, განცალკევებულად.

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

ბანკი გამოიმუშავებს გასამრჯელოებს და საკომისიო შემოსავლებს კონტრაქტებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის საფუძველზე. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების და გადარიცხვების საკომისიოს, რომლებიც აღიარდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე. გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები მოიცავს ნაღდი ფულის ოპერაციებს, ანგარიშსწორების საკომისიო ხარჯებს და გარე მენეჯერისათვის გადახდილ საკომისიოს, რომლებიც მომსახურების გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება სამუშაო ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება ანგარიშგების თარიღისათვის დაფიქსირებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაყვანით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგებაში უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა მოგებაში/(ზარალში) - გადაყვანის საკურსო სხვაობებში.

სხვაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებების გაცვლით კურსებსა და ბანკში გარიგების თარიღისათვის არსებულ კურსებს შორის აისახება წმინდა მოგებაში/(ზარალში) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

გაცვლითი კურსები

ქვემოთ მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844
ლარი/100 იაპონური იენი	1.8982	2.0495
ლარი/1 კანადური დოლარი	2.0285	1.9959
ლარი/1 ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR)	3.6083	3.5959

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვა და ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალ-დებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს. ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღ-რიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ბანკს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ მომხდარა.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს.

ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების განუსაზღვრელობის წყაროები

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და შემოსავლების და ხარჯების წარმოდგენილ ოდენობებზე აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის. დაშვებები და შეფასებები მუდმივად განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისგან სხვადასხვა პირობებში და არსებითი დაშვებების შემთხვევაში.

კრიტიკული განსჯისა და შეფასების მნიშვნელოვანი სფეროები აღწერილია შემდეგ განმარტებით შენიშვნებში:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნესმოდელის შეფასება, რომლის პირობებშიც ფლობს ბანკი აქტივებს და იმის შეფასება თუ რამდენად შეიცავს სახელშეკრულებო პირობები ისეთი ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას - შენიშვნა 3
- გამონაკლისი დაბალი საკრედიტო რისკის დაშვებასთან დაკავშირებით და იმ ვარაუდის უარყოფა, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული - შენიშვნა 3
- ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება რეალური ღირებულებით - შენიშვნა 27

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ახალი და განახლებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) გამოყენება

ახალი და განახლებული სტანდარტები:

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა:

- ფასს 17 „სადაზღვეო კონტრაქტები“ და განახლებები ფასს 17-ში „სადაზღვეო კონტრაქტები“;
- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკაში გამოყენების სახელმძღვანელო 2-ში);
- სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება - (ცვლილებები ბასს 8-ში).

ზემოხსენებულ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და განახლებული სტანდარტები, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე. გაცხადებული ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (ნებადართულია ვადამდელი გამოყენება):

- ვალდებულებები კლასიფიკაცია როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი და არა მოკლევადიანი ვალდებულებები სახელმძღვანელო დათქმებით (ცვლილებები ბასს 1-ში);
- მიმწოდებელთა დაფინანსების აქტივობები (ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში);
- ვალუტის გაცვლის შეზღუდულობა (ცვლილებები ბასს 21-ში);
- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (ცვლილებები ფასს 16-ში).

4. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2023	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:		
ფულადი სახსრების გადარიცხვა	4,483	3,765
სალაროს ოპერაციები	1,547	1,193
სხვა	14	23
სულ გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:	6,044	4,981
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:		
გარე მენეჯერისთვის გადახდილი გასამრჯელო	(1,627)	(1,635)
ანგარიშსწორების ოპერაციები	(1,144)	(959)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(306)	(1,123)
სულ გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:	(3,077)	(3,717)

ბანკი ფლობს და მართავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც არის ბანკთაშორისი გადახდის სისტემა ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის. ფულადი სახსრების გადარიცხვა წარმოადგენს ანგარიშსწორების საკომისიო გადასახადს, რომელიც გადახდილია მონაწილეების მიერ ანგარიშსწორების შესრულების დროს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2023	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022
სამახსოვრო მონეტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	10,528	2,435
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	860	32
სხვა	408	985
სხვა შემოსავლები	11,796	3,452

სხვა ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2023	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022
სამახსოვრო მონეტებთან დაკავშირებული ხარჯი	(8,448)	(3,108)
სხვა	(1,358)	(1,068)
სხვა შემოსავლები	(9,806)	(4,176)

6. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2023	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022
ხელფასები და პრემიები	40,909	30,446
ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი	3,193	2,509
სულ პერსონალის ხარჯები	44,102	32,955
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	3,283	2,822
საინფორმაციო მომსახურების გამოწერა	2,674	2,734
სოციალური დახმარების ხარჯები	2,624	2,297
კომუნალური ხარჯები	1,799	1,729
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	730	530
უსაფრთხოება	717	527
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები	638	196
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	478	210
ფულის შეფუთვის ხარჯები	412	53
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	236	332
საწვავის ხარჯები	194	223
სხვა	1,891	1,616
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15,676	13,269
ცვეთის ხარჯი (შენიშვნები 15)	5,705	6,186
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 16)	1,788	2,024
სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	7,493	8,210

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი, 2023</u>	<u>31 დეკემბერი, 2022</u>
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	395,565	351,428
მიმდინარე ანგარიშები	432,215	2,064,016
ვადიანი დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	1,295,548	1,452,008
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	<u>2,123,328</u>	<u>3,867,452</u>

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,544,705 და 3,042,432 ათასი ლარი, შესაბამისად, განთავსებული იყო მიმდინარე ანგარიშებზე და 90 დღემდე ვადიან დეპოზიტებზე შვიდ (2022 წელს - შვიდ) საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ კომერციულ ბანკსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ინსტიტუტებში განთავსებულ დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შეადგენდა 4%-5.61% და 4.15%-4.47% (შესაბამისად).

8. მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი, 2023</u>	<u>31 დეკემბერი, 2022</u>
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
რეფინანსირების სესხები	3,003,152	2,442,215
ერთდღიანი სესხები	735,619	240,155
ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტები	-	401,219
ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხები	-	372,995
სულ მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	<u>3,738,771</u>	<u>3,456,584</u>

რეფინანსირების სესხები წარმოადგენს ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც გაიცემა საქართველოს კომერციულ ბანკებზე ლიკვიდობის მიზნებით და გააჩნია 7 დღიანი ვადიანობა. რეფინანსირების სესხის მსგავსად, მონეტარული პოლიტიკის ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხებისა და ფიქსირებული განაკვეთის სესხების მეშვეობით ბანკი აწვდის მოკლევადიან ლიკვიდურობას ეროვნულ საბანკო სისტემას საჭიროების შემთხვევაში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ქონდა რეფინანსირების სესხები გაცემული სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 2,662,792 ათასი ლარის ოდენობით, 9.571%-9.5791% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით და სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 2,066,874 ათასი ლარის ოდენობით, 11%-11.1020% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით, შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთდღიანი სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 560,472 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 10.25% და 240,154 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.75%, შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი არ ჰქონდა გაცემული ერთთვისანი ღია ბაზრის ინსტრუმენტი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთთვისანი ღია ბაზრის ინსტრუმენტის კონცენტრაცია შეადგენდა 328,698 ათასი ლარის მოთხოვნებს სამი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.067%-11.23%.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა გაცემული ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 301,479 ათასი ლარის მოთხოვნას ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.0402%.

რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული არცერთი მოთხოვნისთვის არ არის საკრედიტო რისკი არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. საკრედიტო რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია აგრეთვე იხილეთ 28-ე განმარტებით შენიშვნაში.

გირაო და სხვა სასესხო უზრუნველყოფა

სესხის უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები თითოეული უზრუნველყოფის ტიპისთვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ.

უზრუნველყოფად მიღებული აქტივებია: ა) საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; ბ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; გ) რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ქართულ ლარში დენომინირებული 2018 წლის 1 იანვრამდე კერძო შეთავაზებით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, გარდა სავალო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც გამოშვებულია საქართველოში ოპერირებადი კომერციული ბანკების მიერ; დ) კომერციული ბანკების სასესხო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს; ე) უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები ეროვნულ ბანკში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეროვნული ბანკის საბჭომ შესაძლოა, განსაზღვროს სხვა ტიპის აქტივი სესხის უზრუნველყოფისთვის; ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს უზრუნველყოფის თითოეული სახეობის დასაკავებელ თანხას (ჰეარქატს) უფლებამოსილი აქტივების ნომინალურ ღირებულების მიმართ. კანონის თანახმად საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება მოვალის აქტივების ხარჯზე.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფად მიღებული ფინანსური აქტივების სახეობები და რეალური ღირებულებები იყო შემდეგნაირი:

	<u>31 დეკემბერი, 2023</u>	<u>31 დეკემბერი, 2022</u>
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები)	2,353,661	1,386,426
კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი	1,839,284	2,320,899
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული ობლიგაციები:		
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	138,462	-
Netherlands Development Finance Company	26,111	93,279
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	-	86,954
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	-	83,446
კერძო სექტორის მიერ გამოშვებული ობლიგაციები	<u>35,264</u>	<u>37,808</u>
	4,392,782	4,008,812

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ბანკი ახორციელებს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას არსებული ხელშეკრულების ფარგლებში და ასევე ახდენს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შემოწმებისას. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გამოშვებული არც ერთი ფინანსური ინსტრუმენტი უზრუნველყოფის სახით არ იყო გამოყენებული.

9. SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

ნაშთები საერთაშორისო სავალუტო ფონდის („სსფ“) მიმართ მოიცავს:

	<u>31 დეკემბერი, 2023</u>	<u>31 დეკემბერი, 2022</u>
აქტივები:		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	<u>1,214,799</u>	<u>1,249,154</u>
ვალდებულებები:		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები		
მიმდინარე ანგარიში №1	1,770	2,163
მიმდინარე ანგარიში №2	10	12
	<u>1,780</u>	<u>2,175</u>
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სესხები		
გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში (EFF)	1,083,861	1,159,590
ზოგადი SDR-ის სახსრების განაწილება	1,137,494	1,130,877
სპეციალური SDR-ის სახსრების განაწილება	118,228	117,541
	<u>2,339,583</u>	<u>2,408,008</u>
სულ ვალდებულებები		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	<u>2,341,363</u>	<u>2,410,183</u>
გარე საბალანსო ნაშთები		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა	708,272	865,409
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები	(2,209,486)	(2,792,228)

SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიში ძირითადად შეადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ხელშეკრულების თანახმად მიღებულ SDR სახსრების განაწილებას. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველკვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2023 და 2022 წლების განმავლობაში ნომინალურმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 2.999%-4.198% და 0.050%-2.916%, შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები

ბანკს მოეთხოვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ანგარიშის ფლობა: მიმდინარე ანგარიში #1 და მიმდინარე ანგარიში #2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში #1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მიმდინარე ანგარიში #2 განკუთვნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები მოიცავს „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ (EFF) ფარგლებში მიღებულ სესხს 1,083,861 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,159,590 ათასი ლარი). EFF პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელებას, რაც გულისხმობს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ზრდის ხელშეწყობის მიზნით სტრუქტურული რეფორმების გატარებას. 36-თვიანი „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ პროგრამა დამტკიცდა 2017 წლის 12 აპრილს 210.4 მილიონი SDR-ის ოდენობით (კვოტის 100 პროცენტი). 2020 წლის 14 აპრილს დამტკიცდა ხელმისაწვდომობის ზრდა კვოტის 130 პროცენტის ოდენობით, რის შედეგადაც ჯამური ხელმისაწვდომობა EFF-ის ფარგლებში გაიზარდა 484 მილიონ SDR-მდე (კვოტის 230 პროცენტი). 2023 და 2022 წელს ბანკს პროგრამის ფარგლებში თანხები არ აუთვისებია. დაფარვები დაიწყო 2021 წლიდან და სესხის სრული დაფარვა დაგეგმილია 2031 წლისთვის. სასესხო განაკვეთი მიბმულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე (ცნობილი როგორც საბაზისო განაკვეთი), რომელიც წარმოადგენს SDR-ის საპროცენტო განაკვეთს, რომელმაც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 5.103% (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 3.916%).

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები დენომინირებულია SDR-ში.

SDR სახსრების განაწილება

SDR სახსრების განაწილება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უზრუნველყოფის გარეშე, საპროცენტო განაკვეთის მქონე SDR სახსრების განაწილებას ზოგადი და სპეციალური სახსრების სახით. სახსრების ზოგადი განაწილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხელშეკრულების თანახმად ხორციელდება SDR განყოფილების ყველა წევრისათვის კვოტის პროპორციულად. საქართველოსთვის სახსრების ზოგადი განაწილება განხორციელდა 2009 წელს (111,419 ათასი SDR) და 2021 წელს (201,658 ათასი SDR). 2009 წელს ძალაში შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილება SDR სახსრების სპეციალურ, ერთჯერად განაწილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც განხორციელდა 32,540 ათასი SDR-ის სპეციალური განაწილება საქართველოსთვის. წევრები და განსაზღვრული მფლობელები უფლებამოსილნი არიან SDR სახსრები გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განსახორციელებლად. ბანკი სახსრების განაწილებას მიიჩნევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებად.

საქართველო, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი და სახსრების მიმღები ქვეყანა, ვალდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე იმ თანხით, რომელიც უტოლდება მასზე განაწილებულ წმინდა აკუმულირებულ სახსრებს და ნებისმიერ სხვა თანხას, რომელიც ექვემდებარება გადახდას წევრობის შეწყვეტის, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

SDR სახსრების განაწილების საპროცენტო განაკვეთი 2023 და 2022 წლებში მერყეობდა წლიურ 2.916%-4.1980% და 0.050%-2.916% დიაპაზონში, შესაბამისად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა 210,400 ათასი SDR, წარმოადგენს საქართველოს საწევრო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი და მოქმედია 2016 წლის 26 იანვრიდან, მას შემდეგ რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭომ, ფონდის უმაღლესმა მმართველმა საბჭომ, დაასრულა მე-14 კვოტების გადაფასება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოიზიდავს სახსრებს წევრი ქვეყნებიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველ წევრ ქვეყანას მიეკუთვნება კვოტა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის შედარებით მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიკაში. წევრების კვოტა ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მათი ფინანსურ და ორგანიზაციული ურთიერთობის ძირითად ასპექტებს. გამომდინარე იქიდან რომ ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ფისკალურ წარმომადგენელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობაში ინსტრუმენტი არ არის წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 708,272 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,501,214 ათასი ლარისაგან (სულ 2,209,486 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდი შედგებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 865,409 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,926,819 ათასი ლარისაგან (სულ 2,792,228 ათასი ლარი).

ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული სახსრების მთლიან ნომინალურ ღირებულებას. ფასიანი ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარე-საბალანსო ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

10. წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები

	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2023	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2023	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2022	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2022
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში				
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსი: ფიუჩერსის მარჟა	4,575		10,282	
სავალუტო ფორვარდი				
სავალუტო ფორვარდთან დაკავშირებული აქტივები	-		2,702	
მისაღები ოდენობა	-	-	-	488,381
გადასახდელი ოდენობა	-	-	-	(519,320)
ნეტო სავალუტო ფორვარდი	-	-	2,702	(30,939)
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსები				
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული აქტივები	11,163	890,191	32,669	43,232
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული ვალდებულებები		(1,452,276)	-	(4,571,514)
წმინდა პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსზე	11,163	(562,085)	32,669	(4,528,282)
ნეტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში	15,738	(562,085)	45,653	(4,528,282)
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში				
სავალუტო სვოპები				
სავალუტო სვოპებთან დაკავშირებული აქტივები	-		734	
სავალუტო სვოპებთან დაკავშირებული ვალდებულებები	-		(1,649)	
მისაღები ოდენობა	-	-	-	385,822
გადასახდელი ოდენობა	-	-	-	(386,737)
ნეტო სავალუტო სვოპი	-	-	(915)	(915)
სულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში	-	-	(915)	(915)

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

თავდაპირველად, წარმოებული ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მხოლოდ დაპირებების ურთიერთგაცვლას, ანაზღაურების მცირე გადაცემით ან ყოველგვარი გადაცემის გარეშე, თუმცა, აღნიშნული ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მაღალი ხარისხის ბერკეტებს და ცვალებადნი არიან. აქტივის ღირებულებაში, განაკვეთში ან ინდექსში შედარებით მცირე მოძრაობას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის მოგებაზე ან ზარალზე.

ფიუჩერული ხელშეკრულებები წარმოადგენენ სახელშეკრულებო შეთანხმებებს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტის კონკრეტული ფასით და სამომავლო თარიღით ყიდვაზე ან გაყიდვაზე. ფიუჩერული ხელშეკრულებები ხორციელდება სტანდარტიზებული თანხებით რეგულარული გაცვლების საფუძველზე და ექვემდებარება ყოველდღიური ფულადი ზღვარის მოთხოვნებს. ფიუჩერულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი განიხილება, როგორც მინიმალური, ვინაიდან გაცვლის ფულადი ზღვარის მოთხოვნები უზრუნველყოფენ იმას, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები შესრულდება და ანგარიშსწორება განხორციელდება ნეტო საფუძველზე.

ბანკი ვაჭრობს ევროდოლარის ფიუჩერებით 2012 წლის მარტიდან, პორტფელის აქტიური მართვის ფარგლებში. 2023 წლის აპრილში, ევროდოლარის ფიუჩერები გარდაიქმნა შესაბამის SOFR-ზე მიბმულ (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) კონტრაქტებად. როგორც LIBOR-ზე ისე SOFR-ზე მიბმული ფინანსური ინსტრუმენტი კოტირებულია ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე და ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე და ისინი ბაზრის ყველაზე ლიკვიდური, მეტად გაყიდვადი და სტანდარტიზებული წარმოებული ხელშეკრულებებია. SOFR ეფუძნება ტრანზაქციებს სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ბაზარზე და LIBOR-თან შედარებით უფრო მიმზიდველია, იქიდან გამომდინარე რომ ის ეფუძნება დაკვირვებად ტრანზაქციებს, ნაცვლად შეფასებული სამომავლო სასესხო განაკვეთისა.

მაშინ, როდესაც სამთვლიანი ევროდოლარის ფიუჩერული კონტრაქტის დასრულებისას გამოიყენება LIBOR-ის სამთვლიანი განაკვეთი, SOFR-ზე მიბმული ფიუჩერული კონტრაქტის დასრულებისას გამოიყენება ერთდღიანი განაკვეთების საშუალო მაჩვენებელი კონტრაქტის ვადის გასვლამდე ბოლო სამთვლიან პერიოდზე (საბაზისო პერიოდი). ამ განსხვავების მიუხედავად, SOFR-ზე მიბმული LIBOR-ზე მიბმულ ფიუჩერულ კონტრაქტებს აქვთ რამდენიმე საერთო მახასიათებელი. როგორც ევროდოლარის, ისე SOFR-ზე მიბმული ფიუჩერული კონტრაქტები წარმოადგენენ შემოსავლიანობის მრუდის ერთმანეთის მიმდევრობით არსებულ სამთვლიან ფორვარდულ მონაკვეთებს - არაუზრუნველყოფილი სესხებისთვის (LIBOR-ის შემთხვევაში) და უზრუნველყოფილი სესხებისთვის (SOFR-ის შემთხვევაში). ევროდოლარის და SOFR-ის ფიუჩერებით ვაჭრობისას, ბანკი დგას მხოლოდ "საკლირინგო სახლის" საკრედიტო რისკის წინაშე, სადაც ხდება ფიუჩერების ყიდვისა და გაყიდვის ურთიერთგადაფარვა.

ბანკი იყენებს ევროდოლარის და SOFR-ის ფიუჩერულ კონტრაქტებს ჰეჯირების მიზნებისთვის, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს, რისკების შესაბამისობაში მოსაყვანად (დურაცია და მრუდი), აშშ-ს სამთავრობო ან საკრედიტო რისკის მქონე (სააგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და შესაბამისი მოცულობის საპირისპირო პოზიციის ევროდოლარის ფიუჩერულ კონტრაქტებში გახსნას. ამგვარი სტრატეგიების მთავარ მიზანს წარმოადგენს პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირება და საკრედიტო სპრედებიდან სარგებლის მიღება.

ბანკის პორტფელში არსებული ევროდოლარის და SOFR-ის ფიუჩერები არ არის განკუთვნილი სავაჭრო მიზნებისთვის, ე.ი. ბანკი არ აპირებს მოგების მიღებას მათი ფასების ხელსაყრელი მოძრაობიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2020 წლის აპრილიდან, სტანდარტულ რეფინანსირების სესხებთან ერთად, ბანკმა დაიწყო ბაზრის ლიკვიდობის მხარდაჭერა სავალუტო სვოპების ოპერაციების მეშვეობით. სავალუტო სვოპი წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელიც მიმართულია ბაზარზე ლიკვიდობის შექმნისკენ. სავალუტო სვოპ ტრანზაქციების მეშვეობით, ბანკი 1 თვით ყიდულობდა უცხოურ ვალუტას ეროვნული ვალუტის მეშვეობით მიმდინარე (სვოტ) კურსით, იმ პირობით, რომ იგი უკან გაიყიდებოდა წინასწარ განსაზღვრული ფორვარდული კურსით.

11. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ. აღნიშნული წარმოადგენს ბანკის მიერ განთავსებულ ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში („Pool“-ში) (BISIP CNY), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების ინვესტიციების სამართავად არსებულ ფონდს (რომელიც შედგება ჩინური სახელმწიფო ობლიგაციებისგან - CGB-ებისგან) და რომლის მთავარი მიზანია ბანკისთვის გამოცდილების გაზიარება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ფონდში კვოტის მფლობელებმა შესაძლოა მოითხოვონ საკუთარი ინვესტიციის გამოტანა ნაწილობრივ ან სრულად ნებისმიერ დროს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის სამართავად გადაცემულმა სახსრებმა შეადგინა 272,264 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 272,372 ათასი ლარი).

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

12. ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციებმა შეფასებულმა რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეადგინა:

	<u>31 დეკემბერი 2023</u>	<u>31 დეკემბერი 2022</u>
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები		
US Department of Treasury, Washington	7,368,915	5,485,360
Government of Canada, Ottawa	301,315	343,123
Governments of France	132,185	-
Government of Germany	121,462	-
Government of Austria	85,859	-
Government of Finland	46,834	-
Government of Belgium	29,211	-
Government of the Netherlands	28,764	-
Grand Duchy of Luxembourg	28,624	-
Government of Denmark	22,394	-
Bank of Japan, Tokyo	-	172,194
	8,165,563	6,000,677
სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები		
European Investment Bank, Luxembourg	185,663	264,265
Asian Development Bank, Manila	135,211	112,173
Inter-American Development Bank, Washington D.C.	119,946	69,571
African Development Bank, Abidjan	63,978	67,211
Nordic Investment Bank	52,789	-
European Bank for Reconstruction and Development	50,076	-
International Bank for Reconstruction & Development, Washington	31,749	25,946
European Union	28,985	-
Inter-American Investment Corporation	2,634	-
New Development Bank, Shanghai	2,885	5,685
EUROFIMA, Basel	1,641	-
European Stability Mechanism	-	104,878
Bank for International Settlements, Basle	-	94,291
	675,557	744,020
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები		
CPPIB Capital Inc, Toronto	115,137	86,104
Oesterreichische Kontrollbank AG, Vienna	78,498	36,417
Nederlandse Waterschapsbank N.V.	73,159	68,789
Province of Quebec Canada, Quebec	72,267	31,673
Caisse D'Amortissement de la Dette Sociale	72,117	-
Province of Ontario Canada, Toronto	57,108	36,167
Svensk Exportkredit AB, Stockholm	49,062	75,254
Kommunalbanken AS	42,411	-
Bank Nederlandse Gemeenten, Den Haag	38,599	41,868
Agence Francaise de Developpement	36,885	-
Kreditanstalt fuer Wiederaufbau, Frankfurt	35,237	84,065
Erste Abwicklungsanstalt, Dusseldorf	34,252	78,323
Landeskreditbank Baden-Wuerttemberg Foerderbank	32,758	28,925
Municipality Finance PLC	31,121	-
OMERS Finance Trust	29,090	38,466
CDP Financial In, Montreal	27,114	28,770
North Rhine-Westphalia	13,803	43,968
Kommuninvest I Sverige AB, Orebro	8,420	105,977
Korean Development Bank	7,687	61,687
Japan Bank for International Cooperation, Otemachi	-	74,666
Province of Alberta Canada	-	48,282
Other	150,776	95,123
	1,005,501	1,064,524
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით უცხოურ ვალუტაში	9,846,621	7,809,221
სავაჭრო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	2,668,266	2,272,589
სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	2,668,266	2,272,589

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთების და დაფარვის ვადების ანალიზი იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2023		31 დეკემბერი, 2022	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	0.125%-6.75%	2024-2027	0.125%-2.875%	2023-2026
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	0.25%-4.875%	2024-2027	0.25%-4.125%	2023-2027
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები	0.25%-5.66%	2024-2028	0.25%-4.75%	2023-2027
დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	7%-11.6%	2024-2030	7%-11.6%	2023-2028

ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება RAMP პროგრამის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების ნაწილის მსოფლიო ბანკის ხაზინისთვის (გარე მენეჯერი) სამართავად გადაცემას, რომელიც სპეციალიზებულია პორტფელის მართვაზე. გარე მენეჯერისათვის სამართავად სახსრების გადაცემის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბანკისთვის ნოუ-ჰაუს გადაცემა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. მენეჯერი კონტრაქტის საფუძველზე იღებს მართვის გასამრჯელოს, რომელიც გამოითვლება გადაცემული სახსრების ნეტო აქტივების ღირებულების საფუძველზე. გარე მენეჯერის პორტფელში არსებული აქტივები ბანკის სახელზეა, გლობალური მეურვის („ქასთოდინის“) პასუხისმგებლობის ქვეშ, შერჩეული სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ინვესტირებისა და რეინვესტირების მიზნით. ბანკს შეუძლია, დროდადრო, შეატყობინოს გარე მენეჯერს, საინვესტიციო თანხის დამატების ან შემცირების შესახებ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, RAMP პროგრამის ფარგლებში სამართავად გადაცემული სახსრების რეალური ღირებულება შეადგენს 615,261 ათას ლარს (2022: 597,133 ათას ლარს).

არცერთი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ არის არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იხილეთ შენიშვნა 28.

13. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები

	31 დეკემბერი, 2023		31 დეკემბერი, 2022	
	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები				
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	81,194	80,846	121,390	120,846
სულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	81,194	80,846	121,390	120,846

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

	31 დეკემბერი, 2023		31 დეკემბერი, 2022	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	9.566%	2024-2025	9.549%	2023-2025

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

საქართველოს მთავრობის სავალო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდებზე გარდაქმნის შედეგად, ფულადი გადახდების განხორციელების გარეშე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გამოშვებულ იქნა ექსკლუზიურად ბანკისათვის და არის არა-გადაცემადი და არასავსაჭრო ინსტრუმენტი. შესაბამისად ისინი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სამთავრობო სავალო ფასიანი ქაღალდების გადახდა ხდება ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების გზით 40,000 ათასი ლარის ოდენობით ყოველწლიურად, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იხილეთ ასევე შენიშვნა 28.

14. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი

ბანკი სარგებლობს შენობის იჯარით პერონალის ნაწილისთვის ადმინისტრაციული მიზნებისთვის და აღიარებს შესაბამის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას:

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2023	2022
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	1,537	387
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ზრდა	-	2,108
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(1,054)	(958)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	483	1,537

საიჯარო ვალდებულების დაუფარავი ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2023	2022
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	1,576	373
საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება	-	2,108
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	119	117
გადახდები წლის განმავლობაში	(1,176)	(1,020)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	519	1,576

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

15. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულებით:					
1 იანვარი, 2022	52,848	18,651	26,276	36	97,811
შესყიდვა	-	2,293	795	-	3,088
გასვლა	-	(434)	(451)	-	(885)
31 დეკემბერი, 2022	52,848	20,510	26,620	36	100,014
შესყიდვა	-	207	2,955	-	3,162
გასვლა	-	(274)	(58)	-	(332)
31 დეკემბერი, 2023	52,848	20,443	29,517	36	102,844
დაგროვილი ცვეთა:					
1 იანვარი, 2022	(9,387)	(12,632)	(18,495)	-	(40,514)
ცვეთის დარიცხვა	(1,054)	(2,644)	(2,489)	-	(6,187)
გასვლა	-	407	407	-	814
31 დეკემბერი, 2022	(10,441)	(14,869)	(20,577)	-	(45,887)
ცვეთის დარიცხვა	(1,054)	(2,539)	(2,112)	-	(5,705)
გასვლა	-	269	54	-	323
31 დეკემბერი, 2023	(11,495)	(17,139)	(22,635)	-	(51,269)
საბალანსო ღირებულება (წმინდა):					
31 დეკემბერი, 2023	41,353	3,304	6,882	36	51,575
31 დეკემბერი, 2022	42,407	5,641	6,043	36	54,127

16. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა
თვითღირებულებით:	
1 იანვარი, 2022	17,560
შესყიდვა	1,906
გასვლა	(299)
31 დეკემბერი, 2022	19,167
შესყიდვა	5,728
გასვლა	(429)
31 დეკემბერი, 2023	24,466
დაგროვილი ამორტიზაცია:	
1 იანვარი, 2022	(12,114)
წლის დარიცხვა	(2,023)
გასვლა	282
31 დეკემბერი, 2022	(13,855)
წლის დარიცხვა	(1,788)
გასვლა	411
31 დეკემბერი, 2023	(15,232)
საბალანსო ღირებულება (წმინდა)	
31 დეკემბერი, 2023	9,234
31 დეკემბერი, 2022	5,312

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

17. სხვა აქტივები და ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:		
წინასწარი გადახდები	1,299	485
სხვა	46	172
სულ სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	1,345	657
სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:		
სამახსოვრო ოქროს მონეტები და ოქროს ზოდები	6,921	138
წინასწარი გადახდები	4,742	3,919
მარაგები	521	487
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	79	99
სხვა მოთხოვნები	261	155
	12,524	4,798
სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი	(43)	(54)
სულ სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	12,481	4,744

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური აქტივები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, შეადგენს 1,642 ათასს და 831 ათას ლარს, შესაბამისად.

სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოადგენს თანამშრომლებზე გაცემული სესხების და სხვა დებიტორების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა წარმოადგენილია 28-ე განმარტებით შენიშვნაში.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	3,145	8,083
სხვა ვალდებულებები	31,906	538
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	35,051	8,621
სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში		
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადასარიცხი მოგება	302,877	462,780
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	4,164	4,116
გადავადებული შემოსავალი	72	3,119
ვალდებულება რეალიზებულ ბანკნოტებსა და მონეტებზე	2,091	1,935
საიჯარო ვალდებულება (განმარტებითი შენიშვნა 14)	519	1,576
სხვა ვალდებულებები	1,982	1,657
მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	311,705	475,183
სულ სხვა ვალდებულებები	346,756	483,804

2023 წლის 31 დეკემბრისათვის სხვა ფინანსური ვალდებულებები შეადგენს 43,807 ათას ლარს (2022 წლის 31 დეკემბრისთვის: 17,905 ათასი ლარი).

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

18. ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით		
საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	1,591,879	1,013,149
ერთდღიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	167,006	212,154
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	1,758,885	1,225,303
ბანკების სავალდებულო რეზერვები უცხოურ ვალუტაში	4,312,166	5,499,478
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით	6,071,051	6,724,781
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა		
საკორესპონდენტო ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	14,040	217,265
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა	14,040	217,265
სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	6,085,091	6,942,046

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებებში შედის 4,780,993 ათასი ლარის და 5,415,423 ათასი ლარის (შესაბამისად) ოდენობის სამი უმსხვილესი რეზიდენტი კომერციული ბანკის ნაშთები, რომლებიც შეადგენს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მთლიანი ვალდებულების 78.57% და 78.01%-ს (შესაბამისად).

რეზიდენტ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსონ მინიმალური სარეზერვო ნაშთები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 5 პროცენტს (2022: 5%), და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 10-დან 20 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2022: 10%-დან 25%-მდე). უცხოური ვალუტის ნასესხები სახსრების შემთხვევაში, დარჩენილი დაფარვის ვადით 1-2 წელი, მინიმალური სარეზერვო ნაშთები შეადგენს 10-დან 15 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2022: 10%-დან 15%-მდე). სავალდებულო რეზერვებზე 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შესაბამისად შეადგენს 9.5 და 11 პროცენტს, ხოლო აშშ დოლარში/ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე 0.0%/0.0% და 0.0%/0.0%, შესაბამისად. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს და უცხოურ ვალუტაში დენომირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება 2 წელს, არიან განთავსებული სავალდებულო რეზერვის მოთხოვნისაგან.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

19. ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ

ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ შედგება:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ:		
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	753,038	623,860
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	1,692,692	1,155,878
სულ ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	2,445,730	1,779,738

20. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

ვალდებულებები კლიენტების მიმართ შედგება:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:		
ვალდებულება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიმართ	6,375	3,729
ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	1,203	3,458
სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:	7,578	7,187

21. მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2023	2022
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	5,040,547	4,589,034
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	9,410,423	8,808,704
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	103,455	99,188
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(8,535,225)	(8,372,258)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(85,062)	(84,121)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,934,138	5,040,547

22. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სადეპოზიტო სერთიფიკატები		25 იანვარი -		
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9.00%-9.30%	21 მარტი 2024	60,000	59,225
სადეპოზიტო სერთიფიკატები		26 იანვარი -		
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9.96%-10.11%	23 მარტი 2023	60,000	59,135

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

23. კაპიტალი

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი მოიცავს ბანკის გაცხადებულ და მთლიანად გადახდილ კაპიტალსა და სარეზერვო ფონდს.

საწესდებო კაპიტალი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი სრულად არის შეტანილი და შეადგენს 15,000 ათას ლარს.

კაპიტალის მართვა

ბანკი განსაზღვრავს კაპიტალს როგორც საკუთარ კაპიტალს ფასს-ის თანახმად. კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, ყოველი საფინანსო წლისათვის ბანკის წმინდა მოგება გამოიანგარიშება, როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი. წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი მიიღება საანგარიშგებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვით. გაუნაწილებელი მოგება კანონის მოთხოვნებისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შესაბამისად, გადადის სხვადასხვა რეზერვებში. წლიური ანგარიშის ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ საფინანსო წლის დარჩენილი წმინდა მოგება უნდა გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე ბანკის საფინანსო წლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში.

სარეზერვო ფონდი

კანონში შეტანილი ცვლილების (მუხლი 25) თანახმად, ბანკის საერთო სარეზერვო ფონდმა უნდა შეადგინოს სარეზერვო ფულის (ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში და კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში) 15 პროცენტი. ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის რეალიზებული მოგებიდან, რომელიც წარმოადგენს წლის წმინდა მოგებას სავალუტო და სხვა გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგების და ზარალის გამოკლებით. ბანკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების დარჩენილი თანხით საერთო სარეზერვო ფონდის მოცულობის შესაბამისი ფინანსური წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით შევსების შესახებ.

სარეზერვო ფონდი გამოიყენება მხოლოდ ბანკის ზარალის საკომპენსაციოდ. სარეზერვო ფონდში თანხების გადატანის შემდეგ, ბანკის რეალიზებული მოგების ნარჩენი ნაშთი უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2023 და 2022 ფინანსურ წლებში ბანკმა საერთო სარეზერვო ფონდში 2023 წლის და 2022 წლების რეალიზებული მოგებიდან გადაიტანა 213,976 ათასი ლარი და 184,809 ათასი ლარი, შესაბამისად.

კანონის 25-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, 2023 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა, 302,877 ათასი ლარი გაუნაწილდა ფინანსთა სამინისტროს და გადაირიცხება საანგარიშგებო წლის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში. 2022 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა - 462,780 ათასი ლარი - რომელიც გაუნაწილდა ფინანსთა სამინისტროს, გადაირიცხა 2023 წელს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

უცხოური ვალუტის და სხვა გადაფასების რეზერვი

კანონის 25(ა) მუხლის თანახმად, უცხოური ვალუტის გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგება მიემართება უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში და რეალური ღირებულებით აღრიცხული მოგებაში ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების ცვლილებების წმინდა არარეალიზებული მოგება მიემართება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ გადაფასების რეზერვში. ეს სპეციალური რეზერვები გამოიყენება შესაბამისი ზარალების დასაფარად მომავალში.

2023 წელს უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული წმინდა არარეალიზებული მოგება 59,689 ათასი ლარის ოდენობით გაუნაწილებელი მოგებიდან მიიმართა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში (2022 წელს: არარეალიზებული ზარალი 475,157 ათასი ლარის ოდენობით კომპენსირდა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვიდან). 2023 წელს სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული ზარალი 17,384 ათასი ლარის ოდენობით კომპენსირდა სხვა გადაფასების რეზერვიდან (2022 წელს: სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული მოგება 34,647 ათასი ლარის ოდენობით გაუნაწილებელი მოგებიდან მიიმართა სხვა გადაფასების რეზერვში).

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი

აღნიშნული რეზერვი წარმოადგენს იმ ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებას, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

24. ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში არის მხარე ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელიც დაკავშირებულია გარესაბალანსო ვალდებულებებთან. ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს რისკების მართვის იმავე პოლიტიკით, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. ამიტომ, განსაკუთრებით მკვეთრმა ცვლილებებმა საოპერაციო გარემოში (გლობალური გარემოს ჩათვლით) შეიძლება იქონიოს ისეთი გავლენა ბანკის ოპერაციების შედეგზე და ფინანსურ მდგომარეობაზე რომელიც ამჟამად ვერ განისაზღვრება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ და ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები საბანკო, იურიდიულ, საგადასახადო, მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით და ასევე, სხვადასხვა ღონისძიებები ეკონომიკის ლიკვიდურობისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულებისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რეალური ზრდის მაღალ ტემპებს და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. არსებული ტენდენცია იძლევა საფუძველს, რომ ეკონომიკის ზრდა მთლიანობაში კვლავაც გაგრძელდება.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ამასთან, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოთხსენებულ რეფორმებზე და საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული ფინანსური თუ მონეტარული ზომების ეფექტურობაზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით ბანკის როლის ხელშეწყობის მიზნით.

სასამართლო დავები

ბანკის მიმდინარე სასამართლო პროცესებთან და საჩივრებთან მიმართებაში ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამგვარი სასამართლო პროცესებიდან წარმოშობილი ვალდებულება, თუ ასეთს ადგილი ექნება, არ იქონიებს არსებით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი დაურეცხავი ზარალი, რომელიც შესაძლოა მომავალში მოხდეს და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული დანაკარგების ანარიცხები.

საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია რაიმე არსებითი საკრედიტო და პირობითი ვალდებულება.

25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბანკი, როგორც სახელმწიფო ორგანო, დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის ორგანოებთან. თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ბანკი ინარჩუნებს სტრუქტურულ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას საქართველოს მთავრობისგან, იქიდან გამომდინარე რომ ბანკს შეუძლია თავისი ხელმძღვანელობით და მართვით თავად დააფინანსოს ბანკის ოპერაციები გარე დახმარების გარეშე.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმებიან ის პიროვნებები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება და აკისრიათ პასუხისმგებლობა დაგეგმონ, განკარგონ და აკონტროლონ ბანკის საქმიანობა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას შეადგენენ: საბჭოს წევრები, აღმასრულებელი დირექტორი და დეპარტამენტების უფროსები.

ბანკი, ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის პროცესში შედის გარიგებებში დაკავშირებულ მხარეებთან და არსებითი ოპერაციები და ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ურთიერთდამოკიდებულების შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე დაყრდნობით.

ბანკის გარიგებები და მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	
	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება: - თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	(5,528)	(44,102)	(4,459)	(32,955)

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2023		31 დეკემბერი, 2022	
		დაკავშირებულ ი მხარეების ნაშთები	სულ კატეგორია	დაკავშირებულ ი მხარეების ნაშთები	სულ კატეგორია
აქტივები:					
ეროვნულ ვალუტაში					
დენომინირებული ინვესტიციები					
რომლებიც შეფასებულია					
რეალური ღირებულებით სხვა					
სრულ შემოსავალში ასახვით-					
საქართველოს მთავრობა	12	2,668,266	2,668,266	2,272,589	2,272,589
ამორტიზებული ღირებულებით					
შეფასებული ინვესტიციები					
ეროვნულ ვალუტაში-					
საქართველოს მთავრობა	13	81,194	81,194	121,390	121,390
თანამშრომლებზე გაცემული					
სესხები- უმაღლესი რანგის					
ხელმძღვანელობა	17	35	79	43	99
ვალდებულებები:					
ვალდებულებები ფინანსთა					
სამინისტროს მიმართ					
სხვა ვალდებულებები -	19	2,445,730	2,445,730	1,779,738	1,779,738
საქართველოს ფინანსთა					
სამინისტროსთვის გადასარიცხი					
მოგება	17	302,877	302,877	462,780	462,780
მოგება ან ზარალისა და					
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება					
საპროცენტო შემოსავალი		222,917	845,733	168,851	671,815
- საქართველოს მთავრობა		222,916		168,850	
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა		1		1	

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებულმა არარეალიზებულმა მოგებამ 2023 წელს შეადგინა 2,436 ათასი ლარი (2022: ზარალი 5,863 ათასი ლარის ოდენობით).

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

26. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

ვალდებულებების ცვლილებების რეკონსილაცია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

შენიშვნა	ფულადი მოძრაობა			არა ფულადი მოძრაობა			31 დეკემბერი 2023
	1 იანვარი 2023	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (წმინდა)	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2023 წლის მოგებიდან	
საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები:							
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,135	(5,505)	(468)	6,063	-	59,225
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,410,183	(97,756)	(79,863)	102,343	6,456	2,341,363
სხვა ვალდებულებები	23	462,780	-	(462,780)	-	-	302,877
შენიშვნა	ფულადი მოძრაობა			არა ფულადი მოძრაობა			31 დეკემბერი 2022
	1 იანვარი 2022	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (წმინდა)	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2022 წლის მოგებიდან	
საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები:							
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,124	(6,032)	(585)	6,628	-	59,135
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,948,217	(35,853)	(46,991)	46,347	(501,537)	2,410,183
სხვა ვალდებულებები	23	356,060	-	(356,060)	-	-	462,780

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს-ის თანახმად რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან იქნება გადახდილი ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკის ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულებით აღრიცხვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. მომდევნო ცხრილი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ განისაზღვრება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (კერძოდ შეფასების ტექნიკები და გამოყენებული მონაცემები).

წარდგენის მიზნით, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია რეალური ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით, რაც დაფუძნებულია რეალური ღირებულების დასადგენად გათვალისწინებული შემავალი მონაცემების დაკვირვებადობის ხარისხზე:

- აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (**დონე 1**) – შეფასება დაფუძნებულია აქტიურ ბაზრებზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებზე, ბანკის წვდომის შესაძლებლობის შესაბამისად. ამ სახის ფინანსურ ინსტრუმენტებზე შეფასების კორექტირებები არ ვრცელდება, რადგან შეფასება დაფუძნებულია კოტირებულ ფასებზე, რომლებიც მზა სახით და საკმარისი სიხშირით გვხვდება აქტიურ ბაზარზე, ამ პროდუქტების შეფასება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან შეფასების საგანს. ეს დონე მოიცავს საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ინსტრუმენტები ფასდება ყოველდღიურად, ბლუმბერგის დღის საბოლოო ე.წ. „შეთავაზებული ფასების“ მიხედვით.
- შეფასების ტექნიკა, რომელიც იყენებს დაკვირვებად მონაცემებს. (**დონე 2**) - შეფასება რომელიც ემყარება მონაცემებს, გარდა კოტირებული ფასებისა რომელიც გამოიყენებოდა 1-ელ დონეში, რომლებიც დაკვირვებადია აქტივისა და ვალდებულებებისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ. მე-2 დონე მოიცავს შემდეგს:

- ა) კოტირებული ფასები მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის აქტიურ ბაზრებზე;
- ბ) კოტირებული ფასები იდენტური ან მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის არა აქტიურ ბაზრებზე;
- გ) აქტივებსა და ვალდებულებებზე არა კოტირებული ფასების მქონე მონაცემი, რომლის დაკვირვებაც შესაძლებელია, მაგალითად:
 - საპროცენტო განაკვეთები და სარგებლის მრუდები, რომლებიც დაკვირვებადია კოტირებული ინტერვალისთვის
 - ნაგულისხმები მერყეობა, და
 - საკრედიტო „სპრედი“.

დ) ბაზრით გამყარებული მონაცემები

საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კლასიფიცირებული როგორც ინვესტიციები შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს და ითვლება დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, უფრო კონკრეტულად კი საბაზრო სარგებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული მსგავსი ფასიანი ქაღალდებისთვის. რეალური ღირებულების შესაფასებლად, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი გამოიყენება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის სარგებლის მრუდზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)

- შეფასების ტექნიკა, რომლის შემავალი მონაცემები არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს (**დონე 3**) – შეფასება დაფუძნებულია ყველა იმ მონაცემზე, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალურ ღირებულებაზე და არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ბანკს არ გააჩნია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს.

ბანკს მიაჩნია, რომ სააღრიცხვო შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან, როდესაც არ არის ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასები ან სხვა დაკვირვებადი მონაცემები არის მნიშვნელოვანი წყარო გაურკვევლობებისა შეფასებებში რადგან: (i) ის არის მიდრეკილი პერიოდული ცვლილებებისკენ, საჭიროებს მენეჯმენტისგან დაშვებებს საპროცენტო განაკვეთებზე, ცვალებადობაზე, გაცვლით კურსებზე, კონტრაქტის საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებზე და ტრანზაქციების სპეციფიურ ფუნქციებზე და (ii) შეფასების ცვლილებამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ აქტივებსა და მოგებაზე ან ზარალზე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, შეფასების დონეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თანხები მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ღირებულებებით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნები	რეალური ღირებულება				
		2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეალური ღირებულების იერარქიის დონეები	შეფასების ტექნიკები და მირითადი მონაცემები	არა- დაკვირვებადი მნიშვნელოვანი მონაცემები
საერთაშორისო რეზერვები						
წარმოებული ფინანსური აქტივები	10	15,738	45,653	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,264	272,372	დონე 1*	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	9,846,621	7,809,221	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	2,668,266	2,272,589	დონე 2	საბაზრო საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინსტრუმენტების- თვის	არ მიესადაგება
წარმოებული ფინანსური აქტივები	10	-	734	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება
ფინანსური ვალდებულებები						
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	10	-	1,649	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული “შეთავაზებული ფასი”	არ მიესადაგება

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

**ბანკის ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების იმ ნაწილს, რომელიც სამართავად არის გადაცემული საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის და შედგება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP CNY) განთავსებული ინვესტიციებისგან. აღნიშნული ინვესტიციები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომელთათვისაც არსებობს აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები რაზე წვდომაც ბანკს აქვს იდენტურ აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის. შესაბამისად, რეალური ღირებულების იერარქიაში ინვესტიციის რეალური ღირებულება მიჩნეულია როგორც დონე 1.*

2023 წლის 31 დეკემბრით და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ადგილი არ ჰქონია გადატანას პირველ, მეორე და მესამე დონეებს შორის.

სხვა სრულ შემოსავალში შესული მოგება და ზარალი უკავშირდება ინვესტიციებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და მისი ანგარიშგება ხდება როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვის ცვლილება.

მოგებაში ან ზარალში გაერთიანებული წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფასიანი ქაღალდებისა და წარმოებული ინსტრუმენტებიდან უკავშირდება წარმოებული ფინანსური აქტივებისა და სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ცვლილებებს რეალურ ღირებულებაში საანგარიშგებო პერიოდში.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით განმეორებით საფუძველზე (ამასთან აუცილებელია რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები)

ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ მათ გააჩნიათ ხანმოკლე დაფარვის ვადა. ეს დაშვება ასევე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და ანგარიშებს დაფარვის ვადის გარეშე.

მიჩნეულია, რომ ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივებისა (საქართველოს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირებული როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები) და ვალდებულებების (სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან) შემთხვევაში საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას. დამატებით ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მისი სპეციფიკური თვისებიდან გამომდინარე წარმოადგენს ცალკე სესხების სეგმენტს, რომლებიც გაიცემა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელშეწყობის მიზნით. შედეგად ეს სესხები განიხილება როგორც “გამლილი ხელის მანძილის პრინციპით” მიღებული.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

28. რისკების მართვა

შესავალი

ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის რისკებთან. ეს რისკები მოიცავს ფინანსურ რისკებს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკების სახით. აგრეთვე ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია არაფინანსური რისკების ფართო სპექტრთან. ბანკის უნიკალური როლიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ რისკების მართვა და კონტროლი დაფუძნებულია არა მარტო ორგანიზაციული რისკისა და მოგების შესახებ მოსაზრებებზე, არამედ, ის მხედველობაში იღებს ეროვნულ ინტერესს, შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პასუხისმგებლობების მიხედვით. ბანკის ხედვით რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს მმართველობის პროცესის განუყოფელ ნაწილს და ძლიერი კორპორაციული მმართველობის არსებით კომპონენტს. ბანკის საბჭო, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელია რისკების მართვის ჩარჩოს და მნიშვნელოვანი რისკების მართვის პროცესის ზედამხედველობაზე და ასევე რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე. ეფექტური და ეფექტიანი რისკის მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად ბანკში შემუშავებულია დაცვის სამსახურიანი მოდელი. ეს მოდელი სტრუქტურული ერთეულებისთვის, რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტისა და შიდააუდიტორული სამსახურისთვის გამოყოფს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს.

დაცვის პირველი ხაზი: მართვა სტრუქტურული ერთეულის დონეზე

დაცვის პირველი ხაზი (ბანკის დეპარტამენტები) პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და რისკების მართვაზე სტრუქტურული ერთეულის დონეზე ადეკვატური და ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავების, დანერგვასა და შენარჩუნების გზით.

დაცვის მეორე ხაზი: რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი

დაცვის მეორე ხაზი (რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია ეფექტური არაფინანსური რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე, რომელიც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებთან და მიდგომებთან. რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკების, მექანიზმების და რისკის მართვის პროცესების დამოუკიდებელ და პროაქტიულ შეფასებას და ბიზნეს უწყვეტობის მხარდაჭერას. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ბანკის პრეზიდენტთან.

დაცვის მესამე ხაზი: შიდააუდიტორული სამსახური

შიდააუდიტორული სამსახური წარმოადგენს დაცვის მესამე ხაზს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მართვისა და შიდა კონტროლების სისტემების ეფექტურობას და ადეკვატურობას. შიდა აუდიტი რეგულარულად ამოწმებს, როგორც შიდა კონტროლების ადეკვატურობას, ასევე ბანკის პროცესების შესაბამისობას პროცედურებთან და შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს საბჭოს თავმჯდომარეს.

რისკის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურა

რისკის ტიპი	მართვის დონე	სახელმძღვანელო მითითებების	ზედამხედველობა
		პოლიტიკის ავტორი	
		მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი	
ფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტი	საბჭო
არაფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი	შიდა აუდიტი, აუდიტის კომიტეტი

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ფინანსური რისკები

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს მონეტარული პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის მიზნით. ამ ორ პორტფელს განსხვავებული რისკის პოლიტიკა და მახასიათებლები აქვს და ორივე მათგანი იმართება ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ. ქვემოთ მოცემულ ფინანსური რისკების დახასიათებაში წარმოდგენილია ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც დგას ამ ორ პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები და ამ რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლისთვისაც არ ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები:

	შენიშვნა	მაქსიმალური რისკი	მაქსიმალური რისკი
		31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
აქტივები უცხოურ ვალუტაში			
საერთაშორისო რეზერვები			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	15,738	45,653
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,264	272,372
აქტივები ეროვნულ ვალუტაში			
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	734
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი		288,002	318,759

საკრედიტო რისკი იმ ინსტრუმენტებისათვის, რომლებზედაც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებებით.

საერთაშორისო რეზერვების პორტფელი

კანონის მიხედვით, ბანკი უფლებამოსილია იქონიოს და მართოს საერთაშორისო რეზერვების პორტფელი. ბანკი პორტფელს იყენებს მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის წარმოებისა და შიდა და უცხოური გადახდების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. რეზერვები ასევე გამოიყენება ქვეყნის გარე რისკებისგან დასაცავად, რაც გულისხმობს საკმარისი ლიკვიდობის შენარჩუნებას ფინანსური კრიზისის დროს შოკის დასამლევად. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვების ფლობის სხვადასხვა მიზნებია უსაფრთხოების, ლიკვიდობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფა. ამასთან, საერთაშორისო სარეზერვო პორტფელში შემავალი აქტივები ინვესტირდება კონსერვატიულ საფუძვლებზე, ლიკვიდობასა და კაპიტალის შენარჩუნებაზე აქცენტებით. მაგალითად, ბანკის საინვესტიციო სახელმძღვანელოში პრიორიტეტი ენიჭება კაპიტალის შენარჩუნებას და რეზერვების მაღალ ლიკვიდობას. როდესაც ეს წინაპირობები სრულდება, უნდა მოხდეს მოგების მაქსიმიზაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

პორტფელის მართვა ხდება საინვესტიციო სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ბანკის საბჭოს მიერ. ბანკის რეზერვების მართვის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) პასუხისმგებელია აქტივების სტრატეგიული გადანაწილების მიხედვით რისკის შემცირებისთვის საჭირო ზომების დანერგვასა და მონიტორინგზე. ასევე კომიტეტმა უნდა მიიღოს რწმუნება იმისა, რომ ბანკის საქმიანობა ხდება რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. კომიტეტის ჩვეულებრივი საქმიანობა მოიცავს ყოველთვიური ანგარიშების მიმოხილვას, კონტრაგენტების სიის დამოწმებას, სტრატეგიული ცვლილებების დამოწმებას საბჭოში წარდგენამდე და პერიოდულად, აქტივების გადანაწილებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ბანკის რისკის მართვისა და კონტროლის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) პასუხისმგებელია საერთო რისკების ყოველდღიურ მართვასა და დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგებისათვის საჭირო საერთო პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას.

მონეტარული პოლიტიკის პორტფელი

მონეტარული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი საშუალებებია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, სესხები გაცემული კომერციულ ბანკებზე, სადეპოზიტო სერტიფიკატები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პასუხისმგებელია დანერგოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკის შემცირების საშუალებებს, მაგალითად როგორცაა უზრუნველყოფის მოთხოვნები რეფინანსირების სესხებისთვის.

ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები - საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგით შეფასებული

საერთაშორისო რეზერვების ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის გაკონტროლებისთვის, „სტრატეგიული აქტივების გადანაწილება“ ზღუდავს საკრედიტო რისკს ქვეყნების, კონტრაგენტების და ემიტენტების მიხედვით, საკონცენტრაციო ლიმიტებისა და მინიმალური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგების დაწესებით (Standard & Poor's, Moody's და Fitch-სააგენტოების მიხედვით). მაგალითად, საინვესტიციო სახელმძღვანელო ნათლად განსაზღვრავს საკრედიტო რეიტინგის მინიმალურ დონედ A- რეიტინგს სავალო ინსტრუმენტებში (ობლიგაციები, თამასუქები), ისევე როგორც ბანკთაშორის დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისას. ამასთან, ნოსტრო ანგარიშების კონტრაგენტებისთვის მინიმალური საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს BBB-ს.

გარდა ამისა, საინვესტიციო სახელმძღვანელო ასევე ზღუდავს ინსტრუმენტების ინვესტირებას არასაბაზისო ფინანსურ ინსტრუმენტებში. პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში ფიქსირებულ და ცვალებად-განაკვეთიან ფასიანი ქაღალდებში (სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, „სააგენტოს“, მათ შორის რეგიონალური მთავრობებისა და სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები) და სხვა ძლიერ ლიკვიდურ, და უსაფრთხო ინსტრუმენტებში.

კონტრაგენტების შერჩევასა და ბანკი ითვალისწინებს მათ საკრედიტო რეიტინგს, ქვეყანას, აქტივებისა და კაპიტალის მოცულობას, საერთაშორისო ბაზრებზე და კორპორატიულ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილებას და ასევე მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და ინსტრუმენტების დიაპაზონს. ზემოთ ხსენებული სარეიტინგო სააგენტოების მიერ ბანკის კონტრაგენტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის კლების შემთხვევაში, კონტრაგენტი ამოღებული იქნება დაშვებული კონტრაგენტების სიიდან.

როდესაც სხვადასხვა საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები (Standard & Poor's, Moody's და Fitch) აქტივებისთვის განსაზღვრავენ განსხვავებულ საკრედიტო რეიტინგებს, საკრედიტო რისკის შესაფასებლად გამოიყენება მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

საკრედიტო ხარისხის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული იმ ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგებიდან მეორე საუკეთესოს მიხედვით:

	31 დეკემბერი 2023				31 დეკემბერი 2022			
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ
მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი (საკრედიტო რეიტინგების დიაპაზონი)								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)								
AAA („AA+“-დან „AAA“-მდე)	191,765	-	-	191,765	2,001,824	-	-	2,001,824
AA („A+“-დან „AA“-მდე)	894,257	-	-	894,257	479,552	-	-	479,552
A („BBB+“-დან „AA“-მდე)	641,741	-	-	641,741	1,034,648	-	-	1,034,648
მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,727,763	-	-	1,727,763	3,516,024	-	-	3,516,024
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	1,727,763	-	-	1,727,763	3,516,024	-	-	3,516,024
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში								
AAA	1,214,799	-	-	1,214,799	1,249,154	-	-	1,249,154
მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,214,799	-	-	1,214,799	1,249,154	-	-	1,249,154
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	1,214,799	-	-	1,214,799	1,249,154	-	-	1,249,154
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით								
AAA („AA+“-დან „AAA“-მდე)	1,568,291	-	-	1,568,291	7,023,663	-	-	7,023,663
AA („A+“-დან „AAA“-მდე)	8,275,847	-	-	8,275,847	534,904	-	-	534,904
A („A“-დან „A+“-მდე)	2,483	-	-	2,483	250,654	-	-	250,654
წმინდა საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება	9,846,621	-	-	9,846,621	7,809,221	-	-	7,809,221
ზარალის რეზერვი (აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში)	(1,789)	-	-	(1,789)	(236)	-	-	(236)

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები - შიდა რეიტინგით შეფასებული

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ღია ბაზრის ოპერაციებთან და ინსტრუმენტებთან, რომელთა მეშვეობითაც ფინანსურ სისტემაში ხდება ლიკვიდობის მიწოდება. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი შედგება ექსკლუზიურად საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ფასიანი ქაღალდებისაგან, რომლებიც მიჩნეულია დაბალი საკრედიტო რისკის მქონე აქტივებად. საბანკო ინსტიტუტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, ბანკი ითხოვს უზრუნველყოფას, რომელსაც მისთვის მისაღები საკრედიტო ხარისხი ექნება. უზრუნველყოფის შეფასება ხდება მათი მიღებისას არსებული საბაზრო ფასით და შეფასებაზე შეიძლება გავრცელდეს დისკონტი ან „ჰეარკატი“ ინსტრუმენტის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე და სესხები გაცემულია მხოლოდ მაღალი კრედიტუნარიანობის მქონე კონტრაგენტებზე. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების საკრედიტო რეიტინგი შეფასდა, როგორც AAA, შიდა სარეიტინგო სქემის მიხედვით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის, შიდა შეფასება AAA შეესაბამება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ განსაზღვრულ BB რეიტინგს, რაშიც, თავის მხრივ, გათვალისწინებული ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი).

ბანკი მისი ფინანსური აქტივების (გარდა საერთაშორისო რეზერვებისა) კლასიფიცირებას შიდა შემუშავებული რეიტინგების საფუძველზე შემდეგი სახით ახდენს:

რეიტინგი AAA - ძალიან კარგი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი AA - სტაბილური ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი A - დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი B - სესხები გაცემული დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებზე, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი ვადაგადაცილებულია.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ბანკი ახდენს რისკის ზუსტ და თანამიმდევრულ კლასიფიცირებას მის საკრედიტო პორტფელში. დაკავშირებული რისკების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის და სხვა ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემის საფუძველზე:

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ
აქტივები უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები						
AAA რეიტინგი	1,300	-	1,300	485	-	485
A რეიტინგი	39	-	39	166	-	166
B რეიტინგი	6	-	6	6	-	6
მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,345	-	1,345	657	-	657
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	1,345	-	1,345	657	-	657
აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ						
AAA რეიტინგი	3,738,771	-	3,738,771	3,456,584	-	3,456,584
მთლიანი საბალანსო ღირებულება	3,738,771	-	3,738,771	3,456,584	-	3,456,584
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	3,738,771	-	3,738,771	3,456,584	-	3,456,584
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით						
AAA რეიტინგი	2,668,266	-	2,668,266	2,272,589	-	2,272,589
საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება	2,668,266	-	2,668,266	2,272,589	-	2,272,589
სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში						
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით						
AAA რეიტინგი	81,194	-	81,194	121,390	-	121,390
მთლიანი საბალანსო ღირებულება	81,194	-	81,194	121,390	-	121,390
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	81,194	-	81,194	121,390	-	121,390
სხვა ფინანსური აქტივები						
A რეიტინგი	298	-	298	200	-	200
B რეიტინგი	-	43	43	-	54	54
მთლიანი საბალანსო ღირებულება	298	43	341	200	54	254
ზარალის რეზერვი	-	(43)	(43)	-	(54)	(54)
წმინდა საბალანსო ღირებულება	298	-	298	200	-	200

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შემავალი და საბოლოო ნაშთების რეკონსილაციას იმ ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, რომლების მიმართაც აღიარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

	2023			2022		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ
<i>აქტივები უცხოურ ვალუტაში</i>						
<i>საერთაშორისო რეზერვები</i>						
ინვესტიციები აღრიცხული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით						
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	236	-	236	218	-	218
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	1,678	-	1,678	147	-	147
ზარალის რეზერვის გადაფასება	34	-	34	(71)	-	(71)
უცხოური სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობები	-	-	-	(13)	-	(13)
ფინანსური აქტივები რომელთა აღიარება შეწყდა - დაფარვა	(159)	-	(159)	(45)	-	(45)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,789	-	1,789	236	-	236
<i>აქტივები ეროვნულ ვალუტაში</i>						
<i>სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში</i>						
<i>სხვა აქტივები</i>						
ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	-	54	54	-	74	74
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	-	-	-	-	-	-
ზარალის რეზერვის გადაფასება	-	-	-	-	-	-
ფინანსური აქტივები რომლის აღიარება შეწყდა - დაფარვა	-	(11)	(11)	-	(20)	(20)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	43	43	-	54	54
სულ ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით	236	54	290	218	74	292
სულ ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,789	43	1,832	236	54	290

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ჭარბი რისკის კონცენტრაცია

რისკის კონცენტრაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონტრაქტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსადაიმთხვე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ცვლილებები თანაბრად უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფოებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი შედარებით მგრძობიარე იქნება კონკრეტულ სფეროსა თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

ჭარბი რისკის კონცენტრაციის მინიმიზაციის მიზნით, ბანკის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს დივერსიფიცირებული პორტფელის შექმნისა და შენარჩუნების სპეციალურ ინსტრუქციებს. რისკის კონცენტრაცია აქტივების ხარისხისა და კონტრაქტების მიხედვით წარმოდგენილია შესაბამის შენიშვნებში.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გარდა საერთაშორისო რეზერვების პორტფელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებისა, კონცენტრირებულია საქართველოში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს გარეთ კონცენტრირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკავშირი*	ავსტრალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	276,571	892,093	5	2,271	-	556,823	1,727,763
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	1,214,799	-	1,214,799
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	-	-	-	-	15,738	15,738
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	-	-	-	-	272,264	-	272,264
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,375,570	920,995	24,516	696,230	646,573	182,737	9,846,621
		7,652,141	1,813,088	24,521	698,501	2,133,636	755,298	13,077,185
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	2,341,363	-	2,341,363
წმინდა პოზიცია:		7,652,141	1,813,088	24,521	698,501	(207,727)	755,298	10,735,822

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკავშირი*	ავსტრალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
აქტივები:								
საერთაშორისო რეზერვები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	287,623	2,650,812	1	122	-	577,466	3,516,024
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	1,249,154	-	1,249,154
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	-	-	-	-	45,653	45,653
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	-	-	-	-	272,372	-	272,372
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	5,485,359	562,906	19,284	642,509	744,020	355,143	7,809,221
		5,772,982	3,213,718	19,285	642,631	2,265,546	978,262	12,892,424
ვალდებულებები:								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	2,410,183	-	2,410,183
წმინდა პოზიცია:		5,772,982	3,213,718	19,285	642,631	(144,637)	978,262	10,482,241

*ევროკავშირი-ნორვეგიის სააგენტოს ფასიანი ქაღალდების ჩათვლით

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშობა ბანკისთვის, როდესაც მას აქვს სირთულეები იმ ფინანსური ვალდებულებების დაფარვისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების გადინებასთან ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან.

გ) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ლიკვიდობის რისკის მართვის ამოცანაა დარწმუნდეს რომ ბანკი ასრულებს ყველა აღებულ ფინანსურ ვალდებულებას. შესაბამისად, არსებობს ვადიანობის დივერსიფიკაციის პოლიტიკა და დაწესებული ლიმიტები, რომელთა მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ შესყიდული ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ვაჭრობა შესაძლებელი იყოს აქტივების ფასების მკვეთრი ცვლილებების გამოწვევის გარეშე. ამ სახელმძღვანელო მითითებების გამო, გრძელვადიან ფასიან ქაღალდებსაც გააჩნიათ მყისიერი ლიკვიდობა.

ბანკის მონეტარული პოლიტიკისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტები განსაზღვრავენ იმ ვადადამდგარი სახსრების მინიმალური პროპორციის ზღვრებს, რომლებიც გამოიყენება ფულადი სახსრების გადინების დასაფარად. ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ძირითად ვალუტებში ფულადი ნაკადების პროგნოზირებას მათთან დაკავშირებული ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროს არსებობას;
- სესხების კონცენტრაციისა და პარამეტრების მართვას;
- პორტფელის მაღალ ლიკვიდურ აქტივებში განთავსებას, რომლებიც ადვილად იქნებიან ლიკვიდირებულნი, როგორც დაცვის მექანიზმი ნებისმიერი ფულადი ნაკადის შეწყვეტისას;
- ლიკვიდობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმის არსებობას.

ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი ბიზნეს ერთეულებიდან იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ჭრილში და სხვა დეტალებს პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შესახებ დაგეგმილი მომავალი ოპერაციებიდან. ბანკის ლიკვიდობის რისკი დაკავშირებულია ფულად ნაკადებთან უცხოურ ვალუტაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე დაფუძნებით. ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია „3 თვეზე ნაკლებ“ კატეგორიაში, იმის საფუძველზე, რომ ბანკს შეუძლია მათი რეალიზება არა უმეტეს 3 თვის ვადის განმავლობაში ლიკვიდურობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	1,727,763	-	-	-	1,727,763
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,214,799	-	-	-	1,214,799
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	15,738	-	-	-	15,738
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,264	-	-	-	272,264
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	9,846,621	-	-	-	9,846,621
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	17	1,345	-	-	-	1,345
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		13,078,530	-	-	-	13,078,530
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	4,326,206	-	-	-	4,326,206
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	753,038	-	-	-	753,038
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,270,910	150,068	867,732	256,110	2,544,820
სხვა ვალდებულებები	17	34,822	-	229	-	35,051
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		6,384,976	150,068	867,961	256,110	7,659,115
წმინდა პოზიცია		6,693,554	(150,068)	(867,961)	(256,110)	5,419,415

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
საერთაშორისო რეზერვები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	3,516,024	-	-	-	3,516,024
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,249,154	-	-	-	1,249,154
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	45,653	-	-	-	45,653
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,372	-	-	-	272,372
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,809,221	-	-	-	7,809,221
სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
სხვა ფინანსური აქტივები	17	172	-	485	-	657
სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		12,892,596	-	485	-	12,893,081
ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	5,716,743	-	-	-	5,716,743
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	623,860	-	-	-	623,860
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,260,572	268,578	662,156	422,807	2,614,113
სხვა ვალდებულებები	17	3,978	870	-	-	4,848
სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში		7,605,153	269,448	662,156	422,807	8,959,564
წმინდა პოზიცია		5,287,443	(269,448)	(661,671)	(422,807)	3,933,517

დ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

მონეტარული ორგანოს მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ფინანსური სისტემის ლიკვიდობის კონტროლს, ბანკზე არ ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობის შეზღუდვები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია ისეთი საბაზრო ფაქტორების ცვალებადობით, როგორცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსი. საბაზრო რისკები მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთებისა და სხვა ფასების ცვლილების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო ღია პოზიციიდან, რომლებიც არ არის დაცული ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო რყევებისა და საბაზრო ფასების ცვლილებებისგან.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

ე) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

საბაზრო რისკი გულისხმობს ინვესტიციების ფასების ცვლილების შედეგად შესაძლო დანაკარგებს.

სტრატეგიული აქტივების გადანაწილების პროცესი ბანკის მიერ რისკის ტოლერანტობის/ამტანობის საფუძველზე ზღუდავს საბაზრო რისკს. მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, მას შემდეგ რაც მოხდება სცენარების შეფასება სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, საბაზრო რისკის ლიმიტის ფარგლებში ისაზღვრება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელი ცალკეული პორტფელებისთვის. ვალუტის რისკები განისაზღვრება უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულების ანალიზის საფუძველზე. საერთო სავალუტო რისკის შესამცირებლად ასევე განიხილება დივერსიფიკაციის ეფექტი (იხილეთ შენიშვნა - სავალუტო რისკი)

სამუშაო კაპიტალის გარდა, ყველა პორტფელი აქტიურად იმართება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში. აქტიური საბაზრო რისკი შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში განისაზღვრება რისკის ბიუჯეტირების პროცესში და თითოეული პორტფელისთვის განისაზღვრება აქტიური საბაზრო რისკის ლიმიტები წინასწარ შეფასებული სავარაუდო თვალის მიდევნების შეცდომისა („ტრეკინგ ერორი“) და გადახრის ხანგრძლივობის შეზღუდვით. აქტიური პორტფელების ბაზრის შოკებთან დამოკიდებულების შესაფასებლად ხორციელდება რეგულარული „სტრეს-ტესტი“.

ქვემოთ მოცემულია სტრატეგიული შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა და აქტიური ბაზრების რისკის ლიმიტები საერთაშორისო რეზერვების პორტფელისთვის:

	2023		2022	
	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“
ტრანშები				
ლიკვიდობის პორტფელი - აშშ დოლარი*	1.5 წელი (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი	6 თვე (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - აშშ დოლარი*	2 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი	9 თვე (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - კანადური დოლარი*	2 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი	9 თვე (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - ევრო*	1 წელი (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი	-	-

* სტრატეგიული აქტივების გადანაწილების გადაწყვეტილების გამო შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა ლიკვიდობის და საინვესტიციო პორტფელისთვის გაიზარდა 2023 წლის თებერვლიდან.

საბაზრო რისკის მონიტორინგი ხდება ვალუტების ვადიანობის და შემადგენლობის ყოველდღიური შეფასებით და თვალის მიდევნების შეცდომის გაკონტროლებით. საერთაშორისო რეზერვების მართვის ყოველდღიური ანგარიში, რომელიც ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ არის მომზადებული, მოიცავს შედეგებისა და რისკის, როგორც ცალკეულ, ასევე „ბენჩმარკთან“ მიმართებაში შეფასებას და წარმოადგენს განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის შეფასებას.

ბანკის დამოკიდებულება რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკზე ძირითადად წარმოიშობება მისი ინვესტიციებით საერთაშორისო რეზერვების პორტფელში, რომლებიც ხასიათდებიან მერყეობით ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

უცხოური ვალუტის რეზერვების საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

უცხოური ვალუტის რეზერვების პორტფელი, რომელსაც მართავს ეროვნული ბანკი, იყოფა ტრანშებად და ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს მის ტრანშებზე, ყველა ვალუტისთვის, საპროცენტო განაკვეთებში 1-პროცენტიან ცვლილებებზე დაყრდნობით, რაც მიუთითებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური საბაზრო ღირებულების ცვლილებას საშემოსავლო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილების შედეგად. ბანკის მიერ ფლობილი ტრანშების რეალური საბაზრო ღირებულება ექვემდებარება რყევებს, თუმცა ეს რყევები არ უშლის ბანკს ხელს მისი ვალდებულებების შესრულებაში.

ბანკის საერთაშორისო რეზერვების საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა ტრანშების მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას აქტივებზე (მაჩვენებლები წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში).

ვალუტა	2023		2022	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში	1%	(48,280)	1%	(13,872)
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	(2,753)	1%	(836)
საინვესტიციო ტრანში ევროში	1%	(2,454)	-	-
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში გარე (BIS)	1%	(3,278)	1%	(2,945)
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	(9,804)	1%	(3,121)
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	(8)	1%	(1,127)
სამუშაო კაპიტალის ტრანში ევროში	1%	(49)	-	-

ვალუტა	2023		2022	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში	1%	49,791	1%	14,114
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	2,832	1%	850
საინვესტიციო ტრანში ევროში	1%	2,512	-	-
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში გარე (BIS)	1%	3,278	1%	3,106
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	10,087	1%	3,172
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	8	1%	1,142
სამუშაო კაპიტალის ტრანში ევროში	1%	49	-	-

ვ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, რისკი ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო ობლიგაციების საბაზრო ღირებულების და ლიკვიდობის მიწოდების ტრანზაქციებისას მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების ცვლილებასთან. უზრუნველყოფებთან მიმართებაში გაუფასურების რისკი მცირდება მარჟებისა და „haircut“-ების გამოყენებით, რომლებიც ამცირებენ მათ ღირებულებას და საშუალებას იძლევიან, რომ გასესხებული თანხის ეფექტური ნაწილი უზრუნველყოფის ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

ბანკის ფინანსური აქტივებისა საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა იმ ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას მოახდენს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტის ცვლილების გავლენას ბანკის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტის გათვალისწინებით, სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში.

კაპიტალის მგრძობელობა გამოითვლება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინვესტიციების გადაფასებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 1 პროცენტის ცვლილებისათვის 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2023		2022	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1%	(46,858)	1%	(42,195)

	2023		2022	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1%	49,425	1%	43,913

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსების ცვლილებებით. აქტივების სავალუტო სტრუქტურისგან გამომდინარე, ბანკის აქტივების ღირებულებისთვის დამახასიათებელია ძირითადი ვალუტების კურსების ცვლილების რისკი. სავალუტო კურსის რისკის შემცირება გარკვეულ დონეზე შესაძლებელია აქტივების ფლობით ვალუტების დივერსიფიცირებულ პორტფელში. 2015 წლის 14 დეკემბრიდან, სამიზნე ვალუტების შემადგენლობა არის: აშშ დოლარი - 80%, ევრო - 10% და სხვა ვალუტები 10%-მდე (კანადური დოლარი, ჩინური იუანი და სხვა ვალუტები 10%-მდე). სტრატეგიული აქტივების გადანაწილების მიხედვით, დასაშვები გადახრა სამიზნე ვალუტის კომპოზიციიდან აშშ დოლარისთვის, ევროსთვის და სხვა ვალუტებისთვის +/-10%-ია.

მგრძობელობა უცხოური ვალუტის მიმართ

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კონცენტრაციას ძირითად ვალუტებში და სავალუტო კურსების ლართან მიმართებაში 1%, 5%, 10% და 15%-ით ცვლილებების გავლენის ანალიზს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, სხვა ცვლადების უცვლელად შენარჩუნების პირობებში. ცხრილში მოცემული უარყოფითი თანხები ასახავს სავარაუდო წმინდა კლებას მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი თანხები - სავარაუდო წმინდა მატებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი	ევრო	SDR	იაპონური იენი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
აქტივები							
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ვალდებულებები	9,949,273	1,610,555	1,216,098	272,264	424,353	1,552	13,474,095
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში წმინდა პოზიცია	(3,470,413)	(1,626,729)	(2,339,583)	-	-	(17,153)	(7,453,878)
	6,478,860	(16,174)	(1,123,485)	272,264	424,353	(15,601)	6,020,217

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი	ევრო	SDR	იაპონური იენი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
აქტივები							
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ვალდებულებები	8,901,630	1,895,533	1,249,639	522,071	402,426	273,210	13,244,509
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში წმინდა პოზიცია	(4,735,934)	(1,604,371)	(2,408,008)	-	-	(8,919)	(8,757,232)
	4,165,696	291,162	(1,158,369)	522,071	402,426	264,291	4,487,277

გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე

	2023						
	აშშ დოლარი	ევრო	SDR	იაპონური იენი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	64,789	(162)	(11,235)	2,723	4,244	(156)	60,203
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	323,943	(809)	(56,174)	13,613	21,218	(780)	301,011
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	647,886	(1,617)	(112,349)	27,226	42,435	(1,560)	602,021
სავალუტო კურსის ზრდა 15%-ით	971,829	(2,426)	(168,523)	40,840	63,653	(2,340)	903,033
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(64,789)	162	11,235	(2,723)	(4,244)	156	(60,203)
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(323,943)	809	56,174	(13,613)	(21,218)	780	(301,011)
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(647,886)	1,617	112,349	(27,226)	(42,435)	1,560	(602,021)
სავალუტო კურსის კლება 15%-ით	(971,829)	2,426	168,523	(40,840)	(63,653)	2,340	(903,033)

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასი ლარი)

	გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე						
	2022						
	აშშ დოლარი	ევრო	SDR	იაპონური იენი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	41,657	2,912	(11,584)	5,221	4,024	2,643	44,873
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	208,285	14,558	(57,918)	26,104	20,121	13,214	224,364
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	416,570	29,116	(115,837)	52,207	40,243	26,429	448,728
სავალუტო კურსის ზრდა 15%-ით	624,854	43,674	(173,755)	78,311	60,364	39,644	673,092
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(41,657)	(2,912)	11,584	(5,221)	(4,024)	(2,643)	(44,873)
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(208,285)	(14,558)	57,918	(26,104)	(20,121)	(13,214)	(224,364)
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(416,570)	(29,116)	115,837	(52,207)	(40,243)	(26,429)	(448,728)
სავალუტო კურსის კლება 15%-ით	(624,854)	(43,674)	173,755	(78,311)	(60,364)	(39,644)	(673,092)

სხვა რისკები

ანგარიშსწორების რისკი

ანგარიშსწორების რისკის (ე.ი. რისკი იმისა, რომ კონტრაქტმა შესაძლოა ვერ დაასრულოს ტრანზაქცია) შემცირების რამდენიმე გზა არსებობს. ბანკი მხოლოდ მას შემდეგ გადარიცხავს თანხებს, რაც დარწმუნდება რომ ტრანზაქციისთვის საკმარისი უზრუნველყოფა არსებობს. ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ტრანზაქციებისას ანგარიშსწორების რისკი იფარება ისეთი სისტემების გამოყენებით, რომლებიც ემყარება გადახდისთანავე მიწოდების პრინციპს, რაც გულისხმობს ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების თანადროულ/ერთდროულ გაცვლას. გარდა ამისა, ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკის მიერ ფლობილი, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს თითოეული მონაწილის პოზიციას რეალურ დროში ინდივიდუალური გადახდების საფუძველზე. ამის შედეგად, ავტომატურად ხდება ოვერდრაფტების თავიდან აცილება და იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ამავედროულად იყენებს ბანკში განთავსებულ აქტივებს ანგარიშსწორების წყაროდ, ის საკრედიტო რისკს ამცირებს.

არაფინანსური რისკი

არაფინანსური რისკები, რომლის მიმართაც ეროვნულ ბანკს მოწყვლადობა გააჩნია, მოიცავს საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს. საოპერაციო რისკს, თავის მხრივ განაპირობებს არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესები, ადამიანური ფაქტორები, სისტემები და გარე მოვლენები. საოპერაციო რისკები თავის მხრივ აერთიანებს შემდეგ კატეგორიებს: სამართლებრივი რისკი, ტექნოლოგიური რისკი, ადამიანური რესურსების რისკი, უსაფრთხოების რისკი (ფიზიკური და ინფორმაციული), მესამე მხარის, ბიზნესის უწყვეტობის, თაღლითობისა და შესაბამისობის რისკები. არაფინანსური რისკის რეალიზებამ შესაძლოა წარმოშვას ფინანსური ზარალი, შელახოს ბანკის რეპუტაცია ან ხელი შეუშალოს ბანკს მისი მიზნების შესრულებაში. ამისათვის, ბანკში შექმნილია რისკების ცენტრალიზებული მართვის სისტემა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არაფინანსური რისკებით გამოწვეული ფინანსური ზეგავლენა და ბანკი უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური შიდა კონტროლის სისტემებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო მოიცავს არაფინანსური რისკების მართვის, ინციდენტების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემებს, რომელთაც თავის მხრივ აძლიერებს შიდა კონტროლის პროცედურების სისტემა. არაფინანსური რისკების შეფასება ხდება ხარისხობრივ მეთოდზე (5 დონიანი) დაყრდნობით და აერთიანებს ბანკის ყველა პროცესს, რომელთა არასრულყოფილად ან ხარვეზებით წარმართვამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ეროვნული ბანკის მიზნების მიღწევაზე. ინციდენტების მართვის სისტემა ემსახურება ინციდენტების გამოვლენასა და მათ ანალიზს, რათა თავიდან იქნას არიდებული მათი ხელახალი განმეორება. საოპერაციო რისკების შეფასების გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით ბანკმა შეარჩია და მიიღო რაოდენობრივი შეფასების მეთოდი - სტანდარტიზებული გაზომვის მიდგომა (Standardized Measurement Approach). დანერგვის პროცესის დასრულების მიზნით, ბანკი გააგრძელებს მუშაობას ფინანსური დანაკარგების მაჩვენებლებზე, თანმიმდევრული პროცესებისა და პროცედურების განვითარებაზე. ბანკი იყენებს მოდელის რისკის მართვის ჩარჩოს, რომელიც მოიცავს მოდელის აღრიცხვას, თითოეულის აღწერას, შეფასებას, სტანდარტიზებული ფორმით დოკუმენტირებას და არა-ფინანსური რისკების განსაზღვრის პროცესებს. ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემა ახდენს ბანკის კრიტიკული პროცესების მდგრადობის მუდმივ გაუმჯობესებას, რისთვისაც ადგენს საჭირო პროცედურებს, ახორციელებს მუდმივ ტესტირებასა და ახალი სცენარების შემუშავებას.

ბანკმა განსაზღვრა არაფინანსური რისკის მისაღები დონე (რისკის მადა), რომელსაც ეროვნული ბანკი მიიჩნევს მისაღებად თავისი მანდატისა და ამოცანების განხორციელების პროცესში. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს კონსერვატიული მიდგომა აქვს საოპერაციო და რეპუტაციული რისკების მიმართ და ოპერირებს დაბალი რისკის მადასა და ტოლერანტულობის დონის საზღვრებში. აქედან გამომდინარე, ბანკი უზრუნველყოფს ადეკვატური რაოდენობის რესურსების გამოყოფას და ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, რათა არაფინანსური რისკის დონე შენარჩუნებული იქნას დაბალი რისკის ზონაში. რისკის მადას მაჩვენებელი გადაიხედება და მტკიცდება ყოველწლიურად ბანკის საბჭოს მიერ.

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის, არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან გამჟღავნებას განმარტებით შენიშვნაში.